

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი  
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ზოგადი და შედარებითი  
ლიტერატურათმცოდნეობის ინსტიტუტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Institute of General and Comparative Literary Studies

კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია

Georgian Comparative Literature Association

## სჯანი

ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალი

ლიტერატურის თეორიასა და შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში

## Sjani

Annual Scholarly Journal of Literary Theory and Comparative Literature

UDC (უაკ) 821.353.1.0(051.2)  
ს-999

**რედაქტორი**

ირმა რატიანი

**Editor**

Irma Ratiani

**სარედაქციო კოლეგია**

თამარ ბარბაქაძე (საქართველო)  
ლევან ბრეგაძე (საქართველო)  
რუტა ბრუზგიენე (ლიტვა)  
მაია ბურიმა (ლატვია)  
რაპილა გაიბულაევა (აზერბაიჯანი)  
თეიმურაზ დოიაშვილი (საქართველო)  
მაკა ელბაქიძე (საქართველო)  
ირაკლი კენჭოშვილი (საქართველო)  
რუდოლფ კროიტნერი (გერმანია)  
გაგა ლომიძე (საქართველო)  
თამარ ლომიძე (საქართველო)  
მანფრედ შმელინგი (გერმანია)  
ბელა წიფურია (საქართველო)

**Editorial Board**

Tamar Barbakadze (Georgia)  
Levan Bregadze (Georgia)  
Rūta Brūzgienė (Lithuania)  
Maja Burima (Latvia)  
Rahilya Geybullayeva (Azerbaijan)  
Teimuraz Doiashvili (Georgia)  
Maka Elbakidze (Georgia)  
Irakli Kenchoshvili (Georgia)  
Rudolf Kreutner (Germany)  
Gaga Lomidze (Georgia)  
Tamar Lomidze (Georgia)  
Manfred Schmeling (Germany)  
Bela Tsipuria (Georgia)

**პასუხისმგებელი მდივანი**

სოლომონ ტაბუცაძე

**Responsible Editor**

Solomon Tabutsadze

**სჯანი 17, 2016, მაისი**

რედაქციის მისამართი:  
საქართველო,  
თბილისი 0108,  
მ. კოსტავას ქ. 5  
ტელ.: (+995 32) 2 99-63-84  
ფაქსი: (+995 32) 2 99-53-00  
[www.litinstituti.ge](http://www.litinstituti.ge)  
E-mail: [litinstituti@yahoo.com](mailto:litinstituti@yahoo.com)

**Sjani 17, 2016, May**

Address:  
Georgia,  
Tbilisi 0108,  
M. Kostava St. 5  
Tel.: (+995 32) 2 99-63-84  
Fax: (+995 32) 2 99-53-00  
[www.litinstituti.ge](http://www.litinstituti.ge)  
E-mail: [litinstituti@yahoo.com](mailto:litinstituti@yahoo.com)

© თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი  
©კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია (GCLA)  
ISSN 1512-2514

**ლიტერატურის თეორიის  
პრობლემები****ივანე ამირხანაშვილი**

სტილი – კულტურული  
ძდგომარეობა  
(მეტაფრასტიკის მაგალითზე)

**7 Ivane Amirkhanahvili**

*Style – Cultural Situation  
(on the example of  
Metaphrastics)*

**მაია ნაჭყებია**

რენესანსული  
ანტროპოცენტრიზმიდან  
ბაროკულ თეოცენტრიზმამდე

**15 Maia Nachkebia**

*From Renaissance  
Anthropocentrism to Baroque  
Theocentrism*

**მარია არპენტიევა**

ქსენოლოგიური მიდვომა  
ფსიქოლინგვისტიკასა და  
ლიტერატურათმცოდნეობაში:  
ურთიერთგაგების მეტაენები

**26 Arpentieva, M. R.**

*Xenological Approach in  
Psycholinguistics and Literary  
Studies: the Meta-languages of  
Understanding*

**პოეტიკური პრაქტიკები****მიშელ დე დობელერი**

მხოლოდ დანაშაული და  
სასჯელი გადარჩა! აღმოსავლეთ  
ევროპული მსოფლიო  
ლიტერატურის ადაპტირება  
„ილუსტრირებული კლასიკიდან“  
რუს კიკის „გრაფიკულ  
კანონამდე“

**40 Michel De Dobbelaer**

*Only Crime and Punishment  
Survived! Adapting East  
European World Literature from  
Classics Illustrated to Russ  
Kick's The Graphic Canon*

**ნესტან კუტივაძე**

განდევნილი განცდა და  
მხატვრული ლიტერატურა

**52 Nestan Kutivadze**

*A Banished Experience and  
Fiction*

---

<b>მარინა მასლოვა</b>	63	<b>Maslova, M. I.</b>
მანანა და ფეტი: ერთი აპოკრიფული მოტივის შესახებ ქართულ და რუსულ პოეზიაში		<i>Manana and Fet: About one Apocryphal Motif in Georgian and Russian Poetry</i>
<b>ლიტერატურისმცოდნეობის ქრესტომათია</b>		<b><i>Chrestomathy of Literary Theory</i></b>
ხოსე ორტეგა-ი-გასეტი ორი დიდი მეტაფორა (ეძღვნება კანტის დაბადებიდან ორას წლისთავს)	82	<b>José Ortega y Gasset</b> <i>Two Big Metaphors (Dedicated to the 200 year birth anniversary of Kant)</i>
<b>ალან კირბი</b> პოსტმოდერნიზმის სიკვდილი და შემდგომი ამბები	95	<b>Alan Kirby</b> <i>The Death of Post-modernism and its Sequel</i>
<b>ლექსმცოდნეობა</b>		<b><i>Theory of Poetry</i></b>
<b>თამარ ბარბაქაძე</b> ნეოკლასიციზმი და აკაკი წერეთლის ჰეროიკული სტროფები	106	<b>Tamar Barbakadze</b> <i>Neoclassicism and Akaki Tsereteli's Heroic Couplets</i>
<b>აპოლონ სილაგაძე</b> ქართული მყარი სალექსო ფორმების აღმოსავლური წყაროები	123	<b>Apollon Silagadze</b> <i>Oriental Sources of Georgian Stable Verse Forms</i>
<b>ნატალია ეგოროვა</b> კონცეპტების “HEAVEN/ SKY”, “SUN” სემანტიკური ორგანიზაცია ინგლისურენოვან სასიმღერო დისკურსში	141	<b>Egorova, N. A.</b> <i>Semantic Organization of the Concepts “Heaven/Sky”, “Sun” in English Cong Discourse</i>
<b>ფილოლოგიური ძიებანი</b>		<b><i>Philological Researches</i></b>
<b>ლელა ხაჩიძე</b> მარტვიროლოგიის სათავეებთაა	157	<b>Lela Khachidze</b> <i>At the Origins of Martyrology</i>

---

<b>ვლადიმერ ჭელიძე</b> ქართული საისტორიო პროზის განვითარების ადრეული ეტაპები (პირველწყაროს ლიტერატურული მოდელი – ფიქციონური დანართებისკენ)	167	<b>Vladimer Chelidze</b> <i>Early Stages of the Development of Georgian Historic Prose (literary model of the primary source – fiction to anti-fiction)</i>
<b>გაგა შურდაია</b> ბერნარდე ნეაპოლელისეული ხელნაწერები	181	<b>Gaga Shurgaia</b> <i>The Manuscripts of Bernard Maria of Naples</i>
<b>ინტერპრეტაცია</b>		
<b>ქონსტანტინე ბრეგაძე</b> ლიტერატურული ტრადიციის გავება ქართულ მოდერნიზმში	210	<b>Konstantine Bregadze</b> <i>The Understanding of Literary Tradition in Georgian Modernism</i>
<b>დარეჯან გარდავაძე</b> უდაბნო და მისი თილისმა, სუფიური მისტიკა იბრაჰიმ ალ- ქუნის რომანში „ოქროს ქვიშა“	220	<b>Darejan Gardavadze</b> <i>The Desert and its Talisman, Sufi Mystic in Ibrahim al-Koni's Novel "Gold Dust"</i>
<b>Critical Discourse</b>		
<b>იორდან ლუცკანოვი</b> ტრადიცია, ინდივიდუალური ტალანტი და ინტერვალი: ვიაჩესლავ ივანოვისა და ტომას სტერნზე ელიოტის შედარებისთვის	238	<b>Yordan Lyutskanov</b> <i>Tradition, Individual Talent and the Inbetween: Vjacheslav Ivanov compared to T. S. Eliot</i>
<b>კულტურის პარადიგმები</b>		
<b>ფილიპ ამმონი</b> <i>Tractatus Slavonicus</i>	248	<b>Philipp Ammon</b> <i>Tractatus Slavonicus</i>

---

<b>ნათელა ჩიტაური</b> <b>შორენა შამანაძე</b> სოციო-ლიტერატურათმცოდნე- ობითი დისკურსის ზოგიერთი ასპექტი	<b>257</b>	<b>Natela Chitauri</b> <b>Shorena Shamanadze</b> <i>Certain Aspects of Social Literature Studies Discourse</i>
--	------------	--

<i>Memoria</i>	<i>Memoria</i>
<b>მაკა ელბაქიძე</b> ბაჩანა ბრეგვაძე	<b>270</b> <b>Maka Elnakidze</b> <i>Bachana Bregvadze</i>
<b>ნეტარი ავგუსტინე</b> აღსარებანი (ფრაგმენტი)	<b>273</b> <b>St. Augustine</b> <i>Confessions</i> <i>(Fragments)</i>
 <b>გამოხმაურება, რეცენზია</b>	
<b>თენგიზ კიკაჩეიშვილი</b> ირმა რატიანის „ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი“	<b>276</b> <b>Tengiz Kikacheishvili</b> <i>On Irma Ratiani's Book – “Georgian Writing and the World Literary Process”</i>
<b>რისმაგ გორდეზიანი</b> ირმა რატიანი, „ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი“	<b>294</b> <b>Rismag Gordeziani</b> <i>Irma Ratiani, “Goergian Writing and World Literary Process”</i>
<b>ნათია სიხარულიძე</b> ქართული მოდერნიზმი: სტორიული კონტექსტი და ტიპოლოგია	<b>295</b> <b>Natia Sikharulidze</b> <i>Georgian Modernism: Historical Context and Typology</i>
 <b>Reviews, Comments</b>	
<b>ახალი წიგნები</b>	<i>New Books</i>
<b>მოამზადა გაგა ლომიძემ</b>	<b>301</b> Prepared by <i>Gaga Lomidze</i>

# ლიტერატურის თეორიის პრობლემები

ივანე ამირხანაშვილი

(საქართველო)

## სტილი – კულტურული მდგომარეობა (მეტაფრასტიკის მაგალითზე)

უანრი თავის თავში ატარებს ევოლუციის კოდს, ისწრაფვის ცვლილებების-კენ, განახლებისკენ, განვითარებისკენ.

თანამედროვე თეორიის ენაზე რომ ვთქვათ, ეს არის დეფამილარიზაციის უნარი. კერძოდ, ფორმალისტების თვალსაზრისით, ლიტერატურას ახასიათებს სწრაფვა სამყაროს ხელახლა აღმოჩენისკენ, დადგენილის, ნაცნობის, ფამილარულის შეცვლისკენ, გაუცხოებისკენ ანუ დეფამილარიზაციისკენ (რატიანი 2009: 34).

რაღაც მსგავსი მოვლენა ხდება მეტაფრასტიკაში, მართალია, მცირე, მინიმალური ფორმით, მაგრამ მაინც: განახლება, შეცვლა, ტრანსფორმირება აგი-ოგრაფიული უანრის ინტენციური თვისება აღმოჩნდა.

აქაც ხორციელდება შინაგანი პროცესი. უანრის ისტორიაში დგება მომენტი, როდესაც მარტივი, „ლიტონი“ თხრობა ვეღარ აკმაყოფილებს შუა საუკუნეების ბიზანტიის რიტორთა და სტილისტთა „პრეტენციოზულ მოთხოვნილებებს“ (კეკელიძე 1957: 140-141).

იწყება ტექსტების გადაკეთება-გაღამაზება. ყურადღება ექცევა ფორმას, ენას, სტილს. შინაარსშიც შეაქვთ გარკვეული ცვლილებები. შლან სხვადასხვა დროის ჩანამატებს, შეაქვთ ახალი კონცეპტები ანუ იღებენ ინტერპოლაციებს, რათა შექმნან ექსტრაპოლაციები, ანუ თანამედროვე თვალსაზრისი გადაქვთ წარსულში.

სრულდება სოციალური დაკვეთა. საზოგადოება ითხოვს „გარდაკაზმულ“ ამბავს. სიტყვაში უნდა გაამძაფროს აღქმა, სრულყოს იდეალის გააზრება. მეტა-ფრასტიკა პასუხია საზოგადოებრივ გემოვნებაზე.

ყოველი ტექსტი იწერება კონკრეტულ ეპოქაში, კონკრეტული მიზნით, კონკრეტული მკითხველისათვის. იცვლება ეპოქა, იცვლება კულტურული სიტუაცია, იცვლება გემოვნებაც და აღქმის თავისებურებანიც.

სტილი, როგორც დროის მოთხოვნა, როგორც „მოდერნი“, როგორც თანამედროვეობის შეგრძნება, როგორც პასუხი ეპოქის მოთხოვნებზე.

უანრი ცოცხლობს მანამ, სანამ მასში ჩანს დროის შეგრძნება. როგორც კი ეს შეგრძნება იკარგება, უანრიც კვდება.

მეტაფრასტიკა მარტო სტილი არ არის, ის სულიერი მდგომარეობაა, რომელიც საზოგადოებრივ განწყობილებებს გამოხატავს. აქედან გამომდინარე, მეტაფრასტიკა ახალ კულტურულ მდგომარეობას აფიქსირებს. ბიზანტიიაში ის სათავეს იღებს IX საუკუნეში, მას შემდეგ, რაც ხატმბრძოლობა მარცხდება და იქმნება ახალი კულტურული სიტუაცია; საქართველოში კი მისი დასაწყისი ემთხვევა X საუკუნის ბოლოს ათონზე ქართული სალიტერატურო სკოლის ჩამოყალბებას, რაც ასევე ახალი ინტელექტუალური აქტივობის მაუწყებლია.

ბიზანტიაში სვიმეონს, მაღალი თანამდებობის პირს, ლოლოთეტს ანუ მთავარ დიპლომატს, საშუალება ეძლევა საიმპერატორო არქივებიდან გამოიტანოს ცნობები და „შეკაზმოს“ ტექსტები, რომლებიც თავდაპირველი სახით ნამდვილ სურათს კი არ იძლევიან, არამედ „ნახშირითა გამოსახულ ხატს“ წარმოადგენენ (კეკელიძე 1057: 146).

მანამდე აგიოგრაფია ცდილობდა მთელი სიმძიმე რელიგიურ განცდებზე გადაეტანა და ამიტომ ნაკლებ ყურადღებას უთმობდა სიტყვიერ შემოქმედებას.

მეტაფრასტიკამ მიზნად დაისახა აგიოგრაფიაში მხატვრულ-გამომსახველობითი დონის ამაღლება (სირაძე 1978: 140).

მოკლედ, მეტაფრაზირება ეწოდა აგიოგრაფიული საკითხავების ძველი, კიმენური რედაქციების გადამუშავებას. „მეტა-ფრაძმ“ – პარაფრაზირება, გადაფრაზირება. მეტაფრასისი არის გადამუშავებული, განსხვავებულად გამოხატული, „თარგმნილი“ ტექსტი.

ბერძნულად მეტაფრასისი, ქართულად – „გარდაკაზმული“, როგორც ეფრემ მცირე იტყვოდა.

გადამეტაფრასება, როგორც გავრცობა, ნიშნავს ტექსტის რამდენიმე კუთხით შემატებას, გაზრდას, რაც გულისხმობს თხზულებისთვის შესავლის წამდლვარებას, სასწაულების აღნერას, პარალელებისა და სხვა წმინდანთა ცხოვრებიდან ფაქტობრივი მასალის დამატებას (ხინთიბიძე 1982: 101).

მეტაფრაზირების წესია – „გარდაიკაზმოს“ ის ტექსტი, რომლის ავტორი ლიტონი, რიგითი, უბრალო „არა წმიდათაგანია“. წმინდა მართლმადიდებელ მამათა მიერ დაწერილ ტექსტს ვერავინ შექება, ამას მხოლოდ მწვალებელი ან ეკლესიისაგან განდგომილი თუ გაბედავს. თუმცა ეს წესიც ირლვევა, ზოგჯერ მართლმადიდებელ მამათა ტექსტებსაც „კაზმავენ“, თანაც წმინდა კაცები და არა განდგომილნი.

### პროცესი პროცესია.

მეთე საუკუნის მიწურულს მშრალი, ლიტონი თხრობა აღარ აინტერესებთ, გულისყურით აღარ უსმენენ, მათვის უცხოა, არასერიოზულად დებულობენ, სიამოვნების ნაცვლად სიცილს ჰგვრის (ბააკაშვილი 1977: 4). მათში არ იყო მტკიცე კომპოზიცია და თანმიმდევრული აზრი, უხეში სტილი ყურს სჭრიდა და მსმენელს თუ მკითხველს სიამოვნების ნაცვლად ნაღველს ჰგვრიდა (მინე : 197).

სვიმეონ მეტაფრასტის თხზულებებსა და მის მიერ გამოყენებულ წყაროებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ კიმენური ტექსტის გადამეტაფრასება გულისხმობს ნაწარმოების მხატვრულ-ესთეტიკურ გადამუშავებას, მის პოეტურ დახვეწასა და გამშვენიერებას, მეტაფრასტი ავტორები ყურადღებას აქცევენ ფორმას, ენასა და სტილს, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თხზულების შინაარსს უცვლელად ტოვებენ (მახარაშვილი 2002: 64).

კარლ კრუმბახერი სვიმეონ მეტაფრასტის სტილზე საუბრისას გამოყოფს ტექსტების სამ კატეგორიას. პირველი, ეს არის მეტაფრასტები, რომლებშიც ძველი ტექსტი უცვლელი სახით არის დატოვებული; მეორე კატეგორია წარმოადგენს ლეგენდებს, რომლებმაც სრული სტილისტური გადამუშავება განიცადა; მესამე, ისეთი რედაქციები, რომლებიც ფაქტობრივად ახალ თხზულებებს წარმოადგენს (Krumbacher 1897: 201).

როდესაც ჟანრის კანონი ძველდება, ტექსტი კარგავს ცხოველმყოფელობას. ამ დროს ზემოქმედების რაკურსს ცვლიან. მეტაფრასტიკა ცვლის ზედაპირს და მიღის სიღრმეში. ნიშანდობლივია ექვთიმე მთაწმინდელის მიერ თარგმნილი „წმინდა გიორგის წამების“ მინაწერი. ექვთიმე წერს, სვიმეონ ლოლოთეტის ამ ტექსტს საბერძნეთის ბევრ ეკლესიაში კითხულობენო, „რამეთუ სიღრმისათვის იხუმევნ ამას“ (სირაძე 1978: 148). ფაქტოლოგიას ემატება „ფიქტოლოგია“, რათა ფაქტი უფრო შთამბეჭდავი გახდეს. თუმცა ფიქცია სიტყვიერაზრობრივი წიაღ-სვლების საზღვრებს არ სცილდება.

მეტაფრასტებმა ძველ ტექსტებში შეიტანეს სისადავე, დამაჯერებლობა, სიმწყობრე, მაგრამ სტილი, მანერა, საერთო განწყობილება შეინარჩუნეს, რადგან არ უნდა შექმნილიყო შთაბეჭდილება, თითქოს ახალი ნაწარმოები იწერებოდა. თუმცა ეს ხელს არ უშლიდათ იმაში, რომ საკუთარი აზრები ჩაერთოთ ნაწარმოებში. ამ, ერთი შეხედვით, უწყინარ ინტერპოლაციებს ზოგჯერ პოლიტიკური რეზონანსიც ჰქონდა. მაგალითად, იყო ასეთი შემთხვევა, სვიმეონ ლოლოთეტის მიერ ახლად გარდაკაზმულ „ნეტარი თეოკტისტე ლეზველის ცხოვრებას“ კითხულობდნენ კონსტანტინეპოლის ერთ-ერთ ეკლესიაში, როდესაც გაისმა ასეთი ფრაზა: „ნარვლინებულ ვიყავ მორნმუნისა მეფისა ლეონისაგან, რომელმაც ყოველი განმარჯვებულებაი ბერძნთა მეფობისაი საფლავსა თვისსა თანაშთაპფლა“. მეფე ბასილი უაღრესად აღაშფოთა ამ სიტყვებმა, კერძოდ, თავისი წინამორბედის ქებამ და ეკლესიებს აუკრძალა სვიმეონის წიგნების ნაკითხვა (ეფრემ მცირე 1957: 224).

მეტაფრასტიკის მამამთავრების, სვიმეონ ლოლოთეტისა და იოანე ქსიფილინოსის, შემოქმედების ანალიზის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს ბიზანტიური მეტაფრასტიკის თავისებურებები, რომლებიც ძირითადად გაიზიარა და აითვისა ქართულმა აგიოგრაფიამ: 1. ძველი, კიმენური ტექსტების სტილისტური გადამუშავება; 2. ერესის ნაკვალევის აღმოფხვრა; 3. ძველი ავტორის თხრობის მანერის შენარჩუნება; 4. უზუსტობებისა და შეუსაბამობების გასწორება; 5. ძველი თხზულების გავრცობა; 6. ტექსტის შევსება ფაქტობრივი მასალით; 7. თხზულებისთვის შესავლის წამდლვარება; 8. სასწაულების აღწერა (ბააკაშვილი 1977: 8-17).

ტრადიციული წარმოდგენით, მეტაფრასული ტექსტი უხვსიტყვაობითა და კაზმული სტილით გამოიჩინა, რაც, კაცმა რომ თქვას.

შედარებისთვის აცილოთ კიმენური „მოქცევაი ქართლისაი“ და არსენ ბერის მეტაფრასული თხზულება „ცხოვრებაი წინოსაი“. მაგალითად, ვნახოთ, როგორ არის წარმოდგენილი ამ ტექსტებში წმ. წინოს მამა ზაბილონი.

**კიმენი:** „იყო მათ უამთა ოდენ გიორგი კაბადუკიელი ინამა ქრისტეისთვის, მათ დღეთა კაბადუკიათ ქალაქით კაცი ვინმე მთავართა შესაბამი, მონაი ღმრთისაი, წარვიდა პრომედ მეფეთა წინაშე მსახურებად და ნიჭისა მოღებად“ (ძეგლები 1963: 106).

**მეტაფრასი:** „...ვითარცა მთიები, მდიდარი ბრნყინვალებითა ვარსკვლავთა შორის, გამოჩნდა ყოვლად-ბრნყინვალე იგი და საჩინო მნათობი, უძლეველი მხედარი მეუფისა დიდისაი, კადნიერად მდგომარე წინაშე პირისა ღმრთისასა, მსწრაფლი და მხურვალე, მეოხი და მფარველი და ხელის-აღმაპყრობელი ყოველთა მორნმუნეთაი, და უფროისად ნათესავისა ჩუენისაი, დიდებული მოწამე ქრისტესი

გიორგი, რომელმან იღუანა დიოკლიტიანეს ზე, რომელი აღმოეცენა ყოვლად-სა-ქებელით და უფროისადა ესევითართა ნერგთა მიერ ქუეყანით კაბადუკით, რომლისა ღუანლისა და წამებისა ჟამთა და ამასვე ქუეყანასა შინა იყო ვინმე თანა-მოქალაქე მისი, კაცი კეთილად მორწმუნე, შვილი მდიდართა და წარჩინებულთაი, კუალად იყო იგი ძლიერ და ახოვან და განთქმულ წყობათა შინა, რომლისა სახელი ზაბილო“ (ძეგლები 1971: 11).

შესაძლოა ეს არ იყოს გადამეტაფრასების ყოველმხრივ სანიმუშო მაგალი-თი, მაგრამ აშკარად ჩანს ავტორის მოტივაცია, განავრცოს ტექსტი, სტილის-ტურად დახვეწოს ენა, ფრაზები უფრო კეთილხმოვანი და ჰარმონიული გახადოს, თანაც ისე, რომ პირველწყაროს თხრობის მანერა მეტ-ნაკლებად შეინარჩუნოს. ერთ ფაქტობრივ დეტალსაც ამატებს, კერძოდ, იმას, რომ ამბავი დიოკლიტიანეს დროს ხდება.

იმას, რასაც არსენ ბერი აკეთებს, როგორც მეტაფრასტი, შეიძლება ტენ-დენციურობა ვუწოდოთ. ტენდენციურია მისი დამოკიდებულება, რადგან აქვს წი-ნისარ აღებული მეთოდი და სქემა, რომელიც უნდა განახორციელოს. ისე უნდა გადაამუშაოს ტექსტი, რომ გახადოს რაც შეიძლება აქტუალური, საზოგადოები-სათვის მისაღები, მოსასმენი.

თხზულება პანეგირიკულ ხასიათს ღებულობს და ეს არ არის გასაკვირი, რადგან ამას უანრის პრინციპი მოითხოვს. მეტაფრასტმა უნდა დაწეროს წმინდა-ნის სიტყვიერი ხატი. პანეგირიკი რიტორიკულ ტენდენციებს აძლიერებს, ზედა-პირზე ამოაქვს ის, რაც აგიოგრაფიის საფუძველში დევს.

აღსანიშნავია ისიც, რომ მეტაფრაზიობის პრაქტიკაში იშვიათად, მაგრამ მაინც არის შემთხვევები, როდესაც კიმენური კონტექსტში უფრო ვრცელია, ვიდრე მეტაფრასული. მაგალითად, ავილო, „მოქცევაის“ ეპიზოდი ფარგანის ტბასთან, სადაც წმინდა ნინო მეთევზებსა და მწყემსებს ხვდება და შევადაროთ არსენ ბე-რის მეტაფრასული ტექსტის შესაბამის მონაკვეთს.

**კიმენი:** „და მივემთხვიე მთათა ზედა ტბასა დიდსა გარდამდინარესა, რომელ-სა ერქუა ფარვანაი, და დავდეგ მუნ ორ დღე. ვითხოვე საზრდელი მეთევზურ-თაგან და განვდლიერდი ძალითა მით საზრდელისათა, და მაღლი შევსწირე ღმერთსა. და მწყემსი იყვნეს მასვე ადგილსა და ხუმილვიდეს სახუმილავსა ღამისასა სამ-წყსოთა შინა მათთა. და ხადოდეს ღმერთთა მათთა დაწყეულთა არმაზს და ზადენს და უთქუმიდეს შესანირავთა, რაჭამს მოვიდეთო. დილასა ადრე მივედ და ვჰკი-თხე ერთსა მათგანსა, თუ რომლისა სოფლისანი ხართ თქუენ. ხოლო მან მომიგო მე: „ზოგნი დაბით და ზოგნი საფურცლით და ზოგნი ქინჯარელნი და რაბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“ (ძეგლები 1963: 116).

**მეტაფრასი:** „და მიემთხვია ტბასა, რომელსა ეწოდების ფარვანაი, და მუნ დაადგრა ორ დღე. და მოიღო საზრდელი მეთევზურთაგან და გაძლიერდა და ადიდებდა ღმერთსა. კუალად იყვნეს მათვე ადგილთა მწყემსი ცხოვართანი და მემრონლენი ზროხათანი, რომელი არვეობდეს მთათა მათ ზედა სამწყსოთა მათ-თა. ჰკითხვიდა მათ ღირსი ნინო ვინაობასა და სადაითობასა. ხოლო მათ მიუგეს: რომელნიმე ელირგნით ვართ და რომელნიმე ქინძარელნი, სხუანი საფურცლით და რომელნიმე ქალაქისა დიდისა მცხეთისანი“ (ძეგლები 1971:19).

იმისათვის, რასაც კიმენი 87 სიტყვით გადმოგვცემს, მეტაფრასტისთვის მხოლოდ 59 სიტყვაც საქმარისია. ეს, მიუხედავად იმისა, რომ იშვიათი შემთხვევაა, არ არის პარადოქსი. როგორც კარლ კრუმბახერის კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, მეტაფრასტისთვის თვითმიზანი არ არის ტექსტის გავრცობა, ზოგჯერ შეიძლება არაფერი შეცვალოს და წინარე ტექსტიდან გადმოიტანოს მხოლოდ ის, რაც მოცემული კონტექსტისთვის ესაჭიროება.

მეტაფრასტიკის სტილი რიტორიკის კანონებს ექვემდებარება. ტექსტს მეტი გამომსახველობა და სილამაზე უნდა მიენიჭოს, რათა მან უპასუხოს დროის მოთხოვნებს.

სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს – ეცემა ძველ ცხოვრებათა პოპულარობა და, პირიქით, სულ უფრო მოდური ხდება მეტაფრასი, რომელიც საეკლესიო კალენდარულ ტრადიციაში ექცევა: სვიმეონი გადაამეტაფრასებს შემოდგომაზამთრის (სექტემბერ-იანვარი) თვეთა წმინდანების ცხოვრება-მარტვილობებს, იმანე ქსიფილინოსი კი – დანარჩენი შვიდი თვის ტექსტებს.

ქართულ მეტაფრასტიკაში მოდის კანონმდებლად თეოფილე ხუცესმონაზონი გვევლინება.

ქართული მწერლობა რეაგირებს ბიზანტიურ ლიტერატურაში დაწყებულ პროცესზე, გაიაზრებს მეტაფრასული გარდასახვების, გნებავთ, „გარდაკაზმვების“ სტილს.

ქართულ აგიოგრაფიაში მეტაფრასტიკის პოპულარობასა და მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ იმანე ქსიფილინოსის, მეორე დიდი ბიზანტიელი მეტაფრასტის, თხზულებები მხოლოდ ქართული თარგმანებით შემორჩა ლიტერატურის ისტორიას.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მცდარია მოსაზრება, თითქოს მეტაფრასტიკა a priori გულისხმობს კიმენის გაუმჯობესებას; თითქოს კიმენი, როგორც ტექსტი, მდარე ლიტერატურულ პროდუქციას წარმოადგენს. დრომ მოითხოვა კიმენის გადამუშავება იმ სტანდარტების შესაბამისად, რომლებიც საზოგადოების გემოვნებასა და მოთხოვნებს აქმაყოფილებდა.

ეს ხდება X-XI საუკუნეებში. აგიოგრაფიის ჟანრი აღწევს განვითარების უმაღლეს საფეხურს. სავსებით მართებულია მოსაზრება, რომ აგიოგრაფიის ისტორიაში არ ყოფილა სხვა მოვლენა, რომელიც თავისი მნიშვნელობით მეტაფრასტიკას შეედრებოდეს (სირაძე 1978: 140).

სტილი როგორც დროის ნიშანი, კულტურული მდგომარეობა, სოციალური დაკვეთა. მწერალს თამაშის წესებს ჟანრი ჰქანახობს, ჟანრს კი – თავად დრო.

დაისმის კითხვა, ჟანრი ფორმის თვისებაა თუ შინაარსისა? გარეგანი ფორმა იმდენად არის გამოკვეთილი, რომ მასთან შედარებით შინაარსი მეორეული მოვლენა ხდება, მაგრამ საპოლოო ჯამში ფორმა იმისათვის განიცდის მეტამორფოზას, რომ შინაარსი გადმოსცეს რაც შეიძლება ეფექტურად. ამდენად, ჟანრი ფორმა-შინაარსის თვისებაა.

ყოველ ისტორიულ ეპოქაში ჟანრი იცვლება, მის სტრუქტურაში რაღაც ახალი შედის, ოღონდ სიახლე არ არის მოცემული იმ დოზითა და ფორმით, რომ მასში მოთავსებული შინაარსი შეცვალოს, აქედან გამომდინარე, მეტაფრასტიკის მიმდინარეობა გვიჩვენებს აგიოგრაფიის ჟანრის, როგორც კატეგორიის, ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფორმალურ-შინაარსობრივ ერთიანობას.

**დამოწმებანი:**

- Arsen Beri. "Tskhovrebai Ninoisi". *Dzveli Kartuli Agiografiuli Lit'erat'uris Dzeglebi*. Ts. III (Met'aprasuli Redaktsiebi, XI-XIII ss.). Ilia Abuladzis Khelmdzghvanelobita da Redaktsi. Tbilisi: gamomtsemloba "metsniereba", 1971 (არსენ ბერი. „ცხოვრებაი ნინოისი“. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ნ. III (მეტაფრასული რედაქციები, XI-XIIIსს.). იღია აბულაძის ხელმძღვალობითა და რედაქციით, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1971).
- Baak'ashvili, Vakht'ang. *Kartul-Bizant'iuri Met'aprasuli Agiografiis Urtiertmimarteba da Dziritadi Tavisebirebani. Dzveli Kartuli Lit'erat'ura (XI-XVIII)*. Tbilisi: gamomtsemloba "metsniereba", 1977 (ბააკაშვილი, ვახტანგ. ქართულ-ბიზანტიური მეტაფრასული აგიოგრაფიის ურთიერთმიმართება და ძირითადი თავისებურებანი. ძველი ქართული ლიტერატურა (XI-XVIII). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1977).
- Eprem Mtsire. Mosakhenebeli Mtsire Svimeonistvis Loghotet'isa. K'ek'elidze. K'. *Et'iudebi Dzveli Kartuli Lit'erat'uris Ist'oriidan*. T'. V. Tbilisi: sakartvelos metsnierebata ak'ademiis gamomtsemloba, 1957 (ეფრემ მცირე, მოსახსენებელი მცირე სვიმეონისთვის ლოდოთეტისა. კეკელიძე. კეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. V. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1957).
- K'ek'elidze, K'orneli. *Et'iudebi Dzveli Kartuli Lit'erat'uris Ist'oriidan*. T'. V. Tbilisi: sakartvelos metsnierebata ak'ademiis gamomtsemloba, 1957 (კეკელიძე, კორნელი. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. V. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1957).
- Krumbacher Karl, *Geschichte der byzantinischen Literatur*. München: 1897.
- Makharashvili, Soso. *Teopile Khutesmonazoni (Shemokmedebiti P'ort'ret'i)*. Tbilisi: gamomtsemloba "metsniereba", 2002 (მახარაძეშვილი, სოსო. თეოპილი ხუცესმონაზონი (შემოქმედებითი პორტრეტი). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 2002).
- Migne. *Patrologia graeca*, t.114, გვ.197.
- Rat'iani, Irma. *Janris Teoria*. Tbilisi: lit'erat'uris inst'it'ut'is gamomtsemloba, 2009 (რატიანი, ირმა. ჟანრის თეორია. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009).
- Siradze, Revaz. *Kartuli Estet'ik'uri Azris Ist'oriidan*. Tbilisi: gamomtsemloba "khelovneba", 1978 (სირაძე, რევაზ. ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან. თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1978).
- "Moktsevai Kartlisai". *Dzveli Kartuli Lit'erat'uris Dzeglebi*. Ts. I (V-X ss). Ilia Abuladzis Khelmdzghvanelobita da Redaktsi. Tbilisi: saqartvelos metsnierebata ak'ademiis gamomtsemloba 1963 („მოქცევაი ქართლისაი“. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ნ. I (V-Xსს). იღია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963).
- Khintibidze, Elguja. *Kartul-Bizant'iuri Lit'erat'uruli Urtiertobebis Ist'oriisatvis*. Tbilisi: tsu gamomtsemloba, 1982 (ხინთიბიძემ ელგუჯა. ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიისათვის. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1982).

Ivane Amirkhanashvili  
(Georgia)

## Style – Cultural Situation (on the example of Metaphrastics)

### Summary

**Key words:** metaphrastics, hagiography, style, epoch, Symeon Metaphrastes.

Genre bears within itself the code of evolution and strives for change, renovation, development. The rewriting and embellishment of texts starts. Attention is paid to the form, language, style. Certain changes are made to the content too. The insertions done at different times are removed and new concepts are introduced, i.e. they remove interpolations in order to create extrapolations, i.e. transfer contemporary vision to the past.

Social order is fulfilled. The society demands embellished story. The word should strengthen the perception, improve understanding of the ideal. Metaphrastics is a response to contemporary literary taste. Each text is written in a particular epoch, with the specific purpose and for a specific reader. Times change, cultural situation changes too, tastes and peculiarities of perception alter too.

Style as a demand of the times, as the “modern”, as a perception of contemporaneity, as a response to the needs of the age. Genre is alive until it is consonant with the spirit of the times. Once this perception is lost, genre is dying.

Metaphrastics is not just a style only; it is the spiritual situation which expresses public attitudes. Hence, metaphrastics sets new cultural situation. In Byzantine it began to take shape in the 9<sup>th</sup> century after the defeat of Iconoclasm and creation of a new cultural situation; and in Georgia its beginning coincides with the establishment of Georgian literary school on Mt. Athos at the end of the 10<sup>th</sup> century that is also signifies new intellectual activity.

Metaphrastes brought the plainness, persuasiveness, organization in the old texts but they preserved style, manner and general attitude because there should not be created the impression as if they produced entirely new texts. Nevertheless, this did not prevent them to include their own thoughts in the composition.

According to traditional view, metaphrastic text is distinguished with verbosity and elegance of style which is true but, at the same time, there are separate cases when Cymenian redaction describes some details more broadly, extensively, with verbosity and besides this, in more figurative, embellished style.

For metaphrastes, the extension of a text is not an end in itself, sometimes nothing may be changed and transfer from the previous text just what is needed for the given context. The metaphrastic style is subordinated to the canons of rhetoric. The text should acquire more expressiveness and perfection in order to respond the needs of the times. Beauty requires sacrifice – the popularity of old ways of life is declined and more and more trendy becomes metaphrasis which appears in the church calendar tradition: Symeon

initiates paraphrasing of saints' vitae for autumn-winter (September-January) months, and Johannes Xiphilinos - the texts of the rest seven months.

A close scrutiny of Symeon Metaphrastes compositions and the sources used by him make it clear that paraphrasing of cymenian text implies literary and aesthetic revision of a composition.

While dealing with Symeon Metaphraste's compositions, Karl Krumbacher singles out three categories. The first category is metaphrastes in which the older text is left unchanged as it was; the second category includes legends which experienced total stylistic revision; to the third category belong such redactions which actually represent new compositions.

According to Hans-Georg Beck, Symeon, as a remarkable phenomenon of the tenth-century hagiography, joined historicism of hagiography and Greek hagiography.

When the law of genre becomes outdated, the text loses vitality. At such time an angle of impact is changed. Metaphrastics changes the surface and goes into the depth. Noteworthy is the inscription on the "Martyrdom of St.Giorgi" translated by Ekvtime Mtastmindeli. Ekvtime writes that this text of Symeon Logothetes is read in many Greek churches, because "it is used for profundity".

In Georgian metaphrastics Theophile Kutsesmonazoni appears as authority. Georgian literature responds to the processes started in Byzantine literature, grasps the style of metaphrastic transformations, if you like, "embellishment". The popularity and importance of metaphrastics in Georgian hagiography is also testified by the fact that the compositions of the second great Byzantine metaphraste Johannes Xyphiline are preserved only in Georgian translations for the history of literature.

Style as a sign of the time, cultural state, social order. Genre dictates the game to the writer and to the genre – time. It is crucial to ask whether genre is the feature of a form or contents. The external form is so much pronounced that the contents compared with it, becomes a secondary phenomenon but in the end the form is subjected to metamorphose to render the content as much effectively as possible. Hence, genre is a feature of a form and content.

In every historical epoch genre changes, something new enters its structure, but the novelty is not given in such dose and form as to change the content put in it. Therefore, the metaphrastic movement shows the unity of historically established form and content of hagiographic genre as a category.

According to the analysis of the oeuvre of the founders of metaphrastics - Symeon Logothetes and Joannes Xiphilinus, the peculiarities of the Bysantine metaphrastics which were shared and mastered by Georgian hagiographers: 1. Stylistic revision of the old Cymenian texts; 2. Elimination of the traces of heresy; 3.Preservation of the rendering mode of the old author; 4. Correction of inaccuracies and inconsistencies; 5. Extension of old compositions; 6. Feeling of the text with actual material; 7. Introduction to the composition; 8.Description of miracles.

## მაია ნაზყეპია (საქართველო)

### რენესანსული ანტროპოცენტრიზმიდან ბაროკოულ თეოცენტრიზმამდე

რენესანსის კულტურის იდეურ საფუძველს ჰქონია მისი წარმოადგენს, რომლის საერო ხასიათის ანტიდოგმატურმა და ანტისქოლასტურმა მსოფლმხედველობამ ასახა იტალიის გვიან შუა საუკუნეებში მომხდარი ღრმა საზოგადოებრივი და იდეოლოგიური ცვლილებები. ამ დროს გაჩნდა ინტერესი ანტიკური კულტურის მიმართ, დაიწყო მისი აღორძინება: ჰქონისტები ანტიკურ კულტურას ეყრდნობოდნენ, სწავლობდნენ პლატონს, არისტოტელს, პლუტარქეს, თარგმნიდნენ არქიმედსა და სხვა ავტორებს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ანტიკური ხელოვნების ძეგლების შეგროვებას, შესწავლას და კომენტირებას. ეს კი იმან განაპირობა, რომ კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ ცნობილმა ბერძნებმა ფლორენციისკენ აიღეს გეზი. გემისტუსი ფლორენციელ ვაჭრებს პლატონის ნაშრომებს განუმარტავდა, მარსილიო ფირინო, ფლორენციაში პლატონის აკადემიის ხელმძღვანელი და პლატონის მთარგმნელი კი საეკლესიო კათედრიდან ბიბლიასავით კითხულობდა მის თხზულებებს, ხოლო პიკო დელა მირანდოლას განცვიფრებაში მოჰყავდა მთელი იტალია თავისი სწავლულობით (De Sanctis 1963: 432).

რენესანსი ახალი საერო კულტურის შექმნის ცდა იყო და ჰქონისტების უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა მდგომარეობდა პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების გათავისუფლებაში ეკლესიის ძალმომრეობისგან. ჰქონისტები გონების თავისუფლების მოთხოვნით გამოიდიოდნენ, რაც ადამიანს შესაძლებლობას მისცემდა შეუფერხებლად განევითარებინა თავისი ნიჭი და შემოქმედებითი შესაძლებლობები – მათი ინტერესების ცენტრში ფეოდალურ-საეკლესიო ძალმომრეობისგან თავისუფალი ადამიანი იყო. ამგვარად, ჰქონისტებმა ჩამოაყალიბეს ადამიანის ახალი კონცეფცია: თუ შუა საუკუნეთა საეკლესიო იდეოლოგია ყველანაირად აკნინებდა ადამიანს, ხაზს უსვამდა და უნერგავდა მას აზრს იმის შესახებ, რომ იგი უსუსური და ცოდვილია, ამის საპირისპიროდ ჰქონისტები განადიდებდნენ ადამიანის პიროვნებას, სწავლათ მისი უსაზღვრო შესაძლებლობებისა და შემოქმედებითი პოტენციალისა. რენესანსმა დაიწყო პიროვნების გათავისუფლება, გამოიყვანა იგი შუა საუკუნეთა ანონიმურობიდან, მოახარხა მისი გამოხსნა საზოგადოებრივი შეზღვედვებისგან და სწორედ ამ დროს შეეჯახა ქრისტიანობა ახალ, რთულ აზროვნებას, შექმნილს ერთდროულად პირადი ღვთისმოსაობის მოთხოვნილების და საერო კულტურისკენ სწრაფვისაგან, რელიგიაში სიცოცხლის და სილამაზის ინტეგრირების სურვილისგან. XIV-XV საუკუნეების რელიგიურმა ანარქიამ არა მხოლოდ განხეთქილება, არამედ განახლებაც მოიტანა: ქრისტიანობა უფრო სტრუქტურირებული, უფრო ღია გახდა ყოველდღიურო-

ბისთვის, უფრო მისაღები ერისკაცებისთვის, ლოიალური სხეულის და სამყაროს სილამაზის აღქმის მიმართ. აღორძინების შემოქმედნი სხეულის სილამაზით იყვნენ მოჯადოებული და შეძლეს მისთვის კანონიერი ადგილის დაბრუნება ხელოვნებასა და ცხოვრებაში, მაგრამ ამასთან ერთად არ გაუწყვეტიათ კავშირი ქრისტიანობასთან: მხატვრების უმრავლესობა ერთნაირი დამაჯერებლობით ასახვდა როგორც ბიბლიურ სცენებს, ისე შიშველ ნატურას მითოლოგიურ სიუჟეტებში და ამასთან, აღორძინების მხატვრებს არ ჰქონდათ იმის განცდა, რომ საკუთარ თავს ეწინააღმდეგებოდნენ – ქრისტიანობა უკვე აღარ ნიშნავდა იძულებით ასკეტიზმს (Delumeau 2006: 13-14).

**რენესანსული ანტროპოცენტრიზმი.** ჰუმანისტები ადამიანის გრძნობითი ბუნების რეაბილიტაციას ახდენდნენ, ხოტბას ასხამდნენ მიწიერ ცხოვრებას და დი-თირამბებს უძღვნიდნენ გონების შემოქმედებით აღმაფრენას. ეკლესიის წნეხი-საგან თავისუფალი რენესანსული ლიტერატურა იცავდა ადამიანის თავისუფალ აზრს და მის პიროვნული თავისუფლებას: პიროვნების ლირსება, მისი დაცვა და მისდამი უსზღვრო რწმენა აღორძინების არსია. ჰუმანისტებს სწამდათ ადამიანის კეთილი ბუნების, ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ადამიანი არ ისარგებლებდა თავისუფლებით ბოროტი საქციელის ჩასადენად. მათი რწმენით ადამიანს ბუნებამ მისცა ისეთი თვისებები, რომლებიც მას აკავებენ ცოდვის, ყოველგვარი სიბორო-ტისა და უარყოფითის ჩადენისგან. მათი აზრით ადამიანს არ სჭირდებოდა გარეგანი შეზღუდვები და აღვირი: მას ჰქონდა შინაგანი ჰარმონია და საზომი, რომელიც რენესანსის მიერ წარმოშობილი ბუმბერაზი მწერლების, პოეტების, მხატვრების, მოქანდაკების და სწავლულების არაჩვეულებრივი თანავარსკვლავედის – ბოკა-ჩი, პეტრარკა, არიოსტო, რონსარი, რაფაელი, ლეონარდო და ვინჩი, ტიციანი, მაზარი, პერუჯინო, ჯორჯონე, ერაზმ როტერდამელი, მირანდოლა – საზომია. რენესანსის ადამიანი ხომ დიადი საქმეებისათვის იყო მოწოდებული.

რენესანსმა ხელოვნების ცენტრში ადამიანი და ბუნება მოათავსა: ჰუმანისტი ფილოლოგი, პოეტი და პოლიტიკოსი ქრისტიანოფორო ლანდინო (1424-1498) თავის ეთიკურ და ფილოსოფიურ შეხედულებებში განმსაზღვრელ მომენტად მიიჩნევდა ადამიანის აქტიურობის პრობლემას მის მიწიერ ყოფიერებაში, თვლიდა, რომ პლატონის სწავლება არ ენინააღმდეგება ქრისტიანულ დოქტრინას და ყოველთვის ცდილობდა თეოლოგიური და ფილოსოფიური ტრადიციის შეთანხმებას (Bragin 1986: 96). სწორედ ქრისტიანული კატეგორიებით აზროვნების შედეგია, რომ რენესანსის ახალმა, ჰუმანისტურმა ორიენტაციამ ყველაზე ცხადი გამოხატულება ადამიანის შესახებ შექმნილ მოძღვრებაში პოვა, როდესაც ბიბლიური ქრისტიანობის საფუძველზე ადამიანის ახალი კონცეფცია, რენესანსული ჰუმანიზმის საფუძველი – რენესანსული ანტროპოცენტრიზმი – შექმნა.

ჰუმანისტური აზრის მნვერვალს წარმოადგენს სწორედ სწავლებანი ადამიანის შესახებ, რომელიც დასრულებული სახით ეთიკაში აისახა. იტალიელი მეცნიერი, ჰუმანისტი, მწერალი და აღორძინების ეპოქის ხელოვნების თეორეტიკოსი ლეონ ბატისტა ალბერტი (1404-1472) წერს: „დაბადების ბოლო დღეს ღმერთმა შექმნა ადამიანი, რათა მას შეეცნო სამყაროს კანონები, ესწავლა მისი სილამაზის სიყვარული, აღფრთოვანებულიყო მისი სიდიადით. შემოქმდმა უთხრა ადამს: მე არ დაგაბი შენ გარკვეულ ადგილზე, არ დაგავალე გარკვეული საქმე, არ შეგბოჭე“

აუცილებლობით იმიტომ, რათა შენ საკუთარი ნებით განგესაზღვრა ადგილი, საქმე და მიზანი, რომელსაც თავისუფალი ნებით აირჩევდი. სხვა არსებათა ბუნება შინაგანად შეზღუდულია ჩემს მიერ დადგენილი კანონებით, შენ კი ერთადერთი ხარ, რომელსაც არ აკავებს ვიწრო საზღვრები. ... **მე შენ სამყაროს ცენტრში დაგაყენე, რათა შენთვის ადვილი ყოფილიყო შენ გარშემო არსებულის დანახვა.** მე შენ შეგქმენი არა ღვთიურ, მაგრამ არც მხოლოდ მინიერ არსებად, არც მოკვდავად, მაგრამ არც უკვდავად, რათა შენ, რომლისთვისაც უცხოა შეზღუდვა, თვითონ გახდე შემოქმედი და თვითონ გამოძერნო შენი საბოლოო სახე. შენ გაქვს შესაძლებლობა დაეცე ცხოველის დონეზე, მაგრამ ასევე გაქვს შესაძლებლობა ამაღლდე ღვთის მსგავსი ადამიანის სიმაღლემდე და ეს მხოლოდ შენი შინაგანი ნების წყალობით (Дживелегов 1925: 33).

შეა საუკუნეებში გაბატონებული სქოლასტიკა შინაგან პროტესტს იწვევდა ადამიანში, რომელსაც მეტი შინაგან თავისუფლება და საკუთარი თავისადმი პატივისცემა სჭირდებოდა. ჰუმანიზმი თავისი ყურადღება ადამიანისკენ მიმართა და იგი ყველა ინტერესების ცენტრში მოაქცია. რენესანსის მსოფლმხედველობა დამყარებულია სამყაროს ჰარმონიის, ადამიანის კეთილი ნების რწმენაზე, რომ „ადამიანი არის საზომი ყველა საგანთა“ (პროტაგორი), მაგრამ გვიანი ჰუმანიზმი კი უკვე ეჭვის ქვეშ აყენებს დოქტრინას „ადამიანის უსაზღვრო შესაძლებლობა-თა“ და ადამიანის კეთილი ბუნების შესახებ.

**ბაროკოული თეოცენტრიზმი.** XVII საუკუნე თითქმის მთელ ევროპაში სოციალური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი კატაკლიზმების ეპოქაა: ოცდა-ათწლიანი ომი გერმანიაში, რეფორმაცია და კონტრრეფორმაცია, ფრონდა საფრანგეთში, ინგლისასა და ნიდერლანდებში ბურუჟაზიული რევოლუცია, ოსმალების შემოსევა, რომლებიც ვენამდე მივიდნენ. ბაროკოს ავტორებთან უკვე ველარვედებით სიცოცხლის ხალისს, რწმენას რომ ადამიანი ბოროტებაზე გაიმარჯვებს, სულ უფრო და უფრო ძლიერდება პესიმიზმის, სკეპტიკიზმი, ამქვეყნიური ცხოვრების არამყარობის მოტივები. დომინანტური ხდება ადამიანის მიერ იმის შეგნება, რომ ბოროტების ნინააღმდეგ ბრძოლა განწირულია დამარცხებისთვის. ბაროკოს ლიტერატურის სტილისა და თავად შინაარსის ცვლილება განაპირობა ისტორიული სინამდვილის ხარისხობრივმა ცვლილება, აღორძინების ხანის დასრულებამ.

ბაროკოს კულტურის რელიგიურ-ეთიკური წანამძღვარი მდგომარეობს ღრმა რწმენაში, რომ აუცილებელია პოსტრენესანსული ადამიანის გადარჩენა: საჭიროა ადამიანის ხსნა საკუთარი თავისგან, დახსნა იმ ბოროტი ძალებისგან, რომლებმაც მისი საკუთარი ბუნების ბოლო სიღრმეებიდან ამოხეთქეს, ამისთვის კი საჭირო იყო სამყაროს იმ თეოცენტრული სურათის ალდგენა თავისი ზეობრივი მოთხოვნებითურთ ადამიანის მიმართ, რომელიც რენესანსის ანტროპოცენტრიზმა განდევნა. XVII საუკუნისთვის ის რენესანსული გუნება-განწყობილებანი, რომლებიც ამკვიდრებდნენ „სამყაროს გვირგვინი“ ადამიანის თავისუფლებას ზებუნებრივი ძალებისგან, ერთი მხრივ მეტაფიზიკური სიმარტოვის და მიტოვებულობის, მეორე მხრივ კი უსაზღვრო იმორალიზმის საფრთხით შემოტრიალდა. ბაროკოს სამყარომ ვერ/არ მიიღო სამყარო, სადაც ცენტრალური ადგილი ღმერთს არ ეკავა.

ბაროკოს კულტურა პასკალის ფილოსოფიურ-ეთიკური ძიებებით, რემბრანტის, ელ გრეკოს, ბერნინის მხატვრობით, დიუ ბარტას, კალდერონისა და გრიფიუსის პოეზიით და ბახის მუსიკით გაიჭრა მაღლა, ეს აღტყინება ახალი ეპოქის დამკვიდრებასთან ერთად სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. როგორც ჩანს, ბაროკოს იმიტომ ახასიათებს ასეთი ძლიერი შინაგანი დაძაბულობა, რომ სამყაროს თეოცენტრული სურათის შენარჩუნება სოცალური ცხოვრების ავანსცენაზე მხოლოდ სულიერი ძალისხმევით ადგილი არ უნდა ყოფილიყო. ბაროკომ შექმნა სივრცე, სადაც არ სუფევდა წინასწორობა, სადაც ჭარბობდა დრამატული ეფექტები, წინააღმდეგობანი და დისპარმონია, სადაც სუფევდა კონტრასტები, ბრძოლა, ვნებები და ტანჯვა. ხელოვნებათმცოდნეთა დაკვირვებით, მხატვრობასა და არქიტექტურაში უწინდელი რენესანსული წრე, ჰარმონიის სიმბოლო, გაიჭიმა და ელიფსის ფორმა მიიღო, როგორც დაძაბული წინააღმდეგობის განევის სიმბოლომ. აღორძინების ეპოქის სტატიკურმა, ლირებით აღსავს რენესანსის სკულპტურებმა და ფერწერულმა ფიგურებმა ადგილი დაუთმეს მისტიკური აღფრთოვანებით გასხივოსნებულ სახეებს (ბერნინის „ნმინდა ტერეზას ექსტაზი“, ელ გრეკოს „ნმინდა ფრანცისკი ექსტაზში“, „მარიამ მაგდალინელი“).

ბაროკო აღსანიშნავია იმით, რომ იგი შეეცადა მოეხდინა იმ სულიერი გამოცდილების აქტუალიზაცია, რომელიც შუა საუკუნეების ქრისტიანულმა კულტურამ დააგროვა, მაგრამ ამასთან ერთად მისთვის არ იყო უცხო ანტიკური მითოლოგიის პერსონაჟები, რომელსაც ოსტატურად იყენებდა ბიბლიურ სახეებთან ერთად (Софронова 1978: 68-78). რენესანსისგან განსხვავებით იგი არ ისწრაფოდა ანტიკური კანონებისა, იდეებისა და პრინციპების აღორძინებისკენ, მან დროით უფრო ახლოს მდგარი, შუა საუკუნეთა რელიგიური გამოცდილების გააქტიურება მოახდინა. ბაროკო შეეცადა არა მხოლოდ ახალი სული შთაებერა შუა საუკუნეთა ქრისტიანული გამოცდილებისთვის, არამედ მოეხდინა შუა საუკუნეთა თეოცენტრიზმის სინთეზი ადამინის თავისუფლებისა და ლირების რენესანსული კონცეფციისთვის. ბაროკოს მისწრაფებები მიმართული იყო არა მხოლოდ ღმერთის დაბრუნებისკენ სამყაროს სურათის ცენტრში, არამედ ცდილობდა, ღმერთი ადამიანების დაცარიელებულ გულშიც დაებრუნებინა.

**ბიბლია:** „ნიგნი დაბადებისა“. მნიშვნელოვანი რყევებისა და გარდატეხების ეპოქებს ყოველთვის სდევს ბიბლიური წიგნების ხელებალი აღმოჩენა, რადგან მიუსაფარ სამყაროში ადამიანი ცდილობს მიაგნოს ახალ საყრდენ წერტილს, ამიტომაც იქცა ბიბლია ბაროკოს ადამიანის მთავარ წიგნად. „დაბადება“ და შესაბამისად პირველცოდვის თემა ერთ-ერთი საკვანძო იყო ბაროკოს ლიტერატურაში, რომელსაც იგი სხვადასხვა ასპექტით წარმოაჩენდა და სხვადასხვა მიზნებს უსახავდა. ადამიანის ბიბლიური კონცეფცია, რომელიც პირველცოდვის ძველი აღთქმისეულ ამბავს ეფუძნება, ევროპული ბაროკოს მრავალ ავტორთან აისახა: ბიბლიური თემებიდან განსაკუთრებული პოპულარობით ადამისა და ევას ამბავი სარგებლობდა. ამ თემაზეა შექმნილი ანდრეონის „ადამი“, ვონდელის „ლიუცი-ფერი“ და „განდევნილი ადამი“, მილტონის „დაკარგული სამოთხე“ (ვარნერი 1954: 135) ამ თემის ლიტერატურულად გაფორმების პირველობა ბაროკოს ეპოქაში კი ფრანგული ბაროკოს ერთ-ერთ უდიდეს წარმოადგენელს დიუ ბარტას ეკუთვნის,

რომელმაც შექმნა ვრცელი პოემა „პირველი კვირა, ანუ დაბადება“ (1578). პოემაში აქცენტი კეთდება ქაოსიდან წესრიგის შექმნაზე, ეს კი გაგებულია, როგორც ცვალებადობა ანუ მეტამორფოზა. დიუ ბარტა პოემაში სამყაროს შექმნას წარმოადგენს, როგორც ღმერთის მიერ შექმნილ სურათს, თავად ღმერთს კი მხატვრად სახავს. უმნიშვნელოვანესი რამ, რისი თქმაც ავტორს სურს, არის ის, რომ წარლვნა არის ცოდვილი ადამიანის სასჯელი, წარლვნის შედეგად ფორმადაკარგული სამყარო კი აშორებს ადამიანს ღვთისაგან, მაშინ, როდესაც პირიქით, ღვთაებრივი მადლი აღადგენს სამყაროს ფორმას. მაშასადამე, სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ფორმადაკარგული სამყარო იგივეა, რაც სამყარო ღმერთის გარეშე. ეს არის დიუ ბარტს მიერ გადმოცემული სამყაროს შექმნის ცვალებადობის ანუ მეტამორფოზიდან გამოსატანი გაკვეთილი (Bellenger 1979: 104-108). პირველცოდვის თემა ქართული ბაროკოს ლიტერატურაში ასახულია „გაბაასებაში კაცისა და სოფლისა“ (1684), სადაც ფორმულირებულია ბაროკოს ეპოქის უმნიშვნელოვანესი იდეა: ადამიანი სოფლის მბრძანებლიდან, რაც ადამიანის რენესანსული კონცეფციაა, გადაიქცა სოფლის მონად, რაც უკვე ადამიანის ბაროკოსეულ კონცეფციაა: „კაცო, შენ ღვთის მსგავსად რადმე შექმნილო, // ჩემად და ჩემთა ნივთთაზე უფლად და მთავრად განზრდილო, // ვა შენ, რომ მცნებას გარდაჲხე, ბოლო კარგა ხანს დაქნილო, // განშიშვლდი დიდებისაგან, უგუნურ პირუტყვად ქმნილო“ (ნაჭყებია 2008: 101-115). ბაროკოს პოეტების მიერ დეკლარირება იმ აზრისა, რომ პირველცოდვის შედეგად სამყარო კარგას ჰარმონიას და ღვთის მსგავსად შექმნილი ადამიანი, „სამყაროს გვირგვინი“, სოფლის მონად იქცევა, მყაფიოდ ასახავს რენესანსისა და ბაროკოს მთავარ პრინციპთა დაპირისპირებას: რენესანსის ადამიანი ყოვლისშემძლეა, სამყაროს ცენტრში დგას, ხოლო ბაროკოს ადამიანი უკვე აღარ არის ღვთის ტოლი, იგი „მოაზროვნე ლერწამია“, ხოლო კაცობრიობის გვაროვნული უბედურება თავად ადამიანის სუსტ ბუნებაში ძევს. ადამიანს, რომელსაც გარს ატრყავს ამოუცნობი საიდუმლოებანი, თავად უდიდესი საიდუმლოა და ამიტომ, ადამიანი – ყველაზე უმნიშვნელო არსებაა. ამ კონტექსტში აყალიბებს პასკალი თავის ცნობილ სახეს ადამიანისა, როგორც „მოაზროვნე ლერწმისა“, რომელიც ბუნების ყველაზე სუსტი ქმნილებაა: „ადამიანი მხოლოდ ლერწამია, ბუნების სუსტი ქმნილება: იგი მოაზროვნე ლერწამია, ამიტომ, ადამიანის გასანადგურებლად სრულებით არ არის საჭირო მთელი სამყარო: საკმარისია ქარის დაბერვა ან წყლის წვეთი. ასე შეცვალა რენესანსული ანტროპოცენტრიზმი ბაროკოს თეოცენტრიზმა, რომელმაც ღმერთი ისევ სამყაროს ცენტრში დაბრუნა.

**Vanitas vanitatum, omnia vanitas...** ბიბლიური წიგნებიდან ბაროკოს ეპოქაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს „ფსალმუნნი“, რომელიც იტევს ადამიანის განცდათა უსასრულო დიაპაზონს, ასევე უაღრესად ღირიკული, მაღალმხატვრული და აღეგორიული „ქებათა-ქება სოლომონისა“, რომლის ღვთიური მიჯნურობის მოტივები იზიდავდა ბაროკოს ავტორებს, რომელთათვისაც ღვთის რწმენა აღიქმებოდა როგორც მოვალეობა, ემოცია და შინაგანი მოთხოვნილება. ეს დამოკიდებულება ქართული ბაროკოს ლიტერატურაში მკაფიოდ აისახა ვახტანგ VI-ის პოეზიაში: „მისთა ტრფიალთა კეთილი არ მიეცემის კარითა, // სიყვარულითა მისითა გული, გონება კარითა, // მისისა მიხლებითა ეშვსა სურვილი კარითა, // ეგება რომე

გველირსოს შესვლა სამოთხის კარითა“ („სატრფიალონი“ 29) (ნაჭყებია 209: 47-53). ხოლო ბაროკოს ფილოსოფიურ ბაზად „ეკლესიასტე“ იქცა, რომელშიც ამ ეპოქის ავტორებმა მათოვის ყველაზე ორგანულ ტექსტს მიაკვლიეს. მასში დახატული ბრძენის სახე, რომელმაც ყველაფერს მიაღწია, რაზეც ადამიანმა შეიძლება იმცნებოს, განიცადა ყველაფერი და მივიდა დასკვნამდე: „რამეთუ ესეცა ამაო და კედომა სულისა!“ (ეკლესიასტე 2: 26). სამყაროს წრებრუნვა უცვლელია, ხოლო ღვთის გზები შეუცნობელი. ეკლესიასტეს ანტინომიურობა მაგნიტივით იზიდავდა ბაროკოს ეპოქის ავტორებს, რომელთათვისაც ანტითეზა სააზროვნო სისტემას წარმოადგენდა. წარმავალ, ამოუხსნელ სამყაროში ეკლესიასტე ადამიანის სულიერ ძიებებს პასუხობდა და ამიტომ იქცა მის დევიზად „ამაოება ამაოთა, ამაოება ამაოთა, ყოველივე ამაო“ (ეკლესიასტე 1:2). ამაოებას განცდა, ადამიანისა და მისი ყოფიერების წარმავლობის თემა ხშირად ისმის გრიფიუსის პოეზიაში: „რად მეძახით, სადაც ყოველივე იმსხვრევა, ქრება, ყოფნა იცვლება არყოფნით და სიამე – გლოვით!“ (გრიფიუსი 1975: 61). ამაოების განცდას უკავშირდება სამყაროს მეტამორფოზის, მისი მარადიული ცვალებადობის თემა, ლაკონურად ფორმულირებული ფრანგული ბაროკოს წარმომადგენლის, ცნობილი რომანის – „ასტრეს“ ავტორის, ონორე დ'ურფის ფრაზაში: „არაფერია ისეთი მარადიული, როგორც ცვალებადობის მუდმივობა“, რომელიც ზუსტად გამოხატავს ბაროკოს ადამიანის განცდებსა და განწყობილებებს.

**Memento Mori.** ბაროკოს ეპოქაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა დიდმა აღმოჩენებმა ასტრონომიაში, ფიზიკაში, კოსმოლოგიაში და ეს იყო ბიძგი იმისა, რომ გეოცენტრული და შესაბამისად, ანტროპოცენტრული კონცეფციები უკვე სულ სხვა მიღებომებით შეცვლილიყო. ბაროკოს ადამიანი სულ უფრო და უფრო მძაფრად გრძნობდა დამოკიდებულებას ირაციონალურ ძალებზე და ისევე, როგორც აღმოჩნდა, რომ დედამინა აღარ იყო ჩაკეტილი სამყაროს ცენტრი, ადამიანიც ველარ აღიქვამდა თავს სამყაროს ცენტრად. ამ გარდამტეხი ცვლილებების შედეგად რენესანსული ევროპის ცხოვრების იდეალიზებული სურათი შეიცვალა ყოფიერების რთული და წინააღმდეგობრივი სურათით, ცხოვრების წარმავლობისა და ცვალებადობის განცდით. მაღალზნეობრივმა ბიბლიურმა კატეგორიებმა დაიკავეს რენესანსული მშვენიერების იდეალის ადგილი. ბაროკოს ადამიანს არასოდეს არ ავიწყდებოდა, რომ ცხოვრება დროებითი და ხანმოკლეა, ხოლო სიკვდილი გარდაუვალი და ამიტომაც რენესანსის ლოზუნგი “Carpe Diem!” იცვლება რადიკალურად საწინააღმდეგო არსით “Memento Mori!” – „გახსოვდეს სიკვდილი!“. მაგრამ ბაროკოს ეპოქის შემოქმედთათვის სიკვდილი მხოლოდ განვება კი არ იყო, არამედ ყოველივე ცოცხალის გამანადგურებელი და შემტუსვრელი. ქანქარიანი საათის მექანიზმის გამოყენებამ ადამიანებს სულ უფრო ღრმად გააცნობიერებინა დროის სრბოლა. დრო, რომელიც აქამდე წლებით, თვეებითა და დღეებით განისაზღვრებოდა, უეცრად აჩქარდა და მისი საზომი უკვე საათები, წუთები და წამები გახდა. ცხოვრების სწრაფწარმავლობის ეს განცდა ეპოქის ნიშნად იქცა, ამიტომაც მსჯალავს ასე ძლიერ ბაროკოს პოეზიას დროის წარმავლობისა და ხრწნადობის თემა, რომელიც მისტიკურ შიშს წარმოშობს, მაგრამ მეორე მხრივ მქროლვარე დროის განცდა, რომელიც ყველაფერს შთანთქავდა, ყოველივე მიწიერის ამაოება, იწვევ-

და გასაოცარ ჰედონისმს: სიცოცხლისმოყვარეობასა და სიცოცხლის ტრფიალსა. ამგვარი პარადოქსი წარმართავდა ბაროკოს ლიტერატურას და სწორედ ეს ანტი-თეზურობა ამთლიანებდა ბაროკოს გახლეჩილ ადამიანს, რომელიც საპირისპირო გრძნობათა და განცდათა შორის იხლიჩებოდა. უდიდესი ბაროკოული ექსპრესიოთ გამოიჩინა გურამიშვილის სტრიქონები, რომელშიც ადამიანის გახლეჩილი, გაორებული სულის ტრაგიული განცდა და გამთლიანების ვედრება ანტითეზური წყვილებით არის გამოხატული: „თუ ხარ **ღვიძილი**, რაღა არს **ძილი?** // თუ ხარ **სიმაძლოე**, რა არს **შიმშილი?** // თუ ხარ **სიცოცხლე**, რაღა არს **სიკვდილი?** // იყავ ერთ-ერთი, ინამე ღმერთი!“ (ნაჭყებია 2009: 154).

ბაროკოს კულტურა La Dance Macabre-ით, სიკვდილის სანახაობითა და ჩონჩხით არის მოჯადოებული. თუ ალორძინების მხატვრები ადამიანის ანატომიას აღიქვამდნენ, როგორც ადამიანის სხეულის შესახებ სწორი წარმოდგენის შემქმნელ დამხმარე საშუალებას და უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ კუნთოვანი სისტემის შესწავლას (პოლაიოლო, ლეონარდო და ვინჩი), რადგან ანატომიის ცოდნა მათ ადამიანის სხეულის მშვენიერების გადმოსაცემად სჭირდებოდათ (ამიტომ არის სურათებზე აღბეჭდილი რენესანსული სხეულები ასეთი სრულყოფილი და სიცოცხლით სავსე) და სწორედ მაღალმა რენესანსმა წამოაყენა uomo universal-ს იდეალი, იდეალი სრულყოფილი ადამიანისა, რომელიც ყოველმხრივაა განვითარებული, როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად (Ротенберг 1967: 17), ბაროკოს მხატვრობაში და პოეზიაში რენესანსული ინტერესი ადამიანის სხეულისადმი სულ სხვა ვექტორით წარმართა: აյ ანატომია დამხმარე საშუალება კი აღარ არის, არამედ სიკვდილთან დაკავშირებული განცდა. Memento mori-ის დროშის ქვეშ მიმდინარე ბაროკოსთვის ადამიანის ანატომია და სიკვდილი უკვე გაიგივებულია: როგორც პოეზიაში, ისე მხატვრობაში ცხოვრების სასრულობის ასახვის ერთ-ერთი ფორმა ადამიანის ანატომიურ სხეულთან არის დაკავშირებული. ბაროკოს ეპოქა შთაგონებულია კაცობრიობის ისტორიისა და ბედის დრამატული და ტრაგიკული ხილვებით და ეს ხილვები აისახა პოეზიაში, მხატვრობაში, თეატრსა და დრამატურგიაში, ცვალებადობის განცდის ეს ტრაგიკული ჩვენებები მჟღავნდებოდა ამაოების გრძნობაში და უკავშირდებოდა მთელი ცხოვრების – დაბადებისა და სიკვდილის ენიგმას. რემბრანტის ტილო „დოქტორი ტულიპის ანატომიის გაკვეთილიც“ ადამიანის გაკვეთას ასახვს, სადაც გვამის შინაგან წყობას ინტესესით დასცექრიან ანატომიური თეატრის მონაწილენი, ხოლო ფრანგული ბაროკოს პოეტი ჟან-ბატისტ შასინიე უჭვრეტს თავის სხეულის გამოსახულებას, რომელიც ნაწევრდება და ამბობს: „აյ მე ანატომიურად ვარ წარმოდგენილი“ (Chauveau 1997: 151). შასინიეს სონეტში „სიკვდილის არად ჩაგდება“ მოკვდავი ფიქრობს იმაზე, თუ როგორი არის ჭიების მიერ შეჭმული გვამები საფლავში: ხორცგაცლილი, უძარღვო, სადაც ამოჩრილი ძვლებიდან ტვინი ინთხევა, ხოლო სახსრები დაშლილია, დასკვნა კი ასეთია: „მიენდე მხოლოდ ღმერთს და ამაოებად ჩათვალე ყოველივე“. ბაროკოს მხატვრობისთვისაც ახლობელია თავის ქალისა და ჩონჩხის გამოსახვა, რომელიც ნაწევრდება და ამბობს: „აյ მე ანატომიურად ვარ წარმოდგენილი“ (Chauveau 1997: 151). შასინიეს სონეტში „სიკვდილის არად ჩაგდება“ მოკვდავი ფიქრობს იმაზე, თუ როგორი არის ჭიების მიერ შეჭმული გვამები საფლავში: ხორცგაცლილი, უძარღვო, სადაც ამოჩრილი ძვლებიდან ტვინი ინთხევა, ხოლო სახსრები დაშლილია, დასკვნა კი ასეთია: „მიენდე მხოლოდ ღმერთს და ამაოებად ჩათვალე ყოველივე“. ბაროკოს მხატვრობისთვისაც ახლობელია თავის ქალისა და ჩონჩხის გამოსახვა, რომელიც ნაწატზე ასახული სხვა საგნების ამაოების დასაბუთების ფუნქცია აკისრიათ (Dela valle: 113-117). ამგვარი დამოკიდებულება სიკვდილისადმი ქართული ბაროკოს პოეზიაშიც აისახა, სადაც სიკვდილი, როგორც პერსონაჟი, დავით გურამიშვილის მიერ

პლასტიკური ხელოვნების თვალსაჩინოებით არის დახატული: „ტანზედა ხორცი არ გაკრავს“, „სიკვდილის მსგავსად გაუხდა კაცს ტანზ ბხორცო შემოცლილობა“, „თაგვის სოროებს მიგიგავს ცხვირი, პირი და თვალები“ (ნაჭყებია 2009: 142-146). პოეზიაშიც და მხატვრობაშიც კარგად ჩანს ბაროკოს ადამიანის დამოკიდებულება სიკვდილისადმი: „და ყოველივე ერთსა ადგილსა მივალს. ყოველივე შეიქმნა მიწის-გან და ყოველივე მიიქცევის მიწად“ (ეკლესიასტე 3:20).

**დამოწმებანი:**

- Bellenger, Yvonne. La metamorphose dans la “Creation du Monde” de Du Bartas //Acts du Colloque International de Valenciennes: 1979.
- Bragin, L. M. Hroblema nравственнogo идеала v etike Kristoforo Landino // Kul’tura epokhi vozrozhdeniya. L., Nauka: 1986 (Л. М. Брагин. Проблема нравственного идеала в этике Кристофоро Ландино. //Культура эпохи возрождения. Л., Наука: 1986).
Здесь уже диалог с самим собою. Как и у Мананы: «Чем я так ей полюбилась, что не выпустит живою?» В соответствии с романтическим жанром фетовский текст сохраняет двуплановость коллизии: во сне или наяву был поцелуй – неясно. Герой пребывает как бы одновременно в двух реальностях. У Мананы ситуация, с одной стороны, более реалистическая: конкретная болезнь вдохновляет поэтессу на отчаянный шаг – художественный анализ своего душевного и духовного отношения к болезни, своего рода самопознание через диалог со своим персонажем. С другой стороны, болезнь персонифицируется в демонический образ девы-лихорадки, что придаёт стихотворению колорит фантастики, сказки. В этом акте самоанализа автор (в лице своей героини) проходит через несколько эмоциональных ступеней: от негодования и ярости (*Пусть тебя сжигает пламя, /Злая ведьма, лихорадка!*) через иронию примирения (*O, скажи мне, лихорадка, /Отчего ты рассердилась?*) к новой волне возмущения и обиды (*Пусть твои глазища слепнут/ Что ты мучаешь, пуга?*). Последние фразы этого драматического противостояния несут на себе печать не то христианского смирения, не то отчаяния. Решающее слово дано лихорадке.

Строфа 14. *Лихорадка сказала:*  
*Умертвив тебя, не буду*  
*Я виновной, без сомненья.*  
*Если у тебя осталось*  
*Хоть немножечко именья,*

*Обменяй его на саван, –  
Вот его употребленье.  
Ты уже мертва, Манана.  
Ты уже добыча тленья.*

Означает ли это, что автор думает о неизбежности смертельного исхода своей болезни или это всего лишь художественный прием, передающий самоуверенность демона, – остается загадкой. Очевидным для нас является то, что в контексте произведения встреча Мананы с персонифицированной болезнью приобретает вид противостояния недугу духовного свойства – гордыни, присутствие которой обнаруживается автором в словах обвиняющей стороны, т.е. лихорадки.

Строфа 7. *Лихорадка сказала:*  
*Тroe суток потеряла.*  
*Что казню тебя – не диво.*  
*Омрачив твой век недолгий,*  
*Я была лишь справедлива.*  
*Почему тебя жалеть мне?*  
*Ты упрямая и кичлива,*  
*Разговором ядовита*  
*И обличьем некрасива.*

Лихорадка здесь, как духовно обусловленная физическая немощь, несет в себе идею возмездия или очистительного испытания личности перед лицом смерти. На сколько эта нелицеприятная характеристика соответствует нравственным качествам автора, вряд ли уместно рассуждать. Здесь подразумевается характер лирической героини. Однако трудно поверить, что подобный диалог с болезнью можно было изобразить, не пережив личной боли. И в этом отличие стихотворения Мананы от романтической баллады Фета, где боли, судя по всему, еще нет, а есть только горячечное любовное томление.

Поскольку начало поэтического диалога довольно оптимистично: Манана отвечает миролюбиво, словно пытаясь заговорить, «заболтать» нежданную гостью, – вполне вероятно и то, что поэтесса пробует художественно реализовать функциональный принцип фольклорного заговора в структуре литературно-поэтического текста, как бы стихами заговорить болезнь. О том, что героине это вполне удалось, можно судить по биографии поэтессы. По свидетельству Нестан Сулава, в конце жизни Манана стала монахиней, не переставая заниматься литературным трудом (работала с рукописями поэмы Шота Руставели «Витязь в тигровой шкуре»)\*. Это неудивительно, если вспомнить, какую роль играет творение Руставели в национальной грузинской культуре. Видимо, и в сознании поэтессы бессмертная поэма встала рядом с Евангелием даже и после её отречения от мира. «Справедливо замечание Н. Бердзенишвили о том, что в идейно-политическом отношении цивили-

---

\* Из электронного письма.

зация феодальной Грузии стояла на трех столпах – Евангелии, «Витязе в тигровой шкуре» и «Картлис цховреба» – трех «святых книгах»...» (Сургуладзе 1989). Отсюда понятен и выбор поэтессы-монахини.

В заключение отметим один объединяющий фактор для произведений Мананы и Фета. Хотя русский поэт идеализировал деву-лихорадку в своей балладе, смешивая болезнь с любовным томлением и, судя по всему, нимало не смущаясь религиозными истоками этого художественного образа, для него, как и для грузинской поэтессы, всё-таки более важной была возможность самопознания в акте творчества.

В целом же апокрифический мотив встречи с демоном болезни выводит авторов на разные уровни мировосприятия. Манана предпочитает нравственную коллизию противостояния добра и зла, гордыни и смирения, которую разрешает в плоскости духовного понимания природы лихорадки как недуга души. Поэтому ей надо всё назвать, отчётиливо проговорить, как на исповеди. Фет остаётся в границах романтического мировидения, а потому лихорадка для него лишь повод для неясных намёков и смутных предчувствий, позволяющих душе пребывать в состоянии сна. Душа лирической героини Мананы, напротив, обретает в этой встрече опыт духовного пробуждения.

#### Литература:

- Antologija Gruzinskoy Poezii.* Moskow, 1958. (*Антология грузинской поэзии.* М., 1958).
- Asatiani, Levan. *Drevne Gruzinskiye Poetessy.* Tbilisi, 1936. (Асатиани, Леван. *Древнегрузинские поэтессы.* Тбилиси, 1936 (на грузинском языке)).
- Baramidze, Aleksandre. “Puti Razvitiye Drevne Druzinskoi Literatury”. *Drevne Gruzinskaja Literatura (V-XVIII vv.).* Tbilisi:1982. Web. 9 April 2016. [http://www.nplg.nukri.org/work/Drevne\\_gruzinskay\\_literatura/drevne\\_gruzinskaia\\_literatura/1.htm](http://www.nplg.nukri.org/work/Drevne_gruzinskay_literatura/drevne_gruzinskaia_literatura/1.htm); Internet (Барамидзе, Александр. “Пути развития древнегрузинской литературы”. *Древнегрузинская литература (V-XVIII vv.).* Сост. Л. Менабде. Тбилиси: ТГУ, 1982).
- Veselovskiy, Aleksandr. “Raziskani’ja v Oblasti Russkogo Duhovnogo Stiha. XVI. Legendy ob Irode i Irodiade i ih Narodnye Otrageni’ja”. *Sbornik Otdelenija Russkogo Jazyka i Slovesnosti Imperatorskoj Akademii Nauk.* Sankt-Peterburg:1889. V.46. (Веселовский, Александр. “Разыскания в области русского духовного стиха. XVI. Легенды об Ироде и Иродиаде и их народные отражения”. *Сборник Отделения русского языка и словесности императорской Академии наук.* СПб., 1889. Т. 46).
- Glonti, Alexandr. *Gruzinskie Narodnye Novelly.* Tbilisi, Merani, 1974. (Глонти, Александр. *Грузинские народные новеллы.* Тбилиси, «Мерани», 1974. Web. 9 April 2016. <http://profilib.com/chtenie/146081/aleksandr-glonti-gruzinskie-narodnye-newnelly.php>; Internet)
- Maslova, Marina. “Ballad «Fever» by A.A.Fet and Medieval Apocrypha”. Kursk Text in the Field of the National Culture. Materials of the special course for students of undergraduate studies and MA course of the language and literature department of Kursk State University. 5 (2013): 114-124. (Маслова, Марина. *Баллада А.Фета «Лихорадка» и средневековые апокрифы.* Курский текст в поле на-

- циональной культуры. Материалы спецкурса для студентов бакалавриата и магистратуры филологического факультета Курского госуниверситета. Вып. 5. Курск: КГУ, 2013: 114-124).
- Maslova, Marina. „Once again about «fevers» by Appolon Grigoryev and Afanasiy Fet”. *Scientific notes of Orel State University*. 2 (58) (2014): 205-211. (Маслова, Марина. “Еще раз о «лихоманках» у Григорьева и Фета”. *Ученые записки Орловского госуниверситета*. 2014. № 2 (58): 205-211).
- Potebn'ja, Aleksandr. *O Mificheskem Znachenii Nekotoryh Obr'jadov i Poverij*. Moskow, 1865. (Потебня, Александр. *О мифическом значении некоторых обрядов и поверий*. М., 1865).
- Poezi'ja Narodov SSSR IV–XVIII vv. Moskow, 1972. (Поэзия народов СССР IV–XVIII вв. М., 1972).
- Surguladze, Akakiy. *Ocherki Istorii Gruzinskoy Kultury*. Tbilisi, Helovneba, 1989. (Сургуладзе, Акакий. *Очерки истории грузинской культуры*. Тбилиси: Хеловнеба, 1989. Web. 8 April 2016. <http://www.neizvestniy-geniy.ru/cat/literature/istor/219668.html>; Internet)
- Toporkov, Andrey. *Russkije Zagovory iz Rukopisnyh Istochnikov XVII – Pervoy Poloviny XIX v.* Moskow, 2010. (Топорков, Андрей. *Русские заговоры из рукописных источников XVII – первой половины XIX в.* М., 2010).
- Hronologija Gruzinskoy Srednevekovoy Literatury. (Хронология грузинской средневековой литературы). Web. 9 April 2016. <http://dic.academic.ru/dic.nsf/ruwiki/1183440>; Internet).

**Maslova, M. I.  
(Russia)**

## **Manana and Fet: About one Apocryphal Motif in Georgian and Russian Poetry**

### **Summary**

**Key words:** apocrypha, folklore, fever, Georgian folk novella.

The article analyzes the poem “Manana’s Conversation with a fever” (translated by V.K. Zvyagintseva) by an ancient Georgian poetess Manana and “Fever”, a ballad by the Russian poet A. A. Fet. The texts contain a folklore motif of a man’s encounter with a demonic creature having anthropomorphic features. The literary image of the virgin-fever goes back to the sources of the Judeo Christian apocryphal traditions. In the early middle ages it was taken from ritual folk poetry – spells from fever – by fiction literature. The lyrics of Manana and Fet are combined by stray motif, implemented differently by each of the poets. The plot of the works has a dialogical structure: Manana conducts a dialogue with a personified disease, Fet’s lyrical character talks to the nanny, telling her the legend of Fevers.

The religious outlook of the poetess is reflected in the contents of Manana’s text which is being analysed. In general, however, it is significantly influenced by the cultural orientation of the translator, namely: the presence of defining items typical for Eastern Slavic Spells, such as (“fatal ognevitsa”, “wicked witch”, “bad”, “the world evil fad”).

There is an unusual etymology of the fever in Manana's text compared to Slavic folklore tradition ("the despised daughter of Judas"). Fevers are traditionally referred to as the daughters of Herod. Therefore in Fet's text they are – "sisters, nine Fevers".

According to the Georgian poetess the encounter with a demon of a disease actualizes the Christian moral discourse. According to the Russian poet, the fever becomes the concept of romanticism with ambivalent meaning. Both works clarify significantly the specific existence of a stray motive of a human interaction with the demon of illness (ague, malaria, fever) in the world literature.

The tradition of magic spells of the demon of the disease is reflected both in the national epic, and medieval literature. For example, there exists Anna Ahmatova's translation of Korean song "Choenga", the motifs of which are borrowed from ancient tales of Choeng who defeated the demon of fever, and the song itself refers to the period of VII-X centuries. Variations of this motif are known from later literary samples. For example, in German literature it is Dialogues by Ulrich von Gutten, the author of the Renaissance epoch (XVI century), in Georgian literature it is the Poem by Manana (XVIII century), in Russian literature the most striking reflection of this motif is found in the poetry of the romantics such as AP.Grigoriev and A. Fet. Later A. I. Kuprin (Olesya), Al. Green ("Autobiographical novel") and some other Russian authors were interested in folklore motif of fevers.

Only three of the above-mentioned works narrate about a personal meeting with personified disease: Dialogues by Gutten, the Poem by Manana and Fet's ballad : and of these three only Manana and Fet reproduce the lyrical situation of psychologically-depicted interaction with the demon-fever. In addition to this, in Fet's work there is the motif of the dream, painting the situation of the meeting in the illusory, romantic tones.

Of course, it is difficult to judge the nature of poetics as original and translated texts are being compared. In cases when we still resort to such a comparison the probability of the influence of an interpreter should be taken into consideration. Basically you can only talk about the thematic closeness of works, united by a common motive, implemented differently by each of the poets. Both independent observations of the text of Manana who embodied a well-known motif earlier than a Russian poet did it, and the possibility to add comments to "Fever" by A. Fet are valuable.

The information about the Georgian poet Manana is extraordinarily scanty. In this regard, this report contains only preliminary observations and does not claim to contain extensive conclusions.

The name of the poet Manana in the history of Georgian literature usually stands in a row with the names of such outstanding authors as David Guramishvily, Alexander Amilakhvary, Dimitry Saakadze, Pyotr Laradze and others. As A. Surguladze puts it, in the XVIII century Georgian culture «has taken a significant step forward». The ideological-political movement in Russia and Europe influenced the development of Georgian culture during this period greatly. I. A. Javakhishvily wrote the following on this occasion: "Striking was this age! That tireless, hard work that had one General direction, and was based on wide and deep ground gives us the right to call this period of Georgian literature an encyclopedic age. The thoughts of almost all the leaders of that time were sent to collecting the

results of centuries-old creative work of the Georgian people, to study them and transmit the completed comprehensive ideas and knowledge to the following generations”.

Defining the nature of literary trend of Manana’s poem, we turned to the works of her older contemporary - poet David Guramishvily, who is close to her in spirit. Guramishvily is called “the greatest representative of Georgian literature of the eighteenth century” (A. Surguladze) and his great interest in folklore is pointed out. Manana and David Guramishvily were, apparently, the representatives of different generations. And it is vivid that creative ideas of an older contemporary could influence her own poetic style. We can emphasize the General trend of the Georgian poetic tradition of the XVIII century – the appeal to imaginative and melodic system of folklore. And the second point relates directly to religious trends. The poem by Manana displays the religious worldview of the author. Her lyrical character is a Christian who trusts in the divine help.

A. Fet’s “Fever” is included in the romantic cycle, most of the works of which are created on the basis of the Slavic folklore (“the Serpent”, “Secret”, “Legend” etc.). In the plot there is the motive of the woman-demon’s kiss , who is called «lihomanka» in Russian folk spells. The text is constructed in the form of a lyrical dialogue with the nanny, who is the carrier of folk traditions. In such a way, the motif of the kiss of the demon of fever is presented.

Rhythmic pattern of the Dialogic structure of Manana’s poem transmits high intensity of feelings of the main character, the strain of the struggle with the demon of disease. Fet’s character does not feel fear and indignation to his disease, the temptation of a romantic night kiss of lihomanka turned into a sense of illusory reality.

In Manana’s poem fever as spiritually determined physical infirmity, carries the idea of retribution or purifying ordeal of personality in the face of death. In the text the character of the lyrical heroine is portrayed. However, it is difficult to believe that such a dialogue with the disease can be drawn, without having experienced the personal pain. And this is the difference between Manana’s poems and the romantic ballad of Fet, where there is, apparently, no pain yet, but only a feverish love yearning.

It is likely that the poet is trying to implement artistic functional principle of folklore spells in the structure of a literary text, as if the poem could cure the disease. The fact that the character managed to do it can be seen in the biography of the poetess. According to the testimony of Nestan Sulava, at the end of her life, Manana became a nun, without ceasing to be engaged in literary work (she worked with manuscripts of the poem by Shota Rustaveli “the knight in the Panther’s skin”). This is not surprising, if we recall the role played by Rustaveli’s works in Georgian national culture. Apparently, in the poet’s mind immortal poem stood next to the Gospel even after her renunciation of the world. “True is N. Berdzenishvily’s remark that the ideological and political civilization of feudal Georgia was based on three pillars – the Gospel, “The knight in the Panther’s skin” and “Kartlis Tskhovreba” – the three “Holy books”...” (Surguladze 1989). Hence the understandable choice of the poetess-nun.

What unites the works of Manana and Fet?

Although the Russian poet idealized the virgin-fever, confusing the disease with love longing, apparently, not in the least embarrassed by the religious origin of this artistic image for him, just like for a Georgian poetess, yet more important was the opportunity of self-realization in the act of creativity. In General, the apocryphal motive of the meeting with the demon disease brings authors to different levels of world perception. Manana prefers moral conflict of the confrontation between good and evil, pride and humility, which she solves in the plane of spiritual understanding of the nature of fever as a disease of the soul. That's why she had to clarify everything, pronounce clearly, as though in confession. Yet remains within the boundaries of the romantic worldview, because the fever for him is only a pretext for obscure hints and vague presentiments, allowing the soul to remain in the dream state. On the contrary, the soul of Manana's lyrical heroine finds the experience of spiritual awakening in this meeting.

**მარინა მასლოვა  
(რუსეთი)**

**მანანა და ფეტი: ერთი აპოკრიფული მოტივის შესახებ  
ქართულ და რუსულ პოეზიაში**

**რეზიუმე**

**საკვანძო სიტყვები:** აპოკრიფები, ფოლკლორი, ცხელება, ქართული ხალხური ნოველა.

სტატიაში შემოთავაზებულია ორი პოეტური ნაწარმოების შედარებითი ანალიზი. ერთი მათგანი წარმოადგენს ძველი ქართული პოეზიის ნიმუშს, რომლის ავტორიც არის ქალი, ვინმე მანანა, ლექსს კი ჰქვია „მანანას გასაუბრება ციებ-ცხელებასთან“ (ვ. კ. ზვიაგინცევის რუსული თარგმანი) და რუსი პოეტის, ა.ა. ფეტის ლექსი „ციებ-ცხელება“.

დადგენილია, რომ ორივე ავტორის ტექსტს მივყავართ ხალხურ თქმულებამდე, ციებ-ცხელების დემონის შესახებ (ცხელების, მალარიის, შავი ჭირის და ა.შ.), რომლის სავალდებულო შემადგენელი ნაწილი იყო შეთქმულება დაავადების ნინაალმდეგ, გარკვეული თავისებურების სიტყვიერი ფორმულა, რომლის წარმოთქმის შედეგად, ალქაჯი განიდევნებოდა. ადამიანის ანთროპომორფული თვისებების მქონე დემონურ არსებასთან შეხვედრის მოტივი არაერთი ხალხის ფოლკლორსა და ლიტერატურაში გვხვდება. ქალწული – ციების ლიტერატურულ სახეს იუდეველურ-ქრისტიანული აპოკრიფული ტრადიციის სათავეებთან მივყავართ. ადრეული შუასაუკუნეების ეპოქის მხატვრულ ლიტერატურაში ის ხალხური საწესჩვეულებო პოეზიდან შემოვიდა – შეთქმულება ციებ-ცხელების წინააღმდეგ, რომელიც არსებობდა იმ ხალხთა რელიგიურ ყოფით კულტურაში, რომლებ-

მაც ქრისტიანობა მიიღეს.

ნაკლებადცნობილი შუასაუკუნეების პოეტი ქალის შემოქმედების გამოყენება სტატიაში იმით არის მოტივირებული, რომ მანანას სახელი ქართული ლიტერატურის ისტორიაში ისეთი გამოჩენილი ავტორების გვერდით დგას, როგორებიც არიან დავით გურამიშვილი, ალექსანდრე ამილახვარი, დიმიტრი სააკაძე, პეტრე ლარაძე და სხვები.

ეგზორცული მისი იდეის არსებობა მანანას ტექსტში, ერთი მხრივ, ამტკიცებს ავტორის ქრისტიანულ მსოფლმხედველობას, მეორე მხრივ კი – უფლებას გვაძლევს დავუშვათ ცრურნმენის გარკვეული ხარისხი, რაც ზეპირი ხალხური შემოქმედების მრავალი ნიმუშისთვისაა დამახასიათებელი და, შესაბამისად, მათგან რელიგიურ იდეოლოგიებსაც აქვთ ნასესხები. ეს „ორრნმენიანობა“ განსაკუთრებით დამახასიათებელია ლიტერატურის რომანტიკული მიმართულებისათვის, რომელსაც მიეკუთვნება ალ. ფეტი. სწორედ აქედან გამომდინარეობს ორი განსხვავებული ეპოქის პოეტის შემოქმედებათა ურთიერთშეჯერების საფუძველი.

სტატიაში დადასტურებულია, რომ მანანასა და ფეტის ტექსტებს აერთიანებს თემატურად ერთგვაროვანი მოარული მოტივები, რომლებიც განსხვავებულად არის რეალიზმული თითოეული ამ პოეტის მიერ. ამასთან, მითო-თებულია მთარგმნელის კულტურული ერუდიციის გავლენა. კერძოდ: ქართველი პოეტი ქალის ტექსტში ტრადიციული აღმოსავლური მეტყველებისთვის დამახასიათებელი გამოთქმების არსებობა. ყურადღება განსაკუთრებულად არის გამახვილებული იმაზე, რომ ციებ-ცხელებას მანანას ტექსტში სლავური ფოლკლორული ტრადიციისაგან განსხვავებული ეტიმოლოგია გააჩნია; კერძოდ, სხვა არაერთი სლავი ხალხის (მათ შორის რუსების) ტრადიციულ მითოლოგიური რწმენისგან, რომლებშიც ქალწული-ციებები იროდის ქალწვილების სახით არიან ნარმოდგენილნი. სტატიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მანანას ლექსის იდეური შინაარსის ანალიზს. შუასაუკუნეების ქართული ხალხური ნოველის ხასიათთან მისი შეპირისპირების საფუძველზე, გამოტანილია დასკვნა პოეტური ნაწარმოების სულიერ-ზნეობრივი შემადგენლის შესახებ; ნაჩვენებია, მანანას დიალოგური სტრუქტურის მქონე ლექსის რიტმული სურათი როგორ გადმოსცემს გმირი ქალის მოზღვავებულ გრძნობებს, დაძაბულ ბრძოლას ავადმყოფობის დემონის ნინააღმეგ. დაზუსტებულია, რომ ლირიკული გმირი ღვთის დახმარების მომლოდინე ქრისტიანია.

ძირითადი დასკვნის სახით შემოთავაზებულია თეზისი იმის შესახებ, რომ ქართველ პოეტთან დემონთან შეხვედრა ზნეობრივ ქრისტიანულ დისკურსს ააქტიურებს, რუს პოეტთან კი ციებ-ცხელება ამბივალენტური აზრის მქონე რო-მანტიზმის კონცეპტი ხდება. ამასთან, განსაკუთრებით აქტუალურია, რომ ორივე ნაწარმოები არსობრივად ხსნის მოხეტიალე მოტივის არსებობის სპეციფიკას, ადამიანის ურთიერთქმედებას ავადმყოფობის დემონში არსებულ ქალურ ანტროპომორფულ ნიშნებთან მსოფლიო ლიტერატურაში.

# ლიტერატურისმცოდნეობის ქრესტომათია

## ხოსე ორთეგა-ი-გასეტი

### ორი დიდი მეტაფორა

(ეძღვნება კანტის დაპადებიდან ორას წლისთავს)

როცა მწერალი საყვედურს გამოთქვამს ფილოსოფიაში მეტაფორის გამოყენების გამო, ამით იგი მხოლოდ იმას ამჟღავნებს, რომ არც ის იცის, რა არის ფილოსოფია, და არც ის – რა არის მეტაფორა. არც ერთ ფილოსოფოსს არ მოუვა აზრად მეტაფორის მსჯავრდება! მეტაფორა აზროვნების აუცილებელი იარაღია, მეცნიერული აზრის ფორმაა. რა თქმა უნდა, შეიძლება მოხდეს, რომ მეცნიერმა შეცდომით მიიღოს მეტაფორა ან გამოხატვის სხვა ირიბი საშუალება პირდაპირ გამოხატული აზრის სახით. ასეთი შეცდომები, ცხადია, უნდა გაიკიცხოს და ისევე უნდა გამოსწორდეს, როგორც – ფიზიკოსის მიერ გაანგარიშებაში დაშვებული შეცდომები. მაგრამ ხომ არავინ დაიწყებს ამის გამო მტკიცებას, რომ ფიზიკამ არ უნდა ისარგებლოს მათემატიკით. მეთოდის გამოყენებაში დაშვებული შეცდომა არ გამოდგება თვით მეთოდის სანინაალმდეგო არგუმენტად. პოეზია მეტაფორაა; მეცნიერება მხოლოდ მიმართავს მეტაფორას, არც – მეტი, მაგრამ არც ნაკლები.

მეცნიერული მეტაფორის უარყოფა ეგრეთ წოდებული „სიტყვების შესახებ კამათის“ არმილების მსგავსია. ზედაპირულ გონებას ნებისმიერი დისკუსია წარმოუდგენია, როგორც – სიტყვების შესახებ კამათი. მაგრამ სიტყვების შესახებ ნამდვილ კამათს ერთობ იშვიათად ვხვდებით. მკაცრად თუ ვიტყვით, სიტყვების შესახებ კამათი მხოლოდ ენათმეცნიერებს შეუძლიათ. სხვებისთვის სიტყვა არა მხოლოდ ლექსიკური ერთეულია, არამედ, უპირველეს ყოვლისა, – ის მნიშვნელობა, რომლის ასოციაციასაც ეს სიტყვა იწვევს. სიტყვების შესახებ საუბარი ნიშნავს საუბარს მნიშვნელობების ანუ ცნებების შესახებ, ტრადიციული ლოგიკური ენით თუ ვილაპარაკებთ. ხოლო რამდენადაც მნიშვნელობა სხვა არაფერია, თუ არა ობიექტზე ჩვენი აზრის ინტენცია, მიმართულობა, სიტყვების შესახებ კამათი მართლაც ნივთების შესახებ კამათი გამოდის.

ხდება, რომ განსხვავება ორ მნიშვნელობას ან ცნებას შორის – იმავდროულად, ორ ნივთს შორის – ფრიად მცირეა და, ამის გამო, არ აინტერესებს მოუქწელი ან პრაქტიკული გონების მქონე ადამიანს, და იგი თანამოსაუბრეზე გამარჯვებას იმით აღნევს, რომ ამ უკანასკნელს სიტყვებით უონგლიორობაში ადანაშაულებს. დაზიანებული მხედველობის მქონე ეაცილოთვის ხომ ყველა კატა რუხია. მაგრამ არიან ადამიანები, რომელთათვისაც უმაღლესი სიამოვნების მომნიჭებელია ობიექტებს შორის თუნდაც უმცირეს განსხვავებათა აღმოჩენა. არასოდეს გაქრებიან „სიტყვების შესახებ კამათში“ დახვეწილი, გამონაფული გონებანი, და სწორედ მათ მოვიძიებთ ხოლმე ყოველთვის, როცა საინტერესო აზრის მოსმენა მოგვინდება.

აბსტრაქტულ განაზრებათა ვერშემძლებელი გონება ვერც მეტაფორისა და მეტაფორული აზრის ერთმანეთისგან გამიჯვნას შეძლებს. გამოთქმის ირიბ ფორ-

მას იგი პირდაპირი აზრით გაიგებს და ავტორს გაამტყუნებს იმაში, რაშიც თავადაა დამნაშავე. ფილოსოფიური აზრი, როგორც არც ერთი სხვა, მუდმივად და თითქმის შეუმჩნევლად გადადის პირდაპირი აზრიდან ირიბში; იგი არაა შეზღუდული ამ სფეროთაგან რომელიმე ერთით. კირკეგორს ერთი ასეთი მაგალითი აქვს მოცე-მული. ცირკში ხანძარი გაჩნდა. იმპრესარიოს გვერდით აღმოჩნდა კლოუნი, და იმპრესარიომ სწორედ მას დაავალა, ხალხისთვის ეს ამბავი ეცნობებინა. მაგრამ კლოუნის პირით ნათქვამი ეს ტრაგიკული ცნობა მაურებლებს ხუმრობა ეგონათ და დარბაზი არ დაუტოვებიათ. ხანძარი მთელ შენობას მოედო და ხალხი დაიღუ-პა, ემსხვერპლა იმას, რომ ვერ შეძლო ხუმრობიდან სერიოზულად ნათქვამზე გადართულიყო.

მეტაფორა მეცნიერებაში ორი, ერთმანეთისგან განსხვავებული, სახით გამოიყენება. როცა მეცნიერი მანამდე უცნობ მოვლენას აღმოაჩენს, ანუ როცა ის ახალ ცნებას ქმნის, საჭიროა ამ უკანასკნელის სახელდება. რამდენადაც სრული-ად ახალი სიტყვა არაფერს ეტყოდა მოცემული ენის მატარებლებს, იგი იძულე-ბულია ისარგებლოს არსებული ლექსიკონით, რომელშიც ყოველი სიტყვის უკან გარკვეული მნიშვნელობა დგას. გასაგები რომ გახდეს, მეცნიერი ისეთ სიტყვას ირჩევს, რომლის მნიშვნელობას ახალ ცნებაზე მითითება შეუძლია. ტერმინი ახალ მნიშვნელობას იძენს ძველის საშუალებით და დახმარებით, რომელიც მასში ინა-ხება. სწორედ ესაა მეტაფორა. როცა ფსიქოლოგი შენიშნავს, რომ ჩვენი წარმოდ-გენები ერთმანეთზე ზემოქმედებენ, ის ამბობს, რომ წარმოდგენები ასოცირდები-ან, ე. ი. იქცევიან ისე, როგორც ადამიანები – სოციუმში (საზოგადოებაში). თავის მხრივ, იმან, ვინც პირველმა უწოდა ადამიანთა ერთობლიობას სოციუმი, ახალი საზრისი მიანიჭა ამ სიტყვას, რომელიც ლათინური წარმომავლობისაა – *sequor*, „მივყები“, „მივდევ“; ესპანური სოციო, „საზოგადოების წევრი“, თავდაპირველად აღნიშნავდა „მიმდევარს“. ეს საინტერესო ისტორიული გარემოება ადასტურებს საზოგადოების წარმომბის თეორიას, რომელიც გადმოცემულია ჩემს ნაშრომში „უხერხემლო ესპანეთი“. პლატონი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ნამდვილი რეალ-ობა იგივეობრივი არაა ჩვენს ირგვლივ არსებული ცვალებადი სამყაროსი, ნამდვი-ლი რეალობა, უცვლელი და უზილავი, ისეთი სრულყოფილი ფორმებისგან შედგება, როგორიცაა „აბსოლუტური სითეთრე“ ან, ვთქვათ, „უმაღლესი სამართლიანობა“. გრძნობებისთვის მოუხელთებელი, გონებისთვის მისასვდომი ცნებების აღსანიშ-ნად პლატონმა ჩვეულებრივ ენაში მოიძია სიტყვა იძეა, „იდეა“, რადგან ამ სიტყვით სურდა მიეთითებინა, რომ გონება გაცილებით სრულყოფილ მზერას ფლობს, ვიდრე – თვალი.

წამოჭრილი თემის გაღრმავებას თუ მოვინდომებთ, მაშინ, მოსალოდნელია, უარის თქმა მოგვიხდეს ტერმინ „მეტაფორაზე“, რომელმაც შეიძლება დაგვაბნიოს. მეტაფორა სახელწოდების გადატანაა. მაგრამ არსებობს სახელწოდების გადა-ტანის მრავალი სახე, რომლის საფუძვლადაც არ დევს ის, რაც ჩვენ, ჩვეულებრივ, გვესმის, როგორც მეტაფორა. აი, ამა თუ იმ თვალსაზრისით დამახასიათებელი რამდენიმე ნიმუში.

სიტყვა „მონეტა“ ლითონში მოჭრილი ერთიანი სავაჭრო ექვივალენტის აღმ-ნიშვნელია. მაგრამ თავდაპირველად ეს სიტყვა აღნიშნავდა იმას, „ვინც აცნობებს,

აფრთხილებს და განარიდებს“. ესაა იუნონას აღმნიშვნელი. რომში იყო განმარი-დებელ იუნონას (Iuno Moneta) ტაძარი, ხოლო მის გვერდით არსებობდა ზარაფხანა. მასზე, რაც იქ იჭრებოდა, გადატანილ იქნა იუნონას – განმარიდებლის (მონეტა) – ეპითეტი. ახლა კი, როცა სიტყვა „მონეტას“ წარმოვთქვამთ, აღარ ვფიქრობთ ამა-ყი ქალმერთის შესახებ.

სიტყვა „კანდიდატი“ თავდაპირველად ნიშნავდა თეთრი ტანსაცმლით შე-მოსილ ადამიანს. როცა რომის მოქალაქეს ირჩევდნენ რომელიმე მუნიციპალურ თანამდებობაზე, ის თავისი ამომრჩევლების წინაშე თეთრი სამოსით წარსდგებოდა ხოლმე. ამჟამად კანდიდატს ვუწოდებთ თანამდებობის ნებისმიერ პრეტენდენტს, განურჩევლად მისი სამოსის ფერისა. უფრო მეტიც: საამომრჩევლო რიტუალი, ჩვენს დროში, შავ კოსტუმს ანიჭებს უპირატესობას.

ფრანგული გამოთქმა „se mettre en gréve“ ნიშნავს „გაფიცვის გამოცხადე-ბას“. საიდან აქვს gréve-ს ასეთი მნიშვნელობა? ჩვეულებრივ, ეს უცნობია მათ-თვის, ვინც ამ სიტყვას იყენებს. მათ არც სჭირდებათ ამის ცოდნა. მათთვის ესაა პირდაპირი აღნიშვნა. სიტყვა გრლვე, თავდაპირველად, ფრანგულ ენაში „ქვიშის ნაპირს“ ნიშნავდა. პარიზის მუნიციპალიტეტი მდინარის ნაპირზე იყო აშენებული. მის წინ კი განიფინებოდა ქვიშის ნაპირი – gréve, ხოლო სამუნიციპალო მოედანს გრევის მოედანი ეწოდა. აქეთ ეშურებოდნენ მანანნალები; შემდეგ აქ თავს იყრიდ-ნენ უმუშევრები, აქ ხდებოდა მათი დაქირავება. გამოთქმა ფაირე გრლვე უკვე ნიშნავდა „უმუშევრად ყოფნას“. ახლა ის ნიშნავს მუშაობის განზრას შეწყვეტას. ამ გამოთქმის ისტორია ფილოლოგებმა აღადგინეს; ის არ აღმოცენდება იმ მუშების ცნობიერებაში, რომლებიც ამ სიტყვით სარგებლობენ.

დასახელების გადატანის ეს ნიმუშები დამყარებული არაა მეტაფორაზე. უბრალოდ, სიტყვა კარგავს ერთ მნიშვნელობას და იძენს მეორეს.

როცა ჩვენ ვამბობთ el fondo del alma – „სულის სიღრმე“ (სიტყვასიტყვით „სულის ფსკერი“), მხედველობაში გვაქვს რალაც გონითი ფენომენი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სივრცესთან და მოკლებულია ფიზიკურ მახასიათებლებს, ისეთს, მაგალითად, როგორიცაა ზედაპირი და ფსკერი.

როცა სულის რაღაც ნაწილს აღინიშნავთ სიტყვით fondo – „ფსკერი“, ვით-ვალისწინებთ, რომ მას არ ვიყენებთ პირდაპირი აზრით, მაგრამ ამავე დროს გვესმის, რომ ჩვენთვის საჭირო ირიბი საზრისი პირდაპირითაა ნაწარმოები. პი-რიქით, ისეთი სიტყვა, როგორიცაა „ნითელი“, პირდაპირ მხოლოდ შესაბამის ფერს აღნიშნავს. როცა ვამტკიცებთ, რომ სულს აქვს „ფსკერი“, თავდაპირველად ჩვენ ამ სიტყვას მივაწერთ რამე ჭურჭლის, მაგალითად – კასრის ფსკერს, ხოლო შემ-დგომ თითქოსდა „გავწმენდთ“ ამ მნიშვნელობას ფიზიკურ პარამეტრებზე მითი-თებისგან და მას ფსიქიკას მივაკუთვნებთ. მეტაფორისთვის აუცილებელია, რომ ჩვენ ვაცნობიერებდეთ მის ორბითობას. ამ დროს სახელს არ ვიყენებთ მისი პირდაპირი მნიშვნელობით და ჩვენ ეს კარგად გვესმის.

მაგრამ თუ ჩვენ ვიცით ამის შესახებ, რატომ ვმოქმედებთ ასე? რატომ არ უნდა მივანიჭოთ უპირატესობა პირდაპირ აღნიშვნას და არ გამოვიყენოთ სიტყვე-ბი პირდაპირი აზრით? „სულის სიღრმე“ რომ ისევე ნათლად აღიქმებოდეს ჩვენი მზერით, როგორც, მაგალითად, წითელი ფერი, მაშინ, უეჭველია, ვისარგებ-

ლებდით მისი აღნიშვნის მიზნით პირდაპირი და მხოლოდ მისთვის ნიშნეული დასახელებით. მაგრამ საქმის მთელი არსი იმაშია, რომ ჩვენთვის საინტერესო ფსიქიური ობიექტის არა მხოლოდ დასახელებაა ძნელი, მისი მოაზრებაც ერთობ რთულია. იგი გვისხლული არა მხოლოდ დასახელებას, არამედ დაჭერა. აქ უკვე ვამჩნევთ, რომ მეტაფორა ემსახურება არა მხოლოდ დასახელებას, არამედ – აზროვნებასაც. ესაა მეტაფორის მეორე – გაცილებით ღრმა და არსებითი – ფუნქცია შემეცნებაში. მეტაფორა გვჭირდება არა მხოლოდ იმისთვის, რომ, მიღებული დასახელების წყალობით, ჩვენი აზრი სხვათათვის ხელმისაწვდომი გავხადოთ; იგი თავად ჩვენ გვჭირდება იმისთვის, რომ ობიექტი ჩვენი აზრისთვის მისაწვდომი გახდეს. მეტაფორა არა მხოლოდ გამოხატვის საშუალებაა, არამედ – აზროვნების მნიშვნელოვანი იარაღიც. ვცადოთ ამის მიზეზთა გარკვევა. ჯონ სტიუარტ მილი წერდა, – ყველა სველი საგანი რომ, ამავე დროს, ცივიც ყოფილიყო, ე. ი. ეს ორი თვისება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად რომ არასოდეს გამჟღავნებულიყო, მაშინ ჩვენ, შესაძლოა, ისინი ერთ თვისებად მიგვედო. სამყაროში რომ მხოლოდ ლურჯი საგნები არსებულიყო, მაშინ ჩვენთვის ერთობ ძნელი იქნებოდა ამ ფერზე ნათელი წარმოდგენის შექმნა. ძალი უკეთ გრძნობს მოძრავ საგანს, რამდენადაც მისი სუნის სიმძაფრე მოძრაობისას მერყეობს. სწორედ ასე, აღქმა და აზროვნება ცვალებადს უკეთ მოიხელთებს, ვიდრე – უცვლელს. ჩანჩქერის პირას მცხოვრებთ მისი ხმაური არ ესმით. თუმცადა, ჩანჩქერი რომ შეწყდეს, ისინი გაიგონებენ გაუგონარს: სიჩუმეს.

აი, რატომ განსაზღვრავს არისტოტელე შეგრძნებას, როგორც – განსხვავების აღქმის უნარს. ჩვენ მოვიხელთებთ სხვადასხვასა და ცვალებადს, და ვერ ვამჩნევთ ერთნაირსა და უცვლელს. გოეთე სრულიად კანტიანური სულისკვეთებით ამტკიცებს, რომ, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, საგნები სხვა არაფერია, თუ არა ის განსხვავებანი, რომელთაც ჩვენ მათ მივაწერთ. სიჩუმე, თავისთავად, არაფერია, ჩვენთვის ის რეალობას იძენს ხმაურისგან თავისი განსხვავების წყალობით. როცა ირგვლივ ყველაფერი ყუჩდება და უცებ დუმილი შემოგვეკვრის, მოუსვენრობას შევიგრძნობთ, თითქოს თავს ვიღაც მრისხანე დაგვდგომია და გვითვალთვალებს.

ამგვარად, ჩვენი აზრისთვის ყველა ობიექტი იოლად მისაწვდომი არაა, ყველაფორის შესახებ კერძო, ნათელი, მყაფიო წარმოდგენის შექმნა არ შეგვიძლია. ამიტომ ჩვენი სული იძულებულია, იოლად მისაწვდომ ობიექტებს მიმართოს, რათა, ამოსავალ წერტილად მათი მიღებით, წარმოდგენა შეიქმნას როულ და ძნელად მოსახელთებელ ობიექტებზე.

მაშასადამე, მეტაფორა აზრის ის იარაღია, რომლის მეშვეობითაც ჩვენი კონცეპტუალური ველის ათვისებას ვახერებთ. ჩვენთვის ახლობელი, იოლად მისაწვდომი ობიექტები აზრს შორეულ და ჩვენთვის მოუხელთებელ ცნებებზე მიუთითებენ. მეტაფორა ინტელექტის „ხელს“ აგრძელებს; ლოგიკისთვის მისი მნიშვნელობა შეიძლება შევადაროთ ანკესს ან შაშხანას.

აქედან, სხვათა შორის, არ გამომდინარეობს, რომ ის მოაზრებადის საზღვრებს აფართოებს. სულაც არა. ის მხოლოდ იმასთან მისადგომს უზრუნველყოფს, რაც ბუნდოვნად სჩანს ამ მისადგომის შორეულ საზღვრებთან. მეტაფორის გარეშე ჩვენს მენტალურ პორიზონტზე შეიძლებოდა წარმოქმნილიყო ყამირი ზონა,

ფორმალურად ჩვენი აზრის იურისდიქციას დამორჩილებული, მაგრამ ფაქტობრივად – აუთვისებელი და დაუმუშავებელი.

მეტაფორა პოეზიის საფუძველია, და მისი პოეტური ფუნქცია კარგადაა შესწავლილი. შეცნიერებაში მეტაფორა დამხმარე როლს თამაშობს. მეცნიერულ და პოეტურ მეტაფორებს, ჩვეულებრივ, ერთნაირი პოზიციებით უდგებოდნენ. მაგალითად, ესთეტიკაში მეტაფორას განიხილავდნენ, როგორც მხოლოდ მომჯადოებელ განათებას, რომლის ნათელმაც უეცრად გაასხივოსნა მშვენიერი. ამის გამო, მის მიმართ არ გამოიყენებდნენ ჭეშმარიტების ცნებებს და მას არ თვლიდნენ სინამდვილის შემეცნების იარაღად. ეს არ იძლეოდა იმის შემჩნევის სამუალებას, რომ პოეზიისთვის უცხო არაა კვლევითი მიზნები და ის მზადაა ისეთივე პოზიციური ფაქტების აღმოსაჩენად, როგორებსაც მეცნიერება აღმოაჩენს ხოლმე.

ლექსში „სილვა ქალაქ ლოგონოსადმი“<sup>2</sup> ლოპე დე ვეგა ბალს ასე აღწერს:

შენ იხილავ, როგორ ჭყუმპალაობს ნიავი  
ჭავლში შადრევანთა, რომელიც  
თავიანთ უკვდავ მარტოობაში  
ცას ბროლის შუბებად ესობია...

ლოპე დე ვეგა შადრევნის ჭავლის ბროლის შუბის სახით წარმოიდგენს. ნათელია, რომ ჭავლი არ შეიძლება შუბი იყოს. მაგრამ ის, რომ პოეტმა ჭავლი სწორედ ასე გამოიყენა, ატყვევებს წარმოსახვას და ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებს.

პოეზია მიესალმება იმას, რასაც მეცნიერება უარყოფს. პოეზია და მეცნიერება მტრები არიან, მაგრამ ორივე თავისებურად მართალია.

პოეზია მეტაფორაში აფასებს იმას, რასაც კიცხავს მეცნიერება. ჭავლი და შუბი კონკრეტული ობიექტებია. კონკრეტულია ნებისმიერი საგანი, რომლის აღქმაც შეიძლება სხვა საგნებისგან დამოუკიდებლად. აბსტრაქტული ობიექტი, პირიქით, მხოლოდ რომელიმე სხვა ობიექტთან მტკიცე კავშირში აღიქმება. ფერი აბსტრაქტულ ობიექტს წარმოადგენს, რამდენადაც ჩვენ მას ამა თუ იმ ფორმის, ამა თუ იმ ზომის ზედაპირთან ერთად აღვიქვამთ. და პირიქით, შეუძლებელია ზედაპირის აღქმა ფერისგან დამოუკიდებლად. ზედაპირი და ფერი თანაარსებობისთვის არიან განწირულნი. ისინი გარჩევადნი არიან, მაგრამ – განუყოფადნი. ჩვენი გონება მონდომებულია, რომ მათ შორის ზღვარი გადოს. ჩვენ ამ ძალისხმევას აბსტრაპირებას ვუწოდებთ. ამ ობიექტთაგან ერთ-ერთის აბსტრაპირებას ვხედენთ, რათა მეორის ვირტუალური იზოლირება შევძლოთ და, ამავდროულად, მისი განმასხვავებელი ნიშნები განვსაზღვროთ.

აბსტრაქციები კონკრეტულ ობიექტთა შემადგენლობაში შედიან. მაგალითად, ბროლის შუბს, სხვა კომპონენტებთან ერთად, აქვს ფორმა და ფერი; გარდა ამისა, იგი თავის თავში მალავს დინამიკურ ძალას, რომელიც მას ხელის დარტყმით ატყობინებს რაღაცას და ჭრილობის მიყენებაც შეუძლია. მსგავსად ამისა, შადრევნის ჭავლში შეიძლება გამოიყოს ფორმა, ფერი და წყლის დაწნევით წარმოქმნილი დინამიკური ძალა, რომელიც მას მაღლა ატყორცნის.

ჭავლი და შუბი, თუ მათ მთლიანობაში გავიაზრებთ, განსხვავებულს მეტს ფლობენ, ვიდრე – საერთოს. მაგრამ თუ ხსენებული სამი აბსტრაქტული ელემენ-

ტით შემოვიფარგლებით, აღმოჩნდება, რომ ისინი იგივეობრივი არიან. ფორმა, ფერი და დინამიზმი მათში ერთნაირია. ეს მტკიცება მეცნიერული მიდგომიდან გამომდინარებს, ის რეალური ფაქტის კონსტატაციას ახდენს: ეს ფაქტია ჭავლი-სა და შუბის ნაწილობრივი იდენტურობა.

ციური სხეული და რიცხვი სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგ-რამ როცა ნიუტონმა განსაზღვრა, რომ მიზიდულობის ძალა სხეულთა მასის პირდაპირპორციული და მათ შორის არსებული მანძილის კვადრატის უკუ-პროპორციულია, და მსოფლიო მიზიდულობის კანონი ჩამოაყალიბა, ამით მან ციურ მნათობებსა და რიცხვთა განსაზღვრულ მწკრივს შორის არსებული ნაწილობრივი და აბსტრაქტული იგივეობა აღმოაჩინა. პირველთა შორის მიმართება მეორეთა შორის მიმართების მსგავსია. ამ ანალოგიაზე დაყრდნობით ვინმე პითა-გორელს რომ დაესკვნა, მნათობები რიცხვებიაო, იგი ნიუტონის ფორმულირებაში სწორედ იმას შეიტანდა, რაც ლოპე დე ვეგამ ბროლის შუბსა და შადრევნის ჭავლს შორის არსებული ნაწილობრივი, მაგრამ სრულიად რეალური იგივეობის მტკიცებას შესძინა. მეცნიერული კანონი ორი ობიექტის აბსტრაქტული კომპონენტების იგივეობის კონსტატირებით იფარგლება; პოეტური მეტაფორა ორი კონკრეტული ნივთის სრულ იგივეობას ამტკიცებს.

ეს ყველაფერი ნათელყოფს, რომ მეცნიერული აზროვნება მეტ-ნაკლებად მსგავსია პოეტურისა. მათ შორის განსხვავების მაჩვენებელია არა იმდენად სა-აზროვნო ოპერაციების ხასიათი, რამდენადაც მათი რეჟიმი და მიზნები. ეს აზრი შეიძლება გავავრცელოთ მეტაფორულ აზროვნებაზეც. იგი ყველგან გვხვდება, მაგრამ მეცნიერებაში მისი მიზანი განსხვავებულია მისი პოეტური დანიშნულებისგან. პოეზიაში მეტაფორა, ორი ობიექტის ნაწილობრივი მსგავსების საფუძველზე, ახდენს მათი სრული იგივეობის ყალბ მტკიცებას. სწორედ ჭეშმარიტების საზღვრების დამრღვევი ეს გადაჭარბება ანიჭებს მას პოეტურ ძალას. მეტაფორის სილამაზე ბრწყინვას იწყებს მაშინ, როცა მისი ჭეშმარიტობა მთავრდება. და პირიქით, არ შეიძლება არსებობდეს პოეტური მეტაფორა, რომელიც არ აღმოაჩენდა რეალურ ერთობას. გააანალიზეთ ნებისმიერი მეტაფორა და თქვენ მასში იხილავთ ორი ობიექტის საზღვრებში აბსტრაქტული კომპონენტების ერთობ ნათელ პოზიტიურ, უფრო მეტიც, მეცნიერულ, დამთხვევას.

მეცნიერება მეტაფორით სარგებლობის ინვერტირებას ახდენს. იგი იწყებს ორი, უსათუოდ განსხვავებული, ობიექტის სრული გაიგივებით, რათა მათი ნაწილობრივი მსგავსების დასაბუთებამდე მივიდეს, რაც მიღებული იქნება სწორედ, როგორც ჭეშმარიტება. მაგალითად, ფსიქოლოგმა, რომელიც საუბრობს ელ ფონდო დელ ალმა-ს შესახებ, მშვინივრად იცის, რომ სული არაა ფსკერის მქონე ჭურჭელი. მაგრამ ის გვაგებინებს, რომ არსებობს რაღაც ფსიქიური შემადგენელი, რომელიც სულის სტრუქტურაში იმავე როლს ასრულებს, რასაც ფსკერი - ჭურჭელში. პოეზიის საპირისპირო, მეცნიერული მეტაფორა ვითარდება უფრო ძლიერი მტკიცებიდან უფრო სუსტისკენ, დიდიდან მცირესკენ. თავდაპირველად იგი ამტკიცებს სრულ იგივეობას, შემდეგ უარყოფს, ხოლო დასაბუთება ამ დროს ძალას ინარჩუნებს ობიექტთა გარკვეული ნაწილის მიმართ. საგულისხმოა, რომ აზროვნების განვითარების ერთობ ადრეულ სტადიაზე მეტაფორის სიტყვიერი

გამოხატულება აშიშვლებდა ამ ორმაგ ოპერაციას – ჯერ მტკიცებას, შემდგომ – უარყოფას. როცა ვედების პოეტს სურს თქვას: „მტკიცე, როგორც კლდე“, ის ამბობს: *Sa parvato na acyutas (ლათინურად, ille firmus non rupes)* – „მტკიცე, მაგრამ არა კლდე“. სწორედ ასე, ღმერთისადმი საგალობელი მგალიბლის მიერ ხასიათდება, როგორც „ტკბილი, მაგრამ არა საჭმელი“; შეადარეთ, აგრეთვე, „აბლავლებული, მაგრამ არა ხარი“ (ნაკადის შესახებ), „კეთილი, მაგრამ არა მამა“ (მეფის შესახებ).

გმირში არის რაღაც ისეთი სულიერი თვისება, რომელიც სხვა თვისებებთან ერთად ქმნის მის მთლიან და სრულიად კონკრეტულ სახეს. საჭიროა დიდი ძალის-ხმევა, რომ მისი ეს თვისება გამოცალევდეს და მოაზრებულ იქნას, როგორც ასეთი. ამ მიზნით, ვედების პოეტის კვალად, ის შეიძლება კლდეს შევადაროთ. კლდის სიმტკიცე ჩვენთვის კარგადაა ცნობილი; ამ ცნებაში ჩვენ ვპოულობთ რაღაც საერთოს გმირის სულიერ თვისებასთან. ჩვენ თითქოს ვამთლიანებთ გმირსა და კლდეს, შემდეგ კი გმირს სიმტკიცის ნიშანს ვუტოვებთ და მის სახეს კლდის ყველა სხვა თვისებას შემოვაცლით.

იმისთვის, რომ რაიმე თვისება აზრისთვის განკერძოებულ საგნად იქცეს, საჭიროა ნიშანი, რომელიც დააფიქსირებს მააბსტრაქტირებელი ძალისხმევის რეზულტატს, მატერიალიზებულჲყოფს მას და საიმედო ნიშით უზრუნველყოფს. სახელები, წერითი ნიშნები, განამტკიცებენ კონკრეტულ ცნებათა დანაწევრების შედეგად მიღებულ, აბსტრაქტულ ობიექტებს. თუ აზროვნების ობიექტი ერთობ უჩვეულოა, ჩვენ ჩვეულებრივ ნიშნებს ვეყრდნობთ და, მათი შეერთებით, ობიექტის კონტურებს მოვინიშნავთ.

ჩვენი დამწერლობა ჩინურზე უფრო პრაქტიკულია, რადგან იგი წმინდა მექანიკურ პრინციპებს ემყარება. მასში ყოველ ბერძნის თავისი ნიშანი აქვს; მაგრამ რამდენადაც იგი თავისთავად არაფერს აღნიშნავს, ჩვენი დამწერლობა არანიშნადია. ჩინური დამწერლობა ცნებებს უშუალოდ აღნიშნავს. იგი აზრის მდინარების უფრო ზუსტად ამსახველია. წერო ან იკითხო ჩინურად – ნიშნავს, იფიქრო. ჩინური იეროგლიფები ჩვენს ორთოგრაფიულ ნიშნებზე უფრო ზუსტად აღადგენს აზროვნების პროცესს. მაგალითად, როცა სევდის აღმნიშვნელ ნიშანს ვერ მიაგნო, ჩინელმა ორი იდეოგრამა შეართა, რომელთავან ერთი „შემოდგომას“ აღნიშნავდა, ხოლო მეორე – „გულს“. სევდა დაფიქსირდა, როგორც „გულის შემოდგომა“. არც თუ ისე დიდი ხნის წინ, ჩინელებისთვის საჭირო შეიქნა, როგორდაც აღენიშნათ მათვის ახალი ცნება „რესპუბლიკა“. ორმოცდათი საუკუნის განმავლობაში ჩინეთში პატრიარქალური მონარქია ბატონობდა. გადაწყვიტეს, რესპუბლიკის უცნობი ცნება სხვადასხვა იეროგლიფთა კომბინაციით აღენიშნათ: ასე გაჩნდა იეროგლიფთა შენაერთი „საერთო-თანხმობა-სახელმწიფო“. რესპუბლიკის ცნება ჩინელებმა გაიაზრეს, როგორც საერთო თანხმობაზე დაფუძნებული არამკაცრი მმართველობა.

მეტაფორა იდეოგრამათა რაღაც ისეთ შენაერთს წარმოადგენს, რომელიც საშუალებას გვაძლევს, განვაკერძოთ აზრისთვის ძნელადმისაწვდომი აბსტრაქტული ობიექტები და მათ თვითმყოფადობა მივანიჭოთ. ამიტომ იგი მით უფრო აუცილებელია, რაც მეტად შორდება ჩვენი აზრი ჩვეულებრივი ცხოვრების კონკრეტულ საგნებს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ადამიანური გონება ყალიბდებოდა ადამიანის ბიოლოგიურ საჭიროებათა თანდათანობით დაკმაყოფილების პროცესში. იგი ჯერ ადამიანის გარემომცველ კონკრეტულ საგნებს ეუფლება და მათზე წარმოდგენას იქმნის. მათით გამოწვეული ინტელექტუალური რეაქციები კარგადა დამუშავებული. როცა გონებრივი დალლილობა იწყება, ფიქრს კონკრეტული საგნებისკენ მივმართავთ და ასე ვისვენებთ. ცოცხალი ორგანიზმიდან მისი ფსიქიური კომპონენტის გამოყოფა დიდ ძალისხმევას და ჯერაც შეუჩეველი აბსტრაქციების მოშველიებას საჭიროებს. ფილოსოფონისა და ფსიქოლოგი კარგად უნდა იყვნენ გავარჯიშებული ფსიქიკურ ფენომენებზე დაკვირვებაში. რაც არ უნდა დავარქვათ იმ მოვლენების ერთობლიობას, რომლებიც ქმნიან ცნობიერებას – გონი თუ ფსიქიკა, – ნათელია, რომ ისინი ჩვენს სხეულთან ერთიანობაში არსებობენ, და მათი იზოლირების მცდელობა, როგორც წესი, შედეგად გონის მატერიალიზაციას იძლეოდა. რამდენჯერ მოუწადინებია ადამიანს იმ ინტიმური ფსიქიკური შინაარსის განკურძოება, რომელსაც თავის თავში აღმოაჩენდა, და ამ დროს ყოველთვის გულისხმობდა, რომ ეს შინაარსი ყველა სხვა ცოცხალ არსებაშიც მოქმედებს. პირის ნაცვალსახელთა წარმონაქმნი სწორედ ამ წადილთა ისტორიის შესახებ მოგვითხრობს და წარმოაჩენს, როგორ ფორმირდებოდა „მე“-ს იდეა გარეგნული-დან შინაგან ატრიბუტებზე გადასვლის გზით. „მე“-ს ნაცვლად თავდაპირველად ითქმოდა „ჩემი სხეული“, „ჩემი ხორცი“, „ჩემი გული“, „ჩემი მკერდი“. ახლაც, როცა „მე“-ს წარმოვთქვამთ ემფანტიკურად, მაშინვე მკერდზე დავიდებთ ხოლმე ხელს, და ამ ჟესტში „მე“-ს შესახებ უძველესი „სხეულებრივი“ წარმოდგენაა საცნაური. ადამიანი საკუთარი თავის შემეცნებას თავის კუთვნილებათა დახმარებით იწყებს. კუთვნილებითი ნაცვალსახელები წინ უსწრებდნენ პირის ნაცვალსახელებს: „ჩემი“ უფრო ადრე გაფორმდა, ვიდრე – „მე“. მოგვიანებით „ჩვენი“ კუთვნილებიდან აქცენტი გადმოდის ჩვენს სოციალურ პიროვნებაზე, თავად ჩვენზე. „მე“-ს წარმომადგენელი ხდება ჩვენი სოციალური სახე, ადამიანი საზოგადოებაში, რომელიც პიროვნების მეტ-ნაკლებად პერიფერიული ნიშნებით ყალიბდება. იაპონურ ენაში არ არსებობს მხოლობითი რიცხვის პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები. მოსაუბრე საკუთარ თავს ასეთი საშუალებების გამოყენებით ასახელებს: „არა-რაობა“, „ბრიყვი“, ხოლო მეორე პირის ნაცვალსახელის ნაცვლად ის იტყვის: „საპატიო პირი“, „უმაღლესობა“ და ა. შ. საკუთარი თავის შესახებ იგი მესამე პირით საუბრობს, როგორც – გარემომცველ სამყაროში არსებული საგნის შესახებ. ნებისმიერ სიტუაციაში ეტიკეტი ანესებს, ამ თითქოსდა გარეშე ობიექტებიდან ვინ უნდა აღინიშნოს როგორც „არარაობა“ და ვინ – როგორც „საპატიო პირი“. ხუპას ტომის ჩრდილოამერიკელი ინდიელების ენაში მხოლობითი რიცხვის მესამე პირის ნაცვალსახელის ვარირება ხდება იმის მიხედვით, ბავშვს გულისხმობენ თუ მოხუცს. აქვე უნდა ითქვას: ისეთი ტიპის მიმართვები, როგორებიცაა „თქვენი უმაღლესობავ“, „თქვენო უდიდებულესობავ“, „თქვენო უნმინდესობავ“ და ა. შ., წინ უსწრებდნენ „მე“ და „შენ“ ნაცვალსახელებს.

გასაკვირი არაა, რომ ლექსიკა შეიცავს იმ სიტყვების მცირე რაოდენობას, რომლებიც თავიდანვე ფსიქიკის ფენომენებს აღნიშნავდნენ. თითქმის მთელი თანამედროვე ფსიქოლოგიური ტერმინოლოგია წმინდა მეტაფორაა: კონკრეტუ-

ლი მნიშვნელობის სიტყვები მიმართულნი არიან საიმისოდ, რომ ფსიქოლოგიური თანმიმდევრობის მოვლენები აღნიშნონ.

მაგრამ ის შინაგანი არსი, ჩვენი სხეულისგან განყენებულად რომლის წარმოდგენასაც ვცდილობთ, ჯერაც შედარებით კონკრეტულია. არსებობენ გაცილებით აბსტრაქტული და ბუნდოვანი ობიექტები, რომელთა ჩამოყალიბებისთვის მეტაფორა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძნეს.

ობიექტის შესახებ მეტიონ წარმოდგენის შესამუშავებლად საჭიროა აზრობრივად მისი იზოლირება, გამიჯვნა გარემოსგან. ამიტომაა, რომ ჩვენთვის ცვალებადის აღქმა უფრო იოლია, ვიდრე – უცვლელის. ცვალებადობა რეორგანიზებას ახდენს იმ კომპონენტებს შორის, რომლებიც სხვა კომბინაციებში იღებენ მონაწილეობას. ნოტიონ ხან სიცივეს შეესაბამება, ხან – სითბოს. როცა ობიექტი პირველადი კომბინაციებიდან ამოვარდნას განიცდის, რჩება განსაზღვრული ფორმის ცარიელი ადგილი, რომელიც მსგავსია მოზაიკაში იმ ადგილის, სადაც რომელიმე დეტალი ამოვარდნილია.

შედეგად ვლებულობთ, რომ ობიექტის წვდომისას არსებული სიძნელეები იმ კომბინაციების რაოდენობის პირდაპირპროპორციულად იზრდება, რომლებში ჩართვაც შეუძლია ობიექტს: რამდენადაც მეტია ობიექტის კომბინაციები, იმდე-ნად ძნელი ხდება მისი გამიჯვნა და გაგება. მისი გამუდმებული თანყოფნა აჩლუნებს ჩვენს აღქმას.

წარმოვიდგინოთ ობიექტი, რომელიც უცვლელად შედის ყველა სხვა ობიექტის შემადგენლობაში, ამ ობიექტთა სამუდამო ნაწილია, მათი მუდმივი ინგრედიენტი, მსგავსი წითელი ძაფისა, რომლითაც ნიშანდებულია ინგლისის სამეფო ფლოტის ყველა ტელეგრამა. ასეთი ყველგან თანმხლები, უნივერსალური, აუცილებელი და მოუცილებელი ობიექტი დიახაც არსებობს. ესაა ცნობიერება.

ჩვენ ვერაფერს ვიტყვით იმის შესახებ, რაც არაა ჩვენს ცნობიერებაში. ნებისმიერი ორი ობიექტი, რომელთაც ერთმანეთთან თითქოს არაფერი აქვთ საერთო, ერთნაირადაა ნიშანდებული იმით, რაც თან ახლავს ერთი სუბიექტის ცნობიერებას. იოლად გასაგებია, რაოდენ რთულია ამ უნივერსალური, საყოველთაო და გარდუვალი ფენომენის – ცნობიერების – მოხელთება, აღწერა და განსაზღვრება. მხოლოდ ცნობიერების წყალობით შეგვიძლია, ვიცოდეთ, რომ სხვა საგნებიც არსებობენ. ცნობიერება ქმნის ამ აქტს და თავადვე იქმნება მათით. იგია უთუოდანამატი ყველაფრის, რასაც ჩვენ აღვიქვამთ და რაზეც ვფიქრობთ, ნებისმიერი საგნისა და მოვლენის ერთსახოვანი, მოუშორებული და განუყრელი თანამგზავრი. იმის წყალობით, რომ ტენიანობა ხან სიცივეს ერწყმის და ხანაც – სითბოს, ჩვენ შევძლით ამ თვისებათა გამორჩევა ერთმანეთისგან. მაგრამ როგორ განვსაზღვროთ, რას წარმოადგენს ცნობიერება, თუ ის მონაწილეობს ყველაფერში, რასაც ჩვენ აღვიქვამთ? ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა ვერანაირად მეტაფორას გვერდს ვერ ავუვლით.

სუბიექტსა და ობიექტს შორის უნივერსალური დამოკიდებულების – გასაცნობიერებელი დამოკიდებულების – გაგება შეიძლება მხოლოდ ობიექტებს შორის რაღაც სხვა ურთერთდამოკიდებულებასთან მისი შედარების გზით. ასეთი შედარების შედეგად მივიღებთ მეტაფორას. ჩვენთვის უკეთ ხელმისაწვდომი

კერძო ურთიერთდამოკიდებულების საშუალებით უნივერსალური მოვლენის გან-  
მარტივისას არ უნდა დავივიწყოთ, რომ ოპერირებას ვახდენთ მხოლოდ და მხო-  
ლოდ მეცნიერული მეტაფორით. ამ განსხვავებულ ობიექტებს შორის იგივეობის  
ურთიერთობა არ უნდა დავამყაროთ ისე, როგორც ეს პოეზიაში კეთდება. გაიგივე-  
ბის საშიშროება აქ ერთობ დიდია, რადგან ცნობიერებაზე წარმოდგენებითაა გაპი-  
რობებული სამყაროს ჩვენებული კონცეპცია, ხოლო ეს უკანასაცნელი, თავის მხრივ,  
განსაზღვრავს ჩვენს მორალს, ჩვენს პოლიტიკას, ჩვენს ხელოვნებას. გამოდის,  
რომ სიცოცხლით სავსე სამყაროს ეს უზარმაზარი შენობა მეტაფორის პანაზინა და  
მსუბუქ სხეულს ეყრდნობა.

მართლაც, ორი უდიდებულესი ისტორიული ეპოქის – შუა საუკუნეებში გა-  
დასული ძველი მსოფლიოსა და აღორძინებით დაწყებული ახალი დროის – ადა-  
მიანური გონება იკვებებოდა ორი შედარებით, ესქილე იტყოდა, – ორი სიტყვის  
ჩრდილით. ეს ორი დიდი ფილოსოფიური მეტაფორა, პოეტური თვალსაზრისით,  
უბადრუკია.

როგორ ესმოდა ძველ ადამიანს ის განსაცვიფრებელი ფაქტი, რომ გარემომ-  
ცველი საგნები სრულიად განსხვავებულ სახეთა უთვლელ რაოდენობას ფლობენ.  
განვმარტოთ პრობლემის არსი. ვათვალიერებთ გუადარამას მთიან ქედს, რომლის  
სიმაღლე დაახლოებით ორი ათასი მეტრია, მთები გრანიტოვანი აგებულები-  
საა და მოცისფრო და ლილის ფერი აქვს. ცნობიერება ამ პარამეტრებს მოკლებუ-  
ლია: მას არ გააჩნია არც განფენილობა, არც – ფერი, არც – სიმაგრე. ამგვარად,  
ობიექტისა და სუბიექტის თვისებები არ თანხვდება, ისინი ერთმანეთს განი-  
ზიდავენ, მათ შორის არ შეიძლება წარმოიშვას რამენაირი ურთიერთობა, თუ არ  
ჩავთვლით ურთიერთგამორიცხვის ურთიერთობას. ამ დროს, ალქმის მომენტში,  
ობიექტი და სუბიექტი დადებითად ურთიერთზემოქმედებენ; უფრო მეტიც, ისინი  
თითქოსდა ერთიანდებიან. ისეთი ფერმენის არსებობას, როგორიც ცნობიერებაა,  
მივყავართ დასკვნამდე, რომ ურთიერთობის ორ აბსოლუტურად განსხვავებულ  
ტერმინს იგივეობის წარმოქმნა შეუძლია. ეს შეიცავს წინააღმდეგობას და წარ-  
მოშობს პრობლემას. ასეთი წინააღმდეგობის პირისპირ ჩვენი გონება იბნევა. იგი  
მტკიცებიდან, რომ A არის B, ანყდება მტკიცებას, რომ A არ არის B, და პირი-  
ქით, და ასე – უსასრულოდ. ეს მერყეობანი გონებას ღლიან, სიმშვიდეს და წონას-  
წორობას უკარგავენ. მოჯადოებულ წრეს რომ თავი დააღნიოს, გონება ცდილობს,  
გადალახოს წინააღმდეგობა, ე. ი. პრობლემა გადაწყვიტოს. რა ვთქვათ წყალში  
ჩაშვებული ჯოხის გამო, – სწორია იგი თუ არა? ყოფნა-არყოფნა: აი, ესაა პრობ-  
ლემის მთელი არსი. „ყოფნა-არყოფნა: საკითხავი, აი, ეს არის“.

ამ კითხვასაც, ასე ვთქვათ, ორი იარუსი აქვს. ის ფაქტი, რომ ჩვენ შევიც-  
ნობთ, აღვიქვამთ ობიექტს, უჭველად შემდეგზე მეტყველებს: ეს ობიექტი (ჩვენს  
შემთხვევაში, მთა) ჩვენში „მდგომარეობს“. მაგრამ რა გზით უნდა შემოვიდეს ორი-  
ათასი მეტრის სიმაღლის მთა ცნობიერებაში, რომელიც სულაც არა სივრცე?  
პირველი რიგის საკითხი იმის გაგებას გულისხმობს, თუ როგორაა შესაძლებელი  
ცნობიერებაში ობიექტთა არსებობა.

მეორე რიგის საკითხი ეხება ცნობიერებაში ობიექტთა შემოსვლის მექანიზ-  
მის, მიზეზებისა და პირობების ასსნას. პრობლემის ეს ორი მხარე უნდა გაიმიჯნოს.  
არც ძველი, არც ახალი მსოფლიო ამას არ აკეთებდა. ისინი ერთმანეთში ურევდ-

ნენ თავად ფენომენის აღწერას და მის ახსნას. ვინმემ რომ გვკითხოს: „რა კაცია ხუანი?“, ჩვენ, ვიდრე ვუპასუხებდეთ, შევეცდებით იმაში გარკვევას, თუ ვინ არიას ეს ხუანი. ვიდრე ესპანეთში მიმდინარე მოვლენების მიზეზთა შესახებ ვიმსჯელებთ, სასურველია იმის გამორკვევას, მაინც რა ხდება კონკრეტულად.

ძველი დროის ადამიანისთვის სუბიექტსა და მის მიერ ალემულ ობიექტს შორის ურთიერთობა ანალოგურია ორ ფიზიკურ საგანს შორის ურთიერთობის, რომელთაგანაც ერთი, მეორესთან შეხების დროს, მასზე თავის დაღს ტოვებს. ცვილის ზედაპირზე თავისი სათუთი ანაბეჭდის დამამჩნეველი ბეჭდის მეტაფორა ღრმად გაჯდა ელინთა ცნობიერებაში და მრავალი საუკუნით განსაზღვრა ფილოსოფიურ იდეათა განვითარება. უკვე პლატონის „თეოტეტში“ საუბარია ეკმაგისი (ეკმაგეიონ)-ის, ესე იგი გასანთლული დაფის შესახებ, რომელზეც დამწერი წვერიანი საგნით აღადგენს ასოების მოხაზულობას. ეს სახე, არისტოტელეს მიერ გამეორებული ტრაქტატში „სულის შესახებ“ (წიგნი III, თავი IV), თავს გვახსენებს მთელი შუა საუკუნეების მანძილზე. ჩვენ მას ვხვდებით პარიზშიც და ოქსფორდშიც, სალამანკაშიც და პალუაშიც; მრავალი საუკუნეა უკვე, მასწავლებლები მას ყმან-ვილურ ტვინებში ნერგავენ.

ამ ინტერპრეტაციის თანახმად, სუბიექტი და ობიექტი ორი ფიზიკური საგანია. ისინი სამყაროში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იმყოფებიან და მხოლოდ ხანდახან შედიან ერთმანეთთან შემთხვევით კონტაქტში. ობიექტი არსებობს მანამ, სანამ ჩვენ მას ვხედავთ; იგი არსებობას განაგრძობს მაშინაც კი, როცა ჩვენი მხედველობის არქს ტოვებს; ცნობიერება ცნობიერებადვე რჩება მაშინაც, როცა მასში აზრი არაა და როცა იგი არაფერს აღიქვამს. თუ ცნობიერება და ობიექტი ერთმანეთს ეხებან, ეს უკანასკნელი მასზე თავის კვალს ტოვებს. გაცნობიერება – ესაა ანაბეჭდის აღება.

დახასიათებული მოძღვრების მიხედვით, სუბიექტსა და ობიექტს შორის არსებული ურთიერთობები რეალობის ფაქტს წარმოადგენს. ეს ურთიერთობები ისევე რეალურია, როგორც, მაგალითად, ორი ფიზიკური სხეულის შეჯახება. ამის გამო, ამ მოძღვრებას რეალიზმს უწოდებენ. ურთიერთობის ორივე ტერმინი ერთნაირად რეალურია – ობიექტიც და ცნობიერებაც, ასევე რეალურია თვით ეს ურთიერთობა. ერთი შეხედვით, ამ მოძღვრებაში, სუბიექტისა და ობიექტის სტატუსის განსაზღვრისას ვამჩნევთ, რომ სუბიექტის როლი მიჩქმალულია. აღიარება იმისა, რომ მატერიალურ ობიექტს თავისი კვალის დამჩნევა შეუძლია არამატერიალურზე, ნიშნავს მათი ბუნების გათანაბრებას ანუ ცვილისა და ბეჭდის ანალოგის სერიოზულობის ცნობას.

ასეთია მარცვალი, რომლიდანაც ძველი დროის ადამიანის მსოფლმხედველობა ამოიზრდება. მისთვის „ყოფინა“ ნიშნავს იმ ნივთთა სიმრავლეში არსებობას, რომლებიც ერთმანეთზე არიან დახვაცებული და სამყაროს გრანდიოზულ შენობას აგებენ. სუბიექტი სხვა არაფერია, თუ არა ერთ-ერთი ამ მრავალ საგანთაგანი; იგი, დანტეს თქმით, „ყოფიერების ზღვაშია“ ჩაძირული. მისი ცნობიერება პატარა სარკეა, რომელშიც არსებულის მოხაზულობანი აირეკლება. სამყაროს შესახებ ანტიკურ წარმოდგენაში „მე“ არ თამაშობს დიდ როლს. ბერძნები ამ სიტყვით საერთოდ არ სარგებლობდნენ თავიანთ ფილოსოფიურ თხზულებებში. პლატონს,

რომელიც თვლიდა, რომ ძალას ერთობა წარმოშობს, „ჩვენ“-ის თქმა ერჩივნა. ბერძნებიც და რომაელებიც ქცევის ნორმებს, ეთიკურ კანონს, კოსმოსთან ადამიანის შესაბამისობაში ეძებდნენ. სტოკოსები, რომლებმაც კლასიკური ტრადიცია იმემკვიდრეს, ასწავლიდნენ „ბუნებასთან თანხმიერ ცხოვრებას“, მის მსგავსად, მთლიანად და აუმღვრევლად ყოფნას. „მე“, თვალდავსილის წინგაშვერილი ხელი (არის-ტოტელე პირდაპირ სულის შედარებას ახდენს ხელთან), სამყაროს გზებს მოსინჯავს და წინსვლისთვის აუცილებელ ბილიკს კვალავს.

ალორძინებამ, რომელიც არ წარმოადგენდა ანტიკურობასთან დაბრუნებას, როგორც მრავალი ამტკიცებს ყურმოკურულით, გადალახა ეს მოძღვრება. იგი სუბიექტისა და ობიექტს შორის ურთიერთობის ინვერტირებას ახდენდა.

ცვილით დაფარული დაფის სახე შეუთავსებელია ცნობიერებაზე ალორძინების ხანის წარმოდგენასთან. როცა ბეჭედი ცვილის ზედაპირზე თავის კვალს ტოვებს, ჩვენი მხედველობის არეში ერთდროულად ორი ობიექტია მოქცეული – ბეჭედი და ანაბეჭდი, და შეგვიძლია, ისინი ერთმანეთს შევადაროთ. გარდა ამისა, როცა გუადარამას მთის ჯაჭვს ვუმზერთ, მხოლოდ ის შთაბეჭდილება არსებობს, რომელსაც ის ჩვენში იწვევს, მაგრამ არა თვით საგანი. ამ თვალსაზრისით, ჰალუცინაცია არ განსხვავდება ნორმალური ალქმისგან. ამიტომ სარისკოა იმის მტკიცება, რომ ობიექტები ჩვენი ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად არსებობენ. მათი არსებობის შესახებ მხოლოდ მაშინ ვებულობთ, როცა ისინი, ასეთუ ისე, ჩვენს ცნობიერებაში არსებობენ: როცა მათ ვხედავთ, წარმოვიდგენთ ან ვფიქრობთ მათ შესახებ. სხვა სიტყვებით: არ შეიძლება საკამათოდ იქცეს ის ფაქტი, რომ საგნები, რაღაც აზრით, ჩვენში იმყოფებიან; მაგრამ ყოველთვის საეჭვო და პრობლემატურია ჩვენს გარეშე მათი არსებობა. ამიტომ სიძრიყვეა უეჭველი ფაქტის გარკვევა საეჭვო დაშვებით. უთუო უტყუარობად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ იმის არსებობა, რაც ჩვენს ცნობიერებაში არსებობს. ნივთები, როგორც რეალობანი, კვდებიან, რათა აზრების სახით ალორძინდნენ. მაგრამ „აზრები“ სხვა არაფერია, თუ არა სუბიექტის მდგომარეობანი, „მე“-ს მდგომარეობანი, de moi même, qui ne suis qu'une chose qui pense (ფრანგ. „თავად ჩემი, რომელიც მოაზროვნე ნივთია“).<sup>3</sup> ამ თვალსაზრისით, ცნობიერებამ ანტიკურის საპირისპირო ინტერპრეტაცია უნდა მიიღოს. ბეჭდისა და ცვილისზედაპირიანი დაფის მეტაფორის სანაცვლოდ მოდის ჭურჭლისა და მისი შიგთავსის მეტაფორა. ობიექტები ცნობიერებაში გარედან კი არ შემოდიან, არამედ ისინი თვით მასში იმყოფებიან; ესაა იდეები. ახალ მოძღვრებას იდეალიზმი ეწოდება.

მკაცრად რომ ვთქვათ, ცნობიერება ანუ გაცნობიერება გვარეობითი ცნებაა. არსებობს გაცნობიერების მრავალი სახე. მაგალითად, ხედვა ან მოსმენა, ანუ ალქმა, სულაც არაა იგივეობრივი წარმოსახვისა ან, უბრალოდ, რაღაცის შესახებ ფიქრისა. ანტიკური ფილოსოფია გაცილებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გრძნობად ალქმას, რომლის პროცესშიც ობიექტი, რომელიც სუბიექტს უახლოვდება, მასზე თავის კვალს ტოვებს. ახალი დრო, საპირისპიროდ ამისა, წარმოსახვაზეა ორიენტირებული. მის კონცეპციაში ობიექტები კი არ მოძრაობენ სუბიექტის მიმართულებით, არამედ სუბიექტი თავად აღაგზნებს მათ თავის თავში. საკმარისია, მხოლოდ მოგვინდეს, და არარაობიდან კენტავრს შევქმნით, რომელიც და-

ოთხილი, გაზაფხულის ქარით ფაფარ და კუდაშლილი, გაქროლდება და ზურ-მუხტის ველებზე თეთრ ნიმფათა მოუხელთებელ აჩრდილებს დაედევნება. წარ-მოსახვა ქმნის და სპობს ობიექტებს, დეტალებისგან ამთლიანებს და ნაწილებად განფანტავს. რაკი ცნობიერების შინაარსი მასში გარედან ვერ შევა – მართლაც, როგორ შეიძლება, ჩემში მთა შემოვიდეს? – იგი (ეს შინაარსი) თავად სუბიექტში უნდა ჩაისახოს. ამგვარად, შემეცნება ხელოვნება.

ახალი დროისთვის დამახასიათებელია სწორედ ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობებისადმი უპირატესობის მინიჭება. გოეთე პირველობას ანიჭებს „იუპიტერის მშფოთვარე და მარადიული სიყმანვილით ნიშანდებულ ქალიშვილს – ფანტაზიას“. ლაიბნიცმა სინამდვილე დაიყვანა მონადამდე, რომელიც ერთადერთ თვისებას ფლობს – რეპრეზენტაციის შესაძლებლობას. კანტის მთელი სისტემა ბრუნავს დერძის გარშემო, რომელიც იქმნება წარმოსახვისადმი (Einbildungskraft) ადამიანის წინასწარი განწყობით. შოპენჰაუერმა გვაუწყა, რომ სამყარო ისაა, რას-აც ჩვენ წარმოვიდგენთ, – ფანტასმაგორიული ფარდა, მოქსოვილი იმ სახეებით, რომლებიც მას კოსმოსურმა სილრმეებმა გამოუგზავნეს. ვერც ახალგაზრდა ნიც-შემ ახსნა სამყარო სხვაგვარად, თუ არა როგორც მოწყენილი ქალღმერთის თამაში. „სამყარო – ესაა ძილი და კვამლი მარადდაუკმაყოფილებლის თვალებში“.

მაშ ასე, უეცრად ფორტუნა „მე“-სკენ საკუთარი სახით მობრუნდა. როგორც აღმოსავლურ ზღაპრებში ხდება, ღატაქმა პრინცის სახით გაიღვიძა. ლაიბნიცმა გაბედა და ადამიანს პატარა ღმერთი უწოდა. კანტმა „მე“ ბუნების უმაღლეს კანონ-მდებლად აქცია. ხოლო ფიხტემ, უკიდურესობებისადმი თავისი მიდრეკილებით, გამოაცხადა, რომ „მე ყველაფერია“.

### შენიშვნები:

1. უნდა აღინიშნოს, რომ, როცა არისტოტელებმ პლატონს ასეთი ბრალდება წა-უყენა, იგი მეტაფორის წინააღმდეგი სულაც არ ყოფილა. მან ყურადღება მიაქცია მხოლოდ იმას, რომ ზოგიერთი პლატონისეული ცნება (ისეთი, როგორიც იყო, მაგალი-თად, *participacion*, „მონაზილება“), რომელსაც პლატონი მკაცრ საზრისს ანიჭებდა, სინამდვილეში სხვა არაფერი იყო, თუ არა მეტაფორა.

2. სილვა – სალექსო ფორმა.

3. გასეტს მოაქვს დეკარტის სიტყვები „მეტაფიზიკური განაზრებებიდან“: „მე – ესაა ნივთი მოაზროვნე, ანუ ეჭვქვემ მყოფი, მამტკიცებელი, უარმყოფელი, ერთობ მცირედის მცოდნე და ბევრის არმცოდნე, მოყვარული, ზიზღის მქონი, მსურველი, არ-მსურველი, წარმომსახველი და მგრძნობიარე“.

**თარგმნა დავით ბარაბეკი.**

Ортега-и-Гассет. Две великие метафоры // Теория метафоры. М. 1990.  
Jose Ortega y Gasset, Two Big Metaphors // Theory of Metaphor. Moscow, 1990.  
Translated by **David Barabqadze**.

## ალან პირპი

### პოსტმოდერნიზმის სიკვდილი და შემდგომი ამბები

ინგლისური ლიტერატურის დოქტორი ალან კირბი, რომელიც ამჟამად ოქსფორდში ცხოვრობს, თანამედროვე ანუ პოსტ-პოსტმოდერნული ეპოქის უძნიშვნელოვანესი მკვლევარია. მისი როლი ისევე უკავშირდება მის მიერვე შემოტანილ და ბრწყინვალედ დასაბუთებულ ცნებებს „ფსევდო-მოდერნიზმი“ და „დიგიმოდერნიზმი“, როგორც დერიდას სახელია დაკავშირებული დეკონსტრუქციასთან, ბოდრიარის – სიმულაკრთან, დელიოზის და გვატარის სახელები – შიზოანალიზთან. კირბი არა მხოლოდ პოსტმოდერნის დასასრულზე საუბრობს, რაშიც ახალი არაფერი იქნებოდა, არამედ უშუალოდ თანამედროვე სულიერ სიტუაციას აღნერს. მისი დასკვნები ხაზგასმულად პესიმისტურია და კულტურასა და სოციოლოგიაში დამკვიდრებული მრავალი სტერეოტიპისა და სააზროვნო მოდელის გადაფასებას მოითხოვს. კირბი უარს ამბობს მორალურად განჩემდგომ მეცნიერულ ნეიტრალიზმზე. მასის ადამიანის თანამედროვე მდგომარეობას იგი განიხილავს, როგორც ვითომ თანა-შემოქმედი, თანა-შემქმნელი, ვითომ უსაზღვრო ძალაუფლებამინიჭებული, სინამდვილეში კი დაჩრდუნებული და ყოველმხრივ იოლად მანიპულირებული ადამიანის ჩამოყალიბების პროცესს. ეს კი წინ წამონევს თაობებს შორის ურთიერთობის, მოჩვენებითი აქტიურობის, მოჩვენებითი დემოკრატიისა და ბევრი სხვა საკითხის სრულიად ახლებური ინტერპრეტაციის საჭიროებას. კირბი დაასკვნის, რომ „ფსევდო-მოდერნიზმის ტიპური ინტელექტუალური ფორმებია უცოდნრობა, ფანატიზმი და განგაშის განცდა“ და „რომ ჩვენი ეპოქა ფანატიზმის საგანგაში იდეოლოგიის უდიდეს წესებს განიცდის. წინამდებარე სტატია პირველად 2006 წელს გამოქვეყნდა.“

თვალწინ მიდევს ერთი ბრიტანული უნივერსიტეტის ინგლისური ენის ფაკულტეტის მოდული, რომელიც მისი უებსაითიდან გადმოვქაჩე. იგი შეიცავს დავალებებს და ყოველკირეულად წასაკითხი მასალის სიას ფაკულტატური სასწავლო კურსისა „პოსტმოდერნული ლიტერატურა“, და თუ უნივერსიტეტის სახელწოდება აქ დასახელებული არ არის, არა იმიტომ, რომ მოდული ერთგვარად სამარცხვინოა, არამედ იმიტომ, რომ იგი მარჯვედ ასახავს მოდულებს ან მოდულთა წარმოაჩენს, რომლებიც უნდა ისწავლონ პრაქტიკულად, მთელი მსოფლიოს ინგლისური ენის ყველა ფაკულტეტზე მომავალ სასწავლო წელს. მოდულის აზრით, პოსტმოდერნიზმი ცოცხალია, ყვავის და აქტიურობა: მოდულში ნათქვამია, რომ იგი წარმოაჩენს „პოსტმოდერნისა და პოსტმოდერნულობის მთავარ საკითხებს და განიხილავს მათ ურთიერთობას თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურასთან“. ეს შესაძლოა ნიშნავდეს იმას, რომ პოსტმოდერნიზმი ჩვენი თანამედროვეა, მაგრამ სინამდვილეში იმას გვიჩვენებს, რომ იგი მკვდარია და დასაფლავებული.

პოსტმოდერნის ფილოსოფია ხაზს უსვამს ცოდნისა და მნიშვნელობის მოუხელთებლობას. ეს ხშირად გამოიხატება პოსტმოდერნულ ხელოვნებაში, როგორც ირონიულ თვითშემეცნებასთან დაკავშირებული საკითხი.

აზრი პოსტმოდერნიზმის დასრულების თაობაზე ფილოსოფიურად უკვე დასაბუთებულია. არიან ადამიანები, რომელებმაც ძირითადად დაამტკიცეს, რომ რომელიდაც დროის განმავლობაში გვჯეროდა პოსტმოდერნის იდეებისა. მაგრამ ან უკვე აღარ, და ამიერიდან ვაპირებთ კრიტიკული რეალიზმისა ვირწმუნოთ. ამ მსჯელობის სისუსტე ის არის, რომ იგი ყურადღებას ამახვილებს სამეცნიერო წრე-ებზე, იმ ფილოსოფოსთა პრაქტიკასა და ვარაუდებზე, რომელთაც ძალუბთ ან არ ძალუბთ პოზიციის თითქმის ან მთლიანად შეცვლა და, ბევრი მეცნიერი უბრალოდ გადაწყვეტს, რომ ურჩევნია ფუკოსთან (არქიპოსტმოდერნისტთან) დარჩეს და შემდეგ რამე სხვაზე გადავიდეს. თუმცა, იმ შეუვალ დასკვნამდე მისვლაც შეიძლება, რომ პოსტმოდერნიზმი მოკვდა, თუმცი სამეცნიერო წრეების მიღმა გავიხედავთ და თანამედროვე კულტურულ პროდუქტს შევავლებთ თვალს.

ბევრი სტუდენტი, რომელიც ამ წელს „პოსტმოდერნულ ლიტერატურას“ აირჩივს, 1985 ან შემდეგ წლებში უნდა დაბადებულიყო. მოდულის ყველა ძირითადი ტექსტი, ერთის გარდა, გამოქვეყნებულია სხვა სამყაროში, მანამ, ვიდრე სტუდენტები დაიბადებოდნენ: „ფრანგი ლეიტენანტის საყვარელი“, „ცირკში გატარებული დამეები“, თუ „მოგზაური ზამთრის ერთ დამეს“, „ოცნებობები თუ არა ანდროიდები ელექტრონულ ცხვარზე“ (და „ბასრი მორბენალი“), „თეთრი ხმაური“: ეს დედიკუებისა და მამიკონის კულტურას. ზოგი ტექსტი („ბაბილონის ბიბლიოთეკა“) დაწერილია ჯერ კიდევ იმ დროს, როცა მათი მშობლები დაიბადნენ. შეცვალეთ ეს მარაგი პოსტმოდერნის სხვა მიმდევართა ნაწარმოებებით – „საყვარელი“, „ფლობერის თუთიყუში“, „წყლის ქვეყანა“, „ლოტი 49“, „გაფითორებული ალი“, „სლოთერპაუსი-ხუთი“, „ლანარკი“, „ნეირომანტი“, ბ. ს. ჯონსონის რომელიდაც ნაწარმოები – და იმავე სურათს იხილავთ. ყოველივე ეს იმგვარადვე თანამედროვეა, რაგვარადაც – „სმიტები“ და სამხრეები, იმგვარივე მხატვრული მოვლენაა, როგორიც – ბეტა-მაქსის ვიდეო მაგნიტოფონი. ეს ის ტექსტებია, რომლებიც როკმუსიკისა და ტელევიზიის შესავინროებლად გაჩნდნენ. მათ ოცნებაც კი არ შეეძლოთ ტექნოლოგიებისა და მედიაკომუნიკაციების იმ შესაძლებლობებზე – მობილურ ტელეფონებზე, ი-მეილზე, ინტერნეტზე, კომპიუტერზე ყველა სახლში... (ეს ადამიანის მთვარეზე გაფრენის ტოლფასი იყო) – რომლებიც დღევანდელ სტუდენტობას საჩუქრად ერგო.

პოსტმოდერნული მხატვრული ლიტერატურის ამსახველი ბრიტანული მოდულების მოძველებულობის მიზეზი ის არის, რომ ისინი არავის განუახლებია. თვალი შეავლეთ კულტურულ ბაზარს: იყიდეთ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში დაბეჭდილი რომანები, ნახეთ ოცდამერთო საუკუნის კინო, მოუსმინეთ ბოლოდროონდელ მუსიკას – ბოლოს და ბოლოს, უბრალოდ, დაჯექით და უყურეთ ტელევიზორს ერთი კვირის განმავლობაში – და თქვენ ძლივს თუ აღმოაჩენთ პოსტმოდერნიზმის კრომას. ამგვარადვე, მავანი შეიძლება დაესწროს ლიტერატორთა კონფერენციას (როგორც მოვიქეცი მე ივლისში) და ყური მიუგდოს მოხსენებებს, რომლებშიც არაფერია ნათქვამი თეორიულ საფუძვლებზე, დერიდაზე, ფუკოზე,

ბოდრიარზე. მოძღვრებათა უგულებელყოფის, უძლურებისა და არარელევანტურობის განცდის გარდა სწავლულთა შორის პოსტმოდერნიზმის ჩავლაც დასტურდება. ადამიანებს, მწარმოებელთ კულტურული მასალისა, რომელსაც კითხულობენ, უსურებენ და უსმენენ სწავლულები და არასწავლულები, პოსტმოდერნიზმისთვის უბრალოდ თავი გაუნებებიათ. ისეთი შემთხვევეითი მეტამხატვრული თუ თვითშემეცნებითი ტექსტიც კი, რომელიც ფართოდ გავრცელებულ გულგრილობას გამოხატავს, როგორიცაა ბრეტ ესტონ ელის „ლუსპარკი“, მოდერნისტული ნოველები, შემდეგ რომ გამოჩნდნენ და დიდი ხანია, გადავიწყდათ, ასევე 1950 და 60-იან წლებში დაიწერა.

ერთადერთი ადგილი, სადაც პოსტმოდერნიზმი შენარჩუნებულია, საბავშვო მულტილებია, ისეთი, როგორებიცაა „შერეკი“ და „უჩვეულონი“. ეს გახლავთ მშობლებისათვის გაღებული ხარკი, რომელთაც თავიანთ შვილების გვერდით დროის გატარება უვალდებულიათ. ეს ის დონეა – სადაც პოსტმოდერნიზმის დაცემა მოხდა – პოპულტურაში შემორჩენილი მარგინალურ მასხარათა წყარო, რომლის სამიზნე რვა წლამდე ბავშვები არიან.

## რა არის პოსტმოდერნიზმი?

მწამს, რომ ეს უფრო მეტზე მიანიშნებს, ვიდრე კულტურული მოდის უბრალო ცვლილება. ენა, რომლის მეტვეობითაც ძალაუფლება, ცოდნა, ინდივიდუალობა, რეალობა და დრო შეიცნობოდა, შეიცვალა, უეცრად და საბოლოოდ. ახლა წყალვარდნილი ჰყოფს ლექტორთა უმრავლესობას და მათ სტუდენტებს, რომლებიც ენათესავებოდნენ იმათ, ვინც 1960-იან წლების ბოლოს გამოჩნდნენ, მაგრამ არა – ამავე სახის მიზეზის გამო. მოდერნიზმიდან პოსტმოდერნიზმზე გადანაცვლებას საფუძვლად არ დასდებია რომელიმე ღრმა კულტურული პროდუქციისა და რეცეპციების გადასხვაფერება. ყოველივე, რაც მოხდა, რიტორიკულად რომ გავაზიადოთ, ის იყო, რომ ზოგმა, ვინც ერთხელ წაიკითხა „ულისე“ და „შუქურისაკე“, სანაცვლოდ დაწერა „გაფითორებული ალი“ და „სისხლიანი დარბაზი“. მაგრამ დაახლოებით, 1990-იანი წლების ბოლოსა თუ 2000-ის დამდეგს ახალი ტექნოლოგიების წარმოჩენას ავტორისა და მისი ბუნების, მკითხველისა და ტექსტის, მათ შორის ურთიერთობის ნაძალადევი და სამუდამო რესტრუქტურირება მოჰყვა.

პოსტმოდერნიზმმა, ისევე, როგორც მოდერნიზმა და მანამდე – რომანტიზმმა, გააფეტიშა (ანუ უაღრესად დიდი მნიშვნელობა მიანიჭა) ავტორს, მაშინაც კი, როცა ავტორმა არჩია, გაეკრიტიკებინა ან თავი მოეჩვენებინა, რომ გააუქმა საკუთარი სტატუსი. დღევანდელი კულტურა კი აფეტიშებს ტექსტის მიმღებს, რამდენადაც ის იქცა ნაწილობრივ ან სრულ ავტორად. ოპტიმისტმა, შესაძლოა, ეს კულტურის დემოკრატიზაციად მიიჩნიოს. პესიმისტი კი ყურადღებას გაამახვილებს მტანჯველ ბანალობასა და ახლად წარმოქმნილი კულტურული პროდუქტის სიცარიელეზე (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც).

ნება მომეცით, აგისხნათ. პოსტმოდერნიზმა თანამედროვე კულტურა გაიგო როგორც სანახაობა, რომელსაც უძლური ინდივიდი უცქერს და რომლითაც

რეალობისადმი დასმული კითხვები პრობლემატიზდება. შესაბამისად, ეს აქცენტი ირდებოდა ტელევიზიასა და კონოეკრანზე. მისი მემკვიდრე, რომელსაც ფსევდო-მოდერნიზმს დავარქებული პროდუქტის შესაქმნელად ინდივიდის ქმედებას აუცილებელ პირობად მიიჩნევს. ფსევდო-მოდერნიზმი გულისხმობს ყველა ტელე თუ რადიოპროგრამას ან პროგრამების ნაწილს, ყველა „ტექსტს“, რომელთა შინაარსს და დინამიკას იგონებს ან წარმართავს მონაწილე მაყურებელი და მსმენელი (თუმცა, ეს უკანასკნელი ტერმინები, თავიანთი პასურობითა და „მიღებაზე“ ხაზგასმით, მოძველებულია: ვგულისხმობ რომელიმე „**Big Brother**“-ის ყურებისას ტელეფონით ხმის მიცემას ან ფეხბურთის გულშემატკივრის სატელეფონო ზარს 6-0-6-ზე: ამ დროს მაყურებელი ან მსმენელი მხოლოდ მაყურებელი ან მხოლოდ მსმენელი არ არის).

განსაზღვრების თანახმად, ფსევდო-მოდერნული კულტურული პროდუქტი შეუძლებელია არსებობდეს, და ის არც არსებობს, თუ მასში ინდივიდი ფიზიკურად არ არის ჩართული. „დიდი მოლოდინი“ მატერიალურად მაინც იარსებებს, ვინმე მას წაიკითხავს, თუ – არა. როცა დიკენსმა მისი წერა დაასრულა და გამომცემელმა მზის სინათლე ახილვინა, მისი მატერიალური ტექსტუალიზება – სიტყვათა მისმიერი შერჩევა – შედგა და დასრულდა იმის მიუხედავად, ხალხი ტექსტის როგორ ინტერპრეტაციას აიტაცებდა, ნებისმიერი დაიმახსოვრებდა, თუ – არა. მისი მატერიალური პროდუქტულობა და მისი შედგენილობა დაადგინეს მხოლოდ მისმა მოწოდებლებმა, ანუ – ავტორმა, გამომცემელმა და ა.შ. მკითხველი მხოლოდ შინაარსის მბრძანებელი გახდა. Big Brother კი, როგორც ტიპური ფსევდომოდერნული ტექსტი, მატერიალურად ვერ იარსებდა, თუ კონკურსანტების სასარგებლოდ ვინმე არ დარეკავდა და ხმას არ მისცემდა. ამგვარად, ხმის მიცემა პროგრამის მატერიალური ტექსტუალიზების ნაწილია – მაყურებელი, რომელიც ტელეფონით რეკავს, ამავე დროს, პროგრამის „შემქნელიცაა“. ასე რომ არა, იგი ზეპუნებრივი ქმედების ძალით ენდი უორპოლის ფილმს დაემსგავსებოდა: ნევროზული, ახალგაზრდა ექსპიბიციონისტი ინერტულად მოჰყვებოდა გინებას და ოთახში უმიზნო საუპარს საათების განმავლობაში. ამგვარად, რაც Big Brother-ს იმად აქცევს, რაც არის, მაყურებლის სატელეფონო ზარია.

ფსევდო-მოდერნიზმი ასევე მოიცავს თანამედროვე საინფორმაციო პროგრამებს. მათი არსი დიდწილად გულისხმობს მეილებსა და ტექსტურ შეტყობინებებს, რომლებიც კომენტირებულ ახალ ამბებს ახლავს. ტერმინი „ინტერაქტიურობა“ ამ შემთხვევაში თანაბრად შეუსაბამოა, ვინაიდან აქ არ არის „გაცვლა“: ამის წაცვლად მაყურებელი ან მსმენელი „შემოდის“ – წერს პროგრამის სეგმენტს, – შემდეგ „გადის“, თავის პასიურ როლს უბრუნდება. ფსევდო-მოდერნიზმი ასევე შეიცავს კომპიუტერულ თამაშებს, რომელიც, წინარეს მსგავსად, ინდივიდს კონტექსტში ათავსებს, სადაც, წინასწარ მოფიქრებული სქემით, იგი კულტურულ შინაარსს იგონებს. ყველა ამ ინდივიდუალური ქმედების – თამაშის – შინაარსის ცვლილება ცალკეულ მოთამაშეზეა დამოკიდებული.

ფსევდო-მოდერნული კულტურის ფენომენის ტიპური გამოვლინებაა ინტერნეტი. მისი ცენტრალური ქმედება ის არის, რომ ინდივიდი ანკაპუნებს თავის მაუსს ერთი გვერდიდან მეორეზე გადასასვლელად, თანაც ისე, რომ ამის ზუსტად

გამეორება შეუძლებელია, გზას იკვლევს კულტურულ პროდუქციაში, რომელიც მანამდე არასოდეს არსებულა და არც იარსებებს. ეს კულტურული პროცესის ისეთი ინტენსიური კავშირია, რომელსაც ვერანაირი ლიტერატურა ვერ შემოგვთავაზებს, და ჰერცებს უცილო აზრს (ან იღუზიას) ინდივიდუალური კონტროლისა, მართვისა, მუშაობისა, ინდივიდის ჩართულობისა კულტურული პროდუქციის შექმნაში. ინტერნეტგვერდები ისე არ ავტორიზდება, რომ ვინმებ შეიტყოს, ვინ შექმნა ისინი ან ვინ ზრუნავს მათზე. მათი უმრავლესობა ან თხოვს ინდივიდს, რომ მათზე იმუშაოს Streetmap-ისა და Rout Planner-ის მსგავსად, ან ნებას რთავს, დაამატოს რამე, როგორც ყიყაპედიაში, ფიდექში ან, მაგალითად, უებსაიტის შექმნისას. ყველა შემთხვევაში, ინტერნეტისთვის ნიშანდობლივია, რომ თქვენ იოლად შექმნათ თქვენი გვერდი (ანუ ბლოგი).

თუ ინტერნეტი ანდა მისი გამოყენება განსაზღვრავს და აბატონებს ფსევდო-მოდერნიზმს, ახალმა ერამ უკვე განაახლა მოძველებული ფორმები. ფსევდო-მოდერნული ხანის კინო უფრო და უფრო ემსგავსება კომპიუტერულ თამაშებს. კინოსახეები, რომლებიც ოდესლაც სინამდვილიდან მოვიდნენ ჩარჩოში ჩასმულები, განათებულნი, გასააუნდტრეკებულნი და გარედაქტირებულნი გონებამახვილი რეჟისორების მიერ, რომლებიც მაყურებლის ფიქრებისა და ემოციების გზამკვლევობას კისრულობდნენ, ახლა დიდწილად კომპიუტერის მეშვეობით იქმნება. და ადამიანები უყურებენ ამას. თუ სპეციალური ეფექტები იმიტომ გამოიგონეს, რომ დაუჯერებელი დამაჯერებლად ექციათ, CGI ხშირად (გაუაზრებლად) იმისთვის ირჯება, რომ შესაძლებელი ხელოვნურად გამოიყურებოდეს, როგორც ეს ხდება „ბეჭდების მბრძანებელსა“ და „გლადიატორში“. ბრძოლები, რომლებშიც ათასობით ინდივიდი იყო ჩართული, მართლაც მოხდა; ფსევდო-მოდერნული კინო კი მათ ისე წარმოაჩენს, თითქოს მათი მოხდენა მხოლოდ ვირტუალურ სივრცეში ყოფილიყო შესაძლებელი. და ამრიგად, კინომ კულტურული საფუძველი მხოლოდ უბრალოდ კომპიუტერს კი არ ჩაყარა, როგორც მის სახეთა გენერატორს, არამედ – კომპიუტერულ თამაშებს, როგორც – მაყურებელთან მისი ურთიერთობის მოდელს.

ამის მსგავსად, ფსევდო-მოდერნული ხანის ტელევიზიას პატივში ჰყავს არა მხოლოდ Reality TV (ეს კიდევ ერთი უცხო ტერმინი!), არამედ კომერციული არხები, ან ვიქტორინები, რომლებშიც ფულის მოგებით დაიმედებული მაყურებელი სწორი პასუხის სათქმელად რეკავს. ტელევიზია ასევე სწყალობს ისეთ ფენომენებს, როგორებიცაა Ceefax და Teletext. მაგრამ ამ ახალი ვითარების გამო მოთქმა-გოდების ნაცვლად გაცილებით გამოსადეგი იქნებოდა, თუ თანამედროვე საინფორმაციო საშუალებებს კულტურულ მიღწევებად გარდავქმნიდთ. საგულისხმოა იმის შემჩნევაც, რომ ფორმა შეიცვლება თუ არა (Big Brother შეიძლება გამოიფიტოს!), მნიშვნელობა არა აქვს: ტერმინები, რომლებითაც ინდივიდები დაკავშირებული არიან თავიანთ ტელეეკრანთან და იმასთან, რასაც ხშირად მაუწყებლები გვიჩვენებენ, უდავოდ შეიცვალა. ტელევიზიის უბრალო საყურებელი ფუნქცია, ისევე, როგორც ხელოვნების ყველა სხვა დარგისა, მარგინალურად იქცა: ახლა მაყურებელს, ოდესლაც რომ მიღლებს ეძახდნენ, ევალება, დაკავებული, აქტიური, გამომგონებელი იყოს. იგი ყველაფერი ამით თავს ძალმოსილად გრძნობს, და ეს მართლაც აუცილებელია; ტრადიციული „ავტორი“ დაყვანილ იქნა იმის სტატუსამდე, კინც

ან ადგენს პარამეტრებს, რომელთა ფარგლებშიც სხვები მოქმედებენ, ან ხდება უბრალოდ არარელევანტური, უცნობი, მეორეხარისხოვანი; ამასთან, „ტექსტისთვის“ ნიშანდობლივია როგორც ჰიპერ-ეფექტულობა, ისე – არასტაბილურობა. ეს „მაყურებლის“ დამსახურებაა. ეს რომ არ მოშხდარიყო, თქვენ ვერ წაიკითხავდით „მიდლმარჩს“ 118-ე გვერდიდან 316-მდე, 401-მდე 501-მდე, მაგრამ თქვენ შეძლებდით Ceefax-ის წაკითხვას.

ფსევდო-მოდერნული ტექსტი განსაკუთრებულად ცოტა ხანს ძლებს. ასე რომ არა, ვთქვათ, „Fawlty Towers“, სატელევიზიო რეალითი პროგრამები თავიანთი ორიგინალური ფორმით აღარ განმეორდებოდა, სატელეფონო გადაცემა ხელმეორედ აღარ წარმოიქმნებოდა, სატელეფონო შესაძლებლობების გარეშე კი რეალითი შოუ განსხვავებულ და გაცილებით ნაკლებმომხიბლავ არსებად გადაიქცეოდა. Ceefax ტექსტი რამდენიმე საათის შემდეგ კვდება. თუ მეცნიერები დამოწმებულ ინტერნეტგვერდებს ათარიღებენ, მხოლოდ იმიტომ, რომ გვერდები უჩინარდება ან რადიკალური სისწრაფით იცვლება. ტექსტუალური მესიჯების ან ი-მეილების თავიანთი ორიგინალური ფორმით შენახვა უკიდურესად რთულია. ი-მეილების ამობეჭდვა მათ თითქოს წერილის მსგავს სტაბილობას ჰმატებს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მათი არსობრივი, ელექტრონული მდგომარეობა ნადგურდება. რადიოში ტელეფონით დარეკვის, კომპიუტერული თამაშების შენახვის ვადა მცირეა, ისინი ძალიან მალე ძველდება. ასეთ რამეებზე დამყარებულ კულტურას მახსოვრობა არ გააჩნია - რასაკვირველია, არ ვგულისხმობ წინამავალ მძიმედსატარებელ კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც მიიღო მოდერნიზმა და პოსტმოდერნიზმა. ბერნი და აქროლვადი ფსევდო-მოდერნიზმი, ამგვარად, ამნეზიურიცაა: ეს არის ამ მომენტში (ამჟამად) მიმდინარე კულტურული ქმედებები, რომელთაც არც წარსული გააჩნიათ, არც – მომავალი.

ფსევდო-მოდერნული კულტურული პროდუქცია ასევე გამორჩეულად ბანალურია, რაზეც უკვე მივანიშნე. ფსევდო-მოდერნული ფილმების შინაარსი, არსებითად, იმ ქმედებებისკენაა მიღრეკილი, რომლებიც წარმოქმნიან და ამთავრებენ ცხოვრებას. სცენართა უმწიფარი პრიმიტივიზმი თანამედროვე კინოს ტექნიკური ეფექტების გამოცდილების მკაცრი კონტრასტით. მესიჯებისა და ი-მეილების ტექსტთა უმრავლესობა მოსაწყენია იმასთან შედარებით, რითაც განათლებული ადამიანები თავიანთ წერილებს ავსებენ. ყველგან ტრივიალობა და სიმწირე ბატონობს. ფსევდო-მოდერნული ერა, ჯერჯერობით მაინც, კულტურული უდაბნოა. თუმცა ჩვენ შეგვიძლია ავაყვავოთ იგი ახალი ტერმინების გამოყენებით, რომლებსაც შევუთანადებთ მნიშვნელოვან არტისტულ მხატვრულ გამოთქმებს (რის შედეგადაც, დამაკნინებელი იარლიყი, რომლითაც ფსევდო-მოდერნიზმი შევამკე, უკვე შესაბამისი აღარ იქნება). ახლა ჩვენ ადამიანური ქმედების ის ქარიშხალი გვებრძვის, რომელიც, რომელიმე მყარი განგრძობითი ან თუნდაც წარმომქნელი კულტურული ფასეულობის თვალსაზრისით, ისეთი რაიმეს მნიშვნელობით, რომელსაც ადამიანები ორმოცდაათი ან ორასი წლის განმავლობაში არაერთხელ შეაფასებენ, ვერაფერს შობს.

ფსევდო-მოდერნიზმის ფესვები შეიძლება წლების წიაღში, პოსტმოდერნიზმის ბატონობის ხანაში დაიძებნოს. საცეკვაო მუსიკა და ინდუსტრიული პორ-

ნოგრაფია, მაგალითად, უკანასკენელი 70-იანი და 80-იანი წლების პროდუქცია, ეფემერულობისაკენ, მნიშვნელობის სიფუცისაკენაა მიღრეკილი. იგი არაავტორიზებულია (ცეკვა უფრო მეტად, ვიდრე – პოპი ან როკი). ასევე, წინა პლანზე გამოაქვთ მათი „რეცეპციის“ ქმედება: საცეკვაო მუსიკა საცეკვაოდ არსებობს, პორნო კი არ უნდა წაკითხო ან უყურო, არამედ უნდა გამოიყენო. ამ თვალსაზრისით, იგი წარმოქმნის ფსევდო-მოდერნულობის მონაწილეობის ილუზიას. მუსიკაში ფსევდო-მოდერნი ჩანაცვლებულია რომელიმე ცნობილი შემსრულებლის ალბომით, როგორც მონოლითური ერთიანი ტექსტით; მსმენელის მიერ ინდივიდუალური ტრეკების იოდ-ზე ატვირთისა და დამიქსვის ნამდვილი პროტოტიპი იყო ერთი თაობის წინ მუსიკის მოყვარულთა მიერ შეგროვებული მუსიკალური კომპლაციები. მაგრამ ცვლილება მოხდა იქ, სადაც ფანის მარგინალური დროისტარება გაბატონებულად იქცა. ეს არის მუსიკის მოხმარების გარკვეული საშუალება, როცა რომელიმე ალბომის რენდერიზების იდეა ხელოვნების ნიმუშად ითვლება, როცა ინტეგრალური მნიშვნელობის ქქონე სხეული ქრება.

ამ თვალსაზრისით, ფსევდო-მოდერნიზმი სხვა არაფერია, თუ არა იმ რა-ლაცის ტექნოლოგიურად მოტივირებული გადანაცვლება კულტურულ ცენტრზე, რაც უკვე არსებობდა (ამის მსგავსად, მეტალიტერატურა უკვე არსებობდა, მაგრამ ისე გაფეტიშებული არ იყო, როგორც ეს პოსტმოდერნიზმა მოახდინა). ტელევიზია ყოველთვის იყენებდა აუდიოტორიის მონაწილეობას, ისევე, როგორც თეატრი ან სხვა პერფორმაციული ხელოვნება; მაგრამ როგორც ერთ-ერთ ვარიანტს, და არა – აუცილებლობას: ფსევდო-მოდერნულმა ტელეპროგრამებმა აუდიოტორიის მონაწილეობა საკუთარ თავზე დააფუძნეს. ასევე, დიდი ხნის განმავლობაში არ-სებობდა ძალზე „აქტიური“ კულტურული ფორმებიც, კარნავალიდან ვიდრე პანტომიმამდე. მაგრამ არც ერთ მათგანს არ უგულისხმია დაწერილი ან რამენაირი მატერიალიზებული ტექსტი, და ამგვარად, ისინა ცხოვრობდნენ იმ კულტურის პერიფერიაში, რომელმაც გააფეტიშა ასეთი ტექსტები – მაშინ, როცა ფსევდო-მოდერნული ტექსტი, მისთვის ნიშანდობლივი ყველა თავისებურებით, დგას, როგორც ცენტრალური, გაბატონებული, პარადიგმატული ფორმა დღევანდელი კულტურული პროდუქციისა, თუმც კულტურამ, მიუხედავად მისი მარგინალურობისა, მაინც იცის სხვა ფორმები. ამ სხვა სახეობათა „პასიურობა“ უნდა გაექცეს სტიგმას ფსევდო-მოდერნული „აქტიურობის“ ფონზე. კითხვას, მოსმენას, ყურებას ყოველთვის ჰქონდა მოღვაწეობის საკუთარი არსი და ბუნება. მაგრამ ფსევდო-მოდერნულ ტექსტთა წარმომქნელის ფიზიკურობამ და იმ გარემოებამ, რომ მან აუცილებლად უნდა შექმნას ტექსტთა კრებული, იგი გააბატონა: ამან შეცვალა ძალაუფლების კულტურული ბალანსი (გაითვალისწინეთ, წარსულის ეს გიგანტები – კინო და ტელევიზია – როგორ უხრიან ქედს მათ). იგი აყალიბებს ოცდამეერთე საუკუნის სოციალურ-ისტორიულ-კულტურულ პეგემონიას. მეტიც, ფსევდო-მოდერნის საქმიანობა საკუთარი სფერიფიკურობით ხასიათდება: ის ელექტრონული და ტექსტუალურია, მაგრამ – ეფემერული.

## დაწესებულება ცვლილებებზე

პოსტმოდერნიზმში მავანი კითხულობდა, უყურებდა, ისმენდა, როგორც ადრე. ფსევდომოდერნიზმში მავანი რეკავს, აწეაპუნებს, ღილაკს აწვება, ერთი საიტიდან მეორეზე გადადის, ირჩევს, მოძრაობს, ტვირთავს. საქმე გვაქვს თაობებს შორის ინტერვალთან, რომელიც დაუდევრად აცალკევებს ხალხს, ვინც 1980 წლამდე ან მას შემდეგ დაიბადა. ვინც უფრო გვიან იშვა, თავისი ტოლები შეეძლო მიეჩნია თავისუფლებად, ავტონომიურებად, ექსპრესიულებად, დინამიკურებად, ძლიერებად, დამოუკიდებლებად, მათი უნიკალური ხმა ისმოდა და ისმინებოდა: პოსტმოდერნიზმი და ყველაფერი, რაც მანამდე იყო, პირიქით, შეფასდება ელიტურ, მოსაწყენ, გაუცხოებულ და უნდილ მონოლოგად, რომელიც თრგუნავს და ნიღბავს ადამიანებს. 1980 წლამდე დაბადებულები შესაძლოა, განხილულ იქნენ არა ადამიანებად, არამედ – თანამედროვე ტექსტებად, რომლებიც ხან სასტიკი არიან, ხან – პორნოგრაფიულნი, ხან ირეალურნი, ხან – ბანალურნი, ხან უგემოვნონი, ხან – კონფორმისტები, ხან მომხმარებელნი, ხანაც – უაზრონი და უგუნურნი (იხ. სიბრივყვები, ვთქვათ, ვიკიპედიის რომელიმე გვერდზე ან უშინაარსობანი Cee-fax-ზე). ის, რაც ფსევდო-მოდერნიზმამდე იყო, დიდწილად შეფასდება გონიერების, შემოქმედების, ამბოხისა და ჭეშმარიტების ოქროს ხანად. აქედან გამომდინარე, სახელწოდება „ფსევდო-მოდერნიზმი“ ასევე შეიცავს დაძაბულობას ტექნოლოგიურ საშუალებათა სინატიფესა და მათ მიერ გადმოცემული შინაარსის ბანალობასა თუ უგუნურებას შორის – კულტურული მომენტი შეჯამებულია მობილური ტელეფონების მომხმარებელთა გონებაშეზღუდულობით, რომელიც დაახლოებით ასე ჟღერს: „ავტობუსში ვარ“.

პოსტმოდერნიზმი „რეალობას“ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა, ფსევდო-მოდერნიზმი კი სინამდვილეს განსაზღვრავს მთლიანად ჩემ-ად, ახლა-დ, საკუთარ ტექსტებთან „ინტერაქციად“. მაშასადამე, ფსევდო-მოდერნიზმის აზრით, რასაც იგი ქმნის ან აკეთებს, მხოლოდ ის არის სინამდვილე, და ფსევდო-მოდერნულ ტექსტს, თითქოს, რეალურად ძალუძღეს გაფურჩქვნა ძალზე მარტივი ფორმით: ხელის კამერით გადალებული დოკუმენტური საპნის ოპერებით (რომელიც აჩვენებს შეშფოთებულ ინდივიდებს და მაყურებელს თანამონანილების ილუზიას უქმნის); „ოფისით“ და „ბლერის მოჯაღობული პროექტით“, ინტერაქტიური პორნოგრაფიითა და რეალიტი ტვ-თი; მაიკლ მურისა და მორგან სპარლოკის ესეების-ტური კინოთი.

სინამდვილის ამგვარ ხედვასთან ერთად, ცხადია, რომ ინტელექტუალურ შეხედულებათა დომინანტური სისტემა შეიცვალა. როცა პოსტმოდერნიზმის კულტურული პროდუქტი გადაეცა იმავე ისტორიულ სტატუსს, როგორებიც მოდერნიზმი და რომანტიზმი იყო, მისი ინტელექტუალური ტენდენციები (ფემინიზმი, პოსტკოლონიალიზმი და ა. შ.). ახალ ფილოსოფიურ გარემოში იზოლირებული აღმოჩნდნენ. სამეცნიერო წრები, განსაკუთრებით, ბრიტანეთში, დღესდღეობით ისე გაუტაცია საბაზრო ეკონომიკაში ძალების მოსინჯვასა და ვარაუდების გამოთქმას, რომ გამორიცხულია, ლექტორებმა თავიანთ სტუდენტებს განუცხადონ, რომ ისინი პოსტმოდერნულ სამყაროში ცხოვრობენ, სადაც იდეოლოგიათა, მსოფლალ-ქმათა

და ხმათა სიმრავლეში ვინმემ შეიძლება მათიც გაიგონოს. მათ ყოველ ნაბიჯს საბაზრო ეკონომიკა განსაზღვრავს, ლექტორებს არ ძალუდთ, იქადაგონ მრავალფეროვნება, როცა მათ სიცოცხლეზე განსხეულებული ფანატიზმი ბატონობს. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში სამყარო ინტელექტუალურად დავიწროვდა. ლიოტარმა დიდი ნარატივების გაფერმკრთალება შეამჩნია, ფსევდო-მოდერნიზმი კი ხედავს, გლობალიზებული მსოფლიო ეკონომიკის იდეოლოგიამ როგორ მიაღწია ერთპიროვნულის დონეს და ყოველგვარი სოციალური მოღვაწეობის უძლიერეს რეგულატორად – ყოვლის შთანმთემელ, ყოვლის ამხსნელ, ყოვლის სტრუქტურებად დამანანერებელ – მონოპოლიზმად ჩამოყალიბდა, რასაც უსიამოვნოდ შენიშნავენ სწავლულები. ფსევდო-მოდერნიზმი, რა თქმა უნდა, მომხმარებელი და კონფირმისტია, ის არის მიზეზი, რომლის გამოც სამყაროს გარს ისე უნდა უარო, თითქოს ის გაეჩუქებინოთ, ან გაეყიდოთ.

მეორეც: მაშინ, როცა პოსტმოდერნიზმა გააღმერთა ირონიულობა, ინფორმირებულობა და თამაში, თავიანთი ალუზიებით ცოდნაზე, ისტორიასა და ამბივალენტურობაზე, ფსევდო-მოდერნიზმის ტიპური ინტელექტუალური ფორმებია უცოდინრობა, ფანატიზმი და განგაშის განცდა: ბუში, ბლერი, ბინ ლადენი, ლე პენი და მისი მსგავსი, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, უფრო მრავალრიცხოვანი, მაგრამ უფრო ნაკლებალმოსილი მასები. ფსევდო-მოდერნიზმი მიეკუთვნება სამყაროს, რომელიც აღსავსეა ამერიკის შეერთებული შტატების რელიგიურ ფანატიკოსთა სეგმენტის, თითქოს სეკულარული, მაგრამ სინამდვილეში ჰიპერ-რელიგიური ისრაელისა და მთელ პლანეტაზე მიმოფანტულ მუსლიმთა ფანატიკური ქვეჯგუფის ურთიერთქიშპონით: ფსევდო-მოდერნიზმი არ შობილა 2001 წლის 11 სექტემბერს, მაგრამ პოსტმოდერნიზმი კი დაიმარხა იმ ნანგრევებში. ამ კონტექსტში, ფსევდო-მოდერნიზმი მუკლუგუნით აქტიური ფანტასტიკურად ნატიფ ტექნოლოგიას, მისდიოს შუა საუკუნეობრივ ბარბაროსობას – ინტერნეტში თავის კვეთის სცენებით აღსავსე ვიდეოების ატვირთვითა და მობილური ტელეფონით ციფებში მოწყობილი ტანჯვა-წამების გადაღებით.

ამას გარდა, ყველას უნევს ორცეცხლშუა ყოფნა და ამ ძრწოლის გამოცდა. მაგრამ ეს ფატალისტური ძრწოლა გეოპოლიტიკას და თანამედროვე ყოფის ყველა ასპექტს სწოდება; ეს გახლავთ სოციალური დაცემისა და იდენტობის დაკარგვის შიში; ჯანმრთელობასა და დიეტაზე დელვა; კლიმატურ ცვლილებათა დესტრუქტიულობის გამო ტანჯვა; საკუთარი უუნარობისა და უსუსურობის შეგრძნება იმ ტელეპროგრამათა შედეგად, რომლებიც გვასწავლიან, როგორ დავალაგოთ სახლი, როგორ აღვზარდოთ ბავშვები და როგორ დავრჩეთ გადახდისუნარიანები. ეს ტექნოლოგიური სიბრივე უაღრესად თანამედროვეა: ფსევდო-მოდერნისტი გამუდმებით ეურთიერთება პლანეტის მეორე მხარეზე მცხოვრებთ, მაგრამ – მხოლოდ იმიტომ, რომ უთხრან, ჯანმრთელობისთვის ბოსტნეული სასარგებლოაო. ეს ბრინჯაოს ეპოქის აშკარა ფაქტია. ფსევდო-მოდერნისტი მამაკაცი თუ ქალი წარმართავს წაცილენიანურ სატელევიზიო პოლიტიკას, მაგრამ არ იცის, რა ჭამოს – ამ დახასიათებათა ნაზავში ბავშვიც ჩანს და მოზრდილიც, ძლიერიც და უსუსურიც. სხვადასხვა მიზეზთა გამო, ეს გახლავთ ხალხი, რომელსაც არ ძალუდს „დიდი ნარატივების ურნმუნობა“, ლიოტარი ტიპურ პოსტმოდერნისტებს რომ არწმუნებდა.

ფსევდო-მოდერნული ეპოქა, ასეთი ძრწოლისმომგვრელი და თითქოს, გაუკონტროლებელი, უცილოდ შეუპყრია სურვილს, დაუბრუნდეს სათამაშოებით ინფანტილურ გართობას, რაც ასევე ნიშანდობლივია ფსევდო-მოდერნული კულტურული სამყაროსათვის. ეს ტიპური ემოციური სიტუაცია, რომელიც რადიკალურად უსწრებს ორონის ჰიპერგონივრულობას, ტრანსია - ისეთი მდგომარეობა, როცა საკუთარსავე საქმიანობას გადაუსანსლიხარ. მოდერნიზმის ნევროზულობისა და პოსტმოდერნიზმის ნარცისიზმის სანაცვლოდ ფსევდო-მოდერნიზმს ეს სამყარო სადღაც მიაქვს, როდესაც იგი ახალ, უწონად, ჩუმი აუტიზმით აღსავსე „არსაით“-ს ქმნის. მთავარია, დააწერუნოთ, ლილაკს დააწვეთ, და უკვე „ჩართულები“, შთანთქმულები, გადაწყვეტილები ბრძანდებით. თქვენ ტექსტი ხართ, ირგვლივ არავინაა, არც „ავტორი“; ირგვლივ არაფერია, არავითარი სხვა დრო და ადგილი; თქვენ თავისუფალი ხართ: თქვენ ტექსტი ხართ: ტექსტი იკავებს თქვენს ადგილს.

ინგლისურიდან თარგმნა **გია ჯოხაძემ**.

Alan Kirby, *The Death of Postmodernism and Beyond*. In: *Philosophy Now*, No. 58, 2006  
Translated by **Gria Jokhadze**.

### მთარგმნელის შენიშვნები:

ჯონ ფაულზი, „ფრანგი ლეიტენანტის საყვარელი“, გამოქვეყნდა 1969 წელს.  
ანგელა კარტერი, „ცირკში გატარებული ლამები“, გამოქვეყნდა 1984 წელს.  
იტალო კალვინი, „თუ მოგზაური ზამთრის ერთ ღამეს“, გამოქვეყნდა 1979 წელს.  
ფილიპ ქ. დიქი, „ოცნებობენ თუ არა ანდროიდები ელექტრონულ ცხვრებზე?“, გამოქვეყნდა 1968 წელს (მის მიხედვით გადაიღეს ფილმი „ბასრი მორბენალი“, 1982).  
დონ დელილო, „თეთრი ხმაური“, გამოქვეყნდა 1985 წელს.  
ხორხე ლუის ბორხესი, „ბაბილონის ბიბლიოთეკა“, გამოქვეყნდა 1941 წელს.  
ტონი მორისონი, „საყვარელი“, გამოქვეყნდა 1987 წელს.  
ჯულიან ბარნსი, „ფლობერის თუთიყუში“, გამოქვეყნდა 1984 წელს.  
გ. სვიფტი, „წყლის ქვეყნა“, გამოქვეყნდა 1983 წელს.  
თომას ფინჩონი, „ლოტი 49“, გამოქვეყნდა 1966 წელს.  
ვლადიმერ ნაბოკოვი, „გაფითორებული ალი“, გამოქვეყნდა 1962 წელს.  
კურტ ვონეგუტი, „სლოთერპაუსი-ხუთი ანუ ბავშვთა ჯვაროსნული ლაშქრობა: ცეკვა სიკვდილთან“, გამოქვეყნდა 1969 წელს.  
ალასდეირ გრეიი, „ლანარკი“, გამოქვეყნდა 1981 წელს.  
უ. გიბსონი, „ნეირომანტი“, გამოქვეყნდა 1984 წელს.  
ბრაიან სთენლი ჯონსონი (1933-1973) – ინგლისელი ექსპერიმენტული რომანისტი-კის წარმომადგენელი, პოეტი, კრიტიკოსი, ტელეპროდიუსერი, რეჟისორი.  
„სმითები“ (The Smiths) – ინგლისური ალტერნატიული როკჯგუფი; პირველი ალბომი გამოუშვა 1984 წელს.

ბრეტ ესტონ ელისი (დაბ. 1964 წ.) – ამერიკელი რომანისტი და სცენარისტი; მისი რომანი „ლუნაპარკი“ გამოქვეყნდა 2005 წელს.

„შრეკი“ (2001) და „უჩვეულონი“ (2004) – კომპიუტერული გრაფიკით შექმნილი ამერიკული მულტფილმები.

ვირჯინია ვულფი, „შუქსურისაკენ“, გამოქვეყნდა 1927 წელს.

ანგელა კარტერი, „სისხლიანი დარბაზი“, გამოქვეყნდა 1979 წელს.

Big Brother – ამერიკული რეალიტი შოუ, რომლის დროსაც ადამიანთა ჯგუფი სამი თვის განმავლობაში კამერების მეთვალყურეობის პირობებში ერთად ცხოვრობს; მაყურებელი ტელეფონით რეკავს და ხმას მათ წინააღმდეგ აძლევს, ვის გაძევებასაც ისურვებდა.

6-0-6 – საფეხბურთო ტელეფონ-შოუ, რომელსაც გადასცემს BBC პრიტანეთის საფეხბურთო სეზონის დროს; მსმენელს საშუალება აქვს დარეკვისა და საკუთარი აზ-რის გამოთქმისა.

ჩარლზ დიკენსი, „დიდი მოლოდინი“, გამოქვეყნდა 1861-1862 წლებში.

ჯორჯ ელიოტი, „მიდლმარჩი: პროვინციული ცხოვრების მოძღვრება“, გამოქვეყნდა 1871-1872 წლებში.

Ceefax - მსოფლიოს პირველი ტელეტექსტი (1947, BBC).

Streetmap; Route Planner – ქუჩების რუკა და გზამკვლევი.

CGI – Computer Generated Imagery - კომპიუტერული გრაფიკული ეგფექტები ფილმებში, ტელევიზიასა და სხვა ვიზუალურ მედიაში.

Teletext – საინფორმაციო მომსახურება, განვითარებული დიდ პრიტანეთში 1970 წლიდან.

iPod – პორტატიული მედია-ფლეირი.

The Office – ამერიკული კომედიური ტელესერიალი.

The Blair Witch Project – ამერიკული ფსიქოლოგიური საშინელებათა ფილმი. Grand Narratives - ფრანგი ფილოსოფოსი ჟან-ფრანსუა ლიოტარი ნაშრომში „პოსტმოდერნის მდგომარეობა“ (1979) ამტკიცებს, რომ ჩვენი დრო გამოირჩევა სკეფსისით მეტანარატივებისადმი, დიდი თხრობებისადმი, გრანდიოზული, მსხვილმასშტაბიანი მოძღვრებებისა და ფილოსოფიისადმი, როგორებიცაა, ვთქვათ, ისტორიული პროგრესი, მეცნიერების მეშვეობით ყველაფრის შეცნობის მოძღვრება ანდა აბსოლუტური თავისუფლების შესაძლებლობა... ლიოტარის მტკიცებით, ჩვენ დიდი ხანია, აღარ გვწამს, რომ ამ ტიპის თხრობებს ძალუბთ თითოეული ჩვენგანის წარმოჩენა ან დატევა; თანამედროვეობა, პირიქით, მიკრონარატივებითაა გატაცებული.

## ლექსმცოდნეობა

თამარ ბარბარაშვილი  
(საქართველო)

### ნეოკლასიციზმი და აკაკი წერეთლის ჰეროიკული სტროფები

საღიტერატურო მიმდინარეობათა ისტორიაში „ნეოკლასიციზმი“, ალბათ, ყველაზე ხანგრძლივი აღმოჩნდა. ერთი მხრივ, ნეოკლასიციზმის ეპოქა XVII-XVIII სს. კულტურასა და ხელოვნებაში გრძელდებოდა (1660-1798 წწ.), მეორე მხრივ კი, ნეოკლასიციზმი კვლავ აღორძინდა XIX-XX სს. მიჯნაზე და ლიტერატურის თეორიასა და ისტორიაში იგი ისეთი მოაზროვნებისა და პოეტების სახელებს დაუკავშირდა, როგორებიც იყვნენ: პოლ ვალერი და ტომას ელიოტი. ნეოკლასიციზმის ინტელექტუალიზმი და რაციონალური დამოკიდებულება აზრის სიცხადესთან აირეკლა პოლ ვალერის ლირიკამ, რომელიც „პერმეტული ფორმის“ კლასიკური სიმკაცრით ჰარმონიულად შეერწყა თანამედროვე პოეზიის უახლეს ტენდენციებს.

XIX ს. 90-იანი წლებიდან ნეოკლასიციზმის ტენდენციები გამოჩნდა ე.წ. „რომანულ სკოლაში“, რომელსაც უან მორეასი ხელმძღვანელობდა; მის სახელთან ცნობილი „სიმბოლისტების მანიფესტი“ არის დაკავშირებული, 1891 წელს კი მორეასმა „ფრანგული რომანული სკოლის მანიფესტით“ უარი თქვა სიმბოლიზმზე და აღიარა ნაციონალური კულტურის ტრადიციები, მშვენიერი სინათლე და სიცხადე აზრისა. საუკეთესო ნიმუშებად მიიჩნია „პლეადის“ პოეტთა შემოქმედება უან მორეასმა, რომელსაც ანატოლ ფრანსი „ფრანგული სიმბოლიზმის რონსარს“ უწოდებდა; მან ლექსების კრებულში „სტანსები“ (1899-1901), ემოციები კლასიკური საზომებისა და სტროფების მეშვეობით გამოხატა.

ცნობილი ფრანგი მეცვლევარი სერუ ფოშერი აღნიშნავს, რომ I მსოფლიო ომმა (1914-1918 წწ.) სერიოზული დარტყმა მიაყენა ომამდელ მხატვრულ მიმდინარეობებს: ექსპრესიონიზმს, დადაიზმს, სიურრეალიზმსა და სხვა „იზმებს“. უკვე 1920 წლიდან შემოქმედთა უფროსი თაობა ირჩევს ფორმის სიმკაცრესა და წერიგს: გუშინდელი რევოლუციონერები ხელოვნებისა ამიერიდან ნეოკლასიციზმის მხარდამჭერნი ხდებიან: სტრავინსკი და პროკოფიევი მუსიკაში, პიკასო ფერწერაში“ (Korj 1998: 135).

ალბათ, უპრიანი იქნება, ნეოკლასიციზმი განისაზღვროს, როგორც ტერმინი, რომელიც მიესადაგება მიმდინარეობას ახალსა და უახლეს ლიტერატურაში, კლასიციზმის მისწრაფებებისა და ფორმების აღორძინებას რომ ესწრაფვის. ნეოკლასიციზმი, შესაძლოა, ზოგადი სახელწოდებაც იყოს ანტირომანტიკული და ანტისიმბოლისტური თუ ანტინატურალისტური განწყობილების საწინააღმდეგო ტენდენციებისათვის; ნეოკლასიციზმისთვის ნიშნეულია: ანტიკური, კლასიკური, თუ ეროვნული ტრადიციული კულტურის ნიაღისაკენ მიბრუნება და მხატვრულესთეტიკური ძიებანი აზრისა თუ ფორმის სფეროში. მარადიული ღირებულებების წინაშე ხელოვანის თაყვანისცემის დასტურად, ნეოკლასიციზმი მკითხველს შეახსენებს კაცობრიობის არსებობის ისტორიაში საყოველთაო, ზნეობრივი და ეროვნული პრობლემების ყავლგაუსვლელობას.

ალბათ, ამას გულისხმობდა ნეოკლასიციზმის ერთ-ერთი თეორეტიკოსი პოლ ვალერი, როდესაც წერდა: „შეუძლებელია სერიოზულად იაზროვნო ამ სიტყვებით: „კლასიციზმი“, „რომანტიზმი“, „ჰუმანიზმი“, „რეალიზმი“... ბოთლის ეტიკეტებით ვერც დათვრები და ვერც წყურვილს მოიკლავ“ (ვალერი 1994: 82).

აკაკი წერეთლი, პოეტი და პიორვენება, საქართველოს „ეროვნული წყურვილის“ მოსაკლავი მარადიული წყაროა და, ბუნებრივია, მის მდინარებას ვერ შეაყენებ თეორიული დაკვირვებისა და განყენებული მსჯელობის გამო; ამიტომაც არ საუბრობს ბატონი ლადო მინაშვილი ახლახან გამოცემულ „ქართული ლიტერატურის (XIX ს.)“ II ტომში (მინაშვილი 2013: 219-249), უაღრესად საყურადღებო სახელმძღვანელოში, რომელიც ბატონ იუზა ევგენიძესთან თანაავტორობით დაიწერა, აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ ნაშრომში მის ლიტერატურულ მეთოდზე. არც გერონტი ქიქოძე მიიჩნევს საჭიროდ აკაკის თხზულებების ღირსება რეალიზმის, რომანტიზმის, ან სხვა რომელიმე მიმდინარეობის მიხედვით შეაფასოს (ქიქოძე 1985: 345-358).

მიუხედავად ამისა, მაინც ჩნდება ცდუნება, ისაუბრო აკაკის იმ პატრიოტულ, ჰეროიკულ სტროფებზე, რომლებშიც ნეოკლასიციზმის სულისკვეთება ხმიანობს.

XX ს. II ნახევრის ქართულმა საგანმანათლებლო ცენტრებმა, ზოგადსაგანმანათლებლო თუ უმაღლესმა სკოლამ, ჩინებულად შეასწავლა აკაკის შემოქმედება საბჭოთა ახალგაზრდებს. ალბათ, იმიტომ, რომ იმ დროს ლიტერატურაში გაბატონებული სოციალისტური რეალიზმის მიმართულება მეტად ახლოს იდგა კლასიციზმთან, რომელსაც ხანდახან ნეოკლასიციზმადაც მოიხსენიებენ.

სოცრეალიზმს კლასიციზმთან აახლოებდა: კონფლიქტი მოვალეობასა და გრძნობას შორის, რომელიც აუცილებლად მოვალეობის გამარჯვებით უნდა დამთავრდეს; სწორხაზოვნება პერსონაჟთა ხასიათებისა, რომლებიც იდეათა რუპორებს წარმოადგენდნენ (ამიტომაც, მათი დიალოგები და მონოლოგები დეკლარაციულია), მკაცრი თემატური იერარქია (უპირატესობა ენიჭება საქვეყნო, სახელმწიფო საქმეს).

ქართველმა მეცნიერ-ფილოლოგებმა XX ს. 60-70-იან წლებში ალლო აუდეს ეპოქის დაკვეთას და მეტად გონივრულად გადაწყვიტეს საშუალო სკოლის VII კლასის სასწავლო პროგრამაში 60-იანი წლების ბოლოს „თორნიკე ერისთავის“ შეტანა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ისტორიულ-ჰეროიკული პოემის სიუჟეტი ნეოკლასიციზმის პრინციპებით არის აგებული: მოქმედება მიმდინარეობს მეფის სასახლეში, კათალიკოსთან და ბრძოლის ველზე; გონების უპირატესობა გრძნობასთან შედარებით განსაზღვრავს მოვალეობის მსახურებას; ბუნების პარმონიის ფონზე იკვეთება ადამიანთა არასრულფასოვნება. სალექსო ტექნიკა უაღრესად დახვეწილია და ცნობილი ომონიმური რითმებით გამართული ორბელიძისა და ხუმარას პაექრობა პოემის პერსონაჟთა მახვილგონიერებას ცხადყოფს.

სპეციალისტები მიუთითებენ, რომ ქართულ ლიტერატურაში ნეოკლასიციზმის ნიშნები შეიმჩნევა აკაკი წერეთლის პატრიოტულ ღირიკაში; XX ს. პოეზიაში კი – ანტიკურ თემებზე შექმნილ გ. ტაბიძის ღირიკულ ლექსებში („ჰეტერა“, „მგლოვიარე სერაფიმები“ და სხვ.) (ქსე 1994: 382).

გალაკტიონის პოეზიაში საგანგებოდ არის შესწავლილი პოეტის კავშირი ტომას სტერნზე ელიოტის შემოქმედებასთან (კენჭოშვილი 1999: 177-182). ირაკლი კენჭოშვილის აზრით, „XX ს. ამ ორ დიდ პოეტს შორის საერთო, უპირველესად, ენისადმი დამოკიდებულებასა და პოეტური სკოლის განვითარებაში ვლინდება. ორივეს სტილი ბაროკალური სიუხვისაგან განტვირთვისა და სისადავის მოპოვების გზით განვითარდა. თანაც, ორივესთან, ეს გადასვლა ნახტომისებურად მოხდა“ (კენჭოშვილი 1999: 180). როდესაც გალაკტიონის მესამე პერიოდის (1928-1958) პოეტიკის გენეზის იკვლევს, ირაკლი კენჭოშვილი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ პოეტური ტექნიკის დახვენისა და სტილური სისადავის მოპოვებისათვის ანტიკურობა დამატებითი იმპულსების წყაროს წარმოადგენს, ძირითადი ყურადღება კი გალაკტიონმა აკაკი წერეთლის პოეზიას მიაპყრო; სამაგალითოდ ამ პოეტური ნათესაობისა აკაკის „სიზმარი“ („ერთხელ მხოლოდ...“) და გალაკტიონის „შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირად“ არის მოხმობილი.

ნეოკლასიციისტური ტენდენციები გალაკტიონის პოეზიაში, მეტ-ნაკლებად, ყურადღებით არის გამოკვლეული (თ. დოიაშვილი, გ. ასათიანი, ი. კენჭოშვილი, ა. ხინთიბიძე და ა.შ.), აკაკის პოეზია კი ამ მხრივ თითქმის არ არის შესწავლილი.

აკაკის ლექსის სინათლე და სისადავე, უბრალოებასთან შერწყმული სიბრძნე, კლასიკური ქართული პოეზიის აფორისტული ლაკონიურობა – ის ფორმისეული პარამეტრებია, რაც განმანათლებლობის ეპოქის უკანასნელი ბრწყინვალე მიმდინარეობის – ნეოკლასიციზმის – პრინციპებთან აკაკი წერეთლის კავშირს გვაფიქრებინებს.

დახვენილ პოეტურ ფორმათა სიუხვითა და მკვეთრად გამოხატული რაციონალიზმით გამოიჩინა აკაკის ის ჰეროიკული სტროფები, რომლებიც ასე ხშირად გვხვდება მის ლირიკულ ლექსებსა და პოემებში. გავიხსენოთ მრავალთაგან რამდენიმე:

ცოცხალ მონაზედ უმჯობესია  
თავისუფლების ძებნაში მკვდარი!  
ამისი საქმე შთამომავლობას  
ბნელს გაუნათებს, როგორც ლამპარი!  
(„ბაგრატ დიდი“. 1875. წერეთელი 2014: 42).

მაგრამ, ვინც მამულს სულსაც არ სწირავს,  
იმას არ ჰქვიან მამულის-შვილი!..  
(„ბაგრატ დიდი“. 1875. წერეთელი 2014: 49).

„თორნიკე ერისთავში“ აკაკი წერეთლის ჰეროიკული სტროფები დღემდე შეუძარებელია ომონიმური რითმებითა და აზრის სიცხადით. კათალიკოსისა და თორნიკე ერისთავის საუბარი კი დასტურია „შემცდარი გონების“ გამოფხიზლების, მისი პატრონის კვლავ საქვეყნო სამსახურში ჩაყენებისა:

როგორც გვირგვინსა მისის ქმნილების  
მისოფელის გვნიშნავდა განგება ქვეყნად,

რომ მივემსხვერპლოთ, თავი შევსწიროთ  
მისსა დიდებას საკურთხად და ძლვნად.  
(„თორნიკე ერისთავი“. 1883. წერეთელი 2014: 88).

საქართველოსა და ქართველის ეროვნული და საკაცობრიო მისია, პოეტის აზრით, სულას, გულისა და გონების – წმინდა სამების – ერთიანობით შეგნებულ, ნებაყოფლობით მსხვერპლშენირვის იდეას ეფუძნებოდა და განაპირობებდა ჩვენი სამშობლოს უკვდავებას.

გრძნობისა და გონების ერთიანობით მიიღწევა ის სანატრელი ჰარმონია, რაც პოეტურ შთაგონებას ასაზრდოებს აკაკის „ნათელაში“: ღვთიური საიდუმლოსა და ზეციური კანონების შეერთების ზღვარზე იჩერება ლექსიც. გავიხსენოთ აკაკის ცნობილი სიტყვებიც: „ლექსს აქვს თავის საიდუმლო და თავისი კანონები“. ნათელას ცნობილი სიმღერაც „ჩონგური საქართველოა...“ ნეოკლასიციზმის პოეტიკის მხატვრულ ხორცშესხმად გვევლინება.

1902 წელს დაწერილი აკაკის ლირიკული პოემა „საქართველოს დღევანდელი სახე“ კვლავ განუმტკიცებს რწმენას ქართველს:

ეროვნებავ! ღვთის ნიჭი ხარ  
არც საპოვნი, ვერც საყიდი  
და მხოლოდ თვითარსებობა  
არის შენი გზა და ხიდი!  
(„საქართველოს დღევანდელი სახე“. 1902.  
წერეთელი 2014: 342)

პოეტი სინანულით შენიშნავს ამ პოემის ერთ-ერთ ვარიანტში:

აქაც მოვცდი, ვერც იქ მივწვდი,  
გავხიდურდი ორთაშუა,  
და საყეფად ძალებს დარჩა  
ჩემი გრძნობა!.. ჩემი ჭკუა!..

რაღა მეთქმის, მადლობა ღმერთს,  
უნდა ყველა ავიტანო,  
რომ მეც ისე არ დამღეჭონ,  
როგორც დიმიტრი და ვანო.  
(წერეთელი 2014: 551)

დიმიტრი და ვანო – დიმიტრი ყიფიანი და ვანო მაჩაბელი – ტრაგიკულად აღსრულებული ორი გმირი ქართველი იგულისხმა, ალბათ, პოეტმა, რომელიც თვითონაც გულწრფელად ილტვოდა ამ მოწამებრივი სიკვდილისაკენ: „და ხინჯად გულში მიმყვება მხოლოდ, / რომ ვერ გავმხდარვარ სამშობლოს მსხვერპლად!“

ნეოკლასიცისტური პათოსით გამოირჩევა აკაკის ერთ-ერთი უკანასკნელი პოემა „გორგ-ასლანის“ VII თავის დასაწყისი:

აღსდეგ გმირთ-გმირო! ნუ გძინავს!  
გამოახილე თვალიო!  
დროს შესაფერად წარსულში  
შენ მოხდილი გაქვს ვალიო!  
(წერეთელი 2014: 400)

აკაკის აკადემიურ ოცტომეულში პოემა „ასის წლის ამბავი“ სრული სახით პირველად იბეჭდება. იგი 1911-12 წლებში დაუწერია პოეტს, რომელმაც კარგად იცოდა, რომ ანტირუსული ხასიათის გამო, მას არ დაბეჭდავდნენ (მოგონებები აკაკიზე შემდგენელი შ. ბარამიძე, 1991: გვ. 270). ეს პოემა საყურადღებოა მეტრული მრავალფეროვნებითაც: პირველი თავი შვიდმარცვლედითა – ქართული ლირიკული ლექსის ერთ-ერთი უძველესი საზომით და კატრენებით არის დაწერილი (4/3, 2/5). მეორე თავი – სოლომონ ლეონიძისა და ჭაბუა ორბელიანის მწუხარე განსჯა საქართველო-რუსეთის საბედისწერო კავშირის თაობაზე – დაბალი შაირით (5/3) არის გადმოცემული – ორივე მამულიშვილის გმირულ სულისკვეთებას ვეცნობით რუსთაველის აფორიზმის დამოწმებით; ჯერ სოლომონი ამხელს თავის განზრახვას:

ვფიქრობ: წავიდე იმერეთს,  
იქაც ხომ საქართველოა  
და გასატანი რუსისგან  
იქაც ჩვენ გვარი ლელოა!

იქ შეუჩნდები მეფესა,  
მთავრებს: დადიანს, გურიელს,  
რომ არ აძლევდნენ, ჩვენსავით  
მოტყუებული, რუსებს ხელს.

თუ რამეს გავხდი, ხომ კარგი.  
თუ არა – გვმართებს გლოვანი  
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა  
სიკვდილი სახელოვანი“.  
(წერეთელი 2014: 409).

შემდეგ კი ჭაბუა ამჟღავნებს თავის გულისნადებს:

შევსჩივლებ გლეხებს, მთიულებს  
ვეცდები ამბოხებასა!..  
კმარა, რაც ვენდვეთ, აქამდე  
დიდ კაცთა მეოხებასა!

ახლა მეც ვიტყვი, რაც შენ სთქვი;  
ჯერ ცდა და მერე გლოვანი:  
„სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა  
სიკვდილი სახელოვანი“.  
(წერეთელი 2014: 409)

III თავი შაირით გაუმართავს პოეტს, რომელიც რუსის ხიშტითა და ვერა-გობით საქართველოს დაპყრობის ამბავს გვიყვება, ხოლო IV თავში კვლავ დაბალი შაირით ვეცნობით ქართველთა გადაგვარებას „ზნეობით სჯულით“:

გაირყვნა ხალხი ზნეობით,  
დაეცა გრძნობა-გონება  
და მიენიჭა ცოცხალ-მკვდარ  
ხალხს პირუტყვული მონება!

ხმის ამომღები სად იყო?  
ყველას აგლეჯდნენ ენასა  
და ერს, უფსკრულში ჩატანილს,  
უშლიდნენ აღმა ფრენასა!..

(წერეთელი 2014: 423)

V თავში დაბალი შაირით გვამცნობს პოეტი უახლეს ამბავს საქართველოს კეთილი მომავლის თაობაზე, რასაც ოცნებისა და რეალობის გაერთიანება უზრუნველყოფს:

ოჳ, რა კარგი ხარ ოცნებავ!  
და თეორიით მტკიცეცა!  
მაგას ამბობდნენ მოძღვრები  
და ქადაგებდა ქრისტეცა.  
(„ასის წლის ამბავი“. 1911-1912.  
წერეთელი 2014: 409)

საგულისხმოა, რომ 1912 წელს, რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის შემდეგ, გაზ. „თემში“ აკაკიმ გამოაქვეყნა პოემა „რაჭა-ლეჩხუმი“. როგორც მკვლევარ-ტექსტოლოგები ფიქრობენ, I თავი ამ პოემისა საქართველოს ამ დიდებული კუთხის ბუნების აღნერაა, ხოლო შემდეგ, 1911 წელს დაწერილი და რუსული პოლიტიკის კრიტიკის გამო გამოქვეყნებული „ასის წლის ამბის“ ტექსტია დაბეჭდილი, ოღონდ „რუსი“ ყველგან „თათრით“ არის შეცვლილი (აკაკი 2014: 574). „გონების უტყუა-რობა“, რომელიც ხშირად შემცდარ გრძნობას ეურჩება და სწორ გზას მიუთითებს, პოემა „რაჭა-ლეჩხუმის“ ბოლოს ასე ხმიანობს:

ჩვენი ხეც ეროვნებისა  
დღეს, ვხედავთ სჭკნება და ხმება?..  
გრძნობას ჰერონია, მავრამ კი  
გონება არ ეთანხმება!  
ხეს რა გაახმობს, თუ მისი  
ფესვები კიდევ ვარგია?  
და ზედაც მისი წარსული  
უტყუავრად მონაქარგია!  
(„რაჭა-ლეჩხუმი“. 1912.  
წერეთელი 2014: 445)

ნეოკლასიციზმის ხანა ლიტერატურაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საუკუნე-ნახევრის განმავლობაში გრძელდებოდა (დაახლოებით 1660-1798 წწ.). ამ სახელოვნებო მიმართულების მთავარი მახასიათებლები შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: საღი, რაციონალური აზროვნება, ლოგიკა, საზოგადოებაში მორალური, ადეკვატური ქცევისა და წარმოდგენების დანერგვა. იგი წარმოიშვა როგორც რეაქცია რენესანსის ეპოქის მიერ გამეფებული ქაოსის წინააღმდეგ სამწერლობო უანრებში; ნეოკლასიციზმი ანტიკური ხანის საბერძნებოთა და რომისათვის დამახასიათებელ კლასიკურ სტილს ეყრდნობა; ტერმინი „ნეოკლასიკა“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეობასა და, წანილობრივ, ლიტერატურათმცოდნეობაში, აღნიშნავდა XIX ს. ბოლო მესამედასა და XX ს. დასაბუისის მხატვრულ მოვლენებს: მისთვის დამახასიათებელი იყო ანტიკური ეპოქის, აღორძინებისა ან კლასიციზმის ტრადიციებისაკენ მიბრუნება.

ნეოკლასიციზმი, როგორც ხელოვნების მიმდინარეობა, XVII-XIX სს. ლიტერატურაში, მხატვრობასა და არქიტექტურაში ვითარდება. 1920 წლიდან კი ეს ტერმინი მუსიკაშიც იხმარება, მოდერნისტული და რომანტიკული მიმართულებების საპირისპიროდ. ნეოკლასიციზმი ჩაისახა რომში, საიდანაც გავრცელდა შემდგომ საფრანგეთშიც; ამ მოვლენას ხელი შეუწყო რომში ფრანგული აკადემიის დაარსებამ; შემდგომში ნეოკლასიციზმა ინგლისშიც შეაღწია.

ნეოკლასიციზმი ემყარება ვინკელმანის პრინციპებს და ქადაგებს ანტიკური ხანის ხელოვნების პრინციპებისაკენ მიბრუნებას: ძველი სტილის ამ ახალ გამოვლინებას ახასიათებდა, ყველაფერი „მაღალ გემოვნებაში“ მოექცია და შეფასების კრიტერიუმად მხოლოდ ანტიკურობა მიეჩნია. ნეოკლასიცისტები ადამიანს არასრულფასოვან, ნაკლოვან არსებად მიიჩნევდნენ – შეზღუდული შესაძლებლობებით და არა შემოქმედებით, ინოვაციური ძალის მქონე ნატურად, როგორც ეს რენესანსის ეპოქაში მიიჩნეოდა („ლმერთი თვითონ ჩემშია!“). ინგლისური ნეოკლასიციზმი დაეფუძნა და წარმოიშვა ფრანგული ნეოკლასიციზმის ორივე – კლასიკური და თანამედროვე – მოდელიდან (ზოლეთ ბუალოს „პოეტური ხელოვნება“ (1674) და პოუპის „Essay on Criticism“ (1711), როგორც ნეოკლასიციზმის კრიტიკული წინამდღვრები. ნეოკლასიციზმი ინგლისურ ლიტერატურაში დომინირებდა აღორძინების ხანიდან (1660 წ.) XVIII ს. დასასრულამდე, როცა ლირიკული ბალადების გამოქვეყნებამ (1798 წ. Wordsworth-ისა და Coleridge-ის მიერ) გვამცნო რომანტიზმის დაბადება.

ხელოვნების ექსპერტები და ლიტერატურისმცოდნენი ნეოკლასიციზმს სამპერიოდად მიჯნავენ:

1. რესტავრაციის ხანა (the Restoration age) (1660-1700 წწ.) – წარმოგვიდგენს მანერის კომედიას (the comedy of manner) – პიესა მაღალი საზოგადოების მანერებსა და კონვენციებზე; ამ ხანის ნეოკლასიცისტ მწერლებზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენდნენ: მილტონი და დრაიდენი (Milton, Dryden).

2. ავგუსტინის ხანა (the Augustan age) (1700-1750) – წარმოგვიდგენს პიროვნული განვითარების ამსახველ პოეზიას. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად ვითარდება: რომანი, მელოდრამა და სატირა. ცენტრალური ფიგურა ამ პერიოდის ნეოკლასიცისტურ პოეტიკაში პოუპი იყო, ხოლო პროზის დახვენაზე დეფორ, რიჩარდსონი, ფილდინგი და სმოლეტი მუშაობდნენ.

3. ჯონსონის ხანა (Age of Johnson) (1750-1798) – გარდამავალია ნეოკლასი-ციზმისა და რომანტიზმის შორის (გონებასთან ერთად გრძნობასაც ექცევა ყურა-დღება). დოქტორი სემუელ ჯონსონი სიმპათიით იყო განწყობილი უკვე მიმავალი ავგუსტინის ხანისადმი და ახალი აზროვნების საწყისებს შექსპირის შემოქმედე-ბაში ხედავდა.

ნეოკლასიცისტურ პოეზიაში პოპულარული იყო რიტმული სტროფი, რომელმაც განვითარების უმაღლეს საფეხურს პოეტის გმირულ (ჰეროიკულ) სტროფებში მიაღწია; თეატრში ამ დროს ვითარდებოდა: ჰეროიკული დრამა, მელოდრამა, სენტიმენტალური კომედია და მანერული კომედია. ნეოკლასიციზ-მის ბოლო პერიოდი შეიძლება მივიჩნიოთ განმანათლებლობის ხანის უკანას-კნელ გამონათებად, თუმცა ხელოვნების მიმდინარეობები რეალურად არასოდეს ქრებან: ნეოკლასიციზმის ბევრი ესთეტიკური პრინციპი კვლავ გამოჩნდა XX ს. მიმდინარეობებში: მაგალითად, ელიოტის კრიტიკასა და პოეზიაში, როგორც უკვე რომანტიზმის წინააღმდეგ მიმართული მანიფესტაცია. ელიოტს ნეოკლასიციზმი დახვეწილი პოეტური ფორმისა და რაციონალისტური შემოქმედების მქადაგებ-ლად მიაჩნდა, ხოლო რომანტიზმს ემოციასა და შთაგონებაზე დაფუძნებულ მიმდინარეობად თვლიდა და აშკარად პირველს ამჯობინებდა (წყარო: <http://www.victorianweb.org/previctorian/nc/intro.html>).

ნეოკლასიცისტი პოეტები დიდ პატივს სცემდნენ ანტიკური ხანის ხელო-ვანთ და ბაძავდნენ მათ. წესრიგი, სიზუსტე და მვაცრი წესები ახასიათებდა მათს პოეტურ თხზულებებს; ფრაზების წყობა მეაცრად იყო დაცული; ნეოკლასიცისტი პოეტებისათვის პოეზია ადამიანური ცხოვრების იმიტაციას წარმოადგენდა.

**ჯონ დრაიდენი** თავის დროის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნეოკლასიცის-ტი პოეტია. იგი წერდა ჰეროიკულ სტროფებს და შიგადაშიგ მოხერხებლად ურ-თავდა სატირას. მისი საუკეთესო პოეტური თხზულებებია: „ოდა წმინდა სესილიას დღისადმი“ („The Ode for Saint Cecilia's Day“) და „ალექსანდრეს დღესასწაული“ („Altxfnder's Feast“). ცხოვრების ბოლო წლები ჯონ დრაიდენმა ბერძენი და რომა-ელი პოეტების თხზულებათა თარგმანებს შეალია.

**ალექსანდრ პოუპი** XVIII საუკუნის ცნობილი ნეოკლასიცისტი სატირიკოსი პოეტია, თუმცა ხანგრძლივი, ქრონიკული ავადმყოფობის გამო მეტად მისუსტე-ბული იყო ფიზიკურად. ახალგაზრდობისას დაწერა „ესე კრიტიკაზე“ („Essay en Criticism“). ნაშრომი რამდენიმე საინტერესო მოსაზრებას შეიცავს. თავის ერთ-ერთ სატირულ ნაწარმოებში (Dunciad) პოეპი დასცინოდა ლარიბ პოეტებს, რომლებიც ფულის გულისთვის წერენ. მოგვიანებით დაწერა „ესე ადამიანზე“. დრაიდენის მსგავსად, პოეპიც თარგმნიდა ანტიკური ხანის პოეტთა ნაწარმოებებს.

ნეოკლასიცისტ პოეტთა უმრავლესობა წერდა ადამიანის მორალურ სახესა და მის ქალაქურ ცხოვრებაზე, თუმცა იყო გამონაკლისიც: **ჯეიმს ტომსონმა** ოთხი პოემა დაწერა ბუნებაზე: „გაზაფხული“, „ზაფხული“, „შემოდგომა“, „ზამთარი“. თუმცა უნდა ითქვას, რომ ნეოკლასიციზმისათვის დამახასიათებელი მაღალფარ-დოვანი სტილი ტომსონმა თავიდან ვერ აიცილა.

ცნობილი ნეოკლასიცისტი პოეტია **თომას გრეიი**, რომელსაც პოეტთა იმ წრეს აკუთვნებენ, „ეკლესიის ეზოს პოეტებს“ რომ უწოდებენ. „სოფლის ეკლესიის ეზოში

დაწერილი ელეგია“ („The Elegy Written in a Country Churchyard“) მისი ყველაზე ცნობილი პოეტური თხზულებაა, რომელიც აღნერილია ეკლესიის ეზოში დარიბული საფლავების ქვებით გამოწვეული მწუხარე განცდები; ასევე ძლიერ სევდიანია თომას გრეის ოდა „ბარბი“ („The Bard“).

ლიტერატურის თეორეტიკოსები ნეოკლასიცისტ პოეტებად მიიჩნევენ: უილიამ ბლეიკს, რობერტ ბერნსა და უილიამ კოუპერს (William Couper) ([http://www.baachelonandmoster.com/englishperiods/neoclassical\\_poets.html](http://www.baachelonandmoster.com/englishperiods/neoclassical_poets.html)).

უილიამ ბლეიკი (1757-1827) ცნობილი პოეტი და ხელოვანია. მისი ნაწარმოებები, ძირითადად, მისტიკურია, იმდენად, რომ ზოგჯერ მათი გაგება როულია. ბლეიკი იყო პოეტ-ეიზიონერი, რომელიც ხილვებითა და შინაგანი ხმებით გვაცნობდა მოვლენის არსს და არ სწამდა ამქვეყნიური საგნებისა. ბლეიკის მთავარი პოეტური კრებულია „უცოდველობისა და გამოცდილების სიმღერები“, ხოლო მისი პოეზიის ზოგადი მახასიათებლები: მისტიკიზმი, ზებუნებრივის რწმენა, რაციონალიზმთან დაპირისპირება და სამყაროს შემცნების დაუღოკებელი სურვილია. უილიამ ბლეიკის პოეზიის სამ სივრცეს განასხვავებენ მკვლევარები: ბუკოლიკურს, ურბანულსა და მითოსურს (ნოზაძე 2011: 191). ბლეიკის მითოსი ანტიკურ და ქრისტიანულ კონცეფციებზეა დაფუძნებული და განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მსოფლიო მითოლოგიაში. „თელის წიგნი“ („The Book of Thel“, 1788-1791 წწ.) მოთხოვილი ამბავი სიზმარსა ჰგავს, ხოლო ბლეიკის მთავარი სათქმელი, პოემის გასაღები ოთხსტრიქონიანი შეგონებით არის მოწვდილი: „მიწის საქმე თხუნელას ეკითხება, ხოლო ზეცისა – არწივს. ადამიანთა მიერ დაწესებული აუცილობლებები კი ისეთივე ყალბია, როგორც გაროზგვით მიღებული ცოდნა და ოქროთი გაზომილი სიყვარული“. „ეს საზომი ერთეულები“ ბლეიკის ირონიას იმსახურებს, რადგან ისინი არც რეალურ სამყაროს ასახავენ და არც წარმოსახვითს ჰმატებენ რამეს. ბლეიკი მუდმივ ძიებაშია და აწუხებს სამყაროს მოწყობის კანონზომიერება“ (ნოზაძე 2011: 198).

უილიამ ბლეიკის პოეტური შედევრები ქართულად თარგმნა მედეა ზაალიშვილმა, რომელიც იმოწმებს ალფრედ კაზინის მოსაზრებას ლუდვიგ ვან ბეთჰოვენისა და უილიამ ბლეიკის სულიერი ნათესაობის თაობაზე: „ბლეიკი ერთობ ჰგავს ბეთჰოვენს თავისი არტისტული დამოუკიდებლობითა და უნივერსალურობით... ბეთჰოვენის მსგავსად, ისიც წარმოსახვის თავისუფლების მომხრეა და თავისი შემოქმედებით ჰქმნის აზროვნების ახალ სამყაროს. ყოველივე ეს გამოსჭვივის ბლეიკის პოეზიიდან, პოეტური სკეტჩების ნეოკლასიკური ფორმალიზმიდან“. ალფრედ კაზინის ამ მოსაზრებას ეთანხმება უ. ბლეიკის ქართულად მთარგმნელი მ. ზაალიშვილი, რომელიც ფიქრობს, ბეთჰოვენის „მთვარის სონატასა“ და „მეცხრე სიმფონიას“, შეიძლება, თამამად ამოვუყენოთ გვერდით: „პოეტური სკეტჩები“ და „წინასწარმეტყველური წიგნები“ (ზაალიშვილი 2015: 65).

უილიამ ბლეიკის ლირიკული ლექსები, მიძღვნილი წელიწადის დროებისადმი („გაზაფხულს“, „ზაფხულს“, „შემოდგომას“, „ზამთარს“) და ასევე მიძღვნები: „მიმწუხრის ვარსკვლავს“ და „დიღლას“, მედეა ზაალიშვილის მიერ ქართულად თარგმნილი, უკვე ცნობილია ჩვენი მკითხველისათვის, რომელიც მოწმე ხდება ნეოკლასიცისტი პოეტის თანაზიარობისა ბუნებასთან: ღვთაებრივი წესრიგის,

ჰარმონიის აღქმა და არა ეჭვი უფლის არსებობის მიმართ; ტკბობა უფლისმიერი კანონზომიერების მარადიულობით, გარკვეულწილად, ანათესავებს ერთმანეთთან უილიმ ბლეიკისა და აკაკი წერეთლის პირველქმნილი მელოდიურობით აღსავსე სტროფებს. უილიამ ბლეიკი ასე მიშართავს „მიმწუხრის ვარსკვლავს“:

მიმწუხრის ქამის ანგელოსო, ქერათმიანო,  
ახლა, როდესაც მზე ისევნებს მთებს შემომდგარი,  
დაიდგი თავზე მოკაშვაშე შენი ლამპარი  
სიყვარულის მბრწყინავ გვირიგვინად...“  
(„მიმწუხრის ვარსკვლავს“. ბლეიკი 2015: 64)

აკაკი წერეთელი კი ამგვარად გვიხატავს შუალამის მთვარის ბრწყინვალე სურათს:

შუალამეა, გავსილი მთვარუ  
დედამინაზე სხივებს უხვად ჰჯენს,  
მთები, ტყეები, კლდე და მდინარე —  
ყველა მდუმარებს და გრძნობით ისმენს.  
ვით განსვენების ანგელოზი ცით  
გადმოეფინენ გუნდად ხმელეთად  
თვისის ნეტარის და მსუბუქის ფრთით  
და მყუდროებას ჰგალობენ ერთხმად.  
(„შამილის სიზმარი“. წერეთელი 2010: 16)

ბუნების ჰარმონიულ სურათთან დისპარმონიას ქმნის კავკასიის მაჰმადიანთა ბრძოლა რუსებთან: ადამიანებისათვის უცხოა და შეუსმენელი ღვთის ხმა სიმშვიდისა და შემწყნარებლობისა:

მაგრამ კავკაზა ეს მყუდროება,  
ცით მოვლენილი, არ ეყურება,  
გაურჩეველი აქვს მას ეს დროება  
მხოლოდ სხვა რამეს ემსახურება.  
იმას სურს სისხლი, ომი ფიცხელი,  
მისთვის საღმრთო ხმას რათა ჰგალობენ,  
სისხლს სთხოვენ მთები, კლდეები, ველი...  
(„შამილის სიზმარი“. წერეთელი 2010: 16).

საინტრესო თვალსაზრისს ვეცნობით ამ ლექსის თაობაზე ირმა რატიანის გამოკვლევაში: „რეალიზმის ლიტერატურული სკოლა და მისი ქართული მოდელი“; მეცნიერი ფიქრობს, რომ „შამილის სიზმარი“ (1859 წ.) ჟღერს როგორც მიმართვა, პოზიცია. შემთხვევითი არ არის, რომ აკაკი სწორედ ამ ლექსს გადაუგდებს ხელთათმანივით ქართველ რომანტიკოს პოეტს და რუსული არმიის გენერალს, გრიგოლ ორბელიანს, რითაც ხაზს გაუსვამს „შვილთა“ ბანაკის „მამებისაგან“ განსხვავებულ პოზიციას კავკასიის საკითხთან მიმართებაში“ (რატიანი 2015: 49).

ცხოვრება, ამქვეყნიური ყოფა, გმირობად მხოლოდ მოწინააღმდეგის, მტრის განადგურებას მიიჩნევს. ომის სურათები, სისხლისღვრა, ბრძოლის ეპიზოდების გაცოცხლება ხშირად განსაზღვრავს ნეოკლასიცისტთა თხზულებების კომპოზიციურ ჩარჩოს. ნეოკლასიციზმის თემატიკა, უმეტესად, კლასიკური ისტორიითა და მითოლოგით საზრდოობს. ჰომეროსის, ვირგილიუსის, ოვიდიუსის პოეზია, ესკილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს დრამები, პლინიუსის, პლუტარქესა და ტაციონუსის ისტორიები ნეოკლასიციზმისათვის მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს, თუმცა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰომეროსის პოემები, მისი გმირების თავ-გადასავალი და საბრძოლო სცენები.

ჰომეროსის თხზულებების მიმართ ინტერესს ემატებოდა ყურადღება შუა საუკუნეების ხელოვნებისადმი, ოსიანის ფსევდო-კელტური პოეზიისადმი, შუა საუკუნეების ისტორიისა და დანტეს პოეზიის მიმართ. ნეოკლასიცისტები მკვეთრად განსხვავდებოდნენ თავიანთი აკადემიური წინაპრების, კლასიცისტებისაგან. ისინი აღმერთებდნენ გოთიკურ ხელოვნებას და ლირსეულად ააღორძინეს კიდეციგი.

აუცილებელია, აღვნიშნოთ, რომ ნეოკლასიციზმი, თავისი განვითარების ბოლო პერიოდში, თანაარსებობდა მისი სანინააღმდეგო ტენდენციის მატარებელ რომანტიზმთან; იმის ნაცვლად, რომ განცალკევებოდნენ, დაპირისპირებოდნენ ნეოკლასიციზმი და რომანტიზმი, ისინი ერთმანეთს შეერწყნენ რამდენიმე კუთხით. ეს თავისებურება განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა მხატვრობაში: ბევრ, აშკარად ნეოკლასიცისტურ, ნახატში ჩანს რომანტიკული ტენდენციები და მრავალმხრივი მონაცვლეობა: ნეოკლასიცისტური ისტორიული, სწორხაზოვანი და უსიცოცხლო სურათების გვერდით, იქმნებოდა რომანტიკული, სასიყვარულო თემატიკაზე შექმნილი პორტრეტებიც.

ნეოკლასიცისტებს არ სურდათ რენესანსული აზროვნების სრულიად, სავსებით უარყოფა, მაგრამ მიიჩნევდნენ, რომ ამ ეპოქის ხელოვნების მეთოდები ძალიან ქაოტური იყო, ამიტომ ანტიკური საბერძნებისა და რომის კლასიციზმს მიუბრუნდნენ. ეს, დიდწილად, იმითაც იყო გამონვეული, რომ პოლიტიკური არასტაბილურობისა და კონფლიქტების შემდგომ, ევროპას, განსკუთრებით კი, დიდ ბრიტანეთს, სურდა ეპოვა საკუთარი თავი, განესაზღვრა თავისი დანიშნულება, მისია სამყაროში და ეჩვენებინა, რამდენად სწორად ასრულებდა თავის ღვთაებრივ ფუნქციას.

ნეოკლასიციზმის მთავარი ცნებები თავშეკავება და წესრიგი გახდა. ყველა ადამიანი უნდა მოქცეულიყო „სწორად“ და ეჩვენებინა, რომ კარგი გემოვნება აქვს: რადგან ადამიანი სრულყოფილი არსება არ არის და მისი ბუნება ყალბია, ნეოკლასიციონებმა გადაწყვიტეს, დაეწესებინათ საზღვრები – როგორი უნდა ყოფილიყო იდეალური ადამიანი. პიროვნებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი გახდა, დაემტკიცებინა, რომ საკმარისად ჭკვიანია. მწერლები ხშირად იყენებდნენ თავიანთ წანარმოებებს არა მარტო ეტიკეტისა და წესების (წესრიგის – დექორუმის) გადმოსაცემად, არამედ თავიანთი გონებამახვილობის გამოსამჟღავნებლადაც.

ბრძანებაზე (შეკვეთაზე), მიზეზებზე, ეტიკეტსა და გონიერებაზე აქცენტირებამ გამოიწვია კონკრეტული ქანრებისა და გარკვეული სახის ლიტერატუ-

რული თხზულებების დანინაურება: დღიურები, ესეები, ნერილები და პირველ პირში მოთხრობილი ამბები გაცილებით პოპულარული გახდა, რადგან მათი მიზანი იყო იმის გადმოცემა, თუ რას ფიქრობდა, ან ალწევდა კონკრეტული ადამიანი, რაც წარმოადგენდა ნეოკლასიციზმის მთავარ მიზანს – გამოერკვია და განესაზღვრა პიროვნების როლი საზოგადოებაში. ძალიან დიდი პოპულარობა მოიხვეჭა მორალურმა იგავებმა და პაროდიებმა. გარითმული სტროფები კი, კერძოდ, გმირული სულისკვეთებით გამომხატველი სტროფები (the heroic couplet) დომინირებდა პოეზიაში, ხოლო თეატრისათვის აცილებელი გახდა ჰეროიკული (გმირული) დრამები.

ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ნეოკლასიცისტი მწერალი იყო ჯონ მილტონი (1608-1674), ეპიკური პოემის „დაკარგული სამოთხის“ ავტორი, რომლის ბევრი თხზულება კარგად ასახავს ინგლისის პოლიტიკურ მდგომარეობასაც. ინგლისური ნეოკლასიციზმის უკანასკნელ დიდ წარმომადგენლად მიიჩნევენ სემუელ ჯონსონს (1709-1784). მისი მთავარი ნაშრომია ინგლისური ენის ლექსიკონი, რომელიც შემდგომ ოქსფორდის ლექსიკონმა ჩაანაცვლა. ე.ნ. „ჯონსონის ლექსიკონმა“ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ინგლისური ენის განვითარებასა და ნორმირებაში. 1759-იანი წლებიდან ნეოკლასიციზმის იდეები ნელ-ნელა უკან იხევს და ყურადღება ინაცვლებს ინდივიდის გრძნობებზე: მკვიდრდება და ვითარდება რომანტიზმი.

მიუხედავად იმისა, რომ ნეოკლასიციზმის ეპოქა დამთავრდა, მისი იდეების გავლენა ჯერაც გრძელდება. მაგალითად, ის, რომ მარტივად წერა სჯობს – ამ კრედის დღესაც ბევრი მწერალი მიჰყვება. ნეოკლასიციზმიდან მოდის იდეაც, რომ ლიტერატურას შეიძლება ჰქონდეს სოციალური ფუნქცია და დაეხმაროს ინდივიდს საზოგადოებასთან ადაპტირებაში (ეს იდეა თანამედროვე მწერლებმა აიტაცეს).

შეიძლება, შევაჯამოთ ნეოკლასიციზმის მთავარი მახასიათებლები: 1. კლასიკური ეპოქის იმიტაცია; 2. ხელოვნური და არისტოკრატიული საზოგადოება; 3. დახვეწილი ქცევა; 4. ლირსება რეპუტაციიდან გამომდინარეობს და არა მთლიანობიდან; 5. სტილი ზრდილობიანი და მახვილგონივრულია; 6. თხზულებები ჭკუის სასწავლებელი და გასართობია; 7. უნდობლობა ინოვაციისა და გამომგონებლობის მიმართ, 8. თავშექავება გრძნობების გამოხატვისას; 9. ლირებულია კომუნიკაცია და არა თვითგამოხატვა; 10. იდეალები, წესრიგი, ლოგიკა, „სწორი“ ქცევა, დექორუმი.

თომას სტერნზე ელიოტი (1888-1965), ნეოკლასიციზმის საუკეთესო შემფასებელი, იმ ლიტერატურული მიმდინარეობის კრიტიკოსი, მიიჩნევდა, რომ „პოეზია ემოციებისადმი ქედის მოხრა კი არ არის, არამედ მისგან თავის დაღწევაა. იგი არ არის პიროვნულობის გამოხატულება, იგი მისგან გათავისუფლებაა, მაგრამ, რასკვირველია, მხოლოდ მათ, ვისაც პირადულობაც გააჩნია და ემოციაც, იციან, რას ნიშნავს სურვილი მისგან გათავისუფლებისა“ (ელიოტი 2010: 103). იქვე თ. ელიოტი განსაზღვრავს: „ხელოვნების ემოცია უპიროვნობა და პოეტი ვერ მიაღწევს ამ უპიროვნობას, თუ სრულიად არ შესწირა თავი ლექსს, თუ იცხოვრა არა მხოლოდ აწმყოთი, არამედ არ იცხოვრა წარსულში, ისე როგორც აწმყოში, არ გააცნობიერა არა მარტო ის, რაც წარვიდა, არამედ ის, რამაც უკვე დაინყო სიცოცხლე“ (ელიოტი 2010: 103).

ნეოკლასიცისტების მიერ მოპოვებული სიბრძნე – სამყაროს მოწყობის კანონზომიერება ბუნების წესრიგსა და ჰარმონიაში უნდა ვეძიოთ – აკაკი წერეთლის შემოქმედების ქვაკუთხედია. ეს აზრი „თორნიკე ერისთავსა“ და „გამზრდელში“ სხვადასხვაგვარად, მაგრამ ორიგინალურად იყითხება: ადამიანები ხმირად არღვევენ ბუნებისა და ღმერთის მიერ შექმნილ ამ წესრიგს, მაგრამ გონების შემნებით, აზროვნების ძლევამოსილებით, სისხლის, მონანიების, მსხვერპლისა და სინანულის მეოხებით, კვლავ „ბარბაცით“, „მორჩილებით“, სამშობლოსათვის გაღებული სისხლით, მოიპოვებენ დარღვეულ წონასწორობას. „გამზრდელის“ ოთხი თავი, შესაძლოა, ბლევისა და, საერთოდ, ნეოკლასიცისტების მიერ დაწერილი\* „სეზონის ციკლების“ („გაზაფხული“, „ზაფხული“, „შემოდგომა“, „ზამთარი“) ფონზე განვიხილოთ: I თავი, ამქვეყნიური სამოთხეა: მარადიული გაზაფხულის განსახიერება: ჰარმონიული ერთობა წყვილისა – „მთის მწვერვალზე“. მეორე თავი – „ზაფხულია“ – ქინია, რომელიც ამქვეყნიური წყურვილის მოკვლის აუცილებლობით არღვევს მარადიულ წესრიგს, მესამე თავი – „შემოდგომაა“, – ანუ ცოდვის ნაყოფის მომკა – სინანული, რომელიც საფარ-ბეგს ცხოველური ჟინის დაკმაყოფილების სანაცვლოდ უნდა დაეუფლოს, ხოლო ბათუ-აფხაზს პირველქმნილ ჰარმონიასთან დაბრუნების შეუძლებლობის გამო – სიმდაბლიდან კვლავ სიმაღლისაკენ სწრაფვის სურვილი შერჩეს, რაც ადამიანობის, გონიერი არსებობის ერთადერთ გზად აღიძება; IV თავი – „ზამთარი“ – ანუ სიკვდილის გზით ხსოვნის, მეხსიერების გამოკვება – ჰაჯი-უსუბის განაჩენის „გასიგრძეგანება“ ოთხი მხრიდან – ბათუს, ნაზიბროლას, საფარ-ბეგისა და მოძღვრის – პოზიციიდან სეზონთა კონცეფციის, ანუ დროსა და ოთხი კუთხის – სივრცით – ქრონოტოპის ფონზე ხდება: ნეოკლასიცისტები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანს არასრულფასოვან, ნაკლოვან არსებად მიიჩნევენ, შეზღუდული შესაძლებლობებით: გონების ყოვლისშემძლეობა აღარ ითვლება შეუვალ ჭეშმარიტებად და მაინც, **მაგალითის ძალა** უეჭველია: სიკვდილი დავიწყებასა და სამუდამო გაქრობის ტოლფასი არ არის, განსაკუთრებით, კავკასიაში და **გამზრდელის თვითმკვლელობა** სწორედ იდეალის გადარჩენის ერთადერთი გზა და არა პრინციპებზე უარის თქმა. აქვე, შეიძლება, საგულისხმო ჰარალელი გავავლოთ, „ოთარაანთ ქვრივის“ დასასრულსა და ამ მოთხრობაში სეზონთა მონაცვლეობის კანონზომიერებაზე: ჰაჯი-უსუბის მსგავსად, ქართველი გამზრდელი, დედა, ოთარაანთ ქვრივიც იღუპება, სწორედ გაზრდილის, შვილის ფიზიკური სიკვდილის გამო. ილიას არჩევანით, ოთარაანთ ქვრივი შობა დღეს, ზამთარს, ხოლო გიორგი – შემოღვიმას – ემსვერპლა. გაზაფხულზე, მაისში, გაშენდა კესოს ბალი, ამქვეყნიური სამოთხე. ამ ღვთიურ გარემოში ატარებენ მთელ დღეებს კესო და გიორგი ისე, რომ ერთმანეთს არ იცნობენ: კესოსთვის უცნობია გიორგის სული, ხოლო გიორგი არც ცდილობს რეალურ კესოსთან დიალოგს. ცოდნისა და რწმენის ერთიანობის აუცილებლობა, გონებისა და გულის, გრძნობის გამოლიანება – დიალოგის აუცილებლობა – XIX ს. II ნახევარში,

\* 1876 წელს აკაკი წერეთელმა გაზ. „დროებაში“ (№ 29), გამოაქვეყნა ლექსების ციკლი: „გაზაფხულის სიმღერა“, „ზაფხულის სიმღერა“, „შემოდგომის სიმღერა“, „ზამთრის სიმღერა“. ეს ლექსები მოგვანებით პოეტმა ჩართო პროზაში „საყმანვილ ზღაპრები“ და „საყმანვილ ზღაპრები აკაკისა“ (1885).

ილიასა და აკაკის შემოქმედებაში ნეოკლასიციზმის, განმანათლებლობის ხანის უკანასკნელი ეტაპის, გამოვლენის დასტურია.

აკაკის ცნობილი თხზულება „სამგვარი სიყვარული“ სამი ნაწილისგან შედგება: I. გამოუცდელი, II. უინი, III. ნამდვილი (მასკა) და საცულისხმო ახსნას გვაწვდის: საყვარელ ქალს, ნამდვილს, მომავალ ცოლს, ავტორი „სიკვდილს“ უსურვებს, რაც ელენეს, ბუნებრივია, გააბრაზებს, მაგრამ მერე გაზრდი კითხულობს საყვარელი ადამიანის აზრს ამგვარი სიკვდილის თაობაზე: „როცა ჯერ უმანკო, ბუნებისაგან საიმედოდ და საქებრად გაჩენილი ახალგაზრდა შემხვდება ხოლმე ჩვენში, მე გულზე ნაღველი მენთხევა და მის სიკვდილსა ვნატრობ, რადგანაც ვიცი, რომ ეს ჩვენი მონებითი საზოგადო ცხოვრება უეჭველად გააუკულმართებს მის ადამიანობას“... და ნუთუ სპეტაკად საფლავში ჩასვლა არა სჯობია ცოცხლადვე ზნეობითად მკვდრობას!“ (წერეთელი 1989: 270). აკაკის ბოლომდე არ დაუკარგავს იმედი, რომ ნამდვილი სიყვარული, გამოცდილება, ერთგვარად, უარყოფს ადამიანთა დაწესებულ უზნეო კანონებს და ემყარება ცოდნისა და რწმენის სინთეზს: სიკვდილით სიკვდილის დათრგუნვის პრინციპს. ნამდვილი იდეალის გადასარჩენად ხშირად ხდება საჭირო ყველაზე ძვირფასის, სიცოცხლის, განირვა. დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ ხელოვნების მიმდინარეობები არასოდეს ქრება და ამის დასტურად ელიოტის კრიტიკა და პოეზია მოვიხმეთ. ელიოტის ნეოკლასიციზმი რაციონალიზმს ეყრდნობა. თომას ელიოტმა თავის ქრესტომათიულ ესეში „ტრადიცია და პიროვნული ნიჭიერება“ მესამე თავს ეპიგრაფად წაუმძღვარა ციტატა არისტოტელეს თხზულებიდან „სულისათვის“ (De anima), თავი IV: „გონება, უეჭველად, უფრო ღვთაებრივია და ნაკლებად ემორჩილება ვნებებს“. ელიოტი მიუთითებს, რომ „ეს ესეი გვირჩევს, შევჩერდეთ მეტაფიზიკისა თუ მისტიციზმის საზღვართან და ვიხელმძღვნელოთ იმ დასკვნებით, რაც გასაგები იქნება პოეზით დაინტერესებული განათლებული პიროვნებისათვის. ყურადღების გადატანა პოეტიდან პოეზიაზე საქები მიზანია... (ელიოტი 1989: 415).

„ელიოტი ერთი იმათგანია, ვინც ამტკიცებს კრიტიკული მეთოდის საჭიროებას, საპირისპიროდ იმ პიროვნებებისა, ვინც აცხადებს, ყველაფრის განსჯა შემიძლია შინაგანი ნათელის საშუალებით“, – წერდა ფრენკ სუინერტონი, რომელმაც ელიოტზე დაწერილ ესეს ეპიგრაფად წაუმძღვარა ტ. ბ. მაკოლეის სიტყვები: „...ფაქტია, რომ პოეზია მოითხოვს არა მჩხრეკელ, არამედ მორწმუნე ყაიდის გონებას“.

ალბათ, აკაკის ღვთიურ სიგიურესაც ის გონებრივი სიმაღლე და მისტიკური სიბრძნე ასაზრდოებდა, რაც ლექსში ფორმისა და ემოციის (გრძნობის) უზადო შერწყმას განაპირობებდა.

#### დამოწმებანი:

Bleik'i, U. Leksebi (Targmna M. Zaalishvilma). Chveni Mts'eloba, №5. 2015 (ბლეიკი, უ. ლექსები (თარგმა მ. ზალიშვილმა). ჩვენი მწერლობა, № 5. 2015).

Eliot'i, T. Eseebi. Targmnes P'. da R. Chkhiedzeebma. Tbilisi: "merani" 1989 (ელიოტი, თ. ესები. თარგმნება პ. და რ. ჩხეიძეებმა. თბილისი: „მერანი“, 1989).

- Eliot'i, T. "T'raditsia da Individualuri T'alant'i". *Lit'erat'uris Teoria. Krestomatia*. II. Tbilisi: lit'erat'uris inst'it'ut's gamomtsemloba, 2010 (ელიოტი, თ. „ტრადიცია და ინდივიდუალური ტალანტი“. ლიტერატურის თეორია. ქრესტომათია. II. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010).
- Valeri, P'. *Sulis K'rizisi*. Tbilisi: Tbilisis damoik'idebeli inst'it'ut'i, 1994 (ვალერი, პ. სულის კრიზისი. თბილისი: თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, 1994).
- Zaalishvili, M. *Ts'inasit'q'vaoba U. Bleik'is Leksebis Targmanebezi*. Chveni Mts'erloba, № 5(239), 2015 (ზალიშვილი, მ. ნინასიტყვაობა უ. ბლეიკის ლექსების თარგმანებზე. ჩვენი მწერლობა, №5(239), 2015).
- K'ernch'oshvili, I. *Galakt'ion T'abidZis Samq'aroshi*. Tbilisi: kartuli lit'arat'uris inst'it'ut'i, 1999 (კერნჭოშვილი, ი. გალაქტიონ ტაბიძის სამყაროში. თბილისი: ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 1999).
- Korzh Yu, V. "Neoklassitsizm. Kulturpogiya. XX Vek)". *Entsik'lop'edia*. T. 2. СПБ, 1998 (Корж, Ю. В. «Неоклассицизм. Культурология. XX век». Энциклопедия. Т. 2. СПБ., 1998).
- «Neok'lasitsizmi». *Kartuli Sabch'ota Entsik'lop'edia*. T. VII. Tbilisi: 1994 („ნეოკლასიციზმი“. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. VII. თბილისი: 1994).
- Minashvili, L. "Ak'ak'i Ts'ereteli". Evgeninze I., Minashvili L. *Kartuli Lit'erat'ura*. Tbilisi gamomtsemloba "sakartvelos matsne", 2013 (მინაშვილი, ლ. „აკაკი წერეთელი“. ევგენიძე ი., მინაშვილი ლ. ქართული ლიტერატურა. II. თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2013).
- Nozadze, M. "Uiliam Bleik'is Sami Sivrtse da Simbolebi". *Leksmtsodneoba*, IV. Tbilisi: (ნოზაძე, მ. „უილიამ ბლეიკის სამი სივრცე და სიმბოლოები“. ლექსმცოდნება, IV. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011).
- Rat'iani, I. *Realizmis Lit'rat'uruli Sk'ola da Misi Kartuli Modeli. Sjani*, 16. Tbilisi: 2015 (რატიანი, ი. რეალიზმის ლიტერატურული სკოლა და მისი ქართული მოდელი. სჯანი, 16. თბილისი: 2015).
- Kikodze, G. *Ts'erilebi. Eseebi. Nark'vevebi*. Tbilisi: gamomtsemloba "merani", 1985 (ქიქოძე, გ. წერილები. ესეები. ნარკვევები. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1985).
- Ts'ereteli A. *Rcheuli Tkhzulebani Khut T'omad*. Tbilisi: gamomtsemloba "sabch'ota sakartve'lo", 1989 (წერეთელი, ა. რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად. ტ. III. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1989).
- Ts'ereteli, A. "Leksebi". *Tkhzulebata Sruli K'rebuli Ots T'omad*. Tbilisi: gamomtsemloba "sakartve'ols matsne", 1989 (წერეთელი, ა. „ლექსები“. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2010).
- Ts'ereteli A. "P'oemebi". *Tkhzulebata Sruli K'rebuli Ots T'omad*. Tbilisi: gamomtsemloba "sakartve'ols matsne", 1989 (წერეთელი ა. „პოემები“. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად. ტ. IV. თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2014).

### ინტერნეტ წყარო:

<http://cyberleninka.ru/article/n/neoklassitsizm#ixzz2ivRdYkDB>

<http://www.victorianweb.org/previctorian/nc/intro.html>

[http://www.baachelonandmoster.com/englishperiods/neoclassical\\_poets.html](http://www.baachelonandmoster.com/englishperiods/neoclassical_poets.html)

Tamar Barbakadze  
(Georgia)

## Neoclassicism and Akaki Tsereteli's Heroic Couplets

### Summary

**Key words:** neoclassicism, Akaki Tsereteli, heroic stanzas

This paper has analyzed the history and theory of Neoclassicism, its influence on Georgian literary process. In this respect, particular importance is attached to the study of the creative activity of the great Georgian poet and public figure, Akaki Tsereteli.

In specialist literature it is indicated that the features of Neoclassicism in Georgian literature are marked in Akaki Tsereteli's patriotic lyrics; in 19th-century poetry – in G.Tabidze's lyrical verses created on antique themes (*Hetaera*, *Mournful Seraphs*, etc.).

Neoclassic trends in G.Tabidze's poetry have been more or less studied (T.Doiashvili, G.Asatiani, I.Kenchoshvili, A.Khintibidze, etc.) but Akaki's poetry in this respect has not been studied as it might have been.

The artistic perfection of Akaki's verse, the wisdom of simplicity, aphoristic laconism of classical Georgian poetry – are the forming parameters which determine Akaki Tsereteli's link with the principles of the last literary trend of the Enlightenment epoch – Neoclassicism.

The heroic couplets in Akaki Tsereteli's lyrical verses ("Shamil's Dream", "Dream", "Aghmart-Aghmart", etc) and poems ("Tornike Eristavi", "The Mentor", "Natela", "Bagrat the Great", "Georgia's Current Face", "Gorg-Aslani", "A Centenary Story", "Racha-Lechkhumi", etc.) are distinct with homonymic rhythms, stable strophe, strictly determined isosyllabism, clearly expressed rationalism.

The plot of Akaki Tsereteli's famous historic-heroic poem "Tornike Eristavi" is analyzed in scholarly work as a composition constructed on the principles of neoclassicism; the action takes place in a king's palace, at catholico and battlefield; the advantage of the reason over the feeling determines the ministry of duty; men's imperfection is manifested against the background of harmony of nature; the verse technology is extremely regulated and an argument between Orbelidze and the fool is known for homonym rhythms demonstrates the sharpness of wit of the characters of the poem.

Neoclassicism as a literary movement is the longest in the history of movements. On the one hand, the neoclassical period flourished in European culture and art in 17<sup>th</sup>-18<sup>th</sup> centuries, on the other hand, Neoclassicism reappeared at the turn of the 19<sup>th</sup>-20<sup>th</sup> centuries (Pol Valeri, Tomas Eliot). Characteristic features of Neoclassicism are revival of antique, classic or national traditional culture in the sphere of reason or form. As a proof for an artist to respect eternal values, neoclassicism reminds the reader the eternity of universal, moral and national issues in the history of mankind.

Through the unity of feeling and mind, the harmony which nourishes poetic perception can be reached. In Akaki Tsereteli's poem "Natela" the verse is written on the

boundary of uniting the laws of divine mystery and “logos”. Let us recall Akaki’s famous words: “The verse has its own mystery and laws”. Natela’s known song: “The chonguri is Georgia...” is an artistic embodiment of neoclassical poetry.

The paper considers the poem “A Centenary Story” published in full for the first time in the 20-volumed academic edition of Akaki Tsereteli’s works which was banned in the 10<sup>th</sup>-20<sup>th</sup> centuries because of anti-Russian sentiments.

In this poem Akaki Tsereteli uses the oldest meter of Georgian verse 7-syllable (4/3, 2/5), low shairi (5/3), attests Rustaveli’s aphorisms.

Neoclassical theorists saw man as an imperfect being with limited potential and sinful nature. In neoclassical poetry the favorite verse form was the rhymed couplet, which reached its greatest sophistication in heroic couplet; while the theatre saw the development of the heroic drama, the melodrama, the sentimental comedy, and the comedy of manners.

Eliot saw Neo-classicism as emphasizing poetic form and conscious craftsmanship, and Romanticism as a poetics of personal emotion and “inspiration,” and pointedly preferred the former.

Neoclassical poets had a great respect for the artists of the antiquity and imitated much from them. In their poetic works an emphasis was made on order, correctness and established rules were carefully observed. Set phrases were commonly used in their poetry. For neoclassical poets poetry was an imitation of human life. For example, John Dryden wrote heroic couplets and here and there skillfully included satire (compare, Akaki Tsereteli’s satiric poetry).

The wisdom gained by neoclassical writers - the regularity of order in the universe is to be sought in nature and harmony – is a cornerstone of Akaki Tsereteli’s creativity. This concept is used by the poet in his poem “Tornike Eristavi” and “The Mentor” differently but in a peculiar way: men often break the order created by nature and God but with the help of reason, effort of thinking, blood, repentance, sacrifice and regret manage to restore the balance of mind.

The four chapters of Akaki Tsereteli’s “The Mentor” can be read against the background of the “seasons concept” of neoclassical poets: chapter I – spring (harmony of spouses on the top of the mountain); chapter II – summer – passion, ardor which breaks divine order with the desire to satisfy the thirst of this world, chapter III – autumn – or harvesting the fruits of sin, chapter IV – winter – feeding the memory, recollections or traditions through death. The power of example in the poetry of neoclassic writers is necessary: death is not an equivalent of forgetting and complete disappearance, especially in the Caucasus and the Mentor’s suicide is the only way to save the ideal and not denying the principles. The necessity of the unity of knowledge and faith, mind and heart, emotional integrity, the necessity of a dialogue – all this is an evidence of the neoclassicist impulse in the final period of the Enlightenment in Georgian literature of the second half of the 19<sup>th</sup> century.

Akaki Tsereteli’s neoclassical works also describe intellectual height and mystical wisdom that determined the blend of form and emotion (feelings) in his verse.

## პარლონ სილაგაძე (საქართველო)

### ქართული მყარი სალექსო ფორმების აღმოსავლური წყაროები\*

1. მყარი სალექსო ფორმების ადგილის განსაზღვრის მიზნით ვერსიფიკაციულ სისტემაში – რამდენიმე სიტყვა ამ სისტემის შესახებ.

ლექსტნების სისტემაში უნდა გამოიყოს ორი ნაწილი (სილაგაძე 1987: 49-55; სილაგაძე 2008: 91; სილაგაძე 2009: 191). პირველი (რიტმული ორგანიზაცია) შედარებით მდგრადია და მთლიანად განპირობებულია მოცემული ენის პროსო-დიული სისტემით, რომლის დისტინქციური სუპრასეგმენტული ელემენტი ლექსში აქტუალიზებულია როგორც სისტემის წარმომქმნელი ფაქტორი და მას ემყარება სისტემის ზოგადი პრინციპიც და სტრუქტურული კანონებიც. მეორე ნაწილი მოძრავი და ცვალებადია და ზოგადად მოიცავს კომპოზირების სფეროს; ეს ნაწილი დაკავშირებულია ექსტრალინგვისტურ ფაქტორებთან, პირველ ყოვლისა, ლიტერატურული ხასიათისა.

მყარი სალექსო ფორმების ადგილი აქ არის.

2. მყარი სალექსო ფორმა, როგორც ასეთი, შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს.

ეს არის ლექსის (/ლექსითი ტექსტის) კომპოზიციური ფორმა, რომელიც რესპონდუქციისუნარისია და რომელსაც, მოცემული ენის პროსოდიული კანონებისა და ლექსტნების სისტემის კანონზომიერებების ფარგლებში, განსაზღვრავს გარკვეული წესების ცალკე ან კომპინირებული მოქმედება: ა) სალექსო სტრიქონთა რაოდენობა და განლაგება უფრო დიდი კომპოზიციური ერთეულის შიგნით; ბ) უფრო დიდ კომპოზიციურ ერთეულთა (ძირითადად, სტროფის) რაოდენობა და განლაგება ლექსითი ტექსტის შიგნით; გ) ლექსითი ტექსტის სიმეტრიული ან ასიმეტრიული დანაწევრების მთლიანობა; დ) გარკვეული საზომის ან საზომთა გამოყენების აუცილებელი ხასიათი; ე) გარითმის სქემა; ვ) გარკვეული გამეორებები, რიტმულ-სინტაქსური პარალელიზმი და სხვ.

მყარი სალექსო ფორმები ასევე წარმოადგენენ ერთ-ერთ აქტუალურ ელემენტს პოეზიის, კერძოდ მისი ვერსიფიკაციული სისტემის, დიაქრონიაში. ამ შემთხვევაში იგულისხმება ისიც, რომ ყოველთვის მოსალოდნელია განახლება – ახალი სქემებისა და ფორმების შექმნა, როდესაც ადგილი აქვს გარე გავლენებსაც.

3. ქართულ ლექსს რაც შეეხება, გავლენების წყარო ბუნებრივად შეიძლება იყოს აღმოსავლურიც.

ამ გავლენათა შედეგი შემდეგ მოვლენებში აისახება: ა) გავლენით ჩამოყალიბებული ახალი მყარი ფორმა, ბ) ამ ფაქტის აღნიშვნა: ან – პოეზიაშივე, როდე-

\* აღნიშული სტატია შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნულ-სამეცნიერო ფონდში მოპოვებული გრანტის („ევროპული და აღმოსავლური მყარი სალექსო ფორმები ქართულ პოეზიაში (ისტორია, თეორია, ქრესტომათია)“ № FR/496\_110/14) მეშვეობით.

საც აღინიშნება ფორმის აღმოსავლური სახელწოდება, რაც გულისხმობს იმას, რომ მოცემული პოეტური თხზულების ავტორის მიერ, მიზანდასახულების გარეშე (შეგნებულად თუ შეუგნებლად), ჩატარებულია გარკვეული ანალიზი; ან – ლიტერატურის თეორიასა და ისტორიაში, როდესაც ანალიზი ჩატარებულია მეცნიერული მიზანდასახულებით (ასეთი ანალიზის შედეგი იხ., მაგ., კობიძე 1969; თარგა-მაძე 1990; ბერიძე 1995 და სხვ.).

წარმომავლობის აღმოსავლურ წყაროებთან ქართული მყარი სალექსო ფორმების დაკავშირების კონტექსტში შემდეგი შემთხვევები უნდა დავადგინოთ.

1. ერთი მხრივ, ქართულში ფორმის აღმნიშვნელ ტერმინად გვაქვს აღმოსავლური წარმოშობის სიტყვა, მეორე მხრივ, მოცემულ ამოსავალ ენაში ამ სიტყვით გამოხატული რაიმე ფორმას არ არსებობს.

2. ქართულში დადასტურებული ფორმა ემთხვევა აღმოსავლურში ერთჯერადად დადასტურებულ ლექსით ნიმუშს, რომელიც იქ რეპროდუქციის უნარის მქონე ფორმას არ ქმნის.

3. ფორმა გაჩნდა ქართულ ნიადაგზე, აღმოჩნდა ტიპოლოგიურად აღმოსავლური ფორმის მსგავსი, რის გამოც შეერქვა შესაბამისი აღმოსავლური სახელი.

4. ფორმა არსებობდა ქართულში, შემდეგ აქტუალიზდა სათანადო აღმოსავლური ფორმის გავლენით.

5. ფორმის აღმოსავლური წარმოშობა აღქმულია, მაგრამ ზუსტად არ არის განსაზღვრული მისი წყარო.

6. ფორმას ეძებნება აღმოსავლური წყარო, რომლის იმიტაციასაც იგი წარმოადგანს (უკანასკნელი ორი პუნქტი ფაქტიურად ერთი და იგივეა).

ქვემოთ წარმოდგენილი კონკრეტული ანალიზი აქ ჩამოყალიბებულ პუნქტებს (resp. წინასწარ დასკვნებს) მიჰყება. ზოგადი დასკვნა (ან: წინასწარი პრინციპული პოსტულატი) ასეთია: ქართული მყარი სალექსო ფორმების გენეზისის დადგენისას, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ქართული სინამდვილე; კერძოდ: ა) უცხო წარმოშობის შესახებ საკითხის დასმა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დეტალური ანალიზი გამორიცხავს ქართულ ნიადაგზე წარმოშობას; ბ) გავლენის გზით მიღებული ფორმის ანალიზი ასევე საჭიროებს ქართული ნიადაგის ფუნდამენტურ გათვალისწინებას; ჯერ ერთი, ეს არის ქართული სისტემის შიგნით ადაპტირების საკითხი; მეორეც, ეს არის გავლენის ხარისხის განსაზღვრა: ქართული ფაქტორები საბოლოოდ შეიძლება არანაკლები (ან უფრო მეტი) მნიშვნელობის მატარებლები აღმოჩნდნენ.

4. ზემოთ ჩამოთვლილთაგან პირველი პუნქტი: ქართული სალექსო ფორმის აღმნიშვნელ ტერმინად გვაქვს აღმოსავლური წარმოშობის სიტყვა, მაგრამ ამოსავალ ენაში მას არავითარი ვერსიფიკაციული შინაარსი არ აქვს.

ასეთ მაგალითს წარმოადგენს ქართული შაირი, რომელიც არაბული წარმომავლობის სიტყვაა: *šā’ir* – „პოეტი“ (ნაკლებად მისაღებია ქეგლ-ში მითითებული ეტიმოლოგია *šā’ir* – „პოეზია“). არაბულში ეს სიტყვა არ წარმოადგენს ვერსიფიკაციულ ტერმინს; რაც მთავარია, არაბულ ლექსთნებობაში არ არსებობს რაიმე ფორმა (საზომი და ა.შ.), რომელიც მიახლოებით მსგავსებას მაინც ამჟღავნებდეს ქართულ ფორმასთან.

რაც შეეხება იმ საკითხს, რომ შაირი სალექსო ფორმაა, ამას ადასტურებს, ერთი მხრივ, ქართული პოეტიკური ტრადიცია, მეორე მხრივ – პოეტური პრაქტიკა: ა) მ. ბარათაშვილი (ბარათაშვილი 1981: 10) მიმართავს ტერმინს „შაირი“ მონორითმული ოთხსტრიქონედის ალსანიშნავად: „ეს ოთხივე შაირის ერთი ტა-ების ხმა არის; ამას სამი სტრიქონი სხვა მიეც ამავე ხმისა და ამისთანა შაირი იქნება: „მე რუსთველი ხელობითა“ და ა.შ. ამავე კონტექსტში უნდა გავიხსენოთ თეომურაზ ბაგრატიონის გამონათქვამი: „შაირსა, „ვეფხისტყაოსნის“ ლექსები რომ არის ოთხტაეპოვანი, იმგვარს ლექსებს ეწოდება ქართველთა მესტიხეთაგან“. ამ ინტერპრეტაციას ხელს არ უშლის ის ფაქტი, რომ მსგავსი ტერმინით „გრძელ-შა-ირის“ კატერინიც აღინიშნება: შაირი, გრძელ-შაირი (ასევე – დაბალი შაირი, მაღალი შაირი) საზომის გამომხატველი ტერმინიცაა, რაც სრულიადაც არ არის უწევეულო, რადგანაც ესა თუ ის ტერმინი ხშირად რამდენიმე მნიშვნელობის მატარებელია. ჩვენ შეგვიძლია ასეთი განსაზღვრება ჩამოვაყალიბოთ: შაირი აღნიშნავს მაღალი ან დაბალი შაირის საზომით შესრულებულ მონორითმულ ოთხსტრიქონედს. ბ) XVIII ს-ის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის ეპოქაში (ეს არის აღ-მოსავლური – ძირითადად სპარსული – ფორმების ინტენსიური შემოსვლის დრო) პოეტურ პრაქტიკაში ხშირია (მაღალი ან დაბალი) შაირის ოთხსტრიქონედები ცალე პოეტურ ტექსტად (მაგალითები – კენჭოშვილი 2014: 11, 43, 46, 47, 108, 130, 132, 133 და სხვ.; ზოგ მათგანს სათაურად აწერია, „შაირი“); (მაღალი) შაირის ოთხ-სტრიქონედს, ორიგინალური გარითმით, წარმოადგენს ჩახრუხაძის „თამარ წყნარი“ (ოთხსტრიქონედი, საერთოდ, დადასტურებული ფორმაა; შეიძლება იყოს, მაგა-ლითად, ფისტიკაურის მეტრით – მაგალითები იხ. კენჭოშვილი 2014: 108, 109, 177 და სხვ.).

5. ქართულში დადასტურებული ფორმა ემთხვევა აღმოსავლურში ერთ-ჯერადად დადასტურებულ ლექსით ნიმუშს, რომელიც იქ რეპროდუქციის უნარის მქონე ფორმას არ ქმნის.

ამის მაგალითს წარმოადგენს გიორგი წერეთლის მიერ „თამარიანის“ ე.ნ. ჩახრუხაული სტროფის (კატერინის) დაკავშირება ცნობილი არაბი ავტორის ალ-ჰარირის (გარდ. 1122 წ.) ერთ ლექსით ნიმუშთან (წერეთელი 1947: 47-48). ეს ნიმუში ჩართულია ე.ნ. მაკამების პროზაულ კრებულში (რომელშიც, სხვათა შორის, ერთი, ოცდამეცამეტე, მაკამა თბილისური მაკამა – მასში მოქმედება თბილისში მიმ-დინარეობს). გ. წერეთელმა ყურადღება მიიქცია ორმაგ რითმას და ტრადიციული სქემის საწინააღმდეგო მეტრული ინტერპრეტაცია წარმოადგინა:

lam yabqā šāfin/ walā mušāfin  
walā ma‘īnun/ walā mu‘īnu  
wafi-l-masāwī/ bada-t-tasāwī  
walā amīnun/ walā ūamīnu.

ტრადიციული წაკითხვით (ე.ნ. შეკვეცილი ბასიტის მეტრული სქემით) იქნებოდა: lam yabqā šāfin walā/ mušāfin და ა.შ. (სხვათა შორის – ეს უკვე ჩემი შენიშვნაა – ახალი წაკითხვისას ჩნდება საშუალება ამ არაბული ორსტრიქონედის განხილვისა

ოთხსტრიქონედად). მაგრამ მთავარი ისაა, რომ ასეთი წაკითხვით ეს ნიმუში გასა-ოცარი სიზუსტით ჰგავს ჩახრუხაულის სტროფს:

ბრძანონ სამალად, / ართუ სამალად.

ელი ამო სით / ეს რომ არა მით, და ა.შ.

იდენტურობის ნიშნები (იხ. აგრეთვე სილაგაძე 2014: 25-26): ა) შინაგანი რითმები, ბ) მათი პოზიციები და მიმართებები (ცვალებადი რითმები პირველ ნახევარხანაში, უცვლელი – მეორეში), გ) სტრიქონთა მეტრული სტრუქტურა, შემდგარი ხუთ-მარცვლებისგან (რაც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რადგანაც არაბული ლექსი დურაციული და არა სილაბური სისტემის ნიმუშია).

რაც შეეხება წინამდებარე სტატიის თემას, ქართულში ასეთი ნიმუშის სალექ-სო ფორმად განხილვა სრულიად კორექტულია. თვითონ „თამარიანში“ შეიძლება ვიპოვოთ 5-მარცვლიანი სეგმენტებისგან შემდგარი სტრიქონებით აგებული ოთხ-სტრიქნედი ცალკე მონაკვეთად / „თავად“ („ახალო პირო, მძლეო ნოსრ ვითა“). გარდა ამისა, XVIII-XIX საუკუნეების ლირიკაშიც გვხვდება ასეთი ერთსტროფიანი ლექსები (გიორგი ბაგრატიონი, ანონიმი და სხვ., იხ. კენჭოშვილი 2014: 107, 108, 177 და სხვ.).

განხილული ფაქტი უნდა კვალიფიცირდეს როგორც დამთხვევა. მთავარი არ-გუმენტი ამ შემთხვევაში ისაა, რომ არაბულში ეს ნიმუში კერძო/ინდივიდუალური ხასიათის მოვლენას წარმოადგენს და არა მყარს/გამეორებადს. ყველა შემთხვევა-ში, ეს არ არის არაბული მყარი სალექსო ფორმის ქართული იმიტაცია.

**6. ფორმა გაჩნდა ქართულ ნიადაგზე, მის აღსანიშნავად გამოყენებულ იქნა აღმოსავლური ტერმინი, რადგანაც ტიპოლოგიურად აღმოჩნდა გარკვეულწილად მსგავსი აღმოსავლური ფორმისა.**

ამ შემთხვევაში იგულისხმება **მუსტაზადი/მუსთაზადი**. სპარსულში, სადაც ეს ტერმინი (mustazād) არაბული წარმოშობისაა (მიმღეობა istazād ზმნისა, რომელიც ნიშნავს გაზრდის/გადიდების/დამატების სურვილს), ამ ფორმის სპეციფიკა დამყარებულია იმაზე, რომ ამა თუ იმ საზომის სტრიქონის მეტრულ სტრუქტურას დამატებული აქვს ამავე მეტრის ნაწილი – ტერფი ან ორი ტერფი (შესაძლებელია, დამატება ერთვოდეს ორსტრიქონედს). ეს ფორმა სპარსულში დადასტურებულია XI საუკუნიდან (ამ ფორმის შესახებ იხ. ბრაუნი 1941: 40-42; რაჭანი 2003: 754 და სხვ.).

რაც შეეხება ქართულში მუსტაზადის/მუსთაზადის ფორმას, XVIII-XIX სს. ქართულ ლირიკაში მისი არსებობის შესახებ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მო-საზრებაა გამოთქმული.

ერთის მიხედვით (კობიძე 1969: 265-267), ასეთი ფორმა ქართულ ლექსს არ გააჩნია.

მეორე აზრი XIX ს-ის პირველი ნახევრიდან მომდინარეობს. თ. ბაგრატიონს ქართული მუსთაზადი აღწერილი აქვს (იხ. ბაგრატიონ 1954: 77-78) როგორც თოთხ-მეტმარცვლიანი ლექსი („სპარსულის სიმღერის ხმაზედ“), რომელშიც თითოეული

სტრიქონი სამადაა გაყოფილი: 5 მარცვალი + 4 მარცვალი + 5 მარცვალი, გარით-მვა: 5a + 4a + 5b, სადაც ბილო რითმა საერთოა ყველა სტრიქონისთვის.

ამ შეხედულების გაგრძელებად ქართულ ლექსმცოდნეობაში გამოთქმულია ორიგინალური თვალსაზრისი (თარგამაძე 1990: 56-76), რომლის მიხედვითაც:

- ა) ქართული მუხამბაზების ერთი ნაწილი მუსთაზადს წარმოადგენს;
- ბ) მისი სპეციფიკია ისაა, რომ გამოყენებულია  $5+4+5$  მარცვალთშედგენილობის სტრუქტურა სტრიქონად;
- გ) ეს მონაკვეთი სამსეგმენტიანია, მაგრამ მეორე სეგმენტის მომდევნო ცეზურა მთავარი ცეზურაა, რის გამოც გვაქვს რიტმული სეგმენტაცია  $5/4/5$  ანუ  $9//5$ ;
- დ) ასეთი დაყოფა გვაძლევს ორ ასიმეტრიულ მონაკვეთს: პირველი საზომის სრულ სახეს წარმოადგენს, მეორე – არასრულს (ე.ი. დამატებას; იხ. ზემოთ სპარსული მუსთაზადის სპეციფიკა);
- ე) მუსთაზადია ყველა ქართული მუხამბაზი  $5+4+5$  მეტრული სტრუქტურისა, განურჩევდად იმისა, აქვს თუ არ აქვს შინაგანი რითმები (სტრიქონში პირველ ორ სეგმენტან რითმიანი მუსთაზადი ბესიკურის სახელითაა (ცნობილი).

საბოლოოდ: მუხამბაზების ერთი ნაწილი არის სპარსულის გავლენით შექმნილი მუსთაზადი: მუხამბაზ-მუსთაზადი.

მიუხედავად იმისა, რომ განხილული თვალსაზრისი საინტერესოა, არის მთელი რიგი ფაქტორი, რომელიც განსხვავებული დასკვნის გავეთების საშუალებას იძლევა (იხ. აგრეთვე ქვემოთ, პარაგრ. 8).

ა) იმავე ბესიკს აქვს ზუსტად ამავე ფორმის, მაგრამ არა  $5+4+5$ , არამედ სხვა საზომით შესრულებული ლექსები, რაც დაბრკოლებაა იმის აღიარებისათვის, რომ ქართულში გვაქვს მუსთაზადი, რომლის სპეციფიკა მუხამბაზის ფორმა, წარმოდგენილი  $5+4+5$  საზომით. ეს განსხვავებული საზომი არის  $5+5+5$  (ეს საზომიც ბესიკის ინოვაციაა); ამ დროს გვაქვს ჩვეულებრივი შიდარითმიანი ფორმაცი: „მოველ ან, ძმაო / ლხინად საკმაო / ვზი ჭირთა მთქმელად“); უჩვეულოც: „სახემრგვალ გიცი / ცის ხატო სვეო, / მპრუნაო დღეო“.

ბ) ეს უკანასკნელი ნიმუში კიდევ ერთ დაბრკოლებას ქმნის, რადგანაც, განხილული თვალსაზრისის მიხედვით, ერთნაირი შიდა რითმები პირველი (გრძელი/სრული) მეტრული მონაკვეთის ფარგლებში და განსხვავებული რითმა მეორე (მოკლე/დამატებულ) მონაკვეთთან იმის ერთ-ერთი დადასტურებაა, რომ სტრიქონი ასიმეტრიულად, სპარსულის მსგავსად, ასეა გაყოფილი: პირველი – საზომისეული სახე, მეორე – მისი მხოლოდ ნაწილი (როგორც ვხედავთ, ამ ნიმუშში ერთმანეთს ერითმება პირველი მონაკვეთის მეორე სეგმენტი და სტრიქონის ბოლო, მესამე, სეგმენტი). აქ, ზოგადად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ განხილული ფორმების ანალიზისათვის გარითმვა მნიშვნელოვან ფაქტორს არ უნდა წარმოადგენდეს, რადგანაც მისი როლი ფაქტიურად ნეიტრალიზებულია:  $5+4+5$ -ებში ჩვენ გვაქვს, ერთი მხრივ, შიდარითმიანი ნიმუშიც („ტანო ტატანო“, „ცრემლთა ისარნი“, „ვარდო სასურო“), მეორე მხრივ – უამრითმებო („ბულბული მოდის მნუხარებით“, „მე შენმა ფიქრმა მიმარინდა“, „ბულბულის შურსა“, მესამე მხრივ, რაც მთავარია, – შერეული, როდესაც ერთი ლექსით ტექსტის ფარგლებში ერთიც არის წარმოდგენილი და მეორეც („მე შენი მგონე“, „მზეჭაბუკ ორბელიანს“).

გ) „ასიმეტრიული“ სტრიქონები ბესიკს სხვა აგებულებისაც აქვს. მაგალითად („პირველ სიმდაბლეს აღევარ“): სტრიქონის გრძელი სრული მონაკვეთი კლასიკური დაბალი შაირის სახით (5+3+5+3) პლუს არასრული (ნახევარი ზომის) მეორე მონაკვეთი (5+3).

დ) „ასიმეტრიული“ სტრიქონების აგებისათვის ბესიკს 5+4+5 მთლიანად აქვს აღებული როგორც პირველი (სრული) მონაკვეთი, რომელსაც ემატება მეორე (არასრული) 5-მარცვლების სახით; იხ. „ცრემლთა მდინარე“, რომელშიც გარითმვის რთული სქემა (ესეც იმდროინდელი ექსპერტებისა და ინოვაციების ნიმუშია) სტრიქონის მთლიან სეგმენტაციას ასახავს: გამოყოფს 5+4+5-საც და 5-საც, 5+4+5-ის შიგნით გამოყოფს 5+4-საც და 5-საც.

ე) ყველაფერი ზემოთ თქმული იმას ნიშნავს, რომ განხილული და მსგავსი ფორმების შექმნის პროცესი ქართულ ნიადაგზე მიმდინარეობდა. ე.წ. მუსთაზადის შემთხვევაში ეს ბუნებრივი დასკვნაა, რადგანაც, ზემოთ გადმოცემული თვალსაზრისის თანახმად, მუსთაზადის სპეციფიკას მეტრი ქმნის, ხოლო მეტრი, ამ შემთხვევაში – ქართული მეტრი, ის ვერსიფიკაციული მოვლენაა, რომელიც ბუნებრივად რეალიზდება ქართული ლექსთნუობის სისტემის შიგნით დაქრონიის ერთ-ერთ კანონზომიერ საფეხურზე. ბესიკური 5+4+5 მეტრის სტრიქონის წარმოშობა კონკრეტული ბუნებრივი შემადგენელია ე.წ. კენტსეგმენტიანი სტრიქონის ალმოცენების პროცესისა, რომელიც XVIII ს-ში დაიწყო. სულხან-საბას „ქილილა და დამანაში“ აქვს 5+5+3 / 5+3+5 სტრუქტურის სტრიქონებისგან აგებული ლექსი: „მრავალთა უამთა მოგებად თემთა იარო“ (მ. ბარათაშვილთან ამ ლექსის 5+5+4 ვარიანტია წარმოდგენილი: „მრავალთა უამთა მოგებად თემთა იარეო“); ასეთივე გურამიშვილის „ამ წიგნის გამღერებავის სულის მოხსენება“ – ერთ-ერთი სტროფი: „ღმერთო, მისმინე დავითის საგალობელი“. გურამიშვილთანვე გვხვდება 4+4+3: „შემოდგომამ მოუწოდა ყინვასა“ (როგორც ცნობილია, გურამიშვილს აღმოსავლური გავლენები არ განუცდია) და სხვ.

ვ) ამგვარად, 5+4+5 ქართული ლექსის სტრიქონთა სისტემის ბუნებრივი წევრია და ბუნებრივად ქმნის შესაბამის საზომს. იგი არ არის იმიტაცია სპარსული მუსთაზადური ფორმისა, რომელშიც სტრიქონი იყოფა ორ წანილად ისე, რომ პირველში საზომის სრული სახეა წარმოდგენილი, მეორეში – არასრული. უფრო მეტიც, 5+4+5 არ არის კენტმუხლიანი აგებულება, იგი ჩვეულებრივი ქართული საზომია ბინარული სტრუქტურისა. ჩემი კონცეფციით (იხ. სილაგაძე 1987: 18-30), ქართული ლექსის ყოველი დონის სტრუქტურული ერთეული ბინარულია; ქვედა, საბაზო, დონეზე წარმოდგენილია ორნევრედი, რომელიც სამ ქვესისტემას გვიჩვენებს, ამათგან ერთ-ერთია იმ ორნევრედთა ქვესისტემა, რომლებშიც რიტმული გასაყარი გადის 5 მარცვლის შემდეგ: 5+5, 5+4, 5+3, 5+2, 5+1, 5+0; ამ ორნევრედთა კომბინაციით მიიღება სტრიქონი, მაგ., (5+3)+(5+3); ნულოვანი მეორე შემადგენლის მონაწილეობით მიღებული ერთ-ერთი კომბინაცია გვაძლევს სტრიქონს (5+4)+(5+0) – ეს არის ის ბესიკური სტრიქონი, რომელიც მუხამბაზებში და შემდგომ ნებისმიერ ფორმაშია გამოყენებული.

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმ ფორმის არსი, რომელსაც მუსთაზადს უწოდებდნენ, ასეთია: ახალი ფორმების ძიების პროცესში სპარსულიდან

(და არაბულიდან) წამოღებულ ფორმაში, მუხამბაზში, გამოყენებულ იქნა ქართული (და არა უცხო გავლენით აღმოცენებული) საზომი, მიღებული ფორმა გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებდა აღმოსავლურ, კერძოდ სპარსულ, ფორმასთან (ამას ხედავდნენ ავტორებიც და ანალიტიკოსებიც), რამაც განაპირობა ახალი ფორმისთვის აღმოსავლური (სპარსული) სახელწოდების გამოყენება (მხოლოდ – რიგ შემთხვევაში; კერძოდ: ელიზბარ ერისთავის „მუხამბაზი ანუ მუსტაზადი“ – „ვაი, ეს დრონი, საყვედრონი, მომცემს წყენასა“; მისივე „მუსტაზადი ანუ მუხამბაზი“ – „ვემონე მასა, ვტედავ თქმასა, პირად მზიანსა“; გრიგოლ ბაგრატიონის „მუსტაზადი ქართველთადმი“ – „ცამან ჩრდილოთით დაცაგვფარნა შავისა ღრუბლით“; ალექსანდრე ჭავჭავაძის „მუსტაზადი“ – „ისმინეთ, მსმენნო, ჭირთა მთმენნო, მიპყარით ყურნი“; მისივე „მუსტაზადი“ – „ვარდო-კოკობო, ყოვლთა მჯობო, მომხედე კრულსა“; მისივე „მუსტაზადი“ – „ვარდის გაყრილსა, სულმიხდილსა ჭმუნვა-მნარებით“; მისივე „მუსტაზადი“ – „მნამებ ხსოვნისა არცალა თუ მშთობოდეს ჩრდილი“); დავით რექტორის „მუსტაზადი“ – „გრგვინვით ციურნო, მოით მზიურნო“ და სხვ.).

7. ფორმა არსებობდა ქართულ სინამდვილეში, შემდეგ, აღმოსავლური სათანადო ფორმის გავლენით, იგი, ერთი მხრივ, აქტუალიზდა, მეორე მხრივ, შეიძინა გარკვეული სტილური (შესაძლოა – სემანტიკურიც) სიახლე.

ასეთ ფორმად უნდა მივიჩნიოთ **რობაი/რუბაი**.

რობაი ითვლება უმოკლეს სპარსულ სალექსო ფორმად (მის შესახებ იხ. Farzaad 1967: 99-123). სახელწოდება არაბული: rubā‘ “ოთხეული; შემდგარი ოთხი ნაწილისაგან” (< rubā‘ „ოთხ-ოთხად“). ძველი სპარსული ტრადიციით (მომდინარეობს შამსი კაისიდან – XIII ს.), სახელწოდება (და მეტრულად – ფორმის სპაციფიკა) დაკავშირებულია არაბულ ლექსთნყობასთან, კერძოდ, საზომ ჰაზაჯთან: არაბულ არუდში ჰაზაჯის სტრიქონი, ინვარიანტულად მოცემული როგორც ექვსტერფიანი, რეალობაში წარმოდგენილია მხოლოდ როგორც ოთხტერფიანი – ე.წ. majzū’ (იხ. Al-ქატib at-Tibrīzī 1975: 107-112).

სპარსული რობაის დამახასიათებელი ნიშნებია:

ა) ოთხსტრიქონიანი მონისტროფული ფორმა (ამასთან, სტრიქონის ფუნქციით წარმოდგენილია არა ბეითი, არამედ მისი ნახევარი – არაბ. miṣrā‘).

ბ) საკუთარი საზომი. ეს არის, როგორც ითქვა, არაბული მეტრი hazaj, რომლის სტრუქტურას აგებს ერთი და იგივე გამეორებადი ტერფი (mafā‘īlun – არაბული მნემონიკით). როგორც ყველა საზომს, ჰაზაჯს აქვს ვარიანტები; სპარსულში გამოყენებულია ის სახეობები, რომლებსაც ქმნის ინვარიანტულ სქემაზე ე.წ. ḥarb და ḥarm ნესების (გადახრების – არაბ. ziḥāfiṣ) დადება, რაც, საბოლოოდ, რობაის-თვის გვაძლევს მეტრის სპარსულისთვის ადაპტირებულ 24 სახეობას (რომელთა-გან ყველაზე ხშირად გამოიყენება 12).

გ) გარითმვა: aaaa ან aaba (რითმები სპარსულში არაბულის გავლენაა).

რობაი ჩანს IX-X ს-დან – დუბეითი (მისი, როგორც კატრენის, ძირებს ვარაუდობენ პრეისლამური დროიდან). X ს-ით ბოლოდან გავრცელდა არაბულ პოეზიაში (არის მოსახრება, რომ სპარსულიდან მისი წარმომავლობის აღიარებას ხელს უშლის უადრეს არაბულ ნიმუშებში რედიფის არსებობის ფაქტი – იხ. Aš-Šaybī 1972:

30), გავრცელდა ასევე თურქულშიც. არაბულში, ფაქტიურად ეს არის დუბეითი (dūbayt/dūbaytī), რომელმაც განსაკუთრებული პოპულარობა XIII ს-ში მოიპოვა.

ქართულში რობაი, აღმოსავლურიდან შემოსული სხვა ფორმებისგან განსხვავებით, ჯერ ერთი, ყველაზე ახალია, მეორეც – დღესაც გამოყენებადი. ეს ფორმა დამკვიდრდა სპარსული რობაიების ქართველ მთარგმნელთა მიერ, გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული (პირველი თარგმანები პნეარედული, განახორციელა იუსტ. აბულაძემ 1925 წელს, შემდეგ, სრულყოფილი, მხატვრული სახით – ამბ. ჭელიძემ 30-იან წლებში); ამავე დროს, მიჩნეულია, რომ ეს ფორმა, როგორც ჩანს, რომელიდაც სპარსული რობაის გადმოსალებად პირველად გამოიყენა ალ. ჭავჭავაძემ („ჰე, თავო ჩემო, ამა სოფლის არა უწყი რა, / მარად სიმდიდრის ხეჭის ფიქრში ფლული ხარ, მარა / თან ნარსატანად რაცლა ხამი გაქვს დაწესებულ, / მისიც არ იცი დარწმუნებით, გხვდების თუ არა“). სადღეისოდ თარგმნილია ომარ ხაიამი – მთლიანად („მთლიანად“ – პირობითად, რადგანაც დღემდე უცნობია, რამდენი რობაი ეკუთვნის ზუსტად ომარ ხაიამს) და ზოგიერთი სხვა ავტორი. რაც მთავარია, ეს ფორმა, როგორც ითქვა, ქართულ პოეზიაში მოქმედი/ცოცხალი ფორმაა: გასული საუკუნის პირველ ნახევარში ალიო მირცხულავამ შექმნა 33 რობაი; რობაიები დაწერილი აქვს ლადონ მრელაშვილს. კიდევ უფრო მეტი აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ რობაი პოპულარული გახდა XXI ს-ის ახალი თაობის ხელში (რ. ჩილაჩავა, ჯ. ცერცვაძე, ვ. მარლია, გ. ახალია, თ. ავსაჯანიშვილი და სხვ.).

ქართული რობაი რამდენიმე ნიშნით განსხვავდება სპარსულისგან. კერძოდ, მისი სპეციფიკაა: ა) არ აქვს საკუთარი საზომი. ქართულში რობაიებში (თარგმანებშიც და ორიგინალურ პროდუქციაშიც) გამოყენებულია 5+4+5, 4+4+4+4, 4+4+4+2, 4+4+3 და სხვ. ბ) სტრიქონი სრულია (და არა ნახევარი რომელიმე კლასიკური სქემისა).

რაც შეეხება რობაის ჩამოყალიბების (resp. გენეზისის) სპეციფიკას, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ქართული სინამდვილე – მაშინ ჩვენ ჩემი რეალურ სურათს ვიღებთ. სინამდვილე ის არის, რომ ქართულ პოეზიაში, მოყოლებული ჩახრუხაძის ეპოქიდან, ჩვენ გვაქვს ცალკე ლექსით ტექსტად ოთხსტრიქონიანი ფორმა აააა გარითმვით (იხ. ზემოთ). იგი განსაკუთრებით პოპულარული ჩანს XVIII-XIX ს-ებში. მაგალითად, „ქართული ლირიკის ანთოლოგიაში“ (კენჭოშვილი 2014) დავით რექტორის 31 ლექსია შეტანილი: 14 – მაღალი შაირით საზომით („წალკოტ-სა ჯდა ქალი ვინმე“, „ვით ინდისა ხე მწუხარე“, „თვალნი ღრუბლად გადამექცნენ“ და სხვ.), 14 – დაბალი შაირით („მსურველო აქა სამყოფისა“, „ზილფი სიტურფით გიშვენის“, „ლანვთა საშრომნეს ვარდია“ და სხვ.), 3 – ფისტიკაურით („აფროდიტ ბადრებს გავსითა დისკოთ“, „თუცა ან ბედნი შენინი ბენელია“, „მის უსაძაგეს იგი რა არის“); პეტრე ლარაძის – 12, აქედან 3 – მაღალი შაირით, 4 – დაბალი შაირით, 5 – ფისტიკაურით, და ა.შ.

ამიტომ უნდა დავასკვნათ – და ეს დასკვნა სრულიად კორექტული იქნება, – რომ ქართულ რობაის ძირები ქართულ ნიადაგში აქვს: ეს არის პროცესი, რომლის დროსაც არსებული ქართული ფორმა (შაირის და ზოგი სხვა საზომის ოთხსტრიქონიანი მონოსტროფი) აღმორძინდა/აქტუალიზდა აღმოსავლური ფორმის

(სპარსული რობაი) გავლენით. ამავე დროს, გავლენის შედეგად ჩამოყალიბდა ზოგიერთი ახალი ნიშანი: პირველ რიგში, ეს არის გარითმვა *aaba*, აგრეთვე ზოგიერთი სტილური (ასევე – თემატური) ნიუანსი. საბოლოოდ, ფორმისთვის სპარსული (< არაბული) სახელწოდება დამკვიდრდა.

8. ფორმის აღმოსავლური წარმოშობა აღქმულია, მაგრამ ზუსტად არ არის განსაზღვრული (ან სადაცოა), ერთი მხრივ, მისი პრინციპული სახე, მეორე მხრივ – მისი წარმოშობა.

მხედველობაში XVIII-XIX საუკუნეების ქართულ პოეზიაში სტროფული ლექსის მუხამბაზებად წოდებული ფორმები. საქმე ისაა, რომ ეს ფორმები სხვადასხვა აგებულებისაა. ერთი მხრივ, მათ გარითმვის ერთი და იგივე პრინციპული სქემა სქავს: *a ba ca ...*, მეორე მხრივ – სტროფებში სტრიქონთა განსხვავებული რაოდენობები.

ეს გარემოება საფუძველი გახდა ერთ-ერთი თვალსაზრისისა (იხ. თარგამაძე 1990: 21-55), რომლის მიხედვითაც გარითმვა ამ შემთხვევაში ინვარიანტული სიდიდეა, ხოლო სტროფებში სტრიქონთა რაოდენობები მხოლოდ ისეთ ვარიაციებს ქმნიან, რომლებიც არ განსაზღვრავენ მოცემული სალექსო ფორმის სახეს. საბოლოოდ, ყველა ეს ფორმა ქართულში მუხამბაზს წარმოადგენს; მუხამბაზია საკუთრივ ხუთსტრიქონიანი სტროფებისაგან შემდგარი ლექსიც და ნებისმიერი სხვა რაოდენობის სტრიქონებისგან შემდგარიც. ამავე დროს, მითითებულია, რომ სხვადასხვა სიგრძის სტროფებისგან (ოთხსტრიქონიანი, ხუთსტრიქონიანი, ექვსსტრიქონიანი და ა.შ.) აგებული ფორმები ემთხვევა აღმოსავლურ პოეზიებში გავრცელებულ მუსამატის ფორმებს.

ჩემი აზრით, მოცემული საკითხის განხილვისას გასათვალისწინებელია სწორედ **მუსამატი** – ანალიზისთვის იგი ამოსავალ წერტილს წარმოადგენს.

The article describes the sky conceptualization background in the English-language lyrics discourse. Conceptualization serves as a component of human cognitive activity, which has resulted in the formation of ideas in the shape of concepts. Concept-based research is aimed at both finding out the paradigm of culture-meaningful concepts and the description of their conceptual sphere, which allows to obtain some information on the mental structures resorted to by man in the thinking process. The theoretical and methodological foundations of the English-language lyrics as the study material are exhibited, the purpose of the research was to study the essence of the concepts of the English-language lyrics, included in the conceptual sphere “Heaven/Sky”, as a reflection of general cultural representations of Heaven/Sky and the Sun in the minds of the English-language culture. The lexical meaning of the word “Heaven/Sky” began to take shape on the basis of mythological ideas, and lyrics are considered to be one of the first historical forms of the text. Lyrics are understood as a verbal text, having a written equivalent and entering the polysemiotic complex, referred to as a song. Lyrics are a creolized text and seen as the unity of the mutually complementary melodic and verbal components. Retaining the features of the poetic discourse texts lyrics can comprise epithets, similes, metaphors and intertextual references which predetermine stylistic manifestation. The English-language lyrics provide popularity on a global scale, and commercial success as the English language is a universal means of all kinds of communication. 500 modern English lyrics were analyzed; the main criteria for their selection were the following: 1) the popularity of lyrics on a global scale, 2) the authenticity of the text; 3) the presence of the studied

concepts in the lyrics. The concepts relating to the conceptual sphere “Heaven” which are in the most frequent use are revealed. The conceptual sphere Heaven / Sky appears to be a variety of concepts including objects and phenomena which relate to the sky directly: “Sky”, “Heaven”, “Sun”, “Moon”, “Star”, “Clouds”, “Rainbow”, “Thunder” and others. It is feasible to describe the key concepts, i. e. the concepts which are meaningful in the English-language art image of the world. Some concepts entering the conceptual sphere Heaven/Sky can not be exhibited to a full extent as they don’t have enough occurrences in the English-language lyrics. The analysis of various contexts shows a peculiar structural arrangement of the space in heavens and the hierarchy of the objects location in it. At the same time the hierarchy does not appear to be static: the location of the sky objects relatively each other and the space itself can change which is predetermined by the time of a day, weather conditions and etc. The features of the semantic representation of the concepts “sky/heaven” and “sun” in the English-language lyrics context are outlined. Some fragments of the English-language lyrics, revealing the peculiarities of perceiving the sky/heaven and the sun in the minds of the native speakers are put forward. The concept “heaven” possesses the following meaning: the space above the ground alongside with the other heavenly bodies, there are occurring natural phenomena that affect the illumination of the sky and are able to change its color; it contains religious motives holding the powers of “the abode of God and His assistants”. The sky is perceived as a place where a variety of optical phenomena (dawn /sunrise/daybreak, sunset, rainbows, lightning) are seen, they affect the lighting of the heavenly space, as well as the changing of its color. There the sky color is characteristic. In most contexts it is blue or dark blue, less often presented as a purple, orange sky. Space is unavailable for immediate tactile sensations; the characteristics of its structure are conceptualized by a metaphor. These characteristics are multidirectional, sometimes even reverse. The sun is perceived as a living anthropomorphic creature that lives in accordance with biological laws (sees, hears, speaks). The image of the sun is that of a protagonist who graciously refers to people taking part in their fate. The connection between the sun and the fire is reminiscence in history as the fire was critical in rituals dedicated to the sun, and pagan symbols were both the symbols of the sun and fire. The sky and the sun are personified standing out as an ally or a friend of a human being, they are always ready to come to rescue. The distinctive feature of Russian-language texts in relation to those of the English language is that the sky appears as a movement forward; in English-language texts the sky is associated with the “end of life destination point”. The important feature is the opposition of the sun to some natural elements, leading the eternal struggle with the dark side of the world. The ability to give joy, love and hope for a brighter future makes the sun the key celestial body in the hierarchy, which is not typical of the Slavic authors’ lyrics.

## წატალია ეგოროვა (ბელორუსია)

### კონცეპტების “HEAVEN/SKY”, “SUN” სემანტიკური ორგანიზაცია ინგლისურენოვან სასიმღერო დისკურსში

#### რეზიუმე

**საკვანძო სიტყვები:** კონცეპტუალიზაცია, კონცეფცია, ინგლისურენოვანი ლექსები, ცნება „ცა/სამოთხე“, ცნება „მზე“.

სტატიაში ახსნილია ცის კონცეპტუალიზაციის წინაპირობები ინგლისურ-ენოვან სასიმღერო დისკურსში. კონცეპტუალიზაციის პროცესი გვევლინება როგორც ადამიანის კოგნიტური მოქმედების კომპონენტი, რისი შედეგიც არის წარმოდგენების ჩამოყალიბება კონცეპტების სახით. აღნერილია ინგლისურენოვანი სასიმღერო ტექსტის, როგორც კვლევის საგნის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები. კვლევის მიზანი კი არის ინგლისურენოვანი სასიმღერო ტექტის კონცეპტთა არსის ახსნა და წარმოჩენა როგორც ზოგადყულტურული წარმოდგენისა ცის სივრცის შესახებ ინგლისურენოვანი კულტურის მატარებელთა ცნობიერებაში.

სიტყვის „ცა“ ლექსიკური მნიშვნელობის ჩამოყალიბება მოხდა მითოლოგიური წარმოდგენების საფუძველზე, სასიმღერო ტექსტი კი ისტორიულად ერთ-ერთ პირველ ტექსტურ ფორმად ითვლება. სასიმღერო ტექსტში იგულისხმება ვერბალური ტექსტი, რომელსაც გააჩნია წერილობითი ანალოგი და სიმღერად წოდებულ პოლისემიოტური კომპლექსის ნაწილია. სასიმღერო ტექსტი კრეოლიზებულ ტექსტს წარმოადგენს და განიხილება როგორც მელოდიური და ვერბალური კომპონენტების ურთიერთშემავსებელი მთლიანობა. სიმღერის ტექსტი ინგლისურ ენაზე მსოფლიოს მასშტაბით მსმენელის ყურადღების მოზიდვის გარანტი და კომერციული წარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგანაც ინგლისური ენა ყველა სახის კომუნიკაციის უნივერსალური საშუალებაა. კვლევის მიზნით, ჩატარდა 500 თანამედროვე ინგლისურენოვანი სიმღერის ანალიზი, რომლებიც შეირჩა შემდეგი კრიტერიუმებით: 1) სასიმღერო ტექსტის პოპულარობა მსოფლიოს მასშტაბით; 2) ტექტის ავთენტურობა; 3) სიმღერის ტექსტებში საკვლევი კონცეპტების არსებობა. კვლევის შედეგად, გამოვლენილია კონცეპტოსფერი „ცის“ შემადგენლობაში შემავალი ყველაზე ხშირად ხმარებადი კონცეპტები; აღნერილია „ცისა“ და „მზის“ კონცეპტების აზრობრივი წარმოდგენის თავისებურებანი სიმღერის ინგლისურენოვან კონტექსტში; წარმოდგენილია ინგლისურენოვანი სასიმღერო ტექსტების ფრაგმენტები, რომლებიც ამ ენის მატარებელთა ცნობიერებაში ხსნის ცისა და მზის აღქმის თავისებურებებს. კონცეპტი „ცა“ შემდეგ აზრობრივ დატვირთვას ატარებს: ეს არის სივრცე დედამიწის თავზე, სადაც სხვადასხვა ციური სხეულია განთავსებული და მიმდინარეობს ბუნებრივი მოვლენები, რომლებიც

გავლენას ახდენენ ცის შუქზე და შეუძლიათ შეუცვალონ მას ფერი; ის შეიცავს რელიგიურ მოტივებს, რაღაც გაჩნია სტატუსი – „ღმერთისა და მის თანაშემწეთა სამყოფელი“; ცა და მზე პერსონიფიცირდება და გვევლინება ადამიანის მეგობრად ან მოკავშირედ, რომელიც მის დასახმარებლად მუდამ მზად არის. რუსული ტექსტების ინგლისურისაგან მთავარი განმასხვავებელი თავისებურება ისაა, რომ მათში ცა მუდმივი წინსვლის გამომხატველია. ინგლისურენოვან ტექსტებში ცა ადამიანის საბოლოო საცხოვრის „პუნქტს“ წარმოადგენს. მნიშვნელოვანი შტრიხია მზის წინააღმდეგობა ზოგიერთი ბუნებრივი სტიქიის მიმართ, სამყაროს ბნელ მხარესთან მუდმივ ჭიდილში ყოფნა. სიხარულის, სიყვარულის და ნათელი მომავლის იმედის ჩუქების უნარი აქცევს მზეს წამყვან ციურ სხეულად, რაც არ ახასიათებს სლავი ავტორების სასიმღერო ტექსტებს.

# **ფილოლოგიურიძები**

**ლელა ხაჩიძე  
(საქართველო)**

## **მარტვიროლოგის სათავეებთან**

მარტვიროლოგის დასაწყისი უკავშირდება სტეფანე პირველმონამის სახელს. წმ. სტეფანე ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წმინდანია. მის შესახებ პირველ ცნობებს ვხვდებით „საქმე მოციქულთაში“. წმ. სტეფანე იყო პირველი და უპირველესი შვიდ რჩეულ დიაკვანთაგან, რომელიც თვით მოციქულებმა გამოარჩიეს და დიაკვენებად დაადგინეს. წმ. სტეფანე კი მთავარ-დიაკვნად აკურთხეს: „და გამოარჩიეს სტეფანე, კაცი სავსე საწმუნოებითა და სულითა წმიდითა, ხოლო სტეფანე სავსე იყო მადლითა და ძალითა, იქმოდა ნიშებსა და სასწაულებსა დიდ – დიდსა ერსა შორის“ (საქმე მოციქულთა 1950). „სამოციქულოს განმარტებაში“, რომელიც შედგენილია იოანე ოქროპირისა და სხვა წმინდა მამათა თხებულებების მიხედვით, ეს ადგილი ასევე განმარტებული: „იხილე, ვითარ შედ-თა დიაკონთაცა შორის ჯერ-იყო ყოფად უპირატესისად ვითარ-ესე იყო სტეფანე, რომელი ვინათვან ნათლისლებისა მიერ სავსე იყო სულითა წმიდითა და აქუნდა არა ლიტონი ოდენ, არამედ ძლიერი და მდიდარი სარწმუნოებად“ (სამოციქულოს განმარტება 2 000: 90). ის მოციქულებთან ერთად ქადაგებდა უფლის სიტყვას, რის გამოც ბევრი მომხრე და მოწინააღმდეგე შეიძინა. მას ბრალად დასდეს მოსეს სჯულის გმობა. სტეფანე წარადგინეს სამსჯავროს წინაშე. „საქმე მოციქულთაში“ დაცულია წმ. მოწამის სიტყვები, წარმოთქმული სამსჯავროზე. ესაა ძველი აღთქმის ღმრთივგანპრძნობილი გადმოცემა სტეფანეს მიერ. აქვეა აღწერილი წმ. მოწამის ხილვა, რომელიც არაერთგზის გამეორდა ქრისტიანულ მწერლობასა და ხელოვნებაში, ხოლო წმინდა მამების მიერ არაერთგზის იქნა განხილული და განმარტებული: „ხოლო იგი სავსე იყო სულითა წმიდითა, აღხედნა ცად და იხილა დიდებად ღმრთისად და ისუ მდგომარე მარჯუენით ღმრთისა და თქუა: „აჲა ესერა, ვხედავ ცათა განხილულთა და ძესა კაცისასა, მარჯუენით ღმრთისა მდგომარესა“. ამის შემდევ აღსრულდა პირველი მოწამეობა ქრისტიანობის ისტორიაში – წმ. სტეფანე ქვებით ჩაქოლეს. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: “უფალო, ნუ შეურაცხ ამათ ცოდვასა ამას“.

უურადღებას იქცევს მოწამის უკანასკნელი სიტყვების მსგავსება მაცხოვრის უკანასკნელ სიტყვებთან. წმინდა მამები ამის შესახებ წერენ: „და ვითარცა მოწაფე, კუალთა მოძღვრისათა შეუდგა, რაითა, ვითარ-იგი ჯუარის – მცუმელთათკს, ეგრეთვე ეს მქოლველთათკს მუკილთ-დადგმით ევედრებოდის“ (სამოციქულოს განმარტება 2000: 110). სხვებთან ერთად იქ იმყოფებოდა სავლე – იმ დროისათვის ქრისტიანების დაუძინებელი მტერი, შემდეგში კი მაცხოვრისათვის დევნილი და წამებული პავლე მოციქული. მოშორებით, ბორცვზე იდგა ღვთისმშობელი იოანე ღვთისმეტყველთან ერთად და ღმერთს ავედრებდა მოწამეს.

სტეფანე პირველმოწამე მოიხსენიება ევსევი კესარიელთან. განსაკუთრებით საინტერესოა მისი მოხსენიება ლეონისა და ვენის წამებასთან დაკავშირებით, რომელთათვისაც წმინდა სტეფანე მისაბაძი მაგალითი იყო. წმ. სტეფანე მოიხსენიება ირინეოს ლიონელთან, აგრეთვე ტერტულიანესთან, როგორც მოთმინების სიმბოლო.

ეკლესიის მამები მის მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ IV საუკუნიდან. კერძოდ, მისი სსენება გვხვდება IV საუკუნის სირიელ მწერალთან – აფრა-ატთან და მის უმცროს თანამედროვესთან – ეფრემ ასურთან, რომელსაც ეკუთვნის „საქმე მოციქულთას“ კომენტარები. მკვლევართა ნაწილის აზრით, ეფრემ ასური იცნობდა წმ. სტეფანეს შესახებ ისეთ გადმოცემებსაც, რომელიც არაა შესული ბიბლიის კანონიკურ ტექსტში.

„საქმე მოციქულთას“ კომენტარები შეუდგენია აგრეთვე IV საუკუნის ალექსანდრიელ ღვთისმეტყველს – დიდიმ უსინათლოს. დაახლოვებით ამავე პერიოდში შეიქმნა ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი გამორჩეული ავტორიტეტის – გრიგოლ ნოსელის ორი ქადაგება, მიძღვნილი სტეფანე პირველმოწამისადმი. ქრისტიანული ეკლესიის ასევე გამორჩეულ ავტორიტეტს – იოანე ოქროპირს დაუნერია „საუბრები საქმე მოციქულთას შესახებ“. IV საუკუნიდან შემორჩენილია აგრეთვე ევსევი იერუსალიმელის „შესმაღ წმიდა სტეფანესი“. ამრიგად, „საქმე მოციქულთას“ მიმართ ინტერესის გაძლიერებასთან ერთად იზრდება ინტერესი სტეფანე პირველმოწამისადმიც.

პირველი ცნობები ქრისტიანულ ეკლესიაში წმ. სტეფანეს დღესასწაულის აღნიშვნის შესახებ დაცულია გრიგოლ ნოსელის ჰომილიაში ბასილი დიდის გარდაცვალების შესახებ. „მოციქულთა დადგენილებებში“ დასახელებულია არა მხოლოდ წმ. სტეფანეს სსენების დღე, არამედ მისი სახელი შეტანილია დიაკვანთა ხელ-დასხმის ლოცვაშიც.

სირიული „თვენის“ მიხედვით, რომელიც IV ს-ით თარიღდება, წმინდანის სსენების დღედ მითითებულია 26 დეკემბერი, შობის მომდევნო დღე. ანალოგიური ვითარებაა ლათინურ და სომხურ წყაროებშიც. როგორც ჩანს, წმინდანის სსენების პირვანდელი თარიღი 26 დეკემბერი იყო. შემდგომში, 26 დეკემბერს, ქართული ხელნაწერების მიხედვით, დაწესდა „ჭენებად დავით მეფისად და იაკობ ძმისა უფლისაა“ (Иерусалимский Канонарь 1912: 49). ანალოგიური მდგომარეობაა სინური იადგარებში, სადაც იგივე სსენება შემოკლებული სახითაა გადმოცემული „დავით – იაკობისი“ (სინური კოლექცია, I. 1979). წმ. სტეფანეს სსენება კი გადატანილი იქნა ერთი დღის შემდეგ, 27 დეკემბერს. წმ. სტეფანეს სსენება 27 დეკემბერს დამკვიდრდა მართლმადიდებელ ეკლესიაში, დასავლური ტრადიციაში კი წმინდანის სსენება დღესაც 26 დეკემბერს სრულდება.

ამასთან ერთად, ქრისტიანული ეკლესია მოიხსენიებს წმ. სტეფანეს წმინდა ნაწილების პოვნას (15 სექტემბერი), გადასვენებას (2 აგვისტო) და 70 მოციქულის, მათ შორის სტეფანე მთავარდიაკვნის სსენებას (4 იანვარი). ამრიგად, ქრისტიანული ეკლესია და ეკლესიის მამები ღირსეულ პატივს მიაგებენ პირველმოწამის სსოფნას.

სტეფანე პირველმონამის სახელზე საუკუნეების მანძილზე ქრისტიანულ ქვეყნებში აიგო უამრავი ტაძარი. მას მიეძღვნა მრავალრიცხოვანი ფრესკები, მხატვრული ტილოები (მათ შორის შედევრები), საგალობლები, ქადაგებები.

როგორც ირკვევა, სტეფანე პირველმონამე გამორჩეული პატივით სარგებლობდა ჩვენს ქვეყანაშიც, რაზეც არაერთი ფაქტი მიუთითებს. წმინდანის სახელზე საქართველოში აგებულია არაერთი ტაძარი და შექმნილია ფრესკული ხელოვნების ნიმუშები. სწორედ მის სახელს უკავშირდება ცნობილი ტოპონიმი – სტეფან-წმინდა. ამ წმინდანის ადგილი ჩვენი ეკლესიისა და ქართული ქრისტიანული კულტურის ისტორიაში აქამდე შეუსწავლელია.

სტეფანე პირველმონამე საქართველოს ეკლესიასა და ქველ ქართულ მწერლობაში უძველესი დროიდან მოიხსენიება. მას კარგად იცნობს ქართული სასულიერო მწერლობის არაერთი დარგი – აგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია, ლიტურგიკა, ჰომილეტიკა. სტეფანე პირველმონამის ხსენებას ვხვდებით ჯერ კიდევ „იერუსალიმურ ლექციონარში“, რომელიც არქაული ლექციის მსახურების შემცველი უნიკალური ძეგლია (Иерусалимский Канонарь 1912). მასში, როგორც აღვნიშნეთ, წმ. სტეფანეს ხსენება დადგებულია 27 დეკემბერს. ამის შემდეგ მითითებულია წმ. სტეფანესადმი მიძღვნილი რამდენიმე საგალობლის დასაწყისი. სამწუხაროდ, წმ. სტეფანესადმი მიძღვნილი განვეძა „ლექციონარში“ სრული არ არის. მისი ბოლო ნაწილი დაკარგულია.

წმ. სტეფანეს ხსენება შესულია „უძველეს იადგარში“ – უნივერსალურ კრებულში, რომელიც ჰიმნოგრაფიის მრავალრიცხოვან, მათ შორის არქაულ ნიმუშებს შეიცავს (უძველესი იადგარი 1980). „უძველესი იადგარი“ „იერუსალური ლექციონარის“ პოეტურ დანამატს წარმოადგენს (უძველესი იადგარი 1980: 684). მართლაც, „ლექციონარში“ დასაწყისებით მითითებული წმ. სტეფანესადმი მიძღვნილი 3 საგალობელიგვხვდება „იადგარშიც“, მათგან ერთი – სრული ტექსტით:

„მჭედარო ზეცისა მეუფისაო, წმიდაო სტეფანე, ერისმთავარ იქმენ მშუიდობისა და ღმრთებად კერპთად დაჲჭვსენ და მათი იგი მძლავრებად შეურაცხ-ჰყავ და ანცა, ერსა შორის დიდებულო, ვითარცა გაქუს კადნიერებად, ქრისტესა ევედრე სულთა ჩუენთათუის“ (უძველესი იადგარი 1980: 26).

შეიძლება ითქვას, რომ ესაა სტეფანე პირველმონამისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი უძველესი საგალობელი, სავარაუდოდ, ბერძნულიდან თარგმნილი. მასთან ერთად, „იადგარში“ შესულია სხვა საგალობლებიც. დღესათვის ძნელია იმის თქმა, ეს „სხვა“ საგალობლები „ლექციონარიდანაა“ გადასული თუ თვით „უძველესი იადგარის“ შემდგენელთა მიერაა დამატებული. ერთი რამ კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას – წმ. სტეფანეს ხსენება შესულია ქართულ ენაზე შემონახულ უძველეს ლიტურგიულ წიგნებში – „იერუსალიმის ლექციონარსა“ და „უძველეს იადგარში“.

როგორც ცნობილია, „სტეფანე“ ბერძნულად „გვირგვინს“ ნიშნავს. ესეცაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ წმინდანისადმი მიძღვნილ საგალობლებში ხშირად ხაზგასმულია მისი „გვირგვინით შემკობა“ მაცხოვრის მიერ. ასეა წმ. სტეფანეს განვეძაში შესულ მცირე ფორმის საგალობლებშიც. საგალობლებში, ტრადიციისამებრ, გვხვდება წმ. სტეფანეს ხილვა.

რამდენადაც „უძველესი იადგარის“ პროტოტიპი დაკარგულია, დღეისათვის ძნელია გადაჭრით თქმა – მასში შესული საგალობლებიდან რომელია ნათარგმნი და რომელი ორიგინალური. სავარაუდოდ, ისევე როგორც „უძველეს იადგარში“ შესული ვრცელი რეპერტუარის ძირითადი ნაწილი, წმ. სტეფანეს განგებაზე შესული საგალობლებიც ბერძნულიდან უნდა იყოს თარგმნილი.

როგორც ირკვევა, ეს ტრადიცია გრძელდება და ისესბა შემდგომშიც. X-XI საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში შესულია წმ. სტეფანესადმი მიძღვნილი ბერძნულიდან თარგმნილი არაერთი საგალობელი.

როგორც ჩანს, ადრევე უთარგმნიათ ქართულად წმინდანის „ცხოვრებაც“. „სინურ მრავალთავში“ გვხვდება წმინდანის „ცხოვრების“ ერთ-ერთი თარგმანი (სინური მრავალთავი 1959: 58-69).

წმ. სტეფანესადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს X საუკუნის დიდი ქართველი მოღვაწე და მწერალი – სტეფანე სანანოსძე – ჭყონდიდელი, რომელსაც ეკუთვნის წმინდანისადმი მიძღვნილი ორიგინალური საგალობელი (ინგოროვა 1913: 151). ამ საგალობლის ორიგინალურობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრება, რომელიც ამჯერად ჩვენი განხილვის საგანს არ წარმოადგენს (ჯლამაია 1974: 54-66). ჩვენ, ტრადიციულად, სტეფანესანანოსძეს მივიჩნევთ მიქაელ მოდრეკილის იადგარში დაცულია ამ მცირე ფორმის საგალობლის ავტორად (ხაჩიძე 2013: 108-113).

სტეფანე პირველმონამისადმი ამ ავტორის განსაკუთრებულ ინტერესს მოწმობს შემდეგი გარემოებაც: კ.კეკელიძე, ერთი გელათური ხელნაწერის მიხედვით (გელ. 5), ასახელებს სტეფანე სანანოსძის მიერ ბერძნულიდან შესრულებულ თარგმანს – ესაა გრიგოლ ნოსელის წმ. სტეფანესადმი მიძღვნილი ჰომილია: „წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისა – შესხმად წმიდისა სტეფანე პირველმონამისად“ (კეკელიძე 1980: 180). ეს თარგმანი სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე სრულიად შეუსწავლელია, არც მისი ტექსტია გამოქვეყნებული. წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით ამ თარგმანის გარკვეული ასპექტებით განხილვას.

გრიგოლ ნოსელს, ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთ ბურჯს და გამორჩეულ ავტორიტეტს, წმ. სტეფანეს შესახებ ეკუთვნის ორი ჰომილია. ამ ორი ჰომილიდან მეორისათვის ნოსელისეული ავტორობა საეჭვოდაა მიჩნეული. ქართულ ენაზე თარგმნილია „წმ. სტეფანეს შესხმის“ ის რედაქცია, რომელიც ნამდვილად გრიგოლ ნოსელს ეკუთვნის (ნარკვევები 2012: 362).

როგორც ჩანს, გრიგოლ ნოსელის ეს თხზულება ადრევე უთარგმნიათ ქართულად. ამაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ამ ქადაგების მოკლე ფრაგმენტი შეტანილია უძველეს „მრავალთავში“ სათაურით: „წმიდისა გრიგორისი ნოსელისა, რომელი იყო ძმად წმიდისა ბასილისი, შობისათვეს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტისა და წმიდისა სტეფანესთვეს“. ეს ფრაგმენტი გამოცემულია ი. აბულაძის მიერ (აბულაძე 1982:290). სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ათსტრიქონიანი ფრაგმენტის საფუძველზე გაჭირდება იმის მტკიცება, რომ უძველეს დროს გაკეთებულა ამ თხზულების სრული თარგმანი, თუმცა მთლიანად არც ასეთი ვარაუდის გამორიცხვა შეიძლება“ (ნარკვევები 2012: 362).

ქართულ ენაზე არსებობს გრიგოლ ნოსელის ამ პომილიის კიდევ ორი რე-დაქცია. პირველი მათგანის მთარგმნელია სტეფანე სანანოისძე – ჭყონდიდელი, მეორე თარგმანი კი გიორგი მთარგმიდელს ეკუთვნის (იქვე). ორივე თარგმანი დასა-თაურებულია, როგორც „შესხმად წმიდისა სტეფანე პირველმოწამისად“. ამჯერად ჩვენი მიზანია გრიგოლ ნოსელის სტეფანე პირველმოწამისადმი მიძღვნილი პო-მილიის სტეფანე სანანოისძე – ჭყონდიდელის მიერ შესრულებული თარგმანის შესწავლა.

გრიგოლ ნოსელის ამ თხზულების სტეფანე სანანოისძე – ჭყონდიდელის მიერ შესრულებული თარგმანი დაცულია XII-XVI საუკუნეებით დათარიღებულ 2 ქართულ ხელნაწერში. ესენია: იერუსალიმიური ხელნაწერი (Ier. 38 ( 156 – 170 ) და გელათური ხელნაწერი (ქუთ. 5, 503-514). პირველი მათგანი XII-XIII საუკუნეებით თარიღდება, მეორე კი XVI საუკუნით. მოვიტანთ ამ თხზულების ფრაგმენტს, კერ-ძოდ დასაწყისა, Ier. 38-ის მიხედვით:

„ვითარ კეთილ არს და საქებელ შემოსლვად კეთილთად შემდგომით შემ-დგომად ურთიერთას! ვითარ ტკბილ არს და შუენიერ შემდგომად სიხარულისა მოწევნად სიხარულისად, რამეთუ აპა ესერა, აღმოგ გბრწყინდა ჩუენ დღესასწაული შემდგომად დღესასწაულისა ბრწყინვალისა, რომლისა მიერ მოვიღეთ ჩუენ მადლი მადლისა წილ და ნათლითა მისითა ვიხილეთ ნათელი.

გუშინდელსა უკუც დღესა ყოველთა მეუფემან და უფალმან მისტუმრნა ჩუენ საზრდელითა მით უკუდავებისათა მდიდრად და ღმრთივშუენიერად, ხოლო დღეს მიმსგავსებული მეუფისად, მოღუანე მისი მასპინძელ მექმნების, გარნა ვი-თარ არს სახე თითოეულისა სტუმრობისად, ჯერ არს გამოძიებად.

რომელმან თავადმან ჩუენთჲს შეიმოსა კაცებად, ხოლო მოღუანემან მისმან მისთვის აღიარა ... უა კაცებად, რომელი იგი მაღალთა შინა მყოფ არს და იდიდების ძალთაგან ზეცისათა დაუცხრომელად იგი ცხორებისა ამის ქუაბსა შემოვიდა ცხორებისათვს ჩუენისა, ხოლო მოღუანე მისი ცხორებისა ამის ქუაბისაგან გან-ვიდა სიყუარულისათვს მისისა.

რომელმან შემოსნა ცანი ღრუბლითა, თავს იდვა ჩუენთჲს ჩჩუილებრ სახუ-ევლითა შეხუევად, ხოლო ამან მისთვის ქვისა დაკრებად დაითმინა წადიერად, მფლო-ბელმან სიკუდილისა და ცხორებისამან სიკუდილი მოაკუდინა ღმრთებისა განგე-ბულებითა, ხოლო ესე სიკუდილსა და მომპოვნებელსა მისსა მომწყდარად მდება-რეთა დასთრგუნავს და უშიშად მიუხდების მათ ზედა სულისა ახოვნებითა.

არამედ თანამორბედ ვექმნეთ ჩუენცა, ძმანო, გონებითა და სიტყვთა ასპა-რეზსა მას ძლევისასა, ვოდრემდის მოღუანე იგი დიდი ღმრთისმსახურებისად იღუ-ნიდეს წყობად ბოროტისა მის მიმართ წინააღმდგომისა მბრძოლისა ცხორებისა კაცთავსა შესრული სარბიელსა მას აღსაარებისასა მჭურვალედ გულსმოდგინე-ბით, რამეთუ ნამდგლვე ჭეშმარიტებით სიტყვსაებრ პავლესსა „სახილველ იქმნა სოფლისა და ანგელოზთა და კაცთა“ სტეფანე უპირატესი იგი გპრგპნითა წამე-ბისათა შემოსილი და პირველი ყოველთაი, რომელმან მწყობრსა მართალთასა გზა უყო შესლვად ულელსა მას წამებისასა და პირველ აჩუენა წინაგანწყობად ცოდ-ვისად ვიდრე სისხლთა დათხევადმდე და ვითარ\_მე ვჰგონებ, არა ხოლო თუ მყოფ-ნი სოფელსა ამას, არამედ უზეშთაესნიცა სოფლისად ამის ყოველნივე მჯედრობანი

ზეცათანი და სიმრავლე ბევრეულთა ანგელოზთათ, მსახურნი და მდგომელნი მეუფისანი და რომელნიცა არს წესთაგან ზეცისათა, უწყებული ჩუენდა, ვითარ იგი მთავრობანი და ძალნი, საყდარნი და კემნიფებანი და უფლებანი და ყოველნივე საცნაურნი ბუნებანი და გუნდნი უჭორ- ცოთანი განკურვებით განიცდიდეს სახილველსა მას მოღუანისა მის სიმჭიდობით წყობასა წინააღმდეგომისა მიმართ მტერი-სა ძლევითა ზეგარდამომთა“.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ თვალნინა ეკლესის მადლ-მოსილი მამის – გრიგოლ ნოსელის შესაფერისი ღირსებით შესრულებული ქართუ-ლი თარგმანი. უღრმესი ღვთისმეტყველება როგორც ორიგინალში, ისე თარგმან-ში ოსტატურადა შერწყმული დიდ ლირიზმთან.

მოტანილ ფრაგმენტში ყურადღებას იქცევს სტეფანე პირველმოწამის ცხოვრების ცალკეული ეპიზოდებისა და ზოგადად, ლვანლის შედარება პირ-ველნიმუშთან – მაცხოვრის მიერ განვლილ გზასთან. გრიგოლ ნოსელის სიტყვით, მაცხოვარმა „ჩუენთჲს შეიმოსა კაცებავ“, წმიდა სტეფანემ კი მაცხოვრის გამო „უარყო კაცებავ“. ამქვეყნიურ ცხოვრებისა, წუთისოფელს წმინდა მამა შესანიშნავ სიმბოლოს შეურჩევს, რასაც სტეფანე სანანოისძე ასე თარგმნის: „ცხორებისა ამის ქუაბსა“. ამ შთამბეჭდავ მხატვრულ სახეს ემყარება „შესხმის“ შემდეგი მონაკვეთი:

„რომელი იგი მაღალთა შინა მყოფ არს და იდიდების ძალთაგან ზეცისათა დაუცხრომელად, იგი ცხორებისა ამის ქუაბსა შემოვიდა ცხორებისათჲს ჩუენისა, ხოლო მოღუანე მისი ცხორებისა ამის ქუაბისაგან განვიდა სიყუარულისათჲს მისისა“.

გრიგოლ ნოსელის თხზულებაში მაცხოვარს მიემართება ცნობილი ფსალ-მუნური სახე: „რომელმან შემოსნა ცანი ღრუბლითა“, რასაც მოსდევს შობას მა-ცხოვრის „ჩჩუილებრ სახუევლითა შეხუევაო“. ამ ფონზე გრიგოლ ნოსელი იხსენებს წმ. სტეფანეს „შემოსვას“ ქვების დაკრებით. ყოველივე ეს საოცარ ეფექტს ქმნის როგორც ორიგინალში, ისე ქართულ თარგმანში: „რომელმან შემოსნა ცანი ღრუ-ბლითა, თავს იდვა ჩუენთჲს ჩჩუილებრ სახუევლითა შეხუევაო, ხოლო ამან მისთჲს ქვისა დაკრებად დაითმინა წადიერად“.

გრიგოლ ნოსელის „შესხმაში“ ყურადღებაა გამახვილებული მომხდურთა სახით წმ. მონამის ბრძოლაზე თვით „წყვდიადის მეუფესთან“, რითაც კონკრეტუ-ლი ეპიზოდი მარადისობის ნაწილად აღიქმება. გრიგოლ ნოსელის ჰომილიასა და მის ქართულ თარგმანში ყურადღებაა გამახვილებული ზეციურ იერარქიაზე (იხ. ტექსტი). აღსანიშნავია, რომ ჰომილის სლავურ თარგმანში ეს მონაკვეთი სულ რამდენიმე სიტყვითაა გადმოცემული.

ჰომილიაში არაერთგზისაა დამოწმებული „ახალი აღთქმის“ სხვადასხვა წიგნი, კერძოდ, „პავლენი“, ასე მაგ., ეპრაელთა მიმართ ეპისტოლიდანაა აღებული გამოთქმა: „ვიდრე სისხლთა დათხევადმდე“ შდრ.: „რამეთუ არღარა სისხლთამდე წინა – დადგომილ ხართ თქუენ ცოდვისა მიმართ ახოვნად“ ( ებრ. 12:4).

მოტანილ ფრაგმენტში გვხვდება გამოთქმა: „სახილველ იქმნა სოფლისა და ანგელოზთა და კაცთა სტეფანე“. ეს გამოთქმა ემყარება კორინთელთა მიმართ ეპისტოლეს:

„რამეთუ ვპერნებ, ვითარმედ ღმერთმან ჩუენ მოციქულნი უკუანას-კნელად გამოგუაჩინნა ვითარცა სასიკუდინენი, რამეთუ სახილველ ვიქმნენით სოფლისა და ანგელოზთა და კაცთა“ (კორინ. 4:9). ეს ციტატი „პავლენიდან“ და გრიგოლ წოსელის თხზულების სხვა მონაკვეთები მოწმობს, რომ ავტორი წმ. სტეფანეს მოციქულთა სწორად მიიჩნევს:

მაშინ უკუე წოდებულ იქმნა  
და გამორჩეულ სულისა მიერ წმიდისა  
თანაშემწედ და თანამოლუანედ მოციქულთა  
დიდი იგი და წარჩინებული მადლითა და სიბრძნითა,  
სტეფანე პირველდიიაკონი  
და ნუმცა ვის შეურაცხიეს სახელი იგი მსახურებისად  
უდარესობად საზომსა მოციქულებისასა.

ეს იყო შესაფერისი პატივის მიგება დიდი მოწამისადმი.  
გრიგოლ წოსელის ჰომილიაში უღრმესი ღვთისმეტყველება შეზავებულია უღრმეს სახისმეტყველებასთან;

ვითარცა რად ცეცხლი შეეხის ნივთსა ხმელსა  
მომზადებულსა მსწრაფლ აღნთებად  
და მეყსეულად სიმაღლედ აღუტევის ალი  
და უმეტესი გამოაჩინის ძალი ბუნებისა თჯსისა,  
ეგრეთვე სული წმიდად  
შორის სტეფანესა დაემკადრა და განისუენა  
და ყოვლითურთ შეეზავა სულისა მისისა სიკეთესა  
და მიერ განფინნა ბრნყინვალედ შარავანდედნი მადლთანი.

საგალობელი ყურადღებას იქცევს შემდეგი თვალსაზრისითაც: პირველი ორი ტროპარის მიხედვით, წმინდა სტეფანეს ხსენების დღედ 26 დეკემბერია მიჩნეული, რასაც მოწმობს შემდეგი სიტყვები: „გუშინდელსა უკუშ დღესა ყოველთა მეუფემან და უფალმან მისტუმრნა ჩუენ, ხოლო დღეს მიმსგავსებული მეუფისა, მოღუანე მისი მასპინძელ მექმნების“. როგორც ჩანს, ამ ჰომილის შექმნის დროს სტეფანე პირველმოწამის ხსენება ძველი წესით – 26 დეკემბერს სრულდებოდა.

გრიგოლ წოსელის ეს ნაწარმოები მოიხსენიება, როგორც „ჰომილი“ და როგორც „შესხმა“. „შესხმა“, ჩვეულებრივ, ქებას ანუ საგალობელს გულისხმობს შემდგომდროინდელ ტრადიციაში. წმინდა მამის ამ ჰომილიაში, ვფიქრობთ, უკვე ჩანს „პოეტური პროზის“ ის ტენდენციები, რომლებიც ჰიმნოგრაფიისთვისაა დამახასიათებელი. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ნაწარმოების ქართულ თარგმანს, რომელიც X საუკუნაშია შესრულებული, გარკვეული სახის რიტმული განკვეთის ნიშნები ახლავს. სწორედ მათი გათვალისწინებით გამოვაქვეყნეთ ზემოთ მოტანილი ერთი მონაკვეთი, თუმცა ეს გარემოება საგანგებო კვლევას მოითხოვს.

**დამოწერანი:**

- Abuladze, Ilia. *Sakme motsikulta*. Tbilisi: gamomtsemloba “metsniereba”, 1950 (აბულაძე, ილია. საქმე  
მოციქულთა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1950).
- Abuladze, Ilia. *Shromebi, III.* gamomtsemloba “metsniereba”, 1982 (აბულაძე 1982 (აბულაძე, ილია.  
შრომები, III. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1982).
- Kartul Khelnats'erta Aghts'eriloba. Sinuri K'olektsia.* I. Tbilisi: gamomtsemloba “metsniereba”, 1979  
(ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. სინური კოლექცია. I. თბილისი: გამომცემლობა  
„მეცნიერება“, 1979).
- Ierusalimski Kanonar.* Tbilisi: 1912 (Иерусалимский Канонарь . Тбилиси: 1912).
- Ingoroq'va , P'avle. *Dzvel-Kartuli Sasuliero P'oedia.* I. Tbilisi: 1913 (ინგოროვა, პავლე. ძველ-  
ქართული სასულიერო პოეზია. I. თბილისი: 1913).
- Nark'vevebi Dzveli Kartuli Sasuliero Mts'erlobis Ist'oriidan. I. Tbilisi: gamomtsemloba “aghmsarebeli“,  
2012 (ნარკევები ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან. I. თბილისი:  
გამომცემლობა „აღმსარებელი“, 2012).
- P'avleni.* Tbilisi: Tbilisis sakhelmts'ip'o universit'et'is gamomtsemloba, 1974 (პავლენი. თბილისი:  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1974).
- Samotsikulos Ganmart'eba.* Tbilisi, 2000 (სამოციქულოს განმარტება. თბილისი: 2000).
- Udzvelesi Iadgari.* Tbilisi: gamomtsemloba “metsniereba”, 1980 (უძველესი იადგარი. თბილისი:  
გამომცემლობა „მეცნიერება“, 1980).
- Sinuri Mravaltavi.* Tbilisi: Tbilisis sakhelmtsipo universit'et'is gamomtsemloba, 1959 (სინური მრავალ-  
თავი. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1959).
- Khachidze, Lela. “Mekhelta” Moghvats'eobis Ist'oriidan”. *Sjani*, №14. Tbilisai: 2013 (ხაჩიძე, ლელა.  
„მეხელთა“ მოღვაწეობის ისტორიიდან”. სჯახი, №14, თბილისი: 2013).
- Jghamaia, Tsiala. “Meate Sauk'unis Kartveli Himmnograpebi”. *Matsne. Enisa da Lit'erat'uris Seria.* № 3,  
1974 (ჯგუმაია, ციალა. მეათე საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფები. მაცნე, ენისა და ლიტ-  
ერატურის სერია, № 3, 1974).

**Lela Khachidze  
(Georgia)**

## **At the Origins of Martyrology**

### **Summary**

**Key words:** Stephen the Protomartyr, Stephane Sananoisdze-Chkondideli, St. Gregory of Nyssa.

Stephen the Protomartyr is one of the most popular saints in Christian literature. He is the first martyr in the history of Christianity. Stephen was the first of seven chosen deacons whom the Apostles themselves ordained for the service of deacons. St. Stephen was appointed the Archdeacon. His name is associated with the first martyrdom in the history of Christianity. The “Acts of the Apostles” keeps the words pronounced by the saint martyr before death. There is also a description of the saint martyr’s vision which has been reflected in Christian art more than once.

The initial date of the martyr’s commemoration was 26 December. Later, in Byzantine a commemoration of St. Stephen was moved a day later, to December 27. Along with this, three more feasts of Christian Church are celebrated – the discovery of the Saint’s relics, the translation of the relics and commemoration of the 70 Apostles, including Stephen.

The Church Fathers have had a particular interest in St. Stephen since the 4<sup>th</sup> century. His commemoration is found in fourth-century Syriac writers – Aphrahat and Ephraim the Syrian.

The commentaries to the “Acts of Apostles” were compiled by 4<sup>th</sup> century Alexandrian theologian Didymus the Blind. Approximately at the same period two homilies dedicated to Stephen the First Martyr were created by Gregory of Nyssa. John Chrysostom wrote “Homilies on the Acts of Apostles” ...Thus, along with increasing the interest to the “Acts of Apostles”.

Lots of churches were built in honor of Stephen the First Martyr in the course of centuries. Numerous frescoes, artistic paintings (including masterpieces), hymns, homilies were dedicated to him.

As it turns out, Stephen the First Martyr was also an object of special veneration in our country that is evidenced by several facts. In honor of the saint’s name some churches have been built and the specimens of mural painting were created. The known toponym – Stepantsminda is linked just with his name. However, the place of this saint in Georgian church and history of Georgian culture hasn’t been yet studied.

Stephen the First Martyr has been mentioned in Georgian church and old Georgian literature since the ancient times. He is well known in Georgian hagiography, hymnography, liturgy, homiletics. Commemoration of Stephen the First Martyr is found in “Jerusalimite Lectionary” that is a unique monument containing archaic divine liturgy.

The commemoration of St. Stephen is included in “Oldest Iadgari (Tropologion)” which contains numerous specimens of hymnography, including archaic ones. 3 hymns

dedicated to St.Stephen indicated in Lectionary are also found in “Iadgari”. Other hymns are also included in “Oldest Iadgari”. As far as the prototype of the “Oldest Iadgari” has been lost today it is difficult to say with certainty as to which of the hymns entering this collection are translated and which are original. Presumably, as well as the main part of extended repertoire entering the “Oldest Iadgari”, the hymns dedicated to St.Stephen must have been translated from Greek. In these hymns St.Stephen is referred to as a predecessor of martyrs that had become a tradition. There is also St.Stephen’s vision before his death. The repeated refrain in this hymn leaves an impression of archaism. The metre of these hymns is also archaic.

These hymns preserved in the “Oldest Iadgari” are not found in the “Menaia” published in Greek and Slavonic languages and in this respect they are totally unique.

As is seen, “The Martyrdom of St.Stephen” was also translated into Georgian earlier. In “Sinai Polycephalon” dated from 864 along with other readings “The Martyrdom of St.Stephen” was also included and “The Discovery of the saint’s relics”.

Special interest to St.Stephen is revealed by tenth century Georgian figure and writer – Stephen Sananoisdze-Chkondideli who is one of the famous representatives of “Mekheli”.

Stephen Sananoisdze is an author of the small-size hymn dedicated to St.Stephen the First Martyr which is included in Michael Modrekili’s collection “Iadgari” (978-988). The hymn is rhymed and distinct for artistic perfection. As it turns out, the author of the hymn is well acquainted with the “Life” of St. Stephen the First Martyr on which he is based upon when describing the death of the saint. The same can be said about the vision of St. Stephen the First Martyr with which Stephen Sananoisdze’s hymn starts.

Stephen Sananoisdze’s special interest to this great saint is evidenced by the fact that he translated from Greek “Praise to St.Stephen the First Martyr” by Gregory of Nyssa.

Two more versions of this homily by Gregory of Nyssa are available in Georgian language. The translator of the first of them is Stephane Sananoisdze-Chkondideli and the second translation belongs to George the Athonite.

In both cases we have remarkable Georgian translations of this homily by pious Father of the Church – Gregory of Nyssa made by two outstanding representatives of Georgian culture – the bishop of Chkondidi – Stephen Sananoisdze and outstanding figure of Georgian Church – George the Athonite.

## ვლადიმერ ჭელიძე (საქართველო)

### ქართული საისტორიო პროზის განვითარების ადრეული ეტაპები (პირველწყაროს ლიტერატურული მოდელი – ფიქციდან ანტიფიქციისკენ) ნაწილი მეორე

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნებითი პრობლემატიკის შესახებ გამოქვეყნებული უახლესი მონოგრაფიული კვლევების საფუძველზე კიდევ ერთხელ დასტურდება ქართული მწერლობის უწყვეტი შემოქმედებითი პროცესის თავისთავადობა, ერთიანობა და მთლიანობა. საგულისხმოა, რომ ამავე კვლევების მიხედვით საერთაშორისო ლიტერატურულ კონტექსტში მოაზრებულია საინტერესო და გამორჩეული პარალელები, წინმსწრები და უკონტაქტო მხატრული ანალოგები.

განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენი ლიტერატურის ადრეული პერიოდის განსაზღვრა, რისთვისაც „გასათვალისწინებელია ... ქართული კულტურისა და კულტურული იდენტობის ფორმირების ორი უძველესი ეტაპი: პრეისტორიული ეტაპი: ქართული ფოლკლორი და მითოლოგია; ქართული დამწერლობის წარმოშობა: ანბანი, წარწერები, პირველი წერილობითი ძეგლები“ (რატიანი 2015: 42).

აღნიშნული ეტაპების შესწავლას, დადგენასა და დაზუსტებას საფუძველი ჩაუყარა პავლე ინგოროვამ, რასაც, როგორც ცნობილია, მკვლევარმა უაღრესად მნიშვნელოვანი მონოგრაფია მიუძღვნა (ინგოროვა 1978: 241-483).

ეს საკითხებია განხილული ჩვენი გამოკვლევის პირველ ნაწილში (ჭელიძე 2015-2016: 270-283). კერძოდ, ქართულ საისტორიო თხზულებათა („მოქცევად ქართლისაა“ და ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“) გადმოცემების პერძენი ისტორიკოსის სტრაბონის თხზულების „გეოგრაფია“ მონაცემებთან პარალელების გავლებითა და სხვადასხვა ხასიათის ტექსტობრივი სხვაობების (გრაფიკული ცდომილებებისა და აზრობრივი სახეცვლილების) გასწორებით, გამოვლინდა ქართლის (იბერიის) სამეფოს საზოგადოებრივი იერარქიის ოთხივე კატეგორიის (ოთხი გენოსის) ქართული შესატყვისობები. გარკვეულ ლოგიკურ შესაბამისობათა მოძიებით. შესაბამისად, მოხერხდა სხვადასხვა დროს ხელნაწერთა გადაწერის პროცესში დაშვებული მექანიკური შეცდომების, არასწორი ტექსტობრივი ფრაზებისა და ცალკეული გამორჩენილი სიტყვების ტერმინოლოგიურად შესაბამისი ფორმების აღდგენა.

სავარაუდოდ, დადგინდა ჩვენი ქვეყნის ადრეული ეპოქის პირველი სოცი-ალური წრის (სამეფო სახლის წევრთა და მეფის შემდგომთა) ვინაობები, კერძოდ, ისტორიულ პირთა, როგორც ლიტერატურულ პერსონაჟთა რეალური პროტო-პები. სამეფო წრის წარმომადგენლებია – მირვან (არიან, იარედოს) მეფე და მისი ძე არსოვ (აზო[რკ], აზონ), ხოლო მთავართაგანაა – საურმაგ მამამძუძე („ბუნ-თურქ-

თა“ უფალი, სამარ მამასახლისი) და მისი ძე, ძუძუმტე ფარსმან ავაზ (ფარნავაზ), რომელსაც ლეონტი მროველი საისტორიო პირველწყაროს ტექსტის არასწორად გააზრების შედეგად ძმისწულს უწოდებს.

აღნიშნული კვლევა-ძიების შედეგად, ამავე დროს, ტექსტობრივად გასწორდა, დაზუსტდა და სწორი ფორმებით აღდგა ცალკეული სიტყვები და ფრაზები, რის შედეგად განისაზღვრა მომდევნო სამი სოციალური წრის აღმნიშვნელი ტერმინების („მსახურნი კერპთა“, „მონანი უფლისა“, „ათი ათასი მკვირცხლი – სახლი მდაბიოთა“, „ათი ათასი მხედარი მოქალაქეთაგან – სახლი აზნაურთა“) მნიშვნელობებიცა და ფუნქციებიც.

გარდა ამისა, ისტორიულ-ლიტერატურული ანალიზის შედეგად გამოვლინდა როგორც გარკვეული ტერმინოლოგიური, ისე იდეოლოგიურ-მნიგნობრული ხასიათის აზრობრივ-ტექსტობრივი სახეცვლილებები (ლიტერატურული ფიქცია), რომელიც ქრისტიანულ პერიოდში ადრეული ხანის ქართლის {იბერიის} მეფეთა ამბების აღწერილობებმა განიცადა.

ქართული საისტორიო თხზულებები მოგვითხრობს ორ ისტორიულ-ლეგენდარულ ამბავს, სადაც, კერძოდ, გადმოცემულია ის, რომ ქართლში სალაშქროდ შემოსულ ალექსანდრე მაკედონელს როგორ შეუპოვრად და შემართებით ებრძიონ ადგილობრივი მკვიდრნი.

პირველ ამბავს მეტაფორულად აღწერს „მოქცევად ქართლისავ“:

„პირველ ოდეს ალექსანდრე მეფემან ნათესავნი იგი ლოთის შვილთანი ნარიქცინა და შევადნა იგინი კედარსა მას ქუცავანასა, იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნ-თურქნი, მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა მიხურვით, ოთხ ქალაქად, და დაბნები მათი: სარკინე-ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრავე, და ციხენი მათნი: ციხე დიდი სარკინისაა, უფლის-ციხე კასპისა, ურბნისისა და ოძრავისაა. დაუკრდა ალექსანდრეს და ცნა, რამეთუ იებოსელთა ნათესავნი იყვნეს, ყოველსა ჭორციელსა ჭამდეს და სამარე მათი არა იყო, მკუდარსა შესჭამდეს. და ვერ ეძლო ბრძოლად მათი მეფესა და წარვიდა“ (ნიკოლოზიშვილი 2008: 20).

ეს ეპიზოდი ლეონტი მროველის თხზულებაშიც („მეფეთა ცხოვრება“) იდეოლოგიური ქვეტექსტებით, მაგრამ მეტაფორული მნიშვნელობის მქონე ბიბლიური სახელების („ლოთის შვილთანი“ და „იებოსელთა ნათესავნი“) გარეშეა გადმოცემული:

„ამან ალექსანდრე დაიპყრნა ყოველნი კიდენი ქუცავისანი. ესე გამოვიდა დასაცლით, და შევიდა სამკრით, შემოვიდა ჩრდილოთ, გარდამოვლნა კავკასნი და მოვიდა ქართლად. და პოვნა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულითა. რამეთუ ცოლ-ქმრობისა და სიძვისათვს არა უჩნდა ნათესაობა, ყოველსა სულიერსა ჭამდეს, მკუდარსა შესჭამდეს, ვითარცა მტეცნი და პირუტყუნი, რომელთა ქცევისა წარმოოქმა უკიმ არს. და იხილნა რა ესე ნათესავნი სასტიკნი წარმართნი, რომელთა-იგი ჩუენ ბუნთურქად და ყივჩაყად უწოდთ, მსხდომარენი მდინარესა მას მტკურისასა მიხვევით, დაუკრდა ესე ალექსანდრეს, რამეთუ არა რომელნი ნათესავნი იქმოდეს მას და ენება რათა-მცა აღმოფხურნა იგინი ქალაქებისა მისგან, არამედ მას უამსა ვერ უძლო, რამეთუ პოვნა ციხენი მაგარნი და ქალაქი ძლიერნი“ (ყაუხჩიშვილი 1955: 36-37)

საყურადღებოა, რომ აქ გვხდება ერთი სიტყვა-ტერმინი („ნარმართნი“), რომელიც თხზულებაში „მოქცევად ქართლისაა“ ლოგიკურად სავარაუდოა, მაგრამ ტექსტის გადაწერის პროცესში მექანიკურად გამორჩენილია. ეს სიტყვა-ტერმინი ქრისტიანულ ეპოქაში მეტაფორულ მნიშვნელობას იძებს. კერძოდ, „ნარმართნი“ აღქმულია „ნათესავთა სჯულითა“ მსგავსი „ბუნთურქთა“, „ლოთის შვილთა“ და „იებოსელთა“. ეს მონაცემები, ისევე, როგორც ამავე კონტექსტში მოხსენიებული სხვა ბიბლიური სახელწოდება „არიან“ („მოქცევად ქართლისაა“), რა თქმა უნდა, ისტორიული ანაქრონიზმი.

ლეონტი მროველი ამავე გარემოებაზე მიანიშნებს მის მიერ მოთხოვბილ არჩილ მეფის ეპიზოდში, რომელშიც ავტორი ჯერ კახეთში, ხოლო შემდეგ წუქეთ-ში არჩილის მოსვლის დროს, აღნერს „ყოველთა ნარმართთა“ მის მთისათა“:

„ნუხპატელნი უწინარეს იყვნეს კაცნი ნარმართნი და მჭეცისბუნებისანი“ (ყაუხჩიშვილი 1955: 243).

ანალოგიური იდეოლოგიური ხასიათის გააზრება აქვს ერთ გარკვეულ ეპიზოდს იოანე საბანისძის აგიოგრაფიულ თხზულებაში „აბოს ნამება“, რომელშიც, კერძოდ, აღნერილია ხაზარეთი, როგორც „ქუეყანაი იგი ნარმართთაი“, და, შესაბამისად, მსგავსი მეტაფორული ფრაზებითაა დახასიათებული ამ ქვეყნის მკვიდრი ხაზარები:

„ხოლო ნერსე, ვლტოლვილი ქუეყანით თვესით, შევიდა ქუეყანასა მას ჩრდილოვასასა, სადა-იგი არს სადგური და საბანაეც ძეთა მაგოგისთავ, რომელ არიან ხაზარნი, – კაც ველურ, საშინელ პირითა, მჭეცის ბუნება, სისხლის მჭამელ, რომელთა შჯული არა აქუს, გარნა ღმერთი ხოლო შემოქმედი იციან“ (ჭელიძე 2008: 319).

როგორც ჩანს, ქრისტიანული ეპოქის ამსახველი აღნიშნული იდეოლოგიური ხასიათის მეტაფორული გააზრებები გვხდება როგორც ბიბლიურ-აპოკრიფული და აგიოგრაფიული უანრის ძეგლებში, ისე, ამავე პერიოდის საისტორიო პროზაში.

ეს შემოქმედებითი პროცესი, შესაბამისი ისტორიულ-ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, ქართულ საერო-საკარო (მას საფუძველი, სავარაუდო, წინაქრისტიანულ ხანაში ჩაეყარა) და საეკლესიო-სასულიერო სალიტერატურო დარგებში ერთმანეთის პარალელურად გრძელდებოდა,

გარდა ამისა, განსაკუთრებით საყურადღებოა ლეონტი მროველის გადმოცემა ჰურისა და წუნდის ციხე-ქალაქების შესახებ, რომელიც მისი საისტორიო თხზულების სამ ეპიზოდშია მოთხოვბილი.

პირველად ეს გადმოცემა გვხვდება საისტორიო თხზულების მეორე თავში, რომელშიც მოთხოვბილია ქართლის ეთნარქ-ეპონიმების შესახებ ლეონტი მროველის მიერ შეთხული ისტორიულ-ლეგენდარული ამბები:

„ამან ჯავახოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქი: წუნდა და ქალაქი არტანისა, რომელსა მაშინ ერქუა ქაჯთა ქალაქი, ხოლო ან ჰერკ ჰური“ (ყაუხჩიშვილი 1955: 30).

ხოლო მეორედ ამავე ისტორიულ რეალიებზე ლეონტი მროველი მიუთიო თებს თხზულების მესამე თავში („ამბავი ფარნავაზისა“), რომელშიც, კერძოდ, აღნერილია თანადროული ეპოქის საომარი პროცესების მიმდინარეობის ადგილი „ჰური“:

„ნაქალაქევსა თანა არტანისასა, რომელსა ერქუა მაშინ ქაჯთა ქალაქი, რომელ არს ჰური“ (ყაუხჩიშვილი 1955: 43).

აღნიშნულ ეპიზოდებს ქრონლოგიურად წინ უსწრებს მესამე მონაკვეთი, კერძდ, იარვანდის სამხედრო აგრესის ეპიზოდი, რომელიც გადანაცვლებული და ჩართულია ორმეფობის ხანის მეორე წევილის მეფობის პერიოდის აღწერილობაში, სადაც ის მიერთებულია მომდევნო ეპოქის სომეხი უფლისწულის ზარენის ეპიზოდთან.

სავარაუდოდ, ადრეული პერიოდის ქართულ საისტორიო წყაროში ქრონლოგიური თანამიმდევრობით აღწერილ ამ მონაკვეთს ალექსანდრე მაკედონელის ქართლად შემოსვლის პირველი ეპიზოდი ჩაენაცვლა. კერძოდ, მირვანის მეფობის დროს ჩვენი ქვეყნის სამხრეთის სასაზღვრო მხრების მიტაცებას სომეხთა მეფის იარვანდის (ორონტ II-ის) მიერ (ძვ. წ. III ს-ის ბოლო და II ს-ის დასაწყისი) ლეონტი მროველი ასე მოვგითხრობს:

„მაშინ მეფე იქმნა სომხითს დიდი იგი მეფე იარვანდ. ... და მოუღო საზღვარსა ქართლისასა ქალაქი წუნდა და არტანი მტკურამდე და დასხნა წუნდას შინა კაცნი მწეცნი, ნათესავნი დევთანი, და უნდა წუნდასა სახელად ქაჯატუნი, რომელი-ეს ითარგამნების „დევთა-სახლად“ (ყაუხჩიშვილი 1955: 59).

ეს გადმოცემა „პირდაპირ კავშირშია მოსე ხორენელის II წიგნის 40 და 41 თავების შინაარსთან, რომელთა მიხედვითაც ერვანდმა (იგივე ორონტმა, იგივე იარვანდმა) ააშენა ბაგარანი, კერპების ქალაქი მდინარე ახურიანის ჩრდილოეთ ნაპირზე. იმავე მდინარის ჩრდილოეთ ნაპირზევე გაუშენებია ერვანდს დიდი ტყე, რომელიც შემოუღობავს და იქ გაუშვია სხვადასხვა გარეული ცხოველი, რათა ნადირობით გართობილიყო. მოსე ხორენელის მიხედვით, ერვანდს ამ ტყისთვის დაურქმევია „ცნნდოც“. ... ტყის სახელი – „ცნნდოც“ („სომხ. „დაბადებული“) უნდა იყოს დამახინჯებული „წუნდა“, ანტიკური ქართული ქალაქი მტკვრის ნაპირას. სახელწოდება „ბაგარან“ (= ირან. „ლმერთების ადგილი“) კი, რომელსაც ხორენელი კერპების ქალაქს უწოდებს, პირდაპირ კავშირშია ქართველი მემატიანის სიტყვებთან – „უნდა წუნდას სახელად ქაჯატუნი, რომელიც ითარგმნება დევთა სახლად“. ამჯერად ძნელია გადაჭრით იმის თქმა, რა წყაროებს ეყრდნობოდნენ ქართლის ცხოვრების ავტორი და მოსე ხორენელი, ან რომელი რომელზეა დამოკიდებული“ (ნიკოლოზიშვილი 2011: 226).

აქ მსგავსებებთან ერთად გვხდება ტექსტობრივი სხვაობებიც. კერძოდ, ქართული ციხე-ქალაქი „ჰური“ და მდინარე „ახურიანი“ (მდინარე არაქსის შენაკადი), ტყის სახელი – „ცნნდოც“ და ქართული ციხე-ქალაქის სახელი „წუნდა“ ერთმანეთის მსგავსია („ჰური“ და „ა-ხურიანი“, „ცნნდოც“ და „წუნდა“), მაგრამ ფუნქციურად განსხვავებული (ლეონტი მროველთან ციხე-ქალაქები გვაქვს, ხოლო მოვსეს ხორენაცთან – მდინარე და ტყე). როგორც ჩანს, აღნიშნული შეცდომები მომდევნო პერიოდის ავტორთა მიერ საისტორიო პირველწყაროების არასწორად გააზრებამ განაპირობა.

ხოლო ქართულ-სომხურ გადმოცემებში შემორჩენილ თანადროულ რეალიათა ამსახველი პარალელების საფუძველზე, რაც არსებითი ხასიათის ტექსტობრივ დეტალებში ვლინდება, შესაძლებელია საისტორიო პირველწყაროს, კერძოდ, ჩვენი ქვეყნის სამხრეთიდან (ოძრხე-სამცხის მხარე) მის აღმოსავლეთით

(ხერკის მხარე, სარკინე-ზანავი და მტკვარ-არაგვის შესართავი – მომდევნო პერიოდის ქართული სამხედრო აგრესის ისტორიული პროცესების შედეგად გადმოსახლების ამსახველი ეპიზოდის სიუჟეტური ქარგის სავარაუდო მოდელის (არაფიქციის) აღდგენა.

გეოგრაფიული სახელწოდება ქართული სახელწოდება ქართული ენათა – სვანური ქართულის, ზანური – კოლხური, (მეგრულ-ჭანური) ქართულისა და მესხური – იბერიული ქართულის (ენობრივი იდენტობის სამივე სახეობის) ეთნოლინგვისტური კვლევები გვიჩვენებს, ზანურ-მესხური (კოლხური დიერიული) წარმომავლობისაა. კერძოდ, თავდაპირველი ეთნო-ტოპონიმიკური მონაცემებისა და ჩვენი ქვეყნის ისტორიული რეალიების (სახელმწიფოებრივი გაერთიანებები – დაიაენ - დვანი, კოლხა - კოლა) მიხედვით ეს ტერიტორია ჯერ სვანურია (შესაბამისია, ნრომი, კოჯორი, ჯაჭუ), ხოლო შემდეგ – ზანურია (კარ - სანი და კარ - ალ - ეთ - ი, ალვანი და ალვან[6]-ზანი, ზან - ავ - ი და წან - არ - ეთ - ი, დვანი და დვალ - ეთ - ი, ბჟ - ის ხევი და [ბ] ჟ - ალ - ეთ - ი და სხვა).

მომდევნო პერიოდში კი, სამხრეთ კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში კიმირიელთა შემოსევებისა და სამხედრო აგრესის შედეგად აქ სხვა ქართული (სამხრეთ-აღმოსავლური) სახელმწიფოებრივი გაერთიანების მკვიდრთა გადმოსახლების გამო, ის მესხურია.

სავარაუდოდ, ქორონიმი ქართ-ლი და, ასევე, ეთნონიმი ქართ-ველი - ინარმოქმნილი უნდა იყოს ზანურ-კოლხური სიტყვის ფუძისა (ქართ - კართ ე - „კალთა, მთის ფერდობი“) და მესხურ-იბერიული ენობრივი ფორმების – ბოლოსართების („-[ა]ლ“ და „-ელ“) შერწყმით. ამ გეოგრაფიული ადგილის სახელწოდების (ტოპონიმის) მნიშვნელობა (ქართლი – „მთის ფერდობიანი ადგილი“) საისტორიო წყაროში ზუსტადა გადმოცემული (არაფიქცია) და აღნერილი („და ... მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შეერთვის არაგვი მტკუარ სა , და განვიდა მთასა მას ზედა“), რომელიც შემდგომ ენობრივი სიმაგრესა („და პირველად შექმნა მუნ ზედა სიმაგრე“) და ციხე-ქალაქს („და იშენა მუნ ზედა სახლი “), კერძოდ, სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ცენტრს – სამეფო ქალაქს.

საბოლოოდ, ეს სახელი ენოდა მთელ სამეფოს („და მის გამო ენოდა ყოველსა ქართლსა ქართლი – ხუნანითგან ვიდრე ზღუადმდე სპერისა“), რითაც მიიღო ქორონიმის, როგორც ტერმინის მნიშვნელობა.

ამის შესაბამისად, გარკვეული გეოგრაფიული ადგილის მკვიდრის თავდაპირველმა სახელწოდებამ – ქართველი („მთიელი“), შესაბამისად, შეიძინა ამავე ქვეყნისა და სახელმწიფოს მოქალაქისა (ეთნონიმის) და ნაციონალობის (ეროვნული იდენტობის) გამომხატველი ტერმინის მნიშვნელობა (ჭელიძე 2016: 63-69).

კვლევის შედეგად მოძიებული და მიგნებული საყურადღებო ისტორიული მონაცემების მიხედვით აღნიშნული პროცესები ძვ. წ. III საუკუნის ბოლო და II საუკუნის დასაწყისი პერიოდით (იარვანდისა და მირვანის მეფობის ეპოქით) თარიღდება (წაცვლად ძვ. წ. IV-III სს.-ის მიჯნისა, როგორც ამას მკვლევარები აღექსან-

დრე მაკედონელის ისტორიულ-ლეგენდარულ გადმოცემებზე დაყრდნობით ვარაუდობენ).

ამ თარიღს, გარდა ამისა, ადასტურებს ქართულ-სომხურ საისტორიო გადმოცემათა სხვა მონაცემები:

„მაშინ მოვიდეს ნათესავნი მბრძოლნი, ქალდეველთაგან გამოსხმულნი, ჰონი ნი ი, და ითხოვეს ბუნ-თურქთა უფლისაგან ქუეყანა ხარკითა და დასხდეს იგინი ზანაგს. და ეპყრა იგი, რომელ ხარკითა აქუნდა, ჰრეკან მას ხერკი“, – ასე გამოგვცემს „მოქცევად ქართლისაა“ (ნიკოლოზიშვილი 2008: 20).

საისტორიო ტექსტი გარკვეულნილად შეკვეცილია ლეონტი მროველის თხზულებაში „მეფეთა ცხოვრება“, სადაც საერთოდ არაა მოხსენიებული „ჰონის“:

„ეუალად გამოვიდეს სხუანი ნათესავნი ქალდეველნი, და დაეშენეს იგინიცა ქართლს“ (ყაუხჩიშვილი 1955: 11).

მაგრამ საისტორიო თხზულების წინა თავის გარკვეულ მონაკვეთში შედარებით ვრცლად გადმოცემულია ამ ეპიზოდის მეორე ნაწილი:

„მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალემი, და მუნით ოტებულნი უ რ ი ა ნ ი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა პქან ზანავი. და რომელი ქუეყანა აქუნდა მათ ხარკითა, ან პქან ხერკ ხარკისა მისთვის“ (ყაუხჩიშვილი 1955: 10).

„ქალდეველნი“ აქ ჩანაცვლებულია ძვ. წ. VI საუკუნის ბაბილონის ცნობილი მეფის სახელით „ნაბუქოდონოსორ“.

ამავე დროს, იმ მონაცემის მიხედვით („ურიანი მოვიდეს ქართლს“), რომელ-საც მეფეთა ცხოვრება გვანვდის, პირველწყაროს სავარაუდო ტექსტში სახელ-წოდება „ჰონის“ („მოქცევად ქართლისაა“) უნდა გასწორდეს, როგორც – „ჰონისინი“. მაგრამ ეს ტექსტი გამოიყენება გვანვდის მიხედვით (ძვ. წ. VI საუკუნის ბაბილონის ცნობილი 1978: 61).

ამდენად, სავარაუდოა, რომ „ქალდეველთაგან გამოსხმული ჰონიანი და ჰონი“ ამ დროს არიან დასახლებული ქართლში.

ქართული საისტორიო თხზულებების ამ ეპიზოდში ებრაელთა ქართლში დასახლების აღნიშნული რეალიების გადმოცემასთან ერთად (არაფიქცია), გვხდება მომდევნო ეპოქაში ჩართული და, შესაბამისად, მეტაფორულად გააზრებული მცირე ისტორიულ-ლეგენდარული მონათხრობი (ლიტერატურული ფიქცია).

„მოქცევად ქართლისაა“, კერძოდ, გადმოვცემს:

„და ითხოვეს ბუნ-თურქთა უფლისაგან ქუეყანა ხარკითა და დასხდეს იგინი ზანაგს. და ეპყრა იგი, რომელ ხარკითა აქუნდა, ჰრეკან მას ხერკი“ (ნიკოლოზიშვილი 2008: 20).

ხოლო „მეფეთა ცხოვრება“ მოგვითხრობს:

„და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა პქან ზანავი. და რომელი ქუეყანა აქუნდა მათ ხარკითა, ან პქან ხერკ ხარკისა მისთვის“ (ყაუხჩიშვილი 1955: 35).

სავარაუდოდ, ისტორიული მხარის სახელწოდებასთან („ხერკი“) სპარსული-დან ქართულ ენასა და ჩვენს ისტორიულ რეალობაში დამკვიდრებული სოციალურ-ეკონომიკური (კერძოდ, საგადასახადო) მნიშვნელობის სიტყვა-ტერმინი („ხარკი“), როგორც გრაფიკული მსგავსების, ისე მისი ფუნქცია-დანიშნულებიდან გამომ-დი-ნარეა (ხ - ე - რ კ ი - ხ - ა - რ კ ი) დაკავშირებული და, ამის შესაბამისად, შეთხული საინტერესო მონათხრობი (ლიტერატურული ფიქცია) მომდევნო პერიოდში.

ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ „მეფეთა ცხოვრება“, ისევე, როგორც სხვა ისტორიულ-გეოგრაფიული ადგილის („ქართლი“) სახელწოდებასთან დაკავშირებით, ამ შემთხვევაშიც გეოგრაფიულ მდებარეობას დეტალურად აღწერს („და დასხნა არაგუსა ზედა, ნ ყ ა რ თ ს ა , რომელსა ჰქეან ზ ა ნ ა ვ ი“) და მისი სახელწოდების (ტოპონიმის) მნიშვნელობას აქაც ზუსტად გადმოცემს (ზანურ-კოლხურ-ში სიტყვა ზ ა ნ ი ნიშნავს „ნყალს“, ხოლო ზ ა ნ-ავ-ი – „ნყლებს“, „ნყლიან [ად-გილს]“). შესაბამისად, თანადროული ეპოქის ეს საგულისხმო რეალია (არაფიქცია) საისტორიო პირველწყაროს ეკუთვნის, რომელიც მოთხოვნილი ისტორიული ამ-ბის ლიტერატურული სიუჟეტია.

როგორც ქრონიკის უანრის თხზულება, „მოქცევად ქართლისად“ სწორად, მაგრამ მოკლედ, კერძოდ, ამ ეპიზოდის სიუჟეტური ქარგის არსებითი ხასიათის დეტალებისა და ნიუნისების („ა რ ა გ უ ს ა ზ ე დ ა , ნ ყ ა რ თ ს ა , რომელსა ჰქეან ზ ა ნ ა ვ ი“) გარეშე, სულ რამდენიმე სიტყვით ასახავს რეალობას („დასხ-დეს იგინი ზ ა ნ ა ვ ს “), რომელიც ამავე ისტორიული ამბის ფაბულაა.

„მოქცევად ქართლისად“ მომდევნო ეპიზოდში წარმოგვიდგენს მეორე ისტორიულ-გეოგრაფიული სახელწოდების (ნ ა ს ტ ა გ ი ს ი ) სხვადასხვაგვარი მნიშვნელობის მქონე სიტყვა-ტერმინებად და მეტაფორულ ფრაზებად გააზრებულ მნიგნობრულ-ლეგენდარული ხასიათის აღწერილობასაც, რაც ასევე შემდგომ პერიოდშია მასში ჩართული:

„მოვიდა ალექსანდრე, მეფე ყოვლისა ქუეყანისად, და დალენნა სამნი ესე ქალაქი და ციხენი, და ჰონთა დასცა მახჭლი. ხოლო სარკინესა ქალაქსა ებრძოლა ათერთმეტ თთუე და დადგა სარკინესა დასავალით კერძო და დაასხა ვ ე ნ ა ვ ი და რუდ გამოიღო ქსნით, და დასხნა კაცნი მერუვენი დასტაგითა რუსავთა; და ჰრეპან ადგილსა მას ნ ა ს ტ ა გ ი ს ი“ (ნიკოლოზიშვილი 2008: 20).

როგორც ჩანს, ამ ჩანართის ავტორმა აღნიშნული ადგილის (ტოპონიმის) სახელწოდება („ნასტაგისი“), ერთის მხრივ, გაიაზრა როგორც სიტყვა „სტაგი“, რომელსაც მისი წარმომავლობის დადგენისას მკვლევარები (კერძოდ, ნ. მარი და სხვები) „სპარსულიდან მომდინარედ მიიჩნევენ და უკავშირებენ „ვაზს“ (ნიკოლოზიშვილი 2011: 211). ის საისტორიო ამბის ფაბულაში სწორედ ამავე მნიშვნელობითაა გადმოცემული („და დაასხა ვ ე ნ ა ვ ი“). ხოლო, მეორეს მხრივ, სავარაუდოა, რომ მან აღნიშნული სახელწოდება დაუკავშირა „ბერძნულ ძირს სთაგ, საიდანაც მომდინარეობს სიტყვა – სთაგამ = „ნეფეთი“, „ნაკადი“, „ჭავლი“, „ჩქერი“, „ღვარი“, რაც პირდაპირ ეხმიანება რუს გაყვანის შესახებ ცნობას“ (ნიკოლოზიშვილი 2011: 211). საგულისხმოა, რომ ამ ფაბულის ნინა მონაკვეთს („და დაასხა ვ ე ნ ა ვ ი“) მოსდევს მომდევნოც („და რ უ ა გ ა მოიღო ქსნით“). ეს მონაცემები არ შეიძლება

ასახავდეს თანადროული ეპოქის ისტორიულ რეალობას, რადგან გეოგრაფიულ ადგილზე, სადაც საომარი პროცესები მიმდინარეობს, არალოგიურია, რომ სახელმწიფო სამეურნეო და საინიგაციო საქმიანობას ანარმოებდეს. შესაბამისად, ეს მონათხოვიც, რომელსაც „მოქცევად ქართლისა“ გვაცნობს, შემდგომ პერიოდში შეთხულია (ლიტერატურული ფიქცია).

ლეონტი მროველის საისტორიო თხზულება „მეფეთა ცხოვრება“ ამავე ეპიზოდს ვრცლად გადმოგვცემს:

„შემდგომად ამისსა განძლიერდა ალექსანდრე და დაიპყრა ყოველი ქუეყანა, და აღმოვიდა ქუეყანასა ქართლისასა. და პოვნა ციხე-ქალაქი ესე ძლიერნი შუა-ქართლ: წუნდა, ხერთვის მტკურისა, ოძრვე მოკიდებული კლდესა ღადოსასა, თუხარისი მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა ჰქეან ჭოროხი, ურბნისი, კასპი და უფლისციხე, ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი, სარკინე, ციხე-დიდი და ზანავი, უბანი ურიათა, და რუსთავი, და დედა-ციხე სამშელდე, და მტუერის-ციხე, რომელ არს ხუნანი, და კახეთისა ქალაქი. ამათ ყოველთა ციხე-ქალაქთა შინა პოვნა კაცნი სასტიკად მბრძოლნი. და განუყო ლაშქარი თვის და ყოველთა ამათ ციხე-ქალაქთა გარემოადგინნა, და თვით დადგა მცხეთას. და დაუდგინნა ლაშქარნი იმიერ და ამიერ, ზემოთ და ქუემოთ, და თვით დადგა ქსანს ზედა, ადგილსა, რომელსა ჰქეან ნასტაკისი. ხოლო მტუერის-ციხესა და თუხარისასა არა ჰპრძოდა, რამეთუ ვერ შეუძლებდა დაპყრობად. ხოლო სხუანი ესე ციხენი და ქალაქი დაიპყრნა ექუს თუე“ (ყაუხჩიმშვილი 1955: 37).

მაგრამ აქ არ გვხდება განხილული სიტყვა-ტერმინები და მეტაფორულად გააზრებული ფრაზები.

განსაკუთრებით საყურადღებო და გასათვალისწინებელი ამ ისტორიულ-ლეგენდარული ამბის, კერძოდ, ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართლში გამართული მეორე ბრძოლის ეპიზოდის (ლიტერატურული ფიქციის) იმ გადანაცვლებული მესამე ეპიზოდის გარკვეული მონაკვეთთან შედარებაა, რომელშიც მოთხოვნილია ქართლში არტაშან (არტაშეს I) სომეხთა მეფის (ძვ. წ. 189-160 წწ.) სამხედრო აგრესის შესახებ, რითაც ლეონტი მროველის აღნიშნული საისტორიო გადმოცემა, შესაბამისად, „ეხმიანება მოსე ხორენელის ისტორიას (იხ. მ. ხორენაცი, II, 37-47)“ (ნიკოლოზიშვილი 2011: 227):

„მაშინ წარმოემართა ძალითა მისითა ყოვლითა არტაშან, მეფე სომეხთა, და სპასეტი სუმბატ ბივრიტიანი. ხოლო ქართველთა განამაგრნეს ციხენი და ქალაქი, და მოირთეს ძალი ოვესთით და განავსნეს ციხენი და ქალაქი. და მოვიდეს სომეხნი, და დადგეს მცხეთას, და ჰპრძოდეს ხუთ თუე“ (ყაუხჩიმშვილი 1955: 62).

როგორც ჩანს, ამ ორი ეპიზოდის სიუჟეტური დეტალებიც ერთმანეთის მსგავსია. სხვაობა მხოლოდ ერთგან გვხდება („ექუს თუე“ და „ხუთ თუე“), რაც, კერძოდ, ასომთავრულ დამწერლობაში შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობის მქონე ასონიშნების 7(ე) – 7(ვ) გრაფიკული მსგავსებითა და რაოდენობრივი რიგის თანამიმდევრობით (5-6) არის განპირობებული.

ადრეული პერიოდის სომხური-ქართული ბრძოლების (იარვანდ-მირვანისა და არტაშან-არსოვის) აღნერილობა ქრისტიანულ ხანაში ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ორჯერ შემოჭრის ეპიზოდებით შეიცვალა, რითაც ორიგინალურმა

საისტორიო თხზულებებმა ადრეული ეპოქის რეალიებისაგან როგორც აზრობრივ-ტექსტობრივად, ისე იდეოლოგიურად განსხვავებული ისტორიულ-ლეგენდარული გადმოცემებისა და ახალებურად გააზრებული საისტორიო ჟანრის ლიტერატურული ნაწარმოებების მეტაფორული მნიშვნელობა შეიძინა.

სხვაობები და სახეცვლილებები გვხდება ლეონტი მროველის საისტორიო თხზულების („მეფეთა ცხოვრება“) სხვადასხვა ეპიზოდებშიც. ორიგინალურ პირველწყაროსთან („მოქცევა ქართლისათ“) ერთად, უცხოურ საისტორიო თხზულებათა („ცხოვრება სპარსთა“, „ცხოვრება ბერძენთა“, „ცხოვრება სომეხთა“) ცალკეული მონაკვეთები, რასაც თვითონ ავტორი ასახელებს, ისტორიული ამბის თხრობაშია ჩართული, რაც ანაქრონისტულია, რადგან არ ასახავს ჩვენი ქვეყნის ისტორიულ სინამდვილეს. შეუსაბამობები ვლინდება გარკვეულ შემთხვევებში, კერძოდ, როცა ლეონტი მროველი ცდილობს ქ ა რ თ ლ ი ს ისტორია ხელოვნურად მიუსადაგოს მსოფლიოში განვითარებულ სხვადასხვა მნიშვნელოვან მოვლენას – ნაბუქოდონოსორის, ალექსანდრე მაკედონელის, არშაკიდების მოღვაწეობას, ქართლში ფარნავაზიანთა გარდა სხვა ქვეყნების დინასტიების (ნებროთიანთა, არშაკუნიანთა, ხოსროიანთა) წარმომადგენელთა გამეფებას. ეს გარემოებები მხედველობაში უნდა გვქონდეს ამ საისტორიო თხზულების გაცნობისა და, ამის შესაბამისად, მისი კვლევის დროს (ჭელიძე 2005: 51).

როგორც ცნობილია, აღნიშნული საისტორიო თხზულებისათვის დამახასიათებელია ისტორიული ამბის თხრობის ეპიკური მანერა. ამავე დროს, გარკვეულ-ნილად ისტორიული რეალიების აღწერილობაში ჩართულია აზრობრივ-კომპოზიციური შერწყმის, სხვადასხვა ეპიზოდის ტექსტობრივი გადანაცვლების, პირველწყაროსგან განსხვავებული ზოგიერთი ფრაზისა და სიტყვა-ტერმინის შექმნის, ფაბულისა და სიუჟეტური ქარგის სახეცვლილებების შედეგად შეთხზული მნიგნობრულ-ლეგენდარული ხასიათის ცალკეული საინტერესო და დრამატული მონაკვეთები, რითაც აღნიშნული საისტორიო გადმოცემები მხატვრული გამონაგონის (ლიტერატურული ფიქციის) მეტაფორულ ფუნქციას იძენს (ჭელიძე 2015-2016: 265).

ასევეა, კერძოდ, ფარნავაზის ეპიზოდის შემთხვევაშიც, რომლის დასაწყის მონაკვეთში ლეონტი მროველი გადმოგვცემს:

„ესე ფარნავაზ... იყო ძმის-წული სამარისი, რომელი მოსლვასა მას ალექსანდრესა მცხეთელ მამასახლისი ყოფილ-იყო. ესე სამარ და ძმა მისი, მამა ფარნავაზისი, მოკლულ იყო ალექსანდრესგან“ (ყაუხჩიშვილი 1955: 40).

აღნიშნული გადმოცემაც, როგორ ჩანს, მნიგნობრულ-ლეგენდარული ხასიათისა და, აქედან გამომდინარე, ის აზრობრივ-ტექსტობრივად განსხვავდება სავარაუდო საისტორიო პირველწყაროსაგან.

მიუხედავად ამისა, აქ, კერძოდ, გვაქვს გარკვეული მინიშნება, რომ არტა-შანსა და სუმბატ ბივრიტიანთან ბრძოლისას დაილუპნენ მირვან მეფე და საურმაგ მამამძუძე, რადგან სწორედ ალექსანდრე მაკედონელთან ბრძოლის ეპიზოდი ჩაენაცვლა განახლებული სომხურ-ქართული საომარი დაპირისპირების აღწერილობას. სავარაუდო იყვის მდინარესა ზედა, რომელსა ჰქანან ნოსტე“ (ყაუხჩიშვილი 1955: 61), სადაც მდებარეობს ნ ა ს ტ ა კ ი ს ი . ეს სახელწოდება ამ ორი სახელ-

ნოდების (ნ ო ს ტ ე და ხ ე რ კ ი ) შერწყმითაა, როგორ ჩანს, მიღებული (კერძოდ, ნ ა ს ტ ა კ ი ს ი – ნ ო ს ტ ე ხ ე რ კ ი ს ა ).

მირვანის შემდეგ, შესაბამისად, გამეფდა მისი ძე არსოვ (აზო[რკ]). „ესე იყო პირველი მეფი“ – გადმოგვცემს „მოქცევად ქართლისაა“, რადგან საგარეო აგრე-სიის შედეგად ახალ სამეფო ქალაქში სახელმწიფო მმართველობის დამკვიდრების შემდეგ, პირველად მოხდა ადმინისტრაციული ცვლილება.

საურმავ მამამძუძის ნაცვლად, როგორც ჩანს, „შემდგომი მეფისა“ გახდა მისი ძე და არსოვის ძუძუმტე ფარსმან (ფარნავაზ).

ქრისტიანულ ეპოქაში იდეოლოგიური მიზანდასახელებიდან გამომდინარე ქართული საისტორიო თხზულებების ტექსტობრივ-კომპოზიციურმა სახეცვლი-ლებებმა განაპირობა წინა პერიოდის როგორც სომეხთა (იარვანდის, არტაშანი-სა და სუმბატ ბივრიტიანის), ისე, შესაბამისად, ქართველთა – ა რ ს ო კ მეფის, ფ ა რ ნ ა ვ ა ზ (ფ ა რ ს მ ა ნ ა ვ ა ზ – „მოქცევად ქართლისაა“) ს პ ა ს პ ე ტ ი - ს ა და ძ უ ძ უ მ ტ ი ს შესახებ არსებული ეპიზოდების გადანაცლება და ორმე-ფობის ხანის მეორე წყვილის მონაკვეთში ჩართვა.

საყურადღებოა, რომ აქვე ქართლის მეფის უ ც ნ ო ბ ი ე რ ი ს თ ა ვ ი ს ამბის ორი ეპიზოდია მოთხოვობილი:

„და იყო ოძრვეს ქალაქსა შინა ერისთავი მეფისა არმაზელისი, აზნაურთა-განი. და იგი დადგრომილ იყო სარწმუნოებით ერთგულებასა ზედა არმაზელისა, და მას შეეწევოდეს მეგრელი. ხოლო წუნდელნი და დემოთელნი შეეწეოდეს ერთმანერთსა და დაუცხრომელად იბრძოდეს.“

... და იყო კლარჯეთს ერისთავი აზორკ მეფისა, აზნაურთაგანივე, და იგი ავნებდის საზღვართა სომხითისათა, ქუეყანასა პარხლისასა, რომელ არს ტაო. და ვერვინ შეუვიდოდა მაგნე კლარჯეთს, რამეთუ შეუვალი და მაგარი იყო ტყითა და კლდითა. და მკუდრნი კლარჯეთისანი იყვნეს მკუდრნი და მკედარნიცა.

ხოლო თვით მეფენი ქართლისანი მცხეთით გაემართვოდიან სომხითს, გზასა აბოცისასა, და მარადის ესრეთ ჰკირთებდეს ქართველნი და ოვსნი“ (ყაუხჩიმვილი 1955: 61).

პირველ ეპიზოდში გვაქვს პირდაპირი მინიშნება („მას შეეწევოდეს მეგ-რელნი“), რომ ეს უ ც ნ ო ბ ი ისტორიული პირი ე გ რ ი ს ი ს ერისთავია. აღსა-ნიშნავია, რომ აქ გადმოცემულ ისტორიულ რეალიებს მნიშვნელოვანი პარა-ლელები ეძებნება ფარნავაზის ეპიზოდში მოთხოვობილ ეგრისის ერისთავის ქუჯის ამბავთან.

როგორც ჩანს, ლეონტი მროველს არასწორად აქვს ეს ისტორიული რეალი-ები გააზრებული, რადგან სახელი ქ უ ჯ ი მეტანიკურად დაკავშირებულია ე გ - რ ი ს ი ს უ ც ნ ო ბ ი ერისთავის მიერ აშენებული ც ი ხ ე - გ თ ჯ ი ს სახელ-წოდების მეორე სიტყვასთან, რაც სინამდვილეს არ ასახავს (ზანურ-კოლხურად სიტყვა გ თ ჯ ი თავისი მნიშვნელობით არის „გორი“).

მეფეთა სიის მიხედვით ეგრისის ერისთავთა დინასტიური სახელებია ქარ-ძამ და არტოვ (ჭელიძე 1999: 153-163). ლეონტი მროველი ერთერთ ეპიზოდში გვანვდის საგულისხმო მონაცემს – „ძისწული ქუჯისი, სახელით ქართამ“ (ქარძამ – „მოქცევად ქართლისაა“). ამ დინასტიური ტრადიციის შესაბამისად, საგარაუდოა, რომ უცნობი ერისთავის სახელია ქ ა რ ძ ა მ .

აღნიშნულ ეპიზოდებში არსებული მონაცემები სრულიად განსხვავებულია ფარნავაზის გამეფების ეპიზოდში ლეონტი მროველის მიერ მოთხრობილი ამბისაგან, მაგრამ, ამავე დროს, მსგავსია იმისა, რასაც გვაწვდის „მოქცევად ქართლისაა“.

შესაბამისად, ამ მონაცემებს გარკვეული და არსებითი კორექტივები შეაქვს ადრეული პერიოდის ქართლის ისტორიული რეალობის დასაბადენად. კერძოდ, არსოკ (აზო[რკ]) მეფე, შემდგომი მეფისა ფარსმან (ფარნავაზ) და ეგრისის ერისთავი ქარძამ (ქუჯი) სომეხთა საგარეო აგრესიას ერთობლივად უპირისპირდებიან. როგორც ჩანს, საისტორიო პირველწყარო აღნერდა ქართული (ქართლ-მესხეთი და ეგრის-სვანეთი) და ჩრდილოკავკასიური (ოსეთ-დურძუკეთი) სამხედრო ძალების ბრძოლას სომხეთის მეფეთა (იარვანდისა და არტამანის) მიერ მიტაცებული ტერიტორიების დასაბრუნებლად.

სავარაუდოდ, არსოკ მეფისა და ქარძამ ერისთავის მეთაურობით ოძრ-ხელ-ეგრისელთა „მხედარნი და მკარცხლნი“ (ქვეითნი) კლარჯეთიდან იბრძვიან სომხეთისაგან მიტაცებული ტერიტორიების დასაბრუნებლად, ხოლო აბოცის მხრიდან შეუპოვრად ერკინებიან მომხდურ მტერს აღმოსავლელ ქართველთა და ჩრდილოკავკასიელთა (კერძოდ, ოვსთა და დურძუკეთა) გაერთიანებული ჯარი ფარსმანის წინამძღვრობით, რომლის მიერ გამოჩენილი საომარი შემართების შესახებ ტენდენციურად გადმოგვცემს მოვსეს ხორენაცი:

„მართალია, ქართველთა ჯარი თავის მეფესთან, ფარსმანთან ერთად გაიჭრა წინ და კადნიერად შეუტია [მოწინააღმდეგეს], მუსრს ავლებდა მას, მაგრამ უცებ პირი იბრუნა და მეორე მხარეს გაიქცა“ (II, 46).

ფარსმანი, როგორც ჩანს, გაემართა არტამანის მხარისაკენ, რადგან ცისე-ქალაქ ჰურ თა ა ნ ბრძოლის დროს დაიღუპა არსოკ (აზო[რკ]) მეფე. სომეხთა წინააღმდეგ საომარი პროცესები მისი მეთაურობითა და ქარძამის (ქუჯის) თანადგომით წარიმართა, რაც მათი საბოლოო გამარჯვებით დასრულდა.

აქედან გამომდინარე, ფარსმანს მისი წინამძღვრობით მოპოვებული გამარჯვებისათვის მეტსახელად ა ვ ა ზ (ფარსმან ავაზ, ფარნავაზ) ენოდა.

ამდენად, ისტორიულ-ლიტერატურული კვლევების შედეგად შესაძლებელია, რომ ქრონოლოგიური თანამიმდევრობის მიხედვით, როგორც აზრობრივ-ტექსტობრივად, ისე თემატურ-კომპოზიციურად დადგინდეს ქართული საისტორიო გადმოცემების სხვადასხვა ეპიზოდი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, უპირველესად, სავარაუდო პირველწყაროების ტექსტის მონაცემებია, საიდანაც ჩანს, რომ ეროვნული ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის იდეა განაპირობებდა ქართულ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ აზროვნებას, რამაც, თავის მხრივ, ადრეული პერიოდიდანვე საფუძველი ჩაუყარა ეროვნული ლიტერატურული პროცესის სწორად და მიზანმიმართულად წარმართვას.

ადრეული ხანის პირველწყაროს (არაფიქციის) ლიტერატურული მოდელი თანადროული ეპოქის სხვადასხვა რეალიებს, კერძოდ, აღნიშნული ისტორიული ამბების სიუჟეტურ ქარგის ცალკეულ დეტალებს აერთიანებს და ამთლიანებს.

შემდგომშიც, პირველწყაროს (არაფიქციის) ლიტერატურული მოდელის დადგენა შესაძლებელია, შესაბამისად, როგორც ქრონოლოგიური პრინციპის

დაცვით, ისე შემეცნებითი ასპექტებისა და შემოქმედებითი პარამეტრების, კერძოდ, მთლიანი საისტორიო ტექსტის, ქვეტექსტისა და კონტექსტის აზრობრივ-ლოგიკური და პოეტიკური კომპონენტების თანხვედრით.

**დამოწებანი:**

- Ingoroq'va, P'avle. Kartuli Mts'erlobis Ist'oriis Mok'le Mimokhilva. *Tkhzulebata K'rebuli*, T'. IV. Tbilisi: gamomtsemloba "merani", 1978 (ინგოროვა, პავლე. ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა. თხზულებათა კრებული. ტ. IV. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1978).
- Moktsevai Kartlisai. Dzveli Kartuli T'ekst'i Gamosatsemad Moamzada da Targmna Nik'oloz Nik'olozishvilma'. *Kartuli Hagiografiuli Dzeglebi*, 3 T'omad. T'. I. Redaktori Levan Abashidze. Tbilisi: gamomtsemloba «sakartvelos sap'at'riarko», 2008 (მოქცევა ქართლისათ. ძველი ქართული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და თარგმნა ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილმა. ქართული პაგიოგრაფიული ძეგლები, 3 ტომად. ტ. I. რედაქტორი ლევან აბაშიძე. თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს საპატირიარქო“, 2008).
- Rat'iani, Irma. *Kartuli Mts'erloba da Msoplio Lit'erat'uruli P'rotsesi*. Tbilisi: TSU gamomtsemloba, 2016 (რატიანი. ირმა. ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2016).
- Ch'elidze, Vladimer. Leont'i Mrovelis "Mepeta Tskhovreba" da Utskhouri Saist'orio Gadmotsemebi. *Lit'erat'uruli Dziebani*, XX. Tbilisi: gamomtsemloba "merani", 1999 (ჭელიძე. ვლადიმერ. ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“ და უცხოური საისტორიო გადმოცემები. ლიტერატურული ძიებანი, XX. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1999).
- Ch'elidze, Vladimer. Kartuli Saist'orio P'rozis Ganvitarebis Adreuli Et'ap'ebi. Nats'ili P'irveli. *Kartuli Ts'q'arotmtsodneoba*, XVII-XVIII. Tbilisi: gamomtsemloba "Univrsali", 2015-2016 (ჭელიძე, ვლადიმერ. ქართული საისტორიო პროზის განვითარების ადრეული ეტაპები. ნაწილი პირველი. ქართული წყაროთმცოდნება, XVII-XVIII. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2015-2016).
- Ch'elidze, Vladimer. Kartveluri Ident'obis Vekt'orebi (Chveni Tsvitsakhelts'odebis Ts'armomavloba). *P'irveli Saertashoriso K'onperentsiis – "Migrtsiuli P'rotsesebi da Ident'obata T'rantsatsia" – Masa-lebi*. Tbilisi: gamomtsemloba "Meridiani", 2016 (ჭელიძე, ვლადიმერ. ქართველური იდენტობის ვექტორები (ჩვენი თვითსახელწოდების ნარმობავლობა). პირველი საერთაშორისო კონფერენციის – „მიგრაციული პროცესები და იდენტობათა ტრანსლაცია“ – მასალები. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016).
- Kartlis Tsokhovreba*. T'ekst'i Akhal Kartul Enaze Targmna da K'oment'arebi Daurto Nik'oloz Nik'olozishvilma. Tbilisi: gamomtsemloba "akhali ivironi", 2011 (ქართლის ცხოვრება. ტექსტი ახალ ქართულ ენაზე თარგმნა და კომენტარები დაურთო ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „ახალი ივირონი“, 2011).
- Kartlis Tsokhovreba*. T'ekst'i Dadgenili Q'vela Dziritadi Khelnats'aris Mikhedvit Simon Q'aukhishvilis Mier' T'. I. Tbilisi: gamomtsemloba "sabch1ota sakartvelo", 1955 (ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხებიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1955).
- Kristes Ts'minda da Net'ari Mots'amis Abos Ts'ameba. Dzveli Kartuli T'ekst'i Gamosatsemad Moamzada da Targmna Edisher Ch'elidzem. *Kartuli Hagiografiuli Dzeglebi* 3 T'omad. T'. I. Redaktori Levan Abashidze. Tbilisi: gamomtsemloba "sakartvelos sap'at'riarko", 2008 (ქრისტეს ნებინდა და ნეტარი

მონამის აბოს წამება. ძველი ქართული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და თარგმნა ედ-იშერ ჭელიძემ. ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, 3 ტომად. ტ. I. რედაქტორი ლევან აბაშიძე. თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს საპატრიარქო“, 2008).

**Vladimer Chelidze  
(Georgia)**

## **Early Stages of the Development of Georgian Historic Prose**

**(literary model of the primary source – fiction to anti-fiction)**

### **Part 2**

#### **Summary**

**Key words:** literary model, primary source, fiction, anti-fiction, historical.

The historico-literary analysis of separate plots and stories of the topics concerning the kings of Iberia (Kartli) of the early period described in the original historical monuments (The Conversion of Kartli and The Life of the Kings written by Leonti Mroveli) have made it possible to reveal ideological-literary insertions (literary fiction) in these narrations. On the basis of the mentioned analysis the conjectural model of the whole narrative framework of different episodes (historical realities of the contemporary epoch, namely the threshold of the III-II cc. b. c.) of the initial section has somewhat been reconstructed. besides the detailed study of the various textual differences (graphical mistakes and changes of content) have resulted in an establishment and more precise definition of the real prototypes (historical persons) of the literary characters. The data resulted from such an analysis gave us the possibility of representing the literary model of the primary source (of unfiction) describing the contemporary historical process in its whole and full form. The episodes arranged and studied in their chronological order unify and bring together the narrative framework that in itself gives the initial section of the historical text its correct and completed sense as well as a coherent and joint composition. In this context, first of all, we should consider the episodes of the kingship of Mirvan and Iarvand as well as of their controversy. For this reason, its necessary to establish and make more precise the trusty and stable textual data - particular traits and features of the narrative framework and plot preserved in the Georgian-Armenian legends that will give us the possibility to reconstruct the prototype of the conjectural historical text of these episodes. The foreign military aggression executed by the neighbouring armenian kingdom in the southern regions of our country (in the christian epoch these processes, because of their especial popularity, were supposedly attributed to Alexander of Macedon) is directly reflected in the Georgian-Armenian historical narratives concerning the town Tsunda (The Life of Kings written by Leonti Mroveli and The History of Armenia written by Movses Khorenatsi) where alongside of similarities are found textual differences of some kind.

in particular, Georgian fortress “Huri” and river “Akhuriani” (we think that “Akhuriani” is not a distorted form of the Greek name of “Mtkvari”), the name of wood - “tznndotz” and the name of the Georgian fortress “Tsunda” are similar to each other (“Huri” and “Akhuriani”; “tznndotz” and “Tsunda”), but - functionally different (in one case we have the fortresses, in the second - the river and the wood). It seems that the reason of these mistakes was a incorrect understanding of the primary historical sources during the later periods. in this case the most important thing is the coincidence of the Georgian-Armenian sources. In particular, according to the Georgian and Armenian historical sources these processes are dated by the end of the III and the beginning of the II centuries before century. In addition, the particular interest is caused by the comparison of the episode of the the second fight (literary fiction) moved to the third episode to the text, which tells the story of the military aggression of the armenian king Artashan (ArtashesI - 189-160 AD) in Kartli (Leonti Mroveli’s narration reveals significant parallels with the data of Movses Khorenatsi). The early period of the Armenian-Georgian fights (between Iarvand-Mirvan and Artashan-Arsok) was changed with the twice invasion of Alexander Macedonian in Kartli because of which original historical works acquired new metaphorical significance of the literary works of the historical genre differed from their earlier essence as semantic-textually, so ideologically. The modification of the previous period caused the shift of the episodes of as Armenian (Ianvard, Artashan and Sumbat Bivritiani), so as Georgians - Arsok king and Parnavaz (Parsman Avaz) Spaspet and putting them in the circuit of double reign. There also are involved two historical episodes of the story of the ruler of Kartli. In the first episode we have a direct reference (“he was helped by Megrelians”), that it is a historical person, leading to significant parallels to Parnavazi’s episode narrated in ruler of Egrisi Kuji’s story. Leonti Mroveli additionally provides a datum - “Grandchild of Kuji, named Kartam” (kardzam). According to the Royal dynastic tradition, it is likely that the name of the unknown ruler is Kardzam. This fact is essential and brings changes in some of the early period (Iberia) to determine the actual processes taking place in the contemporary era. In particular, Arsok (Azorki) King, King Parsman further and the ruler of Egrisi Kardzam (Kuji) opposed together to the Armenian foreign aggression. Apparently, the original description by historical Georgian (Kartli-Meskhethian and Egris-region) and North (Dzurdzuketi-Ossetia) military forces fought against the Armenian kings Ianvar and Artashan in order to get back the captured territories. These renderings show that the national unity and territorial integrity of the Georgian state and the idea was due to public opinion, which, in turn, laid the foundation in the early period of the literary process correctly and in a purposeful manner. Early primary (Arafiction) literary model unifies and combines different stories and realities of the contemporary era. Accordingly the future reconstruction of the literary model of the primary source (the unfiction) will be also possible through the preservation of chronological principles and the coincidence of the mental aspects and creative parametres (the mental/logical and poetic components of the whole historical text, subtext and context).

## გაგა შურლაია

(იტალია)

### ბერნარდე ნეაპოლელისეული ხელნაწერები\*

ჩემი მასწავლებლისა და უფროსი მეგობრის,  
პროფესორ ვალერი სილოგავას ნათელ ხსოვნას

2007 წ.-ის ზაფხულში თბილისში, აკადემიკოს ელენე მეტრეველის ანოტი-რებულ ბიობიბლიოგრაფიაზე მუშაობისას, პროფ. ვალერი სილოგავამ გამაცნო მის მიერ იმხანად მიგნებული „ქართლის ცხოვრების“, კერძოდ, უამთააღმწერლის ე. წ. „ასწლოვანი მატიანის“ ორფურცლისაგან შემდგარი უძველესი ფრაგმენტი (თბილისი, კორნელი კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H-1076), რომელიც თავდაპირველად ქართლში XVII ს.-ის 70-იან წე.-ში ნამყოფ იტალიელ ბერს, ანტონიო ჩიფის ეკუთვნოდა და საქართველოში მიხეილ თამარაშვილმა იტალიიდან, ნეაპოლთან ახლოს მდებარე დაბა ტორე დელ გრეკოს ფრანცისკელი კაპუცინი ბერების მონასტრიდან ჩამოიტანა. ბატონმა ვალერიმ შემომთავაზა, იტალიაში დაბრუნებისას მომეძია ზემოაღნიშნული ფრაგმენტის დაკარგული ნაწილი. მიხ. თამარაშვილის ცნობით, საკვლევი ფრაგმენტი მოლიანად 40 გვერ-დისგან შედგებოდა.

იტალიაში დაბრუნებისას დავიწყე ხელნაწერის ძიება. აღმოჩნდა, რომ, თურმე, ტორე დელ გრეკოს ფრანცისკელ კაპუცინ ბერთა მონასტრერი დაუხუ-რავთ, ხოლო მისი წიგნსაცავის ნაწილი ამავე დაბის მუნიციპალური ბიბლიოთე-კისთვის გადაუციათ.

2008 წ.-ის თებერვალში ვენეციე ტორე დელ გრეკოს მუნიციპალურ ბიბლი-ოთეკას და პირადად გავცანი კაპუცინთა მონასტრისეულ წიგნებს, რომლებიც დაახლოებით სამ ათას ნახეჭდ ტომს შეიცავს. მათი უმეტესი ნაწილი XVI-XVII სს.-შია დასტამბული. იმუამად ამ წიგნებიდან ორი ათასი ერთეული სპეციალურად გამო-ყოფილ სათავსში ინახებოდა, რომელთვან მხოლოდ 956 ტომი იყო კატალოგიზე-ბული, დანარჩენი წიგნები და ხელნაწერთა ფრაგმენტები კი უწესრიგოდ ეყარა სხვა სათავსში. სათითაოდ გადავათვალიერე თითოეული მათგანი. იმედი მქონ-და, სადმე წავაწყდებოდი ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერს. სამწუხაროდ, ყველა მცდელობა ამაო გამოდგა: არსად ჩანდა არათუ უამთააღმწერლის თხზულების ფრაგმენტი, არამედ – თვით მონასტრის არქივიც. ამან მაფიქრებინა, იქნებ, მო-ნასტრის დახურვის შემდეგ ხელნაწერები კაპუცინთა ორდენის ცენტრალურ ის-ტორიულ არქივში გადატანეს-მეტე.

ტორელ კაპუცინთა არქივის ძიებისას დასახმარებლად მივმართე კაპუცინ-თა ისტორიის ინსტიტუტს, რომელიც რომში მდებარეობს. ინსტიტუტის არქივის არქივარიუსმა, მამა ალექსანდრე ჰოროვსკი 2008 წ.-ის 4 მაისს ელბარათით

\* წინამდებარე ნაშრომის ძირითადი დებულებები მოხსენების სახით წაეკითხულ იქნა 2009 წ.-ის 23 ოქტომბერს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ 2009 წ.-ის 19-25 ოქტომბერს თბილის-ში გამართულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე „ქართული ხელნაწერი“, რომლის მასალები არ გამოქვეყნებულა.

მაცნობა შემდეგი: „შევისწავლე ჩვენი [ორდენის] საერთო არქივი, მაგრამ აქ არ აღმოჩნდა ბერნარდე მარია ნეაპოლელის ხელნაწერი მასალები. საქართველოში [წარგზავნილი კათოლიკური] მისისადმი მიძღვნილ სექციაში გვაქვს მხოლოდ იმ დოკუმენტების ასლები, რომლებიც პროპაგანდა ფიდეს არქივში ინახება. ადვილი შესაძლებელია, ტორე დელ გრეკოს მონასტრის არქივი XIX ს.-ში – ნაპოლეონის [დროს], ანდა [მის] შემდგომ პერიოდში გაუქმებულიყო. იტალიაში კაპუცინების პროვინციათა არქივების XIX ს.-მდელი დოკუმენტები მიღანის პროვინციის არქივში ინახება, [ხოლო] სხვა მასალები გაბნეულია [იტალიის] სახელმწიფო, ანდა პარიზის არქივებში“.

არქივარიუსის პასუხმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ საკვლევ ხელნა-ნერთა მოსაძიებლად საჭირო იყო თვით მონასტრის ისტორიის საფუძვლიანი შეს-წავლა და ანტონიო ჩოფის პირვნების იდენტიფიცირება, მით უფრო, რომ საქარ-თველოში მისი ყოფნის დრო პირდაპირ ემთხვევა ქართველი საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი ბერნარდე ნეაპოლელის ჩვენს ქვეყანაში მოღვაწეობის პერიოდს.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ამ მიმართებით ჩემ მიერ დღემდე ჩატარებული კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები.

## 1. დაბა ტორე დელ გრეკო და ბერნარდე ნეაპოლელი

ნეაპოლის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების „ქარ-თულ ხელნაწერთა“ სექციაში დღეს დაცულია 15 საარქივო ერთეული, რომლე-ბიც არა მარტო ხელნაწერებს, არამედ ქართულ, იტალიურ და სომხურ ენებზე ნაბეჭდ წიგნებსაც მოიცავს. ისნით თავის დროზე კაპუცინ ბერს, ბერნარდე მარია ნეაპოლელს (1628-2.02.1707) ეკუთვნოდა და ნეაპოლის ეროვნულ ბიბლიოთეკაში 1936 წელს გადმოიტანეს ტორე დელ გრეკოს კაპუცინთა გაუქმებული მონასტრიდან.

დაბა ტორე დელ გრეკო ვეზუვის მთის ძირას მდებარეობს. იგი ისტორიულ წყაროებში პირველად 1019 წ.-ის 23 მაისს მოიხსენიება, როგორც Turris Octava, რაც ლათინურად „მერვე კოშქს“ ნიშნავს. რაფაელე ტორეზეს აზრით, სიტყვაში „turris“ უნდა ვიგულისხმოთ ეპრაული „tyra“, ანუ „სასახლე“, „ციხე-სიმაგრე“, ხოლო სიტყვაში „Octava“ – მითითება ოქტავიას გვარზე. ამდენად, მკვლევრის აზრით, ტოპონიმი აღნიშნავდა „იმპერატორის“ ან „საიმპერატორო“ – იმპერატორისათვის ნაჩუქარ, ან მის მიერ კონფისკებულ, ანდა მისი სახსრებით აშენებულ – ვილას (Torrese 1993: 29). 1568 წელს ტორე დელ გრეკოს უნივერსიტეტმა – ასე უნდებ-დნენ მუნიციპალიტეტებს ფეოდალურ იტალიაში – ტორელი მოქალაქეების: ტომაზო კუჩინიელისა და ფერდინანდო ბრანკაჩისაგან შეიძინა მიწის ნაკვეთი და საჩუქრად გადასცა კაპუცინ ბერებს, რომლებმაც 1574 წელს აქ მონასტერი და ხარების ეკლესია ააშენეს. სავანემ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არა მარტო ტორე დელ გრეკოს, არამედ, საზოგადოდ, მთელი სამხრეთ იტალიის კულტურულ ცხოვრებასა და კათოლიკური ეკლესიის სამისიონერო მოღვაწეობაში. 1861 წელს რომის პაპის სახელმწიფოს დაცემისა და იტალიის გაერთიანების შემდეგ მონას-ტრების დახურვის შესახებ მიღებული კანონის თანახმად, კაპუცინ ბერთა მო-ნასტერი ოფიციალურად გაუქმდა, ხოლო შენობა 1867 წელს ტორე დელ გრეკოს

მერიის გამგებლობაში გადავიდა. მერიამ იგი იმავე წელს გადასცა წმინდა სამების სახელობის უპატრონო ბავშვთა თავშესაფარს, რომელსაც ალკანტარელი ფრანცისკელი მონაზვნები კი არ მეურვეობდნენ, როგორც მკვლევრებს აქამდე მიაჩნდათ (Oliviero 1986: 93), არამედ – წმინდა ფრანცისკ ასიზელის სტიგმატების სახელობის ორდენის ფრანცისკელი მონაზვნები. ისინი ამ მისიას 1872 წ.-ის 23 დეკემბრიდან ასრულებდნენ,<sup>1</sup> მაგრამ იმის გამო, რომ პროფესიით არც ერთი მათგანი არ იყო ჸედაგოგი, 1879 წ.-ის 11 სექტემბერს, განათლების იმდროინდელი კანონმდებლობის შესაბამისად, ორდენს ჩამოერთვა უპატრონო ბავშვთა თავშესაფარზე მზრუნველობის უფლება. ასე გახდნენ თავშესაფრის ახალი მეურვეები ალკანტარელი ფრანცისკელი მონაზვნები, რომლებიც მას 1976-1977 სასწავლო წ.-ის ბოლომდე პატრონობდნენ (Fondazione Istituto figlie povere di S. Pietro d'Alcantara [1991]: 34; Marchitielli 1981: 90).

სწორედ ტორე დელ გრეკოს მონასტერში მოღვაწეობდა ანტონიო ჩოფი, იგივე ჩოფო. იგი 1628 წელს დაიბადა ნეაპოლში, ხოლო 1653 წ.-ის 14 იანვარს ბერად აღიკვეცა ბერნარდე მარიას სახელით. დანამდვილებით შეიძლება, ითქვას, რომ უთუოდ იგი არის ქართველი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ბერნარდე ნეაპოლელი, რომელიც, როგორც მისიონერი, 1670-1677 წწ.-ში იმყოფებოდა საქართველოში. მან საუცხოოდ შეისწავლა ქართული ენა, ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრება და ქართულ და იტალიურ ენებზე უნიკალური მასალები დაგვიტოვა იმდროინდელი საქართველოს შესახებ. მისი პირადი საარქივო მასალები მოწმობს, რომ მას არც ნეაპოლში დაბრუნების (1677 წ.) და არც კაპუცინთა ორდენის ნეაპოლის პროვინციის წინამძღვრად არჩევის (1686 წ.) შემდეგ გაუწყვეტია კონტაქტები ჩვენს ქვეყანაში მყოფ თავის სულიერ შვილებთან და ახლობელ-მეგობრებთან.

1896 წელს კაპუცინთა მონასტრის წიგნსაცავის უდიდესი ნაწილი – 2.649 ნაბეჭდი წიგნი (Oliviero 1986: 84) – ჯერ ტორე დელ გრეკოს მერიაში, ხოლო შემდეგ მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში გადაიტანეს. რაც შეეხება ბერნარდე ნეაპოლელის ქართულ ხელნაწერებს, ისინი, როგორც კაპუცინთა წიგნსაცავის ყველაზე ძვირფასი ნაწილი, ალკანტარელ დედათა წინამძღვრის ზედამხედველობის ქვეშ დატოვეს. მერიამ, იტალიის ეროვნული განათლების სამინისტროს 1935 წ.-ის 20 ნოემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, ეს ხელნაწერები 1936 წ.-ის 7 თებერვალს შესანახად გადასცა ნეაპოლის ეროვნულ სამეცნ ბიბლიოთეკას (დღევანდელი ნეაპოლის ეროვნული ბიბლიოთეკა), სადაც დღემდე დაცულია შიფრით „XX.122“.

ქართველმა საზოგადოებამ ტორე დელ გრეკოს ქართულ ხელნაწერთა არსებობის შესახებ 1896 წელს შეიტყო, როდესაც ცნობილმა ავსტრიელმა ქართველოლოგმა, ჰენრი შუხარდტმა (1842-1927) უურნალ „ივერიაში“ გამოაქვეყნა მის მიერ იმავე წელს გერმანულ გაზეთ „Allgemeinen Zeitung“-ის დამატებაში დასტამბული სტატიის „ტორე დელ გრეკოს ქართული ხელნაწერები“ ქართული რედაქცია. ჩვენი საზოგადოებისათვის, ასევე, ცნობილია ზემოაღნიშნულ ხელნაწერთა ჩამონათვალიც, რომელიც მოგვიანებით მიხ. თამარაშვილმა შეადგინა. სამაგიეროდ, დღემდე უცნობია ამ ხელნაწერთა როგორც ჰენრიდტამდელი, ისე – მიხ. თამარაშვილის შემდგომ შედგენილი მოკლე აღნერილობები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საკვლევ ხელნაწერებთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების გასარკვევად.

## 2. ბერნარდე ნეაპოლელის ქართული ხელნაწერები

პირველი მონაცემები ბერნარდე ნეაპოლელის თხზულებების შესახებ და-ცულია ემანუელ ნეაპოლელის მიერ XVIII ს.-ის შუა ხანებში დაწერილ და დღემ-დე გამოუქვეყნებელ ნაშრომში „ნეაპოლის პროვინციის უმცროს კაპუცინ ძმათა შესახებ ისტორიულ-ქრონიკოგიური ცნობები“, რომელიც ორდენის ნეაპოლის პროვინციის არქივში ინახება, თუმცა, სპეციალისტებმა ამ თხზულებების შესახებ პირველად კაპუცინთა ორდენის ისტორიკოსის, როკო და ჩეზინალეს წყალობით შე-იტყვეს. მის მონუმენტურ „კაპუცინთა მისის ისტორიის“ მესამე ტომში, რომე-ლიც 1873 წელს დაიბეჭდა რომში, საგანგებო ყურადღება ეთმობა ბერნარდე ნე-აპოლელს, აღნიშნულია მისი განსწავლულობა ფილოსოფიასა და ლიტერატურულებაში, ამასთან, მოთხოვნილია მისი ნაყოფიერი სამისიონერო მოღვაწეობის შე-სახებ (Rocco da Cesinale. III. 1873: 351-352).<sup>2</sup> „[მან...] ძალ-ლონე არ დაიშურა და ისე კარგად შეისწავლა სხვადასხვა ენა, რომლებზეც იმ ადგილებში ლაპარაკობდნენ, რომ ლექსიკონების გარდა, [თავად] შეადგინა ან გადაწერა სხვადასხვა ნაწარმო-ები“, – წერს როკო და განაგრძობს. – „რადგანაც ქვეყანაში ბიბლია არ იშოვებოდა, თარგმნა ვულგატა; რადგანაც რელიგიური დოქტრინა ნაკლული და მცდარი იყო, ქართულად გადაიღო წმინდა ფრანცისკ სალესელის «ფილოტეა» და ბელარმინის «კატეხიზმო», რომელიც პროპაგანდა [ფიდე]მ დაბეჭდა, დაწერა საგანგებო ტრაქ-ტატი სულინმიდის მოვლინების შესახებ. რამდენადაც ხალხი – როგორც, საზოგა-დოდ, აზიელები – მოთხოვნებს<sup>3</sup> ეტანებოდა, მისცა<sup>4</sup> მოთხოვნა, რომლის სათაურია მეფე «ბაამადან», საიდანაც მოდის ნაკლულოვანება და შეცდომები, რომლებსაც ხალხი უშვებს; მისცა მცირე პოემა «რეშანიანი»<sup>5</sup>. შემდეგ, იქვე, სქოლიოში ჩამოთ-ვლილია კაპუცინი მამის კუთვნილი თხზულებები (და არა – საარქივო ერთეულე-ბი), რომლებიც ტორე დელ გრეკოს მონასტრის დახურვამდე აქ იყო დაცული (Rocco da Cesinale. III. 1873: 352). მომაქვს მის მიერ დასახელებული ნაწარმოებების ერთიანი სია:

1. „ორი ლექსიკონის მონახაზი“;
2. „ვულგატა“: „სახარებანი, პავლენი და კათოლიკე ეპისტოლენი“;
3. წმინდა ფრანცისკ სალესელის „ფილოტეას“ ქართული თარგმანი;
4. „ბელარმინის «კატეხიზმო»“;
5. „საგანგებო ტრაქტატი სულინმიდის მოვლინების შესახებ“;
6. „მოთხოვნა, რომლის სათაურია მეფე «ბაამადან»“, „ქართული ზღაპარი ბაამანის, ევანის<sup>6</sup> დიდი მეფის შესახებ“;
7. „მცირე პოემა“ „რეშანიანი ანდა რეშანისა და მანისჯანას თავგადასავალი“.

როკო და ჩეზინალეს ცნობებს ემყარება კაპუცინი ბერის, აპოლინარე ვა-ლენსიელის ცნობარი-კატალოგის – „ნეაპოლის პროვინციის კაპუცინ ძმათა ბიბ-ლიოთევეს“ ის ნაწილი, რომელიც ბერნარდე ნეაპოლელს ეძღვნება. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის, რომ კატალოგში დასახელებულ ხელნაწერთა სიაში მი-თითებულია როკო და ჩეზინალეს თხზულება, უფრო მეტიც, ხშირად სიტყვასიტყ-ვით არის ციტირებული მისი ფრაზები. აპოლინარე ვალენსიელის სია შეიცავს არა

მხოლოდ როკო და ჩეზინალეს მიერ დასახელებულ ყველა თხზულებას, არამედ – სხვა ნაწარმოებებსაც, რომლებიც მოთავსებულია ქართულ და იტალიურ ენებზე ნაბეჭდ წიგნებსა და ხელნაწერებში. ჩამოთვლილია თერთმეტი ნაწარმოები და მოტანილია საყურადღებო ცნობები, აგრეთვე, კოდიკოლოგიური მონაცემები ამ თხზულებათა შემცველი ხელნაწერებისა და ნაბეჭდი წიგნების შესახებ. ქვემოთ შემოკლებით მომყავს აპოლინარე ვალენსიელის სის ჩემეული ქართული თარგმანი (Apollinare a Valentia in Delphinatu 1886: 59-61):

1. *Prediche Morali e panegiriche del Padre Fr. Bernardo-Maria Cioffo da Napoli, capuccino [კაპუცინი ძმის, მამა ბერნარდე-მარია ნეაპოლელის მორალური ქადაგებანი და პანეგირიკები].* ნეაპოლი, ნიკოლო ვალერიოს ტიპოგრაფია, 1706, in-4<sup>o</sup>;
2. რელაცია საქართველოს სამეფოებში მისი მოგზაურობის შესახებ;
3. ლექსიკონები;
4. ვულგატა;
5. წმინდა ფრანცისკ სალესელის „ფილოტეა“;
6. ბელარმინის „კატეხიზმო“, „რომელიც პროპაგანდამ დაბეჭდა“;<sup>6</sup>
7. საგანგებო ტრაქტატი სულიწმიდის მოვლინების შესახებ;
8. მეფე ბაამადან. „რადგანაც ხალხი – როგორც, საზოგადოდ, აზიელები – მოთხრობებს ეტანებოდა, მისცა მოთხრობა, რომლის სათაურია „მეფე ბაამადან“, ქართული ზღაპარი ევანის დიდი მეფის, ბაამანის თავგადასავლის შესახებ, საიდანაც მოდის ნაკლულოვანება და შეცდომები, რომლებსაც ხალხი უშვებს“;<sup>7</sup>
9. რეშანიანი, „ანდა რეშანისა და მანისჯანას თავგადასავალი, მცირე პოემა“;<sup>8</sup>
10. კომენტარი პლოტინისა და კარდინალ ბესარიონის შესახებ;
11. ღირსი მამის მიერ გენერალური პროკურორისათვის [მინერილი] ბარათი.

როგორც ჩანს, ჰ. შუხარდტს არ უნახავს აპოლინარე ვალენსიელის ნაშრომი. როგორც თავად აღნიშნავს, მან სწორედ როკო და ჩეზინალეს „ისტორიის“ გაცნობის შემდეგ, 1896 წ.-ის გაზაფხულზე მოიკვლია კაპუცინთა მონასტრის არქივის ხელნაწერთა კოლექცია. ქართველი საზოგადოებისათვის უცნობია ამ საკითხზე მის მიერ 1896 წელს გერმანულ ენაზე დასტამბული პირველი ნაშრომი. ამიტომ ქვემოთ სრულად მოვიყვან მის ქართულ თარგმანს:

### ტორე დელ გრეკოს ქართული ხელნაწერები

ნეაპოლი, აპრილი. კაპუცინებს, რომლებიც საქართველოში XVII ს.-ის მეორე ნახევრიდან მოღვაწეობდნენ, ცოტა როდი დაუწერიათ ქართულად და ქართველებზე. პადუელ პროფ. ზ. ტეძას [პირად ბიბლიოთეკაში] დაცულია ქართული ენის დაწვრილებითი გრამატიკა, რომელიც იტალიურ ენაზე შეუდგენია ანონიმ ახალციხელ კაპუცინს გასული, [XVIII] საუკუნის შუა ხანებში იქ [მყოფი] მისიონერებისათვის.<sup>9</sup> შარშან ზამთარში გულდასმით შევისწავლე ეს ხელნაწერი, რომელიც მან თავაზიანად მათხოვა. სურვილი გამიჩნდა, გამეღრმავებინა კვლევა ქართულ ენაზე კაპუცინთა ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ. ეს იმას ნიშნავდა, რომ

უნდა გავცნობოდი მ(ამა) როკო და ჩეზინალეს (ამჟამად კიეტის არქიეპოსკოპოსის) ნაშრომს კაპუცინთა მისის შესახებ, რაც ჩემთვის შესაძლებელი გახდა მხოლოდ ნეაპოლში ჩასვლის შემდეგ.

ნაშრომი დასრულებული არ იყო და [მასში] XVIII ს.-ის შესახებ ვერაფერი ვნახე. სამაგიეროდ, უძვირფასეს ცნობებს წავანებდი XVII ს.-ზე. აქ საუბარი იყო, უპირველეს ყოვლისა, მ(ამა) ბერნარდე ნეაპოლელის, გვარად ჩოფის შესახებ (ვერ დავადგინე საქართველოში მისი ყოფინის ზუსტი თარიღი, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი 1670 წ.-მდე უნდა ჩასულიყო). მან მრავალი ნაშრომი დატოვა ქართულ ენაზე, რომელთა სათაურები მოაქვს მ(ამა) როკოს და რომლებიც, მისი ცნობის თანახმად, დაცული იყო ტორე დელ გრეკოს კაპუცინთა მონასტერში მის დახურვამდეცხადია, ხელიდან არ გავუშვი შესაშური შემთხვევა: ფიზიკურად ასე ახლოს ვიყავი ჩემი უშუალო სამეცნიერო ინტერესების საგანთან. რამდენადაც თავიდან თავს შეუძლოდ ვგრძნობდი, ჩემს მეგობარს, პორტფიჩიში<sup>10</sup> მცხოვრებ პროფ. ბ. ძუმბინის ვთხოვე, წასულიყო მახლობელ ტორე დელ გრეკოში და ენახა ეს ხელნაწერები. მან თხოვნა შემისრულა, მაგრამ თავდაპირველად ვერაფერს მიაგნო. კაპუცინთა მონასტრის დახურვის დროს, 1866 წ.-ის კანონის თანახმად, მონასტრის ბიბლიოთეკა მერიაში გადაეტანათ. სწორედ იქ მოიკითხა ხელნაწერები ძუმბინიმ, მაგრამ ქართული ვერაფერი იპოვა, [პირიქით,] ხალხს გაუკირდა, რომ აქ [ამ ხელნაწერებს] ეძებდა. როცა ჩემს მეგობარს ვთხოვე, კიდევ ერთხელ ეცადა ბედი, მას გაახსენდა ერთი ახალგაზრდა, ვექილი პალომბა, რომელსაც ეთქვა, რომ თავის დროზე სწორედ მონასტერში ჰქონდა ნანახი აღმოსავლური დამწერლობით გადანუსხული ხელნაწერები. ყოველივე ამან უშუალოდ მიგვიყვანა ძველ მონასტრამდე, სადაც ახლა მონაზვნები ცხოვრობენ და ობოლ ბავშვებზე მზრუნველობენ. ძუმბინიმ [აქ] მართლაც აღმოაჩინა მ(ამა) ბერნარდე ნეაპოლელის ორი ხელნაწერი: სახარებათა ქართული თარგმანი და ქართულ-იტალიური ლექსიკონი. ნება დამრთეს, ისინი რამდენიმე დღით წამელო ნეაპოლის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და იქ შემესწავლა. კვლევა დასრულებული არ მქონდა, როდესაც ძუმბინიმ უკან წაიღო ხელნაწერები. თუ რატომ გახდა იძულებული, ასე მოქცეულიყო, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ. ტორე დელ გრეკოს სამთავრობო კომისარს ვთხოვე, ნება დაერთო, გამეგრძელებინა ზემოაღნიშნული ორი ხელნაწერის კვლევა, ხოლო დანარჩენი ხელნაწერებისა – ძებნა. იგი დამეთანხმა და მეორე დღეს წერილობითი ნებართვით აღჭურვილი, ახალგაზრდა ოფიცირისა და მონასტრის ორი მოსამსახურის თანხლებით [მონასტერს] მივაკითხე. შეგვიყვანეს ერთ მცირე სამლოცველოში, სადაც ერთმანეთზე უწესრიგოდ ყეარა, დაახლოებით, ათასზე მეტი წიგნი. თავაზიანი მონაზვნების დახმარებით, რომლებიც ყავითა და „ვეზუვის ცრემლებით“<sup>11</sup> გვიმასპინძლდებოდნენ, შევძელით, ორივე საათის განმავლობაში თვალი გადაგვევლო ერთად დახვავებული და მტვრით დაფარული ყველა წიგნისათვის. ვიპოვე მ(ამა) როკოს მიერ მითითებული მ(ამა) ბერნარდეს ყველა დანარჩენი ქართული ხელნაწერი და ზოგიერთი სხვაც. დარჩენილი დრო ძლივს მყოფნიდა იმისათვის, რომ შემედგინა [ტექსტების] იტალიურად ჩანერილი სათაურების სია, ქართული ტექსტების მხოლოდ თითო-ოროლა სტრიქონი [მოვიყვანე]. შეუძლებელი იყო, ხელნაწერები წამელო იმ ადამიანების უკითხავად, რომლებიც თავზე მადგნენ. ეს ხელნაწერები, რომლებიც მოწმობს მ(ამა) ბერნარდეს დაინტერესებას საქართველოთი

და დიდად სცილდება მის სამისიონერო ფუნქციებს, თავიანთი მეცნიერული შინაარსით სხვადასხვა ჯგუფად იყოფა: 1) მის მიერ თარგმნილი ან შედგენილი სალვოსმეტყველო ტექსტები; მათი ღირსება მხოლოდ ისაა, რომ ისინი მონმობს მის მიერ ენის ცოდნას; ეს ტექსტები თავად ქართველებმა უნდა შეაფასონ; 2) ლექსიკონები: ერთი – ქართულ-იტალიური და ერთიც – იტალიურ-ქართული, [სა-დაც] უმეტეს შემთხვევაში მითითებულია ზმნური ფორმები; ქართულ ენასთან მიმართებით, მათში ბევრი არაფერი იქნება ახალი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია იმისთვის, ვინც ჩემსავით ქართველოლოგიურ საკითხებს] იკვლევს. ცხადია, რომ მ(ამა) ბერნარდემ უკეთესად და უფრო ღრმად შეისწავლა ქართული ენა, ვი-დრე – პალერმოელმა თეათინმა ბერმა მაჯომ, რომელმაც მასზე რამდენიმე ათეული წლით ადრე ქართული ენის გრამატიკა გამოაქვეყნა. არ ვიცი, ეს ლექსიკონები უფრო ადრეულია, თუ – მ(ამა) ბერნარდეს ახალგაზრდა თანამედროვის, ს.-ს. ორბელიანისა; 3) უშუალოდ ქართული ლიტერატურული ნაწარმოებების ასლები, როგორც გადანუსხულის (სახარებანი და კათოლიკე ეპისტოლენი), ისე – ორიგინალურის (ერთი ლექსისა და ერთი ისტორიული ნაშრომისა, გრანიერის მეფე ბა-ამანის ვრცელი რომანისა, რესკანისა და მანიუანის პოემისა, ნოველების კრებულისა). მ(ამა) როკო ცდება, როდესაც მ(ამა) ბერნარდეს [ამ ნაწარმოებების] ავტორად აცხადებს.<sup>12</sup> განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოდან მ(ამა) ბერნარდესა და სხვა პირებისადმი (მათ შორის, პაპისადმი) მინერილი წერილები. ახლა, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, დავადგინოთ, უკვე რომელია ცნობილი საქართველოში ხელნაწერის ან ბეჭდური სახით და რომელი – არა. ეს [კრებული] იმსახურებს მთლიანად გამოქვეყნებას, დანარჩენი [ტომები] კი მნიშვნელოვანია მხოლოდ [მათში ჩართული] კრიტიკული ტექსტების დასადგენად.

აქ სიტყვასაც არ დავძრავდი ამ აღმოჩენისადმი მცირე ინტერესის შესახებ, თანაც – აგრერიგად ცერემონიული და ნაკლული ფორმით, დარწმუნებული რომ ვიყო, მე, ან სხვა ვინმე უახლოეს მომავალში გამოაქვეყნებს დეტალურ და ამომწურავ ქრისტიანობის საცეციალურ [სამეცნიერო] ორგანოში. ამაში ეჭვი არ შემეპარებოდა, ხელნაწერები იქ რომ ინახებოდეს, სადაც მათი ბუნებრივი ადგილია, ანუ ნეაპოლის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, რადგანაც ამჟამად ცენტრალური ევროპის დიდ ბიბლიოთეკებს შორის კავშირურთიერთობების გაფართოება მეცნიერებს სამუალებას აძლევს, აღარ იმოგზაურონ ხელნაწერების გასაცნობად, პირიქით, ხელნაწერები თავად აკითხავთ მათ. ტორე დელ გრეკოს ხელნაწერების შემთხვევაში კი ასე არ არის და არც იმისი იმედი გვაქვს, [რომ რამე შეიცვლება], რადგანაც ამას წინ აღუდება მუნიციპალური პატრიოტიზმი, რომელსაც იტალიისათვის ბევრ კარგთან ერთად ცუდიც მოაქვს. ამისი ზოგიერთი ნიშანი უკვე ჩანს. კერძოდ, ამჯერადაც იჩინა თავი წინდაუხედავმა პოლიტიკამ, რომელიც სამხრეთის სხვა ქვეყნებსავით იტალიის ყველა კუთხეს მოედო. ორი თანაბრად ძლიერი პარტიის დაპირისპირებამ ხელი შეუშალა ტორე დელ გრეკოს მერიის საბჭოს, ნაყოფიერად და ეფექტურად ეღვანა. თვის დასაწყისში იგი დაიშალა, გაუქმდა და მის ნაცვლად დაინიშნა კომისარ-გუბერნატორი. [ტორეში] უშუალოდ მისი მოსვლის წინ გამოიტანა ძუმბინიმ მონასტრიდან ხელნაწერები. ამ „მძიმე ვითარების“ შესახებ კომისარ-გუბერნატორმა გაზეთ „ლო სპილოს“ კვირის ნომრიდან შეიტყო. გაზეთში გადაჭარბებულად არის შეფასებული ამ ორი ხელნაწერის მნიშვნელობა: „ევროპის

ყველა მეცნიერი სიამოვნებით მოიხილავდა ტორე დელ გრეკოს ამ იშვიათი საგან-ძურის სანახავად, რომლის შესაძენად საკმარისი არ იქნებოდა ნებისმიერი ოდენობის თანხა“, – აი, სიტყვები, რომლებიც ძუმბინის ათქმევინეს. გაზვიადებულია, აგრეთვე, შეტევა ყოფილი მერის – და მისი პარტიის – წინააღმდეგ, ვინც ხელნა-წერების გატანის ნებართვა გასცა: „ეს სინიორები დღემდე ვერ დარწმუნდნენ, რომ ვერ დაასარულეს ტორე დელ გრეკოს ნგრევა?“. სტატია [თავისთავად] სასაცილო იყო, მაგრამ კომისარ-გუბერნატორს სწორედ იქმდან უნდა შეეტყო [ზემოაღნიშ-ნული ვითარების შესახებ]. აი, ასე გახმაურდა ეს ამბავი. მოგვიანებით ნებოლის ყველაზე გავრცელებულ ყოველდღიურ გაზეთ „კორიერი“ დი ნაპოლი“-ში დაისტაბა სალვადორის ([გვარად] დი ჯაკომოს, ნებაპოლის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გამგის მოადგილის) სტატია: „ორი ხელნანერი და ორი პარტია“, რომელიც მიზნად ისახავდა მეზობელ ქალაქში აღგზნებული სულების დამშვიდებას, [მაგრამ] მეეჭ-ვება, რომ რაიმე წარმატება ჰქონდა. ჩემი აზრით, შესაძლებელია, მხოლოდ სხვა გზით მივაღწიოთ იმას, რაც სამეცნიერო საჭიროებას შეესაბამება. ბუნებრივია, ვკითხოთ, რა პრეტენზია, შეიძლება, ჰქონდეს ტორე დელ გრეკოს მერიას ამ, ერთ დროს კაპუცინთა კუთვნილ და ბოლო 30 წლის განმავლობაში უყურადღებოდ მი-ტოვებულ ტომებზე მაშინ, როდესაც მათზე არაფერი სცოდნია და არც სურვილი ჰქონია, რამე სცოდნოდა. მოვიძიე 1866 წლის 7 ივლისის კანონი, რომლის ძალითაც გაუქმდა რელიგიური ინსტიტუტები. [კანონი] ის გ 24-ში [ვკითხულობთ]: „ტომები და ხელნანერები ... რომლებიც ინახება ორდენების კუთვნილ შენობებში ... კულ-ტურის მინისტრის შესაბამისი დეკრეტით, გადაეცემა შესაბამისი რაიონების სა-ჯარო ბიბლიოთეკებს ..., განათლების მინისტრთან ადრე დადებული ხელშეკრუ-ლების საფუძველზე“. არა მგონია, ტორე დელ გრეკოს [ისეთი] საჯარო ბიბლიო-თეკა ჰქონდა, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა, მასთან სხვა ბიბლიოთეკა გაერთიანებულიყო. თუ მართლა სამინისტროს 30 წლის წინანდელი დეკრეტით გადაწყდებოდა მონასტრისეული წიგნების გადაცემა, მაშინ ეს მოხდებოდა ამ წიგნების სტატუსის გათვალისწინებით.

აქ ისმის კითხვა: განა, შეიძლება, რექტორაქტიურად მივუყენოთ დეკრეტი წიგნებს, რომლებიც მხოლოდ ახლა აღმოაჩინეს და თავად ტორელებს ეს ახ-ლადაღმოჩილი რალაც ძალიან ძვირფასი განძი ჰგონიათ? განა, არ უნდა ამოქმედდეს ვადის გასვლის არგუმენტი, რომლის საფუძველზე სახელმწიფოს უფლება ექნება, ხელახლა გადაწყვიტოს [საკითხი]? შენობაზე საკუთრების უფლე-ბა მექანიკურად არ მოიცავს ამ შენობაში მოთავსებულ წიგნებზე საკუთრების უფლებასაც: [ეს] ორი [რეალობა] ერთმანეთისგან კანონითაა გამიჯნული. ეს მოსაზრებანი სხვადასხვა ადგილას უკვე გამოვხატე და სინიორ დი ჯაკომომ ამის შესახებ აღნიშნა „კორიერში“ გამოქვეყნებულ მეორე სტატიაში. არ ვიცი, რაიმე შედეგი ექნება თუ არა მათ.

ანდა იქნებ, ქართული ხელნანერები ტყეში „მიძინებული მზეთუნახავის“ ძილიდან ტორე დელ გრეკოში მხოლოდ ტურიზმის განსავითარებლად გამო-ვაფხიზლეთ (Schuchardt 1896: 5-6).

როგორც ცნობილია, იმავე წლის 2 აპრილს ჰ. შუხარდტმა უურნალ „ივერი-აში“ გამოაქვეყნა სპეციალური წერილი, სადაც ქართველ საზოგადოებას აცნობა

თავისი აღმოჩენის შესახებ (შუხარდტი 1896: 2-3) და ამ წერილის მისეულ გერმანულ პუბლიკაციასთან შედარებით, უფრო სრულად წარმოადგინა მიკვლეულ ხელნაწერთა ნუსხა. სტატიის ზემოაღნიშნული ქართული რედაქცია 2009 წელს ხელახლა გამოაქვეყნა პროფ. ვალერი სილოგავამ (უამთააღმწერელი 2009: 6-7), ქვემოთ მოვიტან ჰ. შუხარდტის პუბლიკაციაში ჩამოთვლილი ნაწარმოებების ერთიან სიას:

1. „ქართულ-იტალიური“ ლექსიკონი;
2. „იტალიურ-ქართული“ ლექსიკონი;
3. „თეოლოგიური თხზულებები, დაწერილი ანუ თარგმნილი თვით მამა ბერნანდო დე ნაპოლისა“;
4. „თარგმანი“ [სახარებათა];<sup>13</sup>
5. „მოციქულთა ეპისტოლები“;
6. „ქართველ დიდებულთა მიწერ-მოწერა“;
7. სულხან-საბა ორბელიანის (?) „მოთხოვბები“;
8. „ერთი პოემის ნაწყვეტი“;
9. „ისტორიული წიგნის ნაწყვეტი, რომელიც ეხება 1250 წ. (?)“;
10. „პოემა რეიანიანი“;
11. „რომანი (ძალიან გრძელი) მეფის ბაამანისა, ერანის დიდი მეფისა“<sup>14</sup> (შუხარდტი 1896: 2-3).

როგორც ვხედავთ, მეცნიერი კონკრეტულად 11 თხზულებას (და არა – საარქივო ერთეულს) ასახელებს, მაგრამ სტატიის შესავალში აღნიშნავს, კაპუცინთა მონასტერში ბერნარდე ნეაპოლელის 14 ხელნაწერს მივაკვლიერ. აქედან ჩანს, რომ მის მიერ მოხსენიებული „თეოლოგიური თხზულებები“ ოთხი ნაწარმოები უნდა ყოფილიყო.

იმავე – 1896 წელს ტორე დელ გრეკოს მერიამ ოფიციალურად დაავალა ტორელ ისტორიკოსს, ფრანჩესკო კასტალდის, წესრიგში მოეყვანა კაპუცინთა მონასტერის ბიბლიოთეკა და ჩაეტარებინა მისი ინვენტარიზაცია. 1897 წ.-ის 27 მაისს მან მერიის ადმინისტრაციას წარუდგინა რელაცია, სადაც აღრიცხული იყო 2.649 ტომი, გარდა 40 რვეულში თავმოყრილი აუკინძავი თხზულებებისა და ხელნაწერებისა. კასტალდისეული ჩამონათვალი არ შეიცავდა, ასევე, ნეაპოლის ჯოვანი პონტანოს (1429-1503) სახელობის აკადემიის მიერ საჩუქრად გადმოცემულ 30 რვეულში თავმოყრილ თხზულებებსა და ლექსებს, განსაკუთრებით კი – „რამდენიმე ხელნაწერს ქართულ ენაზე, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვნად ითვლება და რომლებიც სახელგანთქმულმა უცხოელმა პროფესორებმა შეისწავლეს“ (Oliviero 1986: 84). „სახელგანთქმულ უცხოელ პროფესორებმი“, ჩემი აზრით, უდავოდ იგულისხმება ჰ. შუხარდტი, რომელმაც ცოტა ხნით ადრე მოინახულა მონასტერი. მოგვიანებით, მერიის გადაწყვეტილებით, კასტალდის დაევალა, მონასტრის ბიბლიოთეკა ტორე დელ გრეკოს მერიის შენობაში გადაეტანა. დღეს სწორედ ამ გადაწყვეტილების საფუძველზეა დაცული ტორეს საქალაქო ბიბლიოთეკაში, ე. წ. მაკრინას ვილაში, ხარების ეკლესიის მონასტრისეული ორი ათასზე მეტი ნაბეჭდი წიგნი. აღსანიშნავია, რომ ეს გადაწყვეტილება არ შეხებია ქართულ ხელნაწერებს. ამას ადასტურებს წმინდა სამების სახელობის თავშესაფრის სამეფო კომისარი,

რომელიც თავის 1927 წ.-ის 23 მაისის წერილში მიუთითებს: „საქალაქო ბიბლიოთეკის სისტემატიზაციის მიზნით, გთხოვთ, გადასცეთ სინ. კასტალდის ყველა ნიგნი, რომელიც უპატრონო ბავშვთა თავშესაფარშია დაცული, ქართული ხელნაწერების გარდა, რომლებიც უშუალოდ დედა წინამძღვართან ინახება“ (Oliviero 1986: 84-85).

ჸ. შუხარდტის წერილის შესახებ უმაღვე შეიტყო მიხ. თამარაშვილმა, რომელმაც თავისი 1897 წ.-ის 14 ივნისის ბარათით სთხოვა ტორე დელ გრეკოს მერიას, მისთვის დაეთმოთ ერთი ქართული ხელნაწერი. 22 ივნისით დათარიღებული წერილით ქალაქის მერის სახელით, დომენიკო ტორეზემ მას უპასუხა:

ლირსო მამაო, სამწუხაროდ, ვერ დაგითმობთ ქართულ ხელნაწერს, რომელიც ამა თვის 14 რიცხვში მთხოვეთ, იმის გამო, რომ მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში დაცული წიგნები საერთო-სახალხო საკუთრებაა და აკრძალულია მათი ნებისმიერი ფორმით გასხვისება.<sup>15</sup>

მართალია, წერილში მითითებული არ არის, თუ რომელი ხელნაწერი აინტერესებდა მიხ. თამარაშვილს, მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს უნდა ყოფილიყო ნეაპოლის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დღეს XX.122.5 შიფრით დაცული ხელნაწერი. ამაზე მიგვანიშნებს ერთ-ერთ დოკუმენტში მისივე ავტოგრაფული შენიშვნა.<sup>16</sup> კერძოდ, მის მიერ ქართულად შედგენილ საკვლევ ხელნაწერთა სიაში, ამ ხელნაწერის მითითების შემდეგ ფრჩხილებში მიწერილია შენიშვნა: „ეს შეიცვამს სხვა და სხვა წერილებსა თუ პ. ბერნარდესი და თავის განდი შვილებისა<sup>17</sup> და სხვებისა. ეს ვსთხოვ და უნდა გამომიგზავნონ შემდგომი მუნიციპალის გარდაწყვეტილობისა“. მიხ. თამარაშვილსა და დომენიკო ტორეზეს შორის მიმოწერა გვარწმუნებს, რომ სია შედგენილი უნდა იყოს 1897 წ.-ის 14 ივნისის შემდგომ და მანამ, ვიდრე მიხ. თამარაშვილი მერიის 22 ივნისით დათარიღებულ პასუხს მიიღებდა.

თბილისში, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში მიხ. თამარაშვილის პირად არქივში დაცული № 105 (ex № 1125; H-1601b,g) დოკუმენტი შეიცავს საკვლევ ხელნაწერთა ორ სიას, რომლებსაც ადგილის სიმცირის გამო აქ ვერ მოვიყვან, იმას კი აღვნიშნავ, რომ მათ საფუძველზე შედგენილი საკვლევ ხელნაწერთა მიხ. თამარაშვილისეული ცნობილი ჩამონათვალი, რომელიც 1902 წელს გამოქვეყნდა (თამარაშვილი 1902: 682-683). მისი შედარება ადრე შედგენილ სიებთან, მარნეულებს, რომ, როგორც ჩანს, მიხ. თამარაშვილს აღარ უნახავს სხვა მეცნიერთა მიერ მიკვლეული შემდეგი თხზულებები:

1. მორალური ქადაგებანი და პანეგირიკები (აპოლინარე ვალენსიელი, № 1);
2. რელაცია საქართველოში მოგზაურობის შესახებ (აპოლინარე ვალენსიელი, № 2);
3. კომენტარი პლოტინისა და კარდინალ ბესარიონის შესახებ (აპოლინარე ვალენსიელი, № 10);
4. ლირი მამის მიერ გენერალური პროკურორისათვის [მიწერილი] ბარათი (აპოლინარე ვალენსიელი, № 11);
5. ერთი პოემის ნაწყვეტი (შუხარდტი, № 8).

ქვემოთ საგანგებოდ შევჩერდები საკვლევ მასალათა დღემდე აბსოლუტურად შეუსწავლელ სამ ჩამონათვალზე.

პირველი ჩამონათვალი უცნობმა იტალიელმა არქივარიუსებმა შეადგინეს. მისი პირი ინახება თბილისში, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ალექსანდრე ცაგარლის პირად ფონდში, რომელიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურმა ისტორიული არქივმა (ლენინგრადი) 1959 წ.-ის 27 იანვარს გადასცა. ირკვევა, რომ მეცნიერს თვითონ უნახავს საკვლევი ხელნაწერები. ამას მოწმობს მისი სავიზიტო ბარათი, რომელიც დაცულია ნეაპოლის ეროვნული ბიბლიოთეკის XX.122.6 ხელნაწერის შემცველ პაკეტში. რაც შეეხება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ალ. ცაგარლის პირად ფონდს, № 8 პაკეტში (ყოფ. ხელ. A-1894) მოთავსებულია სამი ორფურცელი: პირველი შეიცავს ალ. ცაგარლის ჩანაწერებს Vat. ib. 1 ხელნაწერის შესახებ,<sup>18</sup> რომელსაც მეცნიერი X ს.-ით ათარილებს და საიდანაც ზოგიერთი მინაწერი მოჰყავს, მეორე და მესამე ორფურცელები კი ბერნარდე ნეაპოლელის ხელნაწერებს შეეხება.

პაკეტში პაგინაცია მხოლოდ ნაწერ ფურცლებს აქვს, ცარიელი ფურცლები – ანუ პირველი ორფურცლის მეორე ფურცელი და მესამე ორფურცლის მეორე ფურცელი – ნუმერაციის გარეშეა. 1 ფ.-ის ზედა პირსა და ზურგზე მოთავსებულია ცნობები Vat. ib. 1 ხელნაწერის შესახებ, 2 ფ.-ის ზედა პირზე ინყება ბერნარდე ნეაპოლელის ხელნაწერთა სია, რომელიც მთავრდება 3 ფ.-ის ზურგზე. 4 ფ.-ის ზედა პირზე ინყება არქივარიუსის შენიშვნა, რომელსაც მოსდევს ალ. ცაგარლის მიერ გადმოწერილი ქართული ტექსტი, სადაც ჩართულია რუსული სიტყვები.

როგორც ჩანს, საკვლევი სია შედგენილია ორი სხვადასხვა პირის მიერ, რომელთაც ემატება მესამე ხელი, რომლითაც 2 ფ.-ის ზურგის აშიაზე გამოყვანილია მინაწერი, ხოლო 4 ფ.-ის ზედა პირზე – შენიშვნა. პირველი, ანუ ძირითადი ხელი XIX ს.-ის მეორე ნახევრის საკმაოდ ტიპური საკანცელარიო ხელია, რომელსაც ახასიათებს ასოთა ბუნის მარჯვნივ ძლიერი გადახრა. ამ ხელითაა გადაწერილი უკვე არსებული სიიდან ტექსტი, ზოგიერთი თხზულების სათაურის ჩასაწერად კი დატოვებულია ცარიელი ადგილები, რადგანაც ეს სათაურები დედნისეულ სიაში, შესაძლოა, ქართულად ყოფილიყო დაწერილი. ასეთი ვარაუდის საფუძველს მაძლევს ის, რომ მე-7 დასახელებაში, სიტყვა „სამოციქულოს“ შემდეგ პირველი ხელით ფრჩხილებში მოთავსებული და ხაზგასმულია შენიშვნა: „scritto in georgiano“, ანუ „ქართულად წერია“. როგორც ჩანს, პირველ არქივარიუსს ცარიელი ადგილები სათაურების ქართულად ჩასაწერად დაუტოვებია, მაგრამ რადგანაც ვერ მოუნახავთ მათი დამწერი, მეორე არქივარიუსს, რომელსაც ასოთა ბუნი საწერი ხაზის მიმართ პერპენდიკულარულად გამოჰყავს, ცარიელი ადგილები თხზულებათა სათაურებით შეუვსია, თუმცა, ეს აქა-იქ გასჭირებია, რადგანაც დატოვებული ცარიელი ადგილები ზოგიერთი დასახელებისათვის საკმარისი არ აღმოჩენილა.

ყოველივე ეს მაფიქრებინებს, რომ სიის შედგენის დროს ერთმანეთს შენაცვლებია ეს ორი ხელი, მიუხედავად იმისა, რომ სამივე ხელს ერთი და იმავე – მელანთევეზისფერი მელნით უწერია. სიაში მოტანილი მრავალი მონაცემი პირდაპირ აღებულია თვით ხელნაწერთა მინაწერებიდან. ერთგან, მე-5 დასახელებაში

აშკარად ჩანს, რომ პირველ არქივარიუსს აშკარად ვერ ამოუკითხავს XX.122.5 ხელნაწერის მინაწერი (რომელიც, როგორც დავრწმუნდი, ძალიან გაკრული ხელითაა მიწერილი და ძნელად იკითხება); თუმცა, თავადვე უგრძნია, რომ ზოგიერთი პასაუიდან შეუძლებელი იყო აზრის გამოტანა და თავისივე შენიშვნის შემდეგ მიუწერია: „ზუსტად ასე წერია“.

ქვემოთ მომყავს ალ. ცაგარლის ფონდში დაცული უცნობი იტალიელი არქივარიუსების ჩამონათვალის ჩემეული ქართული თარგმანი:

**[2r]** ტორე დელ გრეკოს კაპუცინთა ბიბლიოთეკიდან შემოსულ წიგნებში  
მიგნებული ქართული დოკუმენტები

1. 1671 წ.-ს რომში დაბეჭდილი „კატეხიზმოს“ სამი ეგზემპლარი;

2. ხელნაწერი – ქართული მოთხოვნები, რომლებიც დიდად არ განსხვავდება ნეაპოლური ხოველების ან მოთხოვნებისაგან.<sup>19</sup> ზღაპრის დანარჩენი ნაწილი აკლდა დედანს, რომელიც მხოლოდ ერთ კვინტერნიონში<sup>20</sup> იყო [მოთავსებული] და [თავად] ზღაპარი, როგორც ჩანს, ძალიან გრძელი უნდა ყოფილიყო –.<sup>21</sup> // იგივე ხელნაწერი შეიცავს ქართული ზღაპრისა თუ პოემის ნაწილს, რომელიც ვიპოვე დიდი სპარსული ქაღალდის in foglio ერთადერთ კვინტერნიონში, განაფული ხელით კალიგრაფიულ სტილში გადაწერილი, მაგრამ თავისა და ბოლოს გარეშე;<sup>22</sup>

3. სომხური წიგნი – როგორც ჩანს, 1666 წ.-ის „კატეხიზმო“;

4. ხელნაწერი – იტალიურ-ქართული ლექსიკონი;

5. ხელნაწერი – სამ ჯვეუფად დალაგებული ბარათები ქართულ ენაზე:

- პირველი, სხვადასხვა [პირის მიერ] სხვადასხვა [პირისა]დმი [მინერილი]:<sup>23</sup> სხვადასხვა [პირის მიერ] სხვადასხვა [პირისა]დმი მინერილი ბარათები – ალექსი გიორგიანანის [მიერ] რომის პაპისადმი მინერილი წერილი, რომელიც მე გამომიგზავნა დასაზუსტებლად,<sup>24</sup> მაგრამ ვერ დავაზუსტე,<sup>25</sup> რა რამდენადაც<sup>26</sup> სიყვარული<sup>27</sup> უკვე ვიყავი:<sup>28</sup> მე, თუმცა განვიყრნე, ბოლომდე ვერ გამოვჯანმრთელდი, როგორც ბარათის გვ(ე)რდიდან<sup>29</sup> ჩანს, ამიტომ მას მივწერე, რომ წერილს ვერ წარვადგენდი (ზუსტად ასე წერია),<sup>30</sup>

- მეორე, სხვადასხვა [პირის მიერ] მინერილი ავტორისადმი, რომელმაც ისინი ერთად შეკრიბა,

- მესამე, კაპუცინი მქადაგებლისა და სამოციქულო მისიონერის, მამა ბერნარდე ნეაპოლელის მიერ დაწერილი და მის მიერ სხვადასხვა [პირისა]დმი] გაგზავნილი, მის მიერვე შეკრებილი და ყველა აქ ერთად თავმოყრილი;

**[2v]**

6. ხელნაწერი – ღვთის ნებაში ვარჯიშობა ქართულ ენაზე;

7. ხელნაწერი – წმ(ინდა) პავლესა და სხვა მოციქულთა ეპისტოლენი: კანონიკურნი, დაწერილი ჩემი ხელით, ჩემ მიერ კაპუცინი, სამოციქულო მისიონერის, მამა ბერნარდე მ(არი)ა ნეაპოლელის მიერ. გამოკრებილი ქართული ეკლესიის ლექციონარიდან, რომელსაც სამოციქულოს ([ანუ] მსოფლიოს) (ქართულად წერია) უწოდებენ, გადაწერილი ხუცური დამწერლობიდან სახალხო ქართული ენის დამწერლობით;<sup>31</sup>

8. ხელნაწერი – საღვთისმეტყველო ტრაქტატი ქართულად, რომელსაც მოსდევს თარგმანი იტალიურ ენაზე და სათაურად აქვს: „თარგმანი ზემოაღნიშნული პოლემიკისა სულინმიდის მამიდან და ძიდან მოვლინების შესახებ“<sup>32</sup> ქართულ ენაზე კაპუცინი მქადაგებლისა და საქართველოში ნამყოფი სამოციქულო მისიონერის, მამა ბერნარდე მ(არია) ნეაპოლელისა და მის მიერვე იტალიურად სიტყვასიტყვით თარგმნილი;<sup>33</sup>

9. ხელნაწერი – ა) ექვსი გვერდი ქართული პოემისა, რომლის ბოლოს არის სიტყვები: „ეს ზემოთ და ქვემოთ ნაწერი არის სახელგანთქმული მცირე პოემა, სახელად «რესკანიანი». რეშანისა და მანისჯანას თავგადასავალი“,<sup>34</sup>

ბ) რომანი „ბაამა ერანის დიდი მეფე“: გადაწერილი ჩემი, მ(ამა) ბერნარდე მ(არია) ნეაპოლელის, კაპუცინი მქადაგებლისა და საქართველოში სამოციქულო მისიონერის<sup>35</sup> მიერ წიგნიდან, რომელიც მომცა გიორგი ბაგრატის ძემ,<sup>36</sup> ამჟამად ქართლის მთავარმა, მთავარ შა[ჰ]ნავა[ზ]ის ძემ,

გ) რამდენიმე გვერდი, რომლის ბოლოს წერია: [3r] „ის, რაც მოსდევს, არის საქართველოს ისტორიის წიგნი უფლის [შობის] შემდეგ (როგორც ჩანს) 1250 წლის შესახებ და დაწერილი ხუცურ ენაზე,<sup>37</sup> მაგრამ ჩემ – მამა ბერნარდე მარია ნეაპოლელის, კაპუცინი მქადაგებლისა და საქართველო[ში] სამოციქულო მისიონერის მიერ გადაწერილი ხალხური ენის ასოებით, რომელსაც ჰქვია კენედრული [sic!]“,<sup>38</sup>

დ) ისტორიის [რამდენიმე] გვერდი ერთი ძველი ქართული წიგნიდან, რომელსაც არც თავი ჰქონდა და არც – ბოლო;

10. ქართული ანბანის ორი ცალკე ფურცელი – ერთი ხუცური დამწერლობისა, მეორე ვულგატა;

11. კარდინალ ბელარმინის „დიდი კატეხიზმო“, ქართულად თარგმნილი და შევსებული მ(ამა) ფრანცისკ პიედემონტელის მიერ ... [sic!] თავამდე და დანარჩენი მ(ამა) ბერნარდე ნეაპოლელის და ა. შ.<sup>39</sup> მიერ თარგმნილი;

12. ბუნდოვანი სათაურიანი წიგნაკი – როგორც ჩანს, ქრისტიანული ყოველდღიური მედიტაციები უნდა იყოს;

13. წმინდა ფრანცისკ სალესელის „ფილოტეა“, თარგმნილი მამა ბერნარდე მარია ნეაპოლელის მიერ, როგორც ჩანს, საქართველოდან მისი დაბრუნების შემდეგ;

14. ხელნაწერი – კაპუცინისა და სამოციქულო მისიონერის, მამა ბერნარდე მარია ნეაპოლელის ქართულ-იტალიური ლექსიკონის მონახაზი;<sup>40</sup> – [3v]

15. „სახარება-ოთხთავის“ ქართული ტექსტის ასლი – ჩემი, მამა ბერნარდე მ(არია) ნეაპოლელის, კაპუცინი სამოციქულო მის(იონერის) ხელით დაწერილი ქართული თარგმანი.<sup>41</sup>

[4r] გადმოწერილია ერთი ძველი წიგნიდან, რომელსაც არც თავი ჰქონდა და არც – ბოლო, თუმცა, როგორც ფურცელების რაოდენობის შესახებ ზემოაღნიშნული წიგნის სატიტულო ფურცელზე მოთავსებული შენიშვნიდან ჩანს, შვიდ ფურცელზე მეტი არ უნდა ჰქლებოდა: სიმაღლეში მეოთხედი ზომის, ამ [ფურცელზე] უფრო დიდი, მაგრამ უფრო თხელფურცლიანი ყდიანი წიგნი იყო, პირველი შვიდი ფურცლის ზედა ნაწილი დამწვარი იყო და ამის გამო იძულებული გავხდი,

მეც გამომეტოვებინა ის სიტყვები, რომლებიც ზემოაღნიშნულ წიგნში ცეცხლმა შთანთქა (ზუსტად ასე წერია).

როგორც ვხედავთ, მიხ. თამარაშვილის სიისგან განსხვავებით, „ცაგარლის“ სიაში მითითებულია არა მხოლოდ ქართული ხელნაწერები, არამედ – სხვა ენებზე დაწერილი თხზულებებიც, რომლებსაც შეიცავს როგორც ხელნაწერები, ასევე – ნაბეჭდი წიგნები. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სიაში წარმოდგენილია მიხ. თამარაშვილის მიერ დაფიქსირებული უკლებლივ ყველა თხზულება. თუ ერთსა და იმავე თხზულებად მივიჩნევთ მიხ. თამარაშვილისეულ „პატარა სასულიერო წიგნს განზრახვისა“ (თამარაშვილი, № 9) და „ცაგარლისეული“ სიის „ბუნდოვან სათაურიან წიგნაკას“ („ცაგარელი“, № 12). ეს კი უთუოდ ასე უნდა იყოს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ XX.122.12 ხელნაწერი ქართულ ენაზე შესრულებული „კატეხიზმოა“. ამას გარდა, საყურადღებოა ისიც, რომ, მიხ. თამარაშვილის შენიშვნის თანახმად, „რომანკი ან ქართული ზღაპარი <ძაამა>“ (თამარაშვილი, № 1) და „ქართლის ცხოვრება“ (თამარაშვილი, № 2) ერთ წიგნად იყო შეკრული, ხოლო „ცაგარლისეულ“ ჩამონათვალში მეცხრე ნომრად მითითებულია „რესკანიანი“ (= თამარაშვილი, № 13), „ბაამა ერანის დიდი მეფე“ (= თამარაშვილი, № 1), „საქართველოს ისტორიის წიგნი“ (= თამარაშვილი, № 2) და „ისტორიის“ რამდენიმე გვერდი (რომელსაც მიხ. თამარაშვილი არ იცნობს), რაც უეჭველად იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ეს ოთხი ნაწარმოები ერთ წიგნში იყო მოთავსებული. თუ დავუშვებთ, რომ ეს ასეა, მაშინ გასარკვევია ორი რამ: პირველი, რატომ ვერ შენიშნა მიხ. თამარაშვილმა წიგნში „ქართლის ცხოვრების“ შემდეგ შეტანილი განსხვავებული ისტორიული ხასიათის ტექსტი, და, მეორე, რატომ არ მიუთითა, რომ „რესკანიანი“ „ბაამასა“ და „ქართლის ცხოვრებასთან“ ერთად იყო შეკრული და რატომ დაასახელა იგი ცალკე ერთეულად თავისი ჩამონათვლის ბოლოს, „ქართულ ზღაპრების“ შემდეგ. მართალია, ამ „ზღაპრებთან“ ერთად კოდექსში მოთავსებულია ქართული პოემის ფრაგმენტი („ცაგარელი“, № 2), რომელიც რვა ფურცელს შეიცავს, მაგრამ შეუძლებელია, იგი აღრეულიყო პოემა „რესკანიანის“ ფრაგმენტში, რომელიც მიხ. თამარაშვილის ცნობით, ხუთ გვერდს შეიცავდა. რაც შეეხება 4 ფ.-ის ზურგზე მიწერილ შენიშვნას იტალიურ ენაზე, ამჯერად მხოლოდ იმის აღნიშვნით შემოვიფარგლები, რომ იგი „ცაგარლის“ სიის № 9-დ ერთეულს მიემართება.

დაბოლოს, შესაძლოა, „ერთი პოემის ნაწყვეტი“ (შუხარდტი, № 8), რომელიც არ არის დაფიქსირებული მიხ. თამარაშვილის ჩამონათვალში, იყოს სწორედ „ქართულ მოთხოვნებთან“ („ცაგარელი“, № 2) ერთად მოთავსებული „ქართული ზღაპრისა თუ პოემის ნაწილი“. ამ შემთხვევაში დაკარგულ საარქივო ერთეულთა რაოდენობა ქვემოთ ჩამოთვლილ ოთხ ერთეულამდე შემცირდება:

1. მორალური ქადაგებანი და პანეგირიკები (აპოლინარე ვალენსიელი, № 1);
2. რელაცია საქართველოში მოგზაურობის შესახებ (აპოლინარე ვალენსიელი, № 2);
3. კომენტარი პლოტინისა და კარდინალ ბესარიონის შესახებ (აპოლინარე ვალენსიელი, № 10);
4. ღირსი მამის მიერ გენერალური პროკურორისათვის [მიწერილ] ბარათი (აპოლინარე ვალენსიელი, № 11).

ტორე დელ გრეკოს ხელნაწერთა მეორე ჩამონათვალი 1912 წელს შეუდგენია გაეტის ეპარქიის მდვედელს, ვინჩენცო დი დონას, რომელიც 15 საარქივო ერთეულს ასახელებს (Di Donna 1912: 318-320) და იქვე, სქოლიოში აღნიშნავს: „მთლიანად ჩვიდმეტი ტორმია და წერილების თარიღის მიხედვით, შესაძლებელია, ვივარაუდოთ, რომ ეს მამა ბერნარდე საქართველოში იმყოფებოდა XVII ს.-ის მეორე ნახევარში, შემდეგ დაბრუნდა ტორეს მონასტერში, რომლის ბიბლიოთეკასაც დარჩა მისი ხელნაწერები. ჩამონათვალი, რომელიც აქ წარმოვადგინეთ, ამოღებულია სიიდან, რომელიც ჩვენმა მერიამ მონასტერში მცხოვრებ დედა წინამძღვარს წიგნების ჩაბარებისას გადასცა“ (Di Donna 1912: 320, სქ. 1). ქვემოთ მომყავს ვ. დი დონა-სეული ჩამონათვლის ჩემეული ქართული თარგმანი:

კაპუცინთა ბიბლიოთეკაში დაცული ქართული წიგნების სია

1. 1671 წ.-ს რომში დაბეჭდილი ბელარმინის „კატეხიზმოს“ სამი ეგზემპლარი;

2. ხელნაწერი – ქართული მოთხრობები, რომლებიც დიდად არ განსხვავდება ნეაპოლური ნოველების ან მოთხრობებისაგან;<sup>42</sup>

ამავე ტომშია: ქართული ზღაპრისა თუ პოემის ნაწილი, რომელიც ვიპოვე დიდი სპარსული ქაღალდის in foglio ერთადერთ კვინტერნიონში, განაფული ხელით კალიგრაფიულ სტილში გადაწერილი, მაგრამ თავისა და ბოლოს გარეშე;<sup>43</sup>

3. სომხურად ნაბეჭდი წიგნი – როგორც ჩანს, „კატეხიზმოა“, რომელსაც აქვს თარიღად 1666 წელი;

4. ხელნაწერი – იტალიურ-ქართული ლექსიკონი;

5. ხელნაწერი – სამ ჯგუფად დალაგებული ბარათები ქართულ ენაზე:

- პირველი, სხვადასხვა [პირის მიერ] სხვადასხვა [პირისა]დმი [მიწერილი],<sup>44</sup>
- მეორე, სხვადასხვა [პირის მიერ] მიწერილი ავტორისადმი, რომელმაც ისინი ერთად შეკრიბა,
- მესამე, კაპუცინი მქადაგებლისა და სამოციქულო მისიონერის, მამა ბერნარდე ნეაპოლელის მიერ დაწერილი და მის მიერ სხვადასხვა [პირისა]დმი გაგზავნილი, მის მიერვე შეკრებილი და ყველა აქ ერთად თავმოყრილი;

6. ხელნაწერი – ღვთის ნებაში ვარჯიშობა ქართულ ენაზე;

7. ხელნაწერი – მმ. პავლესა და სხვა მოციქულთა ეპისტოლენი. კანონიკური, დაწერილი ჩემი ხელით, ჩემ მიერ კაპუცინი სამოციქულო მისიონერი მამის ბერნარდე მარია ნეაპოლელის მიერ. გამოკრებილი ქართული ეკლესიის ლექციონარიდან, რომელსაც „სამოციქოლო“ [sic!] ეწოდება, გადაწერილი ხუცური დამწერლობიდან სახალხო ქართული ენის დამწერლობით;<sup>45</sup>

8. ხელნაწერი – საღვთისმეტყველო ტრაქტატი ქართულად, რომელსაც მოსდევს თარგმანი იტალიურ ენაზე და სათაურად აქვს: „თარგმანი ზემოაღნიშნული პოლემიკისა სულიწმიდის მამიდან და ძიდან მოვლინების შესახებ ქართულ ენაზე კაპუცინი მქადაგებლისა და საქართველოში ნამყოფი სამოციქულო მისიონერ მ(ამა) ბერნარდე მ(არია) ნეაპოლელისა და მის მიერვე იტალიურად სიტყვა-სიტყვით თარგმნილი“;<sup>46</sup>

9. ხელნაწერი – ა) ექვსი გვერდი ქართული პოემისა, რომლის ბოლოს არის სიტყვები: „ეს ზემოთ და ქვემოთ ნაწერი არის სახელგანთქმული მცირე პოემა,

სახელად «რესკარიანი»<sup>47</sup>. რეშანისა და მანისჯანას თავგადასავალი, ბ) რომანი „ბაამა“ – ქართული ზღაპარი ბაამას თავგადასავალზე, ერანის დიდი მეფისა – გადაწერილი ჩემ, მ(ამა) ბერნარდე მ(არი)ა ნეაპოლელის მიერ წიგნიდან, რომელიც მომცა გიორგი ბაგრატის [sic!] ძემ,<sup>48</sup> ამჟამად ქართლის მთავარმა, მთავარ შა[ჰ]-ნავა[ზ]ის ძემ, გ) რამდენიმე გვერდი, რომლის ბოლოს წერია: „ის, რაც მოსდევს, არის საქართველოს ისტორიის წიგნი უფლის [შობის] შემდეგ (როგორც ჩანს) 1250 წლის შესახებ და დაწერილი ხუცურ ენაზე, მაგრამ ჩემ – მ(ამა) ბერნარდე მ(არი)ა ნეაპოლელის და ა. შ.<sup>49</sup> მიერ გადაწერილი ხალხური ენის ასოებით, რომელსაც ჰქვია „კენედრული“, დ) ისტორიის [რამდენიმე] გვერდი ერთი ძველი ქართული წიგნიდან, რომელსაც არც თავი ჰქონდა და არც – ბოლო;

10. ქართული ანბანის ორი ცალკე ფურცელი. ერთი ხუცური დამწერლობისა, მეორე ვულგატა;

11. კარდინალ ბელარმინის „დიდი კატეხიზმო“, ქართულად თარგმნილი და შევსებული მამა ფრანცისკ პიედემონტელის მიერ ... [sic!] თავამდე და დანარჩენი მ(ამა) ბერნარდე ნეაპოლელის და ა. შ.<sup>50</sup> მიერ თარგმნილი;

12. ბუნდოვანი სათაურიანი წიგნაკი. როგორც ჩანს, ქრისტიანული მედიტაციები უნდა იყოს;

13. ნბ(ინდა) ფრანცის სალესელის „ფილოტეა“, თარგმნილი მ(ამა) ბერნარდე მ(არი)ა ნეაპოლელის მიერ, როგორც ჩანს, საქართველოდან მისი დაბრუნების შემდეგ;

14. ხელნაწერი – მ(ამა) ბერნარდე მ(არი)ა ნეაპოლელის ქართულ-იტალიური ლექსიკონის მონახაზი;

15. სახარება-ოთხთავის „ქართული ტექსტის“ ასლი – ჩემი, მ(ამა) ბერნარდე მ(არი)ა ნეაპოლელის ხელით დაწერილი ქართული თარგმანი.<sup>51</sup>

ვ. დი დონას სია პირდაპირ ემთხვევა „ცაგარლისეულ“ სიას, მაგრამ, როგორც ჩანს, ტორე დელ გრეკოს მერიის მიერ ალკანტარელთა წინამძღვრისთვის გადაცემული ჩამონათვალი, რომლითაც გაეტელი მღვდელი უშუალოდ სარებლობდა, განსხვავდებოდა „ცაგარლისეული“ ნუსხისაგან, თუმცა, შესაძლებელია, ეს ორი ჩამონათვალი ერთ საერთო ანტიგრაფს ეყრდნობოდეს. ამაში მარწმუნებს ის ფაქტი, რომ დი დონას სია არ იცნობს „ცაგარლისეულ“ ჩამონათვალში პირველი არქივარიუსის მიერ 3 ფ.-ის ზურგზე მინერილ ორ შენიშვნას, რომლებიც, ჩემი აზრით, არ უნდა ყოფილიყო ანტიგრაფში და, ალბათ, თავად არქივარიუსის მიერ არის ჩამატებული.

ბერნარდე ნეაპოლისეული ხელნაწერების შემდეგი, მესამე სია შედგენილია ამ ხელნაწერების ნეაპოლის ბიბლიოთეკისთვის გადაცემასთან დაკავშირებით.

როგორც აღინიშნა, XIX ს.-ის მიწურულს, წმინდა სამების სახელობის უპატ-რონო ბავშვთა თავშესაფარში დაცული მასალები ტორე დელ გრეკოს მუნიციპალურ ბიბლიოთეკას გადაეცა, გარდა ქართული ხელნაწერებისა, რომლებიც, როგორც უკვე ითქვა, დედა წინამძღვრის ზედამხედველობის ქვეშ დარჩა 1936 წ.-მდე, როდესაც ისინი ნეაპოლის ეროვნულ სამეფო ბიბლიოთეკაში გადაიტანეს, როგორც გუერიერა გუერიერი მიუთითებს: „გაცილებით მოგვიანებით შემოვიდა [ბიბლიოთეკაში] ქართული ხელნაწერები, რომლებიც ტორე დელ გრეკოს წმინდა სამებამ მას შესანახად მიაბარა სამინისტროს 1935 წ.-ის 20 ნოემბრის ფ. № 4005

გადაწყვეტილების საფუძველზე” (Guerrieri 1974: 102). ასე რომ, უკვე 1937 წელს ბერნარდე ნეაპოლელისადმი მიძღვნილ ბროშურაში შალვა ბერიძე აფიქსირებს ზემოაღნიშნული ხელნაწერების ნეაპოლის ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებობის ფაქტს (Béridzé 1937: 9-21), თუმცა არ მოჰყავს მათი სრული სია.

ნეაპოლის ეროვნული ბიბლიოთეკის გამგეობის AS ფონდში ინახება ქართული ხელნაწერების ამ ბიბლიოთეკაში მოთავსებასთან დაკავშირებული დოკუმენტები, საიდანაც ჩანს, რომ დიდი ხნის განმავლობაში დავა ყოფილა იმაზე, თუ სად უნდა შენახულიყო ისინი: ეროვნულ ბიბლიოთეკაში თუ – ნეაპოლის აღმოსავლურ ინსტიტუტში. მაგალითად, ეროვნული განათლების მინისტრი 1935 წ.-ის 20 ნოემბერს ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული სექტორის ხელმძღვანელს ოფიციალურად აცნობებდა (პროტ. № 4005) თავის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ უმჯობესი იყო, ეს ხელნაწერები მოეთავსებინათ არა აღმოსავლურ ინსტიტუტში, არამედ – ზემოაღნიშნულ ბიბლიოთეკაში. თავის მხრივ, ბიბლიოგრაფიული სექტორის ხელმძღვანელი 1935 წ.-ის 3 დეკემბერს სამინისტროს უპასუხებდა, რომ გადაწყვეტილება ამ ხელნაწერების ბიბლიოთეკაში მოთავსების შესახებ ხელს არ შეუშლიდა იმას, რომ მას საჭიროების შემთხვევაში აღმოსავლური ინსტიტუტისთვის ნება დაერთო, ამ ხელნაწერებით ესარგებლა, მსგავსად სპარსული, არაბული და სხვა-ენოვანი ხელნაწერებისა. დაბოლოს, აცნობებდა, რომ თუ სამინისტრო საჭიროდ ჩათვლიდა, იგი ამ საკითხზე პირადად დაუკავშირდებოდა ტორე დელ გრეკოს მუნიციპალიტეტს.

ასე გადაეცა 1936 წ.-ის 7 თებერვალს ნეაპოლის ეროვნული სამეფო ბიბლიოთეკის დირექციის ნარმომადგენელს, პროფ. რაფაელე კანტარელას ზემოაღნიშნულ ბიბლიოთეკაში მოსათავსებლად წმინდა სამების უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში დაცული 15 ხელნაწერი. დირექციის არქივში ინახება საკვლევი ხელნაწერების ნეაპოლის ეროვნული სამეფო ბიბლიოთეკისთვის გადაცემის აქტის ეგზემპლარი, სადაც ვკითხულობთ:

წმინდა სამების უპატრონო ბავშვთა თავშესაფარი  
ტორე დელ გრეკო

ათას ცხრაას ოცდათექვსმეტ XIV<sup>51</sup> წელს, 7 თებერვალს, წმინდა სამების უპატრონო ბავშვთა თავშესაფრის შენობაში, კაპუცინთა ქუჩაზე, ზემოაღნიშნული დანესებულების პრეზიდენტმა, კავალერმა ვინჩენცო ბალცანომ, მდივნის, მოანგარიშე ვინჩენცო ავენიას დახმარებით, ზემოაღნიშნული მუნიციპალიტეტის მამასახლისის, მისი უმაღლესობა კომენდატორ გაეტანო ლონგობარდის 5 თებერვლის ბრძანების (№ 1222) საფუძველზე გადასცა პროფ. რაფაელე კანტარელას, ნეაპოლელს, რათა სამეფო დირექციაში შესანახად მოათავსოს ქვემორე ჩამოთვლილი და დანომრილი 15 ქართული ხელნაწერი, რომლებიც ამ საღვთისმოსავო ადგილას ინახებოდა:

1. მცირე ქრისტიანული დოქტრინა (3 ეგზემპლარი), შედგენილი კარდინალ ბელარმინის მიერ და თარგმნილი მამა ბერნარდე მარია ნეაპოლელის, კაპუცინი მქადაგებლისა და სამოციქულო მისიონერის მიერ იტალიურიდან ქართულ ვულ-გატაზე. რომი, წმინდა კონგრეგაცია პროპაგანდა ფიდეს სტამბაში, 1681;

2. ქართული დაბადებანი (?). მცირე მოცულობის ქართული მოთხრობები, რომლებიც ჰყავს ნეაპოლურ მცირე ამბებსა და მოთხრობებს (ხელნაწერი);
  3. ნაწილობრივ სომხურად ნაწერი;
  4. ქართული ენის ლექსიკონის მონახაზი ღირ(ს) მ(ამა) ბერნარდე მარია ნეაპოლელისა, კაპ(უცინი) სამოც(იქულო) მის(იონერისა) (ხელნაწერი, ზომა სიმაღლეში 16<sup>o</sup>);
  5. გაურკვეველი სათაური, ჩანს სხვადასხვა ავტორის სამი ნაშრომი ერთად შეკრებილი. (ხელნაწერი, ზომა სიმაღლეში 8<sup>o</sup>, ძალიან დაზიანებული);
  6. სხვადასხვა ფრაგმენტი და ნაფლეთი [ქაღალდი], იტალიურ ენაზე ხელნა-წერი (თითქმის გაურკვეველი);
  7. წმ(ინდა) პავლესა და სხვა მოციქულთა საქმენი (?). მ(ამა) ბერნარდე მარია ნეაპოლელის ხელით გადანუსხული ქრონიკები;
  8. უსათაურო ხელნაწერი ქართულ ენაზე, დაწერილი ღირ(სი) მ(ამა) ბერ-ნარდე მარია ნეაპოლელისა (ზომა სიმაღლეში დიდი ზომის 8<sup>o</sup>, აკინძული და კარ-გად შენახული);
  9. წერილების ფრაგმენტები იტალიურად, სადაც ხშირად მეორდება თარიღი 1681;
  10. ქართული ანბანის ორი ცალკე ფურცელი, ერთი ნაწერია ხუცური დამ-ნერლობით, მეორე – ვულგატით;
  11. მ(ამა) ბელარმინის დოქტრინა ქართულად (ხელნაწერი);
  12. ბუნდოვანი სათაურიანი წიგნაკი. როგორც ჩანს, ქრისტიანული მედი-ტაციები უნდა იყოს (ხელნაწერი, ზომა სიმაღლეში 8<sup>o</sup>);
  13. ბუნდოვანი სათაური, რომელსაც მოსდევს შესავალი წმ(ინდა) ფრანცისკ სალესელის „ცხოვრებისა“ (სქელტანიანი ტომი in 16<sup>o</sup> ხელნაწერი);
  14. ქართული-იტალიური ენის ლექსიკონის მონახაზი მ(ამა) ბერნარდე მა-რია ნეაპოლელისა, ტომს წინ უძლვის პატარა გრამატიკა (სქელტანიანი ტომი, სი-მაღლეში „8<sup>o</sup>“ ზომის პატარა ხელნაწერი);
  15. (თითქმის გაურკვეველი სათაური) შესაძლებელია: იესოს გართობანი.<sup>52</sup> ქართული ვერსია მ(ამა) ბერნარდე მარია ნეაპოლელისა, ხელნაწერი in 8<sup>o</sup>.
- ზემოთ ჩამოთვლილ ხელნაწერთა საგანგებო შემოწების შემდეგ, პროფ. კანტარელა ოფიციალურად იღებს მათ, ხელს აწერს წინამდებარე აქტს და ზემო-აღნიშნული დაწესებულების ადმინისტრაციის ათავისუფლებს მოვალეობის შეს-რულებისაგან.
- აქტი შედგენილია სამ ეგზემპლარად: ერთი – მუნიციპალიტეტისათვის, მე-ორე – პროფ. კანტარელასათვის და მესამე – დაწესებულების არქივისათვის.
- ნაკითხული, დადასტურებული და ხელმოწერილია.

ხ(ელმოწე)რა რაფაელე კანტარელა  
ხ(ელმოწე)რა ვ. ბალცანო  
ხ(ელმოწე)რა ვინჩენცო ავენია.

ნეაპოლის ბიბლიოთეკაში დაცულ ზემოაღნიშნულ ხელნაწერთა (სულ 15 საარქივო ერთეული) ამჟამინდელი მდგომარეობა ასახავს აქტში დაფიქსირებულ

აღნერილობას, რაც საშუალებას იძლევა, გამოვავლინოთ სიის ხარვეზები და სწორი წარმოდგენა შევიქმნათ მასში ჩამოთვლილ ხელნაწერებზე.

ირკვევა, რომ სიის შემდგენელი არ იცნობდა არც ვ. დი დონასა და „ცაგარ-ლისეულ“ სიებს და არც – მათ სავარაუდო ანტიგრაფს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩამონათვლის მე-3 ნომრად დააფიქსირებდა არა „ნაწილობრივ სომხურად ნა-ნერს“ (აქტი, № 3), არამედ – სხვა სიების „სომხურ წიგნს – როგორც ჩანს, 1666 წ.-ის „კატეხიზმოს“ („ცაგარელი“, № 3; დი დონა, № 3); არა „სხვადასხვა აკტორის სამ ნაშრომს“ (აქტი, № 5), არამედ – „ქართულ ენაზე სამ ჯგუფად დალაგებულ ბარა-თებს“ („ცაგარელი“, № 5; დი დონა, № 5); ხოლო „უსათაურო ხელნაწერს“ (აქტი, № 8) მიიჩნევდა „პოლემიკად სულინმიდის მამიდან და ძიდან მოვლინების შესახებ“ („ცაგარელი“, № 8; დი დონა, № 8) და მხედველობიდან არ გამორჩებოდა, რომ ტო-მის მეორე ნანილი წარმოადგენდა ტრაქტატის თარგმანს იტალიურ ენაზე. ამავე დროს, „ბუნდოვან სათაურს“ (აქტი, № 13) ჩათვლიდა „წმინდა ფრანცისკ სალესე-ლის «ფილოტეად»“ („ცაგარელი“, № 13; დი დონა, № 13); ხოლო „იესოს გართობანს“ (აქტი, № 15) – „სახარება-ოთხთავად“ („ცაგარელი“, № 15; დი დონა, № 15). ზემოთ მოტანილ აქტში მე-10 და მე-12 ნომრებით აღნიშნული დასახელებების დამთხვე-ვა ვ. დი დონას სიაში ამავე ნომრებით აღნიშნულ დასახელებებთან, როგორც ჩანს, იმით აიხსნება, რომ ამ ნომრების შესატყვის საარქივო ერთეულებში მოთავსებული იყო ფურცლები, სადაც ეს დასათაურებები ჰქონდათ მოტანილი.

საგულისხმოა ისიც, რომ აქტში მეორე ნომრით მითითებულია „nascite“ ანუ „დაბადებანი“ „novelle“-ის, ანუ „მოთხრობების“ ნაცვლად, რაც უშუალოდ შესაბამისია – XX.122.2 ხელნაწერის თავში თითქმის მთლიანად გადაშლილი მინაწერის შეცდომით წაკითხვის შედეგი უნდა იყოს. მართლაც, ხელნაწერის ფორზაცის ზურგზე იკითხება: „ქართული მოთხრობები, რომლებიც [დი]დად [არ] განსხვავდება ნეაპოლური [ნოვე]ლების ან მოთხრობებისაგან“. ასევე, სიის მე-7 ჩამონათვალში, XX.122.7 ხელნაწერის 1r ფ.-ზე გაკეთებული შესაბამისი ჩანაწერის შეცდომით წაკითხვის გამო „Canoniche“-ის, ანუ „კანონიკურის“ ნაცვლად წერია „Croniche“, ანუ „ქრონიკები“. ძნელი ასახსნელია, რატომ წერია აქტში „ეპისტოლეთა“ ნაცვლად, „წმ(ინდა) პავლესა და სხვა მოციქულთა საქმეზი (?)“. გამორიცხული არ არის ისიც, რომ ეს უშუალოდ ხელნაწერებში მოთავსებული შენიშვნების, არამედ ხელნაწერთა ჩამონათვლის დედნისეული სიის ძნელად გასაშიფრავი სიტყვების მცდარად ამოკითხვით.

ამავე დროს, აქტში არ ჩანს „ღვთის ნებაში ვარჯიშობა“, რომელიც შეტა-ნილია სამივე წინა სიაში (თამარაშვილი, № 5; „ცაგარელი“, № 6; დი დონა, № 6). ეს გამოწვეულია არა იმით, რომ ხელნაწერი დაიკარგა, არამედ – იმით, რომ აქტის შემდგენელმა ვერ შენიშნა, რომ XX.122.9 ხელნაწერი „წერილების ფრაგმენტების“ გარდა, შეიცავს ტრაქტატსაც, რომლის იტალიური სათაური – „Esercizio della volontà“, ანუ „ღვთის ნებაში ვარჯიშობა“ – ქართულად თარგმნილია როგორც: „რიგი ცხორებისა“.

დაბოლოს, რაც ყველაზე მთავარია, ყველა ადრინდელ სიასთან შედარებით აქტში არ ჩანს დიდტანიანი ხელნაწერი, რომელიც ოთხ სხვადასხვა თხზულე-ბას შეიცავდა და ვ. დი დონასა და „ცაგარლისეულ“ სიებში მე-9 ნომრით იყო წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნული უზუსტობის მიუხედავად, საკვლევი ხელნაწერების ნეაპოლის ეროვნული სამეფო ბიბლიოთეკისთვის 1936 წელს გადაცემის აქტისეული ჩამონათვალი ზუსტად ასახავს ხელნაწერთა დღევანდელ მდგომარეობას: ბიბლიოთეკას მას შემდეგ აღარ მიუღია სხვა ქართული ხელნაწერები და აღარც რომელიმე ხელნაწერი დაკარგულა. ამავე დროს, ისიც ირკვევა, რომ ვიდრე საკვლევ ხელნაწერებს ამ ბიბლიოთეკაში მოათავსებდნენ, ე. ი. 1886-1936 წწ.-ში, შემდეგი ხუთი საარქივო ერთეული დაკარგულა:

1. მორალური ქადაგებანი და პანეგირიკები (აპოლინარე ვალენსიელი, № 1);
2. რელაცია საქართველოში მოგზაურობის შესახებ (აპოლინარე ვალენსიელი, № 2);
3. კომენტარი პლოტინისა და კარდინალ ბესარიონის შესახებ (აპოლინარე ვალენსიელი, № 10);
4. ღირსი მამის მიერ გენერალური პროკურორისთვის [მიწერილი] ბარათი (აპოლინარე ვალენსიელი, № 11);
5. ხელნაწერი, რომელიც შეიცავდა „რესკარიანს“, „ბაამას“, „ქართლის ცხოვრებისა“ და ძველი წიგნიდან გადმოწერილ „საქართველოს ისტორიის“ ფრაგმენტებს (აპოლინარე ვალენსიელი, № 9; შუხარდტი, №№ 4(?), 8(?), 10-11; თამარაშვილი, №№ 1-2, 13; დი დონა, № 9; „ცაგარელი“, № 9).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნეაპოლის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ასლების შეკვეთების არქივში დაცულია ორი ცნობა ქართული ხელნაწერების შესახებ. პირველი ცნობის თანახმად, რომის პაპის აღმოსავლური ინსტიტუტისთვის XX. 122.4 და XX. 122.14 ხელნაწერების ასლების გადასაცემად იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტროს 1966 წ.-ის აგვისტოს ზემოაღნიშნული ბიბლიოთეკისთვის გადაუხდია ამ ასლების გადაღების საფასური. მეორე ცნობა კი მოწმობს, რომ 1988 წ.-ის ოქტომბერს ეს ხელნაწერები უნახავს მოსკოვიდან ჩამოსულ მეცნიერს, რომლის ხელმოწერის წაკითხვა გაურკვეველი ხელრთვის გამო ვერ ხერხდება.

ახლა დანამდვილებით ძნელია იმის თქმა, თუ ვისთვის უნდა გადაეცა რომის პაპის აღმოსავლურ ინსტიტუტს ზემოაღნიშნული ხელნაწერების მიკროფილმები, მაგრამ, შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ნატალია ორლოვსკაიასთვის გადაედოთ, რადგან სწორედ ეს ქალბატონი მუშაობდა ამ ხელნაწერებზე (Орловская 1965: 177; Орловская 1972: 27-39; Орловская 1986: 94-109). მით უფრო, რომ საკვლევ ხელნაწერთა ეს მიკროფილმები დღემდე დაცულია საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (ყოფილ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში) შიფრით f. 1-1966/248, 249. მეორე ცნობაში კი, მოსკოვიდან ჩამოსულ მეცნიერში, შესაძლებელია, ცნობილი ქართველი მკვლევარი, პროფესორი ილია ტაბაღუა იგულისხმებოდეს, მიუხედავად იმისა, რომ იგი თბილისელი იყო და არა – მოსკოველი. ასეთი მოსაზრების გამოთქმის საფუძველს ის მაძლევს, რომ მან ჯერ კიდევ 1976 წელს იმოგზაურა ნეაპოლსა და ტორე დელ გრეკოში ბერნარდე ნეაპოლელის ხელნაწერთა მოსაძიებლად (ტაბაღუა 1984: 51-52).<sup>53</sup>

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით ნეაპოლის ეროვნულ ბიბლიოთეკაში შიფრით „XX. 122“ დაცულია შემდეგი მასალები:

1. კარდინალ ბელარმინის „მოკლე კატეხიზმოს“ ბერნარდე ნეაპოლელის მიერ იტალიურიდან შესრულებული ქართული თარგმანი, რომელიც რომში დაიბეჭდა 1681 წელს ([16]+79 გვ.);
2. ბერნარდე ნეაპოლელის მიერ ჩანერილი 12 ზღაპარი და ერთი პოემის ფრაგმენტი ქართულად (III+83+II გვ.);
3. ერთად შეკრული ორი „ლოცვანი“ სომხურად, რომლებიც რომში დაიბეჭდა 1666-1667 წე.-ში (64+65 გვ.);
4. ბერნარდე ნეაპოლელის მიერ შედგენილი იტალიურ-ქართული ლექსიკონი (V+169+[4]+II გვ.);
5. მის მიერვე ერთ ხელნაწერ წიგნაკში გადანუსხული XVII ს.-ის ისტორიულ პირთა ბარათები (200 გვ.);
6. სხვადასხვა პირის რამდენიმე წერილი (ხელნაწერთა ცუდი მდგომარეობის გამო რესტავრაციამდე აკრძალულია მათზე მუშაობა);
7. ბერნარდე ნეაპოლელის მიერ გადანუსხული „პავლენი“ და „სამოციქულონი“ (I+182+[2] გვ.);
8. მის მიერვე ქართულ და იტალიურ ენებზე დიალოგის ფორმით შედგენილი თეოლოგიური ტრაქტატი სულინმიდის მოვლინების შესახებ (II+178+[2]+I გვ.);
9. სხვადასხვა პირის მიერ ბერნარდე ნეაპოლელისადმი მიწერილი წერილები და მის მიერ იტალიურიდან ქართულად თარგმნილი „რიგი ცხორებისა“ (5 ცალკე ფ. + 4 რვეული + 1 ცალკე გვ.);
10. მის მიერვე ასომთავრულსა და მხედრულში ხელის გასაწაფავად შესრულებული კალიგრაფიული ნიმუშები: ქართული ანბანი, გრაფემათა ფონოლოგიური მნიშვნელობანი და ასოთა გადაბმანი (სხვადასხვა ფორმატის 2 გვ.);
11. კარდინალ ბელარმინის „დიდი კატეხიზმოს“ ბერნარდე ნეაპოლელის მიერ იტალიურიდან შესრულებული ქართული თარგმანი (I+237+[2] გვ.);
12. მის მიერვე იტალიურიდან ქართულად თარგმნილი „კატეხიზმო“, ანუ „საგონებელი საქრისტიანო დღითი დღედ თუემდის“ (40 გვ.);
13. მის მიერვე იტალიურიდან ქართულად თარგმნილი ფრანცისკ სალესელის (1567-1622) „ფილოტეა“, ანუ „საღვთისმოსავო ცხოვრება“ (397+[6] გვ.);
14. მის მიერვე შედგენილი ქართულ-იტალიური ლექსიკონი (I+359+[1] გვ.);
15. მის მიერვე გადანუსხული „სახარება-ოთხთავი“ (II+278+II გვ.).

### 3. მოკლე დასკვნები და კვლევის შემდგომი პერსპექტივები

ბერნარდე ნეაპოლელისეული ხელნაწერების კვლევა-ძიებისა და შესწავლის პირველი შედეგები, შეიძლება, მოკლედ ასე ჩამოვაყალიბოთ:

1. ქართველი მეცნიერებისათვის დღემდე ფაქტობრივად უცნობი შრომების: ხელნაწერი, ნაბეჭდი და დოკუმენტური მასალების – ემანუელ ნეაპოლელის დღემდე გამოუქვეყნებელი „ნეაპოლის პროვინციის უმცროს კაპუცინ მმათა შესახებ ისტორიულ-ქრონოლოგიური ცნობების“ (XVIII ს.-ის შუა წე.), როკო და ჩეზინალეს მონუმენტური „კაპუცინთა მისის ისტორიის“ (III ტ., 1873 წ.), აპოლინარე ვალენსიელის „ნეაპოლის პროვინციის კაპუცინ ძმათა ბიბლიოთეკის“ (1886 წ.),

ჰ. შუხარდტის გამოკვლევის ორი სხვადასხვა რედაქციის (1896 წ.); ფ. კასტალდის (1896 წ.), მიხ. თამარაშვილის (1902 წ.), უცნობი იტალიელი არქივარიუსებისა (XIX ს.) და ვ. დი დონას (1912 წ.) მიერ შედგენილი ხელნაწერებისა და ნაბეჭდი წიგნების ნუსხების, აგრეთვე, ნეაპოლის ეროვნული ბიბლიოთეკის გამგეობის AS ფონდში დაცული ბერნარდე ნეაპოლელისეული ხელნაწერების და ნაბეჭდი წიგნების ზემოაღნიშნულ ბიბლიოთეკაში მოთავსებასთან დაკავშირებული დოკუმენტების შესწავლის შედეგად შესაძლებელი გახდა, მეტ-ნაკლებად სისრულით წარმოჩენილიყო ისტორია ამ მნიშვნელოვანი მოღვაწის პირადი არქივისა, სადაც ქართულ და იტალიურ ენებზე დაცულია უნიკალური მასალა იმდროინდელი საქართველოს შესახებ.

2. სხვადასხვა მეცნიერის მიერ შედგენილ ხელნაწერებისა და ნაბეჭდი წიგნების ნუხათა შედარება ცხადყოფს, რომ მათში მითითებულ საკვლევ საარქივო ერთეულებს შორის რაოდენობრივი სხვაობა ძირითადად გამოწვეულია სამი გარემოებით. პირველი, ზოგიერთი მკვლევარი მხოლოდ ქართულ საარქივო ერთეულებს ასახელებს, სხვებს კი უცხოენოვანი ერთეულებიც მოჰყავთ; მეორე, ცალკეულ შემთხვევაში ერთ ხელნაწერში, ანუ, ერთ საარქივო ერთეულში შეტანილი თხზულებები ცალკე ხელნაწერებადაა დასახელებული. ასე, მაგალითად, ერთ ხელნაწერში მოთავსებული სამი თხზულება – „რომანცი ან ქართული ზღაპარი ბაამა“, „ქართლის ცხოვრება“ და „განთქმული პატარა პოემა რესკარიანისა“ – მიხ. თამარაშვილის მიერ შედგენილ სიაში მითითებულია სამ განსხვავებულ საარქივო ერთეულად; მესამე, 1886-1936 წწ.-ში დაიკარგა ხუთი საარქივო ერთეული, კერძოდ:

1. მორალური ქადაგებანი და პანეგირიკები (აპოლინარე ვალენსიელი, № 1);
2. რელაცია საქართველოში მოგზაურობის შესახებ (აპოლინარე ვალენსიელი, № 2);

3. კომენტარი პლოტინისა და კარდინალ ბესარიონის შესახებ (აპოლინარე ვალენსიელი, № 10);

4. ღირსი მამის მიერ გენერალური პროკურორისთვის [მიწერილი] ბარათი (აპოლინარე ვალენსიელი, № 11);

5. ხელნაწერი, რომელიც შეიცავდა „რესკარიანს“, „ბაამას“, „ქართლის ცხოვრებისა“ და ძველი წიგნიდან გადმოწერილ „საქართველოს ისტორიის“ ფრაგმენტებს (აპოლინარე ვალენსიელი, № 9; შუხარდტი, №№ 4(?), 8(?), 10-11; თამარაშვილი, №№ 1-2, 13; დი დონა, № 9; „ცაგარელი“, № 9).

3. ქართული კულტურისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მეხუთე ხელნაწერი, რომელიც, სხვა თხზულებებთან ერთად, შეიცავდა ჟამთააღმნერლის ე. წ. „ასწლოვანი მატიანის“ 40 გვ.-იან ფრაგმენტს, რომელიც ამ თხზულების უძველესი ნუსხა უნდა იყოს. როგორც ირკვევა, ხელნაწერი 1912-სა და 1936 წწ.-ს შორის პერიოდშია დაკარგული.

როგორც ნეაპოლის ეროვნული ბიბლიოთეკის გამგეობის არქივში დაცული დოკუმენტები მონაბეჭდის, ნეაპოლის აღმოსავლურ ინსტიტუტს ქართული ხელნაწერების ზემოაღნიშნული ბიბლიოთეკისთვის გადაცემის შემდეგაც არ შეუწყვეტია მცდელობა იმისათვის, რათა საბოლოოდ ამ ინსტიტუტში ყოფილიყო დაცული

ეს ხელნაწერები. ეს მაფიქრებინებს იმას, რომ, შესაძლოა, „ასწლოვანი მატიანის“ ფრაგმენტის შემცველი ხელნაწერი ამ ორ დაწესებულებას შორის დავის შედეგად, გაურკვეველ ვითარებაში სწორედ ამ კოლექციის ნეაპოლის ეროვნული ბიბლიოთეკისთვის გადაცემის წინა პერიოდში დაკარგულიყო. ამიტომ იქნებ, ჯერ კი-დევ იყოს შესაძლებელი მისი მიგნება რომელიმე კერძო კოლექციაში, ან კაპუცინთა ორდენის რომელიმე არქივში. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მართალია, ბერნარდე ნეაპოლელის არქივმა არ შემოინახა „მორალური ქადაგებანი და პანეგირიკები“, მაგრამ ამ თხზულების რამდენიმე ეგზემპლარი, როგორც ბიბლიოგრაფიული იშვიათობა, დაცულია იტალიის რამდენიმე ბიბლიოთეკაში.

4. ჩატარებულმა მუშაობამ ისიც გვიჩვენა, რომ ჯერ კიდევ შესასწავლია მრავალი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი.

ამ მიზნით უკვე შევადგინე საკვლევ ხელნაწერთა სრული აღწერილობა, რომელიც ახლო მომავალში დაისტამბება იტალიაში. გარდა ამისა, გადმოვიწერე ბერნარდე ნეაპოლელის მიერ ქართულ და იტალიურ ენებზე დიალოგის ფორმით შედგენილი თეოლოგიური ტრაქტატი სულინმიდის მოვლინების შესახებ; ამჟამად ვმუშაობ ტექსტის ფილოლოგიურ და თეოლოგიურ კომენტარებზე. ამავე დროს, მივაკვლიე და გამოსაცემად ვამზადებ კაპუცინი ბერის მიერ გადანუსხულ XVII ს.-ის ისტორიული პირების მიმოწერის მასალებს. რაც შეეხება უამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანის“ უძველეს ფრაგმენტულ ნუსხას, რის გამოც, ფაქტობრივად, დავიწყე საკვლევ ხელნაწერთა შესაწავლა, მის მისაკვლევად და ყოველმხრივ შესასწავლად უფრო გულდასმით უნდა გავეცნო ბერნარდე ნეაპოლელის ხელნაწერ მასალებს, რომლებიც დაცულია საზღვარგარეთის ქვეყნების არქივებსა და ხელნაწერთა კერძო კოლექციებში, რაც სხვადასხვა მიზეზის გამო აქამდე ვერ მოვახერხე.

გასარკვევი და საფუძვლიანად შესასწავლია ბერნარდე ნეაპოლელისეულ ხელნაწერებში შემონახულ ცალკეულ თხზულებათა რაობა, ურთიერთმიმართება და ადგილი ქართული კულტურის ისტორიაში. ამ მიმართებით განზრახული მაქეს ბერნარდე ნეაპოლელისა და სულხან-საბა ირბელიანის ლექსიკონების შედარებითი ლინგვისტურ-ფილოლოგიური ანალიზი და მათი ურთიერთმიმართების შესაწავლა.

5. დასახული სამეცნიერო მიზნების განხორციელება საშუალებას მომცემს, გავარკვიონ ბერნარდე ნეაპოლელის ქართულ ხელნაწერებთან დაკავშირებული რიგი ბუნდოვანი საკითხები, რაც შესაძლებელს გახდის, უფრო რელიეფურად წარმოჩნდეს ქართულ-იტალიური და იტალიურ-ქართული სახელმწიფოებრივი და კულტურული ურთიერთობის მრავალნახნაგოვანი შრეები.

### შენიშვნები:

1. Archivio generale dell'Istituto povere figlie delle sacre stimmate. Libro primo. *Fondazioni*, გვ. 153.
2. ცალკეული ცნობები მოიპოვება, აგრეთვე, ნაშრომებში: Toppi 1678: 47; Bernardo da Bologna 1747: 50; Bonaventura da Sorrento 1879: 25-26; Clemente da Terzorio. VII. 1925: 48, 57, 59-60; *Lexicon capuccinum* 1951: 211.
3. იგულისხმება გამოგონილ სიუჟეტებზე შექმნილი საერო ნაწარმოებები.

4. სიტყვასიტყვით გადმომაქვს ქართულად იტალიური ზმნა „dare“ ანუ „მიცემა“, რომლის შეს. იხ. ქვემოთ, სქ. 12.
5. უნდა იყოს „ერანის“. როკო და ჩეზინალე და მის კვალზე, ასევე, აპოლინარე ვალენ-სიელი – შეცდომით კითხულობს, „v“-ს, „r“-ის ნაცვლად.
6. ციტატა სიტყვასიტყვით მოყვანილია ნაშრომიდან: Rocco da Cesinale. III. 1873: 352.
7. აპოლინარე ვალენსიელი, მიუხედავად იმისა, რომ მას ციტატა ბრჭყალებში მოჰყავს, მექანიკურად აერთებს ზემოაღნიშნული თხზულების შესახებ როკო და ჩეზინალეს ორ ფრაზას: 1. „რადგანაც ხალხი – როგორც, საზოგადოდ, აზიელები – მოთხოვბებს ეტანებოდა, მისცა მოთხოვბა, რომლის სათაურია მეფე «ბაამადან», საიდანაც მოდის ნაკლულოვანება და შეცდომები, რომლებსაც ხალხი უშვებს“ (Rocco da Cesinale. III. 1873: 352); 2. „«მეფე ბაამანი», ქართული ზღაპარი ევანის დიდი მეფის, ბაამანის თავგადასავლის შესახებ“ (იქვე, გვ. 352, სქ. 1).
8. აპოლინარე ვალენსიელს ბრჭყალებში მოჰყავს ციტატა ნაშრომიდან: Rocco da Cesinale. III. 1873: 352, სქ. 1, მაგრამ მას ოდნავ მაინც ცვლის.
9. მკვლევარს უთუოდ მხედველობაში აქვს ვენეციის წმ. მარკოზის სახელობის ბიბლიოთეკაში 12005 ნომრით დაცული ხელნაწერი, რომლის შესახებ პირველიც წინობები გამოქვეყნდა ნაშრომებში: Rottiers 1827: 296; ცაგარელი 1873: 57. მოგვიანებით თვითონ ტებამ სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ამ გრამატიკას (Teza 1894-1895: 25-39), რომლის კვლევის შედეგებს დაეყრდნენ ილია ტაბალუა და ლუიჯი მაგაროტო გრამატიკის ფაქსიმილური გამოცემისათვის თანდართულ გამოკვლევაში. იხ.: მაგაროტო-ტაბალუა 1979.
10. დაბა იტალიაში, ნეაპოლის მახლობლად.
11. იგივე „ქრისტეს ცრემლები“, ან „ვეზუვის ქრისტეს ცრემლები“ – ტიპური წითელი, ვარდისფერი ან თეთრი ღვინო, რომელსაც იტალიაში, კამპანიის რეგიონში აყენებენ.
12. ჰ. შუხარდტი მთლად მართალი არ უნდა იყოს. როკო ხმარობს ზოგადი მნიშვნელობის „dare“ (მიცემა) შერეული ნარსული დროის ფორმას „diē“. ამის გამო ერთმნიშვნელოვნად ნათელი არ არის, მისი აზრით, ბერნარდე ამ ნანარმოებების ავტორია, მთარგმნელი, თუ – გადამნუსხველი.
13. ამ ადგილის შესახებ უურნალ „ივერიის“ რედაქცია შენიშნავდა: „სიტყვა, რომელიც აქ არის მოყვანილი დიდად პატივცემულის პროფესორის ნერილში ვერ გავარჩიეთ, რადგან მელანი აქვს დასხმული“. ჰ. შუხარდტის ნერილის ქართული რედაქციის შედარება გერმანულთან თვალნათლივ მოწმობს, რომ ამ ადგილას მხოლოდ სახარების თარგმანზე შეიძლებოდა, საუბარი ყოფილიყო.
14. ფრაზა „ერანის დიდი მეფისა“ მოტანილია იტალიურ ენაზე.
15. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (თბილისი), მიხეილ თამარაშვილის პირადი არქივი, დოკ. № 190 (ex 414).
16. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (თბილისი), მიხეილ თამარაშვილის პირადი არქივი, დოკ. № 105 (ex № 1125; H-1601b,g), ფ. 10v.
17. მიხ. თამარაშვილი გულისხმობს ბერნარდე ნეაპოლელის სულიერ შვილებს.
18. ამ ხელნაწერის შეს. იხ. Tarchnichvili 1962: 61-64; Shurgaia, G. 2000: 164-167; Shurghaia, T. 2006: 416-418; შურლაია, თ. 2006ა: 157-164; შურლაია, თ. 2006ბ: 131-135; შურლაია, თ. 2006გ: 340-349; შურლაია, თ. 2006დ: 33-49. ჩემი დათარიღებით, ხელნაწერი XI ს.-ის შუა წლებისაა.
19. შენიშვნა: „ქართული [...] მოთხოვბებისაგან“ სიტყვასიტყვით იმეორებს იტალიურ მინაწერს XX.122.2 ხელნაწერის ფორზაციის ზურგზე.
20. ანუ ათფურცლიან რვეულში.

21. შენიშვნა: „ზღაპრის დანარჩენი [...] ყოფილიყო“ მინერილია იგივე ხელით 3v ფ.-ზე და სიტყვასიტყვით იმეორებს იტალიურ მინაწერს XX.122.2 ხელნაწერის 73v ფ.-ზე.
22. შენიშვნა: „ქართული ზღაპრისა [...] გარეშე“ სიტყვასიტყვით იმეორებს იტალიურ მინაწერს XX.122.2 ხელნაწერის 75r ფ.-ზე. ლ. კოტაშვილის აზრით, იგი შეეხება XII ზღაპარს: „არაკი ქიშმარის ჭელმწიფის ქალისა“ (კოტაშვილი 1980: 22, 78), სინამდვილეში კი ეხება პოემის ფრაგმენტს, რომელიც უშაუალოდ მოსდევს ამ ზღაპარს (ფფ. 75r-82r). ეტყობა, მკვლევარი შეცდომაში შეკყავს შენიშვნის მცდარ თარგმანს: „[...] როგორც ჩანს, ეს არის ქართული პოემა-ზღაპარი, რომელიც ერთ დიდტანიან სპარსულ რევულში იყო ძალიან ლამაზი ხელით ჩანერილი. აკლია დასასრული“. საქმე ისაა, რომ XII ზღაპარს უკავშირდება 73 ფ.-ის ზურგზე მოთავსებული შენიშვნა (იხ. ზემოთ, სქ. 21) და მას მართლაც მოკვეთილი აქვს დასასრული, ხოლო 75 ფ.-ის ზედა პირზე მინერილი შენიშვნა შეეხება პოემის ფრაგმენტს, რომელსაც აკლია როგორც დასაწყისი, ისე – დასასრული.
23. ფრაზა: „სხვადასხვა [პირის... პირისა]დმი“ იმეორებს იტალიურ მინაწერს XX.122.5 ხელნაწერის 3r ფ.-ზე.
24. იტალიურ ტექსტშია „precisarla“. როგორც ჩანს, არქივარიუსმა მცდარად ამოიკითხა დედნისეული სიტყვა „prese(n)tarla“, ანუ „მისი გადა(ც)ემა“. სწორი შინაარსისთვის იხ. ქვემოთ, სქ. 30.
25. იტალიურ ტექსტშია „precisata“. როგორც ჩანს, არქივარიუსმა მცდარად ამოიკითხა დედნისეული სიტყვა „prese(n)tata“, ანუ „გადა(ც)ემული“. სწორი შინაარსისთვის იხ. ქვემოთ, სქ. 30.
26. იტალიურ ტექსტშია „sico come“, სადაც აშკარად ზედმეტია პირველი სიტყვის მეორე მარცვალი. როგორც ჩანს, არქივარიუსმა მცდარად გაიაზრა ორიგინალში დასმული შემოკლების ნიშანი, რომელიც წინდებულ „per“-ს, ანუ „თვის“-ს აღნიშნავს. სწორი შინაარსისთვის იხ. ქვემოთ, სქ. 30.
27. იტალიურ ტექსტშია „l'amore“. როგორც ჩანს, არქივარიუსმა მცდარად ამოიკითხა დედნისეული სიტყვა „l'altrove“, ანუ „სხვაგან“. სწორი შინაარსისთვის იხ. ქვემოთ, სქ. 30.
28. იტალიურ ტექსტშია „fussi“. როგორც ჩანს, არქივარიუსმა საერთოდ ვერ ამოიკითხა დედნისეული სიტყვა „partito“, ანუ „გამგზავრებული“. სწორი შინაარსისთვის იხ. ქვემოთ, სქ. 30.
29. იტალიურ ტექსტშია „co(n)specto“. როგორც ჩანს, არქივარიუსმა მცდარად ამოიკითხა დედნისეული სიტყვა „co(n)testo“, ანუ „კონტექსტი“. სწორი შინაარსისთვის იხ. ქვემოთ, სქ. 30.
30. ფრაზა: „სხვადასხვა [...] (ზუსტად ასე ნერია)“ მინერილია იგივე ხელით 3v ფ.-ზე. შდრ. იტალიურ მინაწერს XX.122.5 ხელნაწერის 3r ფ.-ზე: „ალექსი გიორგიანიანის ნერილი რომის პა(პ)ს, რომელიც მან მე გამომიგზავნა გადასა(ც)ემად, მაგრამ ვერ გადავე(ც)ი, რადგანაც უკვე სხვაგან ვიყავი გამგზავრებული, და, თუმცა, განვიკურნე, მაგრამ ბოლომდე ვერ გამოვვანმრთელდი, როგორც ნერილის კო(ნ)ტექსტიდან ჩანს. ამიტომ მივწერე, ამ ნერილს ვერ გადავცემ-მეთქი“.
31. იგულისმება მხედრული ანბანი. შენიშვნა: „ნმ(ინდა) პავლესა [...] დამწერლობით“ თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს იტალიურ მინაწერს XX.122.7 ხელნაწერის 1r ფ.-ზე.
32. ფრაზა: „თარგმანი [...] ძიდან“ მინერილია მეორე ხელით.
33. შენიშვნა: „თარგმანი ზემოაღნიშნული [...] თარგმნილი“ თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს იტალიურ მინაწერს XX.122.8 ხელნაწერის 88r ფ.-ზე.

34. ფრაზა: „ეს ზემოთ [...] თავგადასავალი“ მიწერილია მეორე ხელით.
35. ფრაზა: „კაპუცინი [...] მისიონერის“ მიწერილია მესამე ხელით.
36. იგულისხმება ქართლის მეფე, გიორგი XI ბაგრატიონი (1677-1688).
37. სიტყვაში „ენაზე“, „დამწერლობა“ იგულისხმება.
38. ფრაზა: „ის, რაც [...] კენედრული“ მიწერილია მეორე ხელით.
39. იგულისხმება წოდება: „კაპუცინი მქადაგებელი და საქართველოში სამოციქულო მისიონერი“.
40. შენიშვნა: „კაპუცინისა [...] მონახაზი“ თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს იტალიურ მინანერს XX.122.4 ხელნაწერის Ir ფ.-ზე.
41. შენიშვნა: „«სახარება-ოთხთავის» [...] თარგმანი“ თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს იტალიურ მინანერს XX.122.15 ხელნაწერის Ir-ზე.
42. შენიშვნა: „ქართული [...] მოთხოვბისაგან“ სიტყვასიტყვით იმეორებს იტალიურ მინანერს XX.122.2 ხელნაწერის ფორზაცის ზურგზე.
43. შენიშვნა: „ქართული ზღაპრისა [...] გარეშე“ სიტყვასიტყვით იმეორებს იტალიურ მინანერს XX.122.2 ხელნაწერის 75r ფ.-ზე.
44. ფრაზა: „სხვადასხვა [პირის... პირისა]დმი“ იმეორებს იტალიურ მინანერს XX.122.5 ხელნაწერის 3r ფ.-ზე.
45. სიტყვაში „ენის“ იგულისხმება „ანბანი“, ანუ მხედრული. შენიშვნა: „წმ(ინდა) პავლესა [...] დამწერლობით“ თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს იტალიურ მინანერს XX.122.7 ხელნაწერის 1r ფ.-ზე, თუმცა, იქ სწორად წერია სიტყვა „სამოციქულო“.
46. შენიშვნა: „თარგმანი ზემოაღნიშნული [...] თარგმნილი“ თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს იტალიურ მინანერს XX.122.8 ხელნაწერის 88r ფ.-ზე.
47. იგულისხმება ქართლის მეფე, გიორგი XI ბაგრატიონი (1677-1688).
48. იგულისხმება წოდება: „კაპუცინი მქადაგებელი და საქართველოში სამოციქულო მისიონერი“.
49. იგულისხმება წოდება: „კაპუცინი მქადაგებელი და საქართველოში სამოციქულო მისიონერი“.
50. შენიშვნა: „«სახარება-ოთხთავის» [...] თარგმანი“ თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს იტალიურ მინანერს XX.122.15 ხელნაწერის Ir-ზე.
51. რომაული ციფრი აღნიშნავს წელთაღრიცხვას ფაშიზმის ერთს მიხედვით, რომელიც ახალ წელთაღრიცხვასთან ერთად პარალელურად იხმარებოდა იტალიაში 1922 წ.-ის 22 ოქტომბრიდან 1943 წ.-ის 25 ივლისამდე, ხოლო ჩრდილოეთში, იტალიის სოციალურ რესპუბლიკაში – 1943 წ.-ის 15 აპრილს მისი დაარსებიდან 1945 წ.-ის აპრილის ბოლომდე.
52. იტალიურ ტექსტშია „svaghi“. ეტყობა, აქტის შემდგენელმა მცდარად ამოიკითხა დენისეული „evangeli“, ანუ „სახარებანი“.
53. მეცნიერის განცხადება იმის შესახებ, რომ მიხ. თამარაშვილს უნახავს ბერნარდე ნებაღლელის „არქივი, მაგრამ მის ზუსტ აღწერას რატომძაც არ იძლევა“ (ტაბაღუა 1984: 52), დაზუსტებას მოითხოვს, რადგანაც, როგორც დავრწმუნდით, სწორედ მიხ. თამარაშვილს ეკუთვნის ბერნარდესეული ხელნაწერების პირველი სრული დაწვრილებითი აღწერილობა (თამარაშვილი 1902: 682-683). უფრო მეტიც, თვით ის ორი ხელნაწერი, რომლებიც ივანე ლოლაშვილის „პირადი დავალებით“ ილ. ტაბაღუამ უშედეგოდ ეძება ნეაპოლსა და ტორე დელ გრეკომი (იხ. ტაბაღუა 1984: 51-52), მიხ. თამარაშვილის სის პირველი და მეორე ნომრებით აღნიშნული თხზულებებია.

**დამოწმებანი:**

- Apollinare a Valentia in Delphinatu. *Bibliotheca fratrum minorum capuccinorum provinciae neapolitanae*. Romae: Apud Archivistam Generalem Ordinis Capuccinorum; Neapoli: In aedibus Salvatoris Festa, typographi et bibliopolae, 1886.
- Bèridzè, C. *Bernardo Maria da Napoli (Notice bio-bibliographique, suivie d'une Bibliographie italienne de la Géorgie)*. Pompei: Scuola tipografica pontificia dei figli dei carcerati fondata da Bartolo Longo, 1937-XV.
- Bernardo da Bologna. *Bibliotheca scriptorum ordinis minorum s. Francisci capuccinorum*. Venetiis 1747.
- Bonaventura da Sorrento. *I cappuccini della provincia monastica di Napoli e Terra di Lavoro, Memorie storiche raccolte e compilate*. S. Agnello di Sorrento: Tip. all'insegna di S. Francesco d'Assisi, 1879.
- Clemente da Terzorio. *Le missioni dei minori cappuccini*. VII. *Turchia asiatica*. Roma: Società tipografica A. Manuzio, 1925.
- Di Donna, V. *L'Università della Torre del Greco nel secolo XVIII*, Studii e ricerche per contributo storico con documenti inediti e vignette dell'epoca raccolti. Torre del Greco: Stabilimento tipografico Eugenio Pantaleo & C., 1912.
- Fondazione Istituto figlie povere di S. Pietro d'Alcantara. *Diario delle origini*, Roma: s. n., [1991].
- Guerrieri, G. *La Biblioteca nazionale «Vittorio Emanuele III» di Napoli*. Milano-Napoli: Riccardo Ricciardi editore, 1974.
- K'ot'ashvili, L. *Bernardoseuli k'oleksiis XVII s. zghap'rebi*, Tbilisi: Sabch'ota Sakartvelo, 1980 (კოტაზილი, ლ. ბერნარდოსეული კოლექციის XVII ს. ზღაპრები, თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1980).
- Lexicon capuccinum, Promptuarium historico-bibliographicum ordinis fratrum minorum capuccinorum (1525-1950)*. Romae: Bibliotheca collegii internationalis s. Laurentii Brundusini, 1951.
- Magarot't'o, L. da T'abaghua, Il. „It'alieli Avt'oris Mier Shedgenili Kartuli Enis Gamoukveq'nebeli Gramat'ik'a (XVIII sauk'unisa)“. *Iberiul-k'avk'asiuri Enatmetsnierebis Ts'elits'deuli*. VI (1979) (მაგაროტო, ლ. და ტაბაღუა, ილ. „იტალიელი ავტორის მიერ შედგენილი ქართული ენის გამოუქვეყნებელი გრამატიკა (XVIII საუკუნისა)“. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ნელიდეული. VI (1979)).
- Marchitielli, E. *Le suore francescane alcantarine ieri e oggi*. Casale Monferrato: Marietti, 1981.
- Oliviero, Vincenzo. *La chiesa della SS. Annunziata, Fede, storia, arte (400° di fondazione e 50° di parrocchia)*. Torre del Greco: Ed. Aiuto Cristiano, 1986.
- Orlovskaja, N. K. „Gruzinskie slovari Bernardo Neapolitanskogo“. *Literaturnye vzaimosvazi*. III (1972): 27-39 (Орловская, Н. К. „Грузинские словари Бернардо Неаполитанского“. *Литературные взаимосвязи*. III (1972): 27-39).
- Orlovskaja, N. K. *Gruzija v literaturakh Zapadnoj Evropy XVII-XVIII vekov*, Tbilisi, 1965 (Орловская, Н. К. *Грузия в литературах Западной Европы XVII-XVIII веков*, Тбилиси, 1965).
- Orlovskaja, N. K. *Voprosy literaturnykh svyazej Gruzii s Zapadom*, Tbilisi, 1986 (Орловская, Н. К. *Вопросы литературных связей Грузии с Западом*, Тбилиси, 1986).
- Rocco da Cesinale. *Storia delle missioni dei cappuccini*. III. Roma: Tipografia Barbèra, 1873.
- Rottiers, Bernard Eugène Antoine. „De la religion chrétienne en Géorgie et dans les pays circonvoisins“. *Journal Asiatique*. XI (1827).

- Schuchardt, H. „Georgische Handschriften in Torre del Greco“, *Beilage zur Allgemeinen Zeitung*, 1896: 100: 5-6.
- Schuchardt, H. „Ts’erili redaktsiis mimart“, *Iveria*. XC (2.04.1896): 2-3 (შუხარდტი, ჰუგო. „ნერილი რედაქციის მიმართ“, *Iveria*. XC (2.04.1896): 2-3).
- Shurgaia, G. „17. Tetravangelo. Georgiano [Vat. iber. 1]“. *Vangeli dei popoli, La parola e l’immagine del Cristo nelle culture e nella storia*. A cura di F. D’Aiuto, G. Morello, A. M. Piazzoni. Città del Vaticano, 2000: 164-167.
- Shurghaia, T. „On Dating of Vat. iberico 1“. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*. 173:2 (2006): 416-418.
- Shurghaia, T. „Sakharebis Erti Dzveli Kartuli Khelnats’eris Shedgenilobis Sak’itkhisatvis“. *K’avk’asiis Matsne*. XIV (2006): 157-164 (შურლაია, თ. „სახარების ერთი ძველი ქართული ხელნაწერის შედგენილობის საკითხისათვის“. კავკასიის მაცნე. XIV (2006): 157-164).
- Shurghaia, T. „Shavi Mtis Otkhtavis Kartuli Khelnats’eri“. *Tsisk’ari*. 2006: 1: 131-135 (შურლაია, თ. „შავი მთის ოთხთავის ქართული ხელნაწერი“, ციხარი. 2006: 1: 131-135).
- Shurghaia, T. „Vat’ik’anis Otkhtavis Mkhats’vru Shemk’uloba“. *Sametsniero Dziebani*. 23 (2006): 340-349 (შურლაია, თ. „ვატიკანის ოთხთავის მხატვრული შემკულობა“. სამეცნიერო ძიებანი. 23 (2006): 340-349).
- Shurghaia, T. „Vat’ik’anis Otkhtavis Tavgadasavali“. *K’lasik’uri da Tanamedrove Kartuli Mts’erloba*. XI (2006): 33-49 (შურლაია, თ. „ვატიკანის ოთხთავის თავგადასავალი“. კლასიკური და თანამედროვე ქართული მნიშვნელობა. XI (2006): 33-49).
- T’abaghua, Il. *Sakartvelo Evrop’is Arkivebsa da Ts’ignsatsavebshi (XIII-XVI ss.)*. Tbilisi, 1984 (ტაბაღუა, ილ. საქართველო ევროპის არქივებსა და ნივნეაცავებში (XIII-XVI სს.). თბილისი, 1984)
- Tamarashvili, M. *Ist’oria K’atolik’obisa Kartvelta Shina, Namdvil Sabutebis Shemot’anita da Ganmart’ebit XIII Sauk’unidan Vidre XX Sauk’unemde*, Tbilisi: 1902 (თამარაშვილი, მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შინა, ნამდვილ საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე, ტფილისი, 1902).
- Tarchnichvili, M. „Les manuscrits géorgiens du Vatican“. *Bedi Kartlisa*. XIII-XIV (1962): 61-64.
- Teza, M. E. „Di una grammatica inedita della lingua georgiana, scritta dal un cappuccino d’Italia“. *Atti del R. Istituto Veneto, di Scienze, lettere ed arti*. LIII, Serie VII, t. VI (1894-1895): 25-39).
- Toppi, N. *Bibliotheca napoletana, et apparato a gli huomini illustri in lettere di Napoli, e del Regno, delle famiglie, terre, città e religioni, che sono nello stesso regno, dalle loro origini, per tutto l’anno 1678*. Napoli: appresso Antonio Bulifon all’insegna della Sirena, 1678.
- Torrese, Raffaele. *Torre del Greco tra storia, cronaca e leggenda*. [Torre del Greco]: Post Fata Resurgo, [1993].
- Tsagareli, Aleksandr. *O grammaticheskoy literature gruzinskogo jazyka, kritichesij ocherk*, S.-Pb., 1873 (Цагарели, Александр. *О грамматической литературе грузинского языка, критический очерк*, С.-Пб., 1873).
- Zhamtaaghmets’ereli. *Asts’lovani Mat’iane (nats’q’vet’i – khelnats’eri H-1067)*. Gamostsa V. Silogavam, Tbilisi: nek’eri, 2009 (ჯამთაღმთხერელი. ასტლოვანი მატიანე (ნაწყვეტი – ხელნაწერი - 1067), გამოსცა ვ. სილოვანამ, თბილისი: ნეკერი, 2009).

Gaga Shurgaia  
(Italy)

## The Manuscripts of Bernard Maria of Naples

### Summary

**Key words:** Bernard Maria of Naples, Antonio Cioffi, Georgia, archives, Kingdom of Kartli, Capuchin monks, National Library of Naples, Emmanuel of Naples, Rocco of Cesinale, Appolinarius of Valencia, Hugo Schuchardt, Francesco Castaldi, Michele Tamarati, Vincenzo Di Donna, Zhamtaaghmtsereli, Valeri Silogava.

The first data concerning the works by Bernard Maria of Naples are preserved in the work entitled *Historical and Chronological News about the Minor Capuchin Brothers in the Naples Province* written by Emmanuel of Naples in the middle of XVIII century, which is unpublished so far and preserved in the archives of the Naples Province. However, specialists have learnt about works first from Rocco of Cesinale, the historian of *Capuchin Order*. In the third volume of his monumental *The Mission of Capuchin's history* published in 1873 in Rome, big interest is paid to Bernard Maria of Naples. His knowledge in philosophy and theology is highlighted, and is retold about his missionary work.

The topic explores the personal archives of an Italian Capuchin monk, Antonio Cioffi (Cioffo), better known as Bernard Maria of Naples (1628-2.02.1707). The only information we have had about his archives until today is that provided by Hugo Schuchardt and Michele Tamarati.

As is well known about the life of this monk, a missionary in the Kingdom of Kartli from 1670 to 1677, Bernard Maria of Naples had learnt the Georgian language fluently and had become accustomed to the life and the customs of the Georgians; in addition, he left a unique body of materials in Georgian and Italian about the Georgia of his age.

We have examined: the unpublished *Historical and Chronological News about the Minor Capuchin Brothers in the Naples Province* (mid-18<sup>th</sup> cent.) by Emmanuel of Naples, the 3<sup>rd</sup> volume of the *History of the Capuchins' Mission* (1873) by Rocco of Cesinale, which is based on Emmanuel of Naples's work, the *Library of the Capuchin Brothers of the Naples Province* (1886) by Appolinarius of Valencia, Hugo Schuchardt's study in two different versions (1896), as well as the lists of manuscripts and printed materials compiled by Francesco Castaldi (1896), Michele Tamarati (1902), two unknown Italian archivists of the 19<sup>th</sup> century, Vincenzo Di Donna (1912), and, finally, the documents, preserved in the AS collection under the superintendence of the National Library of Naples, that concern the collocation of Bernard Maria's manuscripts and printed materials within the library.

A comparative study of various lists of the manuscripts and the printed books from the personal archives of Bernard Maria of Naples, compiled by various scholars, as well as of other documentary material has led us to the conclusion that between the years 1886-1936, five archival units were lost. Among them is a very important historical source: a 38-page excerpt from the *Hundred Years Chronicle* by Zhamtaaghmtsereli which had been copied by Bernard Maria of Naples. It is the oldest copy of the work and so to find it in the Italian and Vatican archives or private collections remains an important challenge for researchers.

# ინტერპრეტაცია

პონსტანტინე ბრეგაძე  
(საქართველო)

## ლიტერატურული ტრადიციის გაგება ქართულ მოდერნიზმში შესავალი

თითქოს იმთავითვე ცხადია, რომ მოდერნიზმის ესთეტიკა და პოეტოლოგია ცალსახად უნდა უპირისპირდებოდეს და უკუაგდებდეს ნარსულ ესთეტიკურ და პოეტოლოგიურ გამოცდილებას, რაც ლიტერატურული მოდერნიზმის ყველაზე რადიკალურ ფრთაში, ავანგარდიზმში (ფუტურიზმი, დადაიზმი) მართლაც ცალსახა და უპირობოა. მაგრამ, როდესაც მოდერნისტული ლიტერატურა, კერძოდ, ე. ნ. „კლასიკური მოდერნიზმი“ (სიმბოლიზმი, ექსპრესიონიზმი, ასევე მოდერნისტულ ლიტერატურულ მიმდინარეობათავაგან მიღმა მდგომი მოდერნისტი ავტორები – ჰ. ჰესე, ჰ. ბროხი, რ. მუზილი, ა. დიობლინი, ფრ. კაფკა, მ. პრუსტი, ჯ. ჯოსი და სხვ.) ნარსული ლიტერატურული ტრადიციის ლირებულებებს გადააფასებს, ეს, უპირველესყოვლისა, უკავშირდება რეალიზმს (შესაბამისად, ნატურალიზმს), რომლის ფარგლებშიც მოცემულია ე. ნ. მიმეზისის პრინციპებით ოპერირება, და რომელიც ქრონოლოგიურად უშუალოდ წინ უსწრებს მოდერნიზმს.

მოდერნიზმი აპრიორული დაპირისპირებისა და უარყოფის საგანია რეალიზმის პოეტიკის კონვენციონალიზმი და რეგლამენტურობა: კერძოდ, მოდერნიზმი უპირისპირდება და უკუაგდებს რეალიზმის ფარგლებში მოქმედ მიმეზის პრინციპს და ამ პრინციპის საფუძველზე განვითარებულ ე. ნ. ილუზიის ესთეტიკას, ასევე უკუაგდებს რეალიზმის „რაციონალურ“ ენას, სიუჟეტის ლინეალურობას, თხრობის ერთპლანიანობას, კომპოზიციის ტექტონიკურობას, ქრონოტოპის ცალმხრივობასა და მონოლითურობას, პერსონაჟთა ფსიქოლოგიზებას, მნერლობის არავტონომიურ გაგებას, ე. ნ. „დემოკრატიულობას“, ჭეშმარიტებაზე პრეტენზიას, აუქტორიალობას, „იდეოლოგიურობას“, დეტერმინებულობას, სამყაროს პარმონიულობის ილუზიას, ტოტალურობაზე პრეტენზიას (Andreotti 2009: 222-224).

მაგრამ ამის პარალელურად მოდერნიზმი ასევე ცდილობს ნარსული ლიტერატურული გამოცდილების გააზრებასაც და გაზიარებასაც, ოღონდ მისი ორიენტაციის ობიექტია ის ლიტერატურული ეპოქები და მიმდინარეობები, სადაც პრინციპისად უარყოფილია მიმეზისის პრინციპი და ზემოთჩამოთვლილი პოეტიკური მახასიათებლები: კერძოდ, ევროპული ლიტერატურული მოდერნიზმი ორიენტაციას იღებს ბარკოსა და რომანტიზმის პოეტოლოგიურ ტრადიციაზე.

ქართულ ლიტერატურულ მოდერნიზმშიც (სიმბოლიზმი, ექსპრესიონიზმი) ტრადიციასთან დამოკიდებულება ზუსტად ისეთივეა, როგორც ეს ევროპულ მოდერნიზმშია: აქაც ცალსახად უკუაგდებულია მისი უშუალო წინამორბედი ლიტერატურული მიმდინარეობების – რეალიზმისა და ნატურალიზმის – პოეტოლოგია და მსოფლმხედველობა, მაგრამ ამის საპირისპიროდ გამოკვეთილია ორიენტაცია

ისეთ ლიტერატურულ გამოცდილებაზე, რომელიც ოპერირებს ანტიმიმეზისის პრინციპებითა და მისატიკურ-საკრალურ-მითოსური ინტენციებით: კერძოდ, აქ ორიენტაცია აღებულია რუსთაველის, გურამიშვილის, ბესიკის, ბარათაშვილის ენობრივ, სახისმეტყველებით გამოცდილებასა და ონტოლოგიურ ხედვებზე.

ამ თვალსაზრისით, ქვემოთ განვიხილავთ ქართველი მოდერნისტების შემდეგ საპროგრამო ტექსტებს: ტ. ტაბიძის სიმბოლიზმის მანიფესტს „ცისფერი ყანწებით“ და კ. გამსახურდიას ექსპრესიონიზმის მანიფესტს “Declaratio pro mea”, სადაც კარგად ჩანს მათი ლიტერატურული სიმპატია-ანტიპატიები და ლიტერატურული ტრადიციის მათეული გაგება.

მაგრამ მანამადე ყურადღებას მივაპყრობთ ტრადიციის ცნების გრიგოლ რობაქიძისეულ გაგებას, რაც, ვფიქრობთ, სწორ ორიენტაციას მოგვცემს, რათა მართებულად გავიაზროთ ლიტერატურული ტრადიციის გაგება ქართულ მოდერნიზმში.

## 1. „ტრადიციის“ ცნების გაგება გრიგოლ რობაქიძესთან

მიგვაჩინა, რომ ტრადიციის ცნების რობაქიძისეული განმარტება ეხმიანება ქართული ლიტერატურული მოდერნიზმის — და, ზოგადად, მოდერნიზმის — ფარგლებში შემუშავებულ ობიექტის არამიმეტური ასახვის ესთეტიკურ და მსოფლმხედველობრივ პრინციპებს, რაც უკავშირდება მოდერნისტების სწრაფვას „ყოფიერების განვრცობისასამი“ (“Seinszuwachs”) (გადამერი):

„შინაგანი გეზი ამ ნარკვევისა („საქართველოს სათავენი“ – კ. ბ.) მოქცეულია იმ მსოფლხედვაში, რომელსაც „ტრადიციულს“ უხმობენ. „ტრადიცია“ – სიტყვა უცხო. ფრანგულად: *tradition*, გერმანულად: *Überlieferung*, რუსულად: „პრედანი“, ქართულად: „გადმოცემა“. ნაგულისხმევია არა ჩვეული გაგება ამ ცნებისა – მაგალითად, არა ესა თუ ის ჩვეულება რომელიმე ტომისა თუ გვარისა, არამედ: ხილვით თუ ქმედებით გამოსვლა მეტაფიზიურ სათავეებიდან“ (რობაქიძე IV 2012: 84).

სწორედ ქართველი მოდერნისტებისათვის (თავად გრ. რობაქიძე, კ. გამსახურდია, გ. ტაბიძე, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი და სხვ.) ხდება უმნიშვნელოვანესი „მეტაფიზიურ“ საწყისებიდან ამოსვლა, მისადმი სწრაფვა და ამ მსოფლმხედველობრივ, ესთეტიკურ და ეთიკურ სწრაფვებში რეალიზმის კონკრეტონალური ენისა და რეგლამენტირებული პოეტიკის უკუგდება. ქართველი მოდერნისტების რწმენით, შექმნილ ვითარებაში (მე-20 საუკუნის 10-იანი წლები) ქართული ლიტერატურის მოდერნისტული ესთეტიკისა და პოეტოლოგიის პრინციპების საფუძველზე განახლება და განვითარება სწორედ ამ გენერალურ ხაზს უნდა დაყრდნობოდა – მეტფიზიკურ საწყისებიდან ამოსვლას, მათ გახსნას, წვდომასა და გაცხადებას. ეს კი, ხაზს ვუსვამ, იმთავითვე გულისხმობს კონვენციონალური ენისა და პოეტიკის დაძლევასა და უარყოფას, მიმეზისის უკუგდებასა და ანტიმიმეზის ტური ტენდენციების განვითარებას.

## 2. ლიტერატურული ტრადიციის გაგება ქართულ სიმბოლიზმში: ტ. ტაბიძის „ცისფერი ყანწებით“

ქართული სიმბოლიზმი საკუთარ პოეტიკას, ესთეტიკას და მსოფლმხედველობას პრინციპულად უკავშირებს სწორედ იმ ლიტერატურულ ტრადიციას, სადაც იმთავითვე აღიარებული მწერლობის ავტონომიურობის პრინციპი – ანუ, ორიენტაცია აღებულია როგორც ქართულ, ისე იმ ევროპულ ლიტერატურულ ტრადიციაზე, სადაც ხელოვნება, მწერლობა, ერთი მხრივ, წმინდად სახელოვნებო და, მეორე მხრივ, ტრანსცენდენტურობის წვდომის ამოცანების გადაჭრას ესწრავის. ასეთად ევროპული ლიტერატურიდან მიჩნეულია რომანტიზმი, ხოლო ქართული ლიტერატურიდან – რუსთაველისა და ბესიკის შემოქმედება:

„ცისფერი ყანწები“ შეეძლო გერბად აეღო მთელ ქართულ ხელოვნებას. ეს სიტყვები სიმვოლიურად აღნიშნავენ ჭეშმარიტ ქართულ მსოფლმხედველობას. „ცისფერი“ ფერია რომანტიზმის, მისი ემბლემა. ნოვალისმა გამოიტირა მისტიკა ცისფერი ყვავილის. ეს ყვავილი ატირებაა არჩეული სულის შორეულ ნათელ ქვეყანაზე. [...] ამ ორ პოეტში (რუსთაველსა და ბესიკში – კ. ბ.) საქართველომ შეკრიბა მთელი თავისი მხატვრული ენერგია. [...] „ვერცხისტყაოსნის“ პროლოგში საფუძველი ეყრება ქართულ პოეტიკას, რუსთაველისათვის შაირობა სიბრძნის ერთი დარგია, „საღვთო საღვთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი“ [...] რუსთაველი იცავს პრიმატს მუსიკისას ლექსში, რაშიც ის ხვდება ედგარ პოს და პოლ ვერლენს. რუსთაველის შემდეგ უდიდესი პოეტი იყო ბესიკი. [...] მისი ლექსის კულტურა, მისი რითმის სიმდიდრე, მჭრელი ეპიტეტი, ნაჩილთა ნიუანსების გამოხმობა, ენის მუსიკალურ ენერგიის ჯაღიერობა იმას აიყვანს ქართულ სიმვოლიზმის მამათმთავრად“ (ტაბიძე 2012: 145, 146, 147).

შესაბამისად, ესთეტიკური ამოცანა დგას ასე: დაიძლიოს ქართული რეალიზმი და ქართული მწერლობა დაუბრუნდეს ფორმის დახვენის, პოეტური ენის „გაირაციონალურებისა“ და კონვენციონალურობისაგან გათავისუფლების ტრადიციებს, დაუბრუნდეს მუსიკალობას, ასევე, ანტიმიმეზისისა და ყოფიერების განვრცობის ესთეტიკურ ამოცანებს, ასევე ორიენტაცია აიღოს საღვთო საგნებისადმი სწრაფვაზე (რუსთაველურ და რომანტიზმის დისკურსთა განახლება). ტიციან ტაბიძის ესთეტიკური და პოეტიკური მიზანდასახულობაა კოდირებული: ერთი მხრივ, რუსთაველი და მაღარმე განასახიერებენ „წმინდა“ ხელოვნების, წმინდა პოეზიისადმი მსწრაფ შემოქმედებს, მეორე მხრივ, მათ შემოქმედებაში განხორციელებულია პოეტური ენის ფორმალური სრულყოფა, რაც გულისხმობს კონვენციონალური ენის რაციონალიზმისა და ენობრივი ნიშნის ერთჯერადობის, კონვენციონალური პოეტური სინტაქსის უკუგდებას, გულისხმობს აქცენტს მუსიკალობასა და პოეტური მეტყველების სუგესტიურობაზე:

„იყო გამარჯვება სრული „თერგდალეულთა“, მაგრამ ეს იყო დამარცხება მთელი შემდეგი ხელოვნებისა. ამ დღიდან ამოიშალა ქართულ პოეზიაში ძველი სული (ე. ი. პოეზიის რუსთაველური და ბესიკისეული მაღალი გაგება – კ. ბ.). ამ „ცრურუსთაველებმა და ლიბერალებმა“ მწერლობა გაიხადეს სამიტინგო ზალად და პო-

ეზია გაზეთად. ილია ჭავჭავაძემ სამუდამოდ დაწყევლა „ფრინველი გარეგანი“ და „ტკბილი ხმები“. აკაკი წერეთელმა „გარემოების საყვირით“ ძალიან ბევრი იყვირა. ყველა ეს ლექსები ბანების ოპოზიციაზე და ადვოკატებზე დარჩება, როგორც პოლიტიკური სატირის არა ნიჭიერი ნიმუშები. [...] ჩვენ უარს არ ვყოფთ „მესამოციანელთა“ მნერლობის საზოგადოებრივ დამსახურებას, მაგრამ იმათ სამაგიეროდ არ აქვთ ესტეტიური დამსახურება. თავიანთი გაადვილებული ორთოგრაფიით იმათ დამარხეს ქართული ლექსი“ (აქ კი გასაკვირი და უცნაურია, რომ თავისი უარმყოფელი კრიტიკული პათოსის ფონზე ტ. ტაბიძე აქცენტს ორთოგრაფიაზე აკეთებს და არა ქართველი რეალისტი პოეტების კონვენციონალურ პოეტურ მეტყველებასა და პოეტური ასახვის მიმეტურობაზე – კ. ბ.) (ტაბიძე 2012: 149).

აქ აშკარად ჩანს ტ. ტაბიძის სწრაფვა მნერლობის, პოეზიის, ხელოვნების ავტონომიურობის პრინციპის აღდგენისაკენ, რის საფუძველზეც მოცემულ ეტაპზე ქართული მნერლობა უნდა გამოსულიყო სოციალური ანგაუირებულობის დეტერმინებული მდგომარეობიდან („გარემოების საყვირი“), რაშიც იგი ჩააგდეს ქართველმა რეალისტებმა და დაბრუნებოდა თავის პირველსაწყისებს, გენერალურ ხაზს, ანუ დაბრუნებოდა ქართული პოეზიის არტისტულ და სპირიტუალურ ტრადიციას, რაც, ტ. ტაბიძის თანახმად, უკავშირდება რუსთველისა და ბესიკის პოეზიას, სადაც განხორციელებულია პოეზიის/მნერლობის ავტონომიურობის პრინციპი, რაც გულისხმობს ხელოვნებას ხელოვნებისთვის, „წმინდა“ პოეზიისკენ სწრაფვას.

პრაქტიკული თვალსაზრისით კი ეს მოდერნისტული ამოცანა „ცისფერყანელ“, „სიმბოლისტებზე“ სრულყოფილად სწორედ „წმინდა“ სიმბოლისტის გ. ტაბიძის სიმბოლისტურ პოეზიაშია რეალიზებული (იხ. კრებული „არტისტული ყვავილები“) და მოდერნისტული პოეზიის თუნდაც ამ ნიმუშში:

დგება თეთრი დღეები,  
რიდეების სეზონი;  
გაჩდნენ ორხიდეები  
ყოვლად უმიზეზონი.

ლაშვარდების კიდეო,  
დაბურულო ზმანებით,  
ლურჯო მონტევიდეო,  
ვიწრო ხელთათმანებით;

სულში ნისლის ტბებია  
და ქაოსის მხატვარი,  
სადაც ველარ თბებიან  
ფრთები ნამკათათვარი.

(ტაბიძე 2011: 190)

ქართველი სიმბოლისტების მიერ რეალიზმის უარყოფას წმინდად პოლიტიკური შინაარსიც ჰქონდა: მათ აღქმაში რეალიზმი რუსული კოლონიალური იდეოლოგიის („ყიზილბაშური თეორია“, ტ. ტაბიძე) გამოხატულებაა: ტიციან

ტაბიძეს ქართულ სინამდვილეში აღმოცენებული ლიტერატურული რეალიზმი რუსული ხალხოსნურ-აღმზრდელობითი ლიტერატურის გაგრძელებად მიაჩნდა („ეს მისიონერობა და ცხოვრების დამრიგებლობა“) და მისი აზრით, რუსული რეალიზმის კოპირება ავტომატურად ნიშნავდა ამ იდეოლოგიის საქართველოში გადმოტანას, რაც პირდპირპროპრციული იყო ევროპული კულტურული და ესთეტიკური სივრცისაგან საქართველოს საბოლოო მოწყვეტის:

„მესამოციანელთა“ მწერლების იოლი ხელით შემოტანილი ხორბალი (ანუ, რუსული რეალისტური და ხალხოსნური მწერლობა — კ. ბ.) ამოდის რუსულ ქრად. ყოველი რუსული არა თუ შეკოლა, სექტაც კი ინვევს საქართველოში თავის სახეს: მონანიებული აზნაურები, ხალხოსნები, ნიჰილისტები... და ეს კიბე გრძელია. მხოლოდ გაუგებრობას შეეძლო ქართული ხელოვნების რენესანსი ამ მწერლებიდან დაეწყო. [...] და დღეს უიმედოთ გაჰკივის მოქალაქეობრივი არღანი კაკაფონიას. ყველა უნიჭო, უსახო, ენაბლუ, ვისაც ხელი არ ეღლება, სტანჯავს დღეს ქართულ პოეზიას“ (ტაბიძე 2012: 150).

ამიტომაც, ტიციან ტაბიძე, შესაბამისად, „ცისფერყანწელთა“ დაჯგუფება, ქართული მწერლობის ესთეტიკური ალორძინებისა და განახლების, მისი „ევროპული რადიუსით“ (ტ. ტაბიძე) გამართვის ამოცანებს ქართული წარსული ლიტერატურული გამოცდილებიდან უკავშირებს რუსთაველს და ბესიქს, როგორც სიტყვის ოსტატებს, როგორც „წმინდა“ ხელოვნების წარმომადგენლებს (თავისთავად, ევროპელ მოდერნისტებსაც, კერძოდ, ფრანგ სიმბოლისტებს — შდრ., პაოლო იაშვილის სიმბოლიზმის მანიფესტი „პირველთქმა“). ხოლო პოლიტიკური ორიენტაციისა და კულტურული აღორძინების საკითხებს ცალსახად უკავშირებს ევროპულ მოდერნიზმს (ბრეგაძე 2015: 58-61). შესაბამისად, ქართულ სიმბოლიზმში საკითხი დგას იმ პროვინციალიზმისა და არაესთეტიკურობის უპირობო დაძლევის შესახებ, რაშიც ქართული რეალიზმის წყალობით აღმოჩნდა ქართული მწერლობა (ამ საკითხებზე დაწვრილებით იხ. ჩემი სატატია „ქართული მოდერნიზმი როგორც ოქციდენტოცენტრიზმი“ – ბრეგაძე 2015: 56-72):

„ცისფერი ყანწები“ როგორც შეკოლა თავის თავს ამტკიცებს ეროვნულად. ინდივიდუალიზმი, თავისუფლება შემოქმედებაში, ხელოვნების თვითმიზნობა, რომელსაც ქადაგებს ეს შეკოლა, არ არის ახალი. რუსთაველის და ბესიქის შემდეგ ამის მტკიცება თითქოს გაუგებრობაა. [...] მაგრამ მთავარი დებულების გამართლება შეიძლება ძველ ქართულ პოეტიკაზე დაყრდნობით. ჩვენ უარს ვეუბნებით ჩვენს ახლობელ წინაპართა ნაშრომს (ანუ, ქართველ რეალისტ მწერლებს – კ. ბ.), რამდენადაც ის არ აქმაყოფილებს, როგორც საზოგადოთ ხელოვნების, ისე ქართული ძველი ხელოვნების მოთხოვნილებათ“ (ტაბიძე 2012: 151).

### 3. ტრადიციის გაგება ქართულ ექსპრესიონიზმში: კ. გამსახურდიას ექსპრესიონიზმის მანიფესტი “Declaratio pro mea”

თავის მანიფესტში ექსპრესიონისტი კონსტანტინე გამსახურდია ქართულ რეალიზმს ბრალს სდებს პროვინციალიზმსა და დეტერმინებულობას, ასევე რომანის უანრის ვერ განვითარებას, ვინაიდან, კ. გამსახურდიას აზრით, ქართული რეალიზმის ასახვის ერთადერთი ობიექტი იყო ქართული პროვინციული კოლო-

ნიური ყოფის სოციალური პრობლემატიკა (შდრ., ილიას, დ. კლდიაშვილის, ე. ნინოშვილის, ე. გაბაშვილის და სხვ. მოთხრობები), ან იგი ავითარებდა პროვინციულ ისტორიზმს (შდრ., აკ. წერეთლის „თორნიკე ერისთავი“):

„დღეს ქართული ლიტერატურა გენერალურად ვერ გასცილებია რეალიზმისა და სციმბოლიზმის გადამლერებას (აქვე სიმბოლიზმის კრიტიკაც მოულოდნელი არაა, თუკი გავითვალისწინებთ, ევროპული, კერძოდ, გერმანული ექსპრესიონიზმის, – რომელზეც ორიენტაციას იღებდა კ. გამსახურდია, – ანტაგონიზმს სიმბოლიზმის მიმართ. თუმცა, ექსპრესიონიზმში სიმბოლიზმის კრიტიკის მოტივი, ცხადია, განსხვავებულია: კერძოდ, ექსპრესიონიზმი თავის თავს მოიაზრებს მოდერნისტული ლიტერატურის ახალ ფაზად, მოდერნისტული ლიტერატურის ახალ ხარისხში აყვანად და სიმბოლიზმის ექსპრესიონიზმისეული კრიტიკაც სწორედ ამითავა განპირობებული – კ. ბ.). გარდა ამისა, ქართული პოეზია ლირიკაში გაიყინა, მარტოდენ ლირიკა არა ლიტერატურა. ქართულმა პოეზიამ ვერ აიცილა სოფლურ-პრიმიტივული ელფერი. ახალმა (ანუ, მოდერნისტულმა – კ. ბ.) ქართულმა პოეზიამ, ქართულმა დრამამ, ქართულმა რომანმა უნდა გადალახოს ნაციონალური ხელოვნების სანიშნოები, ახალი კულტურა შეუძლებელია სოფლური ელფერით, და ახალი კულტურა დიდი ქალაქითა მუდამ დაშტამპული“ (გამსახურდია 1983: 399-400).

მსგავსი კრიტიკული პათოსი ქართული რეალიზმის მიმართ და მისი პროვინციალიზმის, არაესთეტიკურობისა და მსოფლმხედველობრივი შეზღუდულობის აპრიორული უარყოფა შემდგომ განვითარებულია კ. გამსახურდიას ბოლოსიტყვაობაში თავისი პირველი (ექსპრესიონისტული) რომანისათვის „დიონისოს ლიმლი“ (1925):

„ცნობილია: გასული საუკუნის ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობას კულტურული რომანის ტრადიცია არ დაუტოვებია (ანუ, საუბარია პოეტოლოგიური, სულიერი, მსოფლმხედველობრივი და გეოგრაფიული თვალსაზრისით პანორამულ ურბანისტულ რომანზე – კ. ბ.). [...] ცალკეული ცდები რომანის დაწერისა მე-19 ს. ქართულ მწერლობაში უპირატესად სოფლურ ყოფას ემყარებოდა, მემამულეთა წრეს, ხოლო პერსონაჟებს ამგვარი პორზისას უკულტურ მემამულენი, თავადები, აზნაურები, მღვდლები და განუსწავლელი (აქ: „ხალხოსანი“ – კ. ბ.) მასწავლებლები შეადგენდა. [...] „დიონისოს ლიმილში“ მე პირველად ვცადე ქალაქური ყოფის ასახვა და ქართული რომანის პერსონაჟების გალლერეაში პირველად შემოვყვანე დიდი სულიერი კულტურის მატარებელი გმირი“ (გამსახურდია 1992: 381).

ექსპრესიონიზმი თავისი არსით უნივერსალური სწრაფვების, „კოსმიური შეგრძნებების“ (“*kosmisch empfinden*”) (ნიცე) გამომხატველი ესთეტიკური ფენომენია, რომელიც ამავდროულად დიდ ყურადღებას აქცევდა პოეტური გამოთქმის ტექნიკას. ამიტომაც, კ. გამსახურდია წარსული ქართული ლიტერატურული გამოცდილებიდან გამოყოფდა იმ მწერლებს, ვის შემოქმედებაშიც, ერთი შხრივ, იგრძნობა კოსმიურობა, ჰეროიკული პესიმიზი, ტრანსცენდირების დისკურსი, ექსტაზი, მეორე მხრივ, პოეტური ენის დახვენილობა და სისავსე. ასეთ ავტორად კი მას მიაჩნია, დავით გურამიშვილი (და აქ კ. გამსახურდია, „ცისფერყანწელები-

საგან“ განსხვავებით, პრინციპულად უარყოფს გურამიშვილის თანამედროვე ბე-სიკის მისი „ორიენტალიზმისა“ და „აკოსმიურობის“ გამო):

„რელიგიოზური მისტიკაა ძირული ფონი ახალი ექსტატიური პათოსის. ექსპრესიონიზმი თავის ფესვებს მთელს სამყაროში ეძიებს. ექსპრესიონიზმი კოს-მიურია, იგი ნაციონალური ხელოვნების (იგულისხმება ქართული რეალიზმი – კ. ბ.) არტახებში არ ეტევა. საქართველოშიაც ჰყავს ექსპრესიონიზმს თავისი წინაპარი: ეს იყო დავით გურამიშვილი. გურამიშვილის შემდეგ ქართული ლიტერატურა ღერ-ძიდან გადავარდა. მის გზას ქართველი აქტივისტები (ანუ, ექსპრესიონისტები – კ. ბ.) გააგრძელებენ“ (გამსახურდია 1983: 399).

ექსპრესიონისტი კ. გამსახურდიასათვის ესთეტიური ენობრივი პოლიტიკი-სა და საკუთარი ექსპრესიონისტული გამოთქმის ტექნიკის თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია ქართული აგიოგრაფიის ავტორები, კერძოდ, გიორგი მერჩულე (შდრ., მისი „გრიგოლ ხანძთელის (ცხოვრება“) და ე. წ. „აღორძინებისა“, თუ „ქარ-თული ბაროკოს“ ავტორი სულხან-საბა ორბელიანი, რომელთა ენობრივ დის-კურსზეც ორიენტაციას იღებდა კ. გამსახურდია თავისი პირველი (ექსპრესიონისტული) რომანის „დიონისოს ლიმილის“ (1925) ენობრივი ქსოვილის შექმნისას. ამ კონტექსტში კი მისი კრიტიკის საგანი იმთავითვეა ქართული რეალისტური პო-ზის მხატვრული ენა:

„ამ საუკუნის (ე. ი. მე-19 საუკუნის – კ. ბ.) პროზას გენეტიკური კავშირი ჰქონდა გაწყვეტილი, როგორც იდეურად, ისე სტილისტურად, მე-18 საუკუნის დიდი ქართული პროზის ტრადიციებთან (მხოლოდ საბას ვეულისხმობ), იგი სავ-სებით დაშორებული იყო, როგორც „ვისრამიანის“, ისე „ქილილა და დამანას“ და ქართული ჰაგიოგრაფიული პროზის მშვენებისაგან (გრ. ხანძთელის ცხოვრება და სხვ.)“ (გამსახურდია 1992: 381).

## დასკვნა

1. ლიტერატურული მოდერნიზმისთვის მნიშვნელოვანია წარსული ესთეტი-კური გამოცდილებაც, რაც ევროპულ მოდერნიზმში, პირველ რიგში, უკავშირდება რომანტიკიზმისა და ბაროკოს პოეტოლოგიასა და მსოფლ-მხედველობას: ლიტერა-ტურული მოდერნიზმისთვის, როგორც იმთავითვე ანტიმიმეტური ესთეტიკისათ-ვის, უაღრესად მნიშვნელოვანია წარსული ლიტერატურული ტრადიციის სწორედ ის ნაწილი, რომელიც არამიმეტური პრინციპებით ხელმძღვანელობს და წარსული გამოცდილებიდან ამას, უპირველესყოვლისა, სწორედ რომანტიზმისა და ბარო-კოს ლიტერატურაში მიაკვლევს.

2. ქართულ ლიტერატურულ მოდერნიზმშიც ტრადიციასთან მიმართება ზუსტად ისეთივეა, როგორ ეს ევროპულ მოდერნიზმშია: აქაც ცალსახად უკუ-გდებულია მისი უშუალო წინამორბედი ლიტერატურული მიმდინარეობების – რეალიზმისა და ნატურალიზმის – პოეტოლოგია და მსოფლმხედველობა, მაგრამ ამის საპირისპიროდ გამოკვეთილია ორიენტაცია ისეთ ლიტერატურულ გამოც-დილებაზე, რომელიც ოპერირებს ანტიმიმეზისის პრინციპებითა და მისტიკურ-საკრალურ-მითოსური ინტენციებით.

3. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ტრადიციის ცნების გრიგოლ რობაქიძის ისეული განმარტება, რომლის მიხედვითაც, მნიშვნელოვანია ის ლიტერატურული ტრადიცია, რომელიც სწორედ „მეტაფიზიურ“ საწყისებიდან ამოდის, ისნრაფვის ამ საწყისებისაცენ და ამ ესთეტიკურ სწრაფვებში ავლენს ენისა და პოეტიკის კონვენციონალურობის უკუგდების აუცილებლობას (იხ. ეს სე „სიტყვის როიადა“). ეს პუნქტი კი მნიშვნელოვანია რობაქიძისთვის იმდენად, რამდენადაც იმუამინდელ ვითარებაში ქართული ლიტერატურის განახლება და მოდერნისტული ესთეტიკისა და პოეტოლოგის პრინციპებით განვითარება სწორედ ამ გენერალურ ხაზს უნდა დაყრდნობოდა – მეტაფიზიკურ საწყისებიდან ამოსვლას, მათ გახსნას, წვდომასა და გაცხადებას. ეს კი იმთავითვე გულისხმობს რეალიზმის კონვენციონალური ენისა და პოეტიკის დაძლევასა და უარყოფას, მიმეზისის უკუგდებასა და ანტიმიმეტური ტენდენციების განვითარებას.

#### დამოწმებანი:

Andreotti, Mario. *Die Struktur der modernen Literatur*, Bern/Stuttgart: Haupt Verlag, 2009.

Bregadze, K'onst'ant'ine. „Kartuli Modernizmi Rogorts Oktsident'otsent'rizmi“. *Sjani. 16* Tbilisi: 2015:

56-72 (ბრეგაძე, კონსტანტინე. „ქართული მოდერნიზმი როგორც ოქციდენტოცენტრიზმი“. სჯანი. 16 თბილისი: 2015, გვ. 56-72).

Gamsakhurdia, K'onst'ant'ine. *Tkhzulebani 10 T'omad, t'*. 7. Tbilisi: gamomtsemloba „sabch'ota sakartvelo“, 1983 (გამსახურდია, კონსტანტინე. თხზულებანი 10 ტომად, ტ. VII. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1983).

Gamsakhurdia, K'onst'ant'ine. *Tkhzulebani 20 T'omad, t'*.2. Tbilisi: gamomtsemloba „didost'at'i“, 1992 (გამსახურდია, კონსტანტინე. თხზულებანი 20 ტომად, ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „დიდოსტატი“, 1992).

Robakidze, Grigol. *Nats'erebi 5 T'omad, t'*. IV. Tbilisi: lit'erat'uris muzeumis gamotsema, 2012 (რობაქიძე, გრიგოლ. ნაწერები 5 ტომად, ტ. IV. თბილისი: ლიტერატურის მუზეუმის გამოცემა, 2012).

T'abidze, Galak't'ion. Leksebi. *Kartuli Mts'erloba, t'*. 36. Tbilisi: gamomtsemloba „nak'aduli“, 2011 (ტაბიძე, გალაკტიონ. ლექსები. ქართული მწერლობა, ტ. 36. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 2011).

T'abidze, T'itsian. „Tsisperi Q'antsebit“. *Lit'erat'uruli Jurnalebi, 1910-1920-iani Ts'lebi (otkh ts'ignad), P'irveli Ts'igni*. Tbilisi: lit'erat'uris muzeumis gamotsema (ტაბიძე, ტიციან. „ცისფერი ყანებით“. ლიტერატურული უურნალები, 1910-1920-იანი წლები (ოთხ წიგნად). პირველი წიგნი. თბილისი: ლიტერატურის მუზეუმის გამოცემა, 2012).

Konstantine Bregadze  
(Georgia)

## The Understanding of Literary Tradition in Georgian Modernism

### Summary

**Key Words:** European Modernism, Georgian Modernism, Literary Tradition

It seems clear from the beginning that the aesthetics of modernism and poetics uniquely should oppose and reject the aesthetics and poetical experience of the past, which the literary avant-garde, in particular, in the Futurist and Dadaist Movement is clearly and unconditionally so. But when in the Modernist literature the re-evaluation of the literary tradition and past values takes place, it is, first of all connected with the literary tradition which operates with the so-called Mimesis principles and, in this case, chronologically precedes modernism -realism and naturalism.

But, on the other hand, for the literary modernism the past aesthetic experience is rather important, which in European modernism, is primarily associated with Romanticism and Baroque Poetics and Worldview: For the Literary modernism as an inherently holder of the anti-mimetic aesthetics very important in the past literary tradition is the part that is guided by anti-mimetic principles and which, first of all, was found in the Romanticism and Baroque literature.

In the Georgian literary modernism the relation with tradition is the same as in European modernism: its predecessor literary trends - Realism and Naturalism and their poetics and worldview are being refused, but on the contrary it clearly orientates on the literary experience, which supports anti-mimetic principles and mystical-sacral-mythological intentions.

Grigol Robakidze's definition of the concept of Tradition is rather important in this context; According to which for Robakidze important are those literary traditions which raises from the "Metaphysic" roots, seeks to the origins and in this reveals the need of refusing language and poetry. This point is important for Robakidze's to the extent that he believes that Georgian modernist aesthetics and literature should develop according to these general principles – to rise from Metaphysical roots, to open them, access and use them. This implies the reduction and denial of language and poetry at the very beginning and refusal of the conventional and anti-mimetic tendencies.

In this context important are the texts and manifestos of the Modernists - where tradition is understood like the concept of Robakidze: Expressionist manifesto of K. Gamsakhurdia - "Declaratia Pro Mea"; Paolo Iashvili "Pirveltkma" and Titian Tabidze's "The Brotherhood of the Blue Horns".

The article deals with the literary-theoretical letters and literary manifestoes of Grigol Robakidze, Konstantine Gamsakhurdia, and Titian Tabidze and based on it defines and analysis of how Georgian Modernists understood the essence of Literary Tradition.

The article outlines that Georgian modernism differently from Futurism and Dadaism did not entirely stand out from the Georgian Literary Tradition, but on the contrary like the European, so-called Classical Modernism, on the one hand from an aesthetic and political viewpoint principally neglected the general, realist and naturalist, namely Georgian Realistic Aesthetics, Poetics and approach; on the other hand took into account the past Georgian literary tradition and oriented on in aesthetic terms, namely the literary traditions of Rustaveli (Tsisperkhantslebi), Saba (K. Gamsakhurdia), Guramishvili (K. Gamsakhurdia), Besiki (Tsisperkhantslebi).

Modernist aesthetics a prior neglects and opposes the conventionalism and regalements of the poetics of realism, hence Modernism objects the principle of mimesis existing in realistic terms and the Illusionary Aesthetics derived from it, as well as the “rational” language, linear plot, monologist narration, technicity of composition, the one-sidedness of the chronotype and its monolithic nature, psychologize the characters, the non-autonomic understanding of the writer, claiming ultimate truth, “ideologism”, determinacy, the illusion of harmony in the world, claiming totality.

We believe that the understanding of the concept Tradition according to Georgian Literary Modernism – and Modernism in general – corresponds to the non-mimetic representation of the object and principles, which is in direct contact with the Modernist will to “Transcendentalism of Being” (“Seinszuwachs”) suggested by H.-G. Gadamer:

“The internal aim of the research (“At the Foundations of Georgia” – K.B) is caged in the viewpoint that is called “Traditional”. Tradition is a foreign word in French tradition, in German Überlieferung, in Russian: “Predanie”, Georgian: “Expression”. It includes not the traditional understanding of the concept – not like the custom and rituals of this or that tribe, but: visual and active deriving from the metaphysical foundations” (Robakidze IV 2012: 84).

The Georgian Modernisms (Grigol Robakidze, Konstantine Gamsakhurdia, Titian Tabidze, Galaktion Tabidze, Paolo Iashvili, Valerian Gaprindashvili and others) focus on the coming out of “Metaphysical” roots and striving towards the neglection of the conventional realistic language and allotted poetics and creating a new viewpoint with aesthetic and ethical principles.

Georgian Modernists believed that in the on-going situation (the 1910s) the renewal and development of Georgian Literary Modernist aesthetics and poetical principles should heavily lie of metaphysical foundations, their understanding, and application.

This in itself meant neglecting conventional language and poetics, refusing mimesis and creating non-mimetic tendencies.

## დარეჯან გარდავაძე (საქართველო)

### უდაბნო და მისი თილისმა, სუფიური მისტიკა იბრაჰიმ ალ-ქუნის რომანში „ოქროს ქვიშა“

„ჩემ მიერ გავლილი უდაბნო ჩემი სურვილების უდაბნო იყო“.  
(Eberhardt 2010: 163)

„რწმენა... ადამიანის მოწინებაა ყველაზე დიდი საიდუმლოს წინაშე და მისი წვდომა; მიხედრა იმისა, რომ რაღაც იდუმალი კავშირი არსებობს, ორ ღვთაებრივ მარადისობას რომ აკავშირებს – იმას, რომელიც აკვნამდეა და იმას, რომელიც სამარის მიღმაა“. (Rihani 2012: 161)

„მოთმინება სჯობს, არას გრგებს როცა ჩივილი“. შანფარა (Arab poets V-XX. 2013: 15)

„სასწაულთა კარი მუდამ ღიაა!..“ (al-Koni 1992: 16)

იბრაჰიმ ალ-ქუნი, ცნობილი თანამედროვე ლიბიელი პროზაიკოსი, ნოველისტი და რომანისტი, მრავალი ლიტერატურული პრემიის ლაურეატი, თანამედროვე არაბული რომანის ერთ-ერთ საუკეთესო ავტორად მიიჩნევა და სულ უფრო ცნობილი და აღიარებული ხდება ლიტერატურულ წრეებსა და კრიტიკაში. შეიძლება ითქვას, რომ დღეს მისი მწერლური კარიერის მწვერვალის მოწმენი ვხდებით.

წარმოშობით ტუარეგი, 1948 წ. დაიბადა და გაიზარდა ლიბიის უდაბნოს (წითელი ჰამადას) მახლობლად მდებარე ფეზანის ოაზისებში მდებარე პატარა ქალაქ ღადამესში. ბავშვობიდან შეისისხლორცა უდაბნო, მისი ცხოვრების წესი და მორალი.

1977 წ. დაამთავრა მაქსიმ გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი მოსკოვში, სადაც რუსულ ენას, მარქსისტულ ფილოსოფიასა და შედარებით ლიტერატურას სწავლობდა. პუბლიცისტური კარიერა სტუდენტობის წლებში დაიწყო. ლიბიის ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი იყო, მოსკოვში ლიბიის კულტურის ცენტრში მუშაობდა, წერდა სოციალიზმსა და პოსტკოლონიურ ლიბიაზე.

მის უურნალისტურ საქმიანობას სამწერლობო გზა მოჰყვა. როგორც მოგვიანებით კრიტიკოსებმა დაწერეს მასზე, სწორედ რუსულმა განათლებამ და რუსული ლიტერატურის ღრმა ცოდნამ – დოსტოევსკის, ტოლსტოის, ჩეხოვისა და სხვა რუსი მწერლების ნაწერებმა, მათ შორის, გორკის, შოლოხოვის, სოლუენიცინისა და ასევე ბახტიისეული ლიტერატურის თეორიის, ინტერტესტუალობის კონცეფცი-

ის ცოდნამ და ე. წ. სოციალისტური რეალიზმის მიმდინარეობის ლიტერატურათ-მცოდნეობითმა ანალიზმა იბრაჰიმ ალ-ქუნის, როგორც მწერლის, ინდივიდუალური ხელნერისა და მწერლური სტილის ჩამოყალიბებაში თავისი როლი ითამაშა და წარუშლელი კვალი დაამჩნია მას (Hamarneh 2014: 91), შექმნა ე.წ. ალ-ქუნის „მაგიური რეალიზმი“ (Colaa 2011: 175) სუფიური ფაბულებით, ეგზისტენციური კითხვებითა და რომანის პოეტიკით.

იბრაჰიმ ალ-ქუნის ნოველების და რომანების ფოკუსი უდაბნოსკენაა მიმართული. „მე აღარ ვცხოვრობ უდაბნოში, მაგრამ უდაბნო ცხოვრობს ჩემში“ – უყვარს მწერალს ამ სიტყვების ხშირად გამოირება. „უდაბნოს აშიკი“ – ასე ეძახის მას კრიტიკოსი აპლამ ალ-ფაშმი. უდაბნოს სუნთქვა, უდაბნოს ტონები, უდაბნოსთან ფიზიკური და მეტაფიზიკური სიახლოვე ძალიან დიდი დოზით იგრძნობა მწერლის ცხოვრებაშიც და მწერლობაშიც. ის რაღაც შინაგანი მექქვე გრძნობით აღიქვამს უდაბნოს მაჯისცემას, უდაბნოში ცხოვრების ფილოსოფიას, სიკვდილ-სიცოცხლის კანონზომიერებებსაც უდაბნოს ვექტორით, უდაბნოს პრიზმაში გამოტარებულს ხედავს. მისი მკითხველიც პირველივე გვერდებიდან გრძნობს, რომ უდაბნოს სცენები, ამდენი უცხო ტოპონიმიკა – უდაბნოს პატარა დასახლებების, მთების, ხეობების, ოაზისების სახელები, ამდენი დაწვრილებითი ეთნოგრაფიული დეტალი, ტუარეგების ყოფა-ცხოვრების, ზნე-ჩვეულებების ამსახველი ტრადიციები, ეს არაა გარეგნული, ზედაპირული ეგზოტიკის ელემენტების შემოტანა მკითხველის მოსახიბლად და მისაზიდად – ბედისწერა, დრო, წუთისოფლის ცვალებადობა, უდაბნოს თილისმა და ადამიანთა ხვედრი, მწერლის მიერ კლასიკური სუფიზმის პრინციპებითა და საოცარი მხატვრული ძალით ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთმანეთს გადაწყვეტილი, ჩაითრევს მკითხველს თავის ჯადოსნურ მისტიკაში და ამ ყველაფერზე სრულიად ახლებურად ჩააფიქრებს.

იბრაჰიმ ალ-ქუნი ერთადერთი არაა, ვინც უდაბნო აირჩია თავისი ლიტერატურული შემოქმედების მთავარ თემად, მაგრამ ის, რითაც ალ-ქუნი ნამდვილად გამორჩეულია მათ შორის, არის უდაბნოს კანონთა ზედმიწევნითი ცოდნა, რაც მის მწერლურ ხედვას ნარუშლელ კვალს აჩენს. ის ბუნებრივი სინყნარე, სიმშვიდე და აუმღვრევლობა, რომელიც უდაბნოს გაშლილ კოსმიურ სივრცეს აქვს, რომელიც ყველა ადამიანურ საწუხარს განაქარვებს, კაცის სულს წმენდს ავისგან და საოცარი ენერგიით აღავსებს და მუხტავს მას, რეალობისგან თავის დაღწევის, გაქცევისა და თავის შეფარების ადგილია, ჯერარნახული სამყარო, „დაკარგული სამოთხე“, რომლის სიწმინდე მწერალს მკითხველამდე შეურყვნელად მოაქვს.

თუკი ლიბიის საპარისა და რუსული ლიტერატურის სიყვარულმა და ღრმა ცოდნამ ერთი მხრივ, იბრაჰიმ ალ-ქუნის პროზას განუმეორებელი იერი და გამორჩეული ხელნერა შესძინა, მეორე მხრივ, სწორედ ამავე მიზეზით დიდი ხნის მანძილზე არაბული ლიტერატურული და კულტურული წრეებისთვის ცნობილი და აღიარებული მწერალი თითქმის უცნობი რჩებოდა დასავლელი მკითხველისთვის და დასავლური ლიტერატურათმცოდნეობისთვის. ლიბიის ჩაკეტილობა და დასავლეთისგან იზოლირება, ასევე გარკვეული სტერეოტიპული წარმოდგენები, – რომ საბჭოური სივრცის გავლენის სფეროში და მის ორბიტაზე მოხვედრილი, რუსულ განათლებამიღებული და საბჭოთა იდეოლოგიური მანქანით დაპროგრამებული

არაბული ქვეყნების ინტელიგენცია ქმნიდა უფრო ტოტალიტარულ რეჟიმებზე მორგებულ პათეტიკურ, რიტორიკულ და იდეოლოგიზირებულ, ცენზურაგამოვლილ ლიტპროდუქციას, რომელსაც ყავლი მაღე გასდიოდა და ჭეშმარიტი ლიტერატურული ფასეულობების მწვავე ნაკლებობას განიცდიდა, რის გამოც არც სერიოზული კრიტიკისა და არც სამეცნიერო კვლევის ობიექტი არ ხდებოდა ხოლმე დასავლეთში, რომ აღარაფერი ვთქვათ მის თარგმანზე, – იბრაჰიმ ალ-ქუნის და მის მწერლობას ლოკალურ არაბულ გარემოში კეტავდა და მიუწედავად მისი გამორჩეულობისა, ადგილობრივ მოვლენად ტოვებდა.

საბჭოთა კავშირის დამლის შემდეგ იბრაჰიმ ალ-ქუნი რაღაც პერიოდით, 1994 წლამდე, პოლონეთში ცხოვრობდა, სადაც კვლავ ლიბიის ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი იყო და ვარშავაში ლიბიის კულტურის ცენტრში მუშაობდა, ლიბიურ-პოლონური მეგობრობის საზოგადოების წევრი იყო და რედაქტორობდა ამ საზოგადოების მიერ გამოცემულ უურნალს, არაბულენოვანი ლიტერატურის თარგმანითა და პოპულარიზაციით იყო დაკავებული.

1994 წლიდან კი იბრაჰიმ ალ-ქუნი უკვე შვეიცარიაში ცხოვრობს, ქ. გოლდვილში. ჩანს, ცხოვრებაში ყველაფერი საუკეთესო ხანდახან მოულოდნელობის წყალობით ხდება და აი ბედნიერმა შემთხვევამ – არაბული ლიტერატურის მთარგმნელ, კრიტიკოს, ლიტერატურათმცოდნე არაბისტ დოქტ. ჰარტმუტ ფენდრიქთან შეხვედრამ იბრაჰიმ ალ-ქუნის ცხოვრება მთლიანად შეცვალა. ფენდრიქმა მისი ბევრი ლიტერატურული ნაწარმოები თარგმნა და მანამდე ლოკალურ არაბულ გარემოში ცნობილი, 80-მდე წიგნის ავტორი იბრაჰიმ ალ-ქუნი უცემ იხვეჭს საერთაშორისო პოპულარობას და ინტერესს, იღებს მრავალ საერთაშორისო ლიტერატურულ პრემიასა და ჯილდოს, მათ შორის შვეიცარიის სახელმწიფო პრემიას მისი გერმანულად თარგმნილი რომანებისთვის, ფრანგულ-არაბული მეგობრობის კომიტეტის პრიზს, ფრანგულმა უურნალმა “Lire” იბრაჰიმ ალ-ქუნი თანამედროვეობის 50 საუკეთესო რომანისტთა შორის დაასახელა და მას მომავლის მწერალი უწოდა. მისი რომანების თარგმანებს 30-ზე მეტ ენაზე (Hamarneh 2014: 90) ასევე არაერთი პრესტიული ჯილდო ხვდა წილად. მწერალი, შეიძლება ითქვას, ახლა თავისი დიდების ზენიტშია. აქტიურად ითარგმნება და გამოიცემა მრავალ ენაზე.

იბრაჰიმ ალ-ქუნის 1989 წ. დაწერილი რომანი „ოქროს ქვიშა“ მწერლის ერთეულთ საუკეთესო ნაწარმოებად ითვლება. რომანის მთავარი გმირის – ტუარეგული ტომის ბელადის ვაჟის, ბედუინი უხაიადის ცხოვრების ისტორიით მწერალი საოცრად თვალსაჩინოდ გვისურათებს უდაბნოს დღემდე უცვლელ ცხოვრების წესს და მორალურ კოდექსს ნარმართული და ისლამური ელემენტებით, სიცოცხლისა და სიკვდილის კანონზომიერებას და ფილოსოფიას, კლასიკური სუფიზმის დოქტრინას დღევანდელობაში.

რომანის მოქმედების წრე ჩაკეტილია და უდაბნოსა და ოაზისებს შორის ტრიალებს. მწერალი ამ ჩაკეტილ წრეში ახერხებს, მკითხველს უდაბნოს მრავალფეროვნება და განუმეორებელი ხიბლი აგრძნობინოს, სადაც მინა ცას, ადამიანი კი ბუნებას შეერწყმის და სადაც ბევრად მძაფრია სამყაროს ერთიანობის ცოცხლად და ხელშესახებად აღქმა, სადაც შემოქმედი თავის ქმნილებასთან უწყვეტ დიალოგშია, სადაც მწერალი მკითხველს იდუმალი მეგზურივით შეუძლვე-

უდაბნო და მისი თილისმა, სუფიური მისტიკა იბრაჰიმ ალ-ქუნის რომანში „ოქროს ქვიშა“

ბა და ცხოვრების ჭეშმარიტ და მარადიულ ფასეულობებზე დააფიქრებს. უდაბნოში ცხოვრების მორალური კანონები ისლამამდელი მურუვვას\* კოდექსისგან ბევრად არ განსხვავდება:

....უდაბნო შემწყნარებელი არა! თუ ვინმეს უდაბნოში სამარცხვინო საქ-  
ციელისთვის შეაჩვენებენ, მას ივიწყებენ და შლიან მეხსიერებიდან. ნეტავ მხო-  
ლოდ ივიწყებდნენ!.. მასა და მის მოდგმას ზიზღი და აბუჩად აგდება უწერია!.. აბუ-  
ჩად აგდება კი უდაბნოს კოდექსით მეხსიერებიდან ნაშლაზე უარესია!.. არყოფ-  
ნაზე უარესია!.. აბუჩად აგდება, დამცირება ყოველდღიური სიკვდილია, ყოველ  
საათს, ყოველ წუთს სიკვდილი!.. ასეთი კაცი თავის სიცოცხლეში ასჯერ, ათასჯერ  
კვდება ერთხელ და საბოლოოდ სიკვდილის მაგივრად! ნამდვილი კაცი, ლირსეული  
და კეთილშობილი კაცი ერთხელ სიკვდილს ორჩევს ათასჯერ სიკვდილის ნაცვლად.  
ათასჯერ სიკვდილი მონების, შეიძლება, ქვეშევრდომებისა და ვასალების ხვედ-  
რია, მაგრამ არა კეთილშობილ ნარჩინებულთა!..” (al-Koni 1992: 110)

ნარატივის უდაბნოში მოთავსებით იბრაჰიმ ალ-ქუნი დროისა და სივრცის  
კატეგორიებს და მათ ურთიერთდამოკიდებულებას სრულიად გაცნობიერებულად  
არღვევს (Fouad, Alwakeel 2013: 44), უდაბნოს სამყაროს მოდელირების ინსტრუმენ-  
ტად იყენებს და მას უდროო/უჟამო მიკროსმოსად ნარმოაჩენს (Elmasrafy 2015:  
109), სადაც დროში მიმდინარე მოქმედების ტემპი უსასრულოდ მდორე და განმე-  
ორებადია, ადამიანის სიცოცხლის გზა კი მიყრაჯია\*\* – სულიერი ამაღლების გზა  
საკუთარი თავისა და გარემომცველი სამყაროს/უდაბნოს შეცნობიდან შემოქმე-  
დის/უფლის შეცნობამდე (Fouad, Alwakeel 2013: 46), ანუ სადაც ჯერ უნდა მოკვდე,  
რომ დაიბადო (Elmasrafy 2015: 127).

იბრაჰიმ ალ-ქუნი საპარის უდაბნოს გვიჩვენებს, როგორც პარადოქსულ,  
სამარადისო, ცარიელ სივრცეს, რომელიც სულს თავისუფლებას, ხოლო სხეულს  
ტყვეობას სთავაზობს (el-Zein 2015: 2). პრეზენტაციაზე ახალი ინგლისის უნივერ-  
სიტეტში ალ-ქუნიმ განაცხადა, რომ უდაბნო არის მითოლოგიური, ლეგენდარული  
რამ და „უდაბნოს ადგილი არაა ადგილი, უდაბნოს დრო არაა დრო“ (Weisberg 2015:  
4). ამრიგად, ალ-ქუნი არა მხოლოდ გვაძლევს უფლებას, არამედ მოგვიწოდებს კი-  
დეც, რომ ვიკითხოთ მისი ნაწერები სიმბოლურ დონეზე. მისი შემოთავაზებული  
უდრობისა და უადგილობის იდეა შთამბეჭდავია – სუფიური გაგებით, უდაბნო,  
როგორც სიცარიელის სიმბოლო, ის ადგილი როდია, სადაც ნებისმიერს შეუძლია,  
ან ვალდებულია გაემგზავროს, არამედ ის არის რაღაც, რაც ნებისმიერ ადამიან-  
შია. სულიერი გამოცდილება ასწავლის მას, თუ როგორ შევიდეს ამ სიცარიელეში  
(Weisberg 2015: 5).

....უდაბნოს ყველა სიმღერა დარდისა და ნაღველის, გვალვისა და უცხოობა-  
ში ცხოვრების გამოხატულებაა, მარადიული უცხოობისა და მშობლიურ საცხოვ-  
რისში, სიწყნარეში დაბრუნების მარადიული ლტოლვისა... იმ მწყალობელ ოაზისში  
დაბრუნების ლტოლვისა, რომელიც არ არსებობს... მშობლიურ ოაზისში, რომელ-  
თან შედარებით მთელი ფეზანის ოაზისები მისი უბადრუეკი ჩრდილია მხოლოდ“  
(al-Koni 1992: 68).

\* მურუვვა – (არაბ. კაცობა, ვაჟეაცობა) სარაინდო კოდექსი.

\*\* მიყრაჯი – მოციქულ მუჰამედის ზეცად ამაღლება მექიდან მისი ღამეული სასწაულებრივი  
მოგზაურობისას.

....ჯილდო სიწმინდესა და აუმღვრევლობაში, კმაყოფილებასა და სიჩუმე-ში, სიწყნარესა და უკიდევანო, გადაჭიმულ სივრცეშია! სიმშვიდის მნიშვნელობა მხოლოდ იმან იცის, ვინც ბორკილებით ხელფეხშეერული ყოფილა, ცხოვრების საწუხარითა და ხალხის მზაკვრული ხრიკებით შებოჭილი! დღისით რომ შრო-მობს, წვალობს, ებრძის ცხოვრებას, ღამით ფხიზლობს, საზრუნავი არ აძინებს და ბორკილები კი მხოლოდ უფრო ვიწროვდება და უხეშდება. ერთ ნასკვს რომ გამოშ-ლის, ახალ თოკებს ნახულობს, ხელ-ფეხს რომ უბოჭავს და ყელზე ჭალის გველივ-ით ეხვევა. რამდენიც თავს ნამოსწევს და ჩაძირვიდან ხსნაზე ოცნებას იწყებს, იმ-დენი ფარული ძალები შეიკვრებიან და ფსევრზე ენევიან ეს ცხოვრების ხაფანგია თაზისებში! ხოლო აქ, უდაბნოში, რჩება ორი სივრცე – სივრცე ღია უდაბნოში და სივრცე გულში! ყურში თუ სიჩუმეა, სიჩუმეა გულშიც. უდაბნოში თუ სიწყნარეა, სიწყნარე გულშიც. ალ-ქარმას წყარო სხეულს განბანს, სულს კი მხოლოდ უდაბნო განბანს! სული განიმინდება, სუფთავდება, ცარიელდება და თავისუფლდება; უად-გილდება, გამოვიდეს და შეერწყას მარადიულ სივრცეს, პორიზონტებს, კოსმოსს, რომელსაც პორიზონტს იქით მივყავართ, კოსმიური სივრცის მიღმა; შეერწყას სხვა სამყაროს, საიქიოს, დიახ, საიქიოს! – აქ, მხოლოდ აქ, ამ გადაჭიმულ ველებზე, ამ შიველ უდაბნოში, სადაც სამი მხარე ხვდება ერთმანეთს – გაშლილი სივრცე, პორ-იზონტი და კოსმოსი, რათა მოქსოვონ ცის კაბადონი, რომელიც მიცურავს, რომ შეუერთდეს მარადისობას, საიქიო სავანებს!.. ეს ზეციური კავშირი, ნმინდა სამების კავშირი ავრცელებს ნდობასა და დაჯერებულობას, ქსოვს სიწყნარის ძაფებს და თესავს სიჩუმესა და სიმშვიდეს გულში“ (al-Koni 1992: 126).

ის ერთგულება და კეთილშობილება, წრფელი და უანგარო სიყვარული, რაც ამ რომანში ადამიანისა და ცხოველის (ამლაყი \* მაპრული აქლემის) ურთიერთობას უდევს საფუძვლად, მეგობრობაზე ბეჭრად მეტია, სისხლისმიერი კავშირია მათ შორის. ეს ურთიერთობა ბედუინის აქლემზე დამოკიდებულების ნამდვილ სახეს აჩვენებს, ისლამამდელი ეპოქიდან დღემდე რომ არ შეცვლილა და ამით იბრაჰიმ ალ-ქუნი ისლამამდელი არაპი პოეტების ჭეშმარიტი მემკვიდრეა, თავიანთ კასიდებში\*\* საოცარი პოეტურობით აღბეჭდილი ვასფის\*\*\* ბეითებში საკუთარი აქლემების კეთილშობილებას რომ განადიდებენ და უკვდავყოფენ...

ამგვარად, იბრაჰიმ ალ-ქუნის ამ რომანსა და მის ყველა ნაწარმოებში ადა-მიანებსა და ცხოველებს შორის საზღვრები მოშლილია, ვხვდებით არაჩვეულებ-რიც გამოხატვას ადამიანისა და ცხოველის თანაზიარობისა. ეს ორი ცოცხალი სახეობა გრძნობებს უცვლის ერთმანეთს. ცხოველები დაჯილდოებულნი არიან განსაკუთრებული აღქმის უნარით, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს, წინასწარ განჭვრიტონ მოვლენები. აქ ცხოველებს აქვთ სულიერ სამყაროთა წვდომის უნარი და ზოგიერთ შემთხვევაში, ადამიანებისგან განსხვავებით, მათ შეუძლიათ, უფრო

\* ამლაყი – არაბულში ცხენის ან აქლემის მიმართ გამოყენებული ფერის აღმიშვნელი ზედსარ-თავი სახელი „აბლაკ“ ძეველ და საშუალო ქართულშიც შემოსულია ქართულ-არაბული მრავალსაუ-კუნოვანი ისტორიულ-ეულტურული ურთიერთობების შედეგად და დამკვიდრებულია „ამლაყის“ ფორმით. გიორგი წერეთელი თავის არაბულ-ქართულ ლექსიკონში არაბული „აბლაკის“ შესატყვის ქართულ-სვანურ ფორმად ისევ „აბლაკს“ მიუთითებს, თუმცა, სულხან-საბას და სხვა ლექსიკონებში „ამლაკ“ ფორმით გვაქვს ეს სიტყვა მითითებული.

\*\* კასიდა – პოლითემატური, სინკრეტული ისლამამდელი არაბული პოეტური ფორმა.

\*\*\* ვასფი – აქლემის ან ცხენის აღწერა, პილითემატური კასიდის ერთ-ერთი თემა.

უდაბნო და მისი თილისმა, სუფიური მისტიკა იბრაჰიმ ალ-ქუნის რომანში „ოქროს ქვიშა“

ღრმად და შორს შეაღნიონ უხილავ სამყაროებში, რაც მათ ხანდახან ადამიანების სულიერ ზედამხედველად აქცევს.

„„ამქვეყნად არ არსებოს არსება, რომელიც აქლებს ფიზიური ტკივილის მომენტში გაეჯიბრება, მაგრამ ამასთანავე არ არსებობს ამქვეყნად არსება აქლემზე სუსტი და გულჩვილი ტკივილის გულით ტარებაში“ (al-Koni 1992: 111).

ამის მიუხედავად, პატრონისა და აქლების ეს ურთიერთობა ტრაგიულად მთავრდება, რადგან სუფიური კონცეფციით, „გული მხოლოდ ზეცად უნდა დაავანო. თუ მას მიწიერ ქმნილებას მიანდობ, მისწვდება მას ხალხის ხელი და დაგინვავებ“ (al-Koni 1992: 158).

რომანში ბევრი ეგზისტენციალური კითხვაა, რიტორიკულად რომ ულერს და რომელზე პასუხსაც მხოლოდ ცხოვრება იძლევა:

„„რატომ ქმნის ღმერთი არსებას, თუკი სიკვდილი იქვეა ჩასაფრებული?! რატომ იტანჯება ცოცხალი ქმნილება სიკვდილის ნინ?..“ (al-Koni 1992: 26).

„„ნუთუ განკურნების გზა აუცილებლად ჯოჯოხეთზე გადის?!.. ნუთუ ხსნა უკიდურესი ტკივილის გარეშე არ არსებობს?!.. ნუთუ ცოდვის ფასი ასეთი მძიმეა?!..“ (al-Koni 1992: 40).

„„ო, ღმერთო!.. უდანაშაულონი არამზადების ხელით რატომ კვდებიან?!.. ღმერთო, მოციქულს სალახანები რატომ კლავენ?!..“ (al-Koni 1992: 154).

ასევე ბევრია აფორიზმი და ბრძნული გამონათქვამი, რომლებიც ან ხალხურია და გადმოცემით ცოცხლობს ტომში, ან სუფიური ორდენის შეიხებს და ტომის ბრძენ ხალხს მიენერება. ისინი ისლამამდელ ჰიქმას\* გვაგონებენ, კლასიკურ არაბულ ისლამურ პოეზიასაც რომ გასდევს (ზუპლიათებსა\*\* და აბუ-ლ-ალა ალ-მარის ფილისოფიურ პოეზიას განსაკუთრებით):

„„სიცილს ტირილი მოსდევს, სიხარულს კი სევდა, სიკვდილი თვალის დახამხამებაში შეიჭრება სიცოცხლეში!“ (al-Koni 1992: 20).

„„ღმერთმა ასეთნი შეგვებნა, სუსტი და უძლეურნი! არც ერთ არსებას არ შეუძლია სხვის ნაცვლად ტანჯვა და ტკივილის განცდა!“ (al-Koni 1992: 36).

„„შიმშილი ყველაზე კეთილშობილ არსებებსაც კი არარაობად აქცევს! თუკი დაიმშვიან, სულტნებიც კი მუხლებზე იჩიქებენ და მდაბლად ხოხავენ მონებივით“ (al-Koni 1992: 80).

„„ყოველთვის ასეა!.. განცხრომა და ნეტარება შეუძლებელია!.. თუ რამე მოვა ცხოვრებაში, აუცილებლად რაღაც მისი საპირისპირო წავა!.. სრულყოფილება მხოლოდ ალაპს აქვს!.. სრულყოფილი და დალენებული ცხოვრება არ არსებობს! არც სამოთხეა და არც წალკოტი დედამინაზე! სამოთხე მხოლოდ იმქვეყნადაა! აქკი, მინაზე, განკურნებას იპოვი და სილამაზეს დაკარგავ! ჯანმრთელობას დაიბრუნებ და სრულქმნილება გაგიფრინდება ხელიდან! სრულყოფილება მხოლოდ ღმერთთა ხვედრია!.. ახალგაზრდობაში ქარაფშუტობა-დაუდევრობას ფრთა აქვს შესხმული, სიბრძნე და ცოდნა კი მის ადგილს მხოლოდ მოხუცობაში იკავებს, მაგრამ სიბრძნეს რა ხეირი აქვს ახალგაზრდობის გარეშე?!.. ცოდნას რა ფასი აქვს ცხოვრების გარეშე?!..“ (al-Koni 1992: 44).

\* ჰიქმა – ბრძნული სენტენციები და აფორიზმები, ჩართული კასიდის სქემაში.

\*\* ზუპლია – შუა საუკუნეების ასკეტური პოეზია.

....მხოლოდ სევდა შობს ღვთაებრივ ცეცხლს გულში!.. უფალს თავის მა-დიდებელთა შორის მხოლოდ ტანჯულნი და ნამებულნი უყვარს. მეტიც, ის სატან-ჯველით მხოლოდ იმას გამოსცდის, ვინც უყვარს!“ (al-Koni 1992: 120)

....„უბედურება მოდუნებასთან ერთად ბრუნდება და უზრუნველობაში შე-უმჩნევლად შემოიპარება ხოლმე. თუ თანასწორ ბრძოლაში ვერ შეგიპყრობს, მიიმალება, რათა უკნიდან ჩაგცეს დანა, როგორც კი შეტრიალდები და ზურგს შეაქცევ“ (al-Koni 1992: 92).

....„ასეთია ცხოვრება! ყოველთვის მხდალები იმკიან ნაყოფს!“ (al-Koni 1992: 148).

მიუხედავად იმისა, რომ უხაიადს ეს სიბრძნე და შეგონება გამზრდელი სუ-ფი შეიხი მუსასგან ბავშვობიდან აქვს შეთვისებული, ტომის შეიხთაგან მოსმე-ნილ-დამახსოვრებული, ბედისწერა მაინც ბედისწერაა და მიუხედავად უდაბნოს მინიშნებებზე დაკვირვებისა და სიფრთხილისა, მას მაინც ენევა მამის წყევლა – ცოლი ეშმაკის მიერ შექმნილ ქამანდად ექცევა, უდაბნოს ცხოვრების კოდექსი – ილუზიად და დასამონებელ, შესაბოჭ ჯაჭვად... თავისუფლების, ლირსებისა და კეთილშობილების ძიებაში ის მსხვერპლად გაიღებს ამ ქამანდსაც და ილუზიასაც და ირჩევს ამლაყ აქლემს, რათა მასთან ერთად განაგრძოს მოგზაურობა უდაბნოს ღია სივრცის საუფლოში. თავისი განუყორელი მეგობრის – ამლაყი აქლემის გადამ-კიდე, ის სიკვდილ-სიცოცხლის სამზღვარზე გაივლის, სიკვდილსაც ჩახედავს თვა-ლებში და გადაკვეთს ამქვეყნიური წუთისოფლის მიჯნას ბნელეთის სოფლისკენ...

ბედისწერისვე განჩინებით, უხაიადი უცხოს მზაკვრობის მსხვერპლი ხდება, იმ უცხოსი, რომელსაც უდაბნო ასე ერიდება და უფრთხის. ბედისავე ირონიით, ღრმა სულიერებით გამორჩეული შეიხი მუსას ნამოწაფარი უხაიადი მკვლელი ხდე-ბა და თავადაც სწორედ ლარწებისა და სალახანების ხელით აღესრულება, თუმცა ეს აღსასრული და მისი ნიშანი – წყვდიადით მოსილი სახლის ტყვეობაში საკუთარი თავის სიზმრად ხილვა, რომელიც მისი ბავშვობისეული აკვიატებული კოშმარია, მისი ამქვეყნიური ციხის – წუთისოფლისა და სხეულის – ტყვეობიდან გათავისუ-ფლებისა და სულის მარადისობასთან შერწყმის სუფიურ მეტაფორად გვევლინება.

და მაინც, რაშია რომან „ოქროს ქვიშისა“ და მისი ავტორის იბრაჟიმ ალ-ქუნის მაგია, მკითხველს გულგრილს რომ ვერ ტოვებს და ერთი ამოსუნთქვით ჩააკითხებს ამ ტრაგიკულ ისტორიას თავიდან ბოლომდე?

ავტორს მთელი ეს მცირე ფორმატის რომანი კონტრასტებზე, ოპოზიციურ წყვილებზე აქვს აგებული, რომელთა მძაფრი დაპირისპირება ცხადად იძლევა რო-მანის მთავარ სათქმელს და მკითხველსაც ითრევს ამ დაპირისპირების სიმძაფ-რები, ნეიტრალურ დამკვირვებლად არ ტოვებს. ბინარული კონტრასტების პო-ლარულობა კარგად ჩანს მთავარ გმირთა ურთიერთსაწინააღმდეგო თვისებების გამოყოფაში, რასაც ანტითეზურ თემატურ დაპირისპირებებამდე მივყავართ.

იბრაჟიმ ალ-ქუნი რომანში შემდეგ დაპირისპირებულ წყვილებს გვიხატავს:

- 1) ოაზისი – უდაბნო;
- 2) უხაიადი – დუდუ;
- 3) შეიხი მუსა – მამა;
- 4) ამლაყი მაპრული აქლემი – ცოლი (ქალი, ევა, ხიბლი საცდური);
- 5) მე – სხვა/უცხო;

უდაბნო და მისი თილისმა, სუფიური მისტიკა იბრაჰიმ ალ-ქუნის რომანში „ოქროს ქვიშა“

მათ შორის დაპირისპირების ძირითადი ნიშნებია:

ოაზისი	უდაბნო
<p>ოაზისებში ცხოვრება მოდუნებაა, ამას ოაზისში მცხოვრები გლეხები მოსვენებას და სიწყნარეს ეძახიან. მოსვენება ფარავს მოდუნებას, მოდუნებაში კი უანგი იმაღება.</p> <p>როგორც ხანგრძლივ მობილიზებასა და შფოთებში მყოფი ყოველი არსება მოშვება ხოლმე, როგორც კი განსაცდელი გადაივლის და თვალს მიეფარება, ოაზისებში მცხოვრებიც ასე ეძლევა დაუდევრობასა და უზრუნველობას, არადა, უპედურება მოდუნებასთან ერთად ბრუნდება და უზრუნველობაში შეუმჩნევლად შემოიპარება ხოლმე. ის თუ თანასწორ ბრძოლაში ვერ შეგიპყრობს, მიიმაღება, როთა უკნიდან ჩაგდეს დანა, როგორც კი შეტრიალდები და ზურგს შეაქცევ. ოაზისებში ცხოვრების ხაფანგია (al-Koni 1992: 92).</p> <p>ამ გაკვეთილებს უდაბნო ყოველდღე უფასოდ ასწავლის მწყემსებს, მაგრამ მაშინვე ზურგს აქცევს ხოლმე მათ, როგორც კი ისინი ოაზისებში დასახლდებიან და მიწათმოქმედებისკენ გაიწევენ (al-Koni 1992: 93).</p>	<p>უდაბნოს სიმშვიდის მნიშვნელობა მხოლოდ იმან იცის, ვინც ოაზისის ბორკილებით ხელფეხშეკრულს უცხოვრია, ცხოვრების სანუხარითა და ხალხის მზაკვრული ხრიებით შებოჭილს! (al-Koni 1992: 126).</p> <p>სულა მხოლოდ უდაბნო განპანს! სული მხოლოდ აქ განინმინდება, სუფთავდება, ცარიელდება და თავისუფლდება; შეერწყმის მარადიულ სივრცეს, ჰორიზონტებს, კოსმოსს, სხვა სამყროს, საიქოს! — აქ, მხოლოდ აქ, ამ გადაჭიმულ ველებზე, ამ შიშველ უდაბნოში, სამი მხარე ხვდება ერთმანეთს — გაშლილი სივრცე, ჰორიზონტი და კოსმოსი, ეს ზეციური კავშირი, წმინდა სამების კავშირი ავრცელებს ნდობასა და დაჯერებულობას, ქსოვს სიწყარის ძაფებს და თესავს სჩუმესა და სიმშვიდეს გულში (al-Koni 1992: 126).</p> <p>რამდენადაც ოაზისები ეშმაქისეულია, იმდენად უდაბნო ღვთიურია და მისტიური. მართლაც ზეციური ძლვენია უდაბნოში, მიწიერი სამოთხე!</p>

უხაიადი	დუდუ
<p>უხაიადს კეთილშობილი წარმოშობა აქვს, ის შეიხ ამანგასასატინის ვაჟია, ტუარეგული ტომის ბელადისა. მის პიროვნებაში გამოკვეთილი ინდივიდუალიზმი და ამით გამოწვეული ტრაგიზმი რაღაცით ისლამამდელიპოეტების — იმრულ-კასის, ტარაფას და განსაკუთრებით, შახვარას პორტრეტთა ანარეკლს გვაგონებს. დედა გულის ავადმყოფობით მცირენლოვანს გარდაეცვალა, სანამ ბიჭს შვიდი წელი შეუსრულდებოდა. მისი აღზრდა ზანგმა მონა ქალმა ითავა. სულიერ მოძღვრად კი შეიხი მუსა ექცა — კადირიის სუფიური საძმოს მიმდევარი.</p> <p>უხაიადმა სიყვარულის სანაცვლოდ ტომის ბელადობაზე თქვა უარი, რისთვი-</p>	<p>დუდუ აირიდანაა,* უცხოა, რომლის გულშიც ფარულ, საიდუმლო განზრახვას სძინავს.</p> <p>ის უხაიადის ცოლის აიურის ნათესავია, ბიძაშვილი მამის მხრიდან. დუდუს ბავშვობიდან ჰყვარებია აიური, შემდეგ მათი მამება წაკიდებულან და დაშორებულან. ბუნებრივია, ბიძამ ქალიშვილის ხელის თხოვნაზეც უარით უპასუხა. როდესაც აიურის მამა მოკვდა, მისი ტომი კი აიყარა და გადასახლდა, დუდუ იმ დროს ბამბარას ტომებს ტყვედ ჰყავდათ. ოქროს გამოსატაცებლად ლაშქრობაში იყო და ჩასაფრებაში მოყვა, მაგრამ წლების შემდეგ გასაქცევი გზა გამოიკვალა. დაბრუნდა აირში და აღმოაჩინა, რომ მისი სატრ-</p>

\* აირი — ლიბიის სამხრეთი აფრიკა, ასე ეძახიან ხოლმე ხან ტიმბუქტუს, ხან აგადისს და ხან ქანოს.

საც მამის წყევლა მიიღო პასუხად. საკუთარი პრინციპების გამო იგი მამასა და საზოგადოებას, მათ მორალსა და ფასეულობებს დაუპირისპირდება და მათგან გარიყულმა, მარტოსულმა, სიყვარულშიც იმედგაცრუებულმა, ლირსებისა და კეთილშობილების შენარჩუნების მცდელობაში, უდაბნოსა და ერთგულ მეგობარში – ამლაყ მაპრულ აქლემში ჰპოვა შვება.

სიყვარული ქამანდად და ხუნდებად ექცა, ცოლი ნაგსაყუდელის ნაცვლად – მაცდურ ევად, ოჯახი, შეილი – ბორკილებად, რომელიც ყელში აქვს ნაჭერილი და თავისუფლებას, სულიერ სიმშვიდეს ართმევს, უდაბნოს მორალური კოდექსი – ჯერ ილუზიად და შემდეგ მნარე რეალობად, მხოლოდ ამლაყი მაპრული აქლემია მისი ერთგული ბოლომდე, მაგრამ ისიც მოკვდავი ლვთიური ქმნილებაა და ბედის-ნერის ხელში მასავით სათამაშო.

ბედის ირონიით, მამისგან ასე განსხვავებულმა, მისგან დაწყევლილმა და შეჩვენებულმა, უხაიადმაც ჰასავნას მთაზე ჰპოვა ტანჯული აღსასრული.

ფო უკვე ჩრდილოეთში გადასახლებულიყო. შეერიბა თავისი ქვეშევრდომები, დალაშერა ბამბარა და ნადავლად წამოიღო წყეული ოქრო, ლადამესში გაყიდა და აიურის მოსაძებნად მათთან თაზისებში ჩავიდა.

დუდუ მასის კოლექტიური ფასეულობების მატარებელია – ოქროს აკერპებს, მისთვის ოქრო მიზნის მისაღწევი საშუალებიდან თავად მიზნად არის ქცეული, აცხადებს, რომ ოქრო მხოლოდ ადამიანებს კი არა, ჯინებსაც სჭირდებათ! ის კაცთა და ჯინთა ბრძოლის მიზეზია. ეშმაკისადა ადამიანის ბრძოლის მიზეზიც ის არის. ოქროს გულისთვის ციხეშიც იჯდა, ტყვედაც იყო ჩავარდნილი, ბამბარას ზანგები ანამებდნენ, მაგრამ ალიარებს, რომ მის გარეშე ვერ განახორციელებდა იმას, რაც განახორციელა!... სწამს, რომ ოქროყოველი ადამიანის მიზანია დაბადებიდან სიკვდილამდე, ხელმოცარულებისა და სუფი დერვიშების გარდა. ხელმოცარულები და სუფი დერვიშები კი შეაჩვენებენ ოქროს, რადგან მათ ოქროს შოვნა არ გამოუდით. დუდუ ამ ოქროთი ყიდულობს ყველაფერს – ქვეშევრდომებს, დაცვას, ახლობელთა კეთილგანწყობას, უხაიადის ამლაყ მაპრულ აქლემს, რომელსაც მერე ცოლ-შვილში უცვლის.

შეიხი მუსა	მამა
შეიხი მუსა – უთვისტომო, უცოლო, უშვილირი და უნათესაო, ტომთან ერთად მომთაბარე ცხოვრებით მცხოვრები კაცი იყო, თუმცა ის ამ ტუარეგული ტომის წევრი სულ არ იყო. რელიგიური წიგნებისა და ყურანის რეჩიტაციით მკითხველი, მუსლიმთა იმამი იყო ლოცვისას. გადმოცემით, ის უდაბნოს დასავლეთიდან იყო მოსული, ფესიდან, შარიათის* ულამებისა** და ფაკიპების*** ქვეყნიდან... შეიხი მუსა უხაიადისთვის მხოლოდ მასნავლებელი როდი იყო, არამედ მას მეგობრადაც ექცა. ჩანს, შეიხი მუსასთვის შეუმჩ-	უხაიადის მამა, ტუარეგული ტომის ბელადი, შეიხი ამანგასატინი ამქვეყნიური სიამების მოყვარული კაცი იყო, ქალებს პირველი ადგილი ეკავათ მის ცხოვრებაში. უხაიადის დედა, რომელიც გულის ავადმყოფობით ნაადრევად გარდაიცვალა, მეორე ცოლი იყო მისთვის. ცოლის სიკვდილის შემდეგ მამა სხვა ქალზე დაქორწინდა ქვეშევრდომი ტომებიდან. მანამდე დაქორწინდა მასზე, სანამ ტომის მეთაური გახდებოდა. მასთან შვილები არ შესძენია. ამასთან, მისი სასიყვარულო თავადასავლები სხვა ქალებთან მთელი

\*შარიათი – მუსლიმური სამართალი.

\*\*ულამები – მუსლიმურ სამართალში განსავლული პირები.

\*\*\* ფაკიპე – მუსლიმური კანონთმცოდნე, იურისტი.

ნეველი არ დარჩენილა ალსაზრდელის მიღრეკილება მარტომბისკენ, მამასთან ურთიერთობაში სიცივე და ამიტომაც განსაკუთრებული სიყვარულით ეცყრობოდა, უმსუბუქებდა დედის ადრეულ ასაკში დაკარგვის ტკივილს. მიუხედავად ჩაკეტილობისა, რომელიც უხაიადს დედისგან მემკვიდრეობით ერგო, ბრძენმა შეიხმა მაინც იპოვა გზა მისი გულისკენ. უხაიადისთვის ის იყო მარადიული, სულიერი ფასეულობებისა და კოლექტიური სიბრძნის მატარებელი. მისი სიტყვები, მისი ბრძნული გამონათქვამები შემდგომ ცხოვრებამ არაერთგზის დაუმტკიცა და დაუდასტურა უხაიადს.

შეიხი მუსა კადირის სუფიური საძმოს მიმდევარი იყო. მეთორმეტე საუკუნეში მუსლიმი მეცნიერის აბდ ალ-კადირ ალ-ჯილანის მიერ ერაყში დაარსებული და დღემდე მოქმედი ეს ცნობილი ორდენი თავისი ზომიერებითა და თავშეკავებით გამოირჩევა სუფიურ საძმოთა შორის. ისნი ლვთაებრივ ექსტაზშიც კი თავშეკავებს მომხრენი არიან, მათთვის მთავარი მორალურ-ეთიკური მხარეა სუფიური მოძღვრებისა და სწორედ შეიხი მუსას შეგონებით ჩაეტეჭდა უხაიადს გონებაში ცხოვრებისა და უდაბნოს მთავარი ლოცვა და თილისმა – მოთმინება. „მოთმინება ლოცვა! მოთმინება ლოცვის თაყვანისცემა! ცხოვრება მოთმინება!“ – უმეორებდა ის ამლაყ აქლემსაც და საკუთარ თავსაც განსაცდელის უამს. სწორედ ამ მოთმინებით მოიპოვება უდაბნოში მშვიდი ცხოვრება, სინწარე და აუმღვრევლობა, რასაც თავისუფლება ანიჭებს ადამიანს – თავისუფლება ყველაფრისებან, რაზეც ამქვეყნიურმა ცხოვრებამ და საცდურმა შეიძლება მიაჯაჭვოს – ქონებისგან თავისუფლება, რადგან ქონების პატრონი მისი მონა ხდება, ვალდებულებებისგან, მოვალეობებისგან თავისუფლება, რადგან ოჯახი და ცოლ-შვილი საბოლოოდ ქამანდად იქცევა, რომელიც კისერში წაეჭირება კაცს და ახრჩობს,

ამ ნლების მანძილზე არ შეწყვეტილა. ცნობილი იყო მის მიერ მოციქულ მუჰა-მედის ჰადისის ხშირი გამეორებით: „ყველაზე საყვარელი ამქვეყნად სამი რამა ჩემთვის – ქალები, ნელსაცხებელი და ჩემი თვალისწინი – ლოცვა!“ მას უყვარდა ამ ჰადისის კომეტირება: „ხედავთ?! პირველ ადგილზე მოდიან ქალები! ქალები მოდიან სამი ბურჯის\* თავში!“ როდე-საც ტომი სათარეშოდ მიდიოდა აფრიკის კონტინენტის შიგნით, მამამისი ნადავლი ქონებიდან თავის ყველა წილზე უარს ამ-ბობდა ხოლმე, გარდა ქალებისა. ის ისა-კუთრებდა ზანგი ქალებიდან თავის წილს და ამ ქალებს წამოასხამდა ხოლმე უდაბ-ნოში, რათა დაესვა ისინი ხარჭებად. მეტ-იც, რამდენიმე მათგანზე იქორწინა კი-დეც ისლამური წესით მიუხედავად იმისა, რომ ისინი გრძნეულები იყვნენ და ისლა-მისა არა იცოდნენ რა. ტომში ამბობდნენ, რომ უხაიადის ბავშვობაში დედამისთან მამის ჩხუბების მიზეზი სწორედ მამა-მისის სასიყვარულო თავგადასავლები იყო მეზობელი დასახლებაში მცხოვრებ მშვენიერ მულატ ქალთან. ტომის მე-თაურობა მას უეცრად გარდაცვლილმა დედის ძმამ დაუტოვა მემკვიდრეობით. რომ არა უცაბედი სიკვდილი დანბაბას უდაბნოს ყაჩალთა ხელით, ბიძამისი არ აპირებდა მისთვის მემკვიდრეობით\*\* ტომის მეთაურობის გადაცემას. ტომის თავკაცმა შეიხებმა ვეღარ შეძლეს წესის დარღვევა მხოლოდ იმიტომ, რომ ტომის მეთაურის დიშვილს ქალები უყვარდა. იმ დროს ქალებით გატაცება ისეთ წაკლად არ ითვლებოდა, კაცის ვაჟკაცობას რომ ჩრდილს აყენებს, პირიქით, ქალებზე ჭყუის დაკარგვა რაინდთა და წარჩინებულთა დამახასიათებელი თვისება იყო. მამამისი თავის პოზიციას მოციქულის პატივსაცემი ჰადისით იმტკიცებდა და ამით გზას უჭრიდა და ანეიტრალებდა ლოცისმსახურთ, გარანტირებულ თავ-დაცვას იქმნიდა მუსლიმური სამართლის სპეციალისტებისგან.

\* სამი ბურჯი – პერიფრაზი ამ ჰადისში მოციქულის სიის მიხედვით ისლამის მიღებული ხუთი ბურჯისა.

\*\* ტუარეგები წათესაობაში მატრიარქული საზოგადოებების გავლენით დედის ხაზს მიჰყვებიან. მემკვიდრე დიშვილია და არა საკუთარი ვაჟი.

თვით სხეულისგან თავისუფლებაც კი, რადგან ის სულის საპყრობილეა...

გული და სიყვარული მხოლოდ ზეცად უნდა დაავანოს კაცმა, სადაც ვერ მისწვდება მას ადამიანის ცოდვიანი და ბედისწერის მსახურალი ხელი – აი, ეს იყო შეიხი მუსას ცხოვრების კრედო და თავის აღზრდილსაც ამასვე ასწავლიდა.

რომანში დახატული შეიხი მუსას პორტრეტი ადამიანურ სისუსტეთაგან სრულიად თავისუფალია, ის მხოლოდ უფალსაა მინდობილი და ამიტომაც ბედისწერის უკულმართობებს ყოველთვის სიმშვიდით ხვდება და გამოსავალსაც ყველა გამოუვალი მდგომარეობიდან პოულობს (ის იხსნის თავის ალსაზრდელ უხაიადს საშინელი, მოულოდნელი წყალმოვარდისგან, რომელმაც ტომი წალეკა, ის მიასწავლის მას მუნით შეპყრობილი და მომაკვდავი ერთგული მეგობრის – ამლაყი მაპრული აქლემის განკურნების წამალს, ლეგენდარულ ბალა ასარს, მაიმუნის ველებზე რომ ხარობს და ა.შ.).

ნითელი ჰამადას უდაბნოში იტალიელ დამპყრობელთა შემოსევებისას სისხლიანი მოვლენების ფონზე, სანაპიროთა წინააღმდეგობის მოძრაობაში უდაბნოს შიდა ნაწილებში მცხოვრები ტუარეგული ტომებიც ჩაერთვნენ. დამპყრობლებმა წინააღმდეგობის მოძრაობა გატეხეს და უხაიადის მამის მონამებრივი სიკვდილით აღსრულების ამბავიც ამ დროს მოვიდა... თქვეს, რომ ის მამაცურად უწევდა წინააღმდეგობას მტერს, მეტიც, უდაბნოს მკვიდრებმა კასიდებიც კი შეთხეს მისი გმირობის განსაღიდებლად. ისინი აღბათ არ მოელოდნენ, რომ კაცი, რომელიც რომელიც ხშირად ქორწინდებოდა და ეყრებოდა, ზანგი გოგოების მოტრფიალე, ასეთ საგმირო კვალს ჩანერდა იტალიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ერთ-ერთმა მწყემსმა უხაიადს უამბო, რომ მამამისი მოულოდნელი შემოტევისასაც კი არ კარგავდა საკუთარ თავზე კონტროლს. ტომს გარს უვლიდა, მებრძოლებს კრებდა და იბრძოდა, სანამ მისი ბანაკი ალყაში არ მოაქციეს. ალყა დიდხანს გაგრძელდა და ზოგიერთ შეიხთან უთანხმოება მოუვიდა. ისინი წყურვილმა გატეხა და ფიქრობდნენ, რომ აუცილებელი იყო, ჩაბარებულიყვნენ. უხაიადის მამა რამდენიმე ერთგულ მებრძოლთან ერთად მათ გამოეყო. ჰასავნას მთაზე გამაგრდა, სანამ აქვე არ მოკვდა. მოკვდა წყურვილით. მისი ტომი, ისევე როგორც სხვა ტომები, დანებდა და ჩაბარდა. მოგვიანებით კი დაიქსაქსა და დედამინის ოთხივ კუთხით მიმოიფანტა.

ამლაყი მაპრული აქლემი	ცოლი (ქალი, ევა, ხიბლი, საცდური)
ამლაყი მაპრული აქლემი უხაიადის-თვის აპაგარის ტომის ბელად იბრაჟიმ ბაქდას საჩუქარია, ჯერ კიდევ კოზაკი რომ იყო და უხაიადს მასთან ცხოვრების მრავალი წელი აკაგშირებს – ზრუნავდა მასზე და ზრდიდა, ქერს იპარავდა კარვიდან და ამლაყ აქლემს ხელისგულებზე დაყრილს მიართმევდა ხოლმე. ისიც პატრონს ძალივით ფეხდაფეხ დასდევდა; თან დაპყვებოდა ღია ცის ქვეშ ღამეულ ახალგაზრდულ მხიარულ თავყრილობებზე ის იყო უხაიადის მესაიდუმლე და მას-	უხაიადს თავისი გამზრდელი შეიხი მუსასგან ბავშვობიდან აქვს ჩაბეჭდილი გულსა და გონებაში, რომ მამრისთვის ყველაზე დიდი ხაფანგი მდედრია, რომ ადამი ქალმა აცდუნა და სწორედ მისი მიზეზით შეაჩვენა უფალმა და გამარაძევა სამოთხიდან, რომ ცხოვრება სულ მახეები და ხაფანგებია!.. და თუ ყურადღებით არ იყავი და არ დააკვირდი, ფეხს სად ად გამ, ხაფანგში აღმოჩნდები!.. (al-Koni 1992: 22) და მიუხედავად ამისა, ის მაინც მდედრის ხიბლის მსხვერპლი ხდება!..

ზე ამხედრებული დადიოდა მეზობელ ტომებში ახალგაზრდული სასიყვარულო თავგადასავლებით გატაცებული. ცხოვრება მისთვის უდაბური და უსახურია ამ ერთგული მეგობრის გარეშე, ამიტომაც ცდილობს მის გადარჩენას მოურჩენელი სენისგან. აქლემიც თავდაუზოგავი ერთგულებით პასუხობს – ბეჭელეთის წუთისოფელში გასულ პატრონს, სიკედილ-სიცოცხლის სამზღვარზე მყოფს და უკიდურეს მისაღწევლამდე მისულს\* გამოიხსინის და ამქვეყნად აპრუნებს. გასხვისებულიც კი პატრონთან დასაბრუნებლად უდაბნოს გადაკვეთს, ყველა წინააღმდეგობის მიუხედავად პატრონს არ ტოვებს განსაცდელში და აგრძნობინებს, რომ ისინი ზეციური სულიერი კავშირით არიან შეკრულნი, რომელიც მათ დაბადებამდე შეიკრა და მათი სიკვდილის შემდეგაც გასტანს. ის მზადაა პატრონისთვის თავის გასანირად, მის თვალებში უხაიადი კითხულობს ერთგულებასა და იმ სევდას, რომელიც მხოლოდ მოაზროვნე არსების ნიშანია. „საძაგელია არსება, რომლის გული საწუხარისგან (კარიელია! მხოლოდ სევდა შობს ღვთაებრივ ცეცხლს გულში!“ შეიხი მუსასაგან უხაიადმა კარგად იცის, რომ „უფალს თავის მადიდებელთა მორის მხოლოდ ტანჯულნი და წამებულნი უყვარს. მეტიც, ის სატანჯველით მხოლოდ იმას გამოსცდის, ვინც უყვარს!“ შესაბამისად, საშინელი, მტანჯველი აღსასრულით აღსრულებული ორივე მეგობარი – უხაიადი და მისი ამღაყი მაპრული აქლემი მკითხველის-თვის ღვთის რჩეულებად ჩანან.\*\*

„ხიბლია სწორედ ქალის ფარული, იდუმალი მხარე.. ის ისეთივე თვალსაჩინო და მარტივია, როგორც უდაბნო, თუმცა ამავე დროს, არაფერია მასზე უფრო ბუნდოვანი და ამოუხსნელი! ის ჰასავნას მთის ჯითა გაურკვეველი ხმებია... გემის მათი უდერადობა, მაგრამ აზრი შენგან დაფარულია! ეს არის სწორედ ქალის ხიბლი!.. არავინ იცის, ის რა არის, მაგრამ ის იზიდავს და იზიდავს!.. ხიბლი ფარული, იდუმალი სილამაზეა, რომელიც შეემნილია უხაიადის მსგავსი მამაკაცების განსაგმირად“ (al-Koni 1992: 67).

მოგვიანებით, როცა უხაიადი უკვე თვალებით ხედავდა და არა გულით, მისი გრძნობები გაცივდა და გონება დაუბრუნდა. ჯადოსნობა ჩაკვდა და ხიბლი გაქრა... ის ხიბლი, მას რომ მარადიული ეგონა, მერე უკვე იმ ბედისწერასავით დესპოტი და უსამართლო ეჩვენა, ჭაში ვარდნისას ზეშთაგონებით რომ იხილა. დარწმუნდა, რომ „სიახლოვე სიყვარულში ამ სიყვარულის სამარეა და დრო კი ის თილისმა, რომელიც სიყვარულს ჯადოსნობას ახსნის და მის პოეზიას ფანტაზ“ (al-Koni 1992: 78).

ევადეცეული ცოლი ქმარს შიმშილის-გან ოჯახის გადასარჩენად ერთგული მეგობრის გაყიდვისები უბიძებს, იმ მეგობრისა, რომელთან ერთადაც უხაიადმა სიცოცხლე სასტიკ საფსურად და ტკივილად იყიდა... მეტიც, ის ეჭვი-ანობს ქმრის აქლემზე ასერიგად მიჯაჭვულობის გამო, რადგან „თუ მხედარს მომეტებულად უყვარს ცხენი ან აქლემი, რომელზეც მხედრობს, ცოლი ასეთ მხედარს არ უნდა ენდოს, რადგან მისი გული ან თავის ცხოველთანაა, ან ცოლსა და

\* სიდრათ ალ-მუნთაჰა – ყურანში უკიდურესი მისაღწევლის ლოტუსი იხსენიება „ვარსკვლავის სურაში“, აიები 11-15

\*\* რომანის რამდენიმე თავს წამდლვარებული აქვს სწორედ ცხოველის სულიერების დამადასტურებელი ფრაზები საღვთო წიგნებიდნ:

„რადგან კაცის და პირუტყვის ხევდრი ერთია – ერთის სიკვდილი მეორისას ჰგავს და ყველას ერთი სული უდგას, კაცი პირუტყვზე ვერაფრით ვერ უპირატესობს, რადგან ყველაფერი ამაოა“ (ეკლესიასტები, 3:19).

„მართალი ზრუნავს თავისი პირუტყვის სიცოცხლეზე, ბოროტეულთა გული კი სასტიკია“ (იგავნი სოლომონისა 12: 10)

„ო, ხალხო ჩემო! ეს არის დედალი აქლემი – ალაპის სასწაულად თქვენთვის. გაუშვით, ძოვოს ალაპის მინაზე და ნუ შეამთხვევთ რაიმე სიავეს, თორემ მოგეწევთ სასჯელი ალაპისა“ (ყურანი, სურა ჰუდი, აია 67 (64) (თარგმანი გ. ლობჟანიძისა).

	ცხოველს შორისაა გაყოფილი და ეს უარესია!“ (al-Koni 1992: 118) ის მალავს ქმრისგან დუდუსთან ნათესაობის ნამდვილ საზს, ყველა დეტალი რომანში აჩვენებს, რომ მას ქმართან სულიერი ერთობა არ აქვს.
--	--

მე	სხვა/უცხო
<p>„მე/ჩემიანისა“ და „უცხოს“ ოპოზიცია უხაიადისთვის მხოლოდ პიროვნებებთან კი არაა დაკავშირებული, არამედ ადგილებთან მიმართებითაც კი მკევთრად იმიჯნება: ჰამადას ჩრდილოეთის უდაბნო შშობლიური უდაბნოა და წალკოტია მისთვის სამხრეთის ურჯულო ქვიშიან უდაბნოსთან შედარებით!.. „გაზელს ან გარეულ თხას თუ ვერ წააწყდება, კურდღელს მაინც გაპოვნინებს ჰამადას უდაბნო!.. კურდღელსაც თუ ვერ წაასავ, ხვლიკით გიმასპანძლებს, ხოლო თუ ხვლიკების გამოსვლის სეზონი არაა, მაშინ ბალახეულობის მწვანე სუფრასთან მიგრინებს. თუ ცამ იძუნნა და წვიმა დაინანა, ლოტუსის ხის ნაყოფს გიწყალობებს, წინა წლიდან რომ შემორჩენია. ო, ღმერთო!.. დაილოცოს ჰამადას უდაბნო!..“ (al-Koni 1992: 79).</p> <p>თავისიანად მიიჩნევს უხაიადი დუდუს მიერ შუამავლად გამოგზავნილ უკბილო, მხიარულ მწყემსსაც, რომელიც დარიგებებს არ იშურებს მისთვის, უცხოებთან დამოკიდებულებაში სიფრთხილეს ურჩევს და ამუნათებს ამლაყი აქლემის დაგირავებისთვის. ის ისლამამდელი და შუა საუკუნეების ისლამური არაბული პოეზიის განუყრელ „მკიცხველის“ იმპერსონალურ ფიგურას გვაგონებს, რომლის მთავარი ფუნქცია იყო ინდივიდუალისტი, „უგუნური და შეუსმენელი“ პოეტისთვის გონიერ მოსასვლელად შემოძახება და მისთვის კოლექტიური ფასეულობებისა და ცხოვრების წესის ფარგლებში დაბრუნებისკენ მოწოდება, თუმცა ისლამამდელი და შუა საუკუნეების „უგუნური და შეუსმენელი“ პოეტისა არ იყოს, უხაიადიც თავის აზრზე რჩება და ამ შემოძახილს ყურად არ იღებს... თუმცა, მისთვის ქვეშეცნეულად მაინც შევებისმომგვრელია ის ფაქტი, რომ საზარელი აღსასრულის წინ თავის სალახანა მკვლელთა შორის ამ</p>	<p>რამდენადაც ჰამადას წითელი უდაბნო უხაიადს შშობლიურ გრძნობებს აღუძრავს, იმდენად სამხრეთის ქვიშიანი უდაბნო უცხოვება. უცხოსთან კი ყველა ფერი უსამინ და მტრულია დაკავშირებული რომანში. „ქვიშიანი უდაბნოსგან არაფერს ელოდე! ის ვერაფერს შეგპირდება, მუხანათა! არაფერია იქ!.. არც ბალახი, არც ველური ხე, არც გარეული ცხოველები!.. ეს უდაბნო არაფრით დაგაპურებს ქვიშის, მტრისა და სამხრეთის ქარის გარდა!“ (al-Koni 1992: 79).</p> <p>უცხოთათვის საიდუმლოს გამულავნება, უდაბნოს კანონით, მომთაბარეს შეიძლება სიცოცხლის ფასად დაუჯდეს.</p> <p>დუდუს მიერ შუამავლად გამოგზავნილი უკბილო, მხიარული მწყემსის პირით ტორის კოლექტიური გამოცდილებით შემონბებული სიბრძნე დაღადებს: „უცხოებს ისე უნდა მოეპყრო, როგორც მოწინააღმდეგებს. კაცი უცხო მხარეს მიზეზის გარეშე არ მიმურებს. უცხოს გულში ყოველთვის რაღაც საიდუმლოს სძინავს“ (al-Koni 1992: 107).</p> <p>რაც არ უნდა ბევრი იფიქრო, რაც არ უნდა კარგი ჭეუში პატრონი იყო, რაც არ უნდა ინტერპრეტაციები აკეთო, უცხოთა გუდაში ყოველთვის მოიძებნება სხვა საიდუმლოებები. რაც არ უნდა მცოდნე იყო, რაც არ უნდა მახვილგონიერებით დაჯილდოებული, უცხოთა იარაღი ყოველთვის უფრო ძლიერია, რადგან კაცი უცხოობაში უმიზეზოდ არ მიდის! (al-Koni 1992: 117).</p> <p>უცხო მხარე (კერძოდ, სამხრეთი) ჯადოქრობისა და ჯადოსანთა ქვეყანაა. უცხონი კი გრძნეულები და ჯადოქრები არიან!</p> <p>დუდუ უცხოთა შორის ყველაზე გაიძვერა და მზაკვარი ფიგურაა რომანში. ის ორმაგ პირბადეს ატარებს მზერის შესანილბად და თვალებში გულზე შემოხვეულ</p>

<p>მწყემსს არ ხედავს. ესეც უმტკიცებს მკითხველს იმის განცდას, რომ უხაიადს მწყემსიც „თავისიანთა“ შორის ეგულება. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, შეიხი მუსა, უცხოტომელი კაცი, მისი აღმზრდელი და სულიერი წინამდლოლი, ამქვეყნიური ავ-კარგის მასწავლებელი, უხაიადისთვის უფრო ახლობელი და „თავისიანია“, ვიდრე მშობელი მამა, რომელმაც ურჩობისთვის ერთადერთ ვაჟს წყევლა გააყოლა მეგზურად ცხოვრებაში (უდაბნოს წესით კი მშობლის ლალადისთვის ზეცის კარი მუდამ ლიაა და შეისმინება) და თავისი გაზრდილი ამ-ლაყი მაპრული აქლემი კი – ცოლზე ერთ-გული და გამგები, შვილზე ახლობელი და საყვარელი.</p> <p>შურისმაძიებელ მკვლელთა ხელი-დან თავის დალევის მცდელობაში მთის ნაპრალს შეფარებულ უხაიადს საოცარი სულიერი სახლოვისა და ერთობის განც-და აქვს კედელზე, გარდასულ ხალხთა ნახატზე გამოსახულ მონადირეთაგან დევნილ ჯიხვთან. ჯადოქარი მხატვა-რის მიერ შთაგონებული განწირულობის განცდა, რომ ჯიხვი ისრების სროლით დადევნებულ მდევრებს თავს ვერ დაალ-წევს, მასზეც გადმოდის და გრძნობს, რომ ამ დევნილი ჯიხვით ძალა მასაც შეუცნობლიდან ეძლევა, რადგან სწორედ შეუცნობელი გვენევა სიცოცხლის სიყ-ვარულისკენ მაშინაც კი, როცა გადარჩენის იმედი ძალიან სუსტია! (al-Koni 1992: 149).</p>	<p>საბურველს მალავს. მიზნის მისალწევად ის არაფერს ერიდება. მისი დუმილი, ნალელი და პირქუშობა მისი გულის საიდუმლოს მიუწვდომელს ხდის და ამ მიუწვდომლობაშია მისი სიძლიერეც! უცხონი ძლიერები არიან, რადგან ისინი, ვინც საიდუმლოებებს მალავენ, ყოველ-თვის ძლიერნი არიან!</p> <p>უცხო და შემოტანილი ხრიკებიც, ჩრდილოეთ უდაბნო მანამდე რომ არ იცნობდა – მოქრთამვა; ზნეობის გამხ-რწნელი ოქრო, ყველა დაწყევლილი საქ-მის მიზეზი... – სამხრეთელ უცხოთა დამკვიდრებულია.</p> <p>უხაიადისთვის უცხოა ცოლიც, რომელ-საც, გარდა იმისა, რომ უცხო ტომისაა და ქმარს სულიერ თანამგზავრად ვერ ექცა, თავისი საიდუმლო ჰყოფს ქმრისგან, ეჭვი ღრღნის და მის მზერაში უხაიადი წამი-ერად სიძლიერილსა და აბუჩად აგდებასაც კი იჭერს.</p> <p>უცხონი არიან მისთვის ოაზისებში მცხოვრები გლეხები, რადგან ისინი ყვე-ლანი მონები არიან. კედლისა თუ ქოხის მიღმა მხოლოდ მონა სახლობს. ის ბრმაა, რომელიც ვერ ხედავს თავის მონობას, სულის მონობას. ის მონისა მონა კი არაა, არამედ ეშმაკის მონა, რომელსაც ჯაჭვე-ბით დაუბამს მისი სული. ეშმაკის მონა კი კაცთა მონაზე უარესია. ის საშინელი მონაა, თუ მონის მონა სიბრალულს აღ-ძრავს, ეშმაკის მონა მხოლოდ ზიზღლ ინვევს (al-Koni 1992: 127).</p>
--	--

ეს დაპირისპირებული წყვილები თავიანთი თვისებებით რომანის ძირითად თემატურ დაპირისპირებას გამოკვეთენ: სულიერი ფასეულობები (ე.წ. უდაბნოს თილისმა) – ამქვეყნიური ფასეულობები (ბედისწერის ნიშნები, მისი მუხანათობა). მათ შორის კონცეპტუალური სხვაობა გამოიხატება შემდეგში:

სულიერი ფასეულობები (ე.წ. უდაბნოს თილისმა)	ამქვეყნიური ფასეულობები (ბედისწერის ნიშნები, მისი მუხანათობა)
განატენი და უსამართლო ბედისწერის განჩინებისგან ერთადერთი თავდაცვითი საშუალება და მისი პოზიტიური ან-ტითეზა მოთმინებაა, რომელიც კაცს მის ამქვეყნიურ მოვალეობებს ატარებინებს და რომლის მეშვეობითაც საბოლოოდ	უხაიადმა ტომის ბრძენთაგან იცოდა, რომ ფარულ შფოთვასა და მოუსვენრობაში უკვე ნიშანია. მას ეშინოდა მინიშნებებთან ფხიზლად ყოფილიყო, რადგან არაფერია ცხოვრებაში უფრო სახიფათო, ვიდრე ნიშნები, რომლებსაც არად აგდებ

სულიერი ფასეულობები გამოდის გამარჯვებული და დასტურდება სპირიტუალურის უპირატესობა მატერიალურზე. ადამიანი, რომელიც გრძნობს და ატარებს ყოფიერების სიმძიმეს, რომელიც სიკვდილ-სიცოცხლეს შორის უმწეოდა გამომწყველული, მხოლოდ მოთმინებითა და გამუდმებული სიფრთხილით, ყურადღებით ბედის სწრის გამაფრთხილებელი ნიშნების მიმართ შეძლებს მზადყოფნას სიკვდილთან დირსეულად შესახვედრად. ამგვარი მზადყოფნის თვალსაჩინო ნიმუში უხაიადისთვის ბაბუაა დედის მხრიდან, ბრძენი შეიხი, რომელიც თუკი ძილში რამე ხილვას ნახავდა, სანოლიდან არ ადგებოდა, სანამ წინასწარმხილველებს არ მოუყვანდნენ, რომ მათ ხილვა აქსესნათ მისთვის. ხშირად იმეორებდა: „თუ ალაპმა გაგაფრთხილა და საიდუმლო გაგიმულავნა, არ უნდა იჩქარო, უნდა დაახანო და შეიმეცნო, თუ არა და, რაც მოგივა, მხოლოდ საკუთარ თავს დააბრალ!“ ორი მოღალატის მუხანათობაში დარწმუნებული იყო: დროის და ადამიანის! არანაირი ამბავი და მოვლენა მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა და ვერც მტერს უსარგებლია ვერსადროს მისი გაუფრთხილებლობით. მისი სიბრძე იდუმალი, გამოუცნობი მინიშნებების მიმართ მისი ყურადღებიდან მომდინარეობდა. სიკვდილიც კი არ სტუმრების მოულოდნელად. ძილში იხილა, დასავლეთ უდანობი დაკარგული ლეგენდარული ლოტუსის ხის\* ქვეშ იდგა და ტბის ზყალს სვამდა. დილით წინასწარმხილველმა უთხრა: „მოემზადე იმქვეყნად გასამგზავრებლად! ეს სიდრათ ალ-მუნთაჰა!“\*\* შეიხმა გაიმზადა სუდარა, განიბანა, საუკეთესო გამოსასვლელი სამოსი ჩაიცვა და დაელოდა სიკვდილის ანგელოზს, სანამ სული არ განუტევა ხილვის ნახვიდან ერთ კვირაში (al-Koni 1992: 31).

ან მხედველობიდან გამოგრჩება! მინიშნება ეს ბედისწერა! ასე უთქვამს უდაბნოს! თავი ეს ნიშნები!.. ნიშანთა ფარული, საიდუმლო ენა!.. უდაბნოსგან ისწავლა, რომ შინებოდა ამ ენისა, რადგან ის არასოდეს ლაპარაკობს ღიად და აშკარად, რადგან ის შეუცნობელს მალავს... რადგან ის თავადაა შეუცნობელი. შეუცნობელი კი ნიშანს ტყუილად არ იძლევა. შეუცნობელს სუმრობა არ უყვარს. შეუცნობელი ეს თავად ბედისწერა, ბედისწერის ენა კი მომაკვდინებელია! (al-Koni 1992: 117).

ბედისწერა არასოდეს ყოფილა უხაიადის მიმართ დამნდობი, რადგან მის უდაბნოში ადამიანი დედის მუცლიდან გამოვა თუ არა, ნამით მოსვენება და განცხრომა აღარ აქვს! ერთ უბედურებას რომ უკან მოიტოვებს, მეორეს ეგვებება. გვალვასთან ომიდან იტალიელებთან ომამდე!.. წყურვილით წამებიდან შიმშილით ტანჯვამდე!.. მამის შეჩერებიდან ცოლის ზიზღამდე!.. უდაბნოს სისასტიკი-დან კუჭის წყლულამდე... და ასე ერთმანეთის მონაცვლეობით... წუთისოფლის რიგი განსაცდელისა ჩაცხრება თუ არა, სხვა არანაკლები გაჭირვება იწყება.

როცა ბედისწერა აწყობს რამეს, ისე აკეთებს, რომ ყველას ხდის პასუხისმგებელს და დამაშვევს. ყველას მტრად აცევს – ადამიანებს, საგნებს, უდაბნოს... ეს უზენაესი ბედისწერის თვისებაა, როცა წყვეტს, რომ პასუხისმგებლობა ყველას აპკიდოს მხრებზე, რათა არ არსებობდეს ერთი დამნაშავე. როცა დანაშაულის თანამოსანილე ყველა, მაშინ არ არსებობს დამნაშავე. ბედისწერა ყველაზე ოსტატურად შლის კვალს, გადაანანილებს დანაშაულს, რათა შეუძლებელი გახდეს და ნაშაულის ნამდვილი ჩამდენის პოვნა (al-Koni 1992: 112).

ბედისწერის მართვა ბრმაა, განურჩეველი და მის ხელში კაცი მხოლოდ და მხოლოდ უმწეო მსხვერპლია. რეალურად,

\* დაკარგული მითიური ლოტუსის ხე – ტუარეგების მითით, სადლაც, უდაბნოში ლოტუსის ხეა, რომლის ძრშიც წყაროა. ვინც მას იპოვის და ამ წყაროს წყალს დალევს, უკვდავი ხდება და იცოცხლებს უკუნისი უკუნისამდე.

\*\* სიდრათ ალ-მუნთაჰა – ყურანში უკიდურესი მისაღწევლის ლოტუსი, „ვარსკვლავის სურა“, აიგი 11-15: „გული არ ჰსტყუის. ნახული ჰყავს იგი. განა საეჭვოდ უნდა მივიჩნიოთ, რაც უხილავს? იგი უხილავს მეორე ჩამოსვლის დროსა, სამზღვრის ლოტუსის მახლობლად. იქ, სადაც საუკუნო სამყოფელი წალკოტია“ (თარგმანი პ. მირიანაშვილისა).

უხაიადისთვის ამლაყი აქლემი ღვთიური მაცნეა, მოციქულია, სული, რომელიც უფალმა გამოგზავნა მისი ჯაჭვით შებორკილი გულის გასათავისუფლებად. რომ არა წმინდა ცხოველი, ის ეშმაკის კვალზე ივლიდა და სხვა დაღუპულ სულებთან ერთად დაინთებოდა. ამლაყი მისი სხის ხომალდია, თავისუფლების გემი, უსაზღვრო თავისუფლებისა უფლის ვრცელ უდაბნოში, მარადიულ უდაბნოში, საიქიო სავანეს რომ აღწევს (al-Koni 1992: 127).

მეორე ზეციური მოციქული, რომელიც მოკულული დუდუს ნათესავებისგან ფევნილმა უხაიადმა თავის სამალავში იხლა, რქებადაგრეხილი ჯიხვია, რომელიც ღვთიური სამსხვერპლოსავით გამოეცხადა და სალახანების ხელიდან მისი სიკვდილი იტვირთა.

რომანში უხაიადის გარდა დუდუც ბედისნერის მსხვერპლია – ის თავისი ბიძგილის კვალს მისდევდა, სიყრმიდან რომ უყვარდა და ბედისნერის უკულმართბამ მასთან დააშორა. მან დიდი ტანჯვა გამოიარა, ბამბარას გოლიათ ქაჯებს ეომებოდა და მათ მონამლულ ისრებს სხეულს უშვერდდოქროს დასაუფლებლად, შემდეგ უსახელოდ მოკვდა და ასეთი სიმწრით მოპოვებული ნაყოფი ლაჩრებს და სალახანებს ჩაუცვივდა ხელში – მისი ქონების დაუფლების ჟინით შეცყრობილ მის ახლობელ-ნათესავებს.

სუფიური კონცეფციით ამქვეყნიური ორი ციხის — ცხოვრების გალიის მსხვრევა, რომელიც ბოჭავს ადამიანის თავისუფლებას და სხეულის გალიის დატოვება, რომელსაც სული ჰყავს ბორკილებში გამომწყვდეული, რომანში უხაიადის აკვიატებული სიზმრით საოცრად ხატოვნადაა წარმოდგენილი. ეს სიზმარი მას ბავშვობიდან ესიზმრებოდა, სიყმანვილეშიც ხშირად გაუწამებია და აღსარულის მოახლოებისას ხომ განსაუთრებით გაუმძაფრდა – ხედავდა სევდის-მომგვრელ, ჩამონგრეულ, სიბნელით მოცულ, თიხითა და ქვით ნაგებ, ორსართულიან, პალმის ტოტებით გადახურულ, მიტოვებულ, უფანჯრო და უკარო სახლს. უცნაური ის იყო, რომ საკუთარ თავს ამ სახლში გამომწყვდეულს პოულობდა, ისე, რომ არ იცოდა, საიდან მოხვდა შიგნით. თავს ყოველთვის მეორე სართულზე აღმოაჩენდა ხოლმე, ჩაბნელებულ კორიდორებში დადიოდა გასასვლელის, კარის, ფანჯრის ან სინათლის ძებნაში. ამ სართულის იატაკი მორყეული იყო და ჩანგრევის საფრთხე სუნთქვაშეკრულ უხაიადს ნაბიჯს აჩქარებინებდა. ნაბიჯები უკანკალებდა და ფეხი ერეოდა, დაცემის ეშინოდა და უხილავი არსების ყოფნას გრძნობდა, რომელიც საერთოდ არ ჩანდა. მიაბიჯებდა სიცარიელეში, მარტო, უძლური, უფსერულში ჩავარდნის შიშით. ამ განმეორებად მოგზაურობაში ყველაზე მეტად აშინებდა სიბნელე, მორყეული და ჩანგრევის პირას მყოფი მინის სართულის ჭერი და უხილავი არსება, რომელიც სიტყვასაც არ ძრავდა, არც რამე ნიშანს იძლეოდა, თუმცა, ამის მიუხედავად, უხაიადმა იცოდა, რომ ის სადღაც იყო სახლში – ერთერთი კორიდორის ბოლოს, ან რომელიმე ოთახის კუთხეში, ან ჭერში, ან ბაზზე, ან ქვემოთ, მინის სართულზე, სადაც ნანგრევები და ჩამოშლილი თიხის ყალიბების გროვები იყო. უხილავი არსება თავის იქ ყოფნას აგრძნობინებდა ისე, რომ არენახვებოდა. უხაიადს ეშინოდა ამ არსების, არ იცოდა ზუსტად, ის რას მალავდა, მაგრამ მხოლოდ მისი ყოფნაც კი გულში შიშს ულვიძებდა. თვით სიკვდილიც კი არ აღუძრავდა მსგავს განცდას (al-Koni 1992: 133).

\*ჯიხვი ძველი ლიბიელების მითოსში საკრალური ცხოველია.

რომანის ფინალი ამ მეტაფორის გასაღებია:

„წყვდიადი უცაბედმა ცეცხლოვანმა აღმა გააპო. ჩაბნელებული სახლი მინისძვრამ შეაზანზარა. შემზარავი კედელი ცეცხლოვანი ხმლის დაკვრამ ჩამოანგრია. გამოჩნდა იღუმალი, უხილავი არსება... მაგრამ მაშინ, როცა უკვე გვიან იყო, რადგან უხაიადი ახლა ველარასოდეს შეძლებდა, ვინმესთვის ეამბნა ის, რაც ნახა“ (al-Koni 1992: 160).

რომანი „ოქროს ქვიშა“ თავისი მაღალმხატვრულობით, შინაარსობრივი ტევადობითა და მრავალბლანურობით, საპარის ტუარეგთა ეთნოლოგიურ-ფსიქოლოგიური დეტალების შესანიშნავინარმოჩენით, გამორჩეულისულიერებითა და კულტურული ფასეულობებით, მითოლოგიური და რელიგიური ტრადიციული სახეების გამოყენებითა და საკუთარი ორიგინალური ინტერპრეტაციებით, „უცხოს“ ფენომენის შესანიშნავი ლიტერატურული დამუშავებით თვალნათელი დასტურია იმისა, რომ მისი ავტორი იბრაჰიმ ალ-ქუნი თანამედროვეობის დიდი მწერალია და ლიტერატურის მკვლევართა სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს, აღნიშნული რომანი კი მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს ეკუთვნის.

#### დამოწმებანი:

- Arabi P'oetebi V-XX ss. Arabulisan Targmna Nana P'urtseladzem.* Tbilisi: gamomtsemloba „kartuli ak‘ademiuti ts‘igni“, 2013. (არაბი პოეტები V-XX სს. არაბულიდან თარგმნა ნანა ფურცელაძემ. თბილისი: გამომცემლობა „ქართული აკადემიური წიგნი“, 2013).
- Eberhardi, Isabel. *Mogzauroba Maghribshi (samkhret Orani)*. Prangulidan Targmna Manana Bost' oghanashvilma. Tbilissi: gamomtsemloba „lira“, 2010 (ებრარდი, იზაბელ. მოგზაურობა მაღრიბში (სამხრეთ ორანი). ფრანგულიდან თარგმნა მანანა ბოსტოლანაშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „ლირა“, 2010).
- el-Zein, Amira, “Mythological Tuareg Gods in Ibrahim al-Koni’s Work”, *Alif: journal of comparative poetics*, # 35 ( annual 2015).
- Elmasrafy, Ziad. *Sufism in the Contemporary Arabic Novel*. Series: Edinburgh Studies in Modern Arabic Literature, Publisher: Edinburgh University Press, 2015.
- Colaa, Elliott. „Translating Ibrahim al-Koni“. *Magazine of Modern Arab Literature BANIPAL* 40 (2011)- Libyan Fiction. pp. 175-178.
- Fouad, Jehan Farouk and Alwakeel, Saeed.”Representations of the Desert in Silko’s “Ceremony” and Al-Koni’s “The Bleeding of the Stone”, *Journal of Comparative Poetics*, No. 33, The Desert: Human Geography and Symbolic Economy (2013) Published by: Department of English and Comparative Literature, American University in Cairo and American University in Cairo Press pp.36-62.
- Hamarneh, Walid. “Welcome to Desert of None Thinking”. *Canadian Review of Comparative Literature* / volume 41, issue 1, March 2014. pp. 86-98.
- Ibrahim al-Koni, *Gold Dust*. Third edition, at-Tanwir Press, Beirut, 1992 (in Arabic).
- “Seeds for farmers”, from the *Rihani Essays “ar-Rihaniyyat”*. Hindawi Foundation for Education and Culture , Cairo, 2012 (in Arabic).
- Weisberg, Meg Furniss, “Spiritual Symbolism in the Sahara: Ibrahim al-Koni’s Nazif al-Hajar”, *Research in African literatures*, 46.3 (fall 2015); Indiana University Press 2015.

**Darejan Gardavadze  
(Georgia)**

**The Desert and its Talisman,  
Sufi Mystic in Ibrahim al-Koni's Novel "Gold Dust"**

**Summary**

**Key words:** Modern, Arabic literature.

Contemporary Libyan prosaist, short story writer and novelist, awardee of numerous literary prizes, one of the best authors of modern Arabic novel, Ibrahim al-Koni is best described by his own words: "I don't live anymore in the desert but the desert still lives in me". The breath of desert, its colors are very strong in the writer's life and works. He feels the heartbeat of the desert, the philosophy of living in the desert, laws of life and death with some sixth sense. The writer offers to the readers of his novels amazingly vivid illustrations of the desert lifestyle that has not changed up to present, the moral code, the laws and philosophy of life and death, the doctrine of classical Sufism in today's life. Fate, time, fluidity of life, talisman and the destiny of people linked with one another with amazing creative power leads the readers to the miraculous mystic world and makes him think in a new way about all this.

Ibrahim al-Koni is not the only one who chose desert as the main theme of his literary work. However, the thing for which Ibrahim al-Koni is outstanding among the ones who have perfectly knowledgeable at the rules of the desert, leaves an endless trace on his view as a writer. That natural peace and quiet, which the open space of the desert has that can eliminate any sorrow of a man, can purify the spirit of a person from evil and fill with magical energy; it is the place of running away from reality and shelter in the realm that has not been discovered yet – "lost paradise", the purity of which is delivered to the reader in an unspoilt manner by the author.

This writer, locked in Arabic world like Libya itself, suddenly opened up to the remained world and gained intoxicating success and popularity. What makes Ibrahim al-Koni's "magic realism", unique manner of his prose and distinguished writer's idiom?! In the opinion of literary critics, the key to his success is thorough awareness in the desert laws and love and deep knowledge of Sahara and Russian literature.

On the example of "Gold Dust", Ibrahim al-Koni's famous novel, this article emphasizes, on one hand, adherence to the pre-Islamic literary traditions and equestrian code of honor and on the other – the contrasts, opposing pairs on which this small novel is built. Popularity of the contrasts is clearly seen in thematic collisions and emphasizing of conflicting qualities of the characters.

These opposing pairs, with their qualities, underline the main antithesis, these are: spiritual values – worldly values (signs of destiny, craft of fate) and emphasize conceptual difference between them.

Death of the main character of the novel, Ukhayad and his sign – dream about himself, locked in the dark house, the nightmare from his childhood, is the Sufi metaphor of freeing from the individual's worldly prison – life and body – and joining the eternity of soul.

YORDAN LYUTSKANOV  
(Bulgaria)

**Tradition, Individual Talent and the Inbetween:  
Vjacheslav Ivanov compared to T. S. Eliot**

*1. Comparability of Ivanov and Eliot*

What makes Eliot and Ivanov comparable? Both are modernist writers affiliated to the poetics of early 20<sup>th</sup> century symbolism and to ideologies, or at least poetic visions, definable as conservative<sup>1</sup>. Both have demonstrated theoretical interest in aesthetics and poetics and both have remained in their national literary canons as poets and as theoreticians of artistic creativity. Both pertained to literary traditions which, albeit differently, were slightly peripheral (or provincial) to the core European national tradition, the French one, but both of which could probably have contested French supremacy. Lastly, in the years immediately succeeding the First World War, or the “Great War” or the “European War” (as it was called by many in those years), both produced essays on creativity in art and culture, which essays remained their most remembered and praised pieces of non-fiction (or non-poetry)<sup>2</sup>.

Eliot’s “Tradition and the Individual Talent” (first published 1919) consists of two major parts (and a third, much shorter one) each of which has its overarching topic. ‘Each poet, willingly or not, embeds himself in the tradition, thus inevitably causing re-evaluation of all prior poetical production’, this is more or less the topic of the first part of the essay. ‘The more mature the talent, the more depersonalised he is’, reads the topic of the second part.

In 1920, while living in one and the same room of one and the same sanatorium, Vjacheslav Ivanov and a fellow of his, philosopher and literary historian Mikhail Gershenson, produced an epistolary argument on the burdensomeness and the liberating mercy of tradition. Gershenson claimed tradition to be a heaviest burden; Ivanov claimed it to be liberating, as a vehicle of God’s mercy. In 1921 that exchange (or concatenation) of letters from two corners of a room was published as a book. Though sharply disagreeing on tradition, Gershenson and Ivanov similarly viewed the correlation between tradition and individual creativity as one changing through history; and they similarly viewed true creativity (poetic and any other) as truly personal. They diverted on ‘where’ or ‘when’ they located this ‘personality’: Gershenson viewed true personality as ‘prior’ to culture, and Ivanov viewed it as an outcome of ‘death-and-resurrection’ through culture (and in guidance by God).

In brief, Ivanov’s ontology, being no less ‘tradition-friendly’ than Eliot’s, was profoundly personalistic and indeed ‘historicistic’. This ‘historicism’ of Ivanov had had

a noteworthy prehistory in his essays from the pre-war period, such as “The Spear of Athens”, “Crisis of Individualism”, “On Joyous Artisanship and Clever Doing” etc. In Ivanov’s vision, (1) sociological formations whereby artists are individualists and claim to speak on behalf of themselves and (2) sociological formations whereby artists are artisans and speak for the corresponding ethnic or politic community succeed each other through history. Unlike, for example, his 1920 opponent Gershenson, Ivanov claimed that artists of both socio-historical formations spoke for tradition – whatever their individual awareness and despite their attempted oblivion of tradition.

Eliot is possibly less anti-personalistic and more historicistic in essays other than “Tradition and Individual talent”, but I skip the issue now, in order to delineate these particular limitations of his ontology: limitations which, for example, an introductory course into the theory of literature – and probably such courses make Eliot’s essay persistently popular (as my Bulgarian experience – be it limited as it is – witnesses) – should mind.

## *2. Eliot and Ivanov on tradition, individual talent and the inbetween*

0. What is that ‘inbetween(ness)’ which secures transmission between the ‘tradition’ (or the predecessors) and an ‘individual talent’, which connects and divides, and even encompasses, them? It is, before all, a line or a plain of refraction, maybe a mirror. Then, it is a structure and a presence, and probably one with sensual features. Eliot and Ivanov (as well as their numerous fellows in poetry and philosophy) have an idea of it, and are more or less disposed to share that idea with their readers.

That ‘inbetween(ness)’ can be imagined – and was imagined indeed – as “castle of mind”<sup>3</sup> and aesthetically shaped Elysium. These images can be considered as revisions (sometimes conservative and sometimes modernising) of Plato’s Realm of the Ideas. What is Eliot’s place here? He offered just one more ‘edition’ of the Realm of Ideas, but one that has particular meaning within the context of the twentieth century.

Let me delineate beforehand three basic ideas of Eliot’s vision: ‘there is an order that pre-exists to any new work and that is (nevertheless) complete’; ‘each new work, entering this order, is being readjusted etc., and the same happens with the order itself’; ‘the resultant development abandons nothing *en route*’; ‘this development might be a refinement, complication, but not an improvement’.

The first two of them put Eliot’s essay in the context of the early history of structuralism. The second and the third one put it into the pre-history of Bourdieu’s sociology of art – in particular, his vision of the field of artistic production. The third and the fourth one put it into the context of the ‘conservative modernism’ of the 1900s-1920s.

1. Let me now cite Eliot (I used underlining to mark moments prefiguring structuralism, **bold** for hints toward Bourdieu and expanded font for features of ‘conservative modernism’; the *italics* are Eliot’s):

“The necessity that he shall conform, that he shall cohere, is not one-sided; what happens when a new work of art is created is something that happens simultaneously to all the works of art which preceded it. The existing monuments form an ideal order among themselves, which is modified by the introduction of the new (the really new) work of art among them. The existing order is complete before the new work arrives; for order to persist after the supervention of novelty, the **whole existing order must be, if ever so slightly, altered**; and so **the relations, proportions, values of each work of art toward the whole are readjusted**; and this is conformity between the old and the new.” (“Tradition and the Individual Talent”, cited after: Eliot 1975: 38-39).

Let me cite Bourdieu (the common structuralist idea of syntagmatic and paradigmatic order is too well known to be referred to through quotation here):

“To impose a new producer, a new product and a new system of taste on the market at a given moment means to relegate to the past a whole set of producers, products and systems of taste, all hierarchized in relation to their degree of legitimacy” (Bourdieu 1995: 159-160). “This model stands out with particular clarity today because, by virtue of an almost perfect unification of the artistic field and its history, each artistic act which leaves its mark by introducing a new position in the field ‘displaces’ the entire series of previous artistic acts” (ibid: 160). “Thus the whole history of the field is immanent in each of its states and to be equal to its objective requirements, as a producer but also as a consumer, one must possess a practical or theoretical mastery of this history and the space of possibilities in which it occurs” (ibid: 243).

2. Let me turn again to Eliot and his “Tradition...” (mind the coincidence of bold and expanded font):

“The poet must be very conscious of the main current, which does not at all flow invariably through the most distinguished reputations. He must be quite aware of the obvious fact that art never improves, but that the material of art is never quite the same. He must be aware that the mind of Europe – the mind of his own country – a mind which he learns in time to be much more important than his own private mind – **is a mind which changes, and that this change is a development which abandons nothing en route**, which does not superannuate either Shakespeare, or Homer, or the rock drawing of the Magdalenian draughtsmen. That this development, refinement perhaps, complication certainly, is not, from the point of view of the artist, any improvement. [...] But the difference between the present and the past is that the conscious present is an awareness of the past in a way and to an extent which the past’s awareness of itself cannot show” (Eliot 1975: 39).

And now Eliot comes to a proposition, the first half of which is fully acceptable from the standpoint of the ‘conservative modernist’ to whom I compare Eliot; and the second part of which is not acceptable to that other ‘conservative modernist’, Ivanov:

“What happens is a continual surrender of himself as he is at the moment to something which is more valuable. The progress of an artist is a continual self-sacrifice, a continual extinction of personality” (Eliot 1975: 40).

Ivanov would have said that the continual extinction of personality through self-sacrifice goes together with an acquiring, or manifestation, of a genuine one, for self-sacrifice is understood by him as a constitutive feature of personality.

Let me proceed with Eliot: “There remains to define this process of depersonalization and its relation to the sense of tradition. It is in this depersonalization that art may be said to approach the condition of science” (*ibid*: 40).

Ivanov could have signified the resultant condition of art as one approaching not science but ritual. To summarise: with Eliot, self-sacrifice leads the artist to depersonalisation and the art towards science; with Ivanov, it leads to genuine personalisation and to ritual (see below). On the one hand, individuation or alienation reaches its momentum and, on the other hand, it is overcome. But maybe this comparative reading is too doctrinal, it maybe ascribes to Ivanov an understanding of self-sacrifice and of personality which were clearly uttered slightly later, and from another author (by Vladimir Lossky in the 1940s)?

Let me again proceed with Eliot:

“I tried to point out the importance of the relation of the poem to other poems by other authors, and suggested the conception of poetry as a living whole of all the poetry that has ever been written. The other aspect of this Impersonal theory of poetry is the relation of the poem to its author. And I hinted, by an analogy, that the mind of the mature poet differs from that of the immature one not precisely in any valuation of ‘personality’, not being necessarily more interesting, or having ‘more to say’, but rather by being a more finely perfected medium in which special, or very varied, feelings are at liberty to enter into new combinations.” (*ibid*: 40).

“The analogy was that of the catalyst. When the two gases previously mentioned are mixed in the presence of a filament of platinum, they form sulphurous acid. This combination takes place only if the platinum is present; nevertheless the newly formed acid contains no trace of platinum, and the platinum itself is apparently unaffected; has remained inert, neutral, and unchanged. The mind of the poet is the shred of platinum” (*ibid*: 41).

“The poet’s mind is in fact a receptacle for seizing and storing up numberless feelings, phrases, images, which remain there until all the particles which can unite to form a new compound are present together” (*ibid*: 41).

“Poetry is not a turning loose of emotion, but an escape from emotion; it is not the expression of personality, but an escape from personality. But, of course, only those who have personality and emotions know what it means to want to escape from these things.” (*ibid*: 43).

Thinking of self-sacrifice as of leading to depersonalisation brings Eliot closer to Gershenzon. Tradition is a prerequisite for freedom and not an impediment – this is common credo for Eliot and Ivanov, but Eliot does not go enough far to realise that letting tradition speak through you does not deprave you of personality. ‘*Die and resurrect*’, ‘*depersonalise and personalise indeed*’: Eliot stops halfway. Eliot “leaves” personality on the level of emotions, feelings, *psychical*; he does not let it enter the realm of *pneumatical*. This is the way how poet’s mind appears to be an impersonal receptacle.

In Ivanov's letter 1, par. 1 from "Correspondence from two corners", as well as elsewhere in his writings, there is some kind of *Him* in the poet, in the 'human-beyond-its-emotions'. And human personality is, exists, beyond emotion. While Eliot finds it possible to speak of poetics without even hinting at God. Is it then that the non-presence of God in Eliot's poetics makes Eliot to consider no personality beyond emotion? Is it the absence of God what makes his mature poet depersonalised?

Eliot understands personality in a way which is still, to an extent, essentialist; and Ivanov understands it in a relationalist way. (I am aware that "still" in my previous sentence imposes teleology on my objects or, rather, characters, but anyway I retain it.)

In an essay that is far from theology Eliot understands personality in a way which implies not a Christian Deist, but just Theist ontology. Can a Christian be Christian only when he speaks about the Church?

### 3. Let me cite Ivanov:

On depersonalisation and (hyper)personalisation: "My personality is immortal not because it already exists but because it is evoked to emerging. [...] All that lives wishes not only self-preservation but self-revelation, knowing with the whole of its being that the latter means self-exhaustion, self-destruction, death, – and, probably, eternal memory. [...] Inauguration of humanity into supreme mysteries has revealed to its vision another, godhumanly face of that very aiming at death in the name of life: truth, love, beauty want to be Eucharistic" (Ivanov in "Correspondence from two corners" [Переписка из двух углов], in: Ivanov 1971-1987, 3: 384; 406; 406; transl. from Russian here and below is mine, YL).

On tradition: "[M]emory, [culture's] supreme mistress, affiliates her [memory's] true servants to the 'initiations' of fathers and, renewing in these [servants] them [the 'initiations'], imparts them [the servants] the power of/for new inceptions [...] It seems to you that oblivion releases and enlivens while cultural memory enslaves and mortifies; I claim that memory releases, [that] oblivion enslaves and kills." (the same work, the same volume and edition, p. 396; 410)

On the 'inbetween' and its shape: "I am not an 'architect of systems' [...] I have accustomed to roam in the 'forest of symbols' [...]. To me it [culture] is a stair of Eros and a hierarchy of benevolences. And [...] it is sweet to me to drown in this sea [...] to drown in God" (386). "[T]he higher the branches, the deeper the roots" (392). "Theory is grey-haired and the golden tree of life is eternally young." (394).

On art as science and art as art: "Word-symbols [speaking] about the inner experience of the personality have to be spiritual and indeed children of freedom. Just as the song of a poet does not compel but moves, so they must move the spirit of those who listen, and not subdue them through conviction like a proven theorem" (386).

On historicity of the relation between tradition and individual talent: "For the man of our times there is no big, of-all-people (всенородное) art – probably because the man of our times, as a form of being, that is, as someone who had come to some kind of static type of existence, is still to appear [...] That is why epochs of true big art, accompanied

with high level of popular culture, are so rare and short-lived” (“The spear of Athens” [Копье Афины]; Ivanov 1971-1987, 1: 727). “Epochs of becoming are, necessarily, epochs of small art; but this concept [...] encompasses at least three types of art [...]” (728). “These four types of art, in that sequence in which they were characterised afore, represent themselves an upward gradation of the individual freedom of an artist.” (730-731).

“When the religious impulse for artistic creativity, so strong in the Middle Ages, passed out, the artist, having no definite and urgent commissions to complete, appeared to be an individualist and hastened to invent individualism.” (“On joyous artisanship and clever doing” [О веселом ремесле и умном делании], in: Ivanov 1971-1987, 3: 63).

“[The time of Shakespeare was imbued] first of all, it seems to me, with a new and not experienced till then feeling of liberty from any tradition” (“Shakespeare and Cervantes” [Шекспир и Сервантес], in: Ivanov 1971-1987, 4: 104)

თუ დღევანდელობას დავუბრუნდებით, სოციოლიტერატურათმცოდნეობის დისკურსში უაღრესად აქტუალურია ამერიკელი სოციოლოგის რონალდ ინგლ-ჰარტის თეორია თვითგადარჩენისა და თვითგამოხატვის ლირებულებათა ოპიზიციური სოციალური მოქმედების მოდელის შესახებ, რაც გულისხმობს შემდეგს: თვითგადარჩენის ფუნქცია აქტიურდება საზოგადოებაში, სადაც ბრძოლა მატერიალური კეთილდღეობისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია და სხვა ფასეულობისათვის ადგილი აღარ რჩება, თვითგამოხატვის ფუნქცია კი აქტიურდება იქ, სადაც დიდი ხნის მანძილზეა შენარჩუნებული ცხოვრების/კეთილდღეობის მაღალი ხარისხი და ადამიანის უფლებები უმნიშვნელოვანესი ღირებულებაა. ეს მოდელი სიღრმისეულად ასახავს პიროვნების პოზიციას რეალობასთან, განსაკუთრებით რომელიმე რეჟიმთან თუ იდეოლოგიურ წერტილთან მიმართებაში. საინტერესოა, ისტორიის განვითარების რომელიმე ეტაპზე როგორ აისახა ეს ფუნქციები ქართველი მწერლების შემოქმედებაში და რა საშუალებებით გამოიხატა იგი.

ამჟამად შევეცდებით, წარმოვადგინოთ ამ მოდელის ლიტერატურული რეპრეზენტაცია -თანამედროვე ქართველი ავტორის ნანა ექვთიმიშვილის ტექსტი „მსხლების მინდორი“, რომელიც 2015 წელს დაიწერა.

ნანა ექვთიმიშვილის, როგორც ავტორის იდენტობა აღინიშნება სამი ნიშნით: ჯერ ერთი, ის არის ქართველ-გერმანელი ავტორი, ერთდროულად ცხოვრობს ორ სივრცეში, წერს ორ ენაზე და ამდენად არის დიასპორული ლიტერატურის ტიპური წარმომადგენელი. მიგრაციულმა პროცესებმა ადამიანების, მითუმეტეს მწერლის ადგილი, შუალედური სივრცეებით განსაზღვრა. „ეს არის ისეთი მდგომარეობა, რომელიც განსხვავების ტერიტორიებს ერთმანეთში გადასვლის საშუალებას აძლევს“ (Bhabha 1994: 72). იდენტობათა ცვლადობის ეს პროცესი შეიძლება

გაერთიანდეს შემდეგ დასახელებებში: “ჰიბრიდული იდენტობა”, „გარდამავალი იდენტობა“ ან „სამყაროთა შორის დაჭერილი იდენტობა“ (Толкачев 2012).

მეორე მხრივ, ნანა ექვთიმიშვილი არის რეჟისორი, სცენარისტი, პროდიუსერი, მან რამდენიმე მოკლემეტრაჟიან და სრულმეტრაჟიან ფილმებზე მუშაობის შემდეგ, 2012 წელს, რეჟისორ სიმონ გროსთან ერთად გადაიღო ფილმი „გრძელი ნათელი დღეები“, რომელმაც მსოფლოს სხვადასხვა წამყვან კინოფესტივალებზე გაიმარჯვა. ეს ფაქტი მნიშვნელოვნად მიგვაჩინია, რადგან ავტორის კინემატოგრაფიული გამოცდილება აშეარად აისახებ მისი ნაწარმოებების სტილზე: თხრობა მიმდინარეობს ახლანდელ დროში, გმირები და პიროვნებები ისეა აღნერილი, თითქოს მათზე კამერა ჩერდებოდეს და წიგნის კითხვისას გამუდმებით ფიქრობ, რომ კინოფილმს უყურებ.

მესამეც, ის არის ქალი-ავტორი, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ზოგადად, ქალთა შემოქმედების თემატიკა მრავალფეროვანია, თუმცა ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ ტექსტების დიდ უმრავლესობაში ცენტრალური გმირი არის ქალი, რომელიც მუდმივად ეძებს საკუთარ იდენტობას. გენდერულად მარკირებული ტექსტების სრულფასოვანი კვლევა კი წარმოუდგენელია კულტუროლოგიური, საზოგადოებრივი და სოციალური საკითხების გათვალისწინების გარეშე.

ნაწარმოებში მოქმედება ხდება მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში. ძველიდან ახლასკენ მოძრაობის განცდა არასოდეს ისეთი მძაფრი, როგორც მეოცე საუკუნის 90-იან წლებში. ეს იყო არა მარტო საუკუნის, არამედ ათასწლეულის დასასრული, რასაც ბუნებრივად უკავშირდება შფოთვა, მოლოდინი. საქართველოში კი, ისევე როგორც საბჭოთა კავშირში შემავალ სხვა ქვეყნებში, მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკურმა ძრამა – საბჭოთა კავშირის დაშლამ 1991 წელს – ტრანზიცია მთელი ყოფის მთავარ მახასიათებლად აქცია. დახურული ისტორიული სივრციდან ჯერ კიდევ სრულიად უცნობი ახლისკენ სვლის გზა ზოგისთვის ბენგვის ხიდი, ზოგისათვის კი ხრამი ამოჩნდა. „ერთაშეად იქცა წარსულად, რაც ჯერ კიდევ გუშინ მარადიული გვევონა“ – წერდა ოთარ ჭილაძე, და იქვე დასძენდა: „მთელი სიცოცხლე ამ დღეს ველოდი, როგორც იქნა მოვესნარი და მეშინია!“ (ჭილაძე 2011: 22).

ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა, შეცვლილი სოციოპოლიტიკური ვითარების ფონზე როგორ ძლიერდება თვითგადარჩენის ფუნქცია და რა ხერხებით ხდება მისი ლიტერატურული რეპრეზენტაცია.

სწორედ 90-იანი წლებიდან ზოგადად და განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა ქვეყნებში დემოკრატიულობის, მულტიკულტურალიზმის, ჰუმანური იდეების კვალდაკვალ თავი იჩინა ე.წ. „გვერდითმა მოვლენებმა“, როგორიცაა: ტერიტორიული და რელიგიური კონფლიქტები, აგრესია და ძალადობა – არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ კულტურულიც. ტექსტში განსაკუთრებით აქცენტირებულია სტრუქტული ძალადობა. ეს არის ნებისმიერი სახის ძალადობა, მაგრამ არა კონკრეტული, განკერძოებული შემთხვევა, არამედ საზოგადოებაში ძალაუფლების გადანაწილებისა და იერარქიული დაქვემდებარებების შედეგი, რასაც ადამიანები ფიზიკური ძალადობის ან თვითმკვლელობის ზღვრამდე მიჰყავს. რაც შეეხება კულტურულ ძალადობას, იგი გარკვეულწილად გულისხმობს თვით კულტურაში

ჩადებულ ძალადობასაც; მაგალითად, რომანში ასეთი ძალადობაა ქერჩის ქუჩის მცხოვრებთა დამოკიდებულება სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებთან: „ინტერნატის ბავშვები ჭიშკართან მოგროვილან და გარეთ იხედებიან, საიდანაც ბავშვის ტირილი ისმის. ახალგაზრდა ქალს ხელი ერთი ხუთიოდე წლის ბიჭისათვის ჩაუკლია, ის კი გულამოჯდარი ტირის. – გინდა, აქ ჩაგაბარო, გინდა? – ეუბნება ქალი ბავშვს. – არააა – ტირის ბიჯი.... ისინი მეზობელ კორპუსში ცხოვრობენ და ამგვარი მიზნით ქალი ახლა პირველად არ დგას ინტერნატის ჭიშკრის ნინ“ (ექვთიმიშვილი 2015: 92).

რომანში ასახული აგრესიის, ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ სექსუალური ძალადობის ფაქტები მრავალმხრივ იპყრობს ყურადღებას: ესაა მასწავლებლის სექსუალური ძალადობა მონაფეხზე, ძლიერი ბავშვების ძალადობა სუსტებზე და სხვ. ზოგიერთ შემთხვევაში მოძალადისათვის აგრესია და ძალადობა თვითგადარჩენის მექანიზმებია. ამგვარი თვითგადარჩენის ფაქტები სწორედ 90-იანი წლების თანამდევი იყო. თვითგამოხატვის ფუნქცია ისედაც ნაკლებად მოსალოდნელია ისეთ სპეციფიკურ სივრცეში, როგორიც ნანარმოებშია ასახული. რომანი ზუსტად ასახავს ეპოქის სულს: გაურკვეველი, დუხტირი, გავერანებული ყოფა საზოგადოებას არ აძლევს თვითგამოხატვის საშუალებებს.

რომანში წარმოჩენილია სივრცის იდენტიფიკაციის პრობლემა, რაც ნიშნავს პიროვნების შეგუებას ან არშეგუებას იმ სივრცულ მოდელთან, რომელშიც მას უწევს ცხოვრება. ეს მოდელი შესაძლოა იყოს ოჯახი და სამშობლო ან რომელიმე სხვა სივრცე. ამ რომანში პიროვნების ფსიქოსოციალური იდენტიფიკაცია მჭიდროდ უკავშირდება სივრცის იდენტიფიკაციას. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ოჯახური სივრცისა და „უნარშეზღუდულ მოზარდთა ინტერნატის“, იგივე „დებილების სკოლის“ გარემოთა დაპირისპირებისას: „როცა ლელა სხვაგანაა და ინტერნატში ბრუნდება, ეზოში ფეხის შედგმისთანავე მისთვის კარგად ნაცნობი სუნი ეცემა ხოლმე, რაც უფრო მეტად უახლოვდება მთავარ საცხოვრებელ შენობას, მით უფრო მძაფრდება ეს სუნი და ლელა გრძნობს, თუ როგორ ეგებება მას ინტერნატი თავისი მყრალი კალთით“ (ექვთიმიშვილი 2015: 36). სივრცესთან გაუცხოება ანუ სივრცის არშემდგარი იდენტიფიკაცია იწვევს პიროვნების ფსიქოსოციალური იდენტიფიკაციის ან თვითიდენტიფიკაციის კრიზისს, რაც საბოლოოდ ტრამულ ცნობიერებას აყალიბებს. ეს ფაქტორი კი პიროვნებას ართმევს თვითგამოხატვის შესაძლებლობას.

ნანარმოებში სივრცის იდენტიფიკაცია უკავშირდება პერსონაჟთა ფსიქოსოციალური იდენტობის ფორმირების პროცესს. იმის გამო, რომ რომანის სივრცე ასეთი „მყრალი“ და დახშულია, პერსონაჟები ბუნებრივად ცდილობენ ახალი სივრცის მოძიებას, შესაბამისად, პიროვნული კრიზისის დაძლევას. მათთვის ნამდვილი ღვთის წყალობაა უშვილო ამერიკელი ცოლ-ქმრის გამოჩენა, რომლებმაც ირაკლი იშვილეს და ამერიკაში უპირებენ ნაყვანას. თუმცა ირაკლი უარს ამბობს ამ შესაძლებლობაზე. ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული გზა ეთნიკური მენტალობიდან სოციოკულტურული ველის გაფართოებისაკენ. ახალი სივრცე მიუღებელია, მაგრამ ძველიც გაუცხოებული რჩება.

მართალია, რომანი დაუფარავად, შეულამაზებლად აღწერს მოვლენებს, მაგრამ ამავე დროს პერსონაჟთა ტრამული მდგომარეობის ფონზე მწერალი

გვახედებს ადამიანთა სულის უღრმეს ფენებში, რის გამოც ნაწარმოებში მაინც მოხელთებულია პერსონაჟთა ფსოქოსოციალური იდენტობის იმგვარი მარკერები, როგორიცაა ირაკლის დამოკიდებულება საბერძნეთში სამუშაოდ წასულ დედასთან, ლელას დამოკიდებულება მუდმივად დედის მომლოდინე ირაკლისთან, ან როგორ ინრჩუნებს ლელა ლირსებასა და დამოუკიდებლობას კობასთან მიმართებაში და თვითონ წყვეტს, როდის უნდა აიღოს საფასური სექსისათვის და როდის არა.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბოლოს მოზარდები, ლელა და ირაკლი, ასე თუ ისე ახერხებენ თვითიდენტიფიკაციას და შეძლებისდაგვარად ცდილობენ გარემოს მიმართ თავიანთი პოზიციების დაფიქსირებას. ირაკლი უარს ამბობს საზღვარგარეთ გარანტირებულ მომავალზე და ირჩევს დედის ჩამოსვლის ბუნდოვან პერსპექტივას. ლელა ახერხებს მისთვის საძულველი გარემოს დატოვებას, თან ისე, რომ არ სჭირდება მოძალადისთვის სამაგიროს გადახდა.

ჩაკეტილი სივრცის გახსნამ გადააფასა ქართული მენტალობისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი სოციალური მოდელი. რომანში აქცენტირებულია შვილის სრული დამოკიდებულება ოჯახზე: დედა წყვეტს უკვე ზრდასრული ვაჟის ქორწინების საკითხს. ასევე იმასაც, ეს ცოლი გამოადგება თუ არა. გოდერძიმ გაუშვა ოჯახისათვის მიუღებელი ცოლი და მოიყვანა მეორე.

ამ ეპიზოდით ასევე წარმოჩენილია ქალი-ავტორის ინტერესი იმ ეპოქისად-მი დამახასიათებელი გენდერული მოცემულობებისადმი. საინტერესოა გოდერძის როგორც პირველი, ასევე მეორე ცოლის მხატვრული სახეები. თუ პირველი ცოლი ამ ოჯახისათვის ზედმეტად ლამაზი და თამამი იყო და ვერც მოახერხეს მისი შენარჩუნება, მეორე ცოლი „...მორცხვი ღიმილით, უბრალო თეთრი ატლასის კაბით გოდერძის გვერდით ზის და ჩანს, რომ ამ ბედნიერებისაგან უფრო უხერხულადაა ვიდრე კარგად. ირმას დედას თუ შევხედავთ, რომელიც სუფრას-თან არ ჯდება... მიუხვდებით, რომ ირმა, იმ დღიდან, რაც ამ ქორწილიდან ვენერას და გოდერძის სახლში წაყვება და თავის ... საქორწინო კაბას გაიხდის, დედამისი-ვით ჯორის გამძლეობით ჩაებმება საოჯახო საქმეში და ასე იშრომებს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე“ (ექვთიმიშვილი 2015: 196).

ეს ეპიზოდი პრობლემის უფრო სიღრმისეულად განხილვის საშუალებას გვაძლევს: პიროვნების, ორმოცი წლის მამაკაცის შემთხვევაში, რომელიც ასე გამობმულია დედის კალთას და არც კი ცდილობს დამოუკიდებლობის მოპო-ვებას, თვითიდენტიფიკაციის პროცესი ვერ ხორციელდება. მწერალი ამ პრობლემას ააშკარავებს, რადგან მიიჩნევს მას 90-იანი წლებში კიდევ შემორჩენილი ქართული საბჭოთა იდენტობის ერთ-ერთ მარკერად. დღეს ეს ვითარება ნელ-ნელა იცვლება. ადამიანებს აქვთ თვითიდენტიფიკაციის, დამოუკიდებლობის მეტი მოთხოვნილება. ეს აისახება როგორც ოჯახთან, ასევე სხვა სივრცეებთან ურთიერთობისას. შესაბამისად, საზოგადოება თვითგადარჩენის ღირებულებებიდან ნელ-ნელა გადადის თვითგამოხატვის ღირებულებების გააქტიურებამდე. ეს ჩანს თუნდაც შემოქმედებითი პოტენციალის გააქტიურებაში, რისი დასტურიც არის ნანა ექვთიმიშვილის, წარმატებული რეჟისორის, დებიუტი მწერლობაში, რომელსაც სულ ახლახან აღინიშნა კიდეც „ლიტერას“ პრემიით.

რომანში წარმოჩენილია 90-იანი წლების ქართული იდენტობის, იმ დროს აქტიურად მოქმედი ქცევისა და მოქმედების ბევრი სოციალური მარკერი, რაც გამოიხატება ჩაცმულობაში: „პირამიდა ჯინსები და და პალმებიანი პერანგი“, საქორწილო დარბაზის მორთულობაში: „კედელზე ჩამოკიდებული ხალიჩა და მასზე დამაგრებული მიხაკები“, ინტერნატის დირექტორის პერსონაჟში: „ჩადგმული ქალი, ვიწრო შავი ბოლოკაბით, შავი, მაღალქუსლიანი ლაქის ფეხსაცმლით და მომწვენო ფურფუშელებიანი პერანგით. გულზე მსხვილი შავი მსხვილთვალებიანი მძივი ჰკიდია და სირბილის დროს დონდლო მკერდთან ერთად აქეთ-იქით უქანავებს“ (ნანა ექვთიმიშვილი 2015: 19).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სოციოლიტერატურათმცოდნეობითი დისკურსის ერთ-ერთი ასპექტი, კერძოდ, თვითგადარჩენისა და თვითგამოხატვის ოპოზიციური მოდელი ნანა ექვთიმიშვილის რომანში „მსხლების მინდორი“ წარმოჩენილია შემდეგნაირად: რომანში აღნერილ სივრცეში, რომელიც გადმოსცემს 90-იანი წლების იდენტობის კრიზისს, ვხვდებით მხოლოდ თვითგადარჩენის ფაქტებს. თვითგამოხატვისათვის, შემოქმედებითობისა და კრეატიულობისათვის რეალობამ ადგილი არ დატოვა. ახალი ტრანსდისციპლინური დარგის „მშვიდობის მეცნიერების“ შემქმნელი იოპან გალტუნგი თვლის, რომ კონფლიქტების, ძალადობის, აგრესის საპირზონედ მხოლოდ არაძალადობა (ემფატია და სოლიდარობა) თუ გამოდგება, რომელიც აუცილებლად ითვალისწინებს განათლების, კულტურის, ხელოვნების როლის გაძლიერებას, წარმოსახვას (ფანტაზია), ეფუძნება შემოქმედებითობას და თვითგამოხატვის ფასეულობებს. ძალადობასთან ბრძოლის მექანიზმებს, როგორებიცაა „მეს“ მოდელირების პროცესი, თვითიდენტიფიკაცია და სივრცის იდენტიფიკაცია.

#### დამოწმებანი:

- Aroni, P'ol da Viala, Alen. *Lit'erat'uris Sotsiologiia: Tbilisi: gamomtsemloba „k'lio“, 2011* (არონი, პოლ და ვიალა, ალენ. ლიტერატურის სოციოლოგია. თბილისი: გამომცემლობა „კლიო“, 2011).
- Bhabha, Homi K. *The Location of Culture*, Routledge, 1994.
- Ekvtimishvili, Nana. *Mskhlebis Mindori*. Tbilisi: „bak'ur sulak'auris gamomtsemloba“, 2015. (ექვთიმიშვილი, ნანა. მსხლების მინდორი, თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2015)
- Zubov,A. *Sotsialnienauklliteraturovedenie* Moskva:2012(Зубов,А Социальныенauки и литературоведение: актуальные возможности диалога. Москва:2012) n.pag. Web. - http://www.nlobooks.ru/node/3405
- Lit'li, D. *Sotsialuri Akhsnis Mravalperovneba*. Tbilisi: gamomtsemloba „TSU“, 2013 (ლიტლი, დ. სოციალური ახსნის მრავალფეროვნება. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2013)
- Smiti, Ent'oni D. *Natsionaluri Ident'oba*. Tbilisi: gamomtsemloba „logos p'resi“, 2008 (სმითი ენტონი დ. ნაციონალური იდენტობა. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, 2008).
- Tolkachev, *Multikulturalizm v postkolonialnom prostranstve i k'rosk' ult'urnaia angorsk'aia lit'erat'ura Informatsionniy gumanitarnyi portal №1 2013* (Толкачев С.П. Мультикультурализм в постколониальном пространстве и кросскультурная английская литература Информационный гуманитарный портал «Знание. Понимание. Умение. Умение» / №1 2013) n.pag. Web. http://www.zpu-journal.ru/e-zpu/2013/1/Tolkachev\_Multiculturalism-Cross-cultural-Literature/
- Chiladze, Otar. *Avelumi*. Tbilisi: gamomtsemloba „aret'e“ 2011 (ჭილაძე, ოთარ. აველუმი თბილისი: გამომცემლობა „არეტე“, 2011).

Natela Chitauri

Shorena Shamanadze  
(Georgia)

## Certain Aspects of Social Literature Studies Discourse

**Key words:** literary studies, social studies, migration

Intercultural communications, cultural globalization and especially migration processes have reasoned wide scale to literary space both in geographic and qualitative means.

Following aspects characterizing modernity have been outlined in the literary and society relations: society reacts to literature and decides what is valuable and actual in it. Literature also reacts to modernity and evaluates its own capabilities and viability. Those paradigms of identity, which are being modeled in literature today, change the literature thematic. Social dramas have multiplied in modern literature; and such painful topics as war, ethnic conflicts and etc. It can be said that art has become more social than it was before. Furthermore, literature has seen that there is the necessary to reflect the existing reality with even more drama and truth.

Interpretation of modern literary texts is impossible without interdisciplinary format of research, which provides for actualization of social experiences (sociology, social psychology, social geography) along with others.

In general, connection between sociology and literature studies started in the 19<sup>th</sup> century and went through several stages of development. Although, we believe that the given communication, considering the aforementioned, is characterized by completely qualities and dimensions and is being formed as separate discourse. Due to that, we believe it advisable to introduce the working term – social literature studies – for defining it.

Following research spheres have been outlined in the today's discourse of social literature studies: 1. Studying social literature indicators (author-reader-environment); 2. Research of social poetics, as of social structure and social phenomenon; 3. Research of text by social concepts. At that time, special importance is given to the theories of social relations, which allows us to reveal in texts the psycho-social and national identification models of intercultural communications, human relations (individual and social behavior). Analysis and comprehension of literary representations of aforementioned models is very important.

All the works in all epochs gives material for research by means of social models and theories. It is impossible to define any literary direction, even symbolism just by esthetics. Currently, every important is the theory of American sociologist Ronald Inglehart about the oppositional social behavior model of self-preservation and self-expression values, which means that the self-savior function activates in the society in which the fight for material wellbeing is most important and there is no more space for other values; the

self-expression function activates in the society in which is for long time preserved high quality of life/wellbeing and human rights are the most important value. The given model comprehensively reflects the individual's position towards the reality, especially in the context of certain regime or ideological pressure. It is interesting how these functions have been reflected at some stage of history development in the works of Georgian writers and by what means it has been expressed.

For the moment we will attempt to represent the literary representation of the given model in the text by modern Georgian author Nana Ekvtimishvili – Peer Field, which was written in 2015.

Nana Ekvtimishvili's identity as of an author is defined by three marks: first of all she is Georgian-German author; second – she is movie director and screenplay writer and third – she is woman author.

The plot of the novel develops in the 1990's. The feeling of moving from the old to the new has never been so tense as in the 1990's. It was the end of not only the century, but also of the millennium, which was naturally accompanied by anxiety and expectation. In Georgia, just in all the other countries of the Soviet Union, the world-scale political change – collapse of the Soviet Union in 1991 – turned transition into the main feature of life. The road leading from the closed historic space towards the completely strange new became the narrow bridge for some and the gap for others.

It is interesting how the self-savior function empowers to the background of social-political situation and what methods are used for its literary representation.

Right from the 1990's in general and especially in post-soviet countries, following the democratization, multiculture, humane ideas the so called "side effects" have appeared; such as: territorial and religious conflicts, aggression and violence: not only physical, but also cultural. The facts of aggression, physical, psychological and sexual abuse attract attention in different directions: it is the sexual abuse of students by a teacher, bullying by strong children of weak ones and etc. In certain cases, aggression for abusers is the mechanism of self-preservation. Such facts of self-preservation accompanied the 1990's; self-expression function is also less expected in such specific space as described in the novel. The novel exactly reflects the soul of the epoch: obscure, poor life does not allow the society for self-expression.

Comprehension of the result of the trauma, as self-identification in the space, which means getting used or not getting used by an individual to the space model, which they have to live in. In the given novel, psychological identification of an individual is tightly connected with space identification (according to the novel, it is the "boarding school of disabled juveniles" or "the school of imbeciles" in the 1990's). Estrangement with the space or the unachieved identification of space results in the crisis of individual's psycho-social identification or self-identification. This finally forms the traumatic mentality. The given factor leaves an individual without the possibility of self-expression.

Opening of the closed space reevaluated certain social models of behavior and activity characterizing Georgian mentality. The novel focuses on the full dependence of a child on the family: mother decides upon the marriage of an already adult son. She also decides whether or not this wife would be good for him or not. Goderdzi divorces the wife

unacceptable to his family and married another woman. The given episode also reflects the interest of woman author in the gender situation characterizing the given epoch. The given factors are also barriers for self-expression.

The novel describes many markers of the identity of the Georgian life of 1990's and the behavior and activity model of that time. This is expressed in the popular cloths: "pyramid jeans and shirts with palms", design of wedding hall: "carpet handing on the wall and flowers pinned to it"; the character of the boarding school director: "athletic woman with narrow black skirt, wearing black, high-heel shoes and greenish shirt. She wears large black bead, which moves from side to side with her breasts, when she runs around."

In conclusion we can say that certain aspects of social literature studies discourse, namely the oppositional model of self-preservation and self-expression in Nana Ekvtimishvili's novel the Peer Field is reflected as follows: in the space described in the novel, which represents the identity crisis of the 1990's, we do not see facts of art and creativity, which are the ones that cover the mechanisms of fighting violence, such as the process of the modeling of "I", self-identification and identification with others, imagination (fantasy). The creator of the new transdisciplinary field – "peace science" Johan Galtung believes that conflicts, violence, aggression can only be opposed by non-violence (empathy and solidarity), which by all means includes empowerment of the role of education, culture, arts and which is based on values of creativity and self-expression.

## მაკა ელიაშიძე (საქართველო)

### ბაჩანა ბრეგვაძე

1991 წლის იანვარი იდგა. ჯერ კიდევ შორეულ ექოდ ისმოდა პოლიტიკური კონფრონტაცია, რომელიც სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ სამოქალაქო ომში გადაიზარდა. ქართული საზოგადოება უკვე გაყოფილიყო სხვადასხვა „ისტად“ და ეს დაპირისპირება, ჯერ მხოლოდ სიტყვიერი, კიდევ უფრო ამძიმებდა ისედაც ჩამუქებულ სოციალურ ატმოსფეროს. პოლიტიზირებული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც, რომლის დერეფნებიც იმხანად სიტყვიერი ანგარიშსნორების ასპარეზად იყო გადაქცეული. სწორედ ასეთ რთულ და წინააღმდეგობრივ დროს დაემთხვა ჩემი კარიერის დასაწყისი ჩემსავე აღმა მატერში, რომელიც დღითიდელ იცვლებოდა პოლიტიკური ვექტორის მერყეობასთან ერთად. ჩემდა საბედნიეროდ, ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ლაბორატორიაში, რომელიც პატონმა ელგუჯა ხინოთბიძემ გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში დააარსა, სრული პოლიტიკური თანხმობა და ერთსულოვნება სუფევდა. ეს იყო ერთგვარი ოაზისი, რომლის კედლებშიც ვერ აღწევდა უნივერსიტეტის დერეფნებში ჩამომდგარი გაუცხოებისა და ურთიერთდაპირისპირების სუსტი. სწორედ ამ პატარა ოთახში იანვრის ცივ და თოვლიან დღეს წარმადგინეს ლაბორატორიის სხდომაზე შეკრებილი ჩემი მომავალი თანამშრომლების წინაშე, რომელთა შორის გამოირჩეოდა საოცრად მშვიდი და თავშეკავებული, ამავდროულად, საოცრად თბილი და სევდიანი მზერის მქონე შუახნის მამაკაცი, პატონი ბაზანა ბრეგვაძე. მისი სახელი ჩემს მექსიერებაში უკავშირდებოდა რამდენიმე წიგნს მამას ბიბლიოთეკიდან – პლატონის „ნადიმსა“ და ბლეზ პასკალის „აზრებს“, ასევე ჩემი სტუდენტობის წლებში გამოსული წმინდა წერილის თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმანს.

იანვრის იმ სუსხიან, ნაცრისფერ დილას გავხდი ლაბორატორიაში შეკრებილ თანამოაზრეთა გუნდის წევრი, გუნდისა, რომელსაც ადულაბებდა ბატონი ბაჩანას, ბატონი ელგუჯას, ბატონი ჯემალ აჯიშვილისა და სხვათა პროფესიონალიზმი, მეცნიერული კეთილსინდისიერება და კეთილგანწყობა, რომელიც უცილობლად უნდა არსებობდეს მასწავლებელსა და შეგირდს, გამოცდილებით დაბრძენებულ მეტრსა და ახალბედას შორის. ჩემთვის, ისევე როგორც რამდენიმე ჩემი თანატოლისთვის, ლაბორატორიის ყოველი სხდომა თუ წლიური თემების კითხვა, რომელიც გარეშე თვალისთვის შესაძლოა რუტინულად და მოსაწყენად მოჩანდა, იყო ნამდვილი მასტერ-კლასები, სადაც ერთი რომელიმე კონკრეტული საკითხის განხილვის პარალელურად იმართებოდა ცხარე პოლემიკა ფართო ფილოსოფიურ-თეოლოგიური თუ ისტორიულ-ფილოლოგიური პრობლემატიკის გარშემო. რამდენიმეწლიანი კოლეგიალური ურთიერთობისა და სამსახურეობრივი მოვალეობებით განპირობებული შეხვედრების შედეგად, ბატონი ბაჩანა ბრეგვაძე არა

მარტო ჩემთვის, არამედ ყველა ახალბედა მეცნიერისათვის, იქცა პროფესიული და პიროვნული ღირსების თვალსაჩინო მაგალითად.

ზოგადად, მთარგმნელის პროფესიონალიზმს სპეციალისტები იმის მიხედვით აფასებენ ხოლმე, თუ რამდენად სრულყოფილად ფლობს ის იმ ენას, რომლიდანაც თარგმნის და რამდენად ზუსტად არის დაცული თარგმანში დედნის აზრობრივი, მსოფლმხედველობრივი თუ მხატვრულ-ესთეტიკურ პრინციპები. ამ თვალსაზრისით უნიკალურია ბატონი ბაჩანას მთარგმნელობითი მოღვაწეობა, ვინაიდან ის უზადოდ თარგმნიდა არა ერთი, არამედ რამდენიმე ენიდან, იქნებოდა ეს კლასიკური – ბერძნული და ლათინური, თუ ევროპული ენები. ფართო იყო სათარგმნად შერჩეულ ავტორთა სპეცირიც – პლატონი, არისტოტელე, ევრიპიდე, ჰერაკლიტე ეფესელი, პლოტინი, ფსევდო ლონგინე, მარკუს ავრელიუსი, ნეტარი ავგუსტინე, დანტე ალიგირი, ნიკოლო მაკიაველი, ლუიჯი პირანდელო, ჯაკომო ლეოპარდი, ბლეზ პასკალი, პოლ ვალერი, ანატოლ ფრანსი, ანტუან სენტ ეგზიუპერი, ფრედერიკო გარსია ლორკა, ანტონიო მაჩადო, გუსტავო ხიმენესი, გაბრიელა მისტრალი, სერვანტესი, ჰენრიკ იბსენი და ბევრი სხვა...

წილად მხვდა ბედნიერება მომსწრე ყველიყავი გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ბატონი ბაჩანას საოცარი შემოქმედებითი აქტივობისა, რაც სრულიად მოულოდნელი იყო გარეთ გამეფებული ქაოსის – ტყვიების ზუზუნის, უშუქობის, სიცივის, შიმშილის ფონზე. ლაბორატორიაში მუშაობის წლებში ითარგმნა პლატონის „ტიმეოსი“ (დღემდე მახსოვს ბატონი ბაჩანას რეპლიკა: „ჩქარა მივიდე სახლში, ოთახში ჩემი პლატონი მელოდებაო“), სერვანტესის „დონ კიხოტი“, ჰენრიკ იბსენის დრამები ორ ტომად. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ლაბორატორიის თანამშრომლები ვიყავით ამ შემოქმედებითი პროცესის მოწმენიც და, გარკვეულწილად, მონაბილენიც, რადგან სწორედ ჩვენს ტრადიციულ „ხუთშაბათობებზე“ (სხდომები, ძირითადად, ხუთშაბათობით ტარდებოდა ხოლმე) ბატონი ბაჩანა საოცარი გატაცებით გვიყითხავდა ფრაგმენტებს თავისი ახალი თარგმანებიდან.

ბატონი ბაჩანას შემოქმედებითი მოღვაწეობის არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარე იყო სამეცნიერო თარგმანი (ანრი ბერგსონის „ცნობიერების უშუალო მონაცემები“, შ. დელის „ბიზანტიის იმპერიის ისტორია“, ა. შოპენჰაუერის „ცხოვრებისეული სიბრძნის აფორიზმები“, ხოსე ორტეგა-ი-გასეტის „მასების ამბოხი“, „ხელოვნების დეპუტანიზაცია“ და სხვა), აღჭურვილი მთარგმნელის ღრმა ერუდიციითა და პროფესიონალიზმით შესრულებული კომენტარებით (მაგალითად, იმისათვის, რომ ქართველ მკითხველს გარკვეული წარმოდგენა შექმნოდა ძველი საპერძეოთის უდიდესი მოაზროვნის ჰერაკლიტე ეფესელის ფილოსოფიური დოქტრინის შესახებ, ბატონმა ბაჩანამ თარგმანს წარუმზღვარა გერმანელი სწავლულის, არნიმის მოკლე ნარკვევი „ჰერაკლიტე“, ხოლო ტექსტს საქმაოდ ვრცელი ფრაგმენტები დაურთო).

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა... გაუქმდა ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების ლაბორატორია... „ახალმა დროებამ“ გაჰყარა ერთ დროს ასე შედუღაბებულ თანამოაზრეთა ჯგუფის გზებიც. ახალი მოვალეობებითა და ვალდებულებებით დახუნდლული, მხოლოდ შემთხვევით თუ გა-

დავაწყდებოდი ხოლმე ქუჩაში დინჯად მომავალ ბატონ ბაჩანას – ძველებურად აუღელვებელს, თბილსალმიანსა და კეთილგანწყობილს. მას არ აკლდა რეგალი-ები, არც პრემიები და ჯილდოები (ივანე ჯავახიშვილის, დავით აღმაშენებლის, ექვთიმე თაყაიშვილის, ილია ჭავჭავაძის, ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიები; ლიტერატურული პრემია «საბა»), მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ისევე როგორც ყველა ჩვენგანს, ჰქონდა უამრავი პრობლემა, რომელთაც არავის ახვევდა თავზე. განსაცვიფრებლად თავმდაბლა და მოკრძალებულს არასოდეს მოუწონებია თავი საკუთარი ნიჭითა თუ ერუდიციით. არც ტელეეკრანზე გამოჩენა ხიბლავდა – მყვირალა პოპულარობას ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა. ბოლოს უნივერსი-ტეტში ვნახე – კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაციის (GCLA) მიერ დანესებული პრემიების გადაცემის ცერემონიალზე, როდესაც იგი გივი გაჩეჩილაძის სახელობის სპეციალური პრემიით დააჯილდოვეს სამეცნიერო თარგმანის დარგში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის. ეს ჯილდოც, როგორც სხვა დანარჩენები, მან ჩვეული თავმდაბლობით მიიღო, წარდგინებისას მოკრძალებული ღიმილი არ მოშორებია სახიდან – თითქოს ეუხერხულებოდა თა-ვისი მისამართით გამოთქმული საქებარი სიტყვების მოსმენა.

მისი ერთ-ერთი ბოლო ინტერვიუ წავიკითხე და გული ჩამწყდა – ყოველი სტრიქონიდან გამოსჭვიოდა გულგატეხილობა ცხოვრებისეული სირთულეებით, რომლებიც მის თაობას განსაკუთრებით სიჭარმაგის უამს ხვდა ნილად („რთული ცხოვრებაა ძალიან, რთული და ალბათ, აქედან თავის დაღწევა ადვილი არ იქნება...“), ადამიანთა გაუტანლობით და უსულეულობით („ხანდახან რომ ვფიქრობ, განათლებული ადამიანის მეშინია... რა არის ეს? ეს არის მგლების ხროვა! ბრძო-ლა ადგილისათვის, ბრძოლა ამისთვის, იმისთვის!...“), უმაღურობით და დაუფსებ-ლობით („ბედნიერი ვიქებოდი ნორმალურ სახელმწიფოში, სადაც პენსიონერს ნორმალურ პენსიას უხდიან. ჩემთვის დავკადებოდი და ათჯერ მეტ წიგნს დავწერ-დი, გამოვცემდი. არ ვიცი...“). თუმცა ყველაზე მეტად ჩვენში გამეფებული შური, ბოლმა და ზიზღი სზარავდა („ ეს შური, ბოლმა, ზიზღი შემზარავია პირდაპირ. რა არის ეს კაცო!!!“). ეს ყველაფერი ხომ რადიკალურად განსხვავდებოდა იმ სამ-ყარსგან, რომელმიც სიცოცხლის ბოლომდე ჩაძირულიყო და რომლის სიმშვერი-ერესა და სინატიფეს მშობლიურ ენაზე ამეტყველებდა ბატონი ბაჩანა...

## ნეტარი ავგუსტინე

### ალსარებანი

(ფრაგმენტი)

### XIV

... რა არის დრო? ვინ განმარტოს ეს მარტივად და სხარტად? ვინ ჩასწვდეს ამას გონებით, რათა შემდეგ აგვისენას ცხადად? მაგრამ რა არის ჩვენთვის უფრო ჩვეულებრივი და ცნობილი? განა საუპრისას სწორედ ასე არ აღვიქვამთ მას? როცა ჩვენ ვლაპარაკობთ დროზე, რა თქმა უნდა, მშვენივრად გვესმის, რა არის ეს, და როცა სხვა ლაპარაკობს მასზე, ასევე მშვენივრად გვესმის ჩვენი თანამოსაუბრის სიტყვებიც.

კეთილი და პატიოსანი; მაგრამ მაინც რა არის დრო? თუ არავინ მეკითხება ამას, დღიახაც ვიცი, რა არის დრო, მაგრამ თუ მოვინდომებ შემკითხველს ავუხსნა დროის რაობა, მაშინ კი არაფერიც არ მესმის. და მაინც, მე შემიძლია დაბეჯითებით ვამტკიცო, რაც ვიცი: არაფერი რომ არ გადიოდეს, არ იქნებოდა წარსული დრო; არაფერი რომ არ მოდიოდეს, ასევე არ იქნებოდა მომავალი; და არაფერი რომ არ იყოს არ იქნებოდა ანმყოც.

მაგრამ რანაირად შეიძლება იყოს ეს ორი დრო – წარსული და მომავალი, თუკი პირველი უკვე აღარ არის, ხოლო მეორე ჯერ კიდევ არ არის? ანმყოც რომ ყოველთვის ანმყოდ რჩებოდეს და წარსულში არ გადადიოდეს, მაშინ ის დრო კი აღარ იქნებოდა, არამედ მარადისობა; ანმყო მხოლოდ იმდენადაა დრო, რომ წარსულში გადადის. მაშ, როგორლა შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ანმყო არის, თუკი მისი არსებობის ერთადერთი მიზეზი ისაა, რომ აღარ იყოს? მაშ, განა ვცდებით, როდესაც ვამბობთ – დრო მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ არყოფნისაკენ მიიღწვის?

### XV

18. და მაინც, ჩვენ დროს ხან მოკლეს ვუწოდებთ, ხანაც კი ხანგრძლივს, თუმცა ამას მხოლოდ წარსულსა და მომავალზე ვამბობთ. ასე მაგალითად, დროის ასზღვან შუალედს წარსულშიც და მომავალშიაც „ხანგრძლივად“ ვთვლით, ათდღიან შუალედს კი, კვლავ წარსულსა თუ მომავალში, „ხანმოკლედ“ ვსახავთ. მაგრამ რანაირად შეიძლება ხანგრძლივი ან ხანმოკლე იყოს ის, რაც საერთოდ არ არის? მართლაცდა, წარსული უკვე აღარ არის, ხოლო მომავალი ჯერ კიდევ არ არის. მაშ, „ხანგრძლივს“ ნუკიდა ვუწოდებთ დროს, არამედ ვთქვათ – „ხანგრძლივი იყო“, როცა წარსულს ეხება საქმე, ან „ხანმოკლე იქნებაო“, როცა მომავალზე ჩამოვარდება სიტყვა.

მაგრამ, ღმერთო ჩემო, ნათელო ჩემო, აქაც ხომ არ დასცინებს შენი ჭეშმარიტება საბრალო კაცს? ხანგრძლივი წარსული მას შემდეგ გახდა ხანგრძლივი, რაც უკვე განვლო, თუ მანამდე, როცა ჯერ კიდევ აწმყო იყო? მისი ხანგრძლივობა მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, როცა არსებობდა რაღაც ისეთი, რასაც შეეძლო ხანგრძლივი ყოფილიყო. მაგრამ წარსული ხომ უკვე აღარ არის; მაშინ როგორდა შეიძლება ხანგრძლივი იყოს ის, რაც საერთოდ არ არის?

ამიტომ ნულარ ვიტყვით, „ხანგრძლივი იყო წარსული დრო“ (რადგანაც ვერაფერს ვპოვებთ ისეთს, ხანგრძლივი რომ ყოფილიყო), არამედ ვთქვათ: „ხანგრძლივი იყო აწმყო დრო“, რადგანაც ის მხოლოდ აწმყოში თუ შეიძლებოდა ყოფილიყო ხანგრძლივი, ვინაიდან ჯერ კიდევ არ გამქრალიყო. არ გაევლო. და ამიტომაც შეეძლო ხანგრძლივი ყოფილიყო; ხოლო როგორც კი განვლო, მაშინვე დასრულდა მისი ხანგრძლივობა, რადგან საერთოდ დასრულდა მისი არსებობა.

19. ახლა კი ვნახოთ, სულო კაცისა, შეუძლია თუ არა აწმყო დროს ხანგრძლივი იყოს? აკი შენ მოგეცა დროთა შეგრძნებისა და გაზომვის უნარი. რას მიპასუხებ?

ხანგრძლივია თუ არა აწმყოს ასი წელი? მაგრამ ჯერ იმას დაუკვირდი, შეიძლება თუ არა ასივე წელი აწმყო იყოს? თუ ამ ასიდან პირველი მიმდინარეობს, სწორედ ისაა აწმყო, დანარჩენი ოთხმოცდაცხრამეტი წელი კი მომავალია, ესე იგი, ჯერ კიდევ არ არის. თუ მეორე წელი დაიწყო, პირველი უკვე წარსულში გადავა, ეს მეორე აწმყო იქნება, დანარჩენი კი მომავალი. მოდით, ამ ასიდან აწმყოდ ვიგულისხმოთ ნებისმიერი წელი: მისი წინამორბედი ყოველი წელი უკვე წარსული იქნება, მომდევნო კი – მომავალი. ამიტომაც შეუძლებელია ასივე წელი აწმყო იყოს.

მაგრამ განვაგრძოთ განხილვა: შეიძლება თუ არა, რომ მიმდინარე წელი მთლიანად აწმყო იყოს? თუ მისი პირველი თვეა, დანარჩენი თერთმეტი მომავალი იქნება; თუ მეორე თვე მიმდინარეობს, პირველს უკვე წარსული ეთქმის, დანარჩენს კი – მომავალი. მაშასადამე, ვერც მიმდინარე წელს მივიჩნევთ მთლიანად აწმყოდ. ხოლო თუ ის მთლიანად არ არის აწმყო, რა თქმა უნდა, არ შეიძლება აწმყოდ გვევლინებოდეს; რადგანაც წელინადში თორმეტი თვეა, და რომელი თვეც ამჟამად დგას, სწორედ ისაა აწმყო. დანარჩენი თერთმეტი კი ან წარსულია, ან მომავალი. თუმცა არც ეს მიმდინარე თვეა აწმყო: აწმყო მხოლოდ ერთი დღეა. თუ ის პირველი დღეა თვისა, ყველა დანარჩენი დღე მომავალი იქნება; თუ უკანასკნელი – ყველა წინამორბედი დღე წარსულს ეკუთვნის; ხოლო თუ ნებისმიერ შუალედ დღეთაგანია მაშინ წარსულსა და მომავალს შორისაა მოქცეული.

20. და, აი, იმ დასკვნამდე მივედით, რომ ხანგრძლივი მარტოოდენ აწმყოს თუ შეიძლება ეწოდოს, და ისიც მხოლოდ ერთ დღემდე დაყვანილს. თუმცა, მოდი, ისიც დავანანევროთ, რადგან ერთ დღესაც ვერ მივიჩნევთ მთლიანად აწმყოდ. ის დღისა და ღამის საათებისაგან შედგება, ხოლო დღე-ღამეში ოცდაოთხი საათია. პირველი საათის მიმართ ყველა დანარჩენი საათი მომავალია, უკანასკნელის მიმართ – წარსული, ნებისმიერი შუალედური საათის მიმართ კი ყველა წინამორბედი საათი წარსულად გვევლინება, ხოლო მომდევნო – მერმისად. თვით ეს ერთი

საათიც კი მსწრაფლნარმავალი წამებისაგან შედგება: ყველა გაფრენილი წამი უკვე წარსულია, დანარჩენი წამი კი – მომავალი. აწმყო შეიძლება ეწოდოს დროის მხოლოდ იმ მომენტს, რომელიც თვით უმცირეს ნაწილებადაც აღარ იყოფა, მაგრამ ისე სწრაფად კი გადადის მომავლიდან წარსულში, რომ ვერავითარ ხანგრძლივობას მას ვერ მივაწერთ. აწმყო რომ გრძელდებოდეს, მაშინ მასში შეიძლებოდა გამოგვეყო წარსული და მომავალი; მაგრამ აწმყოსათვის უცხოა ყოველგვარი ხანგრძლივობა.

მაშინ, სადღაა ის დრო, რომელსაც ხანგრძლივს უუწოდებთ? იქნება მომავალში? მაგრამ ჩვენ ხომ არ ვამბობთ, რომ ის „ხანგრძლივია“, რადგან ჯერ კიდევ არ არის ის, რასაც შეიძლება ხანგრძლივი ეწოდოს, არამედ ვიტყვით, რომ ის „ხანგრძლივი იქნება“. კი მაგრამ, როდისლა იქნება? თუ მომავალში, რანაირად იქცევა ხანგრძლივად ის, რაც ჯერ კიდევ არ არის? ხოლო თუ ის ხანგრძლივად იქცევა მაშინ, როცა მომავლიდან მოიქცევა აწმყოდ და, ამრიგად, მოგვევლინება იმად, რაც შეიძლება ხანგრძლივი გახდეს, განა სწორედ ეს აწმყო ზემოთქმული სიტყვებით არ მოჰყვება ყვირილს, რომ არ შეუძლია ხანგრძლივი იყოს?

## XVI

21. და მაინც, ჩვენ გვესმის, უფალო, რა არის დროის შუალედები; ერთმანეთს ვადარებთ მათ და ვამბობთ, რომ ზოგი გრძელია, ზოგი კი მოკლე. იმასაც კი ვზომავთ, რამდენად უფრო გრძელია დროის ერთი შუალედი მეორეზე, ან რამდენად მოკლე, და ვამტკიცებთ, რომ დროის ესა და ეს შუალედი ორჯერ თუ სამჯერ გრძელია ან მოკლე მეორე შუალედზე, ანდა რომ ისინი ტოლი არიან. მაგრამ დროის გაზომვა მხოლოდ მაშინ შეგვიძლია, როცა ის მიმდინარეობს, და შეგვიძლია სწორედ იმიტომ, რომ მის მსვლელობას ვგრძნობთ. განა შეიძლება გაზომო წარსული, რომელიც უკვე აღარ არის, ან მომავალი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის? ვინ გაბედავს იმის მტკიცებას, რომ შეიძლება გაზომო არარსებული? ასე რომ, სანამ დრო მიმდინარეობს, ის შეიძლება შეიგრძნო და გაზომო კიდეც; მაგრამ როცა მან განვლო, ეს უკვე შეუძლებელი ხდება, რადგანაც დრო აღარ არის....

წიგნიდან: ნეტარი ავგუსტინე, „აღსარებანი“,  
თბილისი: გამომცემლობა „ნეკრო“, 1995.  
ლათინურიდან თარგმნა და შენიშვნები  
დაურთო **ბაჩანა ბრეგვაძემ**.

# გამოხმაურება, რეცენზია

## თენის პიკაჩიშვილი (საქართველო)

### ირმა რატიანის „ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი

საყოველთაოდ ცნობილი აზრია, „რომ გმირების გალერეაში იერარქიის ძებნა ნაკლებად საგულიხმო ამბავია, რომ ამ შემთხვევაში სათაურს უნდა დაუკეირდეს მკითხველიო“... ჩვენს ყურადღებას იმთავითვე იპყრობს სათაურის გააზრებაზე ხაზგასმა, რადგან ჩვენი სარეცენზიო წიგნის მართლაც „თვალია“ სათაური, მაუწყებელი სათანადო სისხლეებით გაჯერებული და დატვირთული ნაშრომისა, უფრო სწორად, იდეური პროცესებისა, რომელიც მოიცავს ქართული მწერლობისა და მსოფლიო ლიტერატურის როტულ და საინტერესო ურთიერთმიმართებას.

ავტორი რიგ ორიგინალურ კვლევით ხერსს ხმარობს საძიებელი ობიექტის ნათელსაყოფად: „დღეს ინტერკულტურული კომუნიკაციების მზარდი განვითარებისა და გაღრმავების ეპოქაში, განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს ნაციონალური ლიტერატურების, როგორც აზროვნების ორიგინალური მოდელების რეცეფცია, მათი გამოყვანა კულტურული იზილაციის მდგომარეობიდან, ფასეული ჩართვა ფართომასშტაბიან კულტურათშორისო დიალოგში“ (გვ. 9).

აქედანვე უნდა ითქვას, რომ პრობლემის ასე დაყენება სავსებით აუცილებელი და მომგებიანია ქართული ლიტერატურის მსოფლიოში კუთვნილი მაღალი ღირსების განსაღიძებლად.

ირმა რატიანი ობიექტურად მიიჩნევს, რომ ქართული ლიტერატურა „ყოველთვის ასრულებდა და დღესაც ასრულებს ინტელექტუალური ლიდერის ფუნქციას“ (გვ. 9) და იქვე აყალიბებს ამგვარი რეალობის მიზეზებს: ქართული ლიტერატურის მოდერნისტულ ბუნებას, კოპერენტულობას და, რაც მთავარია, ქართული მწერლობის მასშტაბურ და გახსნილ კულტურულ ტრადიციას.

წინამდებარე წიგნი ფრიად საყურადღებოა. ის ორნანილიანია. პირველი ნაწილი, რომელიც ხუთი თავისგან შედგება, უფრო თანამედროვე ფილოლოგიური მეცნიერებისათვის აქტუალურ ზოგად სააზროვნო კანონზომიერებათა შესახებ არსებულ ცოდნას გადმოგვცემს, მეორე ნაწილი კი ქართველ მწერალთა – ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის, მიხეილ ჯავახიშვილის, უფრო მოგვიანებით ნოველის ჟანრში მოღვაწე კლასიკოსის – რევაზ ინანიშვილის მხატვრულ ნანარმოებთა ორიგინალურ დამახასიათებლობებს ეძღვნება. ორივე ნაწილში მკვლევარის მიერ მრავალი, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში დღემდე სპეციალურად განუხილველი საკითხია გამოკვეთილი, რაც ნაშრომის მიმართ გამორჩეულ ყურადღებას აღძრავს. უწინარესად, დავასახელებთ წიგნის პირველი ნაწილის პირველ თავს – „მსოფლიო ლიტერატურა, კანონი და მისი ნაციონალური „იმპლიკაციები“.

თავად ტერმინი „იმპლიკაცია“, რომელიც გადახლართვა-გადაბმა-გადაწვნიას აღნიშნავს, მიზანმიმართულადაა ნახსენები და ცნების ისტორიასა და ფუნქციას საინტერესოდ ნათელყოფს – მისი გამოყენების გოეთესეულ მოქმედება-მიმართულებას გვამცნობს. ამ პროცესში გოეთემ პირველად გამოიყენა ტერმინი „Weltliteratur“ ანუ „მსოფლიო ლიტერატურა“. ირმა რატიანი წერს: „გოეთემ პოეზია გაიაზრა, როგორც სამყაროს შემეცნების უნივერსალური მოდელი“ (გვ. 15); გოეთესათვის „ნაციონალური ლიტერატურა მნიშვნელობადაკარგული ცნებაა – ახლა მსოფლიო ლიტერატურის ეპოქა დგას და ყველა ვალდებულია ისწრაფოდეს მისკენ“ (გვ. 15). ამ საკითხის გაშუქებისას ირმა რატიანი საგულისხმო მეცნიერულ პოზიციას წარმოგვიჩენს: „თავს იჩენს კითხვა, რომელიც დღევანდელი გადასახედიდან აუცილებლად მოითხოვს პასუხს: რას გულისხმობდა გოეთე ტერმინში „Weltliteratur, და რამდენად ფართო იყო გოეთესეული ცნების გეოგრაფია?“ (გვ. 15). ეს კითხვა ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან შემდგომ თავებში მკვლევარი სწორედ ამ მიმართულებით გააფართოებს კვლევას. მანამდე კი, ქართველი მკვლევარი, დასმული კითხვის საპასუხოდ, ჩვენი აზრით, სავსებით სწორად მიმართავს სლოვენიელი მეცნიერის, მარკო იუვანის მოსაზრებას, რომელიც გამოკვეთს განსხვავებას გოეთესეული ტერმინის საფუძვლებსა და მიზნებს შორის: „გოეთეს შემთხვევაში ლიტერატურის მსოფლიო მოდელის ისტორიულ ცნობიერებას, მიუხედავად მისი კოსმოპოლიტური გარსისა და უნივერსალიზმზე გაცხადებული პრეტენზიისა, უფრო პერიფერიული, ნაციონალური წარმომავლობით განსაზღვრული საფუძველი აქვს“ (გვ. 16); გოეთესეული იდეის ინტელექტუალურ ბაზას უდაოდ წარმოადგენს კოსმოპოლიტიზმის პოსტ-განმანათლებლური მოღვაწეობა, ანუ „რწმენა იმისა, რომ პრინციპი ადამიანები არიან თანასწორნი, მიუხედავად მათი ნაციონალიზმისა, ენობრივი, რელიგიური, კლასობრივი ან კულტურული კუთვნილებისა“ (გვ. 16), სისტემის დასაყრდენს კი გერმანული ლიტერატურა წარმოადგენს. იუვანის მოსაზრებას ირმა რატიანი ამყარებს თავისი დასკვნით: „გოეთეს მიერ გერმანული ლიტერატურის როლისა და ფუნქციის ხაზგასმა ნიშნავდა მის ერთგულებას არა მარტო ეროვნული ლიტერატურისადმი, არამედ ევროპული ლიტერატურის, როგორც უნივერსალური მოდელისადმი: მიუხედავად იმისა, რომ გოეთეს კოსმოპოლიტური ექსპერიმენტის მთავარ სამიზნეს განსხვავებული ლინგვისტური და ცნობიერებითი მოდელების ცირკულაცია წარმოადგენს, მოვლენათა ეპიცენტრი ევროპული კონტექსტი და მისი კუტლტურული ჰეგემონია“ (გვ. 17). ეს დასკვნა საშუალებას აძლევს მკვლევარს, მიმართოს მსოფლიო ლიტერატურამცოდნეობის სხვა აღიარებულ ავტორიტეტებს და გაშალოს მსჯელობა ევროპული და აზიური (და არა მარტო აზიური) ლიტერატურული პროცესების მიმართულებით.

ეს გამოკვლევის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მონაკვეთია, რომელიც ავლენს წიგნის საერთო პოტენციურობას. ამ პოტენციურობის დამადასტურებელ გააზრიანებას კი ავტორი წარმოგვიჩენს შემდგომი ლოგიკური მსჯელობითა და სერიოზული ავტორიტეტების მსჯელობის მოშველიებით. კერძოდ, ის იშველიებს ამერიკული „ახალი კრიტიკის“ ფუძემდებლებს – რენე უელევასა და ოსტინ უორენს, აგრეთვე, რენე ეტიამბლის, ადრიან მარინოს, მიხაილ ბახტიის...

ამერიკული „ახალი კრიტიკისა“ და ევროპელი კრიტიკოსების ძირითადი თეორიული პოსტულატების გააზრების შემდეგ, წიგნის ავტორი თანხმობას უცხადებს ადრიან მარინოს შეხედულებას, რომელსაც ერთგვარი დასკვნის სახით გვაწვდის: „დღესდღობით „უნივერსალური ლიტერატურის“ კონცეფციას აღარ შეუძლია მხოლოდ „დიდი“ დასავლური ლიტერატურების (ევროპულისა და ამერიკულის) თარგზე გამოყრილი დარჩეს. აქედან მომდინარეობს „პატარა“ ლიტერატურების აღიარება იმ, ასე ვთქვათ თეორიული განსხვავების გაუქმებით, რომელიც მათ აშორებს „დიდ“ ლიტერატურებს“ (გვ. 23). მაგრამ, ამ გამზიარებლობას ირმა რატიონი მისთვის დამახასიათებელი ინოვაციური მიდგომით ამაგრებს: „პატარა ლიტერატურები“ უნივერსალურ განზომილებაში ექცევა, სადაც ერთმანეთს ერწყმის დასავლეთი და აღმოსავლეთი თავ-თავისი „დიდი“ და „პატარა“ ლიტერატურებით“ (გვ. 23). ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი დასკვნა ქართული ლიტერატურისათვის! ავტორი ამყარებს თავის პოზიციას ისეთი თეორიული ტერმინების გააზრებით, როგორიცაა: „ცენტრი“ და „პერიფერია“, „სიმეტრია“ და „ასიმეტრია“... მკვლევარს აქტიურად და გულდასმით უმუშავია ამ პრობლემების ნათელსაყოფად. ის არა მარტო საკუთარ პოზიციას გვიზიარებს, არამედ – გვაცნობს აღნიშნულ საკითხზე კვალიფიციურად მომუშავე პირების დასკვნებს: დევიდ დამროშის, პასკალე კასანდრას, ფრანკო მორეტის, იტამან ევერ-ზოპერის, შანგო ლოკოჰოს და სხვათა მოსაზრებებს. ამით, კიდევ ერთხელ, ნათლად მოსჩანს ირმა რატიანის კვლევითი მუშაობის მაღალი პოტენცია.

წიგნის პირველი თავის 1.1 ნაწილის დასასრულს, რომელიც ნამდვილად გამოიჩინა თამამი სიახლეებით ქართული ლიტერატურათმცოდნეობისთვის, მკვლევარს განსაკუთრებული დასკვნა გამოაქვს: „დასაშვებია ვამტკიცოდ, რომ მსოფლიო მასშტაბით მოქმედი კულტურები და ლიტერატურები სრულიადაც არ ნარმოადგენენ თვითკმარ სისტემებს, არამეს ჩარევებისა და გავლენებისათვის ღია ინტელექტუალურ სივრცეს. შესაბამისად, თუ უნივერსალური ლიტერატურა ქმნის ნიმუშებს, სტანდარტებს, კანონს, რომელსაც იზიარებს და ისრუტავს ნაციონალური მწერლობია, vice versa – ყოველი ლირებული მოდელი ნაციონალური მწერლობისა თავისი ორიგინალობით ავსებს და ამდირებს უნივერსალურ სტანდარტებს, და დღევანდელი გლობალური კაპიტალიზმის პირობებშიც კი ახდენს თავისი პროდუქციის იმპორტირებას“ (გვ. 25). ირმა რატიანისაგან ამ აზრის დაშვებულობა უაღრესად მნიშვნელოვანია, ვინაიდან გულისხმობს ნაციონალური ლიტერატურების ორიგინალობას, რომლის ნიმუშებადაც მკვლევარი ასახელებს ლათინურ-ამერიკულ მაგიურ რეალიზმს, ისლანდიურ საგებს, ბალკანურ ფოლკლორს და ა.შ. და სხვ. და, მათ შორის, ამ საერთო მიძრაობის ნაწილად მიიჩნევს ქართულ მწერლობასაც, ქრისტიანულ, დასავლეთისაკენ მსწრაფ ლიტერატურულ მოდელს.

წიგნის პირველი ქვეთავის კიდევ ერთი ძირეული დასკვნა დასავლურ-აღმოსავლური კულტურული მოდელებისა და ქართული ლიტერატურის მიმართებას შეეხება.

ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ირმა რატიანის მიერ გამოთქმულ (და არა მხოლოდ მის მიერ) აზრს ქართული მწერლობის აღმოსავლურ ლიტერატუსთან

სიახლოვის განმაპირობებელი „გარე-ფაქტორების“ მნიშვნელოვანების შესახებ; განსაკუთრებულად აღვნიშნავთ და ვიზიარებთ მისგან ნიჭიერად აღნიშნულ კორექტირებას იმ აზრისა, რომ თითქოს დასავლური და აღმოსავლური კულტურული მოდელების შეხვედრა ქართულ მწერლობაში „ჰარმონიულია“. ი. რატიანი შესაბური მეცნიერული ალლოთი და ტაქტით უარყოფს ამ ტრადიციულ მოსაზრებას და აანალიზებს რა მიხაილ ბახტინის, ლევ გურევიჩის, მერაბ მამარდაშვილის მოსაზრებებს, ასევნის, რომ: „დასავლური და აღმოსავლური კულტურული მოდელების შეხვედრა ქართულ მწერლობაში „დიალოგურია...“, ვინაიდან ქართული მწერლობა და ქართული ლიტერატურული კანონი მუდმივად არსებობს შინაგანი მოთხოვნილებისა და გარეგანი განპირობებულობის ზღვარზე დასავლურ და აღმოსავლურ ცივილიზაციათა გზაგასაყარზე, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ პრევალირებს შინაგანი მოთხოვნილება, ყოველთვის საჭიროებს გათვალიწინებას გარე-ფაქტორების გავლენა“ (გვ. 27).

პირველი თავის მეორე ქვეთავი (1.2) არაერთ მნიშვნელოვან პრობლემას ეხება. მათ შორისაა: ლიტერატურის ისტორიის ცნების დაზუსტება, კანონის ცნების დაზუსტება და ქართული მწერლობის პერიოდიზაციის საკითხი.

ირმა რატიანის აზრით, XX საუკუნის ლიტერატურათმცოდნეობაში კანონი ლიტერატურათშორისი ურთიერთობებისა და კომუნიკაციური მოდელების განმსაზღვრელ მთავარ კრიტერიუმად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო კანონი ყალიბდება ე.ნ. ლიტერატურული ისტორიის წიაღში.

ვფიქრობთ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ირმა რტიანის წიგნში, პირველად ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, გამიჯნულია „ლიტერატურის ისტორიისა“ და „ლიტერატურული ისტორიის“ ცნებები. მევლევარი ეთანხმება მარინ ლააკის განმარტებას: „ლიტერატურის ისტორია ნარმოადგენს ლიტერატურის ვირტუალურ არქივს, ან – იდეალურ სივრცეს, რომელიც მოიცავს ყველა შესაძლო არჩევანს, განსხვავებულ შეხედულებებს, ბმულებს და ა.შ. ლიტერატურული ისტორია კი, მეორე მხრივ, ნარმოადგენს სპეციფიკურ სელექციას ლიტერატურის ისტორიიდან. ეს არის ნარატივი ლიტერატურის შესახებ, რომელიც სპეციფიკურ ავტორებზეა ორიენტირებული და მოიცავს სპეციფიკურ ხედვებსა და მსჯელობებს“ (გვ. 28). ირმა რატიანი ეთანხმება ლააკს, მაგრამ აფართოებს მსჯელობას და ლიტერატურულ ისტორიას კანონის ფორმირების საფუძვლად მიიჩნევს: „სწორედ მისი ნარატიულობა, მოტივირებულობა და ინტენციონალური მიზანდასახულობა სძენს ლიტერატურულ ისტორიას ლიტერატურული კანონის, როგორც ლიტერატურული აზროვნების სპეციფიკური მოდელის გენერატორის ფუნქციას“ (გვ. 29).

ლიტერატურულ ისტორიას, რომლის წიაღშიც ყალიბდება კანონი, ირმა რატიანი განიხილავს სრულიად უჩვეულო (ყოველ შემთხვევაში, ქართული ლიტერატურათმცოდნეობისთვის) დონეზე, სამ სხვადასხვა სიბრტყეზე – ნაციონალურ, ზენაციონალურ და ტრანსნაციონალურ დონეებზე. წიგნის მითითებულ ნაწილში ავტორი მიმოიხილავს ქართულ სინამდვილეში მანამდე განუხილავ პრობლემას და მისი ნარმომჩენი დასავლელი ავტორების შრომებს, სადაც ავლენს დიდ სამეცნიერო-ლირებულებით ერუდიციას. ის უაღრესად საინტერესოდ მსჯელობს კანონის სამივე დასახელებულ მოდელზე, ასევე, „ძველ“ და „ახალ“ ლიტერატურე-

ბზე, „ჰეგემონიაზე“, „სუბორდინაციაზე“ და სხვ. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კანონის ფორმირებისათვის მნიშვნელოვანი ძირითადი ფაქტორების გამოკვეთა: იდეოლოგიური, ისტორიული, ესთეტიკური და სხვ. ავტორი შესამური სკრუპულოზურობით წარმოგვიდგენს კანონის განმარტებისა და გააზრების წინააღმდეგობრივ პროცესს.

წიგნის ამ მთლიანად უჩვულოდ საინტერესო ნაწილში, ჩვენი აზრით, მაინც გამოსაკვეთია მე-40, 41-ე და 42-ე გვერდებზე განთავსებული მონაკვეთები, სადაც ირმა რატიანი ქართული ლიტერატურული ისტორიის ზოგადი პარადიგმასა და ქართული ნაციონალური ლიტერატურული კანონის ფორმირებაზე მსჯელობს.

პირველ ყოვლისა, ავტორი გამოყოფს ქართული ნაციონალური ლიტერატურული კანონის კლასიკურ მაჩვენებლებს, აგრეთვე, ამ კანონის ჩამოყალიბების, მისი აზრით, ძირითად ეტაპებს (სულ ათი ეტაპი და უძველესი – პრეისტორიული და ნარმართული ხანები), რომლებიც უაღრესად საინტერესოა. საზოგადოდ, მითითებული წყობის ასე კომპაქტურად თავმოყრა, ქართული ნაციონალური ლიტერატურული კანონის ჩამოყალიბების ძირითადი კულტურული ვარიანტების გამოყოფა და, რაც მთავარია, დასკვნები, რომლებსაც მეცნიერი აკეთებს, სრული სიახლეა ქართულ ლიტერატურათმცოდნებაში: „ქართული ნაციონალური ლიტერატურული კანონის მოდელები ქართული ლიტერატურული ისტორიის სამ ეტაპზე ყალიბდება – შუასაუკუნეების, რომანტიზმისა და პოსტსაბჭოთა/პოსტკოლონიურ ეტაპებზე – და სამ კულტურულ ვარიანტად იყოფა: შუასაუკუნეებში ფორმირებული ქართული ნაციონალური ლიტერატურული კანონი ქრისტიანობის პოლიტიკური და იდეოლოგიური მარკერებითაა მოტივირებული, რომანტიზმის ეტაპზე ის დასავლურ კონცეპტუალურ-ესთეტიკურ ველში ჩაპრუნებასა და ეროვნული თვითგამორკვევის ახალ საფეხურს აღნიშნავს, ხოლო პოსტსაბჭოთა/პოსტკოლონიურ ეტაპზე ქმნის ახალ ესთეტიკას, რომელიც უპირისპირდება ნინარე, საბჭოთა კანონს, როგორც ხელოვნურად ფორმირებულ სტრუქტურას. შესაძლოა, ცალკე ქვე-სტრუქტურად გამოიყოს „რუსთაველის კანონი“, როგორც დასავლური და აღმოსავლური კულტურული ტრადიციის პირველი სინთეზი ქართულ მწერლობაში და სიღრმისეული კოსმოპოლიტური აზროვნებით გამორჩეული ტექსტი“ (გვ. 42-43).

როდესაც სიახლეებს ვახსენებთ, არ უნდა დარჩეს შთაბეჭდილება, რომ თითქოს საერთოდ უარყოფდეთ ქართულ ლიტერატურაში მანამდე ჩატარებულ კვლევებს, ვგულიხმობთ, მაგალითად, კორნელი კეკელიძის ღვანწლს, ვინც ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის პრობლემას მეთოდოლოგიური ჩარჩო მოარგო. მაგრამ ეს მეცნიერი, რომელიც მსოფლიოში იშვიათ ერუდიტ მკვლევრად ჩამოყალიბდა, უპირველესად, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი გახლდათ... გარდა ამისა, როგორც ყველა თავის ნინარე წიგნი, ირმა რატიანი აქაც მთელი ღორსებით იცავს პროფესიულ ეთიკას და სათანადო პატივს მიაგებს საკითხის ქართველ მკვლევარებს (სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ილია ჭავჭავაძე, კიტა აბაშიძე, კორნელი კეკელიძე, რეზი თვარაძე, რევაზ სირაძე, ირაკლი კენჭოშვილი), განიხილავს მათ ნაშრომებს და ახდენს კანონის დეფინიციის სხვადასხვა მეთოდების კლასიფიკაციას (გვ. 48-49).

ირმა რატიანის მიერ განხორციელებული მუშაობა, ნიმუშია მის მიერ ჩატარებული სკრუპულოზური შრომისა, რომელიც აძლევს მკვლევარს საშუალებას, შემოგვთავაზობს კიდევ ერთი საყურადღებო მოსაზრება: ქართული ნაციონალური ლიტერატურული კანონი ზენაციონალური და ტრანსნაციონალური დიალოგის სრულუფლებიანი წევრია, როგორც დასავლური და აღმოსავლური კულტურების გზაშესაყარზე მდგარი ერთ-ერთი უძველესი ლიტერატურული მოდელი; „შესაბამისად, ქართული ლიტერატურული კანონის გაზრება განუხრელად უნდა განხორციელდეს უნივერსალური კანონის დასავლურ და აღმოსავლურ მოდელებთან მიმართებაში“ (გვ. 47), ნაციონალური იდენტობის დაცვის აუცილებელი პირობით. მკვლევარი იშველიებს ჰილისტიკურ მეთოდს და ასკუნის: „ქართული ნაციონალური ლიტერატურული კანონის ფორმირება პირდაპირ დამოკიდებულებაშია ქართული ლიტერატურული ისტორიის პარადიგმასთან და, შესაბამისად, ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის სწორ სისტემასთან... ქართული ლიტერატურის პერიოდიზაცია უნდა განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო ლიტერატურულ პროცესებთან, პერიოდებთან და ეტაპებთან მიმართებაში: მათთან შესაბამისობის, წინააღმდეგობის ან სულაც – უგულებელყოფის გათვალისწინებით“ (გვ. 53).

წიგნის პირველი ნაწილის პირველ თავში მნიშვნელოვანი უცნობი პრობლემები ხდება საცნაურ-ცნობილი, რაც ძალიან დიდ მეცნიერულ ლირებულებას სძენს მთლიანად წიგნს. იმასაც გულწრფელად აღვნიშნავთ, რომ ეს მონაკვეთი წიგნისა მის უძლიერეს ნაწილად მიგვაჩინა.

წიგნის პირველი ნაწილის შემდგომ თავებში ქართული ლიტერატურული ისტორიის ყველა ეტაპია მიმოხილული (შაუსაუკუნეებიდან მოსტსაბჭოთა პერიოდის ჩათვლით) დაწვრილებითი თეორიული ანალიზის ჭრილში, რაც განსაკუთრებული სიახლეა ქართული ლიტერატურის ისტორიული გაზრების ტრადიციისთვის, და არაერთი მნიშვნელოვანი მეცნიერული დასკვნაა ნათელზილული. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მსჯელობის მასშტაბურობა, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში და მის ფარგლებს გარეთ არსებული სამეცნიერო პირობილის მაქსიმალურად ათვისება, ახალი ტერმინებისა და დეფინიციების დამკვიდრება, მაგალითად: „გვიანი რეალიზმი“-ს როგორც ტერმინისა და ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ეტაპის სახელდება; „მარგინალობის“ ცნების საბჭოური და თანამედროვე გაგებების დასაბუთებული გამიჯვნა; „ლიბერალიზებული დისკურსი“-ს, როგორც მსოფლმხედველობრივი და სტილური მოდელის დამკვიდრება; ტერმინის – „ანტინარატიული პოსტმოდერნიზმი“ გაშინაარსება და სხვ. წიგნის ამ მონაკვეთის მშვენება მისი მეთოდოლოგიური გამართულობაა: კომპარატივისტული ჰერმენევტიკის სტრატეგიულად სწორი გამოყენება, რაც პირველ პრეცედენტს წარმოადგენს ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში!

გადავდივართ ნაშრომის მეორე ნაწილის გაშინაარსებაზე, რომელშიც საუბარია ქართველ მწერალთა მხატვრულ ტექსტებზე და მათ ინტერპრეტაციულ შესაძლებლობებზე. ავტორის მიზანია, ცალკეული ტექსების პრაქტიკული ანალიზის გზით, ნარმობაზინოს ქართული მნერლობის ჩართულობა საერთო-ლიტერატურულ დინამიკაში სხვადასხვა დროსა და ეპოქებში.

სანამ კონკრეტულ ქართველ მწერალთა ინდივიდუალურობა-ორიგინალობის დამამტკიცებელი ნაწარმოებების გარჩევა-მიმოხილვას შეუდგებოდეს, ირმა რატიანი სათქმელს ჩვეულ თეორიულ პრეამბულას უმძლვარებს – ნათელყოფს მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტის ინტერპრეტაციის თეორიულ შესაძლებლობებს. ვფიქრობთ, პრობლემის ასეთი დაყენება გაცილებით საინტერესო და სასარგებლოა ქართული მწერლობის ზოგად და კონკრეტულ მნიშვნელობათა შესაცნობად.

წიგნის ამ ნაწილს მკვლევარი ჰერმენევტიკული მეთოდის ფუძემდებლის ფ. შლაიერმახერის განცხადებით იწყებს – „ინტერპრეტაცია გაუგებრობით იწყებაო“. ირმა რატიანი სწორედაც სასარგებლოდ და საინტერესოდ მიიჩნევს, რომ შლაიერმახერს ხელოვნების უპირველეს დანიმუშლებად გაუგებრობის თავიდან აცილება მიაჩნდა, გადაჭრის გზად კი – „მეთოდოლოგიური დახმარება“, რაც გულისხმობდა გაგების პროცესის გარდაქმნას მეთოდოლოგიზებულ მოვლენად (გვ. 211). ავტორის ლოგიკური მსჯელობა ასეთია: „ინტერპრეტაცია, თუკი მას აქვს მართებული გაგების პრეტეზია, წარმოადგენს უკვე შექმნილი პროდუქციის თავიდან შექმნის, ანუ კვლავშექმნის მოწესრიგებულ სისტემას... ინტერპრეტატორი, ანუ კვლავ-შექმნელი, რომელიც ახდენს ტექსტის რეკონსტრუქციას მასში გამოკვეთილი თუ ნაგულისხმევი წესების გათვალისწინებით, ხშირად უფრო სწორ ახსნას აძლევს ტექსტის დაფარულ და გაუგებარ შრეებს, ვიდრე ავტორი“ (გვ. 211). მკვლევარი ასკვნის, რომ „ინტერპრეტაციის ხიბლი თავისიუფლებაა, მაგრამ არა სუმბურული, არამედ ლოგიკური, დაფუძნებული კონკრეტულ მეთოდოლოგიურ ხერხებზე და მოწოდებული დაფარულის შესამეცნებლად“ (გვ. 215). აქვე, კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს, რომ ირმა რატიანი, საზოგადოდ, არაერთ ქართულ ლიტერატურათ-მცოდნეობით სივრცეში აუთვისებელ და ყურადღებამიუქცეველ საკითხს აშუქებს დაჯერებით. იგი შემოქმედებითად უდგება ცნობილ ან შედარებით ნაკლებადცნობილ მეცნიერთა აზრ-შეხედულებებს და თამამი პირადი დასკვნებით ამდიდრებს მათ მოსაზრებებს. კერძოდ, ამჟამად ვგულისხმობთ რომან ინგარდენის შეხედულებას, რომ „ტექსტის სტრუქტურა შრეებად დაყოფილ ფორმულას წარმოადგენს, ხოლო ავტორისაგან ტექსტის ზოგადი პერსპექტივის შერჩევის პროცესი გარკვეული სიზუსტით აირევავს მწერლის შემოქმედებით რესურსებსა და სტილისტურ თავისებურებებს... მაგრამ ავტორს არ ძალუს სრულგანზომილებიანი სამყაროს შექმნა, ის სჯერდება ცალკეული ფრაგმენტების წარმოჩენას იმ პირობით, რომ ავტორის შემოქმედებითი ინტენციონალობა სწორედ აღნიშნული ფრაგმენტებით გადაიკვეთება ინტერპრეტატორის რეცეფციულ ინტენციონალობასთან“ (გვ. 215). ამ ტექსტიდან გამომდინარე, ქართველი მეცნიერი შემდეგნაირად აყალიბებს აზრს: „ერთი მხრივ ავტორისა და მკითხველის ინტენციონალობა, და მორე მხრივ რეცეფციული სტრატეგია, რომლის მიღმაც განირჩევა ტექსტის სტრუქტურული შრეები, წარმოადგენს ლიტერატურულ კრიტიკასთან შეთავსებად ბაზისურ ფენმენოლოგიურ კონცეფციებს. ლიტერატურულ ტექსტის შემეცნების ეს თავისებურება განასხვავებს მხატვრულ ნაწარმოებს სამეცნიერო ნაშრომისაგან“ (გვ. 215). ამ თავისებურების შემჩნევა მკვლევარის სიღრმისეული დაკვირვების ნიმუშია; ინგარდენის თეორიული პოზიციის გათვალისწინებით ქართველი მკვლევარი

ასკვნის, რომ ლიტერატურული ტექსტის შემეცნება საფუძველს უყრის ესთეტიკური გამოცდილების დაგროვებას. და იქვე ვისმენთ თითქმის პარადოქსულ აზრს: ფრაგმენტულობა ლიტერატურული ტექსტისა ხელს არ უშლის მის მაღალ მხატვრულ ლირებულებათა ანუ მისი ესთეტიკურობის წარმოშობას.

ირმა რატიანი იმაშიც მართალია, რომ ქართული ლიტერატურული ისტორიისათვის მნიშვნელოვანი არაერთი მხატვრული ტექსტი სრულიად სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და წაკითხვებს ექვემდებარება. ამ პოზიციიდან მკვლევარი განიხილავს რამდენიმე ქართველი ავტორის ტექსტს და წარმოადგენს მათი წაკითხვის ორიგინალურ ვერსიებს. ეს ავტორებია: ვაჟა-ფშაველა, ალ. ყზბეგი, მიხ. ჯავახიშვილი, რ. ინანიშვილი. ჩამოთვლილ მწერალთა დასახელების შემდეგ, წიგნის ავტორი აკეთებს საკვანძო დასკვნას: „მათი რანგის მწერლები ასაბუთებენ იმ დებულებას, რომ ყოველი ნაციონალური ლიტერატურა თავსდება რა საერთო ლიტერატურულ კონტექსტში, ამავე დროს ინარჩუნებს ირიგინალურ შემოქმედებით აზროვნებას და, თავის მხრივ აფართოებს საერთაშორისო პროცესის პორიზონტებს და მასშტაბებს... ტექსტის ყოველი ახალი, დასაბუთებული ინტერპრეტაცია უნდა მოვიაზონთ არა როგორც ტრადიციის დარღვევა, არამედ ნაცნობი ტექსტის კიდევ ერთი ახალი, უცნობი რაკურსის აღმოჩენა“ (გვ. 218-219).

ი. რატიანის მეცნიერული პოზიცია მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებთან“ დაკავშირებით სრულიად ამ ტექსტის სრულიად ახალ გააზრებას წარმოადგენს. კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს ანთროპოლოგიური და ქრონოტოპული თეორიები წარმოადგენს.

ავტორი დაბეჯითებით მიიჩნევს, რომ ჯავახიშვილის ტექსტის წაკითხვის ტრადიციული მეთოდები ვერ წარმოაჩენს მე-20 საუკუნის ყველაზე დიდი ქართული რომანის ჭეშმარიტ არსა, არამედ მხოლოდ ავიწროებს მისი გაგების მასშტაბებს. „ჯაყოს ხიზნებთან“ დაყვანა რეალისტურ რომანამდე, რომელსაც მხოლოდ ეპოქის პოლიტიკური სურათის წარმოჩენა ან სოციალური თემატიკა უდევს საფუძვლად, იმაზე რატიანის აზრით, აცლის რომანს მის ყველაზე მნიშვნელოვან შრეს – მთავარი პესონაჟის (თეიმურაზ ხევისთავის) მიერ ხსნისა და უმაღლესი ჭეშმარიტების ძიების მოდერნისტულ მიზანდასახულობას. ი. რატიანის აზრით, რომანი რეალიზმისა და მაღალი მოდერნიზმის მიჯნაზე შექმნილი და ურთულეს მხატვრულ ტრანსფორმაციებს წარმოგვიდგენს.

ჯავახიშვილის ტექსტის მთავრ პერსონაჟად ირმა რატიანი იმთავითვე აცხადებს დროს: „თეიმურაზ ხევისთავის პერსონაში იმთავითვეა წარმოდგენილი დროის ყველა სპექტრი, ანუ თეიმურაზი დროით განსაზღვრული, დროის მარწუხებში მოქცეული, დროში გამოკეტილი ინდივიდია. ავტორის ამოცანა ნათელია: თეიმურაზი ან უნდა დაჰყვეს დროის დიქტატის, ან მძლავრად ჩაებლაუჭოს თავის თავშივე გენეტიკურად კოდირებულ ფასეულობებს და, რადაც არ უნდა დაუჯდეს, გადალახოს შემეცნების სასაზღვრო ზოლი. მაგრამ თვითშემეცნება მოვლენათა განვითარების დამამთავრებელი ეტაპია, ასე ვთქვათ, ბოლო ზღვარი, რომელსაც წინ ქარავანად მოუძღვის ტყვეობის, ხსნის ძიების, ჯანყისა და სიკვდილთან შეჯახების ურთულესი ეტაპები“ (გვ. 222). აქამდე არავის უმსჯელია თეიმურაზ ხევისთავზე, როგორც „დროის ნიშნით აღბეჭდილ პერსონაჟზე, რომელიც თავის

თავში იტევს საწყისს, განგრძობადობასა და დასასრულს“ (გვ. 222)... რთული არ უნდა იყოს იმის აღიარება, რომ რომანის მთავარი სათქმელის გააზრების ირმა რატიანისეული სიახლეები მიხეილ ჯავახიშვილის ტექსტის ლიტერატურულ-ეს-თეტიკური კითხვის უჩვეულოდ მწყობრი, აქამდე განუხორციელებელი ფაქტია!

საგულისხმოა, რომ მთავარი პერსონაჟების – თეიუმრაზ ხევისთავისა და ჯაყო ჯივაშვილის – ე.წ. „ვახსნას“ ირმა რატიანი მთელი რიგი კონცეპტუალური და სტურქეტურული ოპოზიციების შემოტანით იწყებს: გუშინ/დღეს/ხვალ, დროის ტყვე/დროის დიეტატორი, ლიდერი/ანტილიდერი, დამნაშავე/მსხვერპლი.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში აქამდე არავის მოუხდენია ჯაყოს პერსონაჟის ინტერპრეტაცია სატანასთან მიმართებაში და თეიმურაზის პერსონაჟის ინტერპრეტაცია აგასფერთან მიმართებაში. „ჯაყოს გარეგნობასა და ქცევა-ჩვეულებებში ძნელი არ არის სატანისეული ნიშნების გამორჩევა, რაც, თავის მხრივ, საცნაურს ხდის თეიმურაზ ხევისთავის პერსონაჟის მითოლოგიურ ასპექტებს და ავლენს მათი დაპირისპირების ჭეშმარიტ არსს. ჯაყოს გარეგნული მონაცემები საკმაოდ ანტიპათიურია: „რამდენიმე ნაჭრილობევით დასერილი თავი და პირსახე ისეთი შავის, ხშირისა და აბურძგვილის ჯაგრით ჰქონდა შემოსილი, თითქო ჯაყოს ბეჭებზე კუპრში ამოვლებული უზარმაზარი ზღარბი აცოცებულიყო. შავი ჯაგრის ბუჩქნარი თვალებამდე სწვდებოდა და იმ ჯაგნარიდან მხოლოდ ხარის თვალებს, ნინ-ნამოყრილ ცხენის კბილებსა და გაჭყლეტილ ცხვირს ამოეყოთ თავი. ერთი მტკაველის სიგრძე ულვაშები გადმობრუნებულ ჯამებივით გამოყრილ ლოყებზე გაცვეთილ ცოცხებივით ეყარნენ, ხოლო იმ ჯამებს დინჯად და მედიდურად ლამბაქების ყურები დასცექროდნენ“. კუპრი ქართულ ქრისტიანულ წარმოდგენაში ჯოჯონეთის, ეშმაკის საუფლოს აუცილებელ ატრიბუტად არის მიჩნეული, რომ აღარაფერი ვთქვათ ისეთ თვალსაჩინო მახასიათებლებზე, როგორებიც გახლავთ უკიდურესი მინიერება, ფერ-ხორციანობა, ანუ ხორცის სიუხვე და ჭარბობინობა“ (გვ. 226). იქვე: „ხევისთავი ჯერ ბავშვის ყინიანობით, შემდგომ კი მონიფულის დარწმუნებით ებრძვის დემონური არქეტიპული მოდელით გამოხატულ დროს, რომლითაც მჭიდროდ არის შებორკილი. დროის ტყვეობის გრაფიკულ პროექციას პერსონაჟის წრიული მოძრაობა წარმოადგენს, რაც, ჩვენი აზრით, არა მხოლოდ გრაფიკულად, არამედ კონცეპტუალურად ეხმიანება აგასფერის მითს“ (გვ. 229). მკვლევარი ასკვნის: „თეიმურაზ ხევისთავისა და ჯაყო ჯივაშვილის პერსონაჟები წარმოადგენენ რომანის ცენტრალურ ბინარულ წყვილს, საერთო ძირზე ხელოვნურად დამაგრებულ ორეულს, რომელთა შორის არსებული წინააღმდეგობრივი ურთიერთობა თვალნათლივ წარმოაჩენს რომანის მსოფლმხედველობრივ ასპექტებს. „ჯაყოს ხიზნების“ საბედისნერო ორეულის ერთი ნახევარი, ჯაყო, გააფთრებით ცდილობს მეორე ნახევრის, თეიმურაზის დაჩაგვრას, დაპყრობას, შთანთქმას. თეიმურაზი ან უნდა დანებდეს მას, ანაც ეძიოს ხსნის გზა, გზა, რომელიც გადაარჩენს მის პირვენებას, მის მეობას და სულს გარშემო გამეფებული ფსევდოკარნავალის დესაკრალიზებულ სამყაროში. აგასფერის გზაც ამ განწირული ძიების ნაწილია“ (გვ. 233-234).

მეცნიერული ანალიზის განსაკუთრებულად ძლიერ მონაკვეთებს წარმოადგენს: თეიმურაზ ხევისთავის აბსურდული მოძრაობის ტრაექტორიის კონცეპტუ-

ალიზება და მითოლოგიზება; პაროდიორების ხერხის მეშვეობით პერსონაჟის დაცემისა და აღზევების პროექციის გააზრება; ანთროპოლოგიური მოდელის, როგორც პირველსაზე ის გააქტიურება; ორეულის სტილისტური ხერხის ფუნქციის ხაზგასმა; რწმენისა და ცოდნის ჯერ დაპირისპირების, შემდეგ კი შეერთების განმსაზღვრელი მნიშვნელობის გამოყვეთა; მიტევებისა და სინაზულის, როგორც ხსნისაკენ მიმავალი გზის წარმოჩენა... .

ამგვარი და მსგავსი პერტუბაციებით ახორციელებს მკვლევარი პერსონაჟთა რეალური ვინაობა-რაობის ჩვენებას, რაც მისი კვლევის საერთო სტილის მაჩვენებელია.

დროის სხვადასხვა პლასტების გააზრება და დროსთან თეიმურაზის თავ-განწირული ჭიდილი ირმა რატიანის კვლევის ამოსავალი წერტილია. მკვლევარის აზრით, თეიმურაზის ხსნა განუხორციელებელი პროექტია რეალურ, „დაბრმავებულ“ დროში; მისი ცხოვრება არის გამოხატულება პიროვნების საბედისნერო შეჯახებისა თბიერტური დროით განსაზღვრულ რეალობასთან, „განხეთქილება კაცა და სიცოცხლეს შორის“. მიხეილ ჯავახიშვილს უმაღლეს დრამატულ რეგისტრში აყავს თიმურაზის შინაგანი გაორება და კონფლიქტი, რაც, ირმა რატიანის აზრით, „აჯანყებული ტყვის“ – თეიმურაზის ჯერ სიკედილზე, შემდეგ კი რეალურ დროზე გამარჯვებით დასრულდება: „ანშყოში მეხსიერების ფასეული პროექციორების გზით, თეიმურაზი შეიმეცნებს თავის გენეტიკურ ფესვებს და ირწმუნებს საკუთარი სულიერების ძალას. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, რომანის კულმინაციურ სცენას წარმოადგენს თეიმურაზის მიერ „მძიმე ტვირთის ქვეშ ორად მოხრილი“, გაუბედურებული მარგოსათვის ტვირთის ჩამორთმევისა და საკუთარ ზურგზე გადმოდების ეპიზოდი. ეს თეიმურაზის სინაზულია, მისი შვება, ჩუმი სიხარული, შეცნობილი ბედნიერება, რომლის წინაშეც უძლურია დრო, ე.ი., უძლურია ჯაყო, უძლურია ყოველივე ემპირიული, რეალური, ობიექტური. თეიმურაზი აღარ არის „რწმენით უკიდურესი რადიკალი და ხალხოსანი“ საზოგადო მოღვაწე, ის ახლა ზღუბლთან მდგომი ინდივიდია, დროის სხვა განზომილებისაკენ გადანაცვლებული ფიქრიანი პერსონაჟი, რომელიც გააქტიურებული შინაგანი ტემპორალური ენერგიის მეშვეობით შეგნებულად გადაადგილდება ამბივალენტურ ლიმინალურ ზონაში და მიმართულია რეალური დროის ალტერნატიული ტემპორალური მოდელისაკენ. თეიმურაზის ცხოვრების მიზნად უდავოდ ქცეულა მოლოდინი: მარგოს მოლოდინი, მონანიების მოლოდინი, განწმენდის მოლოდინი, ღვთის მოლოდინი, რაც მარადისობასთან მისი ზიარების წინაპირობას წარმოადგენს. მარადიული ზედროულობა თეიმურაზის ერთადერთი თავისუფლებაა, თავისუფლება, რომლისკენაც შინაგანი მომლოცველობის გზით უნდა წავიდეს ხევისთავი, „მეტანიით, სასოებით და ცრემლით“ (გვ. 239-240). შემთხვევით არ ადარებს მიხეილ ჯავახიშვილი თავის პერსონაჟს – თეიმურაზ ხევისთავს – შიო მღვიმელს: ასეთია გზა ნაკაცარიდან – კაცამდე, ბრინკადან – შიომდე, ღვთის ხატამდე...

როგორც ვხედავთ, ირმა რატიანი მიხეილ ჯავახიშვილის საეტაპო ნაწარმოების წაკითხვის ძალზე ორიგინალურ, პერსპექტიულ და მასშტაბურ გზას ირჩევს, რასაც წარმატებით ახორციელებს კიდეც. მისეულ დასკვნაში სრულიად მართებული აზრი ულერს: „საბჭოთა ტოტალიტარიზმის ეპოქაში მოღვაწე ქართველმა მწერალმა შეუძლებელი შეძლო: მან შექმნა თანამედროვე ევროპული და მსოფლიო

სტანდარტების შესაბამისი ტექსტი, დატვირთული გვიანი რეალიზმისა და მოდერნიზმისათვის ნიშანდობლივი ექსისტენციალური კითხვებით და საბჭოთა რეალობაში დატრიალებური ტრაგედია ესქატოლოგიურ განზომილებაში გადაანაცვლა!" (გვ. 242).

ამ დასკვნის გასაკეთებლად ი. რატიანმა ლირსეულად იმუშავა და მრავალი მეცნიერული სიახლე შემოიტანა ქართული ლიტერატურის დამსახურებულად ასამაღლებლად.

ასევე, უაღრესად ორიგინალურია ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას“ ირმა რატიანისეული ინტერპრეტაცია. მკვლევარი მიიჩნევს, რომ ალ. ყაზბეგის პროზა, რომელიც ორიენტირებულია როგორც ცაკლეული პერსონალიების, ისე ინდივიდისა და საზოგადოების მტკიცნეულ ურთიერთობებზე, შესაძლებელია იკითხებოდეს მსხვერპლის ანთროპოლოგიური თეორიის ჭრილში. მეცნიერი ამ სტატიაში ჩვეულ ღრმააზროვნულ, ასე ვთქვათ, შემოვლითი სიღრმისეული აზროვნების ნიმუშს გვაზიარებს.

პირველ ყოვლის, ყურადღებას კვლავაც სტატიის სათაური იქცევს: „ქართველი ტრაგიონი – მსხვერპლის თეორია და ალ. ყაზბეგის პროზა („ხევისბერი გოჩა“)“. მკვლევარი იმთავითვე ახდენს ალექსანდრე ყაზბეგის სახელდებას „ტრაგიონსად“, რაც სრულიად ახალი მოვლენა ქართული ყაზბეგიანას ისტორიაში და რითაც მკითხველი იღებს საკვანძო მინიშნებას ალექსანდრე ყაზბეგისა და ტრაგედიის ჟანრის შესაძლო ურთიერთმიმართებაზე.

სტატია იწყება ფრანგი ანთროპოლოგის რენე ჟირარის თეორიის განხილვით, რომელიც სათავეს იღებს აბრაამისა და ისაკის ბიბლიური მითიდან. ირმა რატიანი წერს: „ცნობილი ფრანგი ანთროპოლოგის, რენე ჟირარის თეორია... მეთოდოლოგიურად სამ საბაზისო ცნებას ეფუძნება – მსხვერპლი/მსხვერპლშეწირვა/ განტევების ვაცი. თეორია მიზნად ისახავს ამ ცნებების ინტეპრეტაციას როგორც მითოლოგიური სტანდარტის, ისე უფრო ფართო თვალსაზრისითაც, კერძოდ, ინდივიდისა და საზოგადოების ცნებებთან მიმართებაში. მიგვაჩნია, რომ ალ. ყაზბეგის პროზა, რომელიც ორიენტირებულია როგორც ცალკეული პერსონალიების, ისე ინდივიდისა და საზოგადოების მტკიცნეულ ურთიერთობებზე, შესაძლებელია წავიკითხოთ მსხვერპლის ანთროპოლოგიური თეორიის ჭრილში და გავაფართოვოთ კვლევის კონკრეტული თეორიული მიზნების შესაბამისად“ (გვ. 244).

ქვემოთ უერარის თეორიის თავდაპირველი საყრდენია მოხსენიებული – მიმეტური სურვილის თეორია, რომლის თანახმადაც: ტექსტში არც ერთი ხასიათი არარის ავტონომიური, ყოველი ხასიათი იკვეთება მეორესთან; ხასიათებს ერთმანეთთან ან არიგებს ან აპირისპირებს სურვილის საერთო ობიექტების სისტემა; სუბიექტსა და ობიექტს შორის დამოკიდებულება ტექსტში არ არის პირდაპირი... ამის შემდეგ მკვლევარი წერს: ანთროპოლოგიური თეორიის ამ ჭრილში ტექსტი განიხილება როგორც მთლიანობა, სადაც „სახეზეა ერთგვარი სამკუთხედი – სუბიექტი, ობიექტი და სურვილი, როგორც მუალედური მოდელი“ (გვ. 245).

მაგრამ მიმეტური სურვილის თეორია, აღნიშნავს წიგნის ავტორი, მხოლოდ პირველი საფეხურია უერარის ანთროპოლოგიურ პირამიდაში. ქართველი მკვლევარისათვის განსაკუთრებით საინტერესო ამ პირამიდის შემდეგი რგოლია –

მსხვერპლის თეორია. „მსხვერპლის ლიტერატურული მოდელი მიმეტური კრიზისის ერთდროულად შექმნისა და დაძლევის საშუალებაა“ (გვ. 244), აღნიშნავს იგი.

შემდგომ ამისა, ირმა რატიანს შემოაქვს მთელი რიგი მნიშვნელოვანი ცნებები: კრიზისი, კრიზისულობა, სხვერპლი, მოძლავე, ბრძოლა, გასამართლება, დევნა, დასჯა. მიმოხილავს რა ტრაგედიის კვლევის კლასიკურ ისტორიას, კერძოდ, არისტოტელეს „უდანაშაულოდ დამნაშავისა“ და ჰეგელის „ორი სიმართლის“ თეორიებს, ნიცშეს პერცეპტუალურ პოზიციას და ფრონიდის „ონიდიპოსის კომპლექსს“, მკვლევარი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ რენე შირარმა გაითვალისწინა ტრაგედიის თეორიის ყველა მოდელი, მაგრამ საკუთარი თეორიის საფუძვლად კრიზისი, მსხვერპლი და მსხვერპლშენირვა აქცია. ამ მიმართულებით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ირმა რატიანის მიერ მითოლოგიურ და არამითოლოგიურ სიუჟეტებზე მსჯელობა და, რაც მთავარია, დასკვნა: „თუ მითოლოგიურ სიუჟეტებში „დამნაშავე“ (მსხვერპლი) თავისი „დანაშაულის“ უტყუარი ნაწილია, ანუ „დანაშაული“ მისი ონთოლოგიური ატრიბუტია (არისტოტელე, ჰეგელი) და კავშირიც დანაშაულსა და კოლექტიურ კრიზის შორის ძალზე ძლიერია, არამითოლოგიურ სიუჟეტებში რამდენადმე არადამაჯერებელია როგორც „დამნაშავის“ (მსხვერპლის), ისე – „დანაშაულის“ იდენტიფიკაცია: რაც მეტად აგრესიულია საზოგადოება, მით მეტად არადამაჯერებელად გამოიყურება იგი და მით მეტად არადამაჯერებელია მსხვერპლშენირვის აქტიც“ (გვ. 248). ამ დასკვნას კი მოსდევს შემდგომი, უკვე ქართული ლიტერატურათმცოდნეობისათვის ძალზე მნიშვნელოვანი დასკვნა, რომლის თანახმადაც, ამ მეორე ტიპის ტექსტებს განეკუთვნება ანტიკური ეპოქის შემდგომი ხანის არამითოლოგიური სიუჟეტების დიდი ნაწილი, რომელიც აღნიშნულ პრობლემატიკას უღრმავდება და მათ შორის უნდა მოვიაზროთ დიდი ქართველი მწერლის ალ. ყაზბეგის პროზაც. მაშასადამე, მკვლევარის აზრით, ალექსადნერ ყაზბეგის პროზა თამამად შეიძლება მივაკუთვნოთ მსოფლიო არამითოლოგიური სიუჟეტების იმ რიგს, რომლებიც ტრაგედიის პრინციპებზეა აგებული!

შემდგომ ამისა, ირმა რატიანი სკრუპულოზულად განიხილავს ალ. ყაზბეგის „ხევისბერ გოჩას“ და მასთან მიმართებით აზუსტებს ანტიკური ტრაგედიისათვის ნიშანდობლივ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა: პირადი და საზოგადოებრივი კრიზისი, ბედისნერა, საზოგადოებრივი ეთიკა, ლირსების დაცვა, ჩანაცვლება და ვერ-ცნობა, სუროგატი მსხვერპლი, სამსხვერპლო კრიზისი, განტევების ვაცი, საკრალური აქტი.

განათავსებს რა ალექსანდრე ყაზბეგის „არამითოლოგიურ სიუჟეტს“ ანტიკური ტრაგედიის ანუ მითოლოგიური სიუჟეტის პოეტიკური კანონების ჩარჩოში, ირმა რატიანი აკეთებს არსებოთ დასკვნას ქართველი მწერლის ტექსტთან მიმართებაში. კერძოდ, მისი აზრით, „ხევისბერი გოჩას“ ავტორი თავს ართმევს თითქმის დაუძლეველ ამოცანას: **ახდენს არამითოლოგიური სიუჟეტის განზავებას მითოლოგიური სიუჟეტისათვის ნიშანდობლივ მახასიათებლებთან. შედეგად, სახეზეა ანტიკური დრამის კანონებით დაწერილი მოთხოვნა, როგორც სუბჟანრული მოდელი, სრულიად ინოვაციურია XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისათვის (და არა მარტო!)“ (გვ. 256). უაღრესად საგულისხმოა მკვლევარის ის აზრიც, რომ ალექსანდრე ყაზბეგის ტექსტი კონცეპტუალურ სიახლოეს ამჟღავნებს რენე-სანსის ეპოქის ტრაგედიასთან, კერძოდ, შექსპირისეულ ტრაგედიასთან, ვინაიდან**

„მეფე ლირის” მსგავსად, ისიც წარმოადგენს „ხანგრძლივ მოგზაურობას მონანი-ებისაკენ“ (გვ. 258).

არქეტიპულობა ყაზბეგის აზოვნების მთავარ ბერკეტადაა მიჩნეული.

ანთროპოლოგიური თეორიის მომარჯვებით, ირმა რატიანი იმთავითვე „მსხ-ვერპლის ნიშნით გამორჩეულ“ პერსონაჟად მიჩნევს ონისეს, ბოლოს კი ასკვინის: „ონისე მსხვერპლია, ხოლო „მსხვერპლი არის განტევების ვაცი ... განტევების ვაცი ერთდროულად გამოხატავს მსხვერპლის უდანაშაულობასა და კოლექტიურ პოლარიზაციას მის მიმართ და კოლექტივი წერტილს უსვამს ამ პოლარიზაციას. მაგრამ ონისეს ასამართლებს არა კოლექტივი – სამართლის ავტორიტეტული ინ-სტი-ტუტი საზოგადოების-თემის სახით, არამედ მამა, რომლისთვისაც ეთიკური ღირებულებანი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შვილის სიყვარული ან თემისადმი პატივისცემა. მამა, როგორც ბრალმდებელი, ანაცვლებს კოლექტივს. გოჩას ქმედე-ბა იმ წინააღმდეგობრივი მოტივაციური მოდელების მხატვრული შედეგია, რომ-ლებიც თანამიმდევრულადა აკინძული თხზულების სიუჟეტში: საბედისწერო წი-ნასწარგანსაზღვრულობა, საზოგადოებრივი კრიზისი, რიტუალური ჩანაცვლება, სუროგატი მსხვერპლი, სამსხვერპლო კრიზისის საშიშროება, დაბოლოს – მსხვერ-პლშენირვა საკრალური აქტის აღსრულების განზრახვით. მაგრამ განა შეიძლება, საკრალურ აქტად მივიჩნიოთ ერთი კაცის (თუნდაც მამის) მიერ გამოტანილი გან-აჩენი?“ (გვ. 259-260).

ჩვენი რეცენზიის შემდგომი სამიზნე ვაჟა-ფშაველას „კოსმოპოლიტიზმისა და პატრიოტიზმის“ ირმა რატიანისეული ინტერპრეტაციაა. ვაჟა-ფშაველა იშ-ვიათი მოვლენაა ქართულ მწერლობაში თავისი იდეების სიღრმითა და მოტივე-ბის მრავალფეროვნებით. მისი მხატვრული მემკვიდრეობის უბერებლობა, შესაფ-ერისად, განაპირობებს მწერლის მიერ მხატვრული და, საზოგადოდ, სააზროვნო გამოსახვის საშუალებათა ფართო და მიზაშენონილ გამოყენებას. ერთი შეხედვით ძნელია ილაპარაკო, ვთქვათ, პოეტიკური სტილისტიკის, კერძოდ, ტროპული მე-ტყველების შესახებ ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებში, რადგან მწერლის თხზულე-ბებში ხშირად მთელი ნაწარმოებია თავისითავად გახატოვნებული, გაპიროვნებულ-გაცოცხლებული და ა. შ. მაგრამ, ირმა რატიანს სპეციფიკური თემა შეურჩევია მწერლის შემოქმედებიდან, რომელიც ასე ყდერს: „ვაჟა-ფშაველას „კოსმოპოლი-ტიზმი და პატრიოტიზმი“. მტკიცება თუ გაფრთხილება?“

მევლევარი ვაჟა-ფშაველას ლიტერატურულ მემკვიდრეობას თავისი თემე-ბით და მიზნებით ევროპულ გვიანი რეალიზმის ღირებულ რეფლექსიად მიიჩნევს. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, გვიანი რეალიზმი, როგორც ტერმინი და მოვლენა აქამდე არ ყოფილა დაფიქსირებული ქართულ ლიტერატურათმცოდ-ნებობაში და ირმა რატიანის მიერ დამკვიდრებულ სრულ სიახლეს წარმოადგენს.

სტატია ძალზე საინტერესოდაა აგებული. თავდაპირველად გამოკვეთილია გვიანი რეალიზმის ძირითადი მახასიათებლები: „გვიანი რეალიზმის მიერ გამო-მუშავებული ახალი ტენდენციები ერნყმის არა მარტო კრიტიკული რეალიზმის წიაღში უკვე გამომუშავებულ ტრადიციას (როგორც ეს ევროპული რეალიზმის წი-აღში მოხდა), არამედ ქართულ რეალურ კონტექსტსაც („ქართულ საკითხავს“) და პრობლემების ძალზე საინტერესო სპექტრს გამოკვეთს:

- ადამიანი და მისი მისია სამყაროში;
- სუბიექტის ინდივიდუალური ნება და საზოგადოება;
- „საკუთარი სივრცე“, როგორც ნაციონალური იდენტობის მარკერი (გვ. 261).

შემდეგ გამოკვეთილია ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მიმართება რეალიზმის ამ მოდელთან. მკვლევარი ნათლად დამადასტურებელ მაგალითებს გვაწვდის და ნიმუშებად მიზანმიმართულად მიიჩნევს ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურს“ „სტუმარ-მასპინძელს“, „გოგოთურ და აფშინას“, „გველის მჭამელს“; მითითებულ ნანარმოებთა სიუჟეტური განსხვავებულობის მიუხედავად, მათი ერთმანეთთან დაკავშირების მიზეზსაც უსვამს მკაფიოდ ხაზს – უზარმაზარ სამყაროში გამოკეტილი ადამიანის მიერ თავისი მისის ძიების დაუკავებელ სურვილს, პიროვნული ღირსების დამკვიდრებისათვის ბრძოლის უინს და საკუთარ სივრცეს-თან ფატალური იდენტიფიკაციით მოგვრილ დაუმსახურებელ ტკივილს.

ი. რატიანი მნიშვნელოვან ცნებებზე ამახვილებს ყურადღებას – „რწმენაზე“, „თავისუფლებაზე“, „სიყვარულზე“, „ერთგულებაზე“, „სულის სიმტკიცეზე“, „მშობლიური მინა-წყლის განცდაზე“, მაგრამ ამასთან ერთად, ზოგად-ეთიკური ნიშნით, ვაჟასულ აუცილებელ და მნიშვნელოვან კონცეფციას გამოკვეთას: ზემო-დასახელებული ცნებების გამომხატველი ადამიანი „ჯერ საკუთარ თავთან უნდა იყოს მართალი და მერე სხვასთან, ჯერ საკუთარ სინდისთან უნდა იყოს პირნათელი და მერე საზოგადოებრივთან, ჯერ საკუთარ მინას უნდა უერთგულოს და მერე სხვისას. ალუდას, ჯოყოლას, მინდიას (და სხვათა) ხასიათები ქართული რეალური კონტექსტის წიაღში იძერწება, მაგრამ ისინი არ არიან მრავალთაგან ერთ-ერთი, არამედ ერთი – მრავალში, პიროვნების თავისუფლების ერთადერთ პროექციად სულიერი პროექცია იკვეთება, ხოლო სამშობლოს განცდა ეფუძნება არა მასის ხედვას, არამედ სუბიექტის ინდივიდუალურ ზნეობრივ კრიტერიუმებს:

- სახლი მე ვარ, ჩემი ღირსებით;
- ჩემი ღირსება განსაზღვრავს ჩემს სახლს;
- მე დავდივარ სამყაროში ჩემი ღირსებით და, მაშასადამე, ჩემი სახლით.

მთავარი კი ისაა, რომ ასეთი ადამიანების ღვაწლი, ვაჟა-ფშაველას სიტყვებით რომ ვთქვათ, იმდენადვე სასარგებლოა კაცობრიობისათვის (სამყაროსთვის), რამდენადაც სასარგებლო და გონივრულია სამშობლოსათვის (სახლისთვის) („კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“) (გვ. 262-263).

და აქ უკვე მკვლევარი გადაინაცვლებს ვაჟა-ფშაველას მიერ „კოსმოპოლიტიზმისა“ და „პატრიოტიზმის“ ინტერპრეტაციის მიმართებაზე ამ ცნებათა ევროპულ სააზროვნო სივრცეში ფორმირებულ ვერსიებთან, კერძოდ, გოეთეს თეორიასთან. ქართულ ლიტერატურათმცოდნებაში არაერთხელ ყოფილა საუბარი ვაჟა-ფშაველას თხზულებებში დასმულ პიროვნებისა და საზოგადოების პრობლემაზე, მაგრამ ნაკლებად – ამ პრობლემის მსოფლიო ლიტერატურულ პროცეს-თან მიმართების კუთხით, ანაც მის წიაღში მათი ურთიერთშეჯახების სერიოზული მცდელობით... მთავარი კითხვა, რომელსაც მკვლევარი სცმას, ასეთია: „ვინ არის ვაჟა-ფშაველა? თავისი ეპოქის უდიდესი კოსმოპოლიტი თუ ნაციონალური თვითშეგნებით მოტივირებული გენიოსი?“ (გვ. 262).

პასუხი, გინდათ თუ არა, ჩვენი აზრით, ცხადი და ნათელია!

ირმა რატიანი ვაჟა-ფშაველასეულ კოსმოპოლიტიზმზე შედარებით კონტექსტში მსჯელობისას კიდევ ერთხელ უტყუარად ირგებს საინტერესო მკვლევარის სახელს, რაც დასტურდება საძიებელი პრობლემის შემდგომი სიღრმისეული კვლევით:

„ვაჟა-ფშაველა გოეთესშემდგომი ეპოქის მოაზროვნეა. განსხვავებით გოეთესაგან, რომელმაც მხოლოდ ინტუიტიურ დონეზე შეიძლება ივარაუდოს თავისი ტერმინის განვითარების პერსპექტივები, ვაჟა-ფშაველა ზუსტად ხედავს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს კოსმოპოლიტური მიდგომის არასწორ ინტერპრეტაციას. მიუხედავად იმისა, რომ ვაჟა-ფშაველა რუსეთის გუბერნიად ქცეულ საქართველოს მიუვალ მთებში, ნახევრადდანგრეულ ქობში ცხოვრობს ოჯახთან და მარჩენალ პირუტყვთან ერთად, იშვიათად ჩადის ქალაქად და მთელი ტკივილით შეიგრძნობს თავისი პატივაყრილი ქვეყნის კულტურულ უსუსურობას მსოფლიო კულტურული და ლიტერატურული პროცესების ფონზე, ის ინარჩუნებს რწმენას ქართული კულტურის პოტენციალისადმი და პატივს სცემს მის ჯიუტ სასიცოცხლო ენერგიას, არაერთხელ ჩანიხლულს ისტორიული ბედუეულმართობის გამო“ (გვ. 264-265); ვაჟა-ფშაველას აფიქრებდა გოეთესეული კოსმოპოლიტიზმის იდეიის მთავარი დასაყვარდენის გამოცლის საშიშროება: „საზღვრების გახსნის“ შედეგად ვინძლო არ მომზდარიყო ნაციონალური კულტურების, განსაკუთრებით, მცირე და, მით უფრო, კოლონიზებულ მდგომარეობაში მყოფი კულტურების ნიველირება.

ირმა რატიანის მტკიცებით, ვაჟა-ფშაველას ეს ნარკვევი, განკუთვნილი ქართველი მკითხველისათვის, „ასეთივე ნარმატებით მიემართება მთელ თანამედროვე მსოფლიოს, „მკვდარი ღმერთის“ (ნიცშე) დროების მოქალაქეებს, რევოლუციების, ომების, დიდი მოლოდინებისა და დიდი იმედგაცრუებების ზღურბლთან მდგარ მსოფლიო საზოგადოებას. ვაჟა-ფშაველა, აუცილებლად მიმართავდა ყველას, აბსოლუტურად ყველას და არა მარტო რუსეთის პროვინციად ქცეულ თავდახრილ საქართველოს“ (გვ. 267). ვაჟა-ფშაველა ცხოვრებისეული მრავალფეროვანი სიძნელეების მიუხედავად, ინარჩუნებს რწმენას ქართული კულტურის პოტენციალისადმი, სწამს მისი სასიცოცხლო ენერგია, სჯერა მომავლის, მაგრამ, ამავდროს, ის ზუსტად ხედავს ყველა საშიშროებას, როგორიცაა: ა) ნაციონალური და იმპერიალისტური, ანუ ორმაგი საზღვრით იზოლირება მსოფლიო კულტურული სივრცისაგან; ბ) აღმავალი კაპიტალიზმისა და მზარდი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პრაგმატულ ეპოქაში (ცხოვრება; გ) თანამედროვე საზოგადოების სულიერი და ზნეობრივი ღირებულებების სწრაფი დევალვაცია; დ) ნიპილიზმისა და რწმენის დეფიციტი; ე) მოდას აყოლილი ქართული საზოგადოების პატრიოტული მუხტის მოდუნება.

მკვლევარი უშეცდომოდ ამჩნევს ქართველი პუმანისტის შრომის ცენტრალური იდეის ღირებულებას და იმონებს ვაჟა-ფშაველას: „ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) – პატრიოტია. როგორ? ასე, – რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავისი სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას

საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას“ (გვ. 268).

შესაბამისად, საერთო დასკვნა ასე ჟღერს: თარგმანი აძლევს საშუალებას ნებისმიერ ნაციონალურ მწერლობას, ხელმისაწვდომი გახდეს სხვა ქვეყნების მკითხველებისთვის, სწორედ თარგმანის მეშვეობით შედიან ერთმანეთთან მჭიდრო კონტაქტში სხვადასხვა ნაციონალური ლიტერატურები, მაგრამ კითხვის ხარისხი, ჭეშმარიტად მაღალი, მხოლოდ ნაციონალურ ენაზეა შესაძლებელი... ერთი მხრივ, აუცილებელია კულტურათა შემორის დიალოგის წარმოება, ხოლო, მეორე მხრივ, ამთავითვე უნდა ვალიაროთ მოსალოდნელი დანაკარგების საფრთხეები, რაც, ცხადია, თარგმანის არასრულყოფილების, უფრო სწორად კი, ერთი ტიპის მენტალობის მიერ მეორის ზუსტი რეფლექსირების შეუძლებლობითა გამოწვეული... პატრიოტიზმი განცდაა, კოსმოპოლიტიზმი – ფიქრის შედეგი და ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ეს ფიქრი სწორად იქნას ნარმართული... „ვაჟა-ფშაველას“ კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ ერთდროულად მტკიცებაც იყო და გაფრთხილებაც, რომელსაც არა მხოლოდ ქვეყნის ტკივილი ამოძრავებდა, არამედ ღირებულებათა საყოველ-თაო კრიზისის ტრაგიკული განცდა“ (გვ. 270-271), ასკვნის წიგნის ავტორი.

დაბოლოს, წიგნის დასკვნითი წერილი – „ნოველის ხიბლი. უანრის ქართველი კლასიკოსი – რევაზ ინანიშვილი“. მკვლევარის მიზანი უცვლელია: გააბას შინაარსობრივი ძაფები ქართულ და მსოფლიო მწერლობას შორის, მსოფლიოს უდიდეს წიგნისტთა გვერდით ნარმოაჩინოს რევაზ ინანიშვილის ღვანძი.

სტატიაში ირმა რატიანი სხარტად ახასიათებს რ. ინანიშვილის მოღვაწეობის ეპოქას, გამოკვეთს მისთვის ნიშანდობლივ მრავალმხრივ სირთულეებს. მისი აზრით, გარდა სირთულისა და ცხოვრებისეულ წინააღმდეგობრიობათა ჩვენებისა, რევაზ ინანიშვილი ადამიანთა სულიერი მდგომარეობის, მათი გრძნობების რბილი და ნაზი ნიშნების სათუთად გამომხატველი ოსტატიცაა; მწერლის ტექსტებიდან იღვრება სითბო და თანაგრძნობა, პატარ-პატარა სიხარულები... მაგრამ ინანიშვილის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მხარე მაინც მისი, როგორც მწერლის, გამომხატველობითი სიმკვეთრეა, უანრის შერჩევის სწორი უნარი. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ინანიშვილი ვირტუოზულად ფლობს ერთ-ერთი უძველესი ლიტერატურული ჟანრის – ნოველის ტექნიკულობის. ახასიათებს რა ამ ჟანრის ძირითად თავისებურებებს, ირმა რატიანი აღნიშნავს, რომ ნოველა თავის მოცულობაში იტევს მხატვრულ ღირებულებას, პოეტიკურ ნიშან-თვისებებს, ამავ დროს, ზუსტად და სხარტად ავლენს ხელოვანის მსოფლმხედველობას. ნოველა წარმოადგენს მწერლის მხატვრული ოსტატობის ფორმირების ობიექტურ საფუძველს. ამის ნათელსაყოფად მკვლევარს მოჰყავს მაგალითები მსოფლიო ნოველისტიკის ისტორიიდან და სწორედ ამ პარადიგმის ნაწილად მიიჩნევს რევაზ ინანიშვილს.

ირმა რატიანი მართებულად მიუთითებს, რომ ინანიშვილი „სრულად შეიგრძნობს ნოველის კანონს და ქმნის შეუდარებელი ალლოთი და გემოვნებით გამორჩეულ ქართულ შედევრებს – „დავითის ხმალი“, „კაცი და ქალი“, „ნეკერჩელის წითელი ფოთოლი“, „უკუღმა დაჭედილი“ თუ სხვ, (გვ. 274). მწერლის მხატვრული ოსტატობა მუდავნდება იმაშიც, თუ როგორი იდეური აზრითაა დატვირთული გამოხატვის ესა თუ ის ობიექტი: მხატვრული ტექსტის ყველა კომპონენტშია შეჭრილი

მნერლის მსოფლმხედველობის ელემენტები, რასაც ყოველთვის ადექვატურად „ეხმიანება“ სიუჟეტი. აქაც ჩანს მნერლის იდეური და ტექნიკური ოსტატობის ჰარმონიული ურთიერთობა; მნერლის საერთო მხატვრული ოსტატობის შეფასება მხოლოდ მსგავსი ურთიერთობის საშიალებითაა შესაძლებელი.

ირმა რატიანი დეტალურად მიმოიხილავს ნოველის უანრის შეფასების ოსტორიას მსოფლიო კრიტიკულ სივრცეში (კრიტიკის იტალიური სკოლა, რუსული ფორმალიზმი, მიხაილ ბახტინი და სხვ.). მკვლევარის მიერ ამ პროცესებზე მსჯელობაც საკითხზე ღრმა და სერიოზული ფიქრის შედეგია... ჩატარებული კვლევა-ძიება საშუალებას აძლევს მკვლევარს განაცხადოს, რომ რევაზ ინანიშვილი ზედმინევნით იცავს უანრის კანონს. ამასთან, ინანიშვილის, როგორც მნერლის, მთლიან სახეს და ხასიათს, მხატვრულ სამყაროს, მსოფლმხედველობის სილრმეს, მნიშვნელოვანნილად განსაზღვრავს მისი დამოკიდებულება ადამიანისადმი – ეს არის ცენტრი, რომელსაც უკავშირდება მხატვრული ნანარმოების აგებისათვის საჭირო მთელი მექანიზმი. ერთი სიტყვით, ადამიანის გამოსახვის პრობლემა მაგისტრალური მნიშვნელობისაა ინანიშვილის ნოველებში, თუმცა, მკვლევარი სათანადო ყურადღებით ეკიდება თხრობის დინამიური მანერით წარმოების უნარს, როგორც ამ უანრის ორგანულად უმნიშვნელოვანეს, ძირეულ ნიშანს, და, რასაკვირველია, ფინალის ფუნქციურად ხმარება-წარმოჩენას. ამ თვისებათა გამოვლენის ნიმუშად მკვლევარი მიიჩნევს რ. ინანიშვილის ნოველას – „ფრთხებიან ყვავები დამბაჩის ხმაზე?“

ნოველაში მოთხოვილ ამბავს ი. რატიანი ძალზე საინტერესოდ, მართლაც, ასე ვთქვათ, „ნოველურად“ გვისურათხატებს... კლავენ ახალგაზრდა კაცს, ვიტ-გენშტენს, რომელიც სილას აწნის გენერალს და მისგან იღუპება. მკვლევარი სილის გაწვნის მოტივების ზნეობრივ-მორალურ ასპექტ-ნიშნებზე ამახვილებს ყურადღებას და შექმნილი სიტუაციის ჩამოყალიბება-განვითარების ისტორია სრულიად სხვა, ნოველის სიუჟეტივით მოულოდნელ პერსპექტივაში გადაჰყავს, რაც მნერლის ქალიშვილის შეკითხვით – „ვითომ დაფრთხებოდნენ დამბაჩის ხმაზე ყვავები, მამა?“ – აქვს განსაზღვრული: ერთი მიზნით გასროლილის მოტივაცია, სხვა, სრულიად მოულოდნელი გასროლის გეზს აჩენს ნოველაში.

ეს მოულოდნელობაა, ნოველის უანრის ორგანული ნიშანი, სწორედ ეს არის ინტერესის ალექსის დამახასიათებლობა.

დავამთავრებთ იდეურ-აზრობრივი და ფორმალური პარადოქსით, ანუ წიგნის საერთო ბოლოთქმით, რომელიც ასე უდერს: „ქართული მნერლობის (და პუბლიცისტიკის) კვლევა საერთაშორისო ლიტერატურულ პროცესებთან კომპარატივისტულ ჭრილში, თანამედროვე ფილოლოგიური მიდგომებისა და მეთოდების გამოყენებით, შედარებით ახალი პრაქტიკაა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობით სივრცეში. დარწმუნებული ვართ, რომ კვლევები ამ მიმართულებით მეტი ინტენსივობითა და ეფექტურობით გაგრძელდება, ხოლო წინამდებარე წიგნი ხელს არ შეუშლის ამ პროცესს“ (გვ. 282).

ეს ბოლოთქმაც ქართული მნერლობისა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესის ურთიერთობიმართების შესახებ დაწერილი ამ უაღრესად საინტერესო ნაშრომის სხარტ, მაგრამ ზუსტ შეხედულებას ახმოვანებს...

**Tengiz Kikacheishvili  
(Georgia)**

## **On Irma Ratiani's Book – “Georgian Writing and the World Literary Process”**

### **Summary**

**Key words:** New Book, Irma Ratiani, World Literature, Georgian Literature.

Professor Tengiz Kikacheishvili its review comments on a new book by Professor Irma Ratiani - Georgian literature and world literary process “. The review states that the book is very interesting work and a positive value Irma Ratiani Georgian (and not only in Georgian) Philological Society. The first part of the five chapters, more modern philological science relevant to the general thinking about the regularities of knowledge to us, is the second part of the Georgian Writers ‘Vaja, Alexander Kazbegi, the writer, in a later novel genre, working in a classic’ Revaz Inanishvili artistic works of the original damakhasiate-blobebbs dedicated. Both are part of the researcher by many, did not discuss the matter of a day in the Georgian literary clear what motivates the work of special attention.

The first, theoretical part, Irma Ratiani reviewed and analyzed such concepts as world literature, national literature, ‘big’ and ‘small’, Literary law and its relation to the supranational law, the law and the periodization of the relationship between the Western and Eastern cultural and literary contexts of laws and so forth. Georgian literature in the midst of thoughtful concepts. The author highlights the Georgian National Law classical literary figures, as well as the establishment of this law, in his view, the main stages (a total of ten stages and ancient pagan and prehistoric khans’), which are highly interesting. In general, the set up is so compact surge Georgian national law chamohqalibebis major literary and cultural separation options, most importantly, the findings of the scientist doing a complete novelty in the Georgian literary.

The second part of the researcher talks about the writers of fiction texts and interpretative possibilities. Author’s purpose is to separate the content of the practical analysis, a common engagement to portray Georgian literature-literary dynamics of the different times and epochs. A part of the analyzed Vaja, Alexander Kazbegi, the writer, Revaz Inanishvili separate texts in the light of the Comparative Analysis, heremenevtikuli method.

The book is bound conceptually and stylistically, monolithic structure which unifies the theoretical line.

The English translation has been completed, which gives us hope that colleagues will learn about the work of Irma Ratiani outside. E This is an important contribution to a correct interpretation of the will of the Georgian literature.

## რისმაზ გორდეზიანი (საქართველო)

### ირმა რატიანი, ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი, თბილისი, 2015 (გამოხმაურება)

პროფესიონალური ირმა რატიანის წიგნი წარმოადგენს ქართული მწერლობის მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში განხილვის მნიშვნელოვანსა და საყურადღებო ცდას. ვფიქრობ, პირველად ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში, ხდება მთელი ქართული ლიტერატურის (დასაბამიდან დღემდე) სისტემური ანალიზი მსოფლიო ლიტერატურაში მიმდინარე პროცესების კვალდაკავალ. აქედან გამომდინარე, წიგნი ბევრ ისეთ, თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობისათვის აქტუალურ, საკითხზე ამახვილებს ყურადღებას, რომელთაც ადრე, ქართული ლიტერატურის ისტორიის კვლევისას, ნაკლებად უწევდნენ ანგარიშს. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა წიგნში წარმოდგენილი ორი ცნების განხილვა: „Weltliteratur“ და „მსოფლიო ლიტერატურა“. გოთეს მიერ შემოთავაზებულმა ამ ტერმინმა მყარად დაიმკვიდრა ადგილი ლიტერატურათმცოდნეობაში. ირმა რატიანი წარმოგვიდგენს მისი გააზრების ისტორიის საინტერესო, მე ვიტყოდი, სრულყოფილ განხილვას და გვთავაზობს იმ ძირითად თეზისს, რომელიც მთელი მისი წიგნის საფუძველია. ამ თეზისის თანახმად, ქართული ლიტერატურა „მთელი თავისი თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ცდილობს იყოს გლობალური, მნიშვნელოვანი, გავლენიანი ლიტერატურული პროცესების შუაგულში“ (გვ. 26). ასევე, საყურადღებოდ მიმართის მიერ ცნების – „ლიტერატურული კანონი“ განხილვა. როგორც ცნობილია, ამ ცნებამ ელინისტური ეპოქის ბერძენ ავტორთა „ალექსანდრიული კანონიდან“ დღემდე, განვითარებისა თუ ტრანსფორმაციის ვრცელი გზა გაიარა. ირმა რატიანი წარმოგვიდგენს მისი გააზრების უახლეს მდგომარეობას, რის შემდეგაც გადადის იმის წარმოჩენაზე, თუ როგორ განვლო ქართულმა ნაციონალურმა ლიტერატურულმა კანონმა, როგორც მყარმა ნაციონალურმა სისტემამ და მასთან ერთად, ქართული იდენტობის იდეამ, ჩამოყალიბების რთული გზა ქართული ლიტერატურული ისტორიის ათ ძირითად ეტაპზე, ქრისტიანული მნერლობის ფორმირებიდან, პოსტსაბჭოთა და პოსტკოლონიურ ქართულ მწერლობამდე. ავტორი გვთავაზობს თითოეული ამ ტიპის უაღრესად საინტერესო და სიახლის სულით აღსავსე ანალიზს ევროპულსა და აღმოსავლურ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით. თუკი წიგნის პირველ ნაწილში ავტორი, ძირითადად, ლიტერატურული ისტორიის თეორეტიკოსად წარმოგვიდგება, მეორე ნაწილში იგი ცალკეული ლიტერატურული ტექსტების საშური სიღრმით ინტერპრეტაციას გვთავაზობს.

ჩემი აზრით, უახლესი ლიტერატურული მიმოხილვის მასშტაბით, არა-ერთი კარდინალური საკითხის დასმითა და ახლებური კვლევით, ირმა რატიანის წიგნი თავის ადგილს დაიმკვიდრებს საუკეთესო ლიტერატურათმცოდნეობით ნაშრომებს შორის.

## ნათია სიხარულიძე (საქართველო)

### ქართული მოდერნიზმი: ისტორიული კონტექსტი და ტიპოლოგია

მეოცე საუკუნის დასაწყისში, „ნინამურში რომ მოჰკულეს იღია“, ქართულ მწერლობას უკვე ეტყობოდა ფერისცვალების ნიშნები, განახლების შეუქცევა-დობა კი 1915 წლიდან გახდა უფრო თვალსაჩინო. უკვე არაერთი მოდერნისტული ტექსტის ავტორმა – გალაკტიონ ტაბიძემ სწორედ 1915 წელს გამოაქვეყნა ლექ-სი-მანიფესტი „Art Poétique“, რომელიც თანამედროვეთა მიერ მაშინვე შეფასდა, როგორც პირველი მანიფესტი მგოსნებისადმი, მსგავსი ბოჰემის მეფის – პოლ ვერ-ლენის მონოდებისა (ალ. აბაშელი). გალაკტიონის „Art Poétique“, მართლაც, ეხმაურებოდა ვერლენის „პოეტურ ხელოვნებას“ და ახალგაზრდა მგოსნებს გრძნობის, მუსიკისა და მშვენიერების მსახურებისკენ მოუწოდებდა. მომდევნო – 1916 წელს „ცისფერი ყანნები“ დაიბეჭდა, ცნობილი ნინათემითა და ეპატაჟური სიმბოლისტური თხზულებებით... ასე დაიწყო გზა მოდერნისტულ დასავლურ კულტურასთან ქართული ლიტერატურის ინტეგრირებისა. სამწერლო ასპარეზზე გამოსულმა ახალმა თაობამ ჩვენი ლიტერატურა კულტურის მიღწევების თანამოზიარე გახადა.

ქართული მოდერნიზმი და მისი ტიპოლოგია, სრულიად გასაგები მიზეზების გამო, ბოლო დრომდე საფუძვლიანად შესწავლილი არ ყოფილა. ამის გათვალისწინებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში განხორციელებული პროექტის შედეგად 2016 წელს გამოცემული წიგნი „ქართული მოდერნიზმის ტიპოლოგია“ (რედაქტორები: ირმა რატიანი და გაგა ლომიძე). იგი თერთმეტი ავტორის ოცდაოთხ ნაშრომს აერთიანებს და მიზნად ისახავს ქართული მოდერნიზმის თავისებურებების გარკვევას საერთაშორისო ლიტერატურულ პროცესებთან მიმართებით.

„ქართული მოდერნიზმის ტიპოლოგია“ სამეცნიერო სტატიების კრებულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, წიგნში მასალა შინაარსობრივ-კომპოზიციურად ისეა განლაგებული, რომ იგი სრულ წარმოდგენას გვიქმნის ქართულ მოდერნიზმზე, როგორც ერთიან ლიტერატურულ-ესთეტიკურ მოვლენაზე.

წიგნი იხსნება გაგა ლომიძის სტატიით „მოდერნიზმი, როგორც ინვარიანტი“. წერილში განხილულია ევროპული მოდერნიზმის ჩამოყალიბების ისტორიულ-პოლიტიკური, მეცნიერულ-კულტურული და ფილოსოფიური კონტექსტები, ის საზოგადოებრივ-კულტურული პროცესები და ტენდენციები, რამაც ხელი შეუწყო მოდერნიზმის ფორმირებას. სხვაობა მოდერნიზმსა და მოდერნულობას შორის, მოდერნული საზოგადოების ნიშნები, მოდერნისტთა შემოქმედების თავისებურებები, ავტორისა და სამომხმარებლო საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულება, მოდერნიზმი, როგორც პლურალისტული მოვლენა... – ეს იმ საკითხთა არასრული ჩამონათვალია, რომელთა შესახებაც მკვლევარი მსჯელობს. გ. ლომიძის წერილი

ერთგვარი თეორიული გზამკვლევის ფუნქციას ასრულებს – იგი მკითხველს წიგნში შეტანილი მომდევნო სტატიების აღქმასა და გააზრებაში ეხმარება.

მოდერნიზმს საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, წინ გარკვეული ესთეტიკურ-კულტურული ვითარება უძლოდა, რომელმაც ხელი შეუწყო მის ჩამოყალიბებას. ამიტომ სრულიად კანონზომიერია, რომ სწორედ ქართული მოდერნიზმის აღმოცენებისა და განვითარების ესთეტიკურ-კულტურული ბაზისის კვლევით იწყება **ირაკლი კენჭოშვილის** წერილი „ქართული პოეტური მოდერნიზმის ინტერტექსტი“. იგი ერთ-ერთია კრებულში შეტანილი იმ სამეცნიერო სტატიათაგან, რომელიც საკუთრივ და უშუალოდ ქართული მოდერნიზმის ტიპოლოგიის პრობლემებს შეეხება.

მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების მიჯნაზე ქართულ მწერლობაში რომ ახალი ესთეტიკური ორიენტაციის მაუნყებელი ნიშნები გამოიკვეთა, ეს ჯერ კიდევ კიტა აბაშიძემ შეამჩნია, მანვე მიუთითა ცვლილებათა კავშირზეც ევროპულ სალიტერატურო პროცესთან. კ. აბაშიძის კონცეფციაზე დაყრდნობით ი. კენჭოშვილი მსჯელობს ქართულ წინარემოდერნიზმზე და მის დასახასიათებლად შემოაქვს ტერმინი – პროტომოდერნიზმი. წერილში მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართულ კულტურაში მოდერნიზული ესთეტიკური ფასეულობების არსებობის დამადასტურებელი არაერთი მოვლენა და ფაქტია მოხმობილი და გაანალიზებული, იქნება ეს კონკრეტული უანრების დამკვიდრების მცდელობა თუ ნათარგმნი მასალის ხასიათი, მოდერნისტული ხელოვნებისთვის სპეციფიკური მოტივები თუ კონცეპტები.

ი. კენჭოშვილის წერილს ეხმიანება, ფაქტობრივი მასალითა და საგულისხმო დეტალებით ამდიდრებს მომდევნო სტატია – **ლალი ავალიანის „ქართული მოდერნიზმის სათავეებთან“**: ახასიათებს რა გასული საუკუნის დასაწყისის კულტურულ გარემოს, სადაც ერთმანეთის გვერდით მშვიდობიანად თანაარსებობდნენ სხვადასხვა თაობისა და მრნასის მწერლები, მკვლევარი საუბრობს ქართული მოდერნიზმის წინამორბედებზე (შიო არაგვისპირელი, ვასილ ბარნოვი, ჭოლა ლომთათიძე), პროზის მოდერნიზაციის მცდელობაზე, XX საუკუნის 10-იანი წლების პოეტურ კრებულებსა და ლიტერატურულ პერიოდიკაზე. მოდერნისტული პრესის თემა კიდევ უფრო კონკრეტდება **მაია ნაჭყებიას ნარკვევში „ევროპელი მოდერნისტების შემოქმედების გაშუქება ქართულ კრიტიკაში“**, რომელიც, უპირველესად, მასალის სიუხვით იქცევს ყურადღებას და გვაცნობს იმ ევროპელ მოდერნისტებს, ვისი შემოქმედებაც ქართველი მწერლებისათვის განახლების პროცესში განსაკუთრებით აქტუალური იყო.

აღსანიშნავია, რომ ქართულ მოდერნიზმთან დაკავშირებულ თითოეულ საკვანძო საკითხს წიგნში სხვადასხვა ავტორის რამდენიმე სტატია ეძღვნება, რის შედეგადაც ერთი პრობლემის განსხვავებული რაკურსებით აღქმულ ანალიზს ვიღებთ.

ქართული მოდერნიზის ფორმირებაზე თავისებური ზეგავლენა მოახდინა პოსტრევოლუციურმა ისტორიულმა ვითარებამ. 1917 წლის დამლევიდან საქართველოს დედაქალაქს არაერთმა თვალსაჩინო რუსმა ხელოვანმა შეაფარა თავი, რომელთა უმეტესობა თბილისში 1921 წლამდე დარჩა. ეს იყო ნაყოფიერი პერიოდი ქართულ-რუსულ მოდერნისტულ კულტურათა თანაარსებობისა და თანამშრომლობისა. სწორედ საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხანის თბილისის კულ-

**ტურულ ცხოვრებას გვაცნობს ი. კენჭოშვილის წერილი – „თბილისი (1918-1920)**

– მულტიკულტურული ქალაქი“. მკვლევარი ახასიათებს „ფანტასტიკური ქალაქის“ შემოქმედებით ცხოვრებას, არტისტულ კაფეებს, საუბრობს ჩამოსულ ხელოვანთა შესახებ და ახასიათებს მათი მოღვაწეობის ასპექტებს. წერილი გვარწმუნებს, რომ „1918-1920 წლების თბილისმა სამუდამო კვალი დატოვა XX საუკუნის როგორც ქართული, ასევე რუსული კულტურის ცხოვრებაში“ (გვ. 69).

ქართული ლიტერატურის განახლება, მისი დასავლურ კულტურასთან ინ-ტეგრირება, მართალია, მთელი თაობის დამსახურება იყო, მაგრამ ისიც უდავოა, რომ ქართული ლიტერატურის ევროპეიზაციის პროცესში ცალკეულმა ავტორებმა გამორჩეული როლი შეასრულეს. ამის გათვალისწინებით, სრულიად ლოგიკურად აღიქმება ის, ქართული მოდერნიზმის უმნიშვნელოვანეს წარმომადგენლებს – გრიგოლ რობაქიძეს, გალაკტიონ ტაბიძეს, კონსტანტინე გამსახურდიასა და მი-ხეილ ჯავახიშვილს წიგნში სპეციალური წერილები რომ ეძღვნება.

გრიგოლ რობაქიძე ქართული მოდერნიზმის მთავარი იდეოლოგი და ცის-ფერყანწელთა მოძღვარი იყო. მისი მოღვაწეობა და შემოქმედება მრავალი ას-პექტითა საინტერესო და, ალბათ ამანაც განაპირობა, ქართული მოდერნისტული კულტურის მესაძირკვლის შემოქმედებას წიგნში ყველაზე ვრცელი ნაშრომი რომ ეთმობა. კონსტანტინე ბრეგაძის წერილი „გრიგოლ რობაქიძე“ ოთხი ნაწილისა-გან შედგება. იგი წიცშესთან რობაქიძის მსოფლმხედველობისა და ესთეტიკური კონცეფციის მიმართების კვლევით იწყება, სტატიის მეორე ნაწილში მწერლის პოეტიკის გოეთეანური საფუძვლებია წარმოდგენილი, რასაც მოსდევს გან-სჯანი გრ. რობაქიძის რომანებისა და დრამის პოეტიკაზე. მწერლის შემოქმედე-ბის მასშტაბებისა და თავისებურებების გათვალისწინებით, მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის ევროპულ კონტექსტში განხილვა, ჩვენი აზრით, საჭიროც არის და კანონზომიერიც.

ქართულ-ევროპულ კულტურათა სინთეზით განსაკუთრებით დაინტერე-სებული მწერლის – კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებას იკვლევს გაგა ლომიძე. მის წერილში – „კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების და მსოფლ-მხედველობის ესთეტიკური საფუძვლები“ – მოცემულია მწერლის შემოქმედების ანალიზი 10-იანი წლებიდან 30-50-იან წლებამდე – იმ დრომდე, როდესაც კ. გამსა-ხურდია „თითქოსდა სოცრეალისტური რეალიზმისათვის დამახასიათებელი ეს-თეტიკით დაწერილი რომანებით ისევ აგრძელებდა ნაციონალური და პროევრო-პული იდეების კონტრაბანდას ახალ სინამდვილეში...“ (გვ. 290). წერილში გარკვეულია მწერლის მოდერნიზმის სპეციფიკა და ნაწევრებია ისიც, რომ კ. გამსახურდიას მხატვრული აზროვნებისათვის ექსპრესიონისტული შემართება და სტილისტიკა ორგანული იყო.

პოეზიაში ქართული ლიტერატურის ევროპეიზაციის უმაღლეს გამოვლინე-ბად გალაკტიონ ტაბიძის 10-20-იანი წლების ლირიკაა მიჩნეული, ამიტომ სრუ-ლიად ბუნებრივია, რომ სხვადასხვა თემაზე დაწერილ სტატიებშიც კი ყველაზე ხშირად გალაკტიონის ნაწარმოებებია ციტირებული. წიგნში გალაკტიონის შემო-ქმედებას სამი სპეციალური წერილი ეძღვნება.

**ირაკლი კენჭოშვილის სტატიაში „გალაკტიონის პოეტური კანონი“ გამოკ-ვეთილია ის საწყისი, რაც გალაკტიონს ქართული ლექსის მოდერნისტული**

კანონის ყველაზე თვალსაჩინო შემოქმედად აქცევს. მკვლევარის დაკვირვებით, გალაკტიონის მიერ დამკვიდრებული ახალი პოტური კანონი ენისადმი ერთგვარი საკრალური სტატუსის მინიჭებას გულისხმობს; ეს კანონი გალაკტიონის საუკეთესო ლექსებში უპირატესად იმით ვლინდება, რომ ენა ლირიკული სუბიექტის თავისებურ კონკურენტად და გამოსახვის უმთავრეს საგნად გვევლინება, როგორც სინამდვილის ღია და ფარულ ასპექტთა შემეცნების უმთავრესი საშუალება (გვ. 155).

გალაკტიონილობის და, ზოგადად, ქართული ლიტერატურათმცოდნეობის აქტუალურ თემას ეხება თეიმურაზ დოიაშვილი წერილში „გალაკტიონი და სიმბოლიზმი“. სიმბოლიზმთან გ. ტაბიძის შემოქმედება მეოცე საუკუნის დასაწყისშივე დააკავშირეს, თუმცა ეს საკითხი დღემდე ლიტერატურათმცოდნეობით ჰიპოთეზად რჩებოდა. თ. დოიაშვილი თვლის, რომ გალაკტიონის მოდერნისტული ლირიკა სიმბოლიზმის პოეტურ სისტემასთან კონტაქტში იშვა. ამაზე მეტყველებს პოეტის 10-იანი წლების ლირიკაში განვითნილი ცნობიერების შინაარსის ტიპოლოგიური სიახლოვე სიმბოლისტურ ცნობიერებასთან, აგრეთვე, გალაკტიონის „ახალი პოეტიკის“ ძირითადი პრინციპების მსგავსება სიმბოლისტურ პოეტიკასთან. კონკრეტული ნაწარმოებების ანალიზის საფუძველზე წერილში გაკეთებულია შემდეგი დასკვნა: „გალაკტიონ ტაბიძის კონტაქტი მოდერნისტულ პოეზიასთან და, კერძოდ, სიმბოლიზმთან ახალ ესთეტიკურ ფასეულობათა შექმნით გასრულდა, რის შედეგადაც ეპიგონიზმის ჩიხში შესული ქართული პოეზია ევროპულ პოეტურ ძიებათა მონაწილე გახდა“ (გვ. 187).

**თეიმურაზ დოიაშვილის მეორე წერილი – „ქართული პოსტსიმბოლისტური ბოეზის ისტორიიდან“** – გალაკტიონის 1921-1925 წლების შემოქმედებას ეძღვნება, პერიოდს, როდესაც საბოლოოდ დამარცხდა როგორც პოლიტიკური, ისე შემოქმედებითი თავისუფლების ილუზია და ცხადი გახდა, რომ მწერლობის იდეოლოგიზაციის პირობებში ქართული მოდერნიზმის აღსასრული მოახლოებული და გარდაუვალი იყო.

როგორც თ. დოიაშვილი წერს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ გ. ტაბიძე საბედისწერო ალტერნატივის წინაშე აღმოჩნდა; „ჭირდა შეგუება იმასთან, რომ სინამდვილე სისხლის მორევს დაემსგავსა, უფრო რთული კი ამ სინამდვილის მიღება და აღიარება იყო“ (გვ. 189)... რადიკალურად შეცვლილ სიტუაციაში სიმბოლიზმის გზის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა, ახალი დრო ახალი სტილისა და ახალი ფორმების ძიებას მოითხოვდა.

„ოციანი წლების დასაწყისში, ურთულეს პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ვითარებაში, გალაკტიონი... არ დასდგომია ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან ახლო თანამშრომლობის გზას. ის არც ძველ თანამოაზრებს გამიჯვნია და არც თავის მოდერნისტულ ნარსულს. გალაკტიონი, სანამ ეს შესაძლებელი იყო, თავგამოდებით იბრძოდა შემოქმედებითი თავისუფლებისათვის, პოეტური კულტურის გადარჩენისათვის, პოეზიის ახალი სივრცეების ასათვისებლად“ (გვ. 205-206), – ასეთია მკვლევარის დასკვნა.

ციტირებულ ფრაგმენტში ყურადღებას იქცევს სიტყვები „სანამ ეს შესაძლებელი იყო“. მართლაც, 20-იანი წლების შუა ხანებიდან საქართველოში ისეთი

ვითარება შეიქმნა, რომ მოდერნისტთა ყოველგვარი „ბრძოლა“ დამარცხებისათვის იყო განწირული. მოდერნიზმისა და მოდერნისტების ხვედრი საბჭოთა ეპოქაში – ეს საკითხი სარეცენზიო წიგნის რამდენიმე სტატიაში განიხილება. აյ უპირველესად უნდა დავასახელოთ **ირმა რატიანის წერილი „მოდერნისტები – მარგინალები?“, რომელშიც საინტერესოდ არის გაანალიზებული მოდერნისტული და ტოტალიტარული დისკურსების საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რეცეფციები.** ავტორი გამოკვეთილად გვიჩვენებს, როგორ აქციეს მოდერნისტები მარგინალებად და როგორ დაიკავა საბჭოთა დისკურსმა დომინანტური პოზიციები. სამართლიანობა მხოლოდ პოსტსაბჭოთა ეპოქაში აღდგა და „თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობამ... სრულიად საპირისპირო დასკვნა გამოიტანა: 20-30-იანი წლების საბჭოთა ეპოქის მარგინალური ლიტერატურა, ხანგრძლივი დროის მანძილზე მისი უგულებელყოფის მიუხედავად, შეფასდა, როგორც შინაგან ლოგიკაზე დაფუძნებული და მომავალ ლიტერატურულ პერსექტივებზე ორიენტირებული მოდელი – მულტილიტერატურული სივრცის ორგანული ნაწილი, მის წიაღში ფორმირებული ლიტერატურული მიმდინარეობების, უანრებისა და ცალკეული ტექსტური ნიმუშების თვალსაზრისით“ (გვ. 127), – წერს მკვლევარი და იმაზეც მიუთითებს, რომ ამ შეფასებამ რამდენადმე დააგვიანა, რასაც პოსტრევოლუციურ ეპოქაში ლიტერატურული პროცესის მთლიანი პარადიგმის წყვეტა მოჰყვა.

ის, ვინც მკვლევარს და მკითხველს ტოტალიტარიზმის ეპოქასა და რეპრესიებზე მსჯელობისას უთულ გაახსენდება, მეოცე საუკუნის უმნიშვნელოვანესი ქართველი პროზაიკოსი მიხეილ ჯავახიშვილია – მნერალი, რომელმაც მოდერნიზმის მიღწევები ისე აითვისა, რომ ეროვნულ ტრადიციებთან კავშირი არ გაუწყვეტია. ამ ტრაგიკული ბედის უნიკალურ შემოქმედს ეძღვნება **ირმა რატიანის** მეორე წერილი „მიხეილ ჯავახიშვილი. ესთეტიკა მოდერნიზმისა და რეალიზმის მიჯნაზე“. „ჯაყოს ხიზნების“ ანალიზის საფუძველზე ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ: „საბჭოთა ტოტალიტარიზმის ეპოქაში მოღვაწე ქართველმა მწერალმა შეუძლებელი შეძლო: მან შექმნა თანამედროვე ევროპული და მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი ტექსტი, დატვირთული გვიანი რეალიზმისა და მოდერნიზმისათვის ნიშანდობრივი ექსისტენციალური კითხვებით, საბჭოთა რეალობაში დატრიალებული ტრაგედია კი ესქატოლოგიურ განზომილებაში გადაანაცვლა!“ (გვ. 306).

ტოტალიტარულ ეპოქაში მოღვაწე მოდერნისტთა ხვედრს ეხება **გ. ლომიძის „მოდერნიზმის ოპოზიციური რიტორიკა და საბჭოური იდეოლოგები“, აგრეთვე, ლ. ავალიანის „ქართული მოდერნიზმის აღსასრული“.** თითოეული სხვადასხვა ასპექტით გვიჩვენებს იმ არაბუნებრივ გზებს, რომლითაც 1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ მოდერნიზმს მოუხდა არსებობა და განვითარება.

„ქართული მოდერნიზმის ტიპოლოგიაში“ არაერთი სხვა, საყურადღებო წერილია, მაგრამ, თითოეულ მათგანზე საუბარი ერთი რეცენზიის ფარგლებში შეუძლებელია.

დასასრულს, მხოლოდ ორიოდე სიტყვით შევეხებით წიგნის დანართს. მოდერნიზმზე მკითხველის წარმოდგენას აფართოებს სოლომონ ტაბუცაძის „მოდერნისტული პარადიგმის დამკვიდრება და განვითარება“, რუსუდან თურნავას „ფრანგული დეკადანსისა და სიმბოლიზმის წარმოშობის ისტორია“ და შორენა

შამანაძის „გერმანული მოდერნიზმი“. ქართული მოდერნიზმის რუსულ მოდერნიზმთან უშუალო კონტაქტების გათვალისწინებით, განსაკუთრებით საინტერესოა ირინა მოდებაძის წერილი „რუსული მოდერნიზმის ფილოსოფიურ-ესთეტიკური საწყისები“.

„ქართული მოდერნიზმის ტიპოლოგია“ პრობლემების მრავალფეროვნებითა და ანალიზის სიღრმით ქართული ლიტერატურათმცოდნეობის მნიშვნელოვანი შენაძენია. იგი უთუოდ საინტერესო იქნება XX საუკუნის ქართული ლიტერატურის მკვლევართათვის, ხოლო ჰუმანიტარული ფაკულტეტის მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის დიდი ხნის განმავლობაში შეასრულებს შეუცვლელი სახელმძღვანელოს ფუნქციას.

**Natia Sikharulidze  
(Georgia)**

## **Georgian Modernism: Historical Context and Typology**

### **Summary**

**Keyw ords:** *New Book*, Georgian Modernism, Typology.

Georgian Modernism, its genesis and typology have not been fundamentally studied for quite clear reasons so far. Due to this fact the project carried out in Shota Rustaveli Institute of Georgian literature in the frames of which the book entitled “Typology of Georgian Modernism” was published in 2016, is of an indispensable importance.

“Typology of Georgian Modernism” has been comprised by the group of the authors. However, the articles are organized in such a compositional way that the book looks like a one wholeness, which gives a thorough impression about Georgian modernism as a part of European cultural part.

The book opens with a theoretical article, which serves a function of a guide. As for the rest scientific papers there are discussed such central question as historical-political, scientific-cultural contexts of forming Georgian modernism, the phases of developing modernism, its forced end and the results of it. The articles of several authors are dedicated to each issue as a result of which we receive a wide-scale analysis. Separate papers are dedicated to the prominent representatives of modernism: Grigol Robakidze, Galaktion Tabidze, Konstantine Gamsakhurdia and Mickeil Javakhishvili.

Due to the diversity of the themes and profound analysis “Typology of Georgian Modernism” is a huge achievement in Georgian literary studies. It would be of a big interest not only for Georgian literature and scholars of cultural studies of XX century but also for the youth fond of literature as well as the reader in general.

## **ახალი წიგნები**

---

**იულია კრისტევა**

**ჰანა არენდტი: სიცოცხლე ნარატივია**

**მთარგმნელი: თამარ ონოფრიენე**

**გამომცემლობა: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა**

**2014**

ბულგარელ-ფრანგი ფილოსოფოსი და ფსიქოანალიტიკოსი, ნოველისტი და ლიტერატურის კრიტიკოსი იულია კრისტევა თავისი ტრილოგიის – ქალი გენიოსი – პირველ წიგნს „ჰანა არენდტი: სიცოცხლე ნარატივია“ უძღვნის მეოცე საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს ფილოსოფოსს ჰანა არენდტს. ავტორი ცდილობს, ბიოგრაფიული ელემენტებისა და იმდროინდელი ისტორიული ხდომილებების გათვალისწინებით, ახსნას და შეაფასოს არენდტის ფილოსოფიის თავისებურებები, წინააღმდეგობები თუ გავრცელებული ინტერპრეტაციები. ამასთან, გარდა არენდტის ფართოდ გავრცელებული პოლიტიკური ფილოსოფიის საკითხებისა, კრისტევა არენდტის მრავალმხრივი მემკვიდრეობიდან მიმოიხილავს ენის, სიცოცხლის, ნარატივის, „ვინ“-ის და მსჯელობის შესახებ მოძღვრებებსაც. წიგნი განკუთვნილია ფილოსოფიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

**ფაშიზმის თეორიები - დოქტრინა და კრიტიკა**

**შემდგენლები: ელენე ლადარია, გიორგი მაისურაძე, ლუკა ნახუცრიშვილი**

**გამომცემლობა: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა**

**2015**

კრებულში თარგმნილი და განხილულია ევროპაში, ფაშიზმისა და ნაციზმის ზეობის ხანაში, სხვადასხვა დარგში მოღვაწე და განსხვავებული შეხედულებების მქონე ინტელექტუალთა ტექსტები, რომლებიც ფართო თეორიულ ჭრილში იაზრებენ ფაშისტური სულისკვეთების არსს, მის აფექტურ, ლოგიკურ თუ პოლიტიკურ აგებულებას. წარმოდგენილ ავტორთა მცირე ნაწილი (ერნსტ იუნგერი და ჯოვანი ჯენტილე) თავად ფაშიზმის დოქტრინის დაფუძნებას ცდილობს, დანარჩენთა ნაშრომებში კი (ვალტერ ბენიამინი, ემანუელ ლევინასი, ჰაულ ტილიხი და უორუ ბატაი) ფაშიზმის, როგორც სოციალურ-პოლიტიკური და ლიტერატურულ-ფილოსოფიური მოვლენის, კრიტიკა წარმოდგენილი.

**ბელა წიფურია**

**ქართული ტექსტი საბჭოთა/პოსტსაბჭოთა/პოსტმოდერნულ კონტექსტში**

**გამომცემლობა: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა**

**2016**

წიგნი ეხება თანამედროვე ქართული ლიტერატურის საკითხებს მეოცე საუკუნის პირველი ნახევრიდან, საბჭოური კულტურული პოლიტიკის დამკვიდრებიდან, დღემდე. შესაბამისად, განხილულია ის კულტურულ-ესთეტიკური

---

პრობლემები, რომლებსაც ქართული ლიტერატურა აწყდება ცვალებადი პოლიტიკური, იდეოლოგიური გარემოს პირობებში. ასევე, ნაჩვენებია, თუ როგორ ახდენს მწერლობა ამ პრობლემებზე რეაგირებას. წიგნის პირველ თავში საუბარია ქართული ლიტერატურული ტექსტის კონტექსტუალიზაციის ზოგად პრობლემებზე; მეორე თავში ცალკეული ლიტერატურული ტექსტები განხილულია შემოთავაზებული პრიციპებით; მესამე ნაწილში განხილულია პოსტმოდერნი, როგორც კონტექსტი, და პოსტმოდერნიზმის ზოგადი კულტურულ-მსოფლმხედველობრივი პრინციპები.

### ირმა რატიანი

### ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი

გამომცემლობა: თსუ გამომცემლობა

2015

წიგნი გამსჭვალულია ქართული მწერლობის ღირსებების აქცენტირებისა და მსოფლიო კულტურის წინაშე მისი დიდი დამსახურების წამოჩენის სულისკვეთებიშ". ავტორის ინტერესის არეალში შემოდის ქართული მწერლობის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი ისეთი თემები, როგორიცაა: ქართული ნაციონალური მწერლობა და მისი მიმართება მსოფლიო სალიტერატურო პროცესთან; ქართული ლიტერატურული კანონი და მისი ფორმირების ძირითადი კულტურული ვარიანტები; ქართული ლიტერატურული კანონის მიმართება დასავლურ და აღმოსავლურ ლიტერატურულ მოდელებთან; ქართული მწერლობის პერიოდიზაციის საკითხი; ქართული მწერლობის ცალკეული ეტაპების ანალიზი თანამედროვე ლიტერატურული პროცესების ფონზე...

წიგნის ავტორს მიმოქცევაში შემოაქვს არამარტო ტექსტის ანალიზის სხვადასხვა თეორიები, არამედ – ქართული ლიტერატურათმცოდნეობისათვის აქამდე უცნობი ტერმინებიც:

„ლიტერატურული ისტორია“, „გვიანი რეალიზმი“, „ლიბერალიზებული დისკურსი“ და სხვ.

### ქართული მოდერნიზმის ტიპოლოგია

რედაქტორები: გაგა ლომიძე, ირმა რატიანი

გამომცემლობა: „მერიდიანი“

2016

წიგნი არის ავტორთა კოლექტივის ნაშრომთა კრებული. მასში პირველად არის გაშუქებული ევროპული მოდერნიზმის ისტორიის ჯერ კიდევ terra incognita-და არსებული ფაქტები და ქართული მოდერნისტული ლიტერატურა „წაკითხულია“ საერთოევროპულ ლიტერატურულ კონტექსტში, მოიცავს წმინდად ლიტმცოდნეობით და კომპარატივისტულ, ასევე კულტუროლოგიურ ასპექტებს. წიგნში შესწავლილი და დამუშავებული იქნა შემდეგი საკითხები:

მოდერნისტული პარადიგმის დამკვიდრება და განვითარება (1910-იანი წლები); სიმბოლიზმის, დეკადენტობის, ექსპრესიონიზმისა და ავანგარდისტული

---

მიმდინარეობების გამოვლინებანი ქართულ ლიტერატურაში; ევროპული მოდერნიზმის წარმომადგენელთა რეცეფცია ქართულ ლიტერატურაში; ევროპელი მოდერნისტების შემოქმედების გაშუქება ქართულ კრიტიკაში; მოდერნიზმი, კლასიკური რეალიზმი და კომუნისტურ იდეოლოგიაზე ორიენტირებული ლიტერატურა (1920-იანი წლები); სახელმწიფოებრივი დამოკიდებლობის (I რესპუბლიკის, 1918-1921) ხანის თბილისი, როგორც ევროპული ავანგარდული მოძრაობის ინტერკულტურული შეხვედრის პუნქტი; ქართული მოდერნიზმის ინტერტექსტი; საბჭოთა იდეოლოგებმა და მოდერნიზმის ოპოზიციური რიტორიკა; მოდერნისტული ტენდენციების ხვედრი და სოციალისტური რეალიზმი (1930-იანი წლები); „ქართული საბჭოთა ლიტერატურისა“ და „ქართული მოდერნიზმის“ ურთიერთმიმართება; ქართული ლიტერატურული მოდერნიზმის ტაპოლოგიური თავისებურებანი როგორც ევროპული მოდერნიზმის ორგანული შემადგენელი ნაწილი. წიგნი რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით გამოიცა.

### **ქართული ლიტერატურა.**

**ისტორია საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების ჭრილში (I, II)**

**რედაქტორი: ირმა რატიანი**

**გამომცემლობა: „საარი“**

**2016**

წიგნი ავტორთა კოლექტივის მიერაა მომზადებული. წიგნის მიზანია ქართული ლიტერატურის თექვსმეტსაუკუნოვანი ისტორიის ახლებური გააზრება, მისი წარმოჩენა საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების ფონზე, კომპარატივისტული მეთოდოლოგიისა და ჰერმენევტიკული მეთოდის გამოყენების გზით.

ქართული ლიტერატურის ისტორია არაერთხელ ყოფილა გამოცემული, თუმცა, გამოცემათა უმეტესობა საბჭოთა პერიოდშია განხორციელებული, რაც, ცხადია, გარკვეულ დაღს ასვამს სამეცნიერო პროდუქციის დიდ ნაწილს. წინამდებარე წიგნი სრულიად თავისუფალია ნებისმიერი იდეოლოგიური წინასწარგან-პირობებულობისგან და მაქსიმალური მეცნიერული სიცხადით აშებს დასმულ პრობლემებს. წიგნში განხილულია ქართული ლიტერატურა შუასაუკუნეებიდან პისტაბჭოთა ეპოქამდე. წიგნი რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით გამოიცა.

### **იური ლოტმანი**

**არაპროგნოზირებადი მექანიზმები კულტურაში**

**მთარგმნელი: გაგა ლომიძე**

**გამომცემლობა: „მწიგნობარი“**

**2016**

წიგნში შესულ მასალას იური ლოტმანი სიცოცხლის ბოლო პერიოდში თავის მდივნებს კარნახობდა. ეს არის მისი უკანასკნელი ნაშრომი. ის, თითქოს, ასრულებს და განავრცობს თავის სახელგანთქმულ შემაჯამებელ ნაშრომს „კულტურა და აფეთქება“. ნაშრომში განხილულია ისტორიის გლობალური კანონების იდეები,

---

კულტურის განვითარების არაპროგნოზირებადობის საკითხი, ხელოვნების განსაკუთრებული ფუნქციის თემა. ამასთანავე, წიგნში რამდენიმე ავტობიოგრაფიული ფრაგმენტია ჩართული.

### **Dead Theory. Derrida, Death, and the Afterlife of Theory**

by Jeffrey R. Di Leo (Editor)

**ბევრარი თეორია. დერიდა, სიკვდილი და თეორიის სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ  
რედაქტორი: ჯეფრი რ. დი ლეო**

გამომცემლობა: Bloomsbury Academic

2016

რა თეორიული მემკვიდრეობა დაგვრჩა მას შემდეგ, რაც ისეთი წამყვანი ფიგურები გარდაიცვალნენ, როგორებიცაა უკვე დერიდა და როლან ბარტი? მონინავე თანამედროვე მკვლევარების ნააზრევის თავმოყრის გზით, წიგნი მიზნად ისახავს, წარმოაჩინოს, თუ როგორ განაგრძობას არსებობას ჩვენი დროის გამორჩეული თეორეტიკოსების ნაშრომები და, ზოგადად, რა მდგომარეობაშია დღეს თეორიული აზრი. დერიდას, დელიოზისა და ლევინასის მსგავსი მოაზროვნების ნაშრომების გათვალისწინებით, წიგნი იკვლევს, თუ რა თვალსაზრისით აღელვებდა და და აღელვებს თეორიას თეორიის სიკვდილის საკითხი და როგორ შეიძლება განვითარდეს თეორიის მომავალი.

### **Ecocriticism and Italy: Ecology, Resistance, and Liberation by Serenella Iovino**

**სერენელა იოვინო**

**ეკოერიტიკა და იტალია: ეკოლოგია, წინააღმდეგობა და გათავისუფლება**

გამომცემელი: Bloomsbury Academic

2016

წიგნის ავტორი ევროპაში ერთ-ერთი მონინავე კრიტიკოსია. მასში წარმოდგენილია იტალიის სხვადასხვა ლინდშაფტი, კულტურული წარმოსახვის კონტექსტში. დაწყებული ვენეციაში სიკვდილის ლიტერატურული ტროპიდან და წავთობქიმიური კატასტროფიდან, ნეაპოლის ვულკანების ჩათვლით, პიედმონტში გარემოს მიმართ სასტიკი მოპყრობით დამთავრებული, სერენელა იოვინო იტალიას იკვლევს, როგორც ტექსტს, სადაც ეკოლოგია და წარმოსახვა ერთმანეთს ხვდება. ავტორი იკვლევს ტექსტებს, სადაც სამართალი, საზოგადოება და პოლიტიკა მინის და სიცოცხლის, ეკოსისტემების და სხეულის უჯრედების, დაბინძრების და გადარჩენის ისტორების ერწყმის და ამ დროს, ამტკიცებს, რომ ლიტერატურას, ხელოვნებასა და კრიტიკას შეუძლია ქვეყნის და მისი ხალხის მდუმარე ხმების წინააღმდეგობის ისტორიებად გარდაქმნა და ამ გზით, ჩვენთვის გათავისუფლების პრაქტიკის შემოთავაზება.

---

## **Politics of Literature by Jacques Ranciere**

**უაკ რანსიერი**

**ლიტერატურის პოლიტიკა**

გამომცემელი: Polity Press

2016

ლიტერატურის პოლიტიკა მწერლების პოლიტიკურ შეხედულებებს არ გულისხმობს; ეს არც იმ საკითხის განხილვას ითვალისწინებს, თუ როგორ წარმოადგენენ მწერლები სოციალურ სტრუქტურებს ან პოლიტიკურ ბრძოლას თავიანთ ნაწარმოებებში. სიტყვათშეთანხმება „ლიტერატურის პოლიტიკა“ გულისხმობს იმას, რომ პოლიტიკას, როგორც კოლექტიური პრაქტიკის ფორმასა და ლიტერატურას, როგორც სამწერლო ტექნიკის ისტორიულად განსაზღვრულ რეჟიმს შორის, განსაკუთრებული კავშირი არსებობს. ამ თვალსაზრისის თანახმად, ლიტერატურა მონაწილეობს სივრცის და დროის, ადგილისა და იდენტობის, მეტყველებისა და ხმაურის, ხილულისა და უხილავის დანაწილებაში, რაც პოლიტიკის ასპარეზია.

წიგნში წარმოდგენილია იმის ჩვენების მცდელობა, თუ როგორ ანგრევს ლიტერატურული რევოლუცია აღქმად წესრიგს, რაც საფუძლად უდევს ტრადიციულ იერარქიებს; ასევე, რატომ უშლის ლიტერატურული თანასწორობა ხელს წებისმიერ მცდელობას, რომ ლიტერატურა პოლიტიკის სამსახურში ან მის ადგილას აღმოჩნდეს. ამ ჰიპოთეზების დასადასტურებლად წარმოდგენილია რამდენიმე მწერლის მაგალითი: ფლობერის, ტოლსტოის, ჰიუგოს, მალარმეს, ბრეჰტის, ბორხესის თუ სხვების. წიგნში, ასევე, წარმოჩენილია ფსიქოანალიტიკური ინტერ-პრეტაციისთვის, ისტორიული ნარატივისთვის და ფილოსოფიური კონცეპტუალიზაციისთვის ამგვარი მიდგომის შედეგები.

---

### **ნომრის ავტორები:**

ივანე ამირხანაშვილი  
ფილოლოგიის დოქტორი  
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი  
თბილისი, საქართველო  
vanion@posta.ge

ფილიპ ამმონი  
თავისუფალი მკვლევარი  
ბერლინი, გერმანია  
philipp\_ammon@web.de

მარია არპენტიევა  
ფსიქოლოგიის დოქტორი  
კ.ციოლკოვსკის სახელობის კალუგის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
კალუგა, რუსეთი  
mariam\_rav@mail.ru

დათო ბარბაქაძე  
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი  
თბილისი, საქართველო  
datobarbakadse@gmail.com

თამარ ბარბაქაძე  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი  
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი  
თბილისი, საქართველო  
tamarbarbaq@yahoo.com

კონსტანტინე ბრეგაძე  
ასოცირებული პროფესორი  
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი  
თბილისი, საქართველო  
tintorento@yahoo.com

დარეჯან გარდავაძე  
პროფესორი  
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, საქართველო  
dgardavadze@yahoo.com

რისმაგ გორდეზიანი  
პროფესორი  
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
rismag.gordeziani@tsu.ge

---

მიშელ დე დობელერი  
ევროპული ენებისა და კულტურების დოქტორი, ლინგვისტიკისა და  
ლიტერატურის მაგისტრი  
გენთის უნივერსიტეტი  
გენთი, ბელგია  
Michel.DeDobbeleer@UGent.be

ნატალია ეგოროვა  
პედაგოგიკის დოქტორი  
ბარანოვიჩის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ბარანოვიჩი, ბელარუსი  
egorov1977@yandex.ru

მაკა ელბაქიძე  
პროფესორი  
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი  
თბილისი, საქართველო  
makael2004@yahoo.com

თენგიზ კიკაჩეიშვილი  
პროფესორი  
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ingabedia@gmail.com

ნესტან კუტივაძე  
ფილოლოგის დოქტორი  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქუთაისი, საქართველო  
n.kutivadze@yahoo.com

იორდან ლუკანოვი  
ფილოლოგის დოქტორი  
ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურეს ინსტიტუტე  
სოფია, ბულგარეთი  
yljuckanov@gmail.com

მარინა მასლოვა  
ფილოლოგის დოქტორი  
კურსკის მართლმადიდებლური სასულიერო სემინარია  
კურსკი, რუსეთი  
marinam73@yandex.ru

მაია ნაჭყებია  
ფილოლოგის დოქტორი  
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი  
თბილისი, საქართველო  
evanachkebia@yahoo.com

---

აპოლონ სილაგაძე  
პროფესორი  
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, საქართველო  
apolon.silagadze@tsu.ge

ნათია სიხარულიძე  
ფილოლოგის დოქტორი  
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი  
თბილისი, საქართველო  
sikharulidzenatia@yahoo.com

შორენა შამანაძე  
დოქტორანტი  
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი  
თბილისი, საქართველო  
ildatu@yahoo.com

გაგა შურლაია  
პროფესორი  
ვენეციის სახელმწიფო უნივერსიტეტი „კა' ფოსკარი“  
ვენეცია, იტალია  
gaga@vatlib.it

ნათელა ჩიტაური  
ფილოლოგის დოქტორი  
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი  
თბილისი, საქართველო  
natela.chitauri@gmail.com

ვლადიმერ ჭელიძე  
ფილოლოგის დოქტორი  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, საქართველო  
vladimer1958@yahoo.com

ლელა ხაჩიძე  
პროფესორი  
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, საქართველო  
lkhachidze@hotmail.com

გია ჯოხაძე  
პროფესორი  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, საქართველო  
jokhadzegrigol@yahoo.com

---

**Contributors:**

Ivane Amirkhanahvili  
PhD of Philology  
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature  
Tbilisi, Georgia  
vanion@posta.ge

Philipp Ammon  
Freelance Scholar  
Berlin, Germany  
philipp\_ammon@web.de

M. R. Arpentieva  
PhD of Psychology  
Kalyug State University of K. Tsiolkovsky  
Kalyuga, Russia  
mariam\_rav@mail.ru

Tamar Barbakadze  
Doctor of Philological Sciences  
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature  
Tbilisi, Georgia  
tamarbarbaq@yahoo.com

Dato Barbaqadze  
PhD at Ivane JavaxiSvili Tbilisi State University  
Tbilisi Georgia  
datobarbakadse@gmail.com

Konstantine Bregadze  
Associated Professor  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Shota rustaveli Institute of Georgian Literature  
Tbilisi, Georgia  
tintorento@yahoo.com

Vladimer Chelidze  
PhD of Philology  
Ilia State Unive  
Tbilisi, Georgia  
vladimer1958@yahoo.com

---

Natela Chitauri  
PhD  
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature  
Tbilisi, Georgia  
natela.chitauri@gmail.com

Michel De Dobbeleer  
PhD in East European Languages and Cultures&Master in Linguistics and Literature:  
Latin and Greek (option Italian)  
Ghent University  
Gent, Belgium  
Michel.DeDobbeleer@UGent.be

Natalia Egorova  
PhD of Pedagogy  
Baranovich State University  
Baranovich, Belarus  
egorov1977@yandex.ru

Maka Elbakidze  
Professor  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature  
Tbilisi, Georgia  
makael2004@yahoo.com

Darejan Gardavadze  
Professor  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Tbilisi, Georgia  
dgardavadze@yahoo.com

Rismag Gordeziani  
Professor  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Tbilisi, Georgia  
rismag.gordeziani@tsu.ge

Gia Jokhadze  
Professor  
Ilia State Unive  
Tbilisi, Georgia  
jokhadzegrigol@yahoo.com

---

Lela Khachidze  
Professor  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Tbilisi, Georgia  
lkhachidze@hotmail.com

Tengiz Kikacheishvili  
Professor  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Tbilisi, Georgia  
ingabedia@gmail.com

Nestan Kutivadze  
PhD of Philology  
Akaki Tsereteli State University  
Kutaisi, Georgia  
n.kutivadze@yahoo.com

Yordan Lyutskanov  
PhD of Philology  
Bulgarian Academy of Sciences  
Sophia, Bulgaria  
yljuckanov@gmail.com

Marina Maslova  
PhD of Philology  
Kursk Orthodox Spiritual Seminary,  
Kursk, Russia  
marinam73@yandex.ru

Maia Nachkebia  
PhD of Philology  
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature  
Tbilisi, Georgia  
evanachkebia@yahoo.com

Apollon Silagadze  
Professor  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Tbilisi, Georgia  
apolon.silagadze@tsu.ge

---

Gaga Shurgaia  
Professor  
Ca' Foscari University of Venice  
Venice, Italy  
gaga@vatlib.it

Shorena Shamanadze  
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature  
Tbilisi, Georgia  
ildatu@yahoo.com

Natia Sikharulidze  
PhD  
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature  
Tbilisi, Georgia  
sikharulidzenatia@yahoo.com

---

## სამეცნიერო ჟურნალი – სჯანი“ სტატიების წარმოდგენის წესი და ციტირების სტილი

კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია (GCLA)-ს ჟურნალ „სჯანი“ იძექდება ნაშრომები, რომლებიც მოიცავს თანამედროვე ლიტერატურათ-მცოდნეობისათვის აქტუალურ თემებსა და პრობლემებს, მნიშვნელოვან გამოკვლევა-თა ჯერ გამოქვეყნებელ შედეგებს. ჟურნალი „სჯანი“ არის საქართველოში გამომა-ვალი ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალი ლიტერატურის თეორიასა და შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში. 2011 წლიდან ჟურნალი განთავსებულია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ელექტრონული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე (<http://www.ceel.com>). ჟურნალს პყავს საერთაშორისო სარედაქციო კოლეგია; სტატიები იძექდება სამ (ქართული, ინგლისური, რუსული) ენაზე; მათი დასახეჭდად შერჩევა ხდება ანონიმური რეფერირების წესით.

1. ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ფალად (ელექტრონული ვერსიით: ელ-ფოსტით ან CD დისკზე) და თან ახლდეს:
  - ❖ თავფურცელი, რომელშიც მითითებული იქნება ავტორის სახელი, გვარი, სტა-ტუსი და საკონტაქტო კოორდინატები;
  - ❖ ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე (1 ნაბეჭდი გვერდი), საკვანძო სიტყვე-ბითურით (3-5 სიტყვა).
2. დამოწმებანი სტატიას უნდა ერთვოდეს ბოლოში. ქართული და რუსული დამოწმე-ბანი წარმოდგენილ უნდა იქნას როგორც ტრანსლიტირებული ფორმით, ისე – ორიგ-ინალ ენაზე. ქართული დასახელებების ტრანსლიტირება უნდა განხორციელდეს „რომანიზაციის ქართული ეროვნული სისტემის მოდელზე“ (იხ. [www.google.com](http://www.google.com) – ამ დასათაურებით).
- (იხ. ცხრილი, დანართი 2).
3. ნაშრომი მოცულობით უნდა იყოს კომპიუტერზე ნაბეჭდი არა უმეტეს თხუთმეტი და არანაკლებ ხუთი გვერდისა.
4. ნაშრომი დაბეჭდილი და გაფორმებული უნდა იყოს 4 ფორმატის თეთრ ქაღალდზე შემდეგნაირად:
  - ა) ნაშრომის სათაური (ინერება შუაში);
  - ბ) ნაშრომის ტექსტი;
  - გ) დამოწმებანი ორიგინალ ენაზე და ტრანსლიტირებული (იხ. დანართი 2. დამოწ-მებული ლიტერატურის ნუსხა);
  - დ) ანოტაცია;
  - ე) ოთხივე მხრივ დატოვებული მინდორი 25 მმ;
  - ვ) ნაბეჭდი ტექსტის შრიფტი – Lit.Nusx 11, ინტერვალი – 1;
  - ❖ მე-5 პუნქტის ა), გ) და დ) ქვეპუნქტების მოთხოვნები არ ეხება რუბრიკებს „მემორია“ და „ახალი წიგნები“.
5. ჟურნალში მიღებულია „ლიტერატურის ინსტიტუტის სტილი“ (ლისტ), რომელიც კორექტირებულია „ტომფსონის“ კატალოგის სტანდარტის მოთხოვნილების შესაბამისად:

- ა) მოტანილი ციტატა ძირითადი ტექსტისგან გამოიყოფა ბრჭყალებით („ „). ციტირების დასასრულს, მრგვალ ფრჩხილებში, დაისმის ინდექსი, რომელშიც აღნიშნულია ციტირებული ტექსტის ავტორის გვარი ორიგინალ ენაზე, ტექსტის გამოქვეყნების წელი, შემდეგ – ორწლილი და გვერდი.
- მაგალითად: (აპაშიძე 1970: 25), (Балашова 1982: 27), (Pound 1935: 67).
- (იხ. წარმოდგენილი ნიმუში, დანართი 1).**
- ბ) სალექსო სტროფის (და არა სტრიქონის) ციტირების შემთხვევაში, მოტანილი ციტატა გამოიყოფა ტექსტისაგან და ციტატის ფონტის (შრიფტის) ზომა მცირდება ერთი ზომით (მაგ.: თუ ტექსტის ფონტის ზომაა Lit.Nusx 11, მაშინ ციტატის ზომა იქნება Lit.Nusx 10).
6. დამოწმებანი (დამოწმებული ლიტერატურის ნუსხა) უნდა დალაგდეს ინდექსის მიხედვით, ანბანური რიგით და დაბეჭდოს გარკვეული ნესით (**დაწვრილებით იხ. ცხრილი, დანართი 2**).
- 7.
- ა) სტატიის ავტორის ვრცელი განმარტებანი ინომრება და ინაცვლებს ტექსტის ბოლოს ანოტაციის წინ;
  - ბ) სტატიის ავტორის მცირე შენიშვნები აღინიშნება ვარსკვლავით და ჩაიტანება გვერდის ბოლოს, სქოლიოში.
8. ავტორი პასუხისმგებელია დასაბეჭდად წარმოდგენილი ნაშრომის ლიტერატურულ სტილსა და მართლწერაზე.
9. შემოსული სტატია სარეცენზიოდ გადაეცემა ანონიმურ ექსპერტებს.
10. შემოსული მასალების განხილვის შემდეგ, დამატებითი მითითებებისათვის, რედაქტია დაუკავშირდება დასაბეჭდად შერჩეულ ნაშრომთა ავტორებს.
11. ავტორს, განსაზღვრული ვადით (არა უმეტეს სამი დღისა), კორექტურისათვის ეძლევა უკვე დაკაბადონებული ნაშრომი. თუ დადგენილ ვადაში სტატია არ იქნება დაბრუნებული, რედაქტია უფლებას იტოვებს შეაჩეროს იგი ან დაბეჭდოს ავტორის ვიზის გარეშე.

## ციტირების, მითითებისა და ბიბლიოგრაფიის ფორმის ნიმუში

### დანართი 1

#### ნიმუში:

უწევეტის ამოცანაა პრუსტის მხატვრული მანერის თავისებურებათა გამოკვლევა და იმის დასაბუთება, რომ „მეტაფორა და მეტონიმია შეუთავებელი ანტაგონისტები როდი არიან. ისინი განამტკცებენ და მსჯვალავებ ურთიერთს, მეორე მათგანის ჯერვანი შეფასება სულაც არ ნიშნავს მეტონიმიათა ერთგვარი ნუსხის (რომელიც კონკრეტისას გაუნევს მეტაფორათა ნუსხას) შედგენას, არამედ იმის გამოვლენას, თუ როგორ მონაწილეობენ და ფუნქციონირებენ ანალოგის მიმართებათა ფარგლებში „თანაარსებობის“ მიმართებები. ამგვარად, უნდა გამოაშეარავდეს მეტონიმის როლი მეტაფორაში“ (Jennet 1998: 37). რატომ შეარჩია უწევეტმა ანალიზის საგნად სწორედ პრუსტის შემოქმედება? იმიტომ, აღნიშნავს მეცნიერი, რომ თვით პრუსტის ესთეტიკურ თეორიაში, ისევე, როგორც პრაქტიკაში, მეტაფორულ (ანალოგიაზე დამყარებულ) მიმართებებს ძალზე არსებითი როლი განეკუთვნება, იმდენად არსებითი, რომ მათი მნიშვნელობა და როლი, სხვა სემანტიკურ მიმართებებთან შედარებით, ძალზე გაზიარდებულია.

### დანართი 2

#### ცხრილი:

მონაცემის ტიპი	დამოცვებული ლიტერატურის წუსკის (დამოცვებანი-ს) ფორმა იცდებასის მიხედვით <b>Bibliography Form</b>
წიგნი, ერთი ავტორი	Abashidze, K'it'a. <i>Et'iudebi XIX-s-is Kartuli Li'erat'uris Shesakheb</i> . Tbilisi: gamomtsemloba „merani“, 1970 (აბაშიძე, კიტა. ეტიუდები XIX ს.-ის ქართული ლიტერატურის შესახებ. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1970).
Book, one authors	Weiss, Daniel A. <i>Oedipus in Nottingham: D.H. Lawrence</i> . Seattle: University of Washington Press, 1962.
ერთი თავი წიგნიდან ან ესე კრებულიდან	„P'ost'modernizmi“. <i>Lit'erat'uris T'eorija. XX Sauk'unis Metodologuri K'ontseptsiebi da Mimdinareobebi</i> . Tbilisi: lit'erat'uris inst'it'ut'is gamomtsemloba, 2005 (ნიცურია, ბელა. „პოსტმოდერნიზმი“. ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2005).
Chapter in a book or an essay from a collection	Johnston, Martin. „Games With Infinity. The Fictions of Jorge Luis Borges“. <i>Cunning Exiles – Studies of Modern Prose Writers</i> . Eds. Don Anderson and Stephen Knight. Sydney: 1974.
თავი, ან მეტი ავტორი	K'ek'elidze, K'orneli da Aleksandre Baramidze. <i>Dzveli Kartuli Lit'erat'uris Ist'oria</i> . Tbilisi: gamomtsemloba „metsnieraeba“, 1975 (კეკელიძე, კორნელი, და ალექსანდრე ბარამიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1975). Natadze, K', et.al. <i>Kartul-Rusuli Lit'erat'uruli Urtiertobebis Ist'oriidan</i> . Kutaisi: „gantiadi, 1994 (ნათაძე კ ... ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან. ქუთაისი: გამომცემლობა „განთადი“, 1994).
Book, two or more authors	Houghton, Walter E., and G. Robert Strange. <i>Victorian Poetry and Poetics</i> . Cambridge: Harvard University Press, 1959.

<b>სტატია სამეცნიერო ჟურნალიდან</b>	K'avtashvili, Venera., Ilia Ch'avch'avadzis da Hainrikh Haines Shemokmedebis T'ip' ologiisatvis". <i>Lit erat uruli Dziebani.</i> XXXI (2010): 163-174 (კავთაბერილი, ვენერა, „ილია ჭავჭავაძის და ჰაინრიხ შემოქმედბის ტიპოლოგიისათვის“. ლიტერატურული ძეგბაზი. XXXI (2010): 163-174)
<b>Article in a scholarly journal</b>	Campbell, Jean. „Poetic Genealogy, Mythmaking and the Origins of Urban Nobility: Giovanni Boccaccio and Ambrogio Lorenzetti“. <i>Heliotropia</i> 7, 1-2 (2010): 51-63.
<b>სტატია გაზიერებიდან ან ჟურნალიდან.</b>	K'ik' nadze, Valeri. „Mikheil Javakhishvili Akhali Teat'risatvis Brdzolashi“. <i>Kartuli Universitet'i 18-24 mart'i, 2010:5</i> (კიკნაძე, ვალერი. „მიხეილ ჯავახიშვილი ახალი თეატრისათვის ბრძოლაში“. ქართული უნივერსიტეტი, 18-24 მარტი, 2010: 5).
<b>Article in a magazine or newspaper published monthly</b>	Morozova, Tatjana. „Skelety iz Sosednego Pod'ezda: Pochemu Ljudmila Petrushevskaja tak ne Ljubit Svoikh Geroev“. <i>Literaturnaja Gazeta</i> . 9 centjabrja 1998: 10 (Морозова, Татьяна. „Скелеты из соседнего подъезда: Почему Людмила Петрушевская так не любит своих героев“. <i>Литературная газета</i> . 9 сентября 1998: 10).
<b>წიგნი, ავტორის გარეშე</b>	Sabibiotek'o Saknis Organizatsia da Martva.. Batumi: gamomtsemloba „ach'ara“, 1989 (საბიბიოთებული საქამის ორგანიზაცია და მართვა. ბათუმი: გამომცემლობა „აჭარა“, 1989).
<b>Book, no author given</b>	New Life Options: The Working Women's Resource Book. New York: McGraw-Hill, 1976.
<b>დაწესებულება, ასოციაცია და მისამართი, ავტორის პოზიციით</b>	Sakartvelos Sap'at'riarko. <i>Ts'igni Shekmnisa</i> . Tbilisi: 2006 (საქართველოს საპატრიარქო. წიგნი შექმნისა. თბილისი: 2006).
<b>Institution, association, or the like, as "author"</b>	American Library Association. <i>ALA Handbook of Organization and 1995/1996 Membership Directory</i> . Chicago: American Library Association, 1995.
<b>რედაქტორი, ან კომილატორი, ავტორის პოზიციით</b>	Duduchava, Marina. Ed. <i>Lit'erat'uris Teoriis Mtsire Leksik'oni</i> . Tbilisi: gamomtsemloba „nakaduli“, 1975 (ღუდუჩავა, მარინა. რედაქტორი. ლიტერატურის თეორიის მცირელებენიერი. თბ.: გამომცემლობა „ნაკადული“, 1975).
<b>Editor or compiler as "author"</b>	Henderson, John. Ed. <i>The World's Religions</i> . London: Inter-Varsity Fellowship, 1950.
<b>ელექტრონული დოკუმენტი ინტერნეტიდან</b>	Mitchell, William J. <i>City of Bits: Space, Place, and the Infobahn</i> . Cambridge, MA: MIT Press, 1995. 29 September 1995. Web. 17 May 2011. <a href="http://www.mitpress.mit.edu/80/City_of_Bits/Pulling_Glass/index.html">http://www.mitpress.mit.edu/80/City_of_Bits/Pulling_Glass/index.html</a> ; Internet.
<b>Electronic document From Internet</b>	Nevskaja, Dar'ja. „Problema Dialogichnosti „Sozdajushego“ i „Sozdannogo“ Tekstov (Graf Amori „Final. Okonchanie Proizvedenija „Yama“ A. I. Kuprina)“. <i>Literature, Folklore, Arts.</i> Vol. 705. (2006): n.pag. Web. 15 May, 2011 (Невская, Дарья. „Проблема диалогичности «создающего» и «созданного» текстов (Граф Амори «Финал. Окончание произведения «Яма» А. И. Куприна)“. <i>Literature, Folklore, Arts.</i> Vol. 705. (2006): n.pag. Web. 15 May, 2011).
<b>ენციკლოპედია, ლექსიკონი</b>	„Ideologia“. <i>Kartuli Sabch'ota Entsik'lop'edia</i> . Abashidze, Irakli. ed. Tbilisi: 1964 („იდეოლოგია“. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. აბაშიძე, ირაკლი. რედ. თბილისი: 1964).
<b>Encyclopedia, Dictionary</b>	<i>Webster's New Collegiate Dictionary</i> . Springfield: MA: G. & C. Merriam, 1961.
<b>ინტერვიუ (გამოუქვეყნებელი) საავტორო ხელნაწერი</b>	Morganis, Nensi D. <i>Int'erviu Avi'ortan</i> . 16 ivlisi 1996. Pol Riviera, Masachusetts, Chanatseri (მორგანისი, ნენსი დ. ინტერვიუ ავტორთან, 16 ივლისი 1996, ფოლ რივერა, მასაჩუსეტსი, ჩანაცერი)
<b>Interview (unpublished) by writer of paper</b>	Morganis, Nancy D. <i>Interview by Author</i> . 16 July 1996, Fall River, MA. Tape recording.

<b>კონფერენციის მასალები</b>	Choloq'ashvili, Rusudan. „Gamotsemebi K'omunist'uri Rezhimis Shesakheb Sakartveloshi“. <i>T'ot'alit'arizmi da Lit'erat'uruli Disk'ursi. Meotse Sau'kunis Gamotsdileba.</i> Tbilisi 7-9 okt'omberi, 2009. Tbilisi: lit'erat'uris inst'it'ut'iš gamomtsemloba, 2010
<b>Conference Proceedings</b>	(ჩოლოგაშვილი, რუსულან. „გადმოცემები ტოტალიტარული კომუნისტური რეჯიმის შესახებ საქართველოში“. ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დასკურსი. მეოცესაუკუნის გამოცდილება. თბილისი, 7-9 ოქტომბერი, 2009. ირმა რატიანი. რედ. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010).
<b>თეზისები, ან სადისერტაციო ნაშრომის დასკვნები (დებულებები)</b>	Ts'ikarishvili, Lela. <i>Mikheil Javakhishvilis Shemokmedebis Sakhismet'q'velebiti Asp'ek'tebi.</i> PhD. Diss. TSU, 2004 (წიქარიშვილი, ლელა. მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების სახისმეტყველებითი ასპექტები. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თსუ, 2004).
<b>Thesis or dissertation</b>	Bishop, Karen Lynn. <i>Documenting Institutional Identity: Strategic Writing in the IUPUI Comprehensive Campaign.</i> PhD. Diss. Purdue University, 2002.

\*ერთსა და იმავე წელს გამოცემული რამდენიმე ნაშრომი (ცალკე ან თანაავტორობით) ან ერთი და იგივე ნაშრომი (გაგრძელებებით) რამდენიმე ნომერში მიეთითება ანბანური რიგით. მაგალითად: (აბაშიძე 1987ა: 21), (აბაშიძე 1987ბ: 87).

**Sjani (*Thoughts*)**  
**Submission Guidelines and Citing Style**

*Sjani (Thoughts)* is an annual scientific journal of literary theory and comparative literature, published in Georgia. The journal includes important works covering actual themes and problems of contemporary literary studies, which have not been published yet. Since 2008 *Sjani* is a member of e Central and Eastern European Online Library and has been uploaded on the web-site [www.ceeol.com](http://www.ceeol.com). The journal has an international editorial board. Articles are published in Georgian, English and Russian languages and are evaluated according to a blind peer-review process:

1. An article should be sent by E-mail (English materials - [maillit@litinstituti.ge](mailto:maillit@litinstituti.ge); Russian materials - [litinst-mail@gmail.com](mailto:litinst-mail@gmail.com)) and accompanied by:

- Title page, where authors name, surname, academic degree, position and contact coordinates should be indicated.
- Annotation in English Language (1 printed paper accompanied by key words).

2. List of approved bibliography on original language (enclosed to the article). Georgian and Russian resources should be transliterated. (Please, conform to standard transliteration system)

3. The text should be minimum 5 and maximum 15 printed papers.

4. An article should be formatted in the following way:

- Title of the article (in the middle)
- Key Words
- Main text
- Bibliography on original language (Georgian and Russian resources transliterated)
- Annotation
- Margins: top-bottom, left-right 25mm
- Font size: 11, Line spacing-1

5. The Citing Style “Style of the Institute of Literature” is submitted to the internationas standarts.

Requirements:

A) Citation is isolated from the main text by Quotation marks, (“ ”) at the end of citation, in brackets is written the index, indicating the name of the author of the citation, publication year, then colon and page number. For example: (Jennet 1998:37) see the [Appendix 1](#)

B) In case of citing the stanza (not line) of the verse, the citation is isolated from the text and the font size is reduced (the text font size is -11, the citation font size is -10)

C) These requirements do not apply to the headings “Reviews” and “New Books”, where the font size is:

- Main Text -10
- Notes- 9

6. The Citing Style “Style of the Institute of Literature” is submitted to the internationas standarts.

Requirements:

A) Citation is isolated from the main text by Quotation marks, (“ ”) at the end of citation, in brackets is written the index, indicating the name of the author of the citation, publication year, then colon and page number. For example: (Jennet 1998:37) see the [Appendix 1](#)

B) In case of citing the stanza (not line) of the verse, the citation is isolated from the text and the font size is reduced (the text font size is -11, the citation font size is -10)

C) These requirements do not apply to the headings “Reviews” and “New Books”, where the font size is:

- Main Text -10
- Notes- 9

7. Bibliography list should be ordered according to the index, in alphabetical order. See the [Appendix 2](#).
8. Wide explanations of the author of the article is numbered and placed at the end of the work. Small notes are indicated with asterisk and explanation is made at the end of the page.
9. The author is responsible for the literary style and orthography of the work.
10. After evaluating submitted articles the board of editors will contact authors for further directions.
11. The article is returned to the author during a certain period (maximum 3 days) for proof-reading. If the author breaks dead line the board of editors preserve the right to ban its publication or publish a work without informing an author.

### Sample for citation, indication and bibliography

#### Appendix 1

Jennet's task is to examine Proust's artistic methods and to prove that "Metaphor and Metonymy are not incompatible antagonist. They strengthen and enhance each other, assessing the other does not mean to form some kind of metonymy list, (which will compete with metaphor) but to find out how they function in the boundaries of analogy. Therefore the role of metonymy in metaphor should be revealed" (Jenet 1998: 37). Why did Jennet chose Proust's works for analyzes? The reason for this is that in Proust's aesthetic theory, as well as in practice , metaphoric relations (based on analogy) play a vital role, important in such an extend that their meaning and role, in relation with other semantic relations is exaggerated.

<b>Appendix 2</b>	<b>Bibliography Form</b>
<b>Book, one authors</b>	Weiss, Daniel A. <i>Oedipus in Nottingham: D.H. Lawrence</i> . Seattle: University of Washington Press, 1962.
<b>Chapter in a book or an essay from a collection</b>	Johnston, Martin. „Games With Infinity. The Fictions of Jorge Luis Borges“. <i>Cunning Exiles – Studies of Modern Prose Writers</i> . Eds. Don Anderson and Stephen Knight. Sydney: 1974.
<b>Book, two or more authors</b>	Houghton, Walter E., and G. Robert Strange. <i>Victorian Poetry and Poetics</i> . Cambridge: Harvard University Press, 1959.
<b>Article in a scholarly journal</b>	Campbell, Jean. „Poetic Genealogy, Mythmaking and the Origins of Urban Nobility: Giovanni Boccaccio and Ambrogio Lorenzetti“. <i>Heliotropia</i> 7, 1-2 (2010): 51-63.
<b>Article in a magazine or newspaper published monthly</b>	Morozova, Tatjana. „Skelety iz Sosednego Pod'ezda: Pochemu Ljudmila Petrushevskaja tak ne Ljubit Svoikh Geroev“. <i>Literaturnaja Gazeta</i> . 9 centjabrja 1998: 10 (Морозова, Татьяна. „Скелеты из соседнего подъезда: Почему Людмила Петрушевская так не любит своих героев“. <i>Литературная газета</i> . 9 сентября 1998: 10).
<b>Book, no author given</b>	<i>New Life Options: The Working Women's Resource Book</i> . New York: McGraw-Hill, 1976.

<b>Institution, association, or the like, as “author”</b>	American Library Association. <i>ALA Handbook of Organization and 1995/1996 Membership Directory</i> . Chicago: American Library Association, 1995.
<b>Editor or compiler as “author”</b>	Henderson, John. Ed. <i>The World's Religions</i> . London: Inter-Varsity Fellowship, 1950.
	Mitchell, William J. <i>City of Bits: Space, Place, and the Infobahn</i> . Cambridge, MA: MIT Press, 1995. 29 September 1995. Web. 17 May 2011. <a href="http://www-mitpress.mit.edu:80/City_of_Bits/Pulling_Glass/index.html">http://www-mitpress.mit.edu:80/City_of_Bits/Pulling_Glass/index.html</a> ; Internet.
<b>Electronic document From Internet</b>	Nevskaja, Dar'ja. „Problema Dialogichnosti „Sozdajushego“ i „Sozdannogo“ Tekstov (Graf Amori „Final. Okonchanie Proizvedenija „Yama“ A. I. Kuprina)“. <i>Literature, Folklore, Arts</i> . Vol. 705. (2006): n.pag. Web. 15 May, 2011 (Невская, Дарья. „Проблема диалогичности «создающего» и «созданного» текстов (Граф Амори «Финал. Окончание произведения «Яма» А. И. Куприна)“. <i>Literature, Folklore, Arts</i> . Vol. 705. (2006): n.pag. Web. 15 May, 2011).
<b>Encyclopedia, Dictionary</b>	<i>Webster's New Collegiate Dictionary</i> . Springfield: MA: G. & C. Merriam, 1961.
<b>Interview (unpublished) by writer of paper</b>	Morganis, Nancy D. <i>Interview by Author</i> . 16 July 1996, Fall River, MA. Tape recording.
<b>Conference Proceedings</b>	Choloq'ashvili, Rusudan. „Gamotsemebi K'omunist'uri Rezhimis Shesakheb Sakartveloshi“. <i>T'ot'alit'arizmi da Lit'erat'uruli Disk'ursi. Meotse Sau'kunis Gamotsdileba.Tbilisi 7-9 okt'omberi</i> , 2009. Tbilisi: lit'erat'uris inst'it'ut'is gamomtsemloba, 2010 (ჩოლოგაშვილი, რუსუდან. „გამოწვევები ტოტალიტარული კომუნისტური რეჯიმის შესახებ საქართველოში“. ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი. მეოცე საუკუნის გამოწვდილება. თბილისი, 7-9 ოქტომბერი, 2009. ირმა რატინი. რედ. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამოწვევლობა, 2010).
<b>Thesis or dissertation</b>	Bishop, Karen Lynn. <i>Documenting Institutional Identity: Strategic Writing in the IUPUI Comprehensive Campaign</i> . PhD. Diss. Purdue University, 2002.

\* Works published in the same year (separately or in co-authorship) or one and the same work (with continuations) in several volumes will be indicated in alphabetical order. For example: (Abashidze 1987a: 21). (Abashidze 1987b: 87).